თამარ და აკაკი პაპავა

მარიამ

უკანასკნელი დედოფალი საქართველოსი

ბუენოს აირეს
1956



მარიამ

უკანასკნელი დედოფალი საქართველოსი

XX საუკუნის ქართული ემიგრანტული მწერლობისა და მეცნიერების ისტორიაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავთ ცოლ-ქმარს თამარ და აკაკი პაპავებს.

თუმცა, ამთავითვე უნდა ითქვას, რომ ემიგრაციაში წასულმა აკაკი პაპავა თვალსაჩინო სალიტერატურო და საზოგადოებრივ მოღვაწეობას ეწეოდა საქართველოში და არცთუ მცირე წვლილი მიეძღვის ეახლესი ქართული ლიტერატურის ჩამოყალიბებასა და გსების ძიებაში, საერთოდ, ახალი ქართული კულტურის მშენებლობაში. ამიტომ აუცილებელია ზოგადად მაინც შევეხოთ ემიგრაციამდელ პერიოდსაც, რათა უკეთ წარმოვიდგინოთ მისი შემოქმედებითი ცხოერების განვითარების საკმაოდ გრძელი, რთული და საინტერესო გზა...

* * *

აკაკი პაპავა დაიბადა 1890 წელს, ქ. სამტრედიაში. პირველდაწყებითი განათლება აქვე მიიღო, შემდეგ დაამთავრა ქუთაისის რეალური სასწავლებელი და შეევდა იერიევის (დერპტის) (დორპატის, იგივე ტარტუს) უნივერსიტეტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტზე. აქედან გადაევიდა მოსკოვის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე, რომელიც წარჩინებით დაასრულა.

დ. ვაშაძის სიტყვებით, „ჯერ კიდევ სტუდენტობის დროს მიიპყრო მან ქართული საზოგადოების ყურადღება — იგი ქითხულობს ხშირად საქართველოს ქალაქებში და დაბებში ლექციებს ქართულ ლიტერატურაზე. დორპატის სათვისტომოში იგი აქტიურ მონაწილეობას ღებულობს და მის სულის ჩამდგმელად ითელება. არა ერთი და ორი მოხსენება წაუკითხავს მას იქ... ომის უკანასკნელ წლებში აკაკი პაპავა სამხედრო სამსახურში გაიწვიეს. რევოლუციის დასაწყისს იგი კავკასიის ფრონტზე იმყოფებოდა; აქ იგი აირჩიეს კავკასიის ჯარისკაცთა საბჭოს წევრად. რევოლუციის შემდეგ საქართველოში დაბრუნებულს ეხედავთ მრავალ თანამდებობაზე: ის არის თბილისის ქალაქის საბჭოს ხმოსანი, შემდეგ ქალაქის გამგეობისა და ამავე დროს საქართველოს პარლამენტის წევრიც, სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი“ (ვნინი რამ აკაკი პაპავაზე, „კავკასიონი“ X, გვ. 30).

აკაკი პაპავას პირველი წერილები და ფელეტონები 1910-იან წლებში ქართველ სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის ორგანოს „სახალხო გაზეთის“ ფურცლებზე გამოქვეყნდა. იგი ამ ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთის სარედაქციო კოლეგიის წევრად ითვლებოდა და მეთაურ წერილებსაც ხშირად თვითონ წერდა. ძველი ჟურნალისტი და საზოგადო მოღვაწე გრ. ლასხიშვილიც გვემოწმება: „...მაშინ გამოდიოდა „სახალხო გაზეთი“... გაზეთს ხელმძღვანელობდენ და მუშაობდენ სულ ახალგაზრდანი, ჩვენი პარტიის მეორე თაობა: არჩილ ჯორჯანაშვილი, ქრ. რაქველიშვილი, აკაკი პაპავა, არისტო ჭუმბაძე... ძველებიდან გაბაგრობდენ მუშაობას გრ. რცხილაძე, კიტა აბაშიძე, ილია ნაჟაშიძე და იოსებ გედევანიშვილი“ (მემუარები, თბ., 1934, გვ. 21).

აი, „სახალხო გაზეთში“ გამოქვეყნებული აკაკი პაპავას ზოგიერთი წერილი: „ჩვენი ახალგაზრდა პოეტები და იმპრესიონული მეთოდი“, 26.IV. 1911, № 287; „მკითხველის შენიშვნები“, 8.V. 1911; „შენიშვნები ქართულ ლიტერატურაზე“ (გაგრძელებებით), 1—2.VI. 1911, № 315—316; „ფიქრები სამშობლო ლიტერატურაზე“ (გაგრძელებებით), 6.I, 8.I, 9.I, 1913, № 791—793; 14. VIII, 15.VIII, 17.VIII, 18.VIII, 20.VIII, 21.VIII, 1913, № 968—973; „ბარათები ხელოვნებაზე“ (გაგრძელებებით), 7.XI, 8.XI, 1913, № 1037—1038; 3.IV, 10.IV, 15—16.IV, 1914, № 1155, № 1158, № 1162, № 1163; „მხატვრული სინტეტიზმი (ესკიზი რიჰარდ ვაგნერის შესახებ)“, 5.VI. 1913, № 910 და სხვ.

აკაკი პაპავა ახლო ურთიერთობაში იმყოფებოდა ქართველ სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის ლიდერთან, გამოჩენილ ქართველ მოაზროვნესა და პოლიტიკურ მოღვაწესთან არჩილ ჯორჯაძესთან, რომელიც თურმე დიდად აფასებდა ახალგაზრდა ლიტერატორის ნიჭსა და უნარს. აკი მისი ბიოგრაფიც წერს: „ქართველთა ერის დიდ მოაზროვნეს არჩილ ჯორჯაძეს წაეკითხა თუ არა ერთჯერ 23 წლის ახალგაზრდა აკაკი პაპავას „ფიქრები სამშობლო ლიტერატურაზე“, „რკალები“..., მყისვე ერჩია ავტორისათვის ამ გზით ევლო, რითაც ის ქართულ კულტურას ბევრ ნაყოფს მოუტანდა. აქედან იწყება მისი განუყრელი მეგობრობა არჩილ ჯორჯაძესთან და ეს უკანასკნელი უკვეთავდა მას ჯერ კიდევ რუსეთში ყოფნისას სხვა და სხვა თემაზე წერილებს“ (იხ. „კავკასიონი“, X, გვ. 31).

გარდა „სახალხო გაზეთისა“, აკაკი პაპავა სხვადასხვა დროს იყო მუდმივი თანამშრომელი არაერთი ქართული პერიოდული გამოცემისა („იმერეთი“, „გაზაფხული“, „საფირონი“, „კოლხიდა“, „თემი, „ერი“, „თეატრი და ცხოვრება“, „ცისარტყელა“, „პრომეთე“, „ლომისი“, „გრდემლი“, „ქართული მწერლობა“, „სახალხო საქმე“ და სხვ.), სადაც იბეჭდებოდა მისი საყურადღებო ესკიზები და პროზაული ჩანახატები, წერილები და კრიტიკული ნარკვევები ქართული სიტყვაკაზმული მწერლობის ისეთ გამოჩენილ წარმომა-

დგენლებზე, როგორიც იყვნენ ბესიკი, ნიკოლოზ ბარათაშვილი, ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, გრიგოლ და ეახტანგ ორბელიანები, ვაჟა-ფშაველა, რაფიელ ერისთავი, დავით კლდიაშვილი, დუტუ მეგრელი... მათთან ერთად იგი უყურადღებოდ არ ტოვებს ახალგაზრდა შემოქმედებით ძალებს — გ. ტაბიძეს, ი. გრიშაშვილს, ვ. რუხაძეს, ნ. ლორთქიფანიძეს, კ. გამსახურდიას (აბაშისპირელს), ალ. აბაშელს, ს. შანშიაშვილს...

დავასახელებთ ამ მიმართულებით გამოქვეყნებული აკაკი პაპავას მრავალრიცხოვანი წერილებიდან რამდენიმე მათგანს: ფიქრები სამშობლო ლიტერატურაზე, „იმერეთი“ (გაგრძელებებით), 4.I. 1913, № 3; 5.I. 1913, № 4; 21.VII. 1913, № 106; 24.VII. 1913, № 107; 25.VII. 1913, № 108; შენიშვნები სამშობლო ლიტერატურაზე, „იმერეთი“, 10.X.1912, № 12; 11.X. 1912, № 13; 2.XI. 1912, № 32; 3.XI. 1912, № 33; 6.XI. 1912, № 35; ობლობა, „თეატრი და ცხოვრება“, 8.III. 1915, № 10; რკალები, „თეატრი და ცხოვრება“, 5.XII. 1915, № 49; რკალები, „თეატრი და ცხოვრება“, 27.IV. 1914, № 8; 11.V. 1914, № 10; 6.VII. 1914, № 18; 31.VIII. 1914, № 26; 23.XI. 1914, № 38; 17.I. 1916, № 3; მე და შენ (წერილის ნაგლეჯიდან), „თეატრი და ცხოვრება“, 4.VII. 1910, № 26; წარსულიდან, „თეატრი და ცხოვრება“, 8.VIII. 1910, № 31; ასე დაჭკნა სიყვარული, „კოლხიდა“, 7.VII. 1911, № 81; მშვიდობით, საბრალოვ!.. „კოლხიდა“, 6.VIII. 1911, № 106; ჩვენი დროის ინდივიდუალიზმი, „კოლხიდა“, 1.VII. 1911, № 76; ფიქრები ქართველ ახალგაზრდობაზე, 11.III. 1912, № 56; რაფიელ ერისთავზე, „კოლხიდა“, 4.VIII. 1912, № 115; სიყვარულის დედა, „კოლხიდა“, 23.VIII. 1912, № 129; საახალწლო საჩუქარი, 5.I. 1912, № 3; კრიზისის ხანა და მისი უმთავრესი მიზეზები, „კოლხიდა“, 20.I. 1912, № 14; შენიშვნები სამშობლო ლიტერატურაზე, „კოლხიდა“, 21.I. 1912, № 15; 26—27.I. 1912, № 19—20; დამარხული სიყვარული, „კოლხიდა“, 28.I. 1912, № 21; დიდი ცოდვა, „კოლხიდა“, 31.XII. 1911, № 224; ძველისა და ახალის შუა (დუტუ მეგრელის ლირიკა), „თემი“, 23. I. 1912, № 55; მზის პოეტი (ს. აბაშელი), „თემი“, 27.II. 1912, № 60; ჩვენ მსახიობთა მიმართ, „თემი“, 23.IX. 1912, № 90; ლეონ ტოლსტოის შესახებ, „თემი“, 24.XII. 1912, № 103.

საგანგებო პრემიით აღინიშნა აკაკი პაპავას „მკრთალ სხივთა ძნა“, რომელიც ნ. მიწიშვილს რუსულადაც უთარგმნია... ჯერ კიდევ 1912 წელს, სალიტერატურო კრებულ „გრდემლში“ (წიგნი II, ტფ., 1912) ვ. ბარნოვის, ი. ევდოშვილის, ნ. ლორთქიფანიძის, უიარაღოს, ი. გრიშაშვილის, ნ. ნაკაშიძის, გ. ტაბიძის, ექ. გაბაშვილის, კ. გამსახურდიას თხზულებათა გვერდით დაბეჭდილია აკაკი პაპავას ეტიუდი „ქალის ცრემლები“, ხოლო 1916 წელს გ. ლეონიძის რედაქტორობით გამოცემულ კრებულ „სალიროწში“ გამოქვეყნებულია აკაკი პაპავას „ფიქრები მშობლიურ ხელოვნებაზე“.

1918 წელს თბილისში დაარსდა ყოველთვიური სალიტერატურო, სამეცნიერო და საპოლიტიკო ჟურნალი „პრომეთე“ (გამოვიდა სულ სამი ნომერი), რომლის სარედაქციო კოლეგიაში აკაკი შანიძესთან, იოსებ ყიფშიძესთან, პავლე ინგოროყვასა და კონსტანტინე გამსახურდიასთან ერთად ვხედავთ აკაკი პაპავას; მათ გარდა ჟურნალში თანამშრომლობენ დავით კლდიაშვილი, ვასილ ბარნოვი, იოსებ გრიშაშვილი, კოტე მაყაშვილი, ივანე ჯავახიშვილი, კორნელი კეკელიძე, დიმიტრი უზნაძე, გიორგი ახვლედიანი, ექვთიმე თაყაიშვილი... ჟურნალის ყდის მხატვრული გაფორმება და ექსლიბრისი ეკუთვნის იაკობ ნიკოლაძეს. აქვე ბეჭდება აკაკი პაპავას პროზაული ქმნილებანი „ნახშირის ხაზები“ (დაწერილია ქ. დორპატში, 1913 წელს), „სოლეილდრო“ (ეს უკანასკნელი ცალკე წიგნადაც გამოსულა გამოჩენილი მხატვრის შარლემანის დასურათებით). თუ ერთი მისი ბიოგრაფის დამატებით ცნობასაც ვირწმუნებთ, „აკ. პაპავა კვირეულ ჟურნალს „ზვირთი“ რედაქტორობდა სამსონ დადიანთან, ქრისტეფორე რაქველიშვილთან და მიხ. საყვარელიძესთან ერთად“ (იხ. „კავკასიონი“, X, გვ. 31; შდრ. გ. ბაქრაძე, ქართული პერიოდიკის ბიბლიოგრაფია, თბ., 1947, გვ. 47).

ცალკე აღნიშვნის ღირსია აკაკი პაპავას ღვაწლი ქართული თეატრის წინაშე. 1914 წელს იგი გახლდათ სრულიად საქართველოს სათეატრო მოღვაწეთა პირველი ყრილობის დელეგატი და ერთ-ერთი მომხსენებელი. აი, რას გვიამბობს გ. ლასხიშვილი: „ყრილობას ასზე მეტი დელეგატი დაესწრო საქართველოს ყველა კუთხიდან. საპატიო თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ჩვენი დიდი მგოსანი აკაკი წერეთელი. პრეზიდიუმში ვიყავით მე (თავმჯდომარე), ლადო მესხიშვილი და კიტა აბაშიძე (თავმჯდომარის ამხანაგები)... ყრილობამ რამდენიმე დღეს გასტანა; მომხსენებლად გამოვიდენ და კამათში მონაწილეობას იღებდენ აკაკი ფაღავა, არისტო ჭუმბაძე, ლადო მესხიშვილი, ა. წუწუნავა, კიტა აბაშიძე, აკაკი პაპავა, იოსებ გედევანიშვილი, კ. ანდრონიკაშვილი და ბევრი სხვა“ (შემუარები, 1934, გვ. 291). მეორე წყაროში კი ვკითხულობთ: „ჩვენთვის დაუვიწყარი აკაკი მრავალმხრივია და ქართული ცხოვრების ყოველ დარგში და სფეროში ხედავს არსებულ ნაკლს, რომლის ამოვსების სურვილი მას აქვს. სწერს თეატრის „ახალ გზებზე“, აკაკი ფაღავას და ალექსანდრე ახმეტელს გადასცა პიესები „საიდუმლოება“ და „ნანგრევებზე“. ეს უკანასკნელი რუსულად უთარგმნიათ“ („კავკასიონი“, X, გვ. 31).

აკაკი პაპავას დამსახურებულ ავტორიტეტსა და მწერლურ აღიარებას მოწმობს თუნდაც ის ფაქტი, რომ ქართველ მწერალთა საერთო ყრილობამ იგი აირჩია მწერალთა კავშირის მეორე თავმჯდომარედ (პირველი თავმჯდომარე გახლდათ ცნობილი პოეტი კოტე მაყაშვილი), მაგრამ მალე მთელი მუშაობა მას დაანება მხრებზე. თუ რა იყო ამის მიზეზი, სჯობს თვითონ აკაკი პაპავას მოეუსმინოთ: „იმ

ცხრამე დროში კ. მაყაშვილი „თავისუფალ მწერალთა კავშირის“ თავმჯდომარე ოჯახური უბედურების და ეროვნული ტრაგედიის გამო (პრძოლების დროს თბილისთან მოჰკლეს მისი ასული), დიდ მწუხარებაში განზე გადგა, ნერვებმა ეღალატეს და მწერალთა კავშირის მთელი მუშაობა მე დამაწვა“ (იხ. აკ. პაპავა, მცირე უწყება გრიგოლ რობაქიძისათვის, „კავკასიონი“, IX, პარიზი, 1964, გვ. 29).

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ აკაკი პაპავა დანიშნეს მწერალთა კავშირის განყოფილების ხელმძღვანელად და ამავე დროს იგი რედაქტორობს ორკვირეულ სახელოვნო-საინფორმაციო ჟურნალ „ხელოვნებას“ (1921 წელს, სულ გამოიცა ორი ნომერი), რომელშიაც ბეჭდავს კ. გამსახურდიას, აკ. ფაღავას, მარიჯანის და სხვათა ნაწარმოებებს... მალე იგი საზღვარგარეთ (ბერლინი) მიემგზავრება, მაგრამ იქიდან ერთხანს მაინც თანამშრომლობს საბჭოთა საქართველოს ლიტერატურულ გამოცემებში კრიტიკული წერილებით და ბელეტრისტული ნაწარმოებებით. ასე, მაგალითად, გაზეთ „ლომისში“ 1923 წელს (№ 26—27) გამოქვეყნდა ბერლინში 1923 წლის 1 თებერვალს დაწერილი აკ. პაპავას წერილი „შენგან გვაჩნია გულებს ხაზი!“ (ბესიკის პორტრეტისათვის), ხოლო ჟურნალ „ქართულ მწერლობაში“ (1926, № 2—3) კი დაბეჭდილია ჰამბურგში 1926 წელს დაწერილი აკ. პაპავას „განახლებული მისია“. იმ ხანას ეკუთვნის მისი მოთხრობების პირველი ტომი და „მეურმე ნესტორა“ და „მზათობში“ გამოქვეყნებული „სპირიდონის გასაჭირი“ (შდრ. „კავკასიონი“, X, გვ. 31—32).

1923 წლის 12 მაისს თამარ პაპავაც ორი გოგონათი (ტურფა და მზია) თბილისიდან გაემგზავრა, მოსკოვისა და რიგის გაელით, ბერლინს, „სადაც მიგველოდა აკაკი და სადაც ახალი ცხოვრება უნდა დაწყებულიყო. რას გვიმზადებდა იგი? როგორ მიგვიღებდა და რას მისცემდა ბავშვებს? არავინ იცოდა...“ — წერს თამარ პაპავა ერთ ავტობიოგრაფიულ მოთხრობაში „ორი კვირა ვირთხებთან“ (იხ. „კავკასიონი“, XIII, პარიზი, 1968, გვ. 93).

ამის შემდეგ იწყება უცხოეთში აკაკი და თამარ პაპავების ხანგრძლივი ერთობლივი ლიტერატურული და მეცნიერული საქმიანობა...

* * *

მეორე მსოფლიო ომის დაწყებამდე პაპავების ოჯახი უმთავრესად ჰამბურგსა და ბერლინში ცხოვრობდა, ხოლო ომის მძიმე წლები ევაკუაციაში ხან ტიურინგიაში, ბავარიაში, ავსტრიაში და ვინ იცის, კიდევ სად გაატარეს დაუსრულებელ ხეტიალში: ახალი ხანა პაპავების შემოქმედებით ცხოვრებაში დგება 1949 წლიდან, მას

შემდეგ რაც ისინი დასავლეთ ევროპიდან სამხრეთ ამერიკაში, კერძოდ, არგენტინაში გადასახლდნენ:

„ემიგრაციაში აკაკი პაპავა მუდმივი თანამშრომელი იყო ჟურნალისა „კავკასიონი" (რომელსაც ნიუიორადაც ეხმარებოდა; მანვე შეიძინა ამ ჟურნალისათვის ლინოტიპის ასოები), სწერდა „ქართლოს"-ში, „მამულ"-ში, „ბედი ქართლისა"-ში და, რასაკვირველია, „სახალხო გაზეთ"-ში, რომელსაც იგი დროგამოშვებით ბეჭდავდა (უკანასკნელად გამოსცა მისი საიუბილეო ნომერი, 50 წლის თავზე). ბოლო დროს თანამშრომლობდა გაზეთში „ქართული აზრი". სწერდა იგი საკუთარი სახელით და ფსევდონიმებით: ქეიბური, ოდიშელი, გაუტეხელი, კახაბერი, თუთბერიძე და სხვა ბევრი" — გვამცნობს დ. ვაშაძე და აქვე იძლევა აკაკი პაპავას მრავალმხრივი და მრავალფეროვანი შემოქმედების ამგვარ დახასიათებას: „აკაკი პაპავა ნოველებსაც სწერს და რომანებსაც, კრიტიკოსიც არის და დრამატურგიც, საქართველოს ისტორიის მკვლევარიც და პოლიტიკური მოღვაწეც. მისი სამწერლო მოღვაწეობა ისეთი ფართო და მრავალმხრივია, რომ მას დიდი შესწავლა და მოხერხებული კალმოსნის ხელი სჭირდება" (იხ. „კავკასიონი", X, გვ. 32—33).

* * *

1937 წელს პარიზში გამოქვეყნდა თამარ გოგოლაშვილი-პაპავას სქელტანიანი (300-გვერდიანი) წიგნი „დიდი სახეები პატარა ჩარჩოებში" (შესანიშნავად დაბეჭდილი დაკით ხელაძის პარიზულ ქართულ სტამბაში).

ამ წიგნში შესულ ნარკვევთა ერთი ნაწილი („მეფე ერეკლეს ქალები", „ქართველი ქალი და 1932 წლის შეთქმულება", „აღუქსანდრე ბატონიშვილი და მისი ოჯახის ბედი") „ისახარ"-ის ფსევდონიმით იბეჭდებოდა პარიზში 30-იან წლებში ედ. პაპავას, ე. ნოზაძისა და ი. მანწკავას მიერ დაარსებულ ჟურნალ „კავკასიონში", ხოლო დანარჩენმა სამმა ახალმა ნარკვევმა („იმერეთის ქალების ეპიზოდები დასავლეთ საქართველოს ბრძოლათა ისტორიიდან", „სამეგრელოს დედოფალი ნინო" და „ბატონიშვილი დარეჯან") პირველად აქ იხილა მზის სინათლე, თუმცა, ძველი ნარკვევებიც საგრძნობლად იყო შეცვლილი და შევსებული უკანასკნელ წლებში გამოქვეყნებულ წყაროთა მიხედვით.

ორიგინალურად აქვს გააზრებული მწერალ ქალს წიგნის სათაური. ამის თაობაზე ჩვენ უნდა დავეთანხმოთ ერთ იმდროინდელ საზღვარგარეთულ რეცენზენტს, რომელიც სამართლიანად შენიშნავდა: „ავტორი აქ დიდ თავმდაბლობას იჩენს და გვარწმუნებს ამ სათაურით, რომ მან ვერ შესძლო ამ დიდ პირთა, დიდ სახეთა შეჩაფერის დიდ ჩარჩოებში მოთავსება, რომ მისი ისტორიული

ნარკვევები კნინია. ავტორი, რასაკვირველია, სცდება, თუ მართლა ასე ფიქრობს. ჩვენ გვგონია, ჯერჯერობით არც ერთი მკვლევარი ასე ღრმად და ასე ფართოდ არ მისდგომია აღნიშნულ ეპოქას, რომლითაც იწყება საქართველოში რუსეთის გაბატონება. ალ. ფრონელის გამოკვლევანი მთიულეთისა და კახეთის აჯანყების შესახებ თავის დროზე დიდი განძი ქართული ისტორიის საკითხთა გასაშუქებლად, დღეს უბრალო მოთხრობად გვეჩვენება, რომელიც შემოფარგლული იყო ადგილობრიობით. თამარ პაპავას ნაშრომი კი ფართო გეგმაზეა აგებული და მოცემულია არა მარტო ადგილობრიობა, არამედ საერთაშორისო ვითარებაც, რომელშიაც ჩვენს გმირებს მოქმედება უხდებოდათ. ამ მხრივ ქალბატონ პაპავას შრომით კვლევა-ძიების საგანი ახალ გზაზეა შეყენებული და ამას არ შეიძლება ყურადღება არ მიექციოთ, როგორც დიდ ღირსებას". (იხ. „ქართლოსი", № 9—10, პარიზი, 1938, გვ. 143).

წიგნისათვის წამძღვარებულ შესავალში ავტორი უღრმეს და გულწრფელ მადლობას უცხადებს ექვთიმე თაყაიშვილს, სამსონ ფირცხალავას და ვიქტორ ნოზაძეს (და სხვებსაც) ამ შრომაზე გამოხენილი ყურადღებისა და დაუღალავი დახმარებისათვის.

ექვთიმე თაყაიშვილს დაუწერია თ. პაპავას ამ წიგნის „წინასიტყვაობა".

1951 წელს ბუენოს-აირესში გამოიცა თამარ პაპავას ისტორიული ნარკვევი დარეჯან დედოფლის შესახებ, რომელსაც წინ უძღვის ნ. ჟორდანიას წერილი „ქართველი ქალი" და დართული აქვს ბოლოსიტყვაობა ავტორისა. ამ წიგნით დაიწყო თ. პაპავამ მეორე ტომი თავისი „დიდი სახეებისა". წიგნი მშვენივრად არის გამოცემული და შეიცავს დარეჯან დედოფლისა და ერეკლე მეფის სურათებს (აქვე შევნიშნავთ, რომ თავდაპირველად აღნიშნული ნარკვევი თ. პაპავამ გაგრძელებებით დაბეჭდა ჟურნალ „მამულში": იხ. № 1 და № 2, ბუენოს-აირესი, 1951, გვ. 21—29, 43—52).

თამარ პაპავას წიგნს სხვა უაღრესად დიდი ისტორიული მნიშვნელობაც ჰქონდა: ეს იყო პირველი ქართული წიგნი, — დაბეჭდილი ამერიკაში! (შდრ. „მამული", № 4, ბუენოს-აირესი, 1951, გვ. 104).

ამას გარდა, საყურადღებოა ბუენოს-აირესში გამომავალ ჟურნალ „მამულში" (რედაქტორი ვიქტორ ნოზაძე) გამოქვეყნებული თამარ და აკაკი პაპავას შემდეგი წერილები:

1. აკაკი პაპავა, საქართველოს დიპლომატიური გამარჯვება 1783 წ. (ისტორიული ნარკვევი), „მამული", № 1, ბუენოს-აირესი, 1951, გვ. 9—13.

2. ქეიბური (აკაკი პაპავას ფსევდონიმი), 1801 წლის შემდგომ გარდახვეწილ ბატონიშვილთა პოეზია, იქვე, გვ. 14—17.

3. აკაკი პაპავა, საქართველო-რუსეთის იურიდიული ურთიერთობა, იქვე, გვ. 18—20.

4. აკაკი პაპავა, საქართველოს სამეფოს უკანასკნელი ამბები, „მამული", № 2, ბუენოს-აირესი, 1951, გვ. 40—42.

5. კახაბერი (აკაკი პაპავას ფსევდონიმი), კიდევ ერთი ოცდაექვსი მაისი, იქვე, გვ. 52—54.

6. აკაკი პაპავა, ქართული თეატრის სათაყვანებლად, „მამული", № 3, ბუენოს-აირესი, 1951, გვ. 79—83.

7. თამარ პაპავა, მადლიანი შრომა (ძველი ქართული თეატრის ცხოვრებიდან), იქვე, გვ. 83—85.

8. აკაკი პაპავა, ერთი ისტორიული თარიღის გამო (50 წელი საქართველოს სოც. ფედერალისტთა პარტიის ჩამოყალიბებისა), იქვე, გვ. 93.

9. აკაკი პაპავა, საქართველოს საკითხი და რუსეთის სახელმწიფო საბჭო, „მამული", № 4, ბუენოს-აირესი, 1951, გვ. 104—108.

10. თამარ პაპავა, იმერეთის უკანასკნელი ამბები და დედოფალი მარიამ (დაწერილია ჰამბურგში 1944 წელს), „მამული", № 5, ბუენოს-აირესი, 1952, გვ. 134—140; № 6, 1953, გვ. 210—215.

11. გაუტეხელი (აკაკი პაპავას ფსევდონიმი), „მიდიან" სამძიმარის მაგიერ, იქვე, გვ. 154.

12. კახაბერი (აკაკი პაპავას ფსევდონიმი), ჩვენი პრეზიდენტი, „მამული", № 6, ბუენოს-აირესი, 1953, გვ. 161—164 (გადაიბეჭდა ჟ. „კავკასიონში", პარიზი, XIII, 1968, გვ. 71—74).

ამასობაში, 1953 წელს, ბუენოს აირესში, გამოიცა თამარ პაპავას ახალი წიგნი მეორე ტომისა „დიდი სახეები პატარა ჩარჩოებში", რომელშიც შესულია ორი ნარკვევი: 1) იმერეთის დედოფალი მარიამ; 2) გურია და დედოფალი სოფიო. როგორც ჩანს, აეტორმა ვერ მოახერხა მასში შეეტანა თავისი ნარკვევი „ეკატერინა, ოდიშის დედოფალი", რომელიც მას დაწერილი ჰქონია (იხ. დიდი სახეები..., 1951, გვ. 63).

თ. პაპავას ამ წიგნის გამოსვლასთან დაკავშირებით დაწერილ მოკლე ბიბლიოგრაფიულ განხილვაში ვიქტორ ნოზაძე აღნიშნავდა: „თამარ პაპავას ახალი წიგნი ორ დედოფალს შეეხება და მათ ცხოვრება-ბრძოლას აღწერს. ორივე დედოფლის ცხოვრება მჭიდროდ გადაბმული არის იმ ბრძოლებთან, რომელსაც მათი ქვეყანა,— იმერეთი და გურია თავის უფლებათა დასაცავად ეწეოდა (XIX საუკუნეში).

მას შემდეგ, რაც რუსეთმა ქართლ-კახეთის სამეფო მოსპო და იქ მტკიცედ დამკვიდრა, რასაკვირველია, განწირული იყო წინასწარ იმერეთის და გურიის ბედიც, — და ეს კარგად ესმოდათ ამ ქვეყანათა ხელმძღვანელ პირებს, ოღონდ, ესენი მაინც ყოველ ზომას ხმარობდნენ, რათა თავი დაეცვათ, — ეს ბუნებრივი მისწრაფებაა ცოცხალი არსებისათვის.

ქალბატონი თამარ პაპავა, თავის მოკლე აღწერილობაში, ნაბიჯ-

ნაბიჯ მისდევს თითოეული ქვეყნის თავისუფლებისათვის ბრძოლას, და ამ დიდბუნებოვან დედაკაცთა სახეს ნათლად, ღირსეულად და სიყვარულით გვიხატავს.

ბრძოლა ოჯახისათვის; ბრძოლა ქმარისათვის; ბრძოლა ტახტისათვის და სამშობლოსათვის აქ ერთმანეთში გადაბმულია მჭიდროდ და ერთ მთლიან ფრონტს წარმოადგენს, რომელსაც ეს ჩვენი დედოფლები ეფიცებიან და იცავენ...

...მისწრაფებითა და შეჭმედებით, სისხლითა და სიკვდილით დაწერილ ამ ისტორიას სპირდება შესწავლა, გამოკვლევა, გამოტანა, გაცნობა, — და ამ საქმეს ღირსეულად ემსახურება ქალბატონი თამარ პაპავა, რომელიც ქართველ დედაკაცთა ისტორიას სწავლობს და გვასწავლის; და არა მარტო გვასწავლის, არამედ გვაყვარებს კიდეც ქართული ისტორიის დღემდე მიმალულ, ჩვენთვის უცნობ ამ დიდ დედაკაცთა დიდ სახეებს, რომელთაც იგი, თავისიეე მორცხვი თქმით, პატარა ჩარჩოებში ათავსებს..." (იხ. „მამული", № 6, 1953, გვ. 209).

შორეულ არგენტინაში ქართულ ისტორიულ თემატიკაზე დაუღალავი მრავალწლიანი შრომა დაგვირგვინდა 1956 წელს, ბუენოს-აირესში გამოცემული თამარ და აკაკი პაპავების ერთობლივი წიგნით: „მარიამ უკანასკნელი დედოფალი საქართველოსი". წიგნში ჩართულია მრავალი ისტორიული პირის (მარიამ დედოფალი, გიორგი მეცამეტე, დავით ბატონიშვილი, ანა ერისთავის ასული, მეუღლე ფარანაოზ ბატონიშვილისა, გენერლები პ. ციციანოვი, კ. კნორინგი, ი. ღაზარევი) საინტერესო სურათები, აგრეთვე, ბაგრატიონთა ღერბი და ძველი თბილისის ხედი

წიგნისთვის დართულ „ბოლოსიტყვაობაში" ავტორები მოკრძალებით და თანაც გულისტკივილით წერდნენ: „საქართველოს უკანასკნელი დედოფლის მარიამის ამბები მეტად მჭიდროდაა დაკავშირებული საქართველოს სახელმწიფოს, მისი სამეფოს და ბაგრატიონთა დინასტიის მწუხრთან...

ჩვენ თითქმის 25 წლის მანძილზე ვაგროვებდით საჭირო მასალას საქართველოს უკანასკნელ დედოფლის ცხოვრებისა და ქართულ სამეფო მწუხრის შესასწავლად. ჩვენის ძალების მიხედვით ამ წელთა მანძილზე ვმუშაობდით, ვწერდით და ვურთავდით ახლად მოძიებულ ცნობებს იმ იმედით, რომ მისი გამოცემა ჩვენს მძიმე პირობებშიაც ერთხელ შესაძლებელი გახდებოდა. ომის წლებმა და მისგან გამოწვეულმა დაუსრულებელმა ხეტიალმა ხან ერთსა და ხან მეორე ადგილას, ჩვენი ბიბლიოთეკის ერთი ნაწილი შეწირა და მასთან ერთად, სხვა ხელნაწერებთან, ამ შრომის თითქმის ნახევარი რვეულები დაგვიკარგა. გადაგვირჩა ზოგიერთი რვეულების შაკი და ამონაწერები.

ამის გამო იმ მოცულობით და ხასიათით, როგორც თავიდანვე გვქონდა განზრახული, ეს ჩვენი შრომა, სამწუხაროდ, ვერ დავას-

რულეთ. მაგრამ ხელახლა მისი გადადება იმ იმედით, რომ მეტ მასალას დავაგროვებდით და ამ შრომას შემდეგში უფრო დამუშავებულ და დასრულებულ ხასიათს მივსცემდით, არც სხვებმა გვირჩიეს და უნდა გამოვტყდეთ, ვერც ჩვენ დაეინახეთ მიზანშეწონილად ჩვენს პირობებში და ხნოვანებაში.

ამიტომ გადავწყვიტეთ წიგნის ასე გამოცემა, იმ რწმენით, რომ ჩვენის წარსულის მომავალ მუშაკებს ეს შრომა მასალად მაინც გამოადგება და კვლევას გაუადვილებს" (გვ. 317—318).

გარდა აქ დასახელებული ნაშრომებისა, ჩვენ ვიცნობთ აკაკი და თამარ პაპავას სხვა წერილებსაც:

1. აკაკი პაპავა, მცირე უწყება გრიგოლ რობაქიძისათვის, „კავკასიონი", IX, პარიზი, 1964, გვ. 20—31.

2. თამარ პაპავა, ერთი ცნობა ძველ ქართულ ოჯახთა განძეულობიდან, „კავკასიონი", IX, პარიზი, 1964.

3. თამარ პაპავა, გაბნეული საფლავები (ერთად შეკრული აკლდამა), „კავკასიონი", XII, პარიზი, 1967, გვ. 134—137.

4. თამარ პაპავა, დიდი დღის მოლოდინში (აკაკი წერეთლის საიუბილეოდ), „კავკასიონი", XVIII, პარიზი, 1976, გვ. 38—40.

ბარემ აქვე ვიტყვით, რომ ხელთ გვქონდა აგრეთვე აკაკი პაპავას ორი პროზაული ჩანახატი: „ზაგებილ" და „ყალბი ბეჭედი", რომლებიც დასტამბულია ჟ. „კავკასიონის" ფურცლებზე (XII, პარიზი, 1967, გვ. 60—71).

• • •

აკაკი პაპავას კალამი პოეზიაშიც უცდია. მისი პირველი ლექსები ჯერ კიდევ ლტოლვილობამდე საქართველოში „ჩანგში" ყოფილა გამოქვეყნებული. უცხოეთში დაწერილი ლექსები აკ. პაპავას ერთ პატარა კრებულად შეუკრავს სათაურით „1500-წლოვან თბილისს", რომელშიც იგი უცხოეთიდან მიესალმება თბილისს და მცხეთას, მტკვარსა და კოჯორს, მამადავითსა და 26 მაისს, აქედან ემშვიდობება მათ და თუ მართალია რილკე, როცა ამბობს: „ყოველი დამშვიდობება პატარა სიკვდილს უდრისო", — მაშ რამდენჯერ მომკვდარა აკაკი პაპავა?! მართლაც, „აკაკი პაპავას ლექსები ქართული ეროვნული ემიგრაციის ეროვნული ტკივილების განცდებია", „ბაეშვივით ხარობს იგი, როცა იგონებს „თბილისის ღამეს", „პარასკევობას", „რთველს კახეთში"! ყველაფერი, რაც საქართველოს აგონებს, ამქვეყნიური სამოთხეა პოეტისათვის და მათი თვალით ხილვას ოღონდ მოესწროს, მერმე თუნდაც მოკვდეს" (დ. ვაშაძე).

* * *

აკაკი პაპავას მიერ სან-ფრანცისკოში 1939 წლის იანვარში დაწერილ ლექსს „ჩემი ზიარება“ წაუწყდით ქ. „ქართლოსის“ ერთერთ ნომერში (№ 16—18, პარიზი, 1939, გვ. 272), სადაც იგი ქეიბურის ფსევდონიმითაა დაბეჭდილი. სამშობლოს ხილვის დაუოკებელი სურვილით შეპყრობილი ქართველი მგოსანი ჰეშმარიტი პოეტური გზნებით გადმოგვცემს თავის შინაგან ღრმა განცდებს. პოეტი ოცნებობს სამშობლოში ჩამოსვლაზე და თუ ამ „ზიარებას“ ეღირსა, იგი ამის შემდეგ სიკვდილსაც აღარ ნაღვლობს:

„...ამეღამ მინდა ვიხილო მცხეთა,
ბიჭვინთა, ხონი, გორი, ალვანი,
ვნახო თელეთი და მოწამეთა
და არტანუჯი — შენი აკვანი...

ჩემო მერანო, ნუ დამეღლები,
უნდა გავსცუროთ — არაგვი, მტკვარი,
და გულს ჩავიკრათ მათი ტალღები,
— ბარათაშვილის ცრემლების ღვარი...

მინდა ვისმინო ძველი ხელზვავი,
მივხვდე — რას ჰყეფენ თერგი, რიონი;
მინდა ვადიდო უველა საფლაე,
საც ისვენებენ ბაგრატიონნი...

მინდა ვიყნოსო თეთრი ქარები,
მყინვარისა და უშბას მკერდიდან,
— გაეძღე გუგუნით ძველის ზარების
დაბერებულის ალავერდიდან.

მინდა კვლავ ვნახო თბილისის ღამე,
გაშუქებული ნათელ თაღებით,
რომ ჩავირბინო ორთაჭალა მე
და გავიხარო ვარდის ბაღებით...

მინდა ჩემს გულში ვანახვო კვალი,
მისგან ნასწავლის სიყვარულისა;
— ვეუხრა, რომ ვერსად ვპოვე ნაცვალი
მისის სიტურფის, მისის რჯულისა...“

წულის ორი წვეთივით ჰგავს ამ ლექსს აკაკი პაპავას მეორე ლექსი „ბალადა შუა ღამისა“, რომელიც ასევე ქეიბურის ფსევდონიმით არის გამოქვეყნებული 1952 წელს ჟურნალ „მამულში“ (ბუე-

ნოს-აირესი, № 5, გვ. 130—131), სადაც ნოსტალგიით შეპყრობილი ეოთგან აცხადებს:

„საქართველოდან რა დაშრჩენია:
ლოცვებით სავსე დედის ბარათი...“

და მეფე დიმიტრი თავდადებულის აჩრდილის წინაშე მუხლმოყრილი ითხოვს პატიებას:

„მონანიებით მოვიყრი მუხლებს,
მსურს, რომ ვადიდო ეს წამებული.
ვთხოვო: წარგვიძღვეს ყველა ლტოლვილებს
მეფე დიმიტრი თავდადებული.
ვითხოვ — შეგვინდოს სულმოკლეობა,
საყვედურები, გმობის წამები —
იქ რაგვარ ითქმის ჩვენი მხნეობა,
სადაც სდგას გმირთა აკლდამები.
სდუმან იმის წინ ჩემი წლებია,
ვრჩები უღირსი მის სისხლის წვეთის,
ვისაც არასდროს არ შინებია
სამშობლოსათვის თავის მოკვეთის...“

ჩვენ არავითარი ზნეობრივი უფლება არა გვაქვს არ ვენდოთ სამშობლოდან ლტოლვილი ქართველი პოეტის ამ გულწრფელ აღსარებას!

აკაკი პაპავას ლექსები წარმოადგენს თავისებურ მხილებას სამშობლოს მოშორებით განცდილი სულიერი ტანჯვებისას. მის ლირიკას ახასიათებს ხალხური სისადავე:

„შენზე ფიქრებმა ამავსო,
ლოცვით ვდგები და ეწევიო,
თუნდ დამივიწყო, დამაგდო —
მაინც შენთანა ვრჩებიო“.

მიტოვებული ბებერი თბილისის და მაისის დღეების ნაღვლიანი მოგონება გამოსჭვივის აკ. პაპავას ლექსში, რომლის ბოლო ორ სტრიქონს ყველა დიდი პოეტი ინატრებდა:

„ზღვა დროშები, სამფერები
ათას წლოვან ქვაზე,
ზღვა დროშები სამფერები
ძველ ზარების ხმაზე;
მოელვარე ვაზის ჯვარი
წმინდა ნინოს თმაზე“.

ჩვენ გვერდს ვერ ავუვლით გალაკტიონის კილოზე აწყობილ აკ. პაპავას ერთ მშვენიერ ლექსსაც:

„გახსოვთ, გახსოვთ თქვენ თბილისი,
იმ დღეს მოკაშკაშე,
კვლავ ამდგარი ერი მისი,
სიყვარულით სავსე.
ჭრილობები მორჩენილი,
და იები ხავსზე
ქართულ კაბით მოხდენილი
დიადემით თავზე...
ჩვენს აღდგომას მასში ვაქსოვ,
მასში მოვათავსე,
არა, მართლაც არვის გვახსოვს
ჩვენ მაისი სავსე“.

აკაკი პაპავას პოეზიის მთავარი ტენდენციების ამომწურავ დახასიათებას ვპოულობთ ერთი საზღვარგარეთელი ქართველი კრიტიკოსის (პ. სარჯველაძე) შემდეგ სიტყვებში: „სამშობლოს გახსენება ყველა მისგან დაშორებულ ადამიანის უძლიერეს გრძნობათა ღელეაა, მისგან მოშორებული ის მას ნატრობს, — მის აზროვნებაში განუწყვეტელი მძაფრი გაელვარებით ცოცხლდება, — განვლილი, ნახული, გადატანილი, საკუთარ ქვეყნის ბუნება და მისი სილამაზე, წარსული და აწმყო... მით უმეტეს ღრმაა განცდა პოეტისა, — რაც გრძნეულ სიტყვებში აფერადდება და მხატვრულ აღტყინებაში იფეთქებს... და რა გასაკვირველია, აკ. პაპავას შთაგონების წყაროა, — მიტოვებული დედა-ქალაქი, სამშობლოს ტკივილები, მისი წარსული, აწმყო და მომავალი... მოგონებების რგოლში ხშირად სჩარბობს სევდა-კაეშანი, მაგრამ იგი, არაა პიროვნული, არამედ ერწყმის ერის იმ მოვლენებს, რომელთა შუაგულში ტრიალებს პოეტი...“ (აკაკი პაპავას ხსოვნას, „ცნობის ფურცელი“, 1965, № 2, პარიზი, გვ. 11).

აკაკი პაპავას სიცოცხლეში მისი უკანასკნელი ლექსთა კრებული „მოწამეთობა“ დაიბეჭდა 1962 წელს, ნიუ-იორკში.

მოკლე ბიბლიოგრაფიულ შენიშვნაში დასახელებული კრებულის გამო ვიქტორ ნოზაძე წერდა: „მთელი წიგნის ფურცლებზე იშლება და იღვრება გოდება... ეს არ არის გოდება იერემიასი... შემზარავი და შემაძრწუნებელი, ღვთის რისხვით გამოწვეული წარტყვევნა იერუსალიმისა — „მოწამეთობა“-ში არა სჩანს ხელი ღვთისა, მაგრამ ეს არის გოდება ქართველისა, რომელშიც მოისმის გლოვის ზარი (მეგრული სტილისა) მომტირალთა და მებრძოლთა, ლექსი მოთქმისა და ბრძოლისა, დამწვარ-დათუთქული გულის ამონახეთქია თითოეული სტრიქონი, ხანდახან გაურანდავიც — აქაა

მძიმე განცდა უცხოეთში მყოფ მგოსანისა — ფართო და ღრმა, შეიძლება ითქვას, უძირო, რასაც მთელი მისი არსება დაუპყრია. ეს განცდა, მეტად თუ ნაკლებად უცხოეთში მყოფ ქართველთათვის ნათესავურია, გასაგები და პოეტი აქ მათ ნაცვლად ღაღადებს..." (იხ. „კავკასიონი", 1964, № 9, გვ. 143—144).

აკაკი პაპავას ლექსების ბეჭდვა არც მისი სიკვდილის შემდეგ შეწყვეტილა. მაგალითად, ქეიბურის ფსევდონიმით სამი ლექსი ციკლიდან „მაისის ზარები" გამოქვეყნდა ჟ. კავკასიონში" 1964 წელს (IX, გვ. 78—79), ხოლო ლექსს „სიყრმის მინდვრებს" ეხვდებით „კავკასიონის" 1967 წლის XII ნომერში (გვ. 54).

პოეტი ოცნებობდა დაწერა ისეთი ლექსი, რომ:

„აეყვე სულ მაღლა მის ცისარტყელას,
არ ვიგრძნო დაღლა, ვუმღეროო ყველას.
მსურს — ზეცის კიბემ ლექსი აზიდოს
და საქართველოს მზეს გადაჰკიდოს...

დაუშვას ქვეყით, როგორც ჩანჩქერი,
აფრქვეოს მამულს ჩემი ნამღერი.
ახვიოს მტკვარსა იგი რითმები,
ვით ვაზის ჯვარსა წმინდანის თმები...

რომ შეკრთეს მტკვარი ხმით უცნაურით,
შესძრას მამული ახალ ხმაურით.
იქ მინდა ლექსი ვთქვა სასახელო,
ერქვას სახელად მას — „საქართველო"!"...

* * *

უყურადღებოდ ვერ დავტოვებთ აკაკი პაპავას რუსთველოლოგიური ხასიათის წერილებსაც, რომლებიც ერთგვარად ავსებს მის ლიტერატურულ-მეცნიერულ პროფილს.

ამ მხრივ აღსანიშნავია აკ. პაპავას წერილი „ვეფხისტყაოსანი და მისი ავტორი", რომელიც შოთა რუსთაველის დაბადების 800 წლისათვისადმი მიძღვნილ „კავკასიონის" საგანგებო ნომერში გამოქვეყნდა (XI, პარიზი, 1966, გვ. 129—134).

პოემის იშვიათი პოპულარობის დასტურად აკ. პაპავა იმოწმებს ე. წ. აღორძინების და მომდევნო ხანის მწერლების ცნობებს (ს. საბაშვილი, არჩილი, თეიმურაზ II...), აგრეთვე, რუსთველური შაირის შიმბაძველებსა და ჩამამატებელ-გამგრძელებლებს (ნანუჩა ციციშვილი, იოსებ თბილელი...), ამასთან გადამწერებს, რომელთა ცდამ „ესა თუ ის ადგილი პოემისა ვითომ რუსთველურად განე-

მარტა, განევრცო ან ჩაემატებინა, ან გაეგრძელებინა... 'პოემის ისტორიაში საბედისწერო როლი ითამაშეს და პოემის ნამდვილი ტექსტი ბევრგან დაამახინჯეს" — წერს ავტორი.

აკ. პაპავა დიდად აფასებს ვახტანგ VI-ის ღვაწლს, რითაც „რუსთველოლოგიას პირველი საფუძველი ჩაეყარა", გაკვრით ეხება ე.წ. ბრძოლას რუსთაველის გარშემო (ანტონ I, ტიმოთე გაბაშვილი) და დასკვნის: „მიუხედავად ვეფხისტყაოსნის არაჩვეულებრივი გავრცელებისა და საუკუნეთა მანძილზე მისი პოპულარობისა, ავტორის ვინაობა და მისი ცხოვრება გაურკვეველი იყო და ბევრი რამ ბურუსით იყო მოცული".

მიმოიხილავს რა საქართველოს სახელმწიფოს პოლიტიკურ, კულტურულ და ეკონომიურ აყვავებას მე-12 საუკუნეში „თამარ მეფის ბრძნულ და ყოველ მხრივ სახელოვან მფარველობის დროს", აკ. პაპავა იძიებს ქართული რენესანსის წარმოშობის მიზეზებსაც: „ამას განსაკუთრებით ხელს უწყობდა გეოგრაფიული და გეოპოლიტიკური მდებარეობა ევროპისა და აზიის კულტურათა მიჯნაზე. აქ ის იღებდა ნაკადებს მესულმანურ-აღმოსავლეთისა და ქრისტიანული დასავლეთისა. საქართველოს ნიადაგზე ხდებოდა შეჯვარედინება, სინთეზის გამოკლისება ორი მსოფლიოსი; ბოლოს ამან მოალბო და დაამშვიდა აღმოსავლური ფანატიზმი და ქრისტიანული ასკეტიზმი დასავლეთისა".

აკ. პაპავა განაგრძობს: „საქართველოს ლოიალურმა განწყობილებამ ნაირ ტომთა და კულტურათა მიმართ, ამ სინთეზმა აღმოსავლეთ-დასავლეთის შეჯვარედინებულ სულიერ კულტურათა, წარმოშვა აღორძინების ხანა თავისი პროგრესიული, ჰუმანისტური იდეებით, მაღალი მცნებებით სიყვარულისა, ძმობა-მეგობრობისა, საერთაშორისო იდეებისა და პიროვნების განთავისუფლებისა, რითაც ხასიათდება ჰუმანიზმის და რენესანსის პერიოდი".

შოთა რუსთაველის პიროვნებისა და ვინაობა-წარმომავლობის საკითხზე აკაკი პაპავა, თუ შეიძლება ასე ითქვას, პაველ ინგოროყვას კონცეფციის ორთოდოქსალური მიმდევარია. შოთა რუსთაველის საბიოგრაფიო წყაროების ინგოროყვასეული ინტერპრეტაციის დაწვრილებით გადმოცემის საფუძველზე აკ. პაპავა დასასკვნად: „ამნაირად, მრავალი რამ დიდი მგოსნის ბიოგრაფიიდან უკვე გარკვეულად ჩაითვლება; ყოველ შემთხვევაში, მთავარი მომენტები მისი ცხოვრებისა მკვლევარმა პ. ინგოროყვამ ბურუსიდან გამოიტანა" (გვ. 134).

აკაკი პაპავას ამ დასკვნამ ვიქტორ ნოზაძის მკაცრი კრიტიკა გამოიწვია: „მკვლევარმა პაველ ინგოროყვამ ჯერ ჟურნალში „მნათობი" და შემდეგ თავის თხზულებათა პირველ წიგნში გამოაქვეყნა „რუსთველიანას ეპილოგი" (ტომი პირველი, თბილისი, 1963 წ.),— მისი „რუსთველიანა"-ს დასასრული. აი, ამ საკითხზე არის ლაპარა-

კი განსვენებული აკაკი პაპავას წერილში, რომლითაც იგი მკვლევარ პაულე ინგოროყვას ნარკვევებს მოწონებით ადასტურებს. სამწუხაროდ, მის მსჯელობას და დაჯერებას ვერ გავიზიარებ. ...სრულიად მიუკიბ-მოუკიბავად და პირდაპირ უნდა აღვნიშნოთ, რომ მკვლევარი პაულე ინგოროყვას „რუსთველიანას ეპილოგი"-ც ჩემთვის არის მხოლოდ „ლამაზი ზღაპარი" და ეს თავისი სილამაზით პირველ ზღაპარს („რუსთველიანას") უთუოდ სჯობნის" (იხ. „კავკასიონი", XI, პარიზი, 1966, გვ. 147).

აქ მხედველობაშია მისაღები ის გარემოება, რომ ვიქტორ ნოზაძემ თავისი ეს პრინციპული და შეიძლება ზედმეტადაც მკაცრი კომენტარი გაუკეთა იმავე „კავკასიონში" კახაბერის ფსევდონიმით გამოქვეყნებულ აკაკი პაპავას ბიბლიოგრაფიულ წერილს „მადლიანი მჩხრეკელი", რომელშიც იგი განიხილავდა ვიქტორ ნოზაძის რუსთველოლოგიურ კვლევა-ძიებას, კერძოდ, მის „ვეფხისტყაოსნის ღმრთისმეტყველებას" და მაღალ შეფასებას აძლევდა ამ ჭეშმარიტად მონუმენტურ შრომას. თავის წერილს აკაკი პაპავა ამთავრებდა თბილისიდან 1962 წელს მიღებული უცნობი ავტორის ვ. ნოზაძისადმი მიძღვნილი ლექსით:

„რუსთველის სიტყვის იცი მიგნება,
ღრმად სწვდება აზრებს, შოთას დანათესს.
საქართველოში შენმა წიგნებმა
ვარსკვლავებივით შემოანათეს!"

ხაზი უნდა გაესვას იმ ფაქტსაც, რომ აკაკი პაპავას აღნიშნული რეცენზია ვ. ნოზაძის „ვეფხისტყაოსნის ღმრთისმეტყველებაზე" სიკვდილის წინა დღით დაუმთავრებია: „ეს ნარკვევი დაამთავრა აკაკიმ 27 ივნისს საღამოს ცხრა საათზე და 28 ივნისს კი საღამოს ცხრა საათზე დალია სული ღომასის ავტობუსში. რა ამოსწურავს ჩემს მწუხარებას" — სწერდა თამარ პაპავა ვიქტორ ნოზაძეს (იხ. „კავკასიონი", XI, გვ. 141).

როგორც ვხედავთ, ვერც ადამიანურად ამ გულისამაჩუყებელმა ფაქტმა, ვერც მისდამი მიძღვნილი აკაკი პაპავას რეცენზიის ხოტბა-დიდებამ, ვერც რეცენზიისათვის დართული თბილისელი ანონიმი ავტორის შესანიშნავმა ლექსმა ვერავითარი ზეგავლენა ვერ მოახდინა ვიქტორ ნოზაძის პრინციპულობაზე და ხელი ვერ შეუშალა მომაკვდინებელი განაჩენი გამოეტანა მისთვის მიუღებელი რუსთველოლოგიური კონცეფციისთვის.

* * *

საგანგებოდ არის აღსანიშნავი თამარ და აკაკი პაპავების ღვაწლი უცხოეთში ისტორიული ბედუკუღმართობის გამო მოხვედრილ

ძველი ქართული კულტურის ნაშთთა შეძენისა და დაცვის საქმეში. მათ შორის საყურადღებოა ბუენოს-აირესში 1963 წელს დაწერილი „ერთი ძველი „ფარდის“ ამბავი“, რომელიც 1964 წელს გამოქვეყნდა პარიზში, ყურნალ „კავკასიონის“ IX ნომერში (გვ. 74—75) და სადაც მეტად საინტერესოდ არის მოთხრობილი ჩვენი ეროვნული სიწმინდის — თბილისის სიონის ტრაპეზის ძველი ნაქარგი გადასაფარებლის გადარჩენა-შენახვის თაგგადასავალი:

„ამ 25 წლის წინ, ბერლინში ყოფნის დროს, ჩვენ ბედნიერი შემთხვევა მოგვეცა, სრულიად მოულოდნელად გეპოვნა და შეგვეძინა „ტფილისის სიონის“ ტრაპეზის ძველი ფარდა.

სიძველეთა დიდი უბადლო და დაუღალე მკვლევარის, აწ განსვენებული მეცნიერის, აკადემიკოს ექვთიმე თაყაიშვილის დამოწმებით ეს „ფარდა“ დიდად საყურადღებო განძად უნდა ჩაგვეთვალა და როგორმე სასწრაფოდ შეგვეძინა.

ბ-ნი ექვთიმე სხვათა შორის გვწერდა: „თქვენ მიერ ნაპოვნი სიონის ტრაპეზის ნაქარგი გადასაფარებელი ფრიად და ფრიად საყურადღებოა და მისი ხელიდან გაშვება შეუძლებელია“-ო.

ეს განძი, როგორც მოგახსენეთ, გახლავთ „ტფილისის სიონის“ ტრაპეზის „ფარდა“, დიდის ხელოვნებით შესრულებული 1773 წელს, ქსნის ერისთავის იესე უღლარაღასის მეუღლის, ქეთევანის მიერ, რომელიც იყო ასული მეფე თეიმურაზ მეორის დის, მაკრინესი და მამიდაშვილი ჩვენი სახელოვანი მეფის, ერეკლე მეორესი.

დღიდან მისი შეძენისა (1937 წ.), ამ იშვიათ განძს ჩვენ დიდის სიყვარულით და ზრუნვით ვეუვლიდით და ვინახავდით: და ბედნიერი ვართ, რომ დღემდე უნაკლოდ გვაქვს დაცული. ამ „ფარდის“ უვნებლად დაცვა განსაკუთრებით ძნელი შეიქნა ომიანობის აღრეულ წლებში. სიფრთხილის გამო 1939 წელს ის ჰამბურგის ცნობილ ბანკს მივაბარეთ სეიფში შესანახად. მაგრამ 1943 წელს, როცა ჰამბურგზე საჰაერო თავდასხმები მეტად გახშირდა, ის ბანკიც სანახევროდ დაინგრა და ცეცხლიც მოედო. ჩვენი ფარდის სეიფი სასწაულით გადარჩა და ბევრი ფიქრის და ყოყმანის შემდეგ ის ბანკიდან გამოვიტანეთ და იმ დღიდან ომის დამთავრებამდე მუდამ ჩვენთან ვინახავდით და მრავალი „ევაკუაცია“ ხან ტიურინგიაში, ხან ბავარიაში, ხან ავსტრიაში და სხვ. ამ „ფარდამაც“ ჩვენთან ერთად გადაიტანა.

იმ საშინელ და არეულ დროში ჩვენ ბევრი რამ დაგვეკარგა (სხვათა შორის, ყუთები იშვიათის წიგნებით და ზოგი ჩვენი ხელნაწერებით), მაგრამ ეს განძი, განუშორებლად რომ თან დაგვქონდა, გადაგვირჩა და ბედნიერი ვართ, რომ ის ჩვენს ქვეყანას შევუნახეთ...

ჩვენი იდუმალი ოცნება იყო — თუ ოდესმე ბედი გაგვიღიმებდა და განგება სამშობლოს ხილვას კვლავ გვაღირსებდა, — ეს განძი თბილისში თან ჩაგვეტანა და უკანვე დაგვებრუნებინა სიონისათ-

ვის, რომელსაც იგი ეკუთვნოდა და რომელს, ღმერთმა იცის, რა განგების ძალით, ვიღაცამ გამოაცალა...

ამის გამო, ჩვენ გვსურს ამ განძის შესახებ ყველას ვამცნოთ ეს ჩვენი წადილი, იმ იმედით, რომ, თუ ჩვენ ვერა, სხვებმა მაინც ეს განძი ჩვენის სახელით საქართველოში ჩაიტანონ და სამშობლოს არ დაუკარგონ...

გვინდა აღვნიშნოთ, რომ ეს განძი ჩვენ დამალულად არასდროს არ გვქონია და ჩვენმა და ჩვენი ოჯახის ძველმა მეგობრებმა მისი არსებობა და ბოლოდროინდელი „თავგადასავალი“ იცოდნენ: პროფესორმა ექვთიმე თაყაიშვილმა, პროფ. ზურაბ ავალიშვილმა, პროფ. მიხეილ წერეთელმა, ვლადიმერ ახმეტელმა, სამსონ ფირცხალავამ, პროფ. ძმებმა ნიკურაძეებმა, კიტა ჩხენკელმა, გრიგოლ რობაქიძემ, ვიქტორ ნოზაძემ და სხვებმაც, რომელთაც ეს ფარდა ჩვენსას მრავალჯერ ნახული ჰქონდათ და ზოგმა მათგანმა განსაკუთრებითი კმაყოფილება გამოსთქვა ჩვენი გარდაწყვეტილებისა გამო, რომ ეს განძი თბილისის სიონს დაბრუნებოდა.

* * *

ახლა ცოტა ამ „ფარდის“ შეძენის ამბავიდან.

1936 წელს ჩვენ ჰამბურგიდან ბერლინში — ლიხტერ ფელდში — ჩვენს სახლში გადავბარგდით და თან გადავიტანეთ ჩვენი საკმაოდ მდიდარი ბიბლიოთეკა.

ჩვენი სახლის კარები ყველა მეგობრისათვის ღია იყო და ხშირი სტუმრები არ დაგვკლებია, როგორც ქართველები, ისე უცხოელებიც: ამ უკანასკნელთა შორის იყო ერთი, დოკტორ ხოპპ, რომელსაც საქართველოზე ბევრი რამ წაეკითხა; ეს უცხოელი კულტერული კაცი იყო და ჩვენის წარსულით დიდად დაინტერესებული.

ერთ მშვენიერ დღეს, ამ დოკტორმა ხოპპმა აღელვებით გვაუწყა, რომ მისი პაციენტის ერთი მეზობელი, „კავკასიელი“ (სომეხი) გარდაიცვალა და რომ მისი „მეუღლე“, თუ დიასახლისი, გრმანელი ქალი, ზოგ დარჩენილ „კავკასიურ ნივთებს“ ჰყიდისო. ეს დოკტორი, რაკი მან იცოდა, რომ ჩვენ, რამდენადაც შეგვეძლო, იშვიათ და საინტერესო ქართულ ნივთებს თუ წიგნებს ხელიდან არ ვეშვებოდით, დაგვპირდა, რომ თუ იქ რამე საინტერესოს იპოვიდა, გვაცნობებდა.

მეორე, თუ მესამე დღეს დოკტორმა ხოპპმა გადმომცა, რომ ზოგი ნივთი უკვე გაყიდული ყოფილა, მაგრამ დარჩენილია ერთი იშვიათი „ფარდა“, საგანგებო ნახელავი და ოქრომკედით, მხატვრულად შესრულებული, პორტრეტებითა და წარწერებით, რომელიც, მისი აზრით, ქართული უნდა ყოფილიყო.

ჩვენ მას ვთხოვეთ, ეს ფარდა როგორმე ეჩვენებინა და თუ შეძლებდა, ფოტოგრაფიული სურათიც გადაეღო.

რამოდენიმე დღის შემდეგ მან დაგვირეკა, რომ ორიოდე საათით ინათხოვრა ეს ფარდა და შეგვიძლია მის ბინაზე ვნახოთ და სურათიც გადავიღოთ. ჩვენც დაუყოვნებლივ გავსწიეთ და ფოტოგრაფიც თან წავიყვანეთ.

სიხარულით აღტაცებული დრ. ხოპპ კარებში მოგვეგება, გეიჩევნა ნოხზე დაფენილი „ფარდა", რომელიც მართლაც იშვიათის ხელოვნებით იყო ამოქარგული შეინდისფერ ატლასზე: ის იყო საკმაოდ დიდი ზომის და კარგად შენახული.

რამდენადაც შევძელით, ზევითა და ქვევითა ნაწერები ამოვიკითხეთ. სურათები ფარდისა და წარწერისა ცალკეულად გადავაღებინეთ და ვთხოვეთ დრ. ხოპპს, გაეწია შეკაცობა და გაემართა მოლაპარაკება ამ ფარდის შეძენის შესახებ. წარწერის სურათი მიხ. წერეთელს ვაჩვენეთ და კიდეც ეროად წავიკითხეთ. ბოლოს გადაეწყვიტეთ სურათი და ცალკე გადაღებული წარწერა შესამოწმებლად სასწრაფოდ ექვთიმე თაყაიშვილისათვის პარიზში გადაგვეგზავნა. ასეც მოვიქეცით.

სამწუხაროდ, ბ. ექვთიმეს პასუხმა დაიგვიანა და ჩვენც შევშინდით — ნივთი არ დაგეკარგოდა და დრ. ხოპპის დახმარებით პატრონთან მოლაპარაკება გავმართეთ... ქალმა ვიღაც ექსპერტები მოიყვანა და მათი დასკვნის მიხედვით „ფარდას მეტად დიდი ფასი დაადო". აშკარა იყო, განსვენებულის მეუღლე, თუ დიასახლისი, ცდილობდა ეს იშვიათი შემთხვევა კარგად გამოეყენებინა. ეს ამბავი ხელახლა ვაცნობეთ ბ. ექვთიმეს; იმ ხანებში მისი პასუხიც მოვიდა. დაგვიანების მიზეზი თურმე ის იყო, რომ ბ. ექვთიმე პარიზში არ იმყოფებოდა და ახლახან დაბრუნებულიყო.

ბ. ექვთიმეს წერილი უკვე აშკარად გვეუბნებოდა, რომ საქმე შეეხებოდა უნიკუმს. იგი გვწერდა, რომ ფარდაზე შესრულებული ამგვარი რამ მას საქართველოში არ შეხვედროდა და რომ მისი ხელიდან გაშვება დანაშაულად ჩაითვლებოდა.

დრ. ხოპპმა მოლაპარაკება გააცხოველა და დიდის მოხერხებითაც ჩაატარა, რის შედეგადაც, შედარებით პირველთან, დაკლებულ ფასში, ფარდა ვითომ თავისათვის შეიძინა და შემდეგ ჩვენ გადმოგვცა. ჩვენი და ყველა ჩვენი მეგობარის სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა...

მას შემდეგ ჩვენ ეს ფარდა, როგორც ვთქვით, განუშორებლად თან დაგვქონდა და ბოლოს ის საგანგებო ჩარჩოში ჩავასმევინეთ, რათა მისი დაცვა-შენახვა უფრო მტკიცე ყოფილიყო და ბოლოს თავისი მოგზაურობაც არგენტინამდე კარგად გადაეტანა.

იმედი გვაქვს ერთხელაც ასევე კარგად გადაიტანს უკან მოგზაურობას და ამ შემთხვევაში პირდაპირ თბილისის მიმართულებით,

საიდანაც ის, როგორც შევიტყვეთ, თბილისის ერთ-ერთი ბანკის დირექტორს, არა ქართველს, წამოუღო...

ვინ იცის, იქნებ სხვა განძეულობაც, რაც იმ ქალს დარჩა, თბილისიდანვე იყო წამოღებული და ჩვენი ქვეყნის წარსულისათვის არა ნაკლებ მნიშვნელოვანიც იყო... ვინ არის გამკითხავი?

რაგვარად და სად მიგვეკვლია ამ ნაძარცვისათვის? თუმცა ბევრი ვეცადეთ, საქართველოს ყოფ. ელჩი, ბ. ვ. ახმეტელი და სხვა გაველენიანი პირებიც დავიხმარეთ, მაგრამ ვერას გავხდით, გაყიდულიდან ვერაფერი აღმოვაჩინეთ... დღეს ხომ ამის კვალიც წაშლილია და დაკარგულ; მაგრამ ჩვენ იმითაც ბედნიერი ვართ, რომ ეს განძი ათას ქარცეცხლს გადაუარჩინეთ და სამშობლოს შემოუვანახეთ".

პაპავების ნარკვევს ერთვის ექვთიმე თაყაიშვილის 1937 წლის წერილი აკაკი პაპავასადმი, რომელიც ამ ძეგლის თავისებურ გამოკვლევასაც წარმოადგენს:

„ძვირფასო აკაკი

1937.9.6.

სოშოს კოლონიამ მიმიწვია 26 მაისის დღესასწაულზე, რომელიც მათ 29 მაისს გადაიხადეს, უარი ვერ ვუთხარი და შევსძელი გამგზავრება, ხარჯი მათ გაიღეს. ათი დღე დავრჩი იქ; არ გამომიშვეს, ხან ლექცია, ხან საუბარი გავუმართე, მათის თხოვნით. დიდი პატივი მცეს; კარგი დარი დამესწრო და მგზავრობაც კარგად გადვიტანე. რომ დავბრუნდი თქვენი წერილი დამხვდა და მაშინვე შევუდექი თქვენ მიერ გამოგზავნილ სურათების და წარწერების გარჩევას. ეს ჩემთვის სასიამოვნო იყო, აი, მოკლედ ჩემი აზრი: თქვენ მიერ ნაპოვნი სიონის ტრაპეზის ნაქარგი გადასაფარებელი ფრიად და ფრიად საყურადღებოა და მისი ხელიდან გაშობა შეუძლებელია. სურათი, რომელიც მასზე ნაქარგით გამოყვანილია, წარმოადგენს ეგრეთ წოდებულს იესეს ნერგს (იესეეო დერეეო), რომლიდგანაც მომდინარეობენ ძველი აღთქმის შეფენი და წინასწარმეტყველნი და მათ შორის ღვთის მშობელიც. ჩვენი ბაგრატიონის ლეგენდა ხომ იესეს და დავით მეფეს უკავშირებს მათ შთამომავლობას, ამიტომ მათი ტიტული ასე იწყება: „იესენიან-დავითიან ბაგრატოვანმან" და სხვა. ეს სურათი ეკლესიათა ფრესკებზე ზოგჯერ გვხვდება, მაგალითად საფარის მონასტერში (იხ. ჩემი „არხ. პუტ."... I, გვ. 29—30). მაგრამ ნაქარგად მატერიაზე მე არსად არ შემხვედრია, თუმცა ბევრი ნაქარგები მინახავს და მათი სურათებიც ბევრი მაქვს, თქვენი გადასაფარებელი ამ მხრით პირველი მაგალითია. ამიტომაც ჩვენთვის ძვირფასია. თვით ქარგვის ხელობას ქალბატონი თამარი ჩემზე უკეთ დააფასებს, ყოველ შემთხვევაში ეს ერთი საუკეთესო იქნება მე-18 საუკუნისათვის. წარწერა ასე იკითხება:

„შენ ძირით იესესით აღყვავებულსა მაგას ქალწულსა დედასა

ძველისასა ტფილსს სიონთა ღ -ის მშობელსა გიძღენი მეცა ქერივითა მწყილილსა დედა. ქსნის ერისთვის დაითისა ქეთევან(სიკ) ფარდასა ამას საოხად სულისა მისისა და ძეთა მისთა აღსაზრდელად აგვ^სტოს ი ̆ დ წელსა 1773".

წარწერაში მოხსენებული ქეთევან (რესპ. ქეთევან) არის პირველი ცოლი ქსნის ერისთვის იესე ყულარ აღასისა (1745) და დედა ქსნის ერისთვის დავით მესამისა (1753—1756), ქართ. ცხ., გვ. 451, 471. ქეთევანი დატყვევებული იყო ერთხელ 1739 წელს (ქართლ. ცხ. 2. გვ. 92), როგორც ამ წარწერიდან ჩანს, ის ჯერ კიდევ ცოცხალი ყოფილა 1773 წელს. ფარდა მისი მოქარგულია და შეწირული სიონის ტაძრისათვის ტფილისში, ზემო და ქვემო წარწერა ერთი შინაარსის არის, მაგრამ ქვემო წარწერა ამოქარგულია სხვა პირის მიერ, ზემო წარწერა ქეთევანისა უფრო მარტივი და ლამაზია.

წარწერის სურათები საკმაოდ კარგად არის გადმოღებული, ხოლო გთხოვთ მთელი ფარდის სურათი უფრო დიდი კლიშეთი გადმოიღოთ და მომაწოდოთ. მე გავგზავნე „გეორგიკაში" დასაბეჭდად რამოდენიმე მოქარგული გადასაფარებლების სურათები და, თუ თქვენი ნებაც იქნება, ამასაც აქ მოვათავსებ.

რაც შეეხება რუსთაველის ხურციძე-ჩორჩანელობას — ეს საკითხი რთულია. თქვენ მიერ დასახელებული ავტორი ცდილა ყველა თქმულება, მასალები და მოსაზრებანი დაეახლოებია ერთმანეთისათვის და აგვ მთელი ბიოგრაფია სახელოვანი პოეტისა, მაგრამ ყველა ეს მოსაზრებათ რჩება და რეალური ნიადაგი არა აქვს. ყოველ შემთხვევაში მე მინდა გაეცნო მის ნაწერს და ამიტომ გთხოვ დამისახელოთ ნომერი გაზეთისა თუ გამოცემისა, რომელშიაც თქვენ ეს ამოიკითხეთ.

სალამი ყველა ჩვენებს და განსაკუთრებით ქალბატონ თამარს.

თქვენი ექ. თაყაიშვილი".

...აქვე მკითხველს უნდა მოვახსენოთ, რომ პაპაევების ოჯახმა აისრულა ოცნება — ამ უკანასკნელ ხანს რ. თაბუკაშვილის ხელით ეს ისტორიული რელიკვია მათ გადმოსცეს საქართველოს და დღეს ხელოვნების მუზეუმში აქვს ბინა დადებული. ასე დაუბრუნდა ეს მრავალტანჯი ისტორიული განძი ჩვენს სამშობლოს...

* * *

ბაკარ პაპავა მოულოდნელად გარდაიცვალა 1964 წლის 27 ივნისს, არგენტინაში, ლომას დე ზამორას ავტობუსში... ანდერძის თანახმად, გადმოასვენეს საფრანგეთში და დაკრძალეს პარიზთან ახლოს, ლევილში, ქართველთა სავანეში.

ამის შემდეგ ათ წელზე მეტ ხანს იცოცხლა ქ-ნმა თამარ პაპა-

ვაჟ, და აი, 1976 წლის 21 მარტს, შორეულ არგენტინაში მიიცვალა ჩვენი ქვეყნის კულტურისათვის დაუღალავი მუშაკი და ნიჭიერი მწერალი ქალი... ისიც ლევილში, მეუღლის გვერდით დაკრძალეს.

დაბადების დღეზე თამარ პაპავასადმი მიძღვნილ ლექსში „რა მიყვარს შენში?“ (იხ. „კავკასიონი“, XIX, პარიზი, 1978; შდრ. „ლიტ. საქართველო“, 20.I.89) აკაკი პაპავა ამბობს:

„რა მიყვარს შენში? — მარადი
გზნება,
რომ ამდენ წლებში იგი არ დნება,
გდევს სიყრმის აღქმით, კვლავ
გაგიჟება,
მამულის ცეცხლით აგიზგიზება,
რომ გწყურს ღრმად ჩასწვდე ქალის
რაობას,
მის რაინდობას... გამკითხაობას.
— რაგინდ, სად იყო უცხო ერებში,
სხვათა ფერებში, სხვათა ჟღერებში, —
შენ ეძებ ქართულს და მხოლოდ
ქართულს,
აცვამ მძივებად ჩვენს მდიდარ
წარსულს
— რომ ლტოლვილთ, დევნილთ გვერდში
უდგახარ,
მათი გამთბობი ქართული მზე ხარ,
მიგაქვს იმათთან შველა ათასი,
გაქვს სიყვარულის უშრობი თასი.
...და თუმც შორია თქვენში მანძილი,
გბურავდა ძველთა დედათ მანდილი.
დაგქონდა ყველგან ვარდ-მაისობა,
ქართველი ქალის დარბაისლობა,
შრომით და გარჯით არ იღლებოდი,
და მთხოვდი — ყველგან თანა
გხლებოდი...
კვლავ მწვავეს მაგ გრძნობით
წარმოდინება,
ბრძოლად ანთება და... მოთმინება.
რამდენი რამე გადაგვეღობა,
გაელიეთ ღამე... აღარ გვეყოფა?
მაინც წინ მივალთ ძველ
სიყვარულით,
არც დღეს ვიღლებით ძნელ
სიარულით.

ვინ სთქვა: „თავდება შემოდგომაო,
აწ უქმად ჰქრება თქვენი შრომაო?“...
ვიდრე შენს თვალში ეგ შუქი ელავს,
— „ზაფხულის“ კვალში ჯეჯილი
ღელავს.

მაშ იდექ სვეტად
ღვთის გულისათვის,
ბედს ვდიოთ ერთად
მ ა მ უ ლ ი ს ა თ ვ ი ს!

24—3—1963 წ.“

გურამ შარაძე

მარიამ

უკანასკნელი დედოფალი საქართველოსი

საქართველოს ისტორიამ ქართველ ქალს თავიდანვე დიდი და საპატიო მოვალეობა დააკისრა, რომელიც ჩვენი სახელმწიფოს მწუხრის ჟამსაც მან ღირსეულად შეასრულა.

ამ ჟამად ჩვენ გვინდა შევჩერდეთ საქართველოს, ანუ ქართლ-კახეთის უკანასკნელი დედოფლის მიერ გაწეულ ბრძოლათა ყველაზე უფრო მძიმე და დრამატულ ხანაზე; ამით გვსურს, რამდენიმედ მაინც გავიცნოთ, თუ როგორ გამოაჩინა თვისი სახე ქართველმა ქალმა ჩვენი ქვეყნის უდიდეს განსაცდელის ჟამს; მაშინ, როცა თორმეტი საუკუნის მანძილზე ღირსეულად ნატარები გვირგვინი ბაგრატიონთა ემხობოდა და უძველესი სახელმწიფო ვერაგულად იშლებოდა.

ჩვენ გვინდა მკითხველს ვუამბოთ, თუ როგორ შეხვდა ქართველი დედოფალი და ქალი მრავალგზით სახელმოხვეჭილ სამეფოს განადგურებას, ქართული კერის ნგრევას და ოჯახის რღვევას იმ «თავაზიან» სტუმრის მიერ, რომელიც ერისა და ქრისტიანობის დასაცავად ასეთის გულმხურვალებით იქნა მოპატიჟებული.

თვით იმ მცირე ისტორიულ მასალათა მიხედვით, რაიც ჩრდილოეთის დაუნდობელ სუსხს სრულიად შემთხვევით გა-

დარჩენია, შეგვიძლია ქართველი ერისათვის სასახელო და სამაგალითო დასკვნები გამოვიტანოთ.

•

ქართველ ქალთა ბრწყინვალე დასს, რომელიც მეცხრამეტე საუკუნის გარიჟრაჟზე ჩვენი ნაციონალური ღირსებისათვის თავდადებით იბრძვის, წინ მიუძღვიან დარეჯან, მეუღლე დიდი ერეკლესი და ასული კაცია დადიანისა და მარიამ, ასული გიორგი ციციშვილისა და მეუღლე უკანასკნელი მეფის, გიორგი მე-13-სა. აი, ამ ღირსეულ დედოფალთ ღენ. ციციანოვი, კაცი სახელოვანის ქართულის გვარით და გარუსებულის ბუნებით, თავზე გვირგვინს აგლეჯს და ვით უკანასკნელ დამნაშავეთ, შორეულ რუსეთში ასახლებს.

მაგრამ ეს დედოფლები თბილისიდან ანანურამდე, ანანურიდან მოზდოკამდე და იქედან კიდევ ბელგოროდის მონასტრამდე, ან პეტერბურგამდე მაინც გვირგვინოსანის ღირსებით, შეგუებებულ შურისძიების წადილით და ქედმოუხრელის ზვიადობით მიაბიჯებენ.

აი, ამის გამო ისინი დღესაც, ამდენ წელთა შემდგომ, საქართველოს ღირსეულ დედოფლებად რჩებიან და მათი აჩრდილები ბრწყინვალე ანდერძით გვევლინებიან.

ჰეშმარიტად, სულ სხვა და სხვა იერის და მოზომვისაა დედოფალთა ბრძოლა, მაგრამ შინაგან ისინი მარად უტეხი და კეთილშობილი რჩებიან: დარეჯან მუდამ ფრთხილის, დინჯის, შორიდან განჭვრეტის და დამიზნების მებრძოლად გვევლინება, ხოლო მარიამი კი პირდაპირ ეკვეთება მტერს და ხანჯალს შიგ გულში გაუტარებს.

მარიამი ელაპარაკება და სწერს მთავარმართებელ ციციანოვს გაბედვით, ამაყად და ზვიადად, ზრახვათა ნაკლებ დაფარვით... ახლად დაქვრივებულს, ჯერ კიდევ ყოველად შემძლე დედოფალს, თვის საბრძანებელში სხვა გვარად მოქცევა არ შეუძლია. რუსმა, ან გარუსებულმა ღენერლებმა მას სხვაგვარი ენა ჯერ კიდევ ვერ ასწავლეს. და ვერც შემდეგში, დედოფლის წამების გრძელ მანძილზე, მისი ქედმაღლობა ვერ მოდრიკეს.

ახალგაზრდა დედოფალმა დიახ კარგად იცის, რომ ხში-

რად მას მოთმინება და თავდაჭერა მართებს ძველებურის იმ ზვიადობით და დარბაისლობით, რაიც მას საკუთარ მაღალ ოჯახიდან და კიდევ მეტად, დიდი ერეკლეს სასახლიდან აეთვისებინა და გამოჰყოლოდა... მაგრამ რა ქმნას, რომ მის უშუალო და ალალ ბუნებას ამ მიხვეულ-მოხვეული გზით სვლა არ შეუძლია, რომ მისი კეთილშობილი ბუნება სამშობლოს დიდ დამცირებას და ბაგრატიონთა ღირსების შეგინებას ვეღარ იტანს... და ამაყი, უტეხი მარიამი უკანასკნელი დედოფალის სადარაჯოზე იფერფლება...

*

დედოფალ მარიამის ბედი და გზა თავიდანვე ტრაღიკული გამოდგა: საყვარელ სამშობლოს დაღუპვის ტკივილებს მალე მისი პირადი ცხოვრების წამება და მარტვილობა დაერთო.

მარიამმა რომელმაც ასე ხანგრძლივად ატარა საქართველოს დედოფლის სახელი (69 წლის მანძილზე), ნამდვილად მხოლოდ ორნახევარი წელი იდედოფლა. მას, ციცშვილის მშვენიერ ასულს, ჯერ კიდევ სრულიად ნორჩს, 14 წლისას ჯვარი დასწერეს საქართველოს ტახტის მემკვიდრე გიორგიზე. მაგრამ ამის შემდეგ 16 წელმა განვლო, ვიდრე დედოფლის გვირგვინის დადგმა ეღირსეს, რაიც მოკლე დროთიც აღარ დასცალდა; და მრისხანე ბედმა თითქმის ნახევარი საუკუნე ექსორიაში დააყოფინა მარტოობაში და დიდ გაჭირვებაში უსამართლოდ დასჯილ დედოფალს.

მაგრამ არც ის $2^1/_2$ წელი მისი დედოფლობისა ყოფილა ვარდებით მოფენილი. ჭეშმარიტად რთული და მძიმე დრო დადგა მაშინ საქართველოსა და დედოფალ მარიამისათვის. მაგრამ არა ნაკლებ მძიმე უნდა ყოფილიყო ამ გამოუცდელ რძლისათვის იმ ღირსეული ქალის და მომავალი დედოფლის შეცვლა, რომელიც მეფე ერეკლეს ქართულ სამეფო ოჯახის ბურჯად მიაჩნდა... ჩვენ მოგახსენებთ ბატონიშვილ გიორგის პირველ მეუღლეზე — ქეთევანზე, — რომელიც იყო ასული ჭიზიყის მოურავის, პაპუნა ანდრონიკაშვილისა.

მატიანეს ცნობით, ის ყოფილა ქალი ფრიად დარბაისელი, ჭკვიანი, მხნე და მამაცი, თავდადებული მეფისა და ქვეყნი-

სათვის. საკმარისია მხოლოდ ორი ეპიზოდის გახსენება ამ ღირსეულ ქალის ცხოვრებიდან, რომ ჰეშმარიტად ჩავსწვდეთ დიდი ერეკლეს მწარე ჩივილს და სიტყვებს, ამ ქალის უდროოდ დაკარგვის გამო მას რომ ამოხდენია: „აი, ეხლა კი დაიღუპა ჩემი ოჯახი“-ო...

ზევით დასახელებული ორი შემთხვევა, რომელიც გვაცნობს ქეთევანის სიბრძნე-მხნეობას, აღნიშნული აქვთ ისტორიკოსთ: დავით ბატონიშვილს და ალექსანდრე ორბელიანს, ბატონიშვილ თეკლას ვაჟს.

პირველ ეპიზოდზე, რომელშიაც მეფის რძლის გასაოცარი გამჭრიახობა და მამაცობა მოსჩანს, დავით ბატონიშვილი შემდეგს გვაუწყებს:

„ხოლო ჟამსა ამასვე ქართლთ მომავალს ქიზიყის მოურავის ასულს, მეფის რძალს, მეუღლე პირმშოსი მეფის ძის გიორგისა, დაუხვდნენ ლეკნი ღართის კარს ვიდრე ხუთასამდე და მეფის რძალს, ქეთევანს არა ჰყვანდა თანა უმეტეს სამასისა მხედრობანი, მორიგეთ წოდებული, რომელნიცა თანა გამყოლად ახლდნენ მას. და არცა ვინა ჰყვა თავის თანა მეცნიერი ბრძოლისა; მაშინ თვით იქმნა თავი მხედრობისა თვისისა და განამხნო ისინი; ეწყო და იძლიენენ ლეკნი და მოსწყვიტნეს მრავალნი. ჰსცნა რა მეფემან ირაკლიმ ესე ვითარი სიმხნე რძლისა თვისისა, მხიარულ იქმნა ფრიად და შეიყვანა ტფილისს დიდისა დიდებითა და ზარბაზანთა სროლითა. ხოლო ღამესა მას ყოველსა ქალაქსა იყო ჩირაღოვანი». (იხ. „ნარკვევი“, დავით ბატონიშვილისა).

მეორე მოწმობით, რომელსაც დაწვრილებით აგვიწერს ისტორიკოსი ალ. ორბელიანი, მტკიცდება, რომ ქეთევანმა უდიდესი სამსახური და ერთგულება გაუწია სამეფო სახლს და მით ერს დიდი ხიფათი აცდინა. მან დროზე აუწყა ერეკლე მეფეს იმ ვერაგული შეთქმულების ამბები, რასაც საქართველოს ტახტს უმზადებდენ ერეკლეთ უკმაყოფილო დიდი ფეოდალები და მათ შორის თვით ქეთევანის უსაყვარლესი ძმა, რევაზ ანდრონიკაშვილი. ქეთევანმა ამით ქვეყანა იხსნა და დიდებულ მეფისაგან „სამშობლოს და ტახტის უერთგულესის“ სახელწოდება მიიღო. (იხ. ალ. ორბელიანის — „მეფე ერეკლეს დროის ცო-ცოტა ამბები». რედაქ. ს. კაკაბაძისა).

აი, ასეთი შესანიშნავი რძალის ადგილი უნდა დაეჭირა გიორგი ციციშვილის 14 წლის ასულს, მარიამს. მისი ნორჩი მხრებისათვის ერეკლეს რძალის ეს უმძიმესი და საპატიო მოვალეობა მართლაც სამ გზით ძნელი უნდა ყოფილიყო, რასაც დიდი გამოცდილება და შემზადება სჭირდებოდა; მაგრამ ქართული სამეფო სახლი ხომ თავიდანვე უმაღლესი და უკეთილშობილესი სკოლაც ყოფილა ასეთ გამოუცდელ ასულთათვის: ამ დიდ ოჯახში და სკოლაში მათ სასძლოთ ამზადებდენ. გავიხსენოთ ალექსანდრე ბატონიშვილის მეუღლეთ განზრახულ, ყაბარდოს თავადის ასულის მოყვანა დიდი ერეკლეს ოჯახში, სადაც ეს მშვენიერი ქალწული იწვრთნებოდა და ითვისებდა ქართულ სასახლის მაღალ ეტიკეტს, ტრადიციებს და წესებს. მას აქვე უნერგავდენ ქართული წიგნის და კულტურის სიყვარულს და პატივისცემას.

ერეკლეს დიდი ოჯახი ამ მხრივაც შესანიშნავი იყო; აქ გამოცდილი გამდელნი და მასწავლებელნი მოღვაწეობდენ და მომავალ რძლებს და დედოფლებს წვრთნიდენ. რა თქმა უნდა, ახალგაზრდა მარიამს აქ სამეფოს წყალობას და მაღალ აღზრდას არ მოაკლებდენ.

*

საქართველოს და მისი სამეფოს მაშინდელი ვითარება მეტად რთულ და სახიფათო პირობებში იწყებდა სრბოლვას.

ჩრდილოეთიდან მოწოლილი ახალი, დიდი ტალღა განსაკუთრებულის სიძლიერით ეხეთქებოდა ტრადიციულ გზებს ძველ გურჯისტანისას, რომელიც აღმოსავლეთის ბრძოლებში და პოლიტიკა-დიპლომატიკაში დიდის ხნიდან იყო გაწვრთნილი. ინტერესთა და ორიენტაციათა უჩინარ ქსელთა ჩუმი ბოჭვა ნელ-ნელა საამკარაოზე გამოდიოდა: იწყებოდა დიდი შეთქმულება საქართველოს მაღლობების დასაპატრონებლად და ამით მსოფლიო შარა-გზაზე გამოსასვლელად. ამ ჩუმი მუშაობის ქსელები ერეკლეს სასახლესაც აღწევდენ.

ბატონიშვილი გიორგიც ძნელად თუ ერკვეოდა სამეფო სახლის ირგვლივ ატეხილ ამ ინტრიგებში, რასაც იმხელად რუსული, სპარსული, ან ოსმალური განხრები და ინტერესები მართავდენ. ამკარაა, 14 წლის ჰაეროვან მარიამისათვის

ადვილი არ იქნებოდა ამგვარ რთულ ყოფაში მომწყვდეულ ბატონიშვილ გიორგისათვის უღლის გაწევა.

თუ ამას დავუმატებთ მძიმე ტვირთსაც ოჯახურ მოვალეობის და დედობის გაწევისას, ქეთევანის შემდეგ დაშთენილ 9 შვილთათვის, მარიამის უმწეო ყოფა ჩვენთვის აშკარა გახდება.

ბატონიშვილ გიორგის ქეთევანისაგან, როგორც ვიცით, ჰყავდენ ვაჟნი: დავითი, იოანე, ბაგრატ და თეიმურაზ, და ქალნი: ბარბარე, სოფიო, ნინო, რიფსიმე და გაიანე, — ოჯახი მრავალ რიცხოვანი და ღირსეული, რაიც ასე სჩვეოდა ბაგრატიონთ.

და ამათი გაძღოლა მცირეწლოვან მარიამისათვის თუმცა საპატიო, მაგრამ ფრიად სამძიმო საქმე უნდა ყოფილიყო.

•

გავიხსენოთ ჯერ მარიამის რძლად მოყვანის ამბავი.

პლ. იოსებიანი ბატონიშვილ გიორგის დაქორწინების ამბებს ასე აგვიწერს:

«1782 წელსა მეფის ძემან შეირთო ცოლად ციციშვილის გიორგის ასული, 14 წლისა მარიამ, მშვენიერებითა ქალთა შორის ბრწყინვალე».

ეს მოხდა ქეთევანის უდროოდ დაკარგვის შემდეგ (ის თეიმურაზზე ძიობას გადაჰყვა) სულ მოკლე დროში, 40 დღის შემდგომ.

ქალის შვენებით ასე უეცრად მოხიბლულ გიორგის ზრახავდენ ახლობელნი და შორეულნი, რომ ღირსეულად ვერ გამოიგლოვა პირველი მეუღლე, დედა ცხრა შვილთა, ნათელი კვალი რომ დაეტოვებინა ერეკლეს სახლში.

ისტორიკოსი ალ. ორბელიანი ამ ქორწინების დაჩქარებას ცოტა სხვანაირად ხსნის: როგორც ვიცით, ერეკლეს საწინააღმდეგოდ რამდენიმე შეთქმულებას ჰქონდა ადგილი და ამ შეთქმულებათა ერთ-ერთი თვალსაჩინო წევრი მუდამ გიორგი ციციშვილი იყო, მარიამის მამა, გიორგი-ხათად წოდებული. მეფე ერეკლემ ის ერთხელ ღალატისათვის ყურების დაცვეთითაც კი დასაჯა... ყველა ამის შემდეგ ხათა-გიორგი რა თქმა უნდა, უფრო დიდი მტერი გახდებოდა ერეკლესი და ინ-

დომებდა მის ოჯახში შეჭრას და სიძის — გიორგის — დაჩქარებით გამეფებას.

ასევე მტერი იყო სამეფო სახლისა, როგორც ვიცით, ქიზიყის მოურავი რევაზ ანდრონიკაშვილი (ძმა ქეთევანისა), რომლის შეთქმულება, გიორგის პირველმა ცოლმა — ქეთევანმა — მეფეს გაუმჟღავნა და იმ ხანად სახელმწიფო დიდს ხიფათს გადაარჩინა.

აი, ამიტომ ჩაერივნენ საქმეში შეთქმულნი: რევაზ ანდრონიკაშვილი, გიორგი ციციშვილი და «შერთეს სასწრაფოდ მემკვიდრე გიორგის მარიამი, რათა ამით წინააღმდეგობანი სასახლეში განეძლიერებინათ»-ო. (1).

ეტყობა, ბატონიშვილი გიორგი, «მშვენიერებით ბრწყინვალე» ასულისადმი სიყვარულმა იმდენად გაიტაცა, რომ მან სასახლის წესი დაივიწყა, საყვარელ ქეთევანის ხსოვნასაც უღალატა და მისი გარდაცვალებიდან 40 დღის თავზე მარიამზე ჯვარი დაიწერა...

პლატონ იოსელიანი ასე განაგრძობს თავის თხრობას:

«ჯვარის წერა იყო შემდგომად 40 დღისა და ამისათვის დიდიდ ზრახაედენ მეფის ძესა ესრეთისა დაშურებისა და აჩქარებისათვის. ყოველგნით ჰგმობდენ უგრძნობლობისათვის, რომელ დაკარგა ცოლი პირველი მხნე, გონიერი და დამტოვებელი ძეთა და ასულთა და არა იგლოვა საკმაოდ". (2).

მაგრამ განვლეს ახალგაზრდა მარიამისათვის ამ მძიმე თვეებმა და ისიც ნელ-ნელა შეეჩვია მეფის ზვიადთა წრეს, ეზიარა ერეკლეს სახლის მადლსა და მის კალთას თავი შეაფარა...

მემკვიდრის ასე ჩქარა დაქორწინებით გამოწვეული უკმაყოფილების ყინული პირველად თვითონ დიდმა ერეკლემ გასტეხა:

«დღესა მესამესა, — გვაუწყებს იგივე ისტორიკოსი პ. იოსელიანი, — შემდგომად შერთვისა მეფისა ძისაგან მარიამ გიორგი ციციშვილის ქალისა, წარვიდა მეფე ირაკლი და ნახა რძალი თვისი სავსე მშვენიერებითა... მეფემან მიართვა პირის სანახავად ხატი ღვთის მშობლისა, ამბარჯა ძვირფასი, თვლებითა, მარგალიტითა და იაგუნდებით მორთული, რომელიცა ფასობდა, იტყვიან ას თუმანთა, ჭარხანა ზეთის სახდელი მტკვრის ხიდის გალმა»... ასეთივე სიყვარულით დაუსაჩუქრე-

ბია მშვენიერი რძალი თვით დედოფალ დარეჯანსაც: „მეფისა მუნ ყოფნისას, — განაგრძობს იგივე ავტორი, — მობრძანდა დედინაცვალი და დედოფალი დარეჯან, და ამანცა პირის სანახავად უბოძა რძალსა თვისსა ძეწკვი ოქროსი და გულსაკიდი ამბარჯა, საკაბე მძიმისა ფარჩისა, შალი ინდოეთისა, კრიალოსანი 70 მარგალიტისა ასხმული და 30 იაგუნდისა თვალით“ (3).

ახალგაზრდა რძალს მეფისას, რომელსაც მეფური ქორწინება და მომავალ დედოფლის შესაფერი ზეიმი მოაკლდა, თითქოს სანაცვლოდ რიგ-რიგობით ეახლენ წარჩინებულნი და მოლოცვები და საჩუქრები მიართვეს....

როგორც აღვნიშნეთ, მემკვიდრის ქორწინების სისადავეს თავისი მიზეზი ჰქონდა: ქეთევანზე ჯერ კიდევ ჩუმი გლოვის გამო, ახალი რძლის მოყვანა უნდა შინაურულად ჩაეტარებინათ:

„არა გამოჩენილი ქორწილი მეფის ძისა მოითხოვდა, რათა არა გამოჩენილადცა ყოფილიყო მიღება სასახლესა შინა ახალისა რძალისა; ამისთვის თავისუფლად მოვიდოდენ და წარსდგებოდენ სასახლისა კაცნი, თავადნი და აზნაურნი და თვით კათალიკოსი და სამღვდელონი ტფილისელნი. დროთა ამით თბილელი ათანასი მოვიდა და მიართვა ყოობათსა თვისსა დედოფალსა ხატი ღვთის მშობლისა ვერცხლით მოქსოვილი, დაუჯდომელი, დაბეჭდილი ქაიხოსრო მეფისა დროსა, 1709 წ. თბილისს; დალოცა და აკურთხა იგი პარაკლისის› გარდახდითა მუნვე სახლსა» (იქვე).

სამეფო კარისა და თვით დედოფლის მაღალ კულტუროსნობას სხვათა შორის, მოწმობენ ის იშვიათი წიგნები, რომლებიც საჩუქრად მიუძღვნიათ მარიამისათვის. ეს წიგნები ხომ მუდმივი თანამგზავრნი გამხდარან დედოფლისა... ერთ-ერთ ამ იშვიათ წიგნთაგანი («დაუჯდომელი») დედოფალს თავის გადასახლების რამოდენიმე ათეულ წელთა შემდეგ (1835 წ.), მოსკოვში პლ. იოსელიანისათვის უჩვენებია.

დედოფლის იშვიათ სიყვარულს ქართული წიგნებისა და საერთოდ მწერლობისადმი, — რის შესახებ ქვევით გვექნება ლაპარაკი, — ეს სინამდვილეც მჭერმეტყველურად ადასტუ-

რებს. პლ. იოსელიანის შრომაშიეე, ცოტა ქვეით ვკითხულობთ:

«ისაკ კანდელაკმა სიონისა, კაცმა მრავალთა საეკლესიოთა წიგნთა და გულანთა აღმწერელმან, მიართვა თავისაგან დაწერილი მშვენიერად ხუცურად დაუჯდომელი, და პარაკლისი ღვთისა დედისა... მხატვრობები მუნ მშვენიერად ნახატი ოქროსა და ვერცხლის ვარაყითა განაბრწყინებდენ თვით წიენსა სალოცავად მეფის რძლისათვის მომზადებულსა!» (4)

სანაცვლოდ, თვით დედოფალსაც შესაფერისი შეწირულობანი მიუძღვნია ეკლესიისათვის:

„მაშინ შესწირა თვით დედოფალმან სიონისა ეკლესიასა ბარძიმ-ფეშხუმი, რომელსაცა აქვნდა შთასმული სამი დიდი ალმასი გარემო გამოკვეთილისა მაცხოვრისა ხატისა».

ეს ხატი, როგორც პლ. იოსელიანი გვიმოწმებს, დაკარგულა თბილისის დარბევის დროს, აღა მაჰმად ხანის შემოჭრისას, 12 ენკენისთვეს 1795 წ.

როგორც აღვნიშნეთ, ქორწინების დაჩქარებით გამოწვეული პირველი ხანის უხერხულობა, ერეკლე-დარეჯანის მეფურ მფარველობის ქვეშ, მალე დავიწყებულ იქმნა და მარიამს მეფის რძლის შესაფერისი პატივი არ მოჰკლებია...

შეიძლება ითქვას, რომ ეს იყო უფრო მეტის შვენებით და ლაღობით სავსე წლები მარიამისა, ვიდრე მისი დედოფლობის მოკლე და მშფუნვარე დრო... ეს ის წლებია ერეკლეს რძალს ყველანი თავს რომ ეკლებოდენ; ამ დროს მას მუდამ გარს ერტყა მშვენიერ ასულთა გუნდი. გავიხსენოთ ერთი მიპატიჟება, რომელიც მარიამის პატივსაცემად გამართა ერეკლეს ქალმა, ნიჭიერმა პოეტმა ქეთევანმა; როგორც ვიცით, ეს ქეთევანი იყო მეუღლე ზვიად და მამაც მუხრან ბატონისა.

«მეფის ასულმან ქეთევანმა მიიპატიჟა მუხრანსა რძალი თვისი მარიამ. მიღებული დიდისა პატივითა და ოქვსმეტითა ქალითა დიდთა გვართაგან, დახვედროდა, ვითარცა მათ, აგრეთვე მეფის ძესა გიორგის»... (იქვე).

ამ ამბის მოწმეობრობს, ნინო გურამიშვილისას, რომელიც თვით დასწრებია ამ დიდ ზეიმს, უამბნია პლ. იოსელიანისათვის ეს და თან დაუსახელებია «შვიდნი ქალნი საჩენად მორ-

თულნი, მშვენიერებითა მბრწყინავნი, ტკბილად მოუბარნი, საოცრად მროკველნი. ესენი იყვნენო: პაატა ციციშვილის ქალი სოფიო, თუმანიშვილის ცოლი ქეთევან, დიდათ კეკლუცი, მაყაშვილის ქალი ნინო... თინათინ, ქალი ამილახვრისა ამირინდოსი გასათხოვარი და დედა მისი თამარ მშვენიერ და მეფეთა ალერსი, ელენე დაი მისივე თინათინისა, ცოლი დავით აბაშიძისა, ბარბარე ყაფლანიშვილი, ელისაბედ, ბარათაშვილის ცოლი, სიტყვა მარჯვე, მოხუმარი და ზმათა მთქმელი შესაქცევად მრავალთა". (5).

ჰეშმარიტად, შვენიერება რამ სანახავი იქმნებოდა ეს ქალთა გუნდი, რომელიც ხომლად გარს ეხვია, ეკეკლუცებოდა და ართობდა, მათში ყველაზე უფრო შვენიერს — მარიამს; აკი გვიმოწმებს ისტორიკოსი, რომ ის თვით იყო «მშვენიერებითა ქალთა შორის ბრწყინვალე»-ო. მომავალ დედოფალს ეს ქალები ართობდენ ლხინით, ცეკვა-თამაშით, სიმღერით, ლექსებით და შაირებით.

ეტყობა, მეფის რძალი აქ დიდად ბედნიერადა გრძნობდა თავს, რის გამო თვისი სტუმრობა მას გაუხანგრძლივებია:

«ათი დღე დაჰყვეს მუნ, — გვიამბობს იგივე ისტორიკოსი, — კარებითა იყო სავსე მუხრანისა გარემონი, 300 კაცი შეჰურვილი ახლდენ სტუმართა. წვეულება ესე იყო 8 რიცხვსა თთვესა ამას ენკენისთვესა, რომელსაცა არის დღესასწაული წილკნისა ტაძრისა, აღშენებულისა ღვთისმშობლისა შობისა სახელზედ: დაჰპატიჟა თვით წილკნელმა, ჰქმნა სახელოვანი სტუმრობა და მუნითგან კურთხევითა მღვდელ-მთავრისა ამბროსისა, წარვიდენ მცხეთისა გზით ქვემო ავჭალას და მივიდენ მეფის ძე გიორგი და მეუღლე მისი მარიამ, ქალნი და კაცნი-მხლებელნი მათი და ისადგურეს მუნ 4 დღე და აქა მასპინძლობდა მათ ზაალ გურამიშვილი"...

სჩანს, მომავალ დედოფლისათვის დიდი ჭორწინების სამაგიეროდ, ასეთი შესანიშნავი წვეულება-ნადიმები გაუმართავთ სხვა და სხვა ადგილას მარიამის და გიორგის საყვარელ პირთა და მხლებელთა თანდასწრებით... ვინ იცის, რამდენჯერ ტკბილად მოიგონებდა ამ საინტერესო დღეებს, ქართულ მდიდარ სუფრის მადლს, ჰაეროვან როკვას მშვენიერ ასულთა, მის და გიორგი ბატონიშვილისადმი მიძღვნილს «ღმერ-

თო, გვიცოცხლე მეფე-დედოფალის» გუგუნს, ბელგოროდის მონასტერში პყრობილი, განგვირგვინებული, საბრძოლოს, ტახტის და მეფის დამკარგავი მარიამ დედოფალი...

ა

მეფის რძალის, მშვენიერ მარიამის ლაღობის და ზეიმების დღეებიც მალე გავიდენ; საქართველოს მზე, დიდი ერეკლე ჩაესვენა (+ 11 იანვარს 1798 წ.) და გიორგის გამეფების შემდეგ მარიამის მძიმე და რთული მოვალეობანი კიდევ უფრო გართულდენ. მაგრამ არც ეს «გადედოფლება» ჩატარებულა შვენიერ მარიამისათვის ადვილად და უმტკივნეულოდ; მას აქაც «გართულებანი» და უსიამოვნებანი დაუხვდენ წინ, ისე როგორც გათხოვების ჟამს.

ეხლა თუმცა ერეკლე აღარ იყო, მაგრამ ძლიერი და ზეიადი დარეჯან დედოფალი ძველებურად დედოფლად რჩებოდა, ისევ მსნეობდა და მბრძანებლობდა და მას მრავალი მომხრენიც ჰყავდენ სასახლეშიც და გარეთაც. დარეჯანს იმდენი პატივი ჰქონდა მოპოებული და ბოლო ხანებში იმდენად იყო სამეფო საქმეებთან დაახლოებული, რომ ეხლა მისი «გარედ» დატოვება აღარაიის შეეძლო. ამ გარეშოებას ეხლა უკვე საკმაო ტრადიცია ჰქონდა: როგორც ვიცით, ერეკლეს დაუძლურების დღიდან მეფის კარზე თითქმის ყველაფერს დედოფალი დარეჯანი განაგებდა (6); მას ხელთ ეპყრა დიპლომატიური თუ პოლიტიკური ყველა ქსელები; ჰქონდა ურთიერთობა მეზობელ სახანოებთან, სახელმწიფოებთან, რუსეთის კართან და მინისტრებთან.

დარეჯანი ხომ ისეთი მმართველი არ იყო, სახელმწიფოს მომავლისათვის მტკიცე გეგმა წინასწარ გამომუშავებული არ ჰქონოდა. და თავის დროზე დედოფალი იმდენად უფრო ფხიზლობდა და დაფარულ ენერგიას იასკეცებდა, რამდენადაც მისი საყვარელი მეუღლე და ბატონი მეფე უძლურდებოდა და წლებს, და ახალ მძიმე ამბებს ქედს უხრიდა. 1783 წლის ტრაქტატის შემდგომ წლებში, მეფის მტკიცე ხერხემალი რუსეთზე ხშირად გაცრუებულმა იმედებმა მოხარეს... საუბედუროდ, დედოფალ დარეჯანს თვისი ეჭვები მოჰარბებით გაუმართლდა. ის ხომ თავიდანვე აყვედრებდა ერეკლეს რუ-

სეთთან 1783 წლის ტრაქტატის დადებას, რამაც დიდებულ მეფეს ყველა ანგარიშები წაუხდინა. (7).

ეხლა გიორგი მამის გზას აგრძელებდა, მაგრამ დედოფალი დარეჯანი ხედავდა, რომ რუსეთის კარზე სავსებით მინდობილ — სუსტ გიორგის, ერის და სახელმწიფოს გადარჩენა არ შეეძლო. რაც უფრო დრო გადიოდა, ტახტის მემკვიდრე და შემდეგ მეფე გიორგი უფრო და უფრო ებმებოდა იმ ბადეში, რომელსაც პეტერბურგიდან ჩამოსული ემისრები ბაგრატიონებს უგებდენ. და თავის დროზე განა ცოტა სცადა პეტერბურგმა ამ მახეში როგორმე თვითონ ერეკლეც გაებას? მრავალი ცდებისაგან მოვიგონოთ რუსთა ღალატის ზოგიერთი ამაღელვებელი ეპიზოდები: მაგ. ტოტლებენის მიერ ასპინძის ომის წინ მეფის ღალატით მიტოვება, ემისარ ბაკუნინის შეთანხმება შეთქმულ ზაალ ორბელიანთან მეფე ერეკლეს ტახტიდან ჩამოსაგდებად, ქუჩუკ-ქაინაჯიის ზავი 1744 წლისა, როცა აღთქმული სამცხე-საათაბაგოს დაბრუნების ნაცვლად, რუსეთმა დასავლეთი საქართველო მთლად დაუთმო ოსმალეთს და სხვა... გავიხსენოთ ამასთან ერთად მრავალი წერილები და ვედრების ნოტები, რათა 1783 წლის ხელშეკრულებით აღთქმული «ბათალიონები» და ზარბაზნები ბოლოს მაინც მოეწოდებინა რუსეთს, მფარველობის ქვეშ აყვანილ საქართველოსათვის.

მოვიგონოთ ამაღელვებელი ვედრება დედოფალ დარეჯანისა რუსეთის კარის წინაშე, როცა მოხუცი მეფე პასუხის ლოდინმა დაღალა... და ბოლოს, სწორედ სამდისწერო 1795 წლის წინ, დედოფლის მიერ გაფრთხილება, რომ თუ მალე დაპირებული ჯარი არ მოვიდოდა, აღა მაჰმად ხანი საქართველოს უეჭველად მოსრავდა...(8).

ყველა ეს კარგად ახსოვდა დედოფალ დარეჯანს, ახსოვდა, რომ მისი გაფრთხილება — ვედრების ნოტებზე რუსეთს პასუხიც კი არ გაუცია.

და ამას შემდეგ განა კიდევ შეიძლებოდა ამ ძალის ასე უანგაროდ დანდობა? შეიძლებოდა საქართველოს ბედის სამუდამოდ მასთან გადაბმა და ამით მეზობელთა საბოლოოდ გადაკიდება? განა ამ «მინდობას» არ მოჰყვა ის საშინელი 1795 წელი საქართველოს და თბილისის სრულ აოხრებისა, —

და ამის შემდეგ კიდევ დაუძლურებულ ქვეყნის განუწყვეტელი რბევა შემორჩენილ ლეკთაგან? რომელი ერთი უნდა მოეთვალა დარეჯანს?

დედოფალი დარეჯანი ჯერ კიდევ ტრაქტატის დადებისას, 1783 წელს, გრძნობდა, რომ კასპიის ზღვიდან მოწოლილ რუსეთის ძალას საქართველო დასაყრდენ ბაზად ეჭირვებოდა; რომ რუსეთს «ქრისტიანობის დაცვა» საქართველოში განმტკიცებისათვის ჰქონდა მოტანილი, რათა აქედან სპარსეთის გზით მდიდარ ინდოეთში შეჭრილიყო და ამ სავაჭრო გზას მტკიცედ დაპატრონებოდა... ეს იყო ოცნება, რომელსაც დიდი ხანია უკვე ელოლიავებოდა ჯერ კიდევ პოტიომკინის დროს რუსეთის კარი (9), და თუ რუსეთი ამას რამე სხვა საშუალებით მიაღწევდა, მაშინ ის საქართველოს და ქრისტიანობას ისე ადვილად მისცემდა სპარსთ, როგორც მან ის გუშინ ოსმალთ მისცა (კუჩუკ-ქაინაჯიის ზავით). ეს იცოდენ დედოფალ დარეჯანთან ერთად მისმა მომხრეებმა, სარდლებმა და ბატონიშვილებმა და ყველაზე უწინ კი — ბრძენმა კანცლერმა სოლომონ ლეონიძემ.

ესენი სუსტ მეფეს, — რომელიც ასე დიდად იყო გატაცებული სარწმუნოებრივი კითხვებით და მართლმადიდებელ რუსეთს ყველაფერში ნათლად ენდობოდა, — საქართველოს ბედს ხელში ვერ ჩაუგდებდენ... მათ სწამდათ, რომ ეს იქნებოდა მეფობის გაჭრობა, ბაგრატიონთა აღსასრული.

და აი, აქ იყო დიდად საჭირო სიფხიზლე და ძველებური მოქნილი პოლიტიკა; მაგრამ ამის უნარი ქრისტეს მოყვარეობით გატაცებულ მეფეს არ ჰქონდა და ამ მხრივ ხომ უფრო ნაკლებ თაოსნობის გამოჩენა შეეძლო მის მეუღლეს, მარიამს; ეს ქალი პირდაპირის გზით მოარული, მტრისა და მოყვარის შეუპოვრად დამხვდური, შორს იყო დარეჯან დედოფლის მოქნილ და ბრძნულ პოლიტიკისაგან; მას გულწრფელის გატაცებით უყვარდა სამშობლო, მეფე, ბატონიშვილები, თვისი შვილები და ოჯახი, და ამათ დღეგრძელობისათვის მხურვალედ ევედრებოდა უფალს.

*

დავუბრუნდეთ ისევ იმ ამბებს და საბედისწერო დროს, ერეკლეს გარდაცვალებას რომ მოჰყვნენ.

დარეჯან დედოფალი იმ ხანად გიორგის და საერთოდ რუსეთის მომხრეების პირდაპირ დატაკებას მოერიდა და ერეკლეს ანდერძს და მის ავტორიტეტს ამოეფარა; ამას უნდა შეესუსტებინა ძლიერად მოწოლილი რუსეთის ნაკადი, საქართველოს წალეკას რომ უქადდა...

და ამ დროს ანდერძის იურიდიულ უფლებაზე დაყრდნობით, დარეჯან დედოფალი და მისი მომხრენი შეეცადენ, ერთბაშად და მარტივად გადაეწყვიტათ დავა გიორგის განრიყვის შესახებ. (10). ამისთვის კი საჭირო იყო დროის მოგება; ალბათ ამ მოსაზრებით მიაწერინეს მგლოვიარე დედოფალს იოანე მუხრან-ბატონისათვის, რომ გიორგის ავათმყოფობის გამო, სჯობდა სიფრთხილე და მისი იქვე (ე. ი. ბორჩალო-ყაზახში) დარჩენა, საცა გიორგი იმყოფებოდა... აი, ეს წერილი დარეჯანისა:

«1798, თებერვლის 6.

იოანე!

ქ. მუხრანის ბატონო სახლთუხუცესო, ჩემის შვილის გიორგის შეუძლებლობა მესმის, დიახ, ვწუხვარ. მუხლებში წითელის ქარი გამოსჩენია, ასე გავიგონე. ფარეზი შეინახოს, ღვინოსა და მლაშეს ერიდოს, როდესაც უკეთ შეიქმნას და წამოსვლა მოინდომოს, ცხენზედ ნუ შეჯდება, აწყენს ცხენზედ ჯდომა, ტახტრევანით წამოვიდეს. თუნდა უკეთაც იყოს, წითელი ქარი მალე შეაქცევს. უტახტრევანოდ ნუ წამოვა. ვაი, ჩემს სიცოცხლესა და სულის დგმასა, რომ მე კიდევ სიცოცხლე მაქვს და ხმის ამოღება შემიძლიან. ღმერთსა ვსთხოვ ამ რისხვას უკან ჩემი სულის დგმა აღარ ინებოს.

ქ. მე მგონია, რომ რამდენიმე დღე კიდევ თქვენ მანდ მოგიგვიანდებათ და ჩვენი შვილი ალექსანდრე აქ ჩვენთან გამოგზავნეთ, აღარ დააგვიანოთ. ახლავ, რასაც წამს ეს წიგნი მოგივიდეს, მაშინვე გამოგზავნეთ. მე ვიცი, რომ ეხლა ჩვენთან მოსვლის უარს აღარ იტყვის, ჟამი აქვს ჩვენთან მოსვლისა».

აზის ბეჭედი: «დედოფალი დარეჯან». (11).

აქედან ირკვევა, რომ დედოფალ დარეჯანის მომხრენი სასწრაფოდ ალექსანდრე ბატონიშვილს იბარებდენ, რათა დარეჯანის უფლებები ტახტზე გაემტკიცებინათ; მაგრამ გიორგის სწრაფლმა მოქმედებამ (ის 22 თებერვალს უკვე თელავში გაჩნდა) ეს გეგმები ჩაშალა...

ამ დროს დარეჯანსა და მის მომხრეთ დააკვიწყდათ, რომ ეს «სიმარტოვე» მხოლოდ გარეგნული ფონი იყო, ხოლო მის ქვეშეთ, დიდს სიღრმეზედ გაშლილი იყო უძველესი ქართული ტრადიცია მეფობის და მემკვიდრეობის წესისა; დინასტიის პირდაპირ მემკვიდრეობითის ხაზის გადასვლას ასე ადვილად ვეღარავინ შესცვლიდა და საამისო ცდები წინასწარ განწირული უნდა ყოფილიყვნენ...

აი, ეს იყო «სუსტი ადგილი» და ამიტომაც ძლიერი დედოფალი დარეჯანი, რომელსაც დიდი და გამოცდილი მომხრენი ჰყავდნენ, სუსტმა და სნეულმა გიორგიმ დაამარცხა; ანუ უკეთ რომ ვსთქვათ, დარეჯანმა შეატყო, რომ დამარცხება ელოდა და შერიგება, დათმობა არჩია.

ბოლოს გაიმარჯვა არა სნეულმა გიორგიმ, არამედ საქართველოს ტახტის საუკუნოებრივმა ლეგიტიმისტურმა წესმა. ეს საკითხი ვერც დიდებულ ერეკლეს ანდერძმა შეაბრუნა; და გამჭრიახმა დედოფალმა ამ ჟამად გიორგისაგან ხელწერილის ჩამორთმევა ამჯობინა, რათა გიორგის შემდგომ მაინც შესულიყო ძალაში ერეკლეს ანდერძი, ესე იგი, გიორგის მემკვიდრედ, დავითის ნაცვლად, იულონი გამხდარიყო.

ერეკლეს ეს ანდერძი, ზოგიერთთა მოწმობით, ადრეეე მასვე უნდა გაეუქმებინოს... ამაზე «აქტებ»-ში ჩვენ ვხვდებით ერთ საინტერესო წერილს ერეკლე მეფისას. სამწუხაროდ, ამ წერილის დედანი დაკარგულია, დაცულია მხოლოდ ფრიად დამახინჯებული თარგმანი რუსულ ენაზე; ჩვენ ეს წერილი ისევ ქართულად ვთარგმნეთ.

ერეკლე მეფე გიორგი ბატონიშვილს სწერდა:

«ღვთის მოწყალებით შვილო ჩვენო გიორგი; წერილზე, რომელიც ჩვენ მამულებზე შენს ძმებს ვუბოძეთ, მართლაც ისე მოხდა, რომ ჩვენ ბეჭედი დავუსვით, მაგრამ ის ჩემის ნების გარეშე იყო დაწერილი და ისეთის პირის მიერ, რომელ-

საც ეს არ ესაქმებოდა. ასე რომ, ის წერილი შეუსაბამო (?) და არა-რაა... მერწმუნე, ვფიცავ მშობელსა ჩემსას თეიმურაზს, მერწმუნე მე და ღმერთსა, რომ მე იმ წერილის თანახმა არა ვარ, და როცა ეს საომარი საქმე მოთავდება და ჩაივლის, სწორედ მეც ისე შევასრულებ საქმეს და სხვა... ამაში გარწმუნებ ღვთის სახელითა, რომ არავისი მიზეზით ანუ მოხერხებით მე შენს უფლებას არ დავარღვევ და იმ ჩემს წერილს, ბოძებულს შენის ძმებისათვის, ვაუქმებ. მერწმუნე ამაში, რომ არავითარის მიზეზით მე არ გავუხვევ არც შენს და არც ძმათა შენთა უფლებებს და ვინც არ უნდა ინდომოს, მოიქცეს არა სამართლიანად, მე მას არ დავეთანხმები»... 26. 5. 1794 წ. (12).

ბატონიშვილი დავითი მოწოდებაში ქართველი ერისადმი, თვისი «ტახტთან მიახლოვების» შესახებ, (აქტები»), ერეკლეს ზემოდ დასახელებულ წერილს თუ ემყარება, როცა ამბობს:

«ხელმწიფე იმპერატორმა ინება სჯულიერითა წესითა შედგომა და მიხედა უკანასკნელსა წერილსა სანატრელისა პაპისა ჩემისა, მეფისა მეორისა ირაკლისასა, რომელიცა უბოძა სანატრელსა მამასა ჩემსა, ძესა თვისსა, მეფესა გიორგის, რომელიცა იყო ნამდვილ დამარღვეველი თვისისა პირველისა ანდერძისა, რომელსაცა სასინანულოდ აღსჩენოდა უკანონო პოლიტიკა დასამყუდროებლად აღბორგებულთა პირის-პირ მეფისა და სამეფოისა» და სხვა. (13).

ხიფათის თავიდან ასაცდენად და რუსეთის ექსპანსიის ნორმალურ კალაპოტში ჩასაყენებლად, ეხლა მარტო ის იმედი იყო, რომ გიორგის მეფობის დროსაც დარეჯანი ფაქტიურ დედოფლად დაშთებოდა... ასე ფიქრობდა რუსეთის მოწინააღმდეგეთა წრე.

•

ერეკლეს ღრმა მოხუცებულობისას, მეფის სნეულების გამო, დარეჯანი თითქმის სუვერენულად განაგებდა საქართველოს საქმეებს; და განა ფხიზლობა და შორსჭვრეტა აკლდა ამ დედოფალს, დედას 20 (ოცი) შვილისას, რომელსაც 48 წლის მანძილზე ყველაზე უფრო ახლოს და ბეჯითად შეეს-

წავლა ბრძენ მეუღლისა და მეფის აზრები და პოლიტიკა? მაშ, რად უნდა გადაეყენებინათ ის დედოფლობიდან?..

საკითხი თითქოს მარტივად იდგა და ერის ინტერესიც ამასვე მოითხოვდა; მაგრამ ტრადიცია, რომელიც უფრო უხუცესია და სუვერენიც, სულ სხვას ეუბნებოდა ხალხს: — ამ ახალ მეფეს თვისი საკუთარი ცოლი ჰყავდა; და რად არ უნდა ყოფილიყო სწორედ ის დედოფლად? განა არ კმაროდა, რომ მარიამი 16 წელი ელოდა ამ დედოფლობას?

მართალია, თვითონ მარიამი მოკრძალებით განზე იდგა, ერეკლეს ცხედარს გულით დასტიროდა და ერის ამ დიდი გლოვის დროს თვის «გადედოფლებაზე» და დარეჯანის მეტოქეობაზე ნაკლებად ფიქრობდა; მაგრამ ამავე დროს კარგად იცოდა, რომ მის მაგიერ ეხლა მისი მეუღლე განსაკუთრებულ მხნეობას იჩენდა; მარიამის «მოკრძალება» საქმეს ვეღარ წაახდენდა. მას დარეჯანისათვის ბევრიც რომ დაეთმო, გიორგი არას დასთმობდა და ამის სიტყვა დღეს ხომ ერეკლეს იდუმალი ხმაც იყო. ამას გარდა, ყველას კარგად ახსოვდა დიდებულ ერეკლესაგან თავის დროზე საქვეყნოდ აღიარებული სამეფო ღირსებანი გიორგისა. პლატონ იოსელიანი ამაზე გვაუწყებს:

«ოდეს განჯაზედ გაილაშქრა მეფემან ირაკლი, მაშინ მეფის ძე გიორგი განაგებდა სამეფოსა. დიდათ ბეჯითად იშველებდა ურმებსა, ტყვია-წამალსა და კაცთა ცხენოსანთა. იტყვიან დამსწრენი: განაკვირვა სარდალი და თვით მეფეო... დაბრუნებულმან განჯით, მეფემ მოუძღვნა სახალხოთ დიდი მადლობა და ბრძანა: «შვილი ჩემი გიორგი დიდი მეფე იქნებაო»-ო. (14).

მარიამის გადედოფლების საკითხში გიორგის ეხლა რყევა არ შეეძლო; ამ სიმტკიცეს ითხოვდა სასახლის და დინასტიის ინტერესი და ამ ინტერესის ღალატი იქნებოდა ეხლა მისი მეუღლის, მარიამის ჩრდილში დაყენება.

ის ურყევი ნება და სწრაფი მოქმედება, რაიც მაშინ გიორგიმ საქართველოს ანახვა, დედოფლის გვირგვინის მოგება იყო თავმდაბალ მარიამისათვის. გიორგის ამ სიმტკიცემ და ნებამ მრავალი გამდგარნი შეაფიქრიანა და გეზი შეაცვლევინა.

როგორც აღნიშნული გვქონდა, გიორგიმ ჯერ კიდევ უა-ზახ-ბორჩალოში შეიტყო მამის გარდაცვალების ამბავი; სამძიძრების განცხადების შემდგომ მან სამეფო მილოცვები მიიღო ქართლ-კახეთის წარჩინებულთა და მოხელეთაგან; 22 თებერვალს, 130 წარჩინებულ ცხენოსანთა მხლებლობით, ის უკვე თელავს მიბრძანდა: დიდებული მამა ღირსეულად გამოიტირა, პანაშვიდი გადაიხადა, დაქვრივებულ დარეჯანს სამძიძარი მოახსენა და მყისვე ყველას მოულოდნელად, ტაძარშივე, სამეფო აქტის შესრულება ჰყო...

«უბრძანა მღვდელმთავართ და კარის კაცთა, დასდვან ეკლესიაში საწიგნე და მასზედ ჯვარი, სახარება და ფიცისა ფურცელი (აქვე ეკლესიასა შინა ესვენა გვამი ირაკლისა)... და შეჰფიცონ მას წერილითა, ვითარცა მეფესა და სჯულიერ მემკვიდრესა»... (14. გვ. 50).

დიდ ერეკლეს ცხედარის წინაშე ასეთი გამოწვევა, საქართველოს ერთგულებისათვის ფიცს უდრიდა; ყველანი გიორგის მტკიცე ნებას დაემორჩილენ და დარეჯან დედოფლის მომხრეთა სამზადისი ერთბაშად მოიშალა.

მაგრამ გიორგის ამ უმძიმეს და საპასუხისმგებლო წუთში ბაგრატიონთა სიდარბაისლე არაფრით არ დაურღვევია: თითქოს ყველაფერი ეს ქვეყნის ინტერესებისათვის და ნებაყოფლობით ხდებოდა:

«ძალათა არა, — იტყოდა მეფე, — ვისაც სურს, — ჰფიცონ ერდგულად და აღმიარონ მეფეთა», — და როცა მისი მოწინააღმდეგე ოსეფა ყორღანაშვილი დარეჯანის სასახლეში დაიმალა, მეფემ არ ინება მისი იქედან ძალად გამოდევნა და შეპყრობა... «შესწუხდება დედა ჩემი, — ამბობდა მეფე, — მოხუცი განიგმირება და იტყვიან, მეფე გიორგი ნერონი არისო; დედა შეურაცხყო»-ო. (14. გვ. 51).

გიორგი მეფის მიერ ამ პირველ ბრძოლის მოგება, მარიამს თავის-თავად გამარჯვებას აკუთვნებდა; მაგრამ ის განსაკუთრებულის სიდინჯით შეხვდა ამ «ამბებს» და ვერც დარეჯანის შემდეგმა ნაბიჯებმა შეაცვლევინა ახალგაზრდა მარიამს თვისი დარბაისლური დუმილი და ლოდინი... მისი საყვარელი მეფე ეხლა უდავოდ ტახტის მპყრობელი გამხდარიყო და აბა, ვის დაუთმობდა ის დედოფლის გვირგვინს, თუ არა

მის მეუღლე მარიამს?... და მეფემ მოკვეთით, ირონიულის პასუხით თავშივე ჩაჰკლა დარეჯანის ახალი პრეტენზიები... მოციქულებს, დარეჯანმა რომ გიორგის მიუგზავნა: —«მეფის შემდეგ ეკლესიაში მე უნდა მომიხსენიონ დედოფლად»-ო, — გიორგიმ «შეწუხებით» უარი უპასუხა. (იქვე). მეფესთან დაქორწინებული რად არ უნდა მოეხსენებინათ დედოფლად? რა საბუთით უნდა დაშთენილიყო დარეჯანი გვირგვინოსანად? ეს ყველაფერი იმდენად მარტივი იყო, რომ სიმართლეს ბოლოს თვისი უნდა გაეტანა და შვენიერ მარიამს ბრძოლაში ჩარევა მართლაც არ დასჭირვებია...

ხოლო თუ კიდევ საჭირო იყო რაიმე უმაღლესი განაჩენი ამ უსამართლო დავის გადასაჭრელად, ეს განაჩენი ეხლა თვით ხალხს უნდა გამოეტანა.

ისტორიკოს დუბროვინს მოჰყავს ანეგდოტის მსგავსი ეპიზოდი, გადამწყვეტ წუთში ამ ჩიხიდან გამოსასვლელი გზა მარტივად რომ გახსნა.

ერეკლეს მდივანმა სულხან თუმანიშვილმა წარჩინებულთ და საერთოდ ხალხს, დედოფალ დარეჯანის და კათალიკოსის დავალებით ეს აზრი მოახსენა (დარეჯანის დედოფლად დატოვებისა) და თანხმობა ითხოვა. ყველანი სდუმდენ... მაშინ არქიეპისკოპოსი ჩოლოყაშვილი, ყოფილი მოძღვარი გიორგი მეფისა, ხალხს მარტივის და ცბიერის კითხვით მიმართავს:

— ხალხნო, გზირმა რომ ქალი შეირთოს, რა სახელი უნღა ვუწოდოთ ამ ქალს?

— «გზირის ცოლიო», — მიაძახეს მას...

— მაშ, როგორ გინდათ, რომ მეფის მეუღლეს დედოფალი არ ერქვას-ო? (15).

ხალხის ხმამ რყევას ბოლო მოუღო... ბრძენმა დარეჯანმა დარბაისლურად უკან დაიხია და მეფე-დედოფალი დალოცა.

მაგრამ იმდენად დიდი და ძლიერი იყო დარეჯანის ავტორიტეტი, რომ მარიამი ჯერ კიდევ ნომინალურად თუ ატარებდა ქართლ-კახეთის დედოფლის სახელს.

გიორგი მეფემაც ვერ შესძლო ბოლომდე მიეყვანა მარიამის გადედოფლების საქმე და ალამი დედოფლის პატივცემულ დარეჯანს ჯერ მთლად ვერ ჩამოაცილა. მეფემ მას არ ჩამოართვა დედოფლის სახელი და არც ადგილმამული, რაიც

წესით ეხლა მარიამზე უნდა გადასულიყო. დარეჯანმა ეს მოპყრობა ღირსეულად დააფასა და ყოველ გვარ უთანხმოების მოსპობა მოინდომა; ის მეფეს შეურიგდა და გაუგზავნა სამემკვიდრეო ყველა ძვირფასი ნივთები და სასახლის ხატები იშვიათის სამკაულებით. მრავალი იმათგანი, რაც დედოფალ დარეჯანს მეფე ერეკლეს დროს საჩუქრად ხვედროდა, ეხლა ვითარცა ემბლემა დედოფლისა, დარეჯანმა მარიამს გადასცა.

მაგრამ გიორგი მეფემაც სულგრძელობა გამოიჩინა და მთელი ეს განძეულობა დარეჯანს უკან აახლა; მან მხოლოდ ხატი დაიტოვა.

მართალია, მდგომარეობა მალე შეიცვალა: დარეჯანსა და მეფის შუა ისევ უთანხმოებამ იჩინა თავი და ბოლოს დედოფლისათვის განწესებული მამულები მეფემ დარეჯანს მაინც ჩამოართვა; მაგრამ ამ ამბებშიაც მარიამს არავითარი ბრალი არ ედო; ყველაფერი ეს ხდებოდა იმავ «სასახლის და დიდი პოლიტიკის» სახელით... თითქო ბედმა ეხლაც მხოლოდ «გათამაშება» ისურვა დედოფლისა: გვირგვინიც დაადგა, სასახლეც მიუჩინა (16), მაგრამ ყველა ეს დედოფლური შესაფერისის პატივითა და დიდებით არ იყო შემკული; სადგომი და სასახლე დედოფლისა დარჩა მისთვის უსულოდ და უშინაარსოდ...

•

1795 წლის ქარიშხლის შემდეგ, მართლაც, მეფე გიორგის და ახალ დედოფალს წილად საშინელი მემკვიდრეობა ხვდათ: დაქცეული ხაზინა, დანგრეული მადნები ახტალისა, გადამწვარი სასახლეები და ტაძრები, გაძარცული და გაუკაცრიელებული ქვეყანა... ამას ზედ ერთვოდენ ათკეცად უფრო გაფთრებული, გადაკიდებული მტრები, სპარსეთი და ოსმალეთი, რომელნიც ხან თვითონ და ხან დაქირავებულ ლეკთა საშუალებით დასუსტებულ საქართველოს უტევდენ; ეხლა ესენი ბევრად უფრო ახდილად და თამამად იქცეოდენ, იცოდენ რა, რომ საქართველოს არც დიდი სარდალი ერეკლე და არც მის მიერ შექმნილი «მორიგი ჯარი» ჰყავდა; ხოლო რუსეთი, ვით წინად, ეხლაც მარტო სიტყვით თუ დაეხმარებოდა მას.

ამავე დროს ძველი, საქართველოს ერთგული და მოხარკე

სახანოები: ყარაბახის, ერევნის და განჯისა არა მარტო ჩამოშორებული, არამედ გადამტერებულიც ჰყვანდა მეფეს.

ამ პირობებში გიორგის არა დაშთენოდა რა გარდა იმისა, რომ ისევ რუსეთზე სრული მინდობის პოლიტიკას გაჰყოლოდა; ეხლა მეფეს უფრო მეტის გულმოდგინებით ჩაეჭიდა ხელი სახელოვანი მამის მიერ ადრევე აღებულ გზისთვის, ამ ჟამად ისევ რუსის მხედრობას, მისდამი ლოიალობას, «ქრისტიანობას» და აზიურ სახელმწიფოთაგან საბოლოოდ ჩამოშორებას უნდა ეხსნა დაუძლურებული საქართველო. ეს მით უფრო ცხადი იყო, რომ ოდესღაც ძლიერი და მდიდარი ირანი უკვე დაქანების გზაზე შემდგარიყო და ეხლა მისი გადარჩენა ვერც აღა-მაჰმად ხანის სახელოვან ომებს და ვერც ბაბა ხანის მაღალ ფარდებიან «ნოტებს» შეეძლოთ...

ირანის მზეს შუბის ტარი გადუტყდა, ლომს კბილები უკვე დაუცვდა და მისმა ნახტომმაც სიმძაფრე დაჰკარგა; გამოფიტულს და კულტურულად დაქანებულ ირანს საქართველოსათვის აღარაფრის მიცემა აღარ შეეძლო. გიორგისათვის ეხლა აშკარა გამხდარიყო, რომ თუ რუსეთი 1783 წლის ტრაქტატის პირობებს მართლაც ასრულებდა, ეს გზა საქართველოს ევროპის ასპარეზზე გამოიყვანდა და მის ქრისტიანულ კულტურას განამტკიცებდა.

მეფესთან ერთად ამ გზაზე განუხრელად მისი მეუღლე, დედოფალი მარიამი იდგა. ეხლა მისთვის გამქრალიყვნენ შვებისა და ლაღობის დღეები, რასაც წინად მეფის რძალი უზრუნველად მისცემოდა დიდებულ ერეკლეს ფრთებ ქვეშ... და თუ აქამდე დარეჯანის სამეფო მოღვაწეობას ის მოწიწებით და შორით შესცქეროდა, — ეხლა უკვე მდგომარეობა მას აიძულებდა თვითონ ჩარეულიყო ამ დიდ და საპასუხისმგებლო მუშაობაში; მან იცოდა, რომ საჭირო იყო ამ მძიმე ბრძოლაში გვერდში ამოსდგომოდა სნეულს და სუსტ მეფეს და მეუღლეს.

აქედან იწყება ახალ დედოფლის მძიმე გზა, რომელიც დარეჯნის განდგომის შემდეგ განსაკუთრებით უნდა გართულებულიყო; და ამ მძიმე ვითარებაში მომწყვდეული დედოფალი იდუმალ, მწვავე ფიქრებს ეძლეოდა საყვარელ ერზე და ტახტზე; მას ნიადაგ ოხვრა ამოხდებოდა, როცა ხედავდა სა-

მეფოს აგრე რიგად დაუძლურებულს და მტერთ, მის წასაქცევად და დასამონებლად შემოსეულთ, ფრიად მომძლავრებულთ. მარიამის ამ მდგომარეობას, ამ უმწეო ყოფას უფრო მეფე გიორგის უკურნებელი სნეულება ამძიმებდა. ამ დროს მეფის ოდნავი შვება დედოფალსაც ხომ იმედით აღავსებდა და საბრალო მარიამი შეავედრებს ღმერთს: განკურნოს მისი საყვარელი ბატონი მეფე საკეთილდღეოდ ქვეყნისა და იმედად ამდენ წვრილშვილთა...

და როცა მეფე გიორგიმ თვის უკანასკნელ საფარველს თვალი მიაპყრა და პეტერბურგის კარზე დესპანები გაგზავნა და დახმარება ითხოვა, დედოფალმა ამ დესპანებს ლოცვა-კურთხევა თან წარატანა და რუსეთის დედოფალს, — მარიამ თეოდორეს ასულს, — სასოებით სავსე წერილები თვითონაც მიწერა. ამ უმძიმეს დროში, სნეულ მეფისა და დანგრეულ ქვეყნისათვის ხსნა მხოლოდ ჩრდილოეთიდან უნდა მოსულიყო...

მაშინდელ საგარეო საფრთხეთა და საშინაო გართულებათა ოდნავი დაკვირვება გვეუბნება, რომ გიორგი მეფე მართლაც დიდ ჩიხში მოემწყვდა.

საქართველოს ეკონომიკური ორგანიზაციის მოშლას მისი პოლიტიკური სხეულის დაქუცმაცებაც მოჰყვა: მისი ცალკეული პროვინციები და მათი მმართველი ბატონიშვილები აღარაფრად სცნობდენ ცენტრალურ მმართველობას და მეფის ავტორიტეტს. აქედან ისე გამოსვლას, რომ საქართველოს სახელმწიფო პალატი არ დარღვეულიყო, ერეკლეს სიბრძნე და მკლავი სჭიროდა. მაგრამ სნეული გიორგი მხოლოდ სუსტი ანარეკლი იყო დიდებულ მამისა.

რუსეთიც კარგად ხედავდა ამ განსხვავებას და თავის ზრახვებისთვის ყოველ გართულებას მოხერხებულად იყენებდა.

იმ უამრავ მიმართვა-ვედრებათაგან, საქართველოს მეფე რუსეთის კარზე რომ გზავნიდა, ჩვენ აქ მარტო ერთს მოვიყვანთ: ეს წერილი მაშინდელი საქართველოს უღონო მდგომარეობასთან ერთად, თვითონ მეფის სრულ სასოწარკვეთილებას ააშკარავებდა; რუსეთის დიპლომატიასაც, რომელიც ასეთ ახდილობა-გულწრფელობას ნაჩვევი არ იყო, ამ მიმარ-

თვიდან საჭირო დასკვნების გამოყვანა არ გაუჭირდებოდა. და რუსეთმა ყველა ეს «ცნობები», რასაც ერეკლეს დროს ვერ ხედავდა და ვერ ჰკრებდა, კარგად ჩაინიშნა იმ სიღრმეში «დაეთარში», სამხრეთით საზღვრების გაბრდისათვის რომ აწარმოებდა.

მართლაც, დიპლომატიის ფარული ნიღაბისა არა სჩანს რა ამ მიმართებებიდან, რომელსაც სასოწარკვეთით შეპყრობილი მეფე გულ ცივ ჩრდილოეთს ზედი-ზედ უგზავნიდა. ასე, 11 ოქტომბერს 1798 წ. მეფე პეტერბურგის კანცლერს, ბეზბოროდკოს სწერდა:

«თქვენმა უგანათლებულესობამ იცის, როგორის მუსობლებითა ვართ გარეშემოცული, ან იმათ ჩვენზედ რაოდენის ხარისხით მეტი აქვსთ ძალი; ერთს მეზობლად ის სპარსნი არიან, რომელთაც წარსულს წელიწადს ისე მოგვაოხრეს, რომ დღესაც ჩვენ და ჩვენს დაგლახაკებულ ხალხს ერთმანეთი ვეღარ გვიპოვნია. მეორედ — ოსმალნი, რომელთაც წარსულ თვეს ლეკის ჯარი აიყვანეს და მრავალს ტყვესთან, ჩვენი დის წული (ციციშვილი) დაიჭირვეს და დღესაც ახალციხეს ტყვეთა ჰყავთ. მესამედ — ლეკნი... მეორე საუკუნო არის, რომ ჩვენად სასოებად რუსეთის უმაღლესი კარი გვაქვს და ხსენებულს მეზობლებთან შერიგებას და დაგებას ვერიდებით, ჯერ, 1. ქრისტეს სარწმუნოების გამო და 2. უმაღლეს ტახტთან ფიცით შეკრულობისა გამო. ამისთანა მდგომარეობაში მყოფთ, არას დროს მაგ კარზედ შეშწე და ჩვენთვის მზრუნველი არა გყოლია... ....

ერეკლე მეფეს პატიომჯინის იმედი ჰქონდა..., მაგრამ ის ჩვენ გვატყვილებდა; ის მხოლოდ თავის სახელის განდიდებას ეძებდა და არავის სხვისთვის ზრუნავდა». (17). და ესლა შენ მაინც გვიშუამდგომლეო, სთხოვს გიორგი მეფე ბეზბოროდკოს ნამდვილი ქრისტიანული ახდილობით, რამაც სამეფოს უმწეობა აშკარად დაანახვა რუსეთს. რასაკვირველია, ეს იყო დიპლომატიური და პოლიტიკური დიდი შეცდომა.

ამ უმწეო მდგომარეობამ პირველი დიდი დათმობა უკარნახა მეფეს რუსეთისადმი, რომელმაც სამეფოს დაუძლურება უკვე კარგად შეამჩნია.

*

სამეფოს კრიზისის თანდათანობით გაშუქებისათვის საჭიროა დავუბრუნდეთ თბილის-პეტერბურგის ურთიერთობას მეფის და მისი მემკვიდრის დამტკიცებასთან დაკავშირებით, თანახმად 1783 წლის ტრაქტატისა.

სუვერენული ბატონი, რა თქმა უნდა, ამ მდგომარეობის დროს სახიფათოდ არ გააჩიანურებდა და პოლიტიკურ ფაქტს თვითონვე შეჰქმნიდა და მემკვიდრის დამტკიცებას, თანახმად ტრაქტატის სათანადო არტიკულისა, რუსეთის კარს, როგორც უბრალო ფორმალობას, შეასრულებინებდა; მაგრამ გიორგის ამ «ფაქტის» შესაქმნელად არც ძალა ჰყოფნიდა და არც გამბედაობა.

გარდა ამისა, მეფე სხვა მხრივაც იმყოფებოდა უხერხულ მდგომარეობაში, იმ წერილობითი პირობის გამო, რაიც მან დედოფალ დარეჯანს, გამეფების დროს, შეთანხმების შედეგად გადასცა. ამ პირობით ის აღიარებდა ერეკლეს ანდერძის სახიფათო მუხლს და მემკვიდრედ თვის მომყოლ ძმას სცნობდა. ამით ის თვისი ძის, დავითის გამეფებაზე უარს აცხადებდა.

ამ პირობის გაცემამ კიდევ უფრო შეასუსტა გიორგის მდგომარეობა და ისიც და დედოფალი მარიამიც ფრიად ყალბ მდგომარეობაში ჩააყენა.

ეს მოუფიქრებლად გაცემული პირობა დღეს მეფეს წინ დაუხვდა და ის შიშმა და სირცხვილმა მოიცვა.

წამხდარი მდგომარეობიდან გამოსასვლელი ძალა მას არ შესწევდა და იმედად მხოლოდ რუსეთი დაშთენოდა. და ვედრების ბარათები მეფე-დედოფალმა ელჩ გარსევან ჭავჭავაძის ხელით რუსეთის კარს წარუგზავნეს. ამ მიმართვებს რუსეთის მთავრობა უნდა მოელბო, რათა დავითის მემკვიდრედ დამტკიცება პეტერბურგს დაეჩქარებინა.

ამ გზით მეფის მიერ გაცემული პირობა უნდა გაუქმებულიყო და დარეჯან დედოფლის მომხრენი რუსეთს უნდა განერიყა.

ამის გამო განსაკუთრებულის წერილით მიმართავდა დე-

დოფალი რუსეთის იმპერატრიცას და ხელმწიფის წინაშე შუამდგომლობას სთხოვდა.

ამ წერილში, რომელიც 16 ოქტომბრის 1798 წლ. თარიღი აზის, მარიამ დედოფალს იმპერატრიცასთვის მრავალგვარი ხოტბა უძღვნია «მონდომად ყოველთადმი ჩრდილსა ქვეშე პორფირისა», რომელიცა «შევრდომილთა არა უსახო ჰყოფს წარდგომად წინაშე უმაღლესისა საფარველისა..., რათა ღირს მყოთ აღრიცხვად რიცხვთა შინა ერთგულთა თქვენთასა და სიმაღლითგან ტახტისა თქვენისა მომადლოთ ნება ყოველთა შორის სადღესასწაულოდ სიქადულისა, ვითარმედ ვგიე».. (18).

ეს მაღალ, ცრუკლასიკურ სტილით დატვირთული, ნოტა დედოფალ მარიამისა უნდა შესაფერისად განემარტა და გაეხსნა მჭერმეტყველ, ჰკვიან ელჩს, გარსევან ჭავჭავაძეს.

უნდა ვიფიქროთ, რომ რუსეთს ადრევე ჰქონდა გადაწყვეტილი დასუსტებულ მეფისა და სამეფოსათვის საბოლოო განაჩენი გამოეტანა: ის შემოეერთებინა.

მართალია, იმპერატორმა პავლემ პირველ ხანებში დედა ეკატერინა II-ს ყველა გეგმები უარჰყო და ქასპიის ზღვით სპარსეთ-ინდოეთის სავაჭრო გზაზე გამოსვლაზეც უარი სთქვა, მაგრამ იმპერიის მინისტრებმა მას ხელახლა გაუხსნეს მადა და საქართველოში მოპოებულ «სიმაღლეების» განმტკიცება კვლავ მოაწყურეს: ვინ იცის, როდის და როგორ გამოიყენებდა იმპერია ამ სტრატეგიულ და მდიდარ მხარეს.

ამიტომ საქართველოს მეფე-დედოფლის საგანგებო მიმართვები მემკვიდრე დავითის დამტკიცებაზე, რაიც ასე საშური იყო, პეტერბურგმა ჯერ განზე გადასდო და დინჯად ასწონ-დასწონა... ჯერ კარგად უნდა გაეგოთ, ასეთი დამტკიცება ხომ არაფრით დააბრკოლებდა მომავალში საქართველოს სრულ შეერთებას. მაგრამ დიდი დაგვიანებაც აღარ შეიძლებოდა, რადგან გიორგის გამეფება, რაიც მას სასწრაფოდ მოესდინა, უკვე ფაქტი იყო და ბატონიშვილ დავითის არ დამტკიცებით ესლა საქართველოსთან ურთიერთობის გამწვავება რუსეთს არაფრად არგებდა; ან ვითომ რას დააშავებდა დავითის მემკვიდრედ აღიარება, იმ სამეფოისა, რომლის სრული ანექსია რუსეთს უკვე გადაწყვეტილი ჰქონდა?... ეს გაუქმებაც დღეს

მხოლოდ სნეულ მეფის გარდაცვალებას ელოდა. ამის გამო რუსეთს დავითის დამტკიცება უნდა განეცხადებინა. ამნაირად, ერეკლე მეფის ტრაქტატის ძალით ამ ხელად საქართველოს უფლებები ხიფათს მაინც გადაურჩა.

იმ ხანებში გიორგი მეფის საქმეს კიდევ ის შველოდა, რომ პეტერბურგის კარზე გავლენიანი «ტაინი სოვეტნიკი» სერგეი ლაზარეს ძე ლაშქარაშვილი იმყოფებოდა. ეს კაცი საგარეო საქმეთა კოლეგიაში მაშინ თვალსაჩინო როლს თამაშობდა, და საქართველოს საკითხს თვითონვე ამუშავებდა. მართალია, ლაშქარაშვილი იმ დროს, ისე ყოვლის შემძლებელი აღარ იყო, როგორც წინეთ, დედოფალ ეკატერინეს კარზე, — როცა აღმოსავლეთის უმაღლეს პოლიტიკის სათავეებთან იდგა, — მაგრამ თვისი ნიჭით და დაკვირვებით მან პავლეს მეფობის დროსაც საკმაო გავლენა შეინარჩუნა. აი, ამ ლაშქარაშვილის განსაკუთრებულ მუშაობას და გავლენას უნდა მიეწეროს ის, რომ რუსეთის კარმა, თუმცა ნახევარი წლის შემდგომ, მაგრამ მაინც უცვლელად დაამტკიცა გიორგი მეფის და დედოფალ მარიამის თხოვნები.

26 აპრილს 1799 წ. რუსეთის იმპერატრიცა მარიამ თეოდორეს ასული საქართველოს დედოფალს, მარიამს სწერდა:

«სასიამოვნო წერილი თქვენი ამა წლის 10 ოქტომბრიდან, რომლითაც თქვენ ითხოვდით არ მოგკლებოდათ მფარველობა ჩემის საყვარელის მეუღლისა, ხელმწიფე-იმპერატორისა, მე დიდის კმაყოფილებით მივიღე»-ო, და შემდეგ, საქართველოს «თხოვნითი პუნქტების» შესახებ დასძენდა, რომ «მფარველობა და მოწყალებანი» რუს იმპერატორისა, რაიც ეხლა მეფე გიორგის გრამოტის და ინვესტიტურის ნიშნებით ეგზავნებოდა, საქართველოს სამეფო სახლს მომავალშიაც არ მოაკლდებოდა. (19).

მართლაც, რამოდენიმე დღის შემდეგ საქართველოს ელჩი, გარსევან ჭავჭავაძე ჩაიბარებს უმაღლეს ღრამოტას ლაშქარაშვილის ხელით და ამასთან ერთად აღნიშნულ წერილსაც დედოფალ მარიამისადმი. ხელწერილში, რომელიც ელჩ გარსევან ჭავჭავაძეს გაუცია, ნათქვამია:

«1799 წ. აპრილის 30-სა ტაინი სოვეტნიკი და კავალერი სერგეი ლაზარეს ძე ლაშქარაშვილისგან ჩავიბარე: ღრამოტა,

თვით ხელმწიფის მიერ ხელმოწერილი, მოთავსებული ხავერდის ფუტლიარში, რათა მივართვა მის უმაღლესობას მეფეს, ჩემს ხელმწიფეს და მასთან ჩავიბარე წერილი პირადათ მათი უმაღლესობის დედოფლის მიერ ხელმოწერილი, მიძღვნილი საქართველოს დედოფლისადმი»... და სხვა.

იმავე ელჩის, გარს. ჭავჭავაძის საშუალებით ს. ლ. ლაშქარაშვილი პირადადაც ატყობინებს მეფეს სასიხარულო ამბავს: მისი მეფედ დამტკიცებისა, — და რაც ეხლა საქართველოს სახლისათვის მთავარი იყო, — ბატონიშვილ დავითის მემკვიდრედ გამოცხადებისას.

ამასთან ერთად, ლაშქარაშვილი სამეფო სახლს აუწყებდა, რომ რუსეთის მინისტრად (ელჩად) საქართველოს კარზე იგზავნებოდა სტ.სოვეტნიკი კოვალენსკი, რომელიც თან აახლებდა მათ სამეფო ნიშნებს (ინვესტიტურა). (20).

გიორგი მეფესთან ერთად ეს დედოფალ მარიამის პირველი დიპლომატიური და პოლიტიკური გამარჯვება იყო; და მეფე-დედოფალი შეეცადენ დიდის ზეიმით ამის გამოჩენას.

ეხლა გარეშე მტრებიც უნდა მართლაც დარწმუნებულიყვნენ, რომ დიდი რუსეთი ჰეშმარიტ მფარველობას უწევდა ერთმორწმუნე საქართველოს და მასზე თავდასხმას და ძალადობას აწი ის აღარავის შეარჩენდა; მეორეს მხრივ, დარეჯან დედოფალს და გამდგარ ბატონიშვილთ უნდა დაენახათ, რომ **«ტახტის საკითხი» საბოლოოდ გადაწყვეტილი იყო** ბაგრატიონთა მეფობის უძველესი წესის მიხედვით და რომ რუსეთი ეხლა ამის უმაღლეს არბიტრად და თავდებად გამხდარიყო. აქედან ამ «გამდგართ» შესაფერისი დასკვნა უნდა გამოეტანათ და მემკვიდრე დავითის დამტკიცებას უნდა შერიგებოდენ; და ამავე აქტით ავტომატიურად უნდა მომხდარიყო მათი რუსეთის ორიენტაციასთან შერიგებაც.

მაგრამ დარეჯან დედოფალი და მისი შვილები ქედს მაინც არ იხრიდენ; მათ პეტერბურგის «წყალობანი და ღრამოტები» თვალს ვერ უხვევდენ; მათი გულის წყრომას ეხლა ვერც რუსული ძვირფასი ბეწვების მოსასხამები და ვერც ლაშქარაშვილის მიერ გადმოგზავნილი გვირგვინი და ბრჭყვიალა ორდენები აკავებდენ. აქ თითქოს მათ წინათგრძნობა არ ატყუილებდა და იცოდენ, რომ რუსეთი ნაცად ხერხს ეხლაც

არ უღალატებდა; და ბოლოს ხომ «უმაღლესად დამტკიცებული» მემკვიდრე ტახტისა თვითონაც დარწმუნდა დარეჯან დედოფლის ამ იჭვების სამართლიანობაში. დარწმუნდა და ნაღვლიანი თვალი შეავლო რუსულ ღენერლის მუნდირს, ბრჭყვიალა ორდენებით შემკულს; და მან პროტესტის ნიშნად რუსის ღენერლობაზე ხელი აიღო, მუნდირი გაიხადა და მთავრობას აახლა. დავითის ამ ნაბიჯმა იმპერატორი ალექსანდრე I დიდად გააბრაზა... მაგრამ ყოველივე ეს მოხდა დაგვიანებით, ხოლო ამ ჟამად კი დავითი დიდის კმაყოფილებით იღებდა საქართველოს ელჩის ხელით დამტკიცების ღრამოტას.

თვითონ დავით ბატონიშვილი თავის «ნარკვევებში» ასე გვაუწყებს ამ ამბავს (მისი მემკვიდრედ დამტკიცებისას), რომელიც მას გამოჰყავს არა «წყალობად» რუსეთის ხელმწიფისა, არამედ «ძალით» ერეკლე მეფის შეთანხმებისა 1783 წ. ამაზე ბატონიშვილი სწერს:

«ხოლო შემდგომად მისსა ჰყვეს გამგედ და მართებელად ქათლისა პირმშო ძე მისი დავით, ბრძანებით იმპერატორისათა, ვინაითგან ჯერ მებრ ტრაქტატითა, ესე იგი აღთქმისა პირობათა დებულთა შორის ეკატერინას იმპერატრიცასი და ირაკლისა». (21).

რუსეთზე მინდობის იმედი მეფე გიორგის და დედოფალ მარიამს ჯერ კიდევ არ დაჰკარგოდათ; ამის საბუთს ეხლა ისინი ბატონიშვილის დამტკიცებასთან ერთად, იმ საგანგებო «ღრამოტებში» ჰპოულობდენ, რომლებიც მფარველობის ქვეშ აყვანილ სამეფოსათვის დიდ დაპირებებს იძლეოდენ. ამიტომ სამეფო ნიშანთა ჩამოტანის გამო ზეიმის გადახდის გეგმა მეფე-დედოფალს რუსეთის მოწინააღმდეგეებმა ვერ შეაცვლევინეს; ეხლა ქართველ ერს და ქვეყანას მეფე-დედოფლის გამარჯვებული და ბრწყინვალე სახე უნდა ენახათ. ეს ღა იყო აოხრებულ ქვეყნის ნუგეში და თან იმედი მომავალში დამშვიდებული ცხოვრებისა.

მეფე-დედოფლის ზეიმის პირველ ამბებს ასე აგვიწერს ისტორიკოსი პოტტო:

«კოვალენსკიმ მეფესთან აუდენციის დროს საჯაროდ გამოაცხადა, რომ სრულიად რუსეთის იმპერატორი პავლე I იღებს საქართველოს თვის მფარველობის ქვეშ და ამტკიცებს

მისს კანონიერ მეფედ გიორგის, ხოლო მისს შვილს, უგანათლებულეს დავით გიორგის ძეს, ტახტის მემკვიდრედ». ამ განცხადებას თან მოჰყვა სამეფო ნიშნების გადაცემა. მეფე გიორგიმ ამაზე მადლობა მოახსენა მინისტრს და სურვილი გამოსთქვა, რათა ეს ზეიმი კურთხევისა და «გამოცხადებისა» მოხდეს ტაძარში, შესაფერისის დიდებითა და ბრწყინვალებითაო.

«ჩემი მოვალეობაა, — მიუგო ამაზე კოვალენსკიმ, — დავესწრო თქვენი უმაღლესობის გვირგვინის კურთხევას, რომ გითარცა მეფეს, პატივი გცესთ რუსის ჯარმან, რომელიც მოვიდა თქვენს სატახტო ქალაქში **სამუდამოდ აქ დასარჩენად**»-ო. (22). ასე ოფიციალურად და საქვეყნოდ გამოცხადება იმისი, რომ ბატონიშვილი დავითი მემკვიდრედაა დამტკიცებული და რომ რუსეთის ჯარი საქართველოში «სამუდამოდ დასარჩენად» მოვიდა, რა თქმა უნდა, დიდ საგონებელში ჩააგდებდა დარეჯან დედოფალს და მისს მომხრეთ; აკი მათ ჯიბეში გიორგის ხელმოწერილი პირობა ედოთ, რომ მეფე თვის მემკვიდრედ იულონ ბატონიშვილს სცნობდა, რის გამო გიორგის შემდეგ ტახტი ავტომატიურად რუსთა მოწინააღმდეგეების ხელში უნდა გადასულიყო.

დედოფალ მარიამისა და მეფე გიორგის აზრით კი ყველა ამგვარი ზრახვები უფრო ართულებდენ და არყევდენ ისედაც შერყეულ ტახტის მდგომარეობას... და დღეის გარეგნულ დიდ ზეიმს ეს სულიერი ღელვა და იქვები უნდა დაეფარა. მეფე და დედოფალი ამ სახით გარეშე მტერთა წინაშე თვის ახალ, დიდ მოკავშირის და მფარველის ძალთა გამოჩენას ცდილობდენ და რუსეთის «დახმარებას» შეგნებულად აზვიადებდენ; ხოლო რუსეთი და მისი წარმომადგენელი, კოვალენსკი ამ «ზეიმით» ადასტურებდენ ცნობას, რომ საქართველო «ნებაყოფლობით უერთდება იმპერიას» და ჯარის **«სამუდამოდ დარჩენა»**-ც თითქოს მეფის თხოვნით ხდებოდა. ამ რიგად, ზეიმი დიდად უნდა გაშლილიყო და განსაკუთრებით მაჰმადიან მეზობლებზე თავზარდამცემი შთაბეჭდილება დაეტოვებინა. ასეთ შთაბეჭდილების შექმნას, რასაკვირველია, რუსეთმაც არ დააკლო ცდა...

«ზისალმების შემდეგ, — გვაუწყებს იგივე ისტორიკოსი, — კოვალენსკიმ გადასცა გიორგის უმაღლესი ღრამოტა და

მიართვა ორდენი ანდრია პირველ-წოდებულისა, რომელიც მეფემ მაშინვე დაიკიდა, ამის შემდეგ მეფის ნებართვით საქართველოს მემკვიდრეს, ბატონიშვილს დავითს, გადასცა ორდენი ანნასი, ხოლო სხვა საჩუქრები სამეფო გვარეულობის დანარჩენ პირებს დაურიგა.

... დედოფალი, სეფე-ქალების გუნდით, მდიდრულად მორთული დაუხვდა კოვალენსკის; მინისტრმა მისალმების შემდეგ დედოფალს მიართვა ბრილიანტის ორდენი წმიდა ეკატერინესი; მეფის თხოვნით მან თვითონვე ჩამოჰკიდა დედოფალს ეს ორდენი. 12 დეკემბერს, ზედ მეფის გვირგვინების დღეს, კვლავ შეიკრიბენ სასახლეში ქართველებისა და რუსების წარჩინებულნი; მეფე და დედოფალი ტაძრისაკენ გაემართენ; მათ წინ მიუძღოდენ სასახლის წარჩინებულნი და თან მიჰქონდათ გვირგვინი და სკიპტრა; მეფე-დედოფალს, ცოტა მოშორებით, კოვალენსკი და ტახტის მემკვიდრე მიჰყვებოდენ, და ამათ შემდეგ მიდიოდენ სამეფო გვარეულობის დანარჩენი პირნი, თავადნი, მინისტრები და დიდებულნი. წირვის შემდეგ გიორგიმ უბრძანა წაკითხვა უმაღლესი ღრამოტისა, რომლითაც იგი მტკიცდებოდა საქართველოს მეფედ და მან იქვე ფიცი მიიღო რუსეთის ერთგულებაზე.

ამის შემდეგ გიორგიმ სამეფო ნიშნები გაიკეთა და დაბრუნდა სასახლეში, სადაც დაბრძანდა ტახტზე და იღებდა მოლოცვას რუსის მინისტრის და საქართველოს ერის წარმომადგენელთაგან. ამნაირად, — ამთავრებს ამ დღეის ზეიმის ამბებს რუსის ისტორიკოსი, — თავისი ნებით შეუერთდა საქართველო რუსეთის იმპერიას»-ო. (21).

მკითხველისათვის უფრო საინტერესო უნდა იყოს მოსმენა ამ ზეიმის აღწერისა პლატონ იოსელიანისაგან; ამ დღეს ისიც განსაკუთრებულ მნიშვნელობას აწერს, სწორედ იმ მოსაზრებით, რითაც მეფე-დედოფალი ხელმძღვანელობდენ.

პლატონ იოსელიანი ამბობს, რომ ღრამოტა და ინვესტიტურა ელჩმა გარსევან ჭავჭავაძემ და მინისტრმა კოვალენსკიმ, ჯერ კიდევ 10 აგვისტოს ჩამოიტანეს, მაგრამ მათი ოფიციალური გადაცემა 1 დეკემბრამდე არ მომხდარაო. ეს ცნობა, ჩვენის აზრით, მთლად სწორი არ უნდა იყოს, რადგან კოვალენსკი თბილისში 8. 11. 1799 წ. ჩამოსულა, ღენერალი

ლაზარევი, იეგერთა პოლკით კი — 26 ნოემბერს. ხოლო მეფის კურთხევა, ეს ცნობილი ზეიმი და ქალაქის გაჩირაღდნება მოხდა 12 და 13 დეკემბერს.

თვით ზეიმი პლ. იოსელიანს საკმაო სიზუსტით გადმოუცია; ის სწერს:

«სასახლიდან ანჩისხატისა ეკლესიამდე იყო დადგენილი ჯარი ორ პირად და შუა მათსა განვლეს მეფემან და დედოფალმან და ყოველთა. ღენ. ლაზარევი განაგებდა ჯარსა, იუსტინე კათალიკოსი, ანტონი მთავარ ეპისკოპოსი, არსენი თბილელი, იოანე ბოდბელი, სტეფანე რუსთველი, იყვნენ მწირველნი... აქა დაესწრენ ყოველივე კარისკაცნი, სარდალნი და მოხელენი, ბატონიშვილნი და სხვა. თვით მეფე გიორგი და დედოფალი მარიამ თხოვნითა კათალიკოსისა წარდგენ წინაშე საწიგნისა, წარიკითხეს ფიცითა აღთქმა რუსეთისა იმპერატორისა ერთგულებასა ზედა, მოაწერეს ხელი. მაშინ კათალიკოსმა ანტონმა დაადგა მეფეს გვირგვინი, გარდაიკიდა თვით მეფემან ლენტი წმიდისა ანდრიასი, იპყრა ხელსა სკიპტრა, შემოირტყა ხმალი, გარემოიდეა პორფირი გორნოსტაისა და დაჰსჯდა ტახტსა მორთულსა.

თვით დედოფალმან დაიკიდა ორდენი პირველისა ხარისხისა ეკატირინასი და ვარსკვლავი ორდენისა ამის, ჩაიცვა კაბა ძვირფასი გორნოსტაითა გარემოდებული, დაიდგა თავსა ჯიღა გვირგვინისა ძვირფასისა და სხვა...

ოდეს არქიდიაკონმან დომენტიმ და მგალობელთ იწყეს იმპერატორისა და მეფისა გიორგისა «მრავალ-ჟამიერისა» გალობა, მაშინ იქმნა ნარიყალიდან სროლა ზარბაზანთა. ეკლესიიდან სასახლემდე ორპირად იდგა ჯარი რუსისა და უკრავდა მუსიკა... მცხოვრებნი თბილისისა უძღოდენ ზურნითა, დაფითა და საყვირითა. ყოველივე ეხაროდენ მეფესა, განმხიარულებულსა რუსთა ძალითა...

«აწ განისვენა გულმან ჩემმან, მივის მცველად მეფობისა იმპერატორისა მართლ-მადიდებელი»-ო, ეტყოდა მეფე ევთიმესა... მოსრულთა სასახლესა ულოცავდენ სარდალნი და მოხელენი და სხვა.»... (22).

ჩვენ ვხადავთ, რომ მეფე-დედოფალმა ამხელად მართლაც შესძლეს ხალხში იმედი გაეცოცხლებინათ; მათ განამტკიცეს

ერში რწმენა, რომ სამეფო ტახტის მფარველობას ეხლა ნამდვილად კისრულობდა რუსეთის ჯარი და ამიერიდან აღარ შეეძლოთ არც მაჰმადიან გარეშე მტერთ და არც ქრისტიან შინაურ განმდგართ მეფისა და მისი მემკვიდრის გავლენას დაუსჯელად შეხებოდენ.

ამდენი ხნის დაპირებათა განაღდების ხანა თითქოს იწყებოდა: მეფის ელჩის, გარსევან ჭავჭავაძის უკანასკნელ ნოტის (16. 12. 1798 წ.) საპასუხოდ რუსეთმა საქართველოს თითქოს რეალურად გამოუწოდა ხელი: იმპერატორმა პავლე I-მა ბრძანება გასცა, რათა იეგერის პოლკი გენერალ ლაზარევის მეთაურობით საქართველოსაკენ დაძრულიყო, ეკატერინას დროს ტრაქტატით აღთქმული არტილერიაც მეფეს ეხლავ უნდა წარგზავნოდა და საქართველოს კარზე რუსეთის მინისტრი უნდა დანიშნულიყო; ამასთან, მეფეს კურთხევის წინ ცნობილი ინვესტიტურები უნდა მირთმეოდა და სხვა.

მართლაც, გენ. ლაზარევის მეთაურობით, ჯარმა, რომელიც რუსეთიდან მაისში დაიძრა, დიდის ვაი-ვაგლახით 26 ნოემბერს თბილისს მიაღწია; ეს ვერ იყო კარგი ნიშანი: რუსეთის მაისის იმედები საქართველოში ნოემბრის ნისლიან დღეებში იჭრებოდენ ზანტად და დაგვიანებით; მაგრამ მეფე-დედოფალი ამ «დაბრკოლებებს» თითქოს თვალს არიდებდენ: და ეხლა, ჯარის შემოსვლას, მათთან ერთად, ერთგული ხალხიც ერთსულოვნად შეხვდა. კერძოდ კი დედოფალ მარიამის ზეიმი ქართველ ქალს ამხნევებდა... თითქოს «ქართვლის დედა» ამ ცრიატ ნოემბერში ქართულ ოჯახის მყარ საძირკველს დადებას ხედავდა; უნდა დაწყებულიყო მშვიდობიანი ცხოვრების ხანა; ქართული ოჯახის განიავება, წვრილი შვილებით მთებში გახიზნვა; ქმრისა და შვილთა უწყალო ჭლეტა და მოტაცება მაჰმადიან მეზობელთაგან რომ სდებოდა, ეხლა თითქოს სამუდამოდ უნდა აღკვეთილიყო... აი, რა ახარებდა დღეს მეფესთან ერთად დედოფალს, და ქართველი ქალის გულიც მის დანახვაზე სილაღით ფეთქდა.

ეს მომენტი ქართველ ქალთა განსაკუთრებულ ზეიმისა ჯარის შემოსვლის გამო, რუსეთის ელჩ კოვალენსკისაც აღუნიშნავს თვის მოხსენებაში ღენერალ კნორრინგისადმი. ის სწერს, რომ მეფე-დედოფალი შორით მიეგებენ რუსის ჯა-

რის თბილისში შემოსვლასო; მათ თან ათი ათას კაცზე მეტი ახლდა, რომელიც ამ ზეიმს იზიარებდა. (23). ქალაქში კი, რომელსაც ამფითეატრის ფორმა აქვს, ყველა სახლის ბანები ქალებით იყო გაჭედილი, რომელნიც მთლად თეთრად შემოსილიყვნენ და წარმტაც სანახაობად, ვით თეთრი კარვები, იშლებოდენ; ზარბაზნებისა და ზარების ხმა არ შეწყვეტილა, ხოლო ხალხის მხიარული ამოძახილი, მათი მოძრაობა და სიხარულის ცრემლები, განსაკუთრებით ქალთა, ასრულებდენ ამ წარმტაც სურათის თავისებურებას» და სხვა.

როგორც აღვნიშნეთ, ეს იყო სამეფო სახლის, შეიძლება ითქვას, «პოლიტიკა», მისი გულუბრყვილო ხერხი... ნამდვილად კი მეფე-დედოფალს ამით თავი არ მოუმძინარებიათ. ისინი მწვავედ გრძნობდენ მდგომარეობის სირთულეს და იცოდენ, რომ «განსყიდულ თავისუფლების» საფასური რუსეთს ჯერ გადახდილი არ ჰქონდა. იცოდენ, რომ მტერთა წინააღმდეგ მათ «საფრთხობელა» კი არ სჭიროდათ, არამედ რეალური საფრთხე. ხალხში ხელოვნურად შექმნილი ილუზიები შეიძლებოდა კიდევ დაშთენილიყო, მაგრამ მეფე-დედოფალს კი ამ ილუზიებით მეტი გართობის დრო აღარ ჰქონდათ. მათ კარგად იცოდენ, რომ «გორნოსტაითა გარემოდებული» კაბა და ბრილიანტის ვარსკვლავნი ვერც გაამაგრებდენ და ვერც გზას გაუნათებდენ. საჭირო იყო უფრო დიდი და რეალური დახმარება და არა ერთი იეგერის პოლკი ლაზარევისა, რომელიც თავიდანვე ოპოზიციაში ჩაუდგა მეფეს და მის ოჯახს.

ღენ. ლაზარევი უფრო ინტრიგების საწარმოებლად მოსულიყო აქ და ღირსადაც არა სცნობდა დაცვას იმ ტახტისას, რომლის ვითომდა «დარაჯად» ის წარმოეგზავნა პავლე I-ს. წინააღმდეგ, მან მალე შეტევა დაუწყო ისედაც დასუსტებულ სამეფოს და ტახტის ავტორიტეტის სისტემატიურ შელახვას და ძაგებას მიჰყო ხელი. ბოლოს ეს იმ ზომამდე მივიდა, რომ ღენ. ლაზარევის უდიერმა მოპყრობამ მეფისადმი ელჩი კოვალნსკიც კი აღაშფოთა. და ეს დაიწყო სწორედ იმ საბედისწერო დეკემბრის დღეებიდან, როცა დიდი ზეიმის ამბები ჯერ კიდევ გათავებული არ იყო და ზარების გუგუნი არც კი მიწყნარებულიყო. (23).

თავაზიანმა მეფე გიორგიმ ღრამოტისა და ორდენებისათვის რუსეთს მადლობა მოახსენა, მაგრამ ამასთანავე აცნობა, რომ დღეს ასეთი «წყალობანი» საკმაო არ იყო და კარზე მომდგარ მტერს სულ სხვანაირი დახვედრა სჭირდა; რომ ეხლა ნამდვილი «მფარველობა» მარტო კარგად შეიარაღებულ რუსის ჯარს თუ შეეძლო; ხოლო ეს მცირედი ჯარი, რაიც რუსეთს აქა ჰყავს, საქმეს თუ გაგვირთულებს, თორემ ვერაფრით დაგვიცავსო; «და თუ სხვა თქვენი უმეტესი მოწყალება, — სწერდა მეფე, — ადრე არ მოგვეშველება, ეს მცირე ჯარი ჩვენთვის უხმარი იქნება და შეილსაც გაძმართმევს ბტერი»-ო. მართლაც, ამ დროს სპარსეთის შაჰი მეფეს დავით ბატონიშვილს მძევლად სთხოვდა, სწორედ იმ დავითს, რომელიც რუსეთს ტახტის მემკვიდრედ ეხლახან დაემტკიცებინა.

რუსეთის კარის გულის მოსაგებად გიორგი მეფე, სხვა რო არა გაუვიდა რა, ასეთ ხერხს მიმართავდა, რის გამოცნობა ციე და ანგარიშიან იმპერიისათვის ძნელი არ იყო: თითქოს მეფეს უფრო ის გარემოება აწუხებდა, რომ მისთვის ჯოვლად შეუძლებელი გამხდარიყო მძევლად მიცემა იმ მემკვიდრისა, რომელიც რუსეთის სამსახურში ითვლებოდა და ხელმწიფის კარის წინ ღენერლის ჩინს ატარებდა..., «რომელიც, — სწერს მეფე პეტერბურგს, — ჩვენი პირმშო შვილი არის და თქვენს სამსახურსა შინა მყოფი ღენერალ მაიორი (დავით), იმას მთხოვენ და ჩემის შვილებით რომ გამოვიმეტო და ვივსცე, **თქვენს სამსახურში მყოფ ღენერალ მაიორის მიცემა როგორ ძალმიძს**»-ო. ესეც ერთი ნიმუში გიორგი მეფის ალალ, მაგრამ გულუბრყვილო დიპლომატიისა. და შევიწროებული მეფე განმეორებით აფრთხილებდა რუსეთს: ამ მცირედი ჯარით ვერც საზღვრებს დავიცავ და «არცა ჩვენი საქმის სიმტკიცე იქნება»-ო... და «ესენი (ე. ი. სპარსნი) შვილსაც გამომართმევენ და სხვა პირობებსაც»-ო. (ესე იგი, თქვენთან ხელშეკრულებაზე ძალად აგვაღებინებენ ხელსო) და მაშინ სრულიად **განშორებულნი ვიქნებით** თქვენს მოკიდებულებიდან»-ო... (ესე იგი, მოვსწყდებით ურთი-ერთსო). და ამდენ მწარე გამოცდილების მნახველი მეფე პასუხს აშურებს, ითხოვს: «პასუხი **ადრე** გვებოძოს მოწყალებით, არა თუ უწყალობით, ნუ იყოფინ» (24).

დიდი იმპერიის მიერ სტრატეგიულ და ეკონომიურ ბაზის გაჩენა საქართველოში სპარსეთს მეტად აშინებდა, რის გამო ბაბა ხანმა გიორგი მეფის კარზე დიპლომატიური მუშაობა გააცხოველა; მან ძველ, ნაცად გზაზე დაბრუნება ურჩია აჯანყებულ ვალის გურჯისტანისას, რისთვისაც გარანტიებს მოსთხოვა გიორგი მეფეს... სწორედ ეხლა სჭიროდა საქართველოს რუსეთის „მფარველობის“ დანახვა, რასაც ირანის მმართველი უნდა ჩაეფიქრებინა.

მაგრამ რუსეთი იმპერატორ პავლე პირველისა უფრო სდუმდა და რაღაც მზაკვრულ გეგმებს უმზადებდა ღონე მიხდილ ქართულ სამეფოს.

ამ ამბებმა დიდ მწუხარებას მისცა სამეფო კარი; დავით ბატონიშვილიც, ვით მემკვიდრე ადევნებდა თვალყურს ტრაქტატით და ნოტებით აღთქმულ დახმარებათა დაგვიანებას; ის თვითონაც ცდილობდა ხმა მიეწვდინა პეტერბურგამდე და განსაცდელის მოახლოება რუსეთისათვის ცხად ეყო. ის საბედისწერო კითხვა, რაიც ჯერ კიდევ ერეკლეს დროს ელჩმა გარსევან ჭავჭავაძემ რუსეთს დაუყენა, ეხლა „დამტკიცებულ მემკვიდრესაც“ აღმოხდენოდა: უნდა კვლავ დავშთეთ რუსეთის ერთგულნი, თუ „ფიცი ვასტეხოთ და ახალი გზები ვეძიოთ“-ო...

მას ეშინია 1795 წლის გაჭირვებისა; ეხლა სუსტი სამეფო ამ მახვილს ხომ ვეღარ გაუძლებდა; და დავითი რუსეთს აფრთხილებდა; ამავე დროს პეტერბურგში მყოფ იოსებ არღუთაშვილს სწერდა იმ უმწეო მდგომარეობაზე, რომელშიაც ბაბა ხანის მოთხოვნის გამო, სამეფო სახლი ჩავარდნილიყო. „თუ შვილს არ მომცემო, — სწერდა ბაბა ხანი მეფეს, — რაც ბიძა ჩემმა გიყო, სამ იმოდენას მოელოდე ჩვენგან“-ო... აი, ამ მუქარის გამო დავით ბატონიშვილი არღუთაშვილს სწერს:

„და ეხლა მისმა უმაღლესობამ, მეფემ გიბრძანა, რომ კნიაზ ბეზბოროდკოსთან და კნიაზ კურაკინთან გამოაცხადო, რომ ჩვენი ახლანდელი მდგომარეობა დიდათ სამწუხარო არის ჩვენთვის: თუ მაგათზე (ე. ი. რუსეთზე) ხელი ავიღოთ,

გვრცხვენიან ჩვენის პირისა და ნამუსისა; რომ მაგათზე ხელი როგორ უნდა ავიღოთ; ჩვენ შორის მყოფისა ფიცისაც გვეშინიან; და თუ ხელს ვერ ავიღებთ, როგორც მეფის ირაკლის დროს ოხრება მოუხდა საქართველოს, უმეტესი მოსდის ეხლა და ამისათვის დიდს იჭვში ვართ მიცემულნი"... (25).

მავრამ დრო და გარემოება რუსეთის საიდუმლო გეგმების სასარგებლოდ ვითარდებოდა. საქართველო უფრო და უფრო სუსტდებოდა და მაჰმადიანურ ტალღათა ძალა, მას რომ სცემდა, მატულობდა; შინაური მდგომარეობაც აშკარა უძლურებას და დაშლას გამოხატავდა: საუფლისწულოებში გამაგრებული ბატონიშვილები დამოუკიდებელ სამთავროებს ჰქმნიდენ და წინანდელ ფეოდალებზე მეტ ურჩობას იჩენდენ...

არც ლაშქარაშვილის გავლენა მატულობდა და ის საქმეს ვერას შველოდა; ამჟამად მას რუსული დიდი მოხელენი ჩრდილავდენ; იქედან ეხლა საქართველოს მეფე-დედოფალს დიდი იმედები აღარ უნდა ჰქონოდათ და ყველა ამან დაავადებულ მეფეს ტახტის დაკარგვის შიში რეალურად შეუქმნა.

გიორგი მეფისათვის აშკარა გამხდარიყო, რომ რუსეთი საქართველოს საკმაო ჯარს არ მიაშველებდა, ვიდრე სამხრეთ კავკასიაში საგრძნობლად არ მოიკიდებდა ფეხს, ვიდრე თვითონვე არ გახდებოდა საქართველოს ეკონომიური და პოლიტიკური ბატონ-პატრონი... და მრავალ ფიქრთა და ზრახვათა შემდგომ, სუსტი მეფე ტახტის გადასარჩენად ახალს და დიდს დათმობაზე წავიდა...

1799 წლის 7 ენკენისთვეს მეფის მიერ მიცემული რწმუნება პეტერბურგს წარგზავნილ ელჩებისათვის, უკვე აშკარად აღიარებს რუსეთის სუვერენულ უფლებებს; აქ მეფე თვით იღებს ხელს სახელმწიფო მთავარ ფუნქციებზე. ამ დიდ მსხვერპლზე მეფე, თუმცა გულის ტკივილით, მაგრამ მაინც გარკვეულად მიდიოდა. რუსეთს უნდა ეგრძნო, რომ „დათმობანი" თვით მეფის სახელის და ტახტის გარეგნულად შენარჩუნებისათვის ხდებოდა.

...„და დაუდევით, — აძლევს მეფე თვის ელჩებს ინსტრუქციებს, — არა თუ მფარველობასა ქვეშე უდიდებულესსა დიდსა რუსეთისა წესითა მით, ვითარცა სხვანი იგი რუსეთისა

შინა პყრობნი პროვინციანი სარგებლობენ"-ო... ამ უკანასკნელ და საშინელ მსხვერპლის გაღებას ფასად მეფე ითხოვს, რათა ერთხელ აღთქმული და პირობით დადებული სამეფო ტიტული საქართველოში არ მოიშალოს: და „ვითარცა სახლსა შინა ჩემსა არა აღეღოს მეფენი, გარნა ოდენ **სამეფოს მემკვიდრეთა — მემკვიდრე**, ვითარცა წინაპარი ჩვენი"-ო. (26).

რუსეთს ამ აქტის შემდეგ ბევრი მოპატიჟება აღარ სჭიროდა, მით უმეტეს, რომ გიორგი მეფე მას, ეხლაც, ვით ერთმორწმუნე მფარველს, გულმხურვალედ ჯარების გამოგზავნას ევედრებოდა. მეორეს მხრივ, სწორედ ამ საბედისწერო დროს, რუსეთის რეზიდენტი, მუსინ-პუშკინი, საიდუმლო მოხსენებით სახელმწიფო საბჭოს და იმპერატორს არწმუნებდა: საქართველოს დაკავების აუცილებლობას. აქედან ის დიდ სარგებლობას ჰპირდებოდა იმპერიას საქართველოს სტრატეგიული მდგომარეობისა და ბუნებრივ სიმდიდრეთა გამო. მუსინ-პუშკინი პეტერბურგს სწერდა, რომ საქართველოს შემოერთებით შემდეგი სარგებლობანი მიეცემოდა იმპერიას: 1) კავკასიის ხაზი უხრუნველყოფილი ხდებოდა, ვინაიდან მთის ხალხები ორის მხრით რუსეთის სამხედრო ძალთა შუა მოემწყვდეოდენ და თუ კვალად დაიწყებდენ ურჩობას, შესაძლო იყო მათი გატეხა სიმშილითაც, რადგან სურსათ-სანოვაგეს ისინი ან საქართველოდან, ან მოზდოკიდან იღებდენ; 2) საქართველოს შეერთებით, რუსეთის ხელთ გადადიოდენ ამა ქვეყნის უდიდესი ბუნებრივი სიმდიდრენი; 3) გაძლიერდებოდა იმპერიის ვაჭრობა სპარსეთთან და ინდოეთთან; 4) ოსმალეთთან კონფლიქტის დროს რუსეთს, თუ საქართველო ხელში უჭირავს, საშუალება მიეცემა მტერს ანატოლიიდან შეუტიოს; 5) ამ ახალ სავაჭრო გზით, რომელიც საქართველოზე გაივლის, რუსეთს შეეძლება ვაჭრობა ვოლგა-დონის ხაზით აღმოსავლეთში გადაიტანოს (ოტომანის იმპერიასთან) და ბოლოს ყოველგვარი სარგებლობა ევროპიულ ვაჭრობისა, რაიც „დღეს ინგლისს ხელთ უპყრია, რუსეთზე გადმოვიდაო და ამნაირად, გადაველობებოდით ინგლისის ცდას — მონოპოლურად ხელთ ჩაიგდოს აღმოსავლეთის ვაჭრობა"-ო. (27).

„ყოველ შემთხვევაში, — სწერდა მუსინ-პუშკინი პეტერ-

ბურგს, — საქართველოს შემოერთების საკითხი უნდა გადაწყდეს ძალიან ჩქარა, გიორგის მიცვალებამდე, რაიც მალე მოხდება; თორემ ის სარგებლობა, რაც შეიძლება მის სიცოცხლეში ერთის კალმის მოსმით ჩატარდეს, შემდეგში, მისი მემკვიდრის დროს, აუარებელ მუშაობას და ბევრ სისხლს მოითხოვს"-ო. (28).

•

„1799 წელსა, — მოწმობს პლ. იოსელიანი, — ნოემბრის 26, შემოვიდა თბილისს ჯარი რუსეთისა, პოლკოვნიკი ლაზარევი, მეფის ძენი დავით და იოანე წინა უძღოდენ მას დარიალის გზით". (29). მაგრამ მეფემ მალე დაინახა, რომ სწორედ ამ რუსის ჯარის „მიშველების" გამო უფრო და უფრო გაიზარდა უკმაყოფილება... აშკარად ამხედრებულ მაჰმადიან მეზობელთა და ბატონიშვილთა, რის წინააღმდეგ აუცილებელი გახდა კიდევ ახალ ჯართა გამოთხოვა; ამიტომ პეტერბურგში მყოფ ელჩს, გარსევ. ჭავჭავაძეს სათანადო მიმართვები არ დაჰკლებია. და მალე, თუმცა მცირედის რაზმით, მაგრამ მაინც მიეშველენ რუსეთის ერთგულს და სავსებით მასზე მინდობილ მეფე გიორგის; მიეშველენ რუსები იმ ბრძოლაში, რომელიც გამდგარ ბატონიშვილთაგან ახალ მეფე-დედოფალის წინააღმდეგ უკვე გაშლილად სწარმოებდა; აშკარა იყო, რუსეთს ამ ბრძოლაში ახლო მონაწილეობა უნდა მიეღო, თუ მას სამხრეთ კავკასიაში ამდენ ვაებით მოპოვებულ პოზიციების დაკარგვა არ უნდოდა.

საქართველოში ამ დროს ნამდვილი რევოლუცია მზადდებოდა: ანტირუსული ფრთა ღიღითი ღღე ძლიერდებოდა და მეფე გიორგი და დედოფალი მარიამიც თვის ტახტს უნდა გამოთხოვებოდნენ; ამათი ადგილი დიდებულ ერეკლეს ქვრივს — რუსეთთან ურთიერთობაში უკვე მწარედ გამოცდილს დარეჯანს — უნდა დაეჭირა; ან უკეთეს შემთხვევაში, იულონს, დარეჯანის უფროს ვაჟს და მის მარჯვენა ხელს.

ამნაირად, ის მშვიდობიანობა, რაიც მეფე-დედოფალის და დარეჯანსა და განმდგარ ბატონიშვილთა შორის ჩამოვარდა, ფრიად ხან მოკლე უნდა ყოფილიყო. ეს „კავშირი", თავიდანვე არა მყარ ნიადაგზე დაფუძნებული, ტყვილა ახარებ-

და მარიამ დედოფალს; მას ტყვილა ეგონა, რომ დღეიდან ბა-
ტონ მეფესთან არა მარტო თვითონ იდგა, მასზე და დიდ რუ-
სეთზე გულწრფელად მინდობილი, არამედ მთელი სამეფო
კარი, დარეჯან დედოფლის ირგვლივ თავს რომ იყრიდა. დე-
დოფლის ამგვარ გულუბრყვილობას ხომ ვერ აჰყვებოდა რუ-
სეთის კარი, რომელსაც სწორედ ამ ორი ფრთის დაჯახება
სწადდა; მას უნდოდა ისედაც დასუსტებული ქართლ-კახეთის
სამეფო ამით საბოლოოდ დაეუძლურებინა და შემდეგ თვისი
ჩარევით გადაეწყვიტა არა მარტო დინასტიის სადავო საკითხი,
არამედ საერთოდ ბედი საქართველოს ტახტისა. ამნაირად,
ორ დედოფალთა დროებით დაყავებამ, ორ გვარ ორიენტა-
ციის საკითხი ვერ გადასწყვიტა და რუსეთ — სპარსეთის ინ-
ტერესთა თამაშმა სამეფო კარი საბოლოოდ შუა გააპო. იქნე-
ბა მართლაც საკმაო ყოფილიყო, რუსეთს რომ წესიერად აო-
ბიტრის მოვალეობა ეკისრა და ორივე ფრთის შერიგება გულ-
წრფელად მოენდომებინა... მაგრამ სხვა გვარ განზრახვის გა-
მო ეს ასე არ მოხდა; რუსეთმა ბატონიშვილი დავითი, მიე-
ხედავად დარეჯანის პრეტენზიებისა, მემკვიდრედ იცნო, იუ-
ლონი ერთბაშად გარიყა და ერეკლეს ასდერძი უარჰყო.

პეტერბურგის მიერ ბატონიშვილ დავითის კანონიერ მემ-
კვიდრედ აღიარება მართლაც სწორი და ძველი გზა იყო ბაგ-
რატიონთა დინასტიის გასაგრძელებლად, მაგრამ გიორგი მე-
ფემ რუსეთის ეს „ცნობა“ ვეტად უხეშად და მწაკრულად
შეამზადა; ამას ძლიერი ფრთა დარეჯანისა ვერ შეურიგდებო-
და; აკი რამოდენიმე თვის წინ მეფემ საქვეყნოდ სამუდამო
ზავის პირობებზე მოუწერა ხელი დარეჯან დედოფალს და თან
წერილობითი პირობაც გადაეცა, რომ მის (ე. ი. გიორგის)
შემდეგ მისი ძმა — იულონი — უნდა ასულიყო ტახტზე და
არა მისი ძე, დავითი. (30).

ამ შეთანხმებას ჯერ მელანიც არ შეშრობოდა, რომ მეფე
გიორგიმ რუსეთის კარს საიდუმლო თხოვნით მიმართა, რათა
ტახტის მემკვიდრედ „რუსეთის ღენერალი“, ბატონიშვილი
დავითი დაემტკიცებინა იმპერატორს. როგორც ვიცით, ამ სა-
იდუმლო მიმართვას დედოფალი მარიამიც შეუერთდა და სა-
განგებო წერილით რუსეთის იმპერატრიცას ამ დამტკიცების
დაჩქარება სთხოვა.

მეფე-დედოფლის ამ გვარი შეუფერებელი ნაბიჯი ბოლოს არ დაიმალა და მან დარეჯანის მომხრეთა ბანაკში დიდი და სამართლიანი აღშფოთება გამოიწვია.

დარეჯანთან დადებული პირობა მეფემ ცალმხრივად დაარღვია და ამ საქმეში რუსეთი მიიხმარა.

მეფე გიორგიმ, ამნაირად, როგორც აღვნიშნეთ, რუსეთის ტახტის და ჯარის დახმარებით თვითონვე დაარღვია ეს თავის დროზე იძულებით გაცემული პირობა; თვით დარეჯანსაც აშკარა დევნა დაუწყო: ყოველგვარად შეავიწროვა და ხელახლა ჩამოართვა ის სადედოფლო მამულები, რაც ადრე, შერიგებისას, თითქოს დაუტოვა. ეხლა მან დედოფალ მარიამს დაუნიშნა ამ მამულთა შემოსავალი. ამნაირად აშკარა გახდა, რომ მეფე-დედოფალს თავშაღე დროის მოგება და უკმაყოფილო მოწინააღმდეგე ძალების დაყვავება სწადდათ; მათი ფიქრით, რუსეთიც აღთქმულ ჯარებს საქართველოში მალე გაზრდიდა და მაშინ მეფე შინაურ მოწინააღმდეგეებს ძალითაც გაუმკლავდებოდა. მაგრამ რუსეთი თავიდანვე არ ფიქრობდა ამ საქმის მიჩქმალვას; ის გიორგის და მარიამს აშკარად გვერდით ამოუდგა და „ზაგარის შთაგონებით" დარეჯანის მომხრეთა დატუქსვა იწყო. პეტერბურგის აზრით, არბიტრობა და შერიგება კი არ იყო საჭირო, არამედ ამ უთანხმოების გაღრმავება და აშკარა ომამდე მიყვანა ამ ორი ბანაკის შორის, რათა შემდეგ „გამარჯვებული" მხარე სრულს დამოკიდებულებაში მოექცია; საუბედუროდ, ასეც მოხდა. მეფის ძენი, ეჭვით და უკმაყოფილებით შეპყრობილნი, თვის საუფლისწულოებში გაიხიზნენ და იქ გამაგრდენ.

ეს იყო აშკარა პროტესტი, რუსეთზე ასე უანგაროდ მინდობილ მეფის წინააღმდეგ; და ამავე დროს ბრძოლისათვის მზადება ყველას წინააღმდეგ, ვინც მეფეს და რუსებს ემხრობოდენ.

ფარნაოზ ბატონიშვილი სურამში გამაგრდა და აქ მან ბატონიშვილ მირიანის წილიც მიითვისა, რადგან ესეც ეხლა რუსთა ბანაკში მოქცეულიყო; იულონი შიდა ქართლში განმტკიცდა; ბატონიშვილ ვახტანგმა არაგვის საერისთაო დაიჭირა; ალექსანდრე ბატონიშვილმა, რომელსაც ყაზახი მხარს უჭერდა, სპარსეთში აბაზ მირზას მიაშურა 65 წარჩინებუ-

ლით და იქ რუსთა წინააღმდეგ გაწყობილ ჯარებს შეუერთდა.

ეს იყო დარეჯანის მიერ ახალ საგარეო პოლიტიკის უკვე აშკარა გზით წარმოება.

სპარსეთის მახვილი ხომ დიდი ხანია ილესებოდა „გიაურ“ რუსთა საწინააღმდეგოდ. იქნებ მას მართლაც გაედევნა ეს ძალა, მეფე გიორგიმ რომ ასე გულუბრყვილოდ დაამკვიდრა საქართველოში. მაგრამ აშკარა იყო, რომ დრო ეხლა რუსეთისათვის მუშაობდა: სპარსეთი თან და თან უძლურდებოდა და რუსეთსაც საქართველოში ახალი ძალები შემოჰყავდა; მეტი დაყოვნება აღარ შეიძლებოდა, და ბატონიშვილებიც თავთავიანთ საუფლისწულოებიდან დიდ ძალის რაზმებით დაიძრენ; მათ სწადდათ ძალად თბილისში შეჭრა, დარეჯანის იქედან მოტაცება და მისი ხელახლა დედოფლად გამოცხადება.

დედოფალი დარეჯანი ამ დროს აგლაბარში იმყოფებოდა; თუმცა ის თავის სასახლეში ცხოვრობდა, მაგრამ გიორგი მეფის ზვერვის ქვეშ რჩებოდა.

ვახტანგ ბატონიშვილი, იკლისის დამლევს, ჯარით უკვე ავჭალას მიადგა, იულონ ბატონიშვილი შიდა ქართლიდან და ფარნაოზ საარაგვოდან თვისის რაზმებით თითქმის თბილისამდე მიიჯრენ; ცალკე ომარ ხანი ავარიისა საქართველოზე ახალ თავდასხმისათვის ამოძრავდა და მალე ალაზანს მოადგა, სადაც მას ალექსანდრე ბატონიშვილი მიემატა იმ წარჩინებულ მხლებლებით, რომლებმაც რუსეთის ბატონობის ქვეშ დარჩენა არ ინდომეს და გადგენ.

მეფე-დედოფლის ამ შევიწროებაზე და ამ შეთქმაზე, რომელსაც ბატონიშვილები დარეჯანის სახსნელად აწყობდენ, პლატონ იოსელიანი შემდეგს მოგვითხრობს:

„შიში იყო დიდი სპარსთაგან და ომარ ხანისა. შიშსა ამას დაერთო ძმათა ამბოხი: იულონი, ვახტანგ და ფარნაოზ აორგულებდენ ქართლსა და არაგვს, ორჯერ მოუხდენ ქალაქსა 4.000 კაცითა და უნებდათ დედისა თვისისა, დედოფალისა დარეჯანისა წაყვანა თბილისიდან. მეფემან არ მისცა ნება დედოფალსა ქალაქიდან გასვლისა; დაუყენა მცველად 800 კაცი თვისისა ჯარისა და რუსთა სალდათნი. გამგეთ ყოველისა ამი-

სა დანიშნა კოვალენსკი და ძე მეფისა იოანე". და ისტორიკოსი შემდეგ დასძენს:

„ფარნაოზ, უმეტეს სხვათა ძმათა დაშთა შეურიგებლად. ამას ალექსანდრეზედ აქვთა დიდი იმედი, რომელიცა სწერდა სპარსეთით წერილთა დედოფალსა დარეჯანსა, იმერთა მეფე სოლომონს, ძმათა იულონს, ვახტანგს, ფარნაოზს და მირიანს, აგრეთვე ბოდბელსა იოანეს, თამაზ ყაფლანიშვილს და სხვათა. ჰგონებდენ ლეკთა ჯარისა და სპარსთა შემოსვლასა მალე საქართველოში, გარნა რუსთა ჯარმან, საკმაოდ თბილისსა მყოფმან, შეაშინა ყოველნივე, დარჩათ მათ იმედათ სნეულება მეფისა სასიკვდინე, ჰგონებდეს შემდეგ მისსა იულონისა გამეფებასა და რუსთა ჯარისა დათხოვნისა"-ო (32).

აქ ნათლად მოსჩანს ის გეგმა, რაიც დარეჯან დედოფალს მომხრეთ შეუმუშავებიათ. ამ ღონისძიების სათავე იმ „პირობების" გაბათილებაში უნდა ვეძიოთ, რაიც დედოფალმა დარეჯანმა, გიორგის მისი გამეფების წინ, ჩამოართვა.

დარეჯანის აზრით, სნეული მეფის დღეებთან ერთად დათვლილი უნდა ყოფილიყვნენ რუსეთის ბატონობის დღეები საქართველოში; ამ ფრთას იულონის გამეფება აინტერესებდა, რადგან ამას აღმოსავლეთით ექმნა პირი და იმერეთის დახმარებით „რუსთა ჯარისა დათხოვნა" უნდა მოეხდინა.

ამ უაღრესად კრიტიკულ დროს მეფის ერთად-ერთი ხსნა რუსეთის ჯარის დახმარება უნდა ყოფილიყო; და როცა ცნობა მოვიდა, რომ რუსის რაზმი პოლკოვნიკ გულიაკოვის მეთაურობით საქართველოს დედაქალაქს უახლოვდებაო, მეფე-დედოფალს გულზე მოეშვათ და ისინი დიდის ზეიმით მიეგებენ საქართველოს „მხსნელად" მოვლენილ ამ რაზმს; და „მეფე-დედოფალი დიდის ამალით გალავნის წინ სამის ვერსით შეეგებენ გულიაკოვის რაზმს; აქ მეფესა და დედოფალს ცალ-ცალკე კარვები გაუშალეს, მათ ირგვლივ აუარებელ ხალხს მოეყარა თავი; საერთო ზეიმი უმაღლეს წერტილს აღწევდა.

როგორც კი რუსის ჯარი გამოჩნდა, მეფე თვისის რაზმით წინ შეხვდა და მიესალმა; დედოფალი მარიამი კი კარავში ბრძანდებოდა და იქედან გულის ძგერით თვალს ადევნებდა რუსეთის ჯარის თბილისში შემოსვლას". (33).

დედოფალ მარიამის იმედები იმ ხანად, დიახ, გამართლდა: ქვეყანა დაცხრა.

*

თბილისში რუსის ახალ ჯარების შემოსვლამ და მისმა დაბანაკებამ საქართველოს საზღვრებზე სპარსეთი ერთბაშად აღაშფოთა. საფრთხე გაიზარდა, დიდი მტერი ეხლა გურჯისტანს დაბანაკდა. საჭირო შეიქმნა სასწრაფო ზომების მიღება; ამ დროს სპარსეთი გიორგი მეფეს თუმცა მრავალ მუქარას უთვლიდა, მაგრამ რუსეთის შიშით მას ომს მაინც ვერ უბედავდა. სპარსეთი გრძნობდა, რომ მეფე გიორგიმ საბოლოოდ პირი იბრუნა ირანის დაუძლურებულ ლომისაგან. კვლავ საჭირო შეიქმნა აღა მაჰმად ხანის ულმობელი მახვილის საქართველოს სხეულზე ამართვა და თბილისზე საშინელ ქარტეხილით გარდავლა.

მაგრამ საამისო ძალა აღარ იყო და ის მკვეთრი ხმალიც ყაჯარს საფლავში ჩაეტანა. მერე ვინ იცის, როგორ წაახდენდა რუსეთთან დამოკიდებულებას ეს ახალი ცდა საქართველოს „მორჯულებისა"! ამიტომ ამხელად ავარიის ხანის წაქეზება უფრო ხელსაყრელი იყო და სპარსეთის როლში გამოსვლა ამ ზვიად ვასალს უნდა ეკისრა. (34). ომარ ხანიც ხომ დიდი ხანია კბილებს ილესდა ურჩ საქართველოზე და მის რაზმსაც ახალ ნადავლის წყურვილი კვლავ მორეოდა. ერთი „განავარდება" როგორმე უნდა ჰქედროდა წილად, ვიდრე რუსეთი საბოლოოდ ამიერკავკასიაში ფეხს მოიკიდებდა. და ომარ ხანი (რომელიც ქართველ წარჩინებულთ ენათესავებოდა, რადგან მას ცოლად ჰყავდა აბაშიძის ასული), სპარსეთის დახმარებით, მალე გადაება ალექსანდრე ბატონიშვილს და საქართველოში დაშთენილ უკმაყოფილო ბატონიშვილებს და ამნაირად დარეჯან დედოფლის ანტირუსულ გარემოცვას. ამ გარემოებამ იჭვიანი მეფე ხომ უფრო დაუახლოვა რუსეთს; მისი მთავარი დასაყრდენი ეხლა ეს რუსული რაზმი იყო, რომელიც გულიაკოვის მეთაურობით, დამატებით მოუვიდა მეფეს (23.9.1800 წ.). და ამხელად ეს მცირედი დახმარებაც საკმარისი შეიქმნა მეფისათვის. მეფე-დედოფალი და ერთგულნი თითქოს ერეკლე მეფის დროშას ეფარებოდენ: ვერაგ სპარ-

სეთთან, საქართველო რომ საუკუნოების განმავლობაში ასე უწყალოდ აწამა და დაფლითა, ყოველი ანგარიშები მათ სამუდამოდ გათავებულად მიაჩნდათ. ეხლა მლიქვნელობა და დაპირობები აღარ სჭრიდენ; ერეკლეს გზა მახვილი იყო ირანის წინააღმდეგ მიმართული, და რუსეთთან ერთად საქართველოც შურის საძიებლად მხოლოდ მის დაუძლურებას უცდიდა.

*

ყველა ზემო-ნათქვამის მაუხედავად მეფე გიორგი მაინც ხედავდა, რომ პავლე პირველს საქართველო და მისი ქრისტიანობა იმდენად და მანამდის აინტერესებდა, ვიდრე რუსეთი ამიერ-კავკასიის სამუსულმანო ქვეყნებს დაეპატრონებოდა და მდიდარ აღმოსავლეთისაკენ გზებს გაიკაფავდა. ჩვენ არ გვინდა გავაზვიადოთ მეფის გულუბრყვილოდ რუსეთზე მიწდობის ამბები. ეს უსამართლობა იქნებოდა. განსაკუთრებით პირველ ხანებში მეფე დედოფალ მარიამთან ერთად მტკიცედ იდგა და რუსეთის იმპერიალიზმის მიერ დაგებულ მახედან თავის დაღწევას ლამობდა.

მართლაც, პირველ ხანებში, 1798 წ., მეფეს კიდევ ჰქონდა იმედი, რომ რუსეთს მაჰმადიან მეზობელთა საფრთხობელად გამოიყენებდა; და შემდეგ, რაც 1795 წ. დარბეულ ქვეყანას აღადგენდა, რუსის ჯარს მშვიდობიანად გაისტუმრებდა და სიმბოლიურად მხოლოდ 500 კაცს დაიტოვებდა, რათა მაჰმადიან მეზობელთ სცოდნოდათ, რომ რუსეთთან კავშირი ისევ ძალაში რჩებოდა.

მეფე გიორგიმ ელჩ გიორგი ავალიშვილს პეტერბურგში გამგზავრება მიანდო, რათა რუსეთმა საქართველოში საკმაო ჯარისკაცი წარმოგზავნოს; ეს ჯარები 5 წლის შემდეგ უნდა გასულიყვნენ საქართველოდან. გიორგი ითხოვდა პირდაპირ კავშირს პეტერბურგთან და არა „ლინიის" გამგეთა საშუალებით; ამან ხომ ერეკლეს დროს საბედისწეროდ დააგვიანა ჯარით დახმარება და აღა მაჰმად ხანის შემოჭრას ვეღარ მოუსწრო. მეფე ეხლავ 3.000 ჯარისკაცს მოითხოვდა, ხოლო თუ კი რომელიმე მეზობელი შფოთს აუტეხდა, მას თვითონ უფლება უნდა ჰქონოდა — ლინიიდან მყისვე მოეყვანა დამატებით 7.000 კაცამდე უფროსის დაუკითხავად. (35).

მეფის და მაშინდელ საქართველოს სიფხიზლეზე და ხიფათის სწორედ ათვისებაზე ჩვენ უფრო ვრცლად შევჩერდებით, როცა გიორგის ნოტებზე და რუსეთთან სამთო-მადნის ხელშეკრულების პირობებზე გვექნება ლაპარაკი. მაგრამ ძლიერი იმპერია ამას ნაკლებ ყურადღებას აქცევდა, რაკი სამეფოის დაუძლურებას ამჩნევდა.

მაგრამ დღეს მეფე ასეთის მაგრის ენით ვეღარ ელაპარაკებოდა რუსეთს. მისი ხმა ეხლა უფრო უმწეოს ძახილი იყო შველისათვის.

რუსეთის ნამდვილ ზრახვას მეფე გიორგი ეხლაც ისევე ნათლად ხედავდა, როგორც აქ ორი წლის წინად, მაგრამ რა ექმნა, რომ მისთვის სხვა გზა აღარ დარჩენილიყო. „სხვა გზა“, გარდა სპარსეთისა, მის სახელოვან მამას რომ სამუდამოდ დაეგდო. ამ „გზას“ ეხლა მისი მოწინააღმდეგენი — დედოფალი დარეჯან და ურჩი ბატონიშვილები მიმხრობოდენ. მაგრამ ეს ცდა ხომ ბევრად უარესი უნდა ყოფილიყო და მასზე შედგომა მეფე-დედოფალს აღარ შეეძლოთ. მართალია, დარეჯანის მომხრენიც იმავე ერეკლეს დიდ აჩრდილს ეფიცებოდენ, მისი ანდერძი უწმიდეს მცნებად გაეხადათ და ამის თანახმად, **მეფედ იულონის გამოცხადებას ლამობდენ,** მაგრამ აქ მთავარი იყო სპარსეთის ორიენტაციაზე ოცნება; ამ გზით ისინი თითქოს სუვერენულ საქართველოს აღდგენას ლამობდენ, დღეს ასე რომ შეეკვეცა გიორგი მეფეს და „სამოწყალოდ შებოჭილი“ რუსეთისათვის მიეგვარა. ჰეშმარიტად, ეს არ იყო დიდებულ ერეკლეს წადილი: მას რუსეთი ქართული ტახტის დასაცავად კი არ მოეწვია, არამედ მის განსამტკიცებლად; ეხლა კი ეს, რუსეთის ემისართა ხელში სათამაშოდ გამხდარი, უძლური და სნეული მეფე, ასე შეჰხარის დარიალზე გადმოსულ ახალ ჯარს, გულიაკოვმა რომ შემოიყვანა ქართველთა უფლების ვითომ „აღსადგენად“ და ერის წინააღმდეგ მებრძოლია ასალაგმავად.

ასე ფიქრობდა დარეჯან დედოფლის გარემოცვა, განმდგარ ბატონიშვილთა და წარჩინებულთა ერთი წყება და უფსკრული მათსა და გიორგი მეფისა და დედოფალ მარიამს შორის თანდათან ფართოვდებოდა და ღრმავდებოდა.

აშკარა იყო: მეხი მალე უნდა გავარდნილიყო.

მართალია, ივლისში დარეჯანის ავლაბრიდან გაყვანა ვერ მოეწყო და ბატონიშვილები რუსეთის რეზიდენტმა კოვალენსკიმ, სხვა და სხვა დაპირებებით, ერთხელ კიდევ დაიყოლია, მაგრამ ამით ბრძოლა, რომელსაც ორიენტაციისა და ტახტის ბედი საბოლოოდ უნდა გამოერკვია, მხოლოდ დროებით გადაიდო. ბატონიშვილები თავ-თავიანთ რაზმებით საკუთარ საუფლისწულოებში დაბრუნდენ და საბოლოო ბრძოლისათვის ახალ სამზადისს შეუდგენ.

საქმეს უფრო ის ართულებდა, რომ ომარ ხანი უკვე დიდ ძალებს ჰკრეფდა და ალექსანდრე ბატონიშვილთან ერთად გიორგი მეფეზე მწვავე შეტევას ამზადებდა; რუსეთი კი ძველ დაპირებებს ვერ სცილდებოდა და თითო-თითო ბათალიონი თუ შემოჰყავდა საქართველოში. რა გვარად შეეძლო სნეულს და უკვე ლოგინად ჩავარდნილ მეფეს ომის მოგება ავარიის ძლიერ ხანისა და განმდგარ ბატონიშვილთა წინააღმდეგ! რუსული რაზმები, რომელსაც გულიაკოვის ერთი ბათალიონი შეადგენდა, მას ვერაფერ ძალას შემატებდა. მდგომარეობა მართლაც მძიმე შეიქმნა და მეფემ სცადა ომარ ხანისა და განმდგარ ალექსანდრე ბატონიშვილისათვის ტკბილის, დიპლომატიურის წერილებით მიემართა, ერთხელ კიდევ ინდომა ამათი გული მოეგო და უძლური ქვეყანა საშინელ ხიფათისაგან დაეხსნა.

„მეფემან მისწერა, — ამბობს პლ. იოსელიანი, — წერილი ერთი არაბულად თვით ომარ ხანსა და მეორე — ძმასა თვისსა ალექსანდრესა".

პირველ წერილში ის ომარ ხანს სწერდა:

„მე ვარ პირმშო შვილი მამისა ჩემისა, მეფედ დამტკიცებული რუსთა, სპარსთა და თურქთაგან. ძმათა ჩემთა და თვით ალექსანდრემან, არა ინებეს ჩემი მეფობა, გამექცენ და მით აშფოთებენ ქვეყანასა. ურჩივეთ თქვენცა მას—დამემორჩილოს და მივსცემ მას სოფლებთა და ადგილთა სარჩოდ, რაცა ვერ მისცა მას მამამან ჩვენმან.

„თუ დამშვიდდება ალექსანდრე, მე და ჩემი ქვეყანა გავაძლიერებით და მაშინ კავშირი და ერთობა თქვენთან უფრო მეტი იქნება; დავახლოვდებით ძველითა ჩვეულებისამებრ და სარგებლობაც ჩვენგან ყოველთვის ექმნება დაღესტანელ-

თა, — ეხლა მდგომარეობა ქვეყნისა ცუდათ არის: აღრეულობისა გამო გაღარიბდა ერი ჩვენი. რუსთა მფარველობისა არა უნდა ეშინოდეს არცა ძმასა ჩემსა, არცა დაღესტნელთა".

მეორითა წერილითა ძმასთან, ამცნებდა მას ტკბილად ქრისტეს სიყვარულისათვის — დასცხრეს, მიეიდეს მისდა და მიიღოს ყოველივე, რასაცა შეეძლებს მეფე მისდა მისანიჭებლად. მისცა აღთქმით პირობა შეფიცებითა წინაშე ძელისა ჭეშმარიტისა, ჰყოს იგი კმაყოფილი. „მეფობისა დათმენა არ შეიძლება, ძმაო ალექსანდრე". — სწერდა მას, — დაეცემა მეფობა, უკეთუ განუყოფ მე სამეფოსა ძმათა ჩემთა. ვის უქმნია ესე — და არ უნანია? ნუ იქმნები მტერი ოჯახისა და საქრისტიანოსა. დამიახლოვე ავარიისა ხანი: შენზედ უკეთესსა შუამდგომელსა მასთან კაცსა, მე ვერ ვიპოვნი. — ნუ იქნები ორგული ქვეყნისა: აჩვენე ერთგულობა მეფობისა გაორებულისა და ამით ადიდე შენი სახელი. ამ ჩემ წერილთან ერთად გივა კათალიკოსისაცა წერილი ვედრებითა. ამბორს გიყოფ შორიდან და გელი მალე. მომეშველე და ვიყვნეთ სიყვარულით სიყვარულისათვის ქვეყნისა". (36).

პასუხი ამ წერილთა არა მოერთვა მეფესაო, — გვაუწყებს ისტორიკოსი. მეფის ამ უკანასკნელმა ცდამაც უნაყოფოდ ჩაიარა და ის მეხი, რომლის გავარდნის მეფე-დედოფალს ასე ეშინოდათ, ვერაფერმა დააცხრო; ორი ბანაკი აშკარად ერთმანეთს დაეჯახა. და 7 ნომებერს დიდი ბრძოლა გაჩაღდა; ამ ბრძოლას **ნიახურას ბრძოლა** ეწოდა; ის საქართველოს მეორე **კრწანისად** გადაქცეულიყო; ამ ბრძოლამ სამუდამოდ უკუაგდებინა საქართველოს აღმოსავლეთზე ორიენტაციის დაშვების ფიქრი; მაგრამ მანვე სამუდამოდ ჩაუგდო ხელთ სუსტი მკფე რუსთა ღენერლებს. ამ ბრძოლაში გიორგის დროებით გამარჯვება მოჰგვარა გულიაკოვის ჯარმა, ერთგულ ბატონიშვილთა იოანეს და ბაგრატის და კახურის რაზმის დახმარებით... მაგრამ ნამდვილი გამარჯვება რუსეთს ხვდა, რომელმაც ასე შეუწყო ხელი ქართულ სამეფო კარის შუაზე გათიშვას. ამ ორი ფრთის წინაღმდეგობა მალე აშკარა დაჯახებად გარდაიქცა და ბოლოს მან უმაღლეს წერტილს მიაღწია 1800 წლის ნოემბერში.

ირანის წადილის შემსრულებელმა, ომარ ხანმა ავარიის

რაზმები განმდგარ ბატონიშვილებს მიახმარა (ვახტანგს და იულონს, დარეჯან დედოფლის მფარველობის ქვეშ). 17.00 ავარიელებთან, ესენიც ალაზანს გადვიდენ და ყარაღაჯით საგარეჯოსკენ დაიძრენ, საცა შეერთებას ლამობდენ. აქვე მაო ალექსანდრე ბატონიშვილი ელოდა. ამ ადგილას უნდა ხელახლა გადაწყვეტილიყო ის ჭწვავე კითხვა, რომელიც ერეკლეს კრწანისის შემდეგ ერთხელ უკვე გადაეჭრა...

ეს ორიენტაციის საკითხი დღეს ისევ იარაღს უნდა გარდაეწყვიტა და რუსეთმა ღენ. გულიაკოვის რაზმის მეთაურობით, ქართველ მეომრებს მოუწოდა ერეკლეს პატივსაცემად, საქართველოს მრავალჯერ ამაოხრებელ ავარიელთა დასასჯელად და გიორგი მეფის უფლებათა დასაცავად. ეს მოწოდება და მეფე-დედოფლის ცდა უნაყოფოდ არ დარჩენილა და 7 ნოემბერს ამ ბრძოლაში **სოფელ ნიახურასთან** იოანე და ბაგრატ ბატონიშვილებმა, რუსულ ჯართა დახმარებით, ომარ ხანი სასტიკად დაამარცხეს და უკუ აქციეს.

გიორგი მეფეს და დედოფალ მარიამს საბუთი ჰქონდათ დიდის ამბით ედღესასწაულათ ეს გამარჯვება, მაგრამ სადღაც, გულის სიღრმეში ორთავეს **ის აზრი** მაინც აწუხებდა, რომ ამ ბრძოლაში განმდგართა წინააღმდეგ, საქართველოს და ტახტს დიდი რუსეთის იარაღი დასჭირდება და ეს იარაღი, ვინ იცის, ერთხელ ვის წინააღმდეგ იქნებოდა მიმართული; ვინ იცის, რას ფიქრობდა და რას უმზადებს პეტერბურგი პატარა საქართველოს!

•

ნიახურას ბრძოლის მოგებით ოდნავ მაინც გაუმართლდათ მეფე-დედოფალს დიდ იმპერიაზე დამყარებული იმედები; მაგრამ ეს „გამარჯვება" უფრო მეტად მეფის ერთგულმა ჯარმა მოიპოვა, ბატონიშვილ იოანეს და ბაგრატის მეთაურობით რომ იბრძოდა, ვიდრე დარიალის იქედან მოსულმა მხედრობამ.

მაგრამ ქართულ სასახლის ტრადიციამ თვის თავაზიანობას არ უღალატა და მთავარი დამსახურება ამ ომში მაინც რუსის ღენერალ გულიაკოვს მიაწერა. (37).

„მცხოვრებნი ქალაქისა ავლაბრიდან სასახლემდე. — ამ-

ბობს პ. იოსელიანი, — მოყვებოდენ ძლევა მოსილისა ღენერალსა (ე. ი. გულიაკოვს) ზურნით და დაფითა და საყვირითა"... (38).

ნიახურას ბრძოლაში მეფის ერთგულ ქართულ და რუსულ რაზმების გამარჯვებამ განსაკუთრებით თვით მეფე და დედოფალი აღაფრთოვანა. ამათ კარგად იცოდენ, რომ მთავარი გეგმა ამ ბრძოლისა იოანე ბატონიშვილს შეედგინა და ომარ ხანის და მის მოკავშირეთა საწინააღმდეგო შეტევები იოანეს და ბაგრატს ეწარმოებინათ. ბოლოს და ბოლოს ქართველმა მეომრებმა იხსნეს მეფე და ტახტი.

რუსული წყაროები კი (დუბროვინი, პოტტო და სხვანი) ამ გამარჯვებას უმთავრესად რუსულ მხედრობას მიაწერენ, მაგრამ მიუდგომელ მკვლევარისათვის, ამათში ყველაზე მეტად ძველი წყაროს ცნობა უფრო დამაჯერებელი უნდა იყოს. მაგალითად, მოგზაური **კლაპროტი, რომელიც საქართველოშიაც ყოფილა,** ნიახურაზე გამარჯვებას უმთავრესად ქართველ მეომრებს მიაწერს...

განსაკუთრებით კი „ქართველმა ცხენოსანმა რაზმმა ისახელა თავი"-ო, გვაუწყებს ის და დასძენს, რომ ეს ბრძოლები, რომლითაც ლეკნი და ომარ ხანი იძლიენენ და უკუ ქცეულ იქმნენ, მეფის ძისს, იოანეს სარდლობით და წინამძოლობით სწარმოებდენო. (39.).

აქვე უნდა მოვიყვანოთ პოეტ ალექსანდრე გრიბოედოვის ცნობა ამ ბრძოლაში ქართველთა გადამწყვეტ მნიშვნელობის მონაწილეობაზე; ლენინგრადის აკადემიურ გამოცემაში (1940 წ.) მოყვანილია ერთი ადგილი გრიბოედოვის დღიურისა, საცა ის სიტყვა-სიტყვით ამბობს:

„1801 წ. (უნდა იყოს — 1800 წ.) ომარ ხანი დამარცხებულ იქმნა ფშავ-ხევსურ რაზმების მიერ, რომელთა რიცხვი 5.000 აღწევდა; რუსები მხოლოდ **მაყურებლები** იყვნენ ამ ბრძოლისა"-ო. (40).

როგორც აღვნიშნეთ, ეს სამაგალითო სიმხნე და თავგამოდება ქართული ჯარისა მეფესა და დედოფალს კარგად ეცოდინებოდათ, მაგრამ საქართველოში ახლად შემოსულ რუსის ჯარს განსაკუთრებული გამხნეება და წახალისება სჭიროდა; და გარეგან და შინაურ მოზღვავებულ მტერთ შთაბე-

ჭდილება უნდა მიეღოთ, თითქოს რუსეთი ამ დღიდან მართლაც იცავდა გიორგი მეფის ტახტს და მოსული რუსის ჯარის ძლევამოსილება ამიერიდან მთელ ქვეყანას უნდა დაენახა. ამიტომ ისინი განგებ აზვიადებდენ რუსებისა და ღენ. გულიაკოვის მონაწილეობას ამ ბრძოლაში. ესეც ხომ ერთი ნიმუშია სამეფოს გულუბრყვილო პოლიტიკისა...

როგორც ვიცით, ღენ. გულიაკოვი, რომელიც გიორგი მეფის ნაჩუქარ ყარაბაღულ ცხენზე იჯდა, ნიახურას ბრძოლის შემდეგ სნეულ მეფეს ეახლა... „ესრეთ, ვითარცა ძლევა მოსილი“, გვაუწყებს ისტორიკოსი, „შემოვიდა ქალაქსა და პირდაპირ წარდგა იგი მეფესთან, სრულებით საწოლსა ზედა მდებარესთან და მიულოცა ერთობ ქართველთა და რუსთა ჯარისაგან გამარჯვება პირველი და ძლიერი, **სახელოვანი და საიმედო შემდეგთა დროთათვის** (ხაზი ჩვენია). ლეკთა ბაირაღები, მოტაცებულნი მძლეველთაგან მოაქვნდათ თვით ლეკთა, ტყვეთ შეპყრობილთა, აგრეთვე ზურნა და დაფი ლეკებისა. მცხოვრებნი ქალაქისა ავლაბრიდან სასახლემდე, მოყვებოდენ ძლევა-მოსილსა ღენერალსა ზურნითა და დაფითა და საყვირითა. მეფის ძენი ოანე და ბაგრატ, რომელნიცა დაესწრენ ბრძოლასა ამასა დიდსა და სახელოვანსა და რომელნიცა დააჯილდოვა იმპერატორმან, იდგენ მარჯვნივ და მარცხნივ ღენერლისა; დიდი და ვრცელი დროთა ამათ მოჲდანი სასახლისა გაივსო მაყურებელთაგან. **დედოფალი მარიამი და მეფისა ასულნი, მუნ დამსწრენი, შეხაროდენ მძლეველთა**; გამხიარულებულმა მეფის ასულმან რიფსიმე... წაიძრო თითიდამ... ბეჭედი ფირუზისა და უბოძა მას საჩუქრად. მიხედვით მაგალითითა ამისა **დედოფალმან უბრძანა მოხელესა თვისსა — მიართვან ბეჭედი და ერთიცა, სამ იაგუნდი სმული, ოქროს ბეჭედი ხელითა თვისითა უბოძა ღენერალსა. თვით მეფემან**, ოდეს ღენერალი მივიდა და აკოცა მკერდსა, აკოცა თვით ღენერალსა შუბლზე და უბრძანა სიტყვანი ტკბილნი: „მივსწერო იმპერატორსა პავლესა მხნეობა შენი, იმედი მაქვს — დაგაჯილდოებს დიდითო“. აქ იყვნენ შეკრებილნი კათალიკოსი ანტონი, არსენი თბილელი, იუსტინე მთავარ ეპისკოპოსი და სომეხთა ეპისკოპოსი ოჰანეზ ტფილისისა“... (41).

ასე დაუფასა ქართულმა სამეფო კარმა რუსის ჯარს ვითომდა მისი პირველი გამარჯვება, რომელმაც ერთ ხანს მაინც დააცხრო ლეკთა თავგასულობა. ავარელთა ბელადი ომარ ხანი კი ამ საშინელ დამარცხებას თან გადაჰყვა; მძიმედ დაჭრილი, ძლივს გააქციეს ნიახურადან და, როგორც ჩვენი მგოსანი გრიგოლ ორბელიანი გვაუწყებს: იგი დამარცხებული მივიდა მხოლოდ მცირედის ჯაოით ზაქათალასა და იქ მოკლა მწუხარებითა და სირცხვილით ამ დამარცხებისა გამო.*)

კერძოდ, დედოფალ მარიამს ნიახურასე გამარჯვებამ დიდი იმედები გაუღვიძა: თითქოს ის პირველად ხედავდა, რომ მისი ქმარის გენი და ზრუნვა ქამართლებულ უნდა ყოფილიყო; რომ რუსეთი მართლაც იყო მონდომებული პატარა საქართველოსათვის მფარველობა გაეწია და ამდენ ომებისა და რბევების შემდეგ გაღარიბებულ და გაუკაცრიელებულ სამშობლოს, დასვენებისა და აღმშენებლობის საშუალება მიეცემოდა, რომ რუსეთი ბოლოს მაინც, სათანადო პატივით მოეპყრობოდა ერთმორწმუნე საქართველოს და მის უძველეს დინასტიას; ამის შემდეგ კი ძეფობას და ტახტს ყოველი ხიფათი უნდა ასცდენოდათ. — ასე ფიქრობდა მარიამი და მას გულწრფელად სჯეროდა, რომ დედოფალ დარეჯანისა და მის მომხრეთა ამ დროს განდგომა დანაშაული იყო ერისა და სამეფოს წინაშე; და ის ცუდი გემო, რაიც რუსეთის მინისტრის პირველ დარბაზობას დედოფლის სასახლეში დაეტოვე-

---

*) მკითხველისათვის უინტერესო არ უნდა იყოს ის ცნობა, რომელიც პოეტ გრიგოლ ორბელიანს მოჰყავს ომარ ხანის ცოლის შესახებ; ეს ქალი ქართველთა წარჩინებულ ოჯახიდან ყოფილა (აბაშიძის ასული). «ომარმა, — გვიამბობს მგოსანი, — აიღო ვახანის ციხე და იქედან გამოიყვანა ტყვეთ ორნი დანი აბაშიძისა, რომელნიცა იყვნენ ბებიისა ჩვენის დები. მე როდესაც ვიყავ ავარიის მმართველად, ვდეგ იმ სახლში, სადაცა ჰცხოვრობდა მაია, ომარ ხანის ცოლი, ბებიის ჩემისა დაი... ეს მაია ომარ ხანის სიკვდილისა შემდეგ გამოვიდა საქართველოში და არ მახსოვს — რომელი თავადიშვილი — შეირთო იმერეთში»-ო. და მგოსანი ბოლოს დასძენს: «ორნი დაუძინებელნი მტერნი და საქართველოს დამამხობელნი — ომარ ხან მარხია ზაქათალის მეჩეთში და თავი აღა მაჰმად ხანისა იქვე»-ო. (42).



გიორგი მეცამეტე
უკანასკნელი მეფე საქართველოსი
(1746—1800)

ბინა, ამ ჟამად მაინც დავიწყებულ უნდა ყოფილიყო. ამ უეც და ფრიად უხეშ დარბაზობაზე, რომელიც არა მარტო რეზი დენტ კოვალენსკის ახასიათებდა, არამედ მის წარმომგზავნ დიდ რუსეთის ზრახვასაც ააშკარავებდა, ჩვენ დაწვრილებით ქვევით შევჩერდებით. ეხლა კი ვიტყვით, რომ დედოფალმა დაინახა, რომ სწორედ ის პირველი შეხვედრა და შთაბეჭდილება, რომელიც მას კოვალენსკის დარბაზობიდან მიეღო, იყო ნამდვილი და შეუნიღბავი სახე რუსეთის პოლიტიკისა პატარა ერისადმი. მაგრამ მაშინ დედოფალი და მეფე „სხვა იმედებით“ იყვნენ პყრობილნი... საქართველოს შველა სჭირდებოდა და ამისათვის მეფესაც და დედოფალსაც ყველაფერი უნდა აეტანათ. იქნებ ერთხელ ქართულ კეთილშობილებას ეს უხეშობაც მოეტეხა და რუსთა ძალა ქვეყნის სასსნელად გამოეყენებულიყო.

გავიხსენოთ რუსეთის პირველ ელჩის ეს საკვირველი „გამოცხადება“ მეფისა და დედოფალ მარიამის წინაშე. ამ ამბებს აგვიწერს რუსეთის მიერ საგანგებოდ წარმოგზავნილი რეზიდენტი, სოკოლოვი, რომელიც ქართველთა უკმაყოფილების და 1802 წლის ამბოხების მიზეზთა გამოსარკვევად თბილისს იყო მივლინებული.

სოკოლოვი რუსეთის ელჩის, კოვალენსკის დახასიათებას გადმოგვცემს. თუ რა უხეშად და უზრდელად ექცეოდა ეს „ელჩი“ უძველესის და კულტურულის ტრადიციებით ნაკურთხ სასახლეს და მის ბრწყინვალე დინასტიას: მას მინისტრ კოვალენსკის მეფესა და დედოფალთან პირველი დარბაზობის ამბები მოყავს. მეფე-დედოფალი ღენერალ კოვალენსკის თვისს დარბაზში დიდის ამბით ელოდენ; უნდოდათ რუსეთის უშუალო ხმა. რჩევა და ნუგეში სმენოდათ; ერეკლეს სიკვდილი, ტახტის ირგვლივ ატეხილი დავა, სპარსეთის ახალი მუქარა, ლეკების თავაშვება, — ეს დიდი და მწვავე ფაქტები იყო და ძლიერ „სტუმარს“, დიდი იმპერიის მინისტრს, მათთვის ბევრი რამ უნდა ეთქვა... მაგრამ გასაოცარი იყო ამ ელჩის მოქმედება და უფრო კი მისი „უმოქმედობა“... მას ელოდენ, უცდიდენ, ჰკითხავდენ, თუ როდისთვის „დაენიშნათ მისთვის უმაღლესი აუდიენცია“, მაგრამ ელჩი ყურსაც არ იბერტყავდა... რუსეთის ღირსების გამოსაჩენად მან თურმე

უკეთესი საშუალება ვერ გამონახა და გულში გადაწყვიტა: თუ კარგა ხანს არ ვალოდინე, ისე „ძლიერებას როსსიისასა“ ვერ მიხვდებიო.

მაგრამ ეს ლოდინი მაინც სჯობდა იმას, რაც შემდეგ სასახლემ ნახა. ღენ. კოვალენსკის მეფეს აცნობა: ჩემს მისაღებად „განსაკუთრებული სავარძელი“ უნდა გააკეთებინოთ, რომელზედაც დავბრძანდები-ო... მოვლენილ „მფარველს“ და ელჩს ეს უცნაური სურვილი შეუსრულეს; მეფისათვის უფრო მეტად ღირდა ის ამბები, რაც ამ „სავარძელზე“ მსხდომს უნდა მოეტანა და ამ პირველი აუდიენციის შემდეგ ნელ-ნელა კიდეც უნდა განეხორციელებინა... და ბოლოს, მეფისათვის ფასი ხომ მარტო იმ სამ ბათალიონს ჰქონდა, რუსეთმა ათას დაპირებათა შემდგომ, ალივს რომ გამოიმეტა.

სნეულებით და ამ აუდიენციის გადადებით დაღლილი მეფე მაინც ქართულ სამეფოს წესის თანახმად, სადარბაზოდ მოერთო... ბოლოს, როგორც იქმნა, კოვალენსკი გამოცხადდა; და ამ „გამოცხადებამ“ თავიდანვე ყოველგვარ მოლოდინს უხვად გადააჭარბა: რუსეთის ელჩი საზეიმოდ მორთულ სასახლეში ისე შევიდა, თითქოს მას თავისი თავი ორიენტალურ ყეენობაზე ჰგონოდეს, როგორც ამას ბ-ნი სოკოლოვი თვითონაც გვაუწყებს.

კოვალენსკი, საქრთველოს მეფის წინაშე, რუსულ „შუბაში“, თბილ ჩექმებით და საგზაო ქუდით მორთული, წარსდგა. როცა დარბაზში ელჩმა ნისთვის გამზადებული ახალი სავარძელი დაინახა, რომელიც მეფის ტახტიდან მოშორებით იდგა, ვერ მოითმინა, აიღო და მეფესთან სულ ახლოს მიაჩოჩა სავარძელი და მოსასხამითვე მეფის წინ შიგ ჩაჯდა; ესეც არ იკმარა და ლაპარაკის დროს ახლოს მისწია სავარძელი ისე, რომ თვისის ჩექმებით როგორმე მეფეს შეხებოდა... თვით ლაპარაკი იყო მშრალი და ტლანქი: ელჩი ყოველ სიტყვას იმით იწყებდა, რომ ის „ყოვლად უძლიერესის ხელმწიფე-იმპერატორის წარმომადგენელი იყო“... მეფეს დიდ ხანს მძიმე ლოდად აწვა ეს დარბაზობა და ალბათ შემდეგ, ჩვეულებისამებრ, დიდ ხანსვე იბანდა კვერცხის გულით თვის უშვენიერეს ხელებს, თითქოს ბინძურ რასმეს შეხებოდესო... (43).

ბოლოს, რუსეთს თვისი „სახე" საქართველოს დედოფლისათვისაც უნდა ეჩვენებინა და თვისის სიდარბაისლით და თავაზიანობით ქართლის ეს უმშვენიერესი ქალი და დედოფალი გაეოცებინა.

კოვალენსკი იმავე ჩაცმულობით ეხლა დედოფლის დარბაზში წარსდგა. მას აქაც, რაიმე საგანგებო და უცნაური უნდა დაენახვებინა სადემონსტრაციოდ დიდი რუსეთისა, რათა დედოფალი რითიმე დაემდაბლებინა... რამოდენიმე წუთის შემდეგ დარბაზობის დაწყებისა ელჩმა საათს დახედა და... უძლიერესი, ნაციონალური ფრაზა წარმოსთქვა: „შუა დღის ამ დროს რუსეთში „ადმირალის საათს" ვეტყვით და ეხლა სწორედ დროა არაყის სმისა"-ო.

დედოფალმა მას მოწყალებით გაუღიმა და უბრძანა, ელჩისათვის არაყი მოერთმიათ. ამით დედოფალმა დარბაისლურად ყველაფერი სთქვა და ელჩის ფასი მისთვის უკვე გამოკვეული იყო. (44).

ის უხეში და ტლანქი სახე, რაც რუსეთმა ამ პირველ დიპლომატიურ აქტის დროს დედოფალს აჩვენა, უკვე საკმაოდ მეტყველებდა, რომ ეს „სტუმარი" ჩვეულს არა ჰგავდა და მას სხვისი სასახლე უკვე თვის სასეირნოდ და სასეიროდ მიაჩნდა. მეფეს დიდი რუსეთის ელჩის საქციელი მეტად საწყენად დარჩაო, — ამბობს სოკოლოვი. მაგრამ არც ამით ამოიწურება ამ ელჩის თავგასულობაო, დასძენს იგი: მან თურმე შემდეგშიაც, ინვესტიტურის მიღებისას, მთელ სასახლეს სამი საათი ალოდინა.

ქართულ სამეფო ეტიკეტის მიხედვით, გიორგი მეფეს რუსთა ელჩი სადილად მიიპატიჟა; მაგრამ კოვალენსკიმ, ვითომდა ავადმყოფობის მომიზეზებით, მეფეს უარი შეუთვალა. ამგვარი რამ სასახლეში ჯერ ხომ არავის ენახა, მაგრამ მეფე ეხლაც მოთმინების ჭურჭელად გარდაიქცა... ელჩმა არც ეს აკმარა თურმე მეფეს: მან სასახლეში ყველა თვისი მოსამსახურენი ამ საზეიმო სადილზე დასასწრებლად წარგზავნა, ხოლო თვითონ კი, შეუმჩნეველად, შევიდა „გალერეაში" და იქიდან ჩუმად ყველაფერს თვალყურს ადევნებდა-ო". ამრიგად,

რუსეთის ელჩი, ვიდრე ეს სადილი გრძელდებოდა, მოფარებულ ადგილიდან ხარბად უცქეროდა მთელ ამ ნადიმს და შემდეგ შინ დაბრუნდა-ო". (იქვე, 44).

ყველა ეს ამბები სამეფოსათვის დაფარული აღარ იყო... დედოფალი და მეფე აშკარად ხედავდენ, რომ ეს კაცი შეგნებულად ცდილობდა ყოველ ფეხის ნაბიჯზე ქართული სამეფო სახლი დაემცირებინა და ხაზი გაესვა, რომ დიდი რუსეთისათვის პატარა საქართველო, მისი მეფე-დედოფალით სრულიად არაფერს არ წარმოადგენდა და რომ მათი არსებობა რუსეთის წყალობაზე იყო დამოკიდებული...

ასე იქცეოდა ეს „სტუმარი" ქართულ ძველ სასახლეში, რომელსაც მაღალ ეტიკეტის და ზვიადობის გარდა არა ენახა რა...

და რუსეთის საგანგებო ელჩისარი, სოკოლოვი, დასძენს, რომ დიდად მომთმენმა მეფემაც მეტი ვეღარ აიტანა და რუსეთს აგრძნობინა, რომ კოვალენსკი მისთვის სასურველი აღარ იყო...

დედოფალიც ხომ ნათლად ხედავდა ამ ელჩის ვერაგობას; ხედავდა, თუ როგორ იტანჯებოდა საცოდავი მეფე-ბატონი ორნაირის სნეულებით; იღწვოდა მისთვის ფრიად, რათა მისი ფიზიკური, უიმედო სნეულება შეემსუბუქებინა და სულიერი ქენჯნა და მწუხარება, საქართველოს მწუხრს თან რომ სდევდა, მეფისათვის ასატანი გაეხადა.

ხედავდა მარიამი, რომ მეფისათვის ადვილი არ იყო სამეფოზე ხელის აღება და სახელმწიფოს რუსეთთან სრული შეერთება. მაგრამ თვისი უანგარო სიყვარული და ქმრისადმი დიდი პატივისცემა მას ამ პოლიტიკის გამართლებას უკარნახებდა. და ამხელად დედოფალს ისიც დიდ საქმედ მიაჩნდა, რომ გიორგი მეფის „თხოვნითი პუნქტები"-ს ძალით „სამეფოს სახელის" და „მეფის ხარისხის" შენახვა ბაგრატიონთა ოჯახში საშვილიშვილოდ ხელშეუხებელად უნდა დაშთენილიყო.

ასეთი მსვლელობა მიეღო სასახლისა და სამეფოს ვითარებას დღეს; მაგრამ იყო დრო, როცა გიორგი მეფე საგარეო პოლიტიკაშიც ისეთსავე სიმტკიცეს და განუხრელობას იჩენდა, როგორც თვისი მეფედ გამოცხადების სამზადისში; მაშინ,

როგორც ვნახეთ, მან გასაოცარის სისწრაფით განმდგარ ძმებს და დარეჯანის მომხრეთ თვისი ნება ძალად თავს მოახვია; აქ ის არავითარ დათმობებზე წასვლას არ ფიქრობდა და გამარჯვებაც მას დარჩა.

თავიდანვე ასეთ სიმტკიცეს იჩენდა მეფე რუსეთთან დამოკიდებულებაშიც: იმპერიას ის თვისს მოვალეობებზე მიუთითებდა, ერეკლეს ტრაქტატის ნიადაგზე რჩებოდა და მეფის უფლებათა საკითხში ურყევი იყო. მან თუმცა იცის, რომ მეფედ დამტკიცების ღრამოტა პეტერბურგიდან უნდა მოვიდეს, მაგრამ ამას ის უბრალო «ფორმალობად» აცხადებს. ის ხაზგასმით აღიარებს, რომ ადის ტახტზე თვითონ, საკუთარის უფლებით და დაუცდის დამტკიცების მოსვლას... აქაც მეფე მამის მიერ დადებულ ტრაქტატს იშველიებს და პეტერბურგს სწერს:

«ჩვენგ წელსა გვაქვნდა ჩვენ აღთქმა..., რომ საქართველოსა **ტახტსა ზედა აღსრულმან** მოვახსენოთ იმპერატ. თქვენისა დიდებულებასა ჩვენი სამკვიდროსა და ჰსჯულიერსა **ტახტსა ზედა აღსვლა** და ვითხოვოთ ამის დამტკიცება»-ო და სხვა. ამასთანავე მოითხოვს: 1. ჰქონდეს უშუალო კავშირის ნება პავლე I-თან, რათა არ დააგვიანდეს საჭირო ზომათა მიღებას;

2. მეფე მოითხოვდა, რომ მფარველობა რუსეთისა ყოფილიყო **ურყევი და მუდმივი**, რათა საჭირო არ იქმნეს **სხვა სახელმწიფოს მივმართო დახმარებისათვისო...**

3. ჩემსა და ჩემის მემკვიდრის დამტკიცების შემდეგ, მე თვითონ უნდა განვაგებდე სამეფოსა»-ო, — სწერს მეფე, და — ნუ ვინ შემომიხდება, სამეფოსა ჩემსა შინა და ნუ ვინ უპატივო ჰყოფს თავადთა, აზნაურთა და გლეხთა ჩემთა თვინიერ ნების ჩემისა-ო.

4. მეფე ითხოვს პირობას, რათა ხარისხი მეფობისა მის მემკვიდრეებზე გადადიოდეს სამუდამო შეურყეველობით; «განამხნევეთ, — სწერს ის, — ამა ხელმწიფურის განხმხნობითა, რათა მემკვიდრესა და მონაცვლეთა ჩვენთა **აქვნდეს საუკუნოდ და შეურყეველად... მეფობის ხარისხი»-ო.**

5. მეფე ითხოვს — ებოძოს «ეხლავ და მუდმივად 3.000 ჯარისკაცი, რომლის უფროსი (კომენდანტი) მეფის სრულ

მორჩილებაში უნდა იმყოფებოდეს... ხოლო თუ სპარსი, ან ვინმე სხვა დაგვეცეს, ლინიადან **მყისვე და მოუხსენებლად პეტერბურგისათვის**, 7.000 ჯარის კაცი მოგვაშველონ»-ო. (ამრიგად, მეფე 10.000 ჯარისკაცით დახმარებას მოითხოვდა). (44ა).

აი, ასეთი სიმტკიცე გამოსჭვიოდა გიორგის გამეფების პირველ ხანებში. მაგრამ რუსეთის «გულციობამ» და დროის მოგების პოლიტიკამ, ჩიხში მომწყვდეული მეფე, როგორც აღვნიშნეთ, მალე გადიყვანა ამ მოთხოვნილებიდან «ვედრებით პუნქტებზე»... და 1800 წ. დეკემბერში სრულიად დასნეულებული, პროტექტორისაგან იმედ-გაცრუებული, მეფე მუსინ-პუშკინის პროექტს ჩაეჭიდება, რათა «მადნების დასაცავლად» რუსეთს დამატებით 3.000 ჯარისკაცი ჩამოაყვანინოს; თუმცა მეფე ხიფათს გრძნობს, სიფხიზლეს არ ჰკარგავს და აქვე უარჰყოფს მუსინ-პუშკინის პროექტის საკოლონიზაციო ნაწილს და დასძენს: მუშების მოყვანის უფლება რუსეთს არა აქვსო. ჩვენ თვითონ მოვიყვანთ მუშებს საქართველოს სხვა და სხვა კუთხეებიდანო. (45).

ამ სამთო-მადნო კონცესიის გაცემას ორივე მოპირდაპირენი იმდენად დიდ მნიშვნელობას აიღებენ, რომ საჭიროა მასზე ცოტა უფრო დაწვრილებით შევჩერდეთ.

როგორც ვიცით, პეტერბურგის დავალებით მუსინ-პუშკინმა 16 ნოემბერს 1800 წ. მეფეს აცნობა პირობები საქართველოს მადნების რუსეთისათვის დათმობისა.

თვალის უბრალო გადავლებითაც ვრწმუნდებით, რომ ამ პირობებში პოლიტიკური და წმიდა სტრატეგიული მოტივები სჭარბობენ ეკონომიურს. ასე მაგალითად, რუსეთს უნდა ბინიჭებოდა უფლება ციხეთა და სიმაგრეთა აგებისა; ამასთან, მეფეს ჩამოყვანილ რუს მუშათათვის უნდა საკმარისი სახნავ-სათიბი მიწები დაეთმო («მიეცესთ ტყე, წყალნი და ისე ვითარნი სახმარნი» და სხვა). ამ პირობათა ბოლოში, მეფის დაჯინებითი მოთხოვნის გამო, დაურთეს: «მიეცეს (მეფეს) მადანთა დასაცავად 3.000 რუსთა ყარაული»... მეფე და დედოფალი მთავარ ყურადღებას სწორედ ამ უკანასკნელ მუხლს

აქცევდენ. პირობას აზის ბეჭდები მეფისა და მარიამ დედოფლისა.

სწორედ ამ დროს ეჭირვებოდა საქართველოს — შინ და გარედ მომძლავრებულ მტერთა საწინააღმდეგოდ — მრავალჯერ აღთქმული, მაგრამ ჯერაც კიდევ ვერ მიღებული, დახმარება რუსეთის ჯარითა... და მეფე-დედოფალმა დააჩქარეს მუსინ-პუშკინის პირობანი პეტერბურგისაკენ ეფრინათ; იქნებ პავლე I-ს კეთილენებებინა და საქართველოს მდიდარ მადანთა მიღების სანაცვლოდ, ის 3.000 ჯარისკაცი «ყარაულად» მაინც წარმოეგზავნა. მაგრამ ბედმა მეფეს აქაც უმტყუნა. მუსინ-პუშკინის ამ პროექტმა რუსეთის მთავრობას 5. 1. 1801 წ. მიაღწია, როცა მეფე საქართველოსი უკვე აღსრულებული იყო... ეხლა რუსეთს საქართველოს მადნების მიღების პირობები არაფრად სჭიროდა; მას სწადდა მთელ საქართველოს «მიღება». მუსინ-პუშკინის გეგმითაც ხომ მადნების მიღება პირველი საფეხური იყო ამ მდიდარ კუთხის რუსეთისათვის მისაკუთვნებლად...

მუსინ-პუშკინი ეხლა გაცხოველებულ მოქმედებას შეუდგა: ჯიუტი მეფე აღარ იყო და დედოფალს აბა რა წინააღმდეგობის გაწევა შეეძლო, როცა თვით ტახტიც დაცარიელებული იყო... მაგრამ მუსინ-პუშკინმა თვისი მზაკვრული გეგმების ნაყოფი მაინც ვერ იგემა ისე, როგორც ვერ დასტკბენ საქართველოს სამეფოს აღსრულებით მამაცი ღენერლები ციციანოვი და ლაზარევი...

პლ. იოსელიანი მუსინ-პუშკინზე სწერს:

«1801 წ. მუსინ-პუშკინმა იწყო მუშაობა მადნებისა; და 3 წელსა ვერა რაი ქმნეს. კნიაზმა ციციანოვმა 1803 წელსა იხილა ესე მძიმედ მმართველობისათვის და უნდოდა შეეყენება მუშაობისა. მუსინ-პუშკინი მწუხარებითა მოკვდა თბილისს და დაასაფლავეს ჯვარის მამის ეკლესიასა». (46).

•

დავუბრუნდეთ ეხლა მეფე გიორგის პოლიტიკურ ნაბიჯს და მის «თხოვნითი პუნქტებს», ზემო აღნიშნულ მადნების კონტრაქტს წინ რომ უძღოდა.

მაშინ მეფე გიორგის ჯერ კიდევ სჯეროდა მართლამადიდე-

ბელ მონარქის «მფარველობისა» და «ქართლ-კახეთის მეფის ხარისხის» შენარჩუნებისათვის ყოველგვარ დათმობებზე მიდიოდა.

დედოფალი პარიამი ალბათ გრძნობდა, თუ რა განსხვავება იყო დიდი ერეკლეს მტკიცე ნებისა, მისი 1783 წლის ტრაქტატისა და დაუძლურებულ, გატეხილ მეფის «თხოვნითი პუნქტების» შუა; მაგრამ ისიც სჯეროდა, რომ სამშობლოს მომავალ კეთილდღეობისათვის რუსის ჯარის გამოყენება შესაძლებელი იყო. მაგრამ სინამდვილეში, სნეული მეფე უძლური გამხდარიყო ამ «დასახმარებლად მოყვანილ» მხედრობისათვის საზღვარი დაედო და ლაგამი აეწია. ამით მეფე და დედოფალი სავსებით განირჩეოდენ ერეკლესა და დარეჯანისაგან. მაგრამ, ვიმეორებთ, წადილი რუსთა მხედრობის გამოყენებისა ეხლაც გადამჭრელ როლს თამაშობდა. ეს წადილი, ისე როგორც დიდი ერეკლეს დროს, სამეფოს არსებულ საზღვრებს სცილდებოდა და ისტორიის მანძილზე მიტაცებულ ძველ მიწა-წყლის შემომტკიცებაზე ოცნებობდა.

ცხადია, რომ ისეთის გადაჭრით, როგორც ნეტარხსენებული მამა ამას სჩადიოდა, ყოველ მხრივ შევიწროებული მეფე გიორგი ვერ მოითხოვდა რუსულ ჯარის დახმარებას სამცხე-საათაბაგოს კვლავ შემოსაერთებლად...

მაგრამ მსგავს პირობებს მეფე გიორგის ნოტაშიც ვხვდებით, რაიც ქართლ-კახეთის მუდმივ შევიწროებას შეეხება ჰარელებისაგან. გიორგი მეფე გარკვევით ამბობდა, რომ ჰარელნი «შთამომავლობით თვისით არიან ძველნი კახეთისაგანნი, ხოლო მაჰმადიანად მოქცევის შემდეგ, ოსმალთა და სპარსთა «ფორპოსტად» გამხდარან, დასარბევად საქართველოისა»-ო. ამიტომ ქვეყნის დასამშვიდებლად მოითხოვს მეფე რუსთა მხედრობისაგან — აქედან ჰარელთა აყრას და გადასახლებას, ხოლო «ამ ადგილებში, რომელნიცა არს ნაყოფიერ, ჩავასახლოთ ქრისტიანი ქართველები»-ო. (47). ამ მიზნითვე ჰქონდათ გიორგის ელჩებს დავალებული — წაეყენებინათ რუსეთის კარის წინაშე პირობა, რათა განჯისა და ერევნის სახანოები, ვითარცა წინად, ეხლაც საქართველოს სამეფოს დამოკიდებულებაში მოქცეულიყვენ. ეს სახანოები, ერეკლეს რომ შემომ-

ტკიცებული ჰყავდა, გიორგი მეფის დასუსტებულ სამეფოს ფაქტიურად სავსებით განუდგენ.

ამრიგად, საქართველოს ტერიტორიის რუსთა ჯარის შემწეობით განმტკიცების და განვრცობის იდეა ეხლაც სახელმძღვანელოდ გაეხადა გიორგი მეფეს, ვით წინად ერეკლეს, თუმცა ეს გეგმა დღეს უფრო ვიწროდ და მკრთალად გამოიყურებოდა...

სწორედ ამ «განვრცობის» გეგმა ერეკლე-გიორგისა დიდის ოსტატობით აქვს გადმოცემული ისტორიკოსს პლ. იოსელიანს, ის წერს:

«განგება ღვთისა **რუსთაცე ძალითა** მოიყვანს ერთობასა: ქობულეთსა, აჭარასა, ლივანსა, ჯერეთაც თურქთაგან პყრობილთა... ნათესაობითა ერთობა ქართველთა გვარისა განმტკიცდება სარწმუნოებითითა მათთან»... და სხვა. (48).

აი, ამ იდეამ უფრო შეუმსუბუქა თვისი ნაბიჯი მეფე გიორგის და რამდენიმედ მაინც ასე უნდა გავიგოთ ის დიდი მნიშვნელობა, რასაც ის რუსეთის «ერთმორწმუნეობა»-ს აწერდა...

ეს არ იყო მისთვის უბრალო სიტყვა; მაჰმადიანურ ქვეყნების მიერ საქართველოს სხეულიდან გამოკვეთილ ნაწილების გამობრუნება და ხელ-ახლა შემომტკიცება, რასაკვირველია, ნიშნავდა ამათ ქრისტიანულ რჯულზე მოქცევას; ხოლო ამის ძალა დღეს მარტო რუსეთს თუ ჰქონდა; ეხლა რუსეთი ისლამს ებრძოდა და ამ გზით სამხრეთით თვის გავლენას სტიქიურად ზრდიდა.

მაგრამ რუსეთთან შეერთების საკითხი მეფეს ასე ერთბაშად არ გადაუწყვეტია და, როგორც ვსთქვით, ბევრი დაეა, შინაგანი ბრძოლა და მწუხარება გაიარა, ვიდრე ამას საბოლოოდ შეურიგდებოდა.

სწორედ ამ საკითხში მრავალნი ეწინააღმდეგებოდენ მეფეს და რჩევა-ბჭობით მისი გულის მობრუნებას სცდილობდენ... მაგალითად, პატრი ნიკოლა არ ურჩევდა სამეფოს გადაცემას რუსეთისათვის და ეტყოდა: ...«დამონებული სხვათაგან მეფობა, არის უბედური და მარადის სამწუხარო: **სხვითაგან დამოკიდებული ქვეყანა იქნება დაცინებული და საკიცხველი, შეექნება ერსა მტერად და მდევნელად და მაწუხებლად.** მა-

მაშვილური მთავრობა მეფეთა გარდაიქცევა მამინაცვლის და დედინაცვლისა სახედ... რუსნი შემოიტანენ პირველადვე მძიმესა უღელსა და დასდებენ ქვეყანასა კისერსა, მოითხოვენ დიდთა ხარკთა, რომელთაცა თქვენ ვერ შეძლებთ; მაშინ თქვენი მამული, და ყმანი გაისყიდებიან ბარაბანითა და მკვდარნი თქვენნი დაიმარხებიან მუზიკითა»...

მეფეს თითქოს ეს ყველაფერი ესმოდა, მაგრამ გამოსავალს ვერა ხედავდა. ევროპას საქართველო არ აინტერესებდა — ის შორს იყო; ხოლო სპარსეთ-ოსმალეთი მას ათათრებდა და ქართველობას უკარგავდა.

«ჩემო პატრო, დავსუსტდით, — მიუგებდა მეფე პატრ ნიკოლას, — გაჰქრება ქრისტიანობა აქ ურუსოთ; მეტათ მოგვერია მტერი და რა მტერი! ქრისტესი... თუ არა მკლავი რუსთა ხელმწიფისა, ვერ ვინ დაიცავს საქართველოსა; მესმის სიმძიმე რუსთა ჩემზედ ბრძანებლობისა, რა ვქნა? ვის მივმართო?»-ო, და დასძენს: «ეს იყო სურვილი ძველთა მამა-პაპათა ჩემთა, და ესე იყო ჰაზრი მამისა ჩემისა და მეც დავადგები მასზედ»-ო... (49).

რამდენი ვაება და უმწეო გლოვაა მეფის ამ სიტყვებში: «რა ვქნა, ვის მივმართო»-ო; განა არ იცოდა, რას უქადდა რუსეთზე სრული მინდობა? ამას ემატებოდა ისიც, რომ ერთგვარი რყევა საქართველოს საკითხში რუსეთში ჯერ კიდევ იყო. როგორც სჩანს, პეტერბურგი საქმეს იმდენად მომწიფებულ არ სთვლიდა, რომ საქართველოს ყოველგვარ პირობათა გარეშე შემოერთება უმტკივნეულოდ მიეჩნია. ამიტომ რუსეთი საქართველოს საკითხს ხელოვნურად აჭიანურებდა და ელჩებს აქეთ-იქით გზავნიდა იმ იმედით, რომ დრო მის სასარგებლოდ მუშაობდა; ამხანად რუსეთის მოკავშირე და ერთგული ხომ მეფის განუკურნავი სნეულება იყო. ის უნდა გარდაცვლილიყო და მასთან ერთად ქართულ დინასტიასაც წესი უნდა აგებოდა; საამისო ბრძანებები და საიდუმლო განკარგულებები მომავალ მთავარმართებელ კნორრინგისადმი და კოვალენსკ-ლაზარევისადმი უკვე გაგზავნილი იყო. საქართველოს სახელმწიფოს აღსრულების «მანიფესტი»-ც პავლე I-ს პორთფელში ედო გამზადებული. თითქოს ყველაფერი ამ მხრივ რიგზე იყო; მაგრამ ბუნებით მაგარს და ვაჟკაცურად

ნაგებ მეფეს ჰირი ასე ადვილად ვერ ერეოდა. ეხლა მისი და დედოფალ მარიამის ფიქრი და ზრუნვა მხოლოდ ის იყო, რომ «თხოვნებითი პუნქტები», ერისა და ტახტის საკითხი, როგორმე ბოლომდე მიეყვანათ, რათა **ორივე მხარეს** სამუდამო ხელშეკრულება დაედო.

ამით სამეფო ხარისხის გაქრობის შიში სამუდამოდ უნდა აღმოფხვრილიყო... მაგრამ დრო გადიოდა და ეს საქმე წინ არ იწევროდა.

გიორგი მეფემ უკვე ყველაფერი სცადა და ეხლა დასუსტებულ სამეფოს გამაგრებას, დედოფალთან ერთად, რელიგიურ-მისტიურ საფუძველზე ფიქრობდა.

მატერიალურად გაცლილ ქვეყნის მორალურ გამაგრებისათვის, ის შორეულ საუკუნეთა გაცოცხლებას ლამობს; და გიორგი მეფე ალექსანდრე ბაქარის ძეს (ნიჟნი ნოვგოროდში) მოციქულის პირით ქართველთა უძველეს განძის და სიწმიდის, — «ჯვარი ვაზისა» — უკან დაბრუნებას სთხოვს და თვის მიმართვაში დასძენს:

«ღმერთმან მამათა ჩვენთა, ინება და მომცა ტახტი ქართველთა მეფობისა. გაოხრებულს მტერთაგან აკლია ახალი რაიმე წყალობა, სასოება და **ნუგეში»-ო**, და ბოლოს ასე ათავებს: «ამბავი ჩვენის ქვეყნისა, მტერთაგან შევიწროებულისა, თქვენც მოგეხსენებათ, რუსეთი არ შეგვეწია, უპირს საქრისტიანოსა. მაქვს მიწერ-მოწერა რუსეთის ხელმწიფესთან. **სპარსთა ვეღარ ვენდობით, თურქები ავის თვალით გვიყურებენ, ლეკი ვერ დასცხრა ავაზაკობისგან»-ო** და სხვა. და მეფედედოფალი რუსეთიდან ამ ეროვნულ საგანძურის («ჯვარი ვაზისა») ისევ საქართველოში ჩამოტანით ხალხის სულიერ განმტკიცებას ცდილობენ. (50).

დედოფალი მარიამი დიდად იტანჯებოდა მეფის მძიმე სნეულებით. მან იცოდა, რომ ახალგაზრდობაშივე ქვრივდებოდა; რომ უამრავი წვრილი შვილები უპატრონოდ რჩებოდენ; მაგრამ ბევრად უფრო საშინელი ამბავი ხომ ქვეყანასა და ტახტს უნდა დასტეხოდა. რუსეთი უკვე ახდილად საქართველოს სამეფოს ინკორპორაციისათვის ემზადებოდა; ხოლო დარეჯანის მომხრენი იულონის, ან თვით დარეჯანის გამეფებას ცდილობდენ; თვით მეფეს მისივე მემკვიდრე, დავითი გან-

დგომოდა და მამას და შვილს ურთი-ერთის აღარაფერი სწამდათ; რა მოელოდა მის საყვარელ სამშობლოს, ან თვითონ მას ამ საშინელ განსაცდელის დროს? სამეფოს მტრები ეხლა ხომ უკვე აშკარად სისინებდენ და სომხობა, არღუთაშვილის და ბებუთაშვილის ირგვლივ დარაზმული, რუსეთს აგულიანებდა: რაც შეიძლება ჩქარა ჩაეცათ საქართველოსათვის უკანასკნელი მახვილი... საქმის გადარჩენა მხოლოდ რაიმე სასწაულს შეეძლო; და დედოფალი ცრემლით იღვრებოდა და დღე და ღამ ლოცვაში ატარებდა, ვედრებდა უფალს: გადაერჩინა ქვეყანა და გაეგრძელებინა მეფისათვის სიცოცხლე... მარტო ამას თუ შეეძლო სახელმწიფოს და ტახტის შენახვა! და დედოფლის თხოვნით მთელს სამეფოში გიორგი მეფეს პარაკლისები არ დაჰკლებია. ისტორიკოსი იოსელიანი დიდის დრამატიზმით აგვიწერს ამ მწუხარებას და სასოებით გარდაქმნას მარიამ დედოფლისას; მისი თხოვნით, კათალიკოს-პატრიარქს ქართლისა და კახეთის მღვდელმთავართა და მონასტერთა წინამძღვართათვის მიუწერია, რათა «ილოცვიდენ მეფის სნეულისა განკურნებისათვის და ჰყოფდენ ვედრებასა... თვით თბილისსა დღე ყოველ ეკლესიათა შინა იყო ვედრება. დედოფალი მარიამი მხლებლებითა თვისითა ფეხშიშველი ვიდოდა ანჩისხატისა ეკლესიასა და წინაშე ხელთუქმნელისა ხატისა დაჩოქვითა, ცხარითა ცრემლითა დინებითა, წვრილთა შვილთა: ილიასი, ოქროპირისა, ირაკლისა და თამარის მუნ დასწრებითა, ევედრებოდა ღმერთსა — განაგრძოს დღე მეფისა დროთა ამათ მწარეთა ამბოხთა დასამშვიდებლად საჭიროსა» (იქვე, 50). ამ აღრევისა და საერთო უბედურების ჟამს დედოფალი მხოლოდ საქართველოს მომავლისათვის ცოცხლობდა და მისი დაფარული ენერგია ეხლა კაჟდებოდა. დედოფალ მარიამს ეხლა მარტო ცრემლი და ლოცვა დაშთენოდა, და ეს მისი გოდება გადადიოდა მთელს თბილისზე; ყოველი ქართველის გული შინაგან ამ უდიდეს ტრაგედიას — სახელმწიფოს დაქცევის უკანასკნელ დღეებს — განიცდიდა; იგივე ისტორიკოსი იტყვის:

«გრგვინავდა ხმა გოდებისა და ტირილისა გარემო დედოფლისა, მწარედ მტირალისა, **ბნელი დღე იყო**, დღე ესე ცრემლისა და ვაებისაა». მაგრამ სასწაული არ ხდებოდა, მეფე არ

იკურნებოდა და განგებასაც სამეფოს ბედი უკვე გარდაეწყვიტა.

ამ დროს პეტერბურგსა და პავლე I-ს მოთმინება უკვე აღარ ჰყოფნიდათ; ადრიდანვე შედგენილი და შენახული მანიფესტი მათ პორთფელიდან გამოიღეს და «საქართველოს შემოერთება» ქვეყანას ამცნეს, ისე რომ არც მეფეს და არც საქართველოს ეს ამბავი ჯერ არც კი გაეგოთ. და მომაკვდავ მეფის სარეცელთან მდგომი დედოფალი მარიამი, მეფის გამობრუნების იმედი რომ სამუდამოდ დაეკარგა, ეხლა მარტო საქართველოზე და მის ბედზე მწარე ფიქრებს შეეპყრო.

მეტი ლოდინი არ იქნებოდა: ტახტს დიდი უბედურება ელოდა, სამშობლო განსაცდელში ჩავარდნილიყო; და იქნებ ამ დროს მეფის უკანასკნელ სიტყვას, **მის ანდერძს**, ვით უმაღლეს და უწმიდესს, ენებათა ღელვანი დაეცხრო, მოწინააღმდეგენი როგორმე მოერიგებინა და ტახტის ირგვლივ ძველი ერთობა აღედგინა. იქნებ მომაკვდავ მეფის პატივისცემისათვის დინასტიის და სამეფოს საკითხი მშვიდობიანად მოგვარებულიყო; და დედოფალი მომაკვდავ მეფეს პასუხს და ანდერძს სთხოვდა:

«ბატონო, რას უბრძანებთ შვილთა ამათ? ვის აბარებთ, თუ გვეწვია უბედურება რაიმე? **დავიწ?ო უნდა იყოს ამათი პატრონი? ანუ თქვენი ძმები? ანუ დედოფალი?**» (იქვე).

როგორც ვხედავთ, დედოფალს მხოლოდ სამშობლოსთვის ხიფათის აცდენა სწადდა: მან ყველა მოწინააღმდეგენი მოიხსენია, დაასახელა ყველა პრეტენდენტები, გარდა ორისა... და სწორედ ამაში მოსჩანს მისი უაღრესი კეთილშობილება და ერისა და ტახტის წინაშე შეგნება დიდი მოვალეობისა. მან თავისი თავი სრულიად უკან დააყენა... თუმცა, საერთოდ თუ რომელიმე დედოფალი უნდა გამეფებულიყო, საამისო უფლება მხოლოდ მას ჰქონდა; მაგრამ დედოფალმა დარეჯანი წინ წამოაყენა და ის «დედოფლის» სახელით მოიხსენია... მეორე და საშინელი «პრეტენდენტი» კი რუსეთი იყო, რომელიც მეფეს დიდი ხანია საქართველოს «პატრონად» ეგულვებოდა და რომელიც დედოფალმა ამ განსაცდელის წუთს ერთი სიტყვითაც არ მოიხსენია. ამით ის აშკარად გაემიჯნა რუ-

სეთს და მის მომხრეთ; საქართველოს «პატრონად» ის არას დროს არ უნდა გამხდარიყო.

მაგრამ აქ, მომაკვდავ მეფის სარეცელთან მათი გზები სამუდამოდ გაიყო: გიორგიმ «პატრონად» სწორედ რუსეთი დაასახელა და ამით საბრალო დედოფალს გული განუგმირა.

«არა, — გადაეწყვიტა მარიამს, — არას დროს იქმნების ეს-ო! და საქართველოს დედოფალმა ქვეყანა ამ ახალ «პატრონს» არ დაანება; საყვარელ მეფეს ანდერძი გაუმტყუნა და საიდუმლო განაჩენი საბოლოოდ გულის ფიცარზე აღიბეჭდა.

რუსეთი კი სნეული მეფის ამ «ანდერძს» აღარ მოუშვა; ის «თვისას» ითხოვდა და როცა დედოფალმა ეს არ «დაანება», ძალით წაღება მოინდომა; დედოფალმა კი ძალადობას ძალითვე უპასუხა...

•

დედოფალს, რასაკვირველია, ქალური ინსტინკტი არ ატყუილებდა; ის წინასწარ გრძნობდა, რომ მეფის გარდაცვალებისათვის რუსეთის მოხელეთ, სასახლის ირგვლივ რომ ტრიალებდენ და მეფის აღსასრულს ელოდენ, პეტერბურგიდან საგანგებო მზაკვრული დავალება უნდა ჰქონოდათ. მისთვის დაფარული აღარ იყო ის ჩურჩული, საიდუმლო მისვლა-მოსვლა და კრებები, სომხეთის მეთაურის იოსებ ბებუთაშვილის ოჯახში რომ ხდებოდა; ყველა ეს კეთილს არას მოასწავებდა; საჭირო იყო ეხლავ, მეფის მიცვალების წინ, ტახტის განსამტკიცებელ ნაბიჯის გადადგმა, რომლისთვისაც რუსეთს შემდეგ უნდა ანგარიში გაეწია. მაგრამ საბედისწეროდ, სამეფო სახლში იმ დროს ერთობა არ იყო. მართალია, ამ ერთობისთვის თვით მარიამ დედოფალმა მსხვერპლი მიიტანა: ამ შეჯიბრებიდან თვისი თავი სრულიად გამორიცხა, მაგრამ, როგორც ვნახეთ, საქმეს ეს არ შველოდა. ამ საბედისწერო ჟამს საქართველოს მტრებში ერთობა და დარაზმულობა იყო, ხოლო მის საკუთარ ბანაკში — აღრევა და დაშლა.

დედოფალს თუმცა წინადგრძნობა არ ატყუილებდა, მაგრამ ყველა სამოქმედო გზები მტრის ხელს მისთვის ადრევე მოეჭრა; და არა მარტო დედოფალს, არამედ ყველას, ვინც სამეფო სახლთან და ქართული პოლიტიკის სათავეებთან ახ-

ლოს იყო, კარზე მოძღვარი საფრთხე უნდა დაენახა; აკი გათამამებული აგენტები რუსეთისა თვის ზრახვებს აღარ ფარავდენ. გავიხსენოთ ერთი დამახასიათებელი ამბავი, მეფის გარდაცვალების ერთი კვირით წინ რომ მოხდა:

მეფის განკურნებისათვის პარაკლისი დაენიშნათ; ამის გამო სიონის ტაძარში დედოფალი და ბატონიშვილები მრავალ წარჩინებულებთან ერთად გამოცხადდენ. ეს ამბავი ღენერალ ლაზარევს საიდუმლოდ აცნობეს: ბატონიშვილი თითქოს თვისი თავის მეფედ გამოცხადებას აპირებსო! რუსეთის აგენტები ფიცსლავ ფეხზე დადგენ.

ხალხში დარხეულმა ხმებმა რუსებს და მის მომხრეთ სულიერი სიმშვიდე დაურღვია; მათ ნახეს, რომ პეტერბურგიდან მოზდოკამდე და იქედან თბილისამდე გაბმული ქსელები ბაგრატიონთა აღმოსაფხვრელად, ერთბაშად სწუდებოდა და იშლებოდა.

დიდი გეგმები საქართველოს შეერთებისათვის, სახელმწიფო საბჭოს მიერ პეტერბურგში საიდუმლოდ შემუშავებული და იმპერატორ პავლეს მიერ უკვე დამტკიცებული, საფრთხეში ვარდებოდა. დაყოვნება აღარ შეიძლებოდა და ღენერალი ლაზარევი თვისის მხლებლებით, საფრთხის ასაცდენად, სიონისაკენ გაემართა. ალბათ მას სათანადო თადარიგიც ჰქონდა გაცემული და ის ბათალიონები, რომლებიც თითქოს ტახტის და ქვეყნის დასაცავად იყვნენ მოყვანილი, ეხლა ამ ტახტის და სამეფოს ჩასაქოლავად ფეხზე დააყენა.

მაგრამ შეშფოთებულ ღენერალს მოახსენეს, რომ აქ, სიონში, მეფე გიორგის განკურნებისათვის პარაკლისი იყო დანიშნული და უნდა გაეხსნათ «საფლავი და ლუსკუმი წმიდისა იოანე მანგლისელისა». «გენ. ლაზარევი, — განაგრძობს ისტორიკოსი, — დარწმუნდა, რომ მიზეზი სიონის ეკლესიასა შინა შეკრებისა არის აღსრულება პარაკლისისა და არა შეხება მეფობისა, გავიდა და წარმოვიდა»...

სამწუხაროდ, არ ვიცით, მართლაც ჰქონდა რაიმე საბუთი ხალხში დარხეულ ხმებს და «პარაკლისი» ამ დიდი აქტის დასაფარავად იყო მოგნოლი, თუ არა. შეიძლება, მომაკვდავ მეფის სარეცელის წინ უთანხმოებას და დიდ დაჯახებას მოერიდენ დავითის მომხრენი და ხელი განზრახვაზე დროზე აიღეს, რა-

კი შეიტყვეს გამეღვიძება სამზადისისა. შესაძლებელია, თვით დედოფალი მოერიდა რუსეთთან საქმის გამწვავებას, რათა ამით უფრო არ მოესწრაფა მომაკვდავ მეფის დღეები... ნამდვილად კი ყველაფრიდანა სჩანს, რომ ამ დროს დედოფალი მარიამი განუხრელად დავით ბატონიშვილის მხარეზე იდგა და მის ტახტზე განმტკიცებას ხელს უწყობდა.

ალბათ დიდ შეურაცხყოფად ჩასთვალეს დედოფალმა და ბატონიშვილმა ამ პარაკლისზე უხეშ ლაზარევის მოვლინება. ესენი ხომ მრავალჯერ ყოფილან მოწმენი კეთილშობილ და სულგრძელ მეფის ამ ტლანქ ლაზარევთან დაჯახებათა; რამდენი მწარე დღეები ანახვა მან მეფეს. გავიხსენოთ თუნდა ის ფაქტი, რომ რის ვაი-ვაგლახით ჩამოყვანილი ჯარის, დაუყოვნებლივ უკანვე გაყვანით ემუქრებოდა მეფეს ეს ღენერალი; თითქოს უმაღლესი პოლიტიკის ეს საკითხი, პეტერბურგს წლების მანძილზე რომ გადაეწყვიტა, დღეს ღენერლის საქმე ყოფილიყოს... აი, სადამდე აღწევდა თავხედობა იმ ღენერლისა, რომელიც მოგზაურ **როტიერ-ის** მოწმობით, ეროვნებით სომეხი უნდა ყოფილიყო, ქართველთა განსაკუთრებითი მოძულე. (51). ლაზარევის სომხობაში დარწმუნებულია აგრეთვე რუსი ისტორიკოსი რომანოვსკიც. (52).

ღენერალ ლაზარევმა მართლაც «ღირსეულად» ჩაატარა საქართველოს და ბაგრატიონთა აბუჩად აგდების რამოდენიმე აქტი, — თითქოს სურდა ამით კიდევ უფრო დაერწმუნებინა რუსეთი, რომ მან კარგად იცის ამ «აზიელების» ენა და რომ მათდამი მოპყრობა განსაკუთრებულის სისასტიკით უნდა ხდებოდესო. ამიტომაც რუსეთის ერთგულმა ციციანოვმა, ალექსანდრე I-ის მიერ საქართველოს სამეფოს ნაშთების საფუძვლიანად აღმოსაგდებად წარმოგზავნილმა, იმ თავითვე ლაზარევი მარჯვენა ხელად გაიხადა და ყველა მისი ნაბიჯები და ბაგრატიონებზე თავდასხმები მოიწონა; სწორედ მას აკისრებდა ციციანოვი ურთულეს და უმძიმეს საქმეებს: სამეფო სახლის დანგრევისას და მის წევრთა გადასახლებისას..., მაგრამ ამ «მოღვაწეობის» უკანასკნელი აქტი ლაზარევმა ციციანოვს წაუხდინა და საქართველოზე შეტევის საქმე დიდის მარცხით დაუგვირგვინა.

•

როგორც ვსთქვით, ღენ. ლაზარევმა სამეფო კარი თავიდანვე შეგნებულად აითვალისწუნა და აბუჩად აიგდო, რითაც სულგრძელი მეფე გიორგი მრავალჯერ მძიმე მდგომარეობაში ჩააყენა. არა ერთხელ აგრძნობინებდა ლაზარევი მეფეს, რომ მას განზრახვა ჰქონდა პეტერბურგისათვის საგანგებო ცნობები მიეწვდინა იმის შესახებ, რომ რუსის ჯარს ქართველი მეფე საკმაო ყურადღებით არ ეკცეოდა, რომ თითქოს დაპირებული სურსათ-სანოვაგე ჯარისა და ცხენებისათვის დამზადებული არ იყო.

თავაზიანი მეფე ამშვიდებდა რუსის ღენერალს და საქმის გამოსწორებას ჰპირდებოდა. ბატონიშვილი დავითიც, მამის პატივისცემისათვის, არა ერთხელ ჩაერია საქმეში და სთხოვდა ღენერალს: დაგვაცადეთ, ყველაფერს მოვაგვარებთო; პეტერბურგს ასეთის ამბებით ტყუილად ნუ შეაწუხებთო. მაგრამ თავხედი ღენერალი თავისას არ იშლიდა. მეფისა და მემკვიდრის თავაზიანი პასუხი მათი შიშით ახსნა და მუქარას უფრო უმატა: ვაი-ვაგლახით მოყვანილ ჯარს ეხლავ უკანვე გავაწვევინებო. «ერთ კვირას კიდევ დავიცდი, — უპასუხებდა ბოლოს ღენერალი. — მაგრამ, იცოდეთ, მეტს კი არა... ყველაფერი უნდა ვაცნობო»-ო. (53).

თუმცა მეფე შეშფოთებული იყო თავგასული ღენერლის უდიერის საქციელით, მაგრამ თან იმისიც ეშინოდა, ამ დასმენას ცუდი რამ შედეგი არ მოჰყოლოდა; ეხლა სამეფოსი და ტახტის სიმაგრე ხომ მხოლოდ ეს ჯარი იყო! და მეფეც ყოველგვარ ზომებს იღებდა რუსის ჯარის დასაკმაყოფილებლად: საუკეთესო სადგომები, ძვირფასი ღვინო და სანოვაგე მართლაც არ მოჰკლებია ამ ჯარს; და ყველა ეს, ისედაც დაქცეულ ხაზინას უფრო მძიმედ აწვებოდა, რადგან რუსეთს ეს სურსათ-სანოვაგე მაგარს და დაბალს ფასებში უნდა მიეღო, ხოლო განსხვავებას ნამდვილსა და «მაგარ» ფასების შორის საქართველოს ხაზინა ადებდა.

გიორგი მეფე, მაინც ცდილობდა ამ ღენერალთან, რომელსაც რუსის ჯარი ებარა, როგორმე ურთიერთობა გამოეკეთე-

ბინა და ამით რუსეთის მთავრობასთან ნორმალური განწყობილება აღედგინა.

სნეული მეფე, როგორც ვსთქვით, დიდ სულგრძელობას იჩენდა, ღენ. ლაზარევის უდიერობას იტანდა და ბოლოს იქამდე მივიდა, რომ ამ ღენერლის დანათესავებაც კი ინდომა სამეფო ოჯახთან. მეფის რჩევით, მარიამ დედოფალმა მონათლა ასული ღენერალ ლაზარევისა და თვით მეფის ასულებმაც ღენ. მეუღლესთან დარბაზობა გააზშირეს... მაგრამ თავგასული ღენერალი ძველებურად ყველა ამას მხოლოდ სამეფო კარის შიშით ხსნიდა.

«24 ნოემბერს ეყოლა ლაზარევის ცოლსა ქალი, — გვაუწყებს ისტორიკოსი, — მეფემან თვით ინება ექმნას მას მიმრქმელად, უბრძანა — განუცხადონ სურვილი ესე თვით ლაზარევსა და ცოლსა მისსა; გარნა ცოლი მისი 1 დეკემბერს გარდაიცვალა და ქალსა, ახლაშობილს მიმრქმელად ეყო არა მეფე, არამედ დედოფალი მარიამი; მაგრამ ბავშიც ერთ კვირაზე მიიცვალა. მეფემ უბრძანა — დაესაფლავებიათ დედა-შვილი სიონში, ნიშნად განსაკუთრებულ თანაგრძნობისა და წყალობისა. მაგრამ რაოდენაცა მეფე ცდილობდა ლაზარევისა დაკმაებასა, ეგოდენ ღენერ. ლაზარევი უჩვენებდა უსიამოვნებასა მეფესა და მხლებელთა მასთა... ხშირად მემარხულე მეფე ურმობით უგზავნიდა ჯარსა მართლმადიდებელსა დოშსა, ზურგიელსა და ღვინოსა... ლაზარევი ყოველსავე იწუნებდა, ხოლო მეფე ყოველსავე მოითმენდა და უბრძანებდა: **არა რაი აწყინონ გულფიცხსა, გარნა საჭიროსა ღენერალსა**; არამც წყენითა მისითა, ვაწყენინებთ ლინიაზე კრონინგსა და ამისით თვით უმაღლეს იმპერატორისა კარსა... მეფემ ლაზარევს მიუჩინა დასაყვავებლად ძე იოანი, მაგრამ ვერც ამან უშველა მას. ლაზარევის ცოლს მეფემ გადაუხადა აღაპი და ჯარის კაცთ გაუმასპინძლდა ზუთხით და პურით. მისი თხოვნით კათალიკოსი ანტონი იყო ანდერძის ამგები... მაგრამ ვერა ამით, **ვერცა მრავალ გვარითა** ალერსითა ვერ მოიგო მეფემან გული ლაზარევისა»-ო.

ამ «შერიგების» და რუსეთის წყალობის მობრუნების იმედით ჩავიდა მეფე საფლავში, ხოლო ლაზარევმა და საერთოდ რუსეთის აგენტებმა ერთბაშად შეება იგრძნეს და უძველეს

ტახტის და გვირგვინების პეტერბურგის მუზეუმში გასაგზავნად განემზადენ.

საბედისწერო 28 დეკემბერს 1800 წ. სამუდამოდ დახუჭა თვალები საქართველოს მეფემ გიორგიმ.

«აცნობეს გარდაცვალება მეფისა ლაზარევს, — ამბობს ისტორიკოსი, — და კურიერი მასვე დილით გაიგზავნა პეტერბურგსა საუწყებლად იმპერატორისა პავლესა»-ო, და იქვე დასძენს, რომ მაშინვე ლაზარევმა მელიქს დარჩია ბებუთოვს აცნობა ესაო. ამავე დროს ლაზარევს ყველგან განკარგულება გაუცია, რათა ტახტზე არავინ ყოფილიყო აყვანილი.

ღენ. ლაზარევის მიერ ამ ცნობის პეტერბურგში იმპერატორ პავლესადმი, ხოლო, თბილისში მელიქ ბებუთოვისადმი უმალვე მიწოდება თავის-თავად ამჟღავნებს იმ ქსელს, რომელიც ამ ორ სატახტო ქალაქთა შორის მაშინ გაბმული იყო. ხოლო ვის და რას ემსახურებოდა ეს «ქსელი», ეს მკითხველისათვის განმარტებას არ მოითხოვს. ვიტყვით მხოლოდ, რომ რუსეთმა სომხობასაც ისე გაუმტყუნა ანგარიში, როგორც ქართველობას. ეკატერინე II და პოტიომკინის დიდ გეგმებიდან: კავკასიაში უზარმაზარი «არმენიის» შესაქმნელად, არაფერი დარჩა. (55). ეკატერინეს ძეს პავლეს და არც მის შვილისშვილს ალექსანდრე I-ს ეს გეგმები შემდეგ ჭკვაში აღარ დაუჯდათ.

*

რუსეთის იმპერიის ცნობილი პოლიტიკა, კავკასიის ერების ურთი-ერთზე წაქეზებისა მაშინდელ ამბებშიაც გარკვევით გამოისახა. სომხობის მოქმედების სულის ჩამდგმენელი რუსეთი იყო. მაშინდელ იმპერიის სომხებთან დამოკიდებულებას, სხვათა შორის, შემდეგი ფაქტი ახასიათებს: 12 ენკენისთვეს, საქართველოს შეერთების მანიფესტთან ერთად სადაგზავნო ინსტრუქციები მიეცა ღენ. კნორრინგს, რომელიც უკვე კავკასიისა და საქართველოს მთავარმართებლად იქმნა დამტკიცებული; ამ ინსტრუქციებში აღნიშნულია, რომ აუცილებლივ საჭიროა დაიყოლიონ ქრისტე დედოფლები დარეჯან და მარიამ და აგრეთვე ბატონიშვილები, რათა ისინი რუ-



მარიამ, უკანასკნელი დედოფალი
(1768—1850)

სეთს გადასახლდენ; სომხების შესახებ კი კნორრინგს ევალებოდა:

«Ему же особенно заботиться о привлечении переселенцев из-за границы, преимущественно христиан» — უეჭველია აქ მხოლოდ სომხებზეა ლაპარაკი, — და შემდეგ, ეს უფრო გარკვევითაა ნათქვამი:

«относительно же армян — оказывать им особое благорасположение»... (55).

საქართველოს შეერთების და მისი სამეფოს მოსპობის საქმეებში სომხობას, სამწუხაროდ, განსაკუთრებული ღვაწლი მიუძღოდა; და, როგორც ვნახეთ, რუსეთმა ეს საქართველოს სამეფოს გაუქმების მანიფესტის დღესვე (12. 9. 1801 წ.) საიდუმლო ინსტრუქციაში აღნიშნა.

ხელმწიფე-იმპერატორი ახალ მთავარმართებელს ამასთან დაკავშირებით სწერდა:

«Особенному наблюдению Вашему предоставляем привлекать к себе нацию армянскую всякими обласканиями».

და ამისათვის გიბრძანებთ: გაუწიოთ ყოველგვარი მფარველობა კერძოდ ეჩმიაძინის საკათალიკოსო მონასტერს და თვითონ პატრიარქთან კეთილი განწყობილება დაიკავოთო. (56). მაგრამ, როგორც აღვნიშნეთ, არც «ამ მფარველობიდან» უნახავს სომხობას რაიმე ბედნიერება: მაჰმადიან მეზობლებიდან სომხობის რბევის დროს, რუსეთს მათი დაცვა აზრადაც არ მოსვლია. ამ საკითხზე და სომხების მოქმედებაზე საქართველოს მწუხარის ჟამს ჩვენ ქვევით შევჩერდებით.

საქართველოს მეფესთან და საყვარელ მეუღლესთან, დედოფალმა მარიამმა თვისი დიდება, პატივი და სახელი დამარხა... მაგრამ მას გულს ეხლა უფრო მძიმედ ის უღადრავდა, რომ თორმეტ — **საუკუნოვანი დინასტიის ჯაჭვი წყდებოდა**, და საქართველოს სამეფო პალატში საუკუნო გლოვა ისადგურებდა; აღარსაიდან აღარ მოდიოდა იმედი, გამამხნევებელი ხმა, რომ ივერიის მომავალი ჯერ კიდევ მთლად ჩასვენებული არ იყო; ყველაფერი თითქოს ერთბაშად მოიჭრა, დაშრა და დედოფალს წინ ბნელი უფსკრული გარდაეშალა.

ამ უმძიმეს მომენტს ქართლის მატიანესას, ამ დრამატიზმით სავსე წუთებს, ასეთი ამაღელვებელის სიტყვებით გადმოგვცემს ისტორიკოსი პ. იოსელიანი:

«მდივან ბეგთა ძველთა წესითა დაჰყარეს ეკლესიისა იატაკსა, საწერნი და ყალამნი, ნიშნად შეყენებულისა ბრძანებათა მწერლობისა; ხელჯოხიანთა სასახლისა კვერთხნი, — ნიშნად გაუქმებულისა მათის სახელობისა; მზარეულთ ქვაბნი, ფლავის საწურავნი და ასე ვითარნი, — ნიშნად უქმთა და მათთვის ნივთთა; ბირის მწდემან მეფისა ოქროსასა და ვერცხლისა და სხვათა გვარისა სასმელისა ჭურჭელნი, — ნიშნად არ ღა სახმართა მათგან. მილახვარმან ძვირფასი აღვირნი ცხენთა, თვით ადგნენ თავსა ნივთთა ამათ მოყრილთა გუნდ-გუნდად აქა-იქა; ეკლესია გალობდა პანაშვიდსა საგალობელთა, სასახლის კარის კაცნი იგლოვდენ მეფესა, დედოფალი მარიამ და შვილნი სტიროდენ ობლობასა მწუხარებასა»... (57).

ამ მწუხარებისა და საერთო ვაების დროს სუექდა ხმა ღა ელავდა სიფხიზლე დიდებულ კანცლერის სოლომონ ლეონიძისა. იგი იდგა სადარჯოზე გაფთრებულ ლომივით და აფრთხილებდა და აფხიზლებდა ნიძინებულ ძალას სამეფოისას; იძახდა, რომ განსაცდელი დაშდგარიყო, მტერი უკვე სასახლეში შეჭრილიყო; რომ საქართველოს გადასარჩენად დავითი პეტერბურგის ნებას აღარ უნდა ელოდეს; იგი ეხლავ უნდა აბრძანდეს ტახტზე და ტრადიციული დიდებით ეკურთხოსო. მაგრამ ღენ. ლაზარევის მზაკვრულმა ჩარევამ, მუქარამ და თან «დაპირებებმა» დავითი უმოქმედობაში ჩააგდო, ხოლ მხცოვანი კანცლერი კი — საპყრობილეში. დავით ბატონს შვილმა რუსთა გულის მოსაგებად თვითონვე დააპატიმრა ისე ეს იყო ბედის დაცინვა დიდ კანცლერზე...

დედოფალმა მარიამმა მალე ნახა, რომ მისი ეჭვები რუსთა ვერაგობაზე გადაჭარბებით გამართლდა; ნახა, რომ ღენ. ლაზარევის მუქარამ — ტახტზე არავის ავუშვებო — დავითი გასტეხა და საფრთხე გაზარდა. ამის გამო დედოფალი შვილების და თვით მისი დევნის შიშმა მოიცვა.

იმ ხანებში, ალბათ, გადასახლების ინსტრუქციების ხმებმაც მიაღწიეს დედოფლამდე, რის გამო მან პაულე I-ს განსაკუთრებულის წერილით მიმართა, რათა მისთვის უხვად და-

პირებული წყალობანი მოეგონებინა. მარიამი ხაზგასმით მოახსენებდა ხელმწიფეს, რომ **საქართველო დაპყრობილი ქვეყანა არ იყო, არამედ მისი ქმარის ნებით რუსეთთან შეერთებული;** ყველა ამის სამაგიეროდ დედოფალი მოითხოვდა, რათა ჩვეული პატივი და ღირსება მას და მის შვილებს მათს საკუთარ ქვეყანაში არასდროს არ მოკლებოდათ, «რომ გაგრძელდეს თქვენ მიერ გამოცხადებული სურვილი, რომ სიუხვე და წყალობა თქვენი უცვლელად დარჩება მომავალშიც»-ო. (58).

ჰეშმარიტად, განგებას საქართველო ამხელად გაეწირა. დედოფალის იდუმალი შიში მართლდებოდა: მეფის სიკვდილთან ერთად საქართველო ბნელდებოდა და ამ დაობლებული ქვეყნის წარსულ დიდების სიმბოლოდ შთენილს მარიამს, ყოველ კუთხიდან გლოვისა და სამძიმრის წერილები მოდიოდა. დედოფალს სწერდენ არა მარტო იმერეთიდან, სამეგრელოდან და გურიიდან, არამედ მას უსამძიმრებდნენ ერევნის, ყარაბახის და განჯის ხანები, შაქი-შირვანის ხანი, ახალციხის ფაშა და სხვანი მრავალნი. თითქო ყველა ესენი დღეს აშკარად შიშობდენ საქართველოს სამეფოს აღხოცვას და მის ადგილას დიდი რუსეთის დამკვიდრებას. ყველა ესენი ეხლა ნათლად მიხვდენ: რაოდენ უგნურად ექცეოდენ ამ კეთილშობილ სამეფოს საუკუნეთა მანძილზე მათივე ღალატითა და მიხტომით დაუძლურებულს; გრძნობდენ — ვით ჰკარგავდენ, რა ბურჯი ეცლებოდათ ხელიდან; უკვე აშკარა იყო, რომ საქართველოს სამეფოს დაღუპვა, მისი ყორეს გარღვევა მალე მათ გაჭრობასაც მოასწავებდა; ნანობდენ, რომ კავკასიის ძველი ბურჯი, მისი მთავარი სიმაგრე, თვითონვე ჩაუგდეს ხელში რუსეთს. იგრძვნეს, რომ გიორგის სიკვდილით ეხლა მეფე კი არ მიიცვალა, არამედ სამეფო:... «იხილეს, — ამბობს პლ. იოსელიანი, — მოსულთ დავით «გამგეთ მეფობისა»! და ჯერეთ არა მეფედ. სამეფო ქართველთა ეჭვნებოდათ მათ უდაბნოდ — მოკლებულად მცხოვრებთა ხმაურობასა, მინდვრად — თვალთათვის მიუწვდომელად და დასაღალავად; გვამად კაცისა თავმოკვეთილისა; ტყედ მაღნარისა — ცულით დაკოდილისა და მკვიდრად არღა მფშვინავად»...

და როცა მეფის დატირებასთან ერი და მოკეთე მეზობ-

ლები საქართველოს დასტიროდენ, დედოფალს რუსეთის იმპერატორისაგან 23 ნოემბრის წერილი გადასცეს, რომლითაც პავლე I-ი მწუხარებით აუწყებდა, რომ შეიტყო მეფე გიორგის სნეულების ამბავი და უსურვებს მას მალე განკურნებას. ნამდვილად კი, სწორედ ამავე დროს ითხოვდა იმპერატორი კნორრინგისგან, რათა საქართველოს სამეფოს გაუქმების მანიფესტის გამოცხადებას მეტი აღარ დაგვიანებოდა... და რუსეთმაც არ დააყოვნა: საქართველოს სახელმწიფო გიორგი მეფესთან ერთად ძალად ჩაასვენა. სამეფოს ამ მწუხრის შესახებ იმავ ისტორიკოსის მიერ ნათქვამი სიტყვები იმდენად ძლიერნი და გულ ვაღგმირავნი არიან, რომ გლოვის პათოსით მას მარტო სოლომონ ლეონიძის «სიტყვა» თუ შეედარება, საყვარელ მეფე ერეკლეს დასაფლაებაზე რომ წარმოეთქვა უკვდავ კანცლერს. პლატონ იოსელიანის ეს გლოვის სიტყვები დღესაც ანგრევენ ჩვენი გულის ფიცარს და ცრემლის დიდ ტალღად შემოდიან შიგ; მტირალი მემატიანე მოსთქვამს:

«ნეშტნი მეფობისა და კარისა სამეფოისა ფიქრმორეულნი, ვიდოდენ, ვითარცა აჩრდილნი მთავრისა ღამისა. საუბარი მათი იყო ვითარცა ბგერა ზარისა, ჰაერისა მხოლოდ შემარხეველისა; საქმე მათი და დაწყობანი საქვეყნოდა, იყვნეს ვითარცა ქსელი ბაბაჭუისა, სუსტთა ბუზთათვის გაბმულისა და ქსოვილისა. შეყრილობა მათი მოსაზვრელად უმჯობესისა დაბადებდა შფოთსა და უთანხმოებასა. საბატონო კაცნი შეირყენენ და დაეცნენ, ვითარცა სვეტნი შენობათა ძვრისაგან შერყეულნი და დაცემულნი... მაშინ ვითარცა მიძინებულთა განიღვიძეს, იხილეს და იგრძვნეს მრავალთა უბედურება თვისი. მაშინ ოდეს მწუხარებამან, ვითარცა მახვილმან განვლო გულთა მათთა»... (57).

*

მალე პავლე I-ი ალექსანდრე I-მა შესცვალა. და ამ დროს დედოფალ მარიამს რუსეთიდან ტახტზე ახლად ასულ ალექსანდრე პირველისაგან ისეთი «ღრამოტა» მოუვიდა, რომელიც რუსეთის განზრახვაში არავითარ ეჭვს აღარ სტოვებდა. იმპერატორ პავლე I-ის მიერ გიორგი მეფისათვის მიცემული და-

პირებანი — საქართველოს «სამეფოს აჩრდილის» შენახვის შესახებ, მის შვილს, ალექსანდრე I-ს, ეხლა სრულიად დავიწყებოდა. და ეს ხელმწიფე მარიამ დედოფალს საქართველოს «სრულ შეერთებას» ჰპირდებოდა.

რუსეთს დღეს აღარ ეჭირვებოდა დიპლომატიური შორსი მოვლა და სიფრთხილე... ეტყობოდა, ღენერალ ლაზარევის რჩევას საბოლოოდ გაემარჯვა: პეტერბურგში მაგარი ხელი მტკიცედ მუშაობდა და ძველ ნაშთებს უწყალოდ ანგრევდა. ოდესღაც ეს ძლიერი და ძველი სამეფო — საქართველო — დღეს აღარავის მოჰგონებია; მის საზღვრებში ეხლა უკვე რუსის საკმაო ჯარი იყო «შეყვანილი» ახალის სისტემის ზარბაზნებითა, და ამ «ენით» ლაპარაკი ღენ. ლაზარევს თავიდანვე ხომ ასე ენატრებოდა. და ალექსანდრე I-ლიც ამ «ბაასით» კმაყოფილი დარჩა. ამხელად რუსის ხელმწიფემ, საქართველოს სამეფო რომ მოშალა, მას ნეკროლოგად მაღალ ფრაზებიანი მანიფესტი მიუძღვნა; ხოლო მარიამს, როშელსაც ტახტი და დედოფლის დიდება ჩამოართვა, «ღრამოტა» უბოძა.

ალექსანდრე I ოქტომბრის 14, 1801 წელს საქართველოს მთავარმართებელ კნორრინგს მარიამ დედოფლისათვის წყალობის ამ «ღრამოტას» უგზავნიდა და თან სწერდა: «ჩემმა მიერ საქართველოს სამეფოზე უმაღლეს მმართველობის მიღებისა გამო, საჭიროდ მიმაჩნია ქვრივ დედოფალთ, მარიამს და დარიას, აქ დართული «ღრამოტები» გაუგზავნო»-ო.

ამ «ღრამოტაში» ალექსანდრე I მარტივად აღნიშნავდა, რომ, თუმცა დედოფალს სამეფო წაართვა, მაგრამ პირადად მისთვის და მის შვილთა კეთილ-დღეობისათვის მაინც დიდად ზრუნავდა...

ჩვენ გვინდა სანიმუშოდ ბოლომდე მოვიყვანოთ ხელმწიფის ეს წერილი, სავსე მაღალფარდოვან, ენაწყლიან «დაპირებებითა», რომელნიც ყოველგვარ შინაარსს მოკლებული და ცარიელი არიან:

«უგანათლებულესო დედოფალო მარიამ, — სწერს ხელმწიფე ალექსანდრე I-ლი დედოფალს, — **დავრწმუნდით რა აუცილებლობაში, მიმეღო ჩემს თავზე მართვა საქართველოს სამეფოსი, თვით მისდა საკეთილდღეოდ, გავიხადეთ პირველ**

ჩვენ მოვალეობად, მოვაწყოთ კეთილდღეობა სამეფო სახლის წევრთა.

«ამ რწმენით, განვავრცეთ რა ჩვენი ყურადღება ყველა ფერზე, რაიც ამ მიზნის განხორციელების უზრუნველსაყოფად შეიძლება საჭირო იყოს, — ვუბრძანეთ ჩვენს მთავარმართებელს ღენ. კნორრინგს, დაწვრილებით შეისწავლოს ეს საკითხი და წარმომიდგინოს; გაუწყებთ რა ამას თქვენს უმაღლესობას, ვადასტურებთ, რომ მფარველობა და მზრუნველობითი შეთვისება ჩვენი თქვენდამი და თქვენის შვილებისადმი მომავალშიაც უცვლელად დარჩებიან. დავშთებით ჩვენი იმპერატორისებური წყალობით, თქვენთვის მუდამ კეთილ მოსურნე, **ალექსანდრე**». (58).

და თუ კიდევ საჭიროა აღნიშვნა რუსეთის კარის მოპყრობის ნიმუშისა საქართველოს ტახტის მიმართ, შეგვიძლია აქვე ის ფაქტიც მოვიხსენიოთ, ამ «ღრამოტის» წარგზავნას და წყალობათა აღთქმას წინ რომ უძღოდა: ეს იყო მეფის **საიდუმლო რესკრიპტი** კნორრინგისადმი, რათა ეხლავ მას **სათანადო ზომები მიეღო დედოფალთა და ბატონიშვილთა რუსეთში გადასასახლებლად**; (59) და ეს გადასახლება, რა საკვირველია, უნდა მომხდარიყო დედოფალთა და ბატონიშვილთაგან ყველა მამულების და მთელ ქონების ჩამორთმევის შემდეგ.

*

დედოფლის სასოწარკვეთილებამდე მიყვანის და აქედან გამოწვეულ მკვლელობის ასახსნელად საჭიროა დავუბრუნდეთ დედოფალისა და ლაზარევის შუა ურთიერთობის გამწვავების ამბებს.

როგორც ზევით დავინახეთ, ჯერ კიდევ მეფის სიცოცხლეში, ლაზარევისა და დედოფალ მარიამის შორის ურთიერთობა ამ გამწვავებით დაიწყო. ასეთი მდგომარეობა დროთა განმავლობაში უფრო და უფრო ღრმავდებოდა და ბოლოს საშინელებით დამთავრდა.

სხვაგვარ დამთავრებას ამ ტრაღედიისას ადგილი არც

უნდა ჰქონოდა. ახლად მოწვეულ რუსის ჯარის შემოსვლით შექმნილ ახალ მდგომარეობას ერთგვარი შეგუება სჭიროდა, მაგრამ დედოფალი თავის თავს საკუთარ ქვეყანაში ისევე დედოფლად გრძნობდა და წაგებულ პოზიციებს ადვილად არ სთმობდა. მისი მოწინააღმდეგე ღენერალი ლაზარევი კი დედოფლის ამ ცდებს აღვირახსნილ დამცირებით უპასუხებდა. მოვიგონოთ, რომ თვისი «მოღვაწეობის» უველაზე საზეიმო აქტი, აქტი საქართველოს დამოუკიდებლობის მოსპობისა, ლაზარევმა დედა ქალაქის უძველეს სიონში ჩაატარა; და სწორედ იქ, სადაც სახელოვანი მეფენი მრავალჯერ დიდის ზეიმით და ბრწყინვალებით კურთხეულ იყვნენ, მან ბაგრატიონთა ძველ დინასტიას გვირგვინი ვეროგულად ააცალა.

1801 წ. 16 თებერვალს ღენ. ლაზარევმა საქართველოს წარჩინებულნი დაიბარა და მათ სამეფო ტახტის სრული გაუქმება გამოუცხადა; წარჩინებულ, ჰაღარით მოსილ ქართველთ, — ამ თაეზარდამცემ ამბავის წინაშე სიტყვა-გამშრალნი რომ იდგნენ, — ლაზარევის მიერ მოწყობილი პარაკლისი, ეხლა საქართველოს პანაშვიდად ესახებოდათ.

განა ასე უხმოდ უნდა ჩაესვენონ საქართველო და მისი მეფე? და ამას ჩვენ სიონში ვიგინდარა უნდა გვიცხადებდეს? — ასე ფიქრობდენ ეს ძველი მხედრები, ერეკლეს, რომ უთვალავ ომებში ახლდენ და ქართული დროშისათვის მრავალჯერ თავი დაედოთ.

მაგრამ რუსის ღენერალს ქართველ წარჩინებულთა ეს მღელვარე ზრახვანი არ აფიქრებდა. მას თავის თავი ეხლაც რუსულ ბათალიონის წინ წარმოედგინა, რომელსაც ხელმწიფის უმაღლეს ბრძანებას უკითხავდა. და მან რუსულ ენაზე წაუკითხა და განუმარტა დამსწრეთ მანიფესტი საქართველოს რუსეთთან «უკუნითი უკუნისამდე» შეერთებისა. (60). ოღონდ ესეც არ აკმარა მან ქართველ წარჩინებულთ, სამეფო სახლის წევრთ და ახლად დაქვრივებულ დედოფალს... ღენერლის მოთხოვნით სამადლობელი პარაკლისი აქვე მიცვალებულ მეფის ძმას, ერეკლეს შვილს, ავტოკეფალურ ეკლესიის პატრიარქს, ანტონ II-ს უნდა გადაეხადა.

დედოფლის გულის ფიცარზე ერთხელ კიდევ აღიბეჭდებოდა უხეშობის და ცინიზმის ამბები ამ ღენერალისა, რომელ-

მაც ამ «ზეიმის» დროს სიონის მოხუც კედლებს, — შესაფერ «შთაბეჭდილების» მოსახდენად, — რუსის დიდძალი ჯარი შემოარტყა; და უკანასკნელი დედოფლის თავში ალბათ ის აზრი ინასკვებოდა, რომ საქართველოს ღირსებას სწორედ ეხლა სჭიროდა დაცვა, რის მაგალითი მეფის ოჯახის მეთაურს უნდა მიეცა; და დედოფალს «განკითხვის» დღის მოახლოება მოსწყურდა.

ღენერალმა ლაზარევმა ამ კატასტროფის მოსაახლოვებლად მალე სხვა «მოკავშირეც» იშოვნა: თბილისის სომხობამ შეუდარებელის ზეიმით, სრულიად სომხეთის კათალიკოსის, იოსებ არღუთინსკის მეთაურობით, (74 მღვდელით, 8 არქიმანდრიტით და უამრავ სომხობის თანა დასწრებით), საქართველოს უძველეს სახელმწიფოს მოსპობის გამო დიდი პარაკლისი გარდაიხადა... მაგრამ სამართლიანობა მოითხოვს აქვე აღვნიშნოთ, რომ იმ ერთგულების ტრადიციას, რასაც სომხის ერი საქართველოს ტახტისადმი ძველადვე იჩენდა, მომხრენი ჯერ კიდევ არ გამოლეოდენ. ამიერკავკასიაში, და კერძოდ საქართველოში, რუსეთის განმტკიცებამ ზოგ სომხებს მაინც ვერ აუხვია თვალი და მტერი მოყვარედ ვერ მოაჩვენა. სომეხთა ეს ჯგუფი ეხლაც ძველებურის გულწრფელობით და ლოიალობით იდგა სამეფოს სადარაჯოზე და რუსეთის დამკვიდრებიდან არავითარ შვებას და ბედნიერებას არ მოელოდა... ამის გამო მათ გადაკიდებული ჰყავდათ დანარჩენი, რუსოფილური სომხობა, რომლებიც პირველთ მოღალატეთ სთვლიდენ და მათი არფერი სჯეროდათ. ამაზე ისტორიკოსი ამბობს:

«სომეხთა გვარი ემდურებოდა ამათ, ვითარცა მეფისადმი დაახლოებულთა კაცთა და დამჩაგვრელთა დანაშთენთა სომეხთა. — ხშირად სადმე ეტყოდა სომეხთა თბილისელთა ფითუაშვილი, უფრო მიჩნეული: **«ძალი ჭართველთა მეფისა ჩვენი ღონისძიებაც არისო.** რათ არა ხედავთ და არა სინჯავთ: განა ერთნაირ ბედნიერებაში ვართ ჩვენ — სომეხნი — აქ და იქ, სპარსეთსა და ოსმალოში?» (61).

საქართველოს გაუქმების გამო გამართულ საგანგებო საზეიმო პროცესიას ასე აგვიწერს რუსის ისტორიკოსი პოტტი:

«მოისპო საქართველოს სამეფო ტახტი, და ბაგრატიონთა დინასტიის ათასზე მეტი წლის მეფობა საქართველოში ეხლა სამუდამოდ გაუქმდა... 16. II-ს მთლად თბილისის მცხოვრებანი სიონში შეიკრიბა და იმპერატორ პაველს ერთგულებაზე ფიცი მიიღო (ჩვენ ვიცით, თუ რა ძალდატანებით მოსდა რუსის ჯარის მიერ ქართველთა სიონში დაფიცება. ავტ.). შეფიცეს აგრეთვე სომხებმაც, რომლებმაც ეს ამბავი დიდის დიდებით ცალკე გარდაიხადეს›-ო.

სომხობამ, როგორც ვიცით, უფრო ადრე გარდაიხადა ეს ზეიმი ქართული სამეფოს გაუქმების გამო და ვანქის საკრებულოში დიდი პარაკლისი მოაწყო. იგივ პოტტო გვაცნობებს: რომ 7 თებერვალს (ე. ი. 9 დღით ადრე მანიფესტის თბილისში გამოცხადებისა) ჩაატარა სომხობამ ეს ზეიმი: დილით, დაირეკა თუ არა ვანქის ზარი, მთლად სასულიერო წოდებით: 8 არქიმანდრიტით და 100-ე მღვდელით გამოეფინა სომხობა ყველა საყდრებიდან და გაემართა ერთად ქალაქ გარეთ, ვანქის მონასტრისაკენ; მათ წინ ორ წარჩინებულ მოქალაქეს იმპერატორ პავლეს სურათი მიჰქონდათ, მათ უკან შემოსილი მიტროპოლიტი მიდიოდა და თავზე ვერცხლის ლანგარი ედგა, რომელზედაც მანიფესტი იდო»... და შემდეგ, აღნიშნავს რა პოტტო, რომ ამ პროცესიას ლაზარევ-გულიაკოვთან ერთად, უფლება და პატივ აყრილი, ქართველი ბატონიშვილებიც უნდა ხლებოდენო, დასძენს: „სომხების პატრიარქი იოსები ხალხს ვანქის გალავანში შემოსილი მიეგება. მან საცეცხლურით უკმია იმპერატორის სურათს, შემდეგ დაემხო მის წინაშე მიწაზე და ეთხვია, მერე სურათი თავზე დაიდო და ხმა-მაღლა წარმოსთქვა: «იდღეგრძელოს უდიდესი და უაღლესტოესი ჩვენი მეფე და მთელი მისი ხალხი»-ო! ხალხმა გრიალი მორთო; შემდეგ პროცესია შევიდა ეკლესიაში და იქ საკურთხეველის წინ, წმიდა ანალოგზე დასდეს მანიფესტი და იმპერატორის სურათი. მწირველი იყო თვით პატრიარქი,

რომელმაც წირვის შემდეგ სიმადლობელი პარაკლისი გადაიხადა და მთელი ხალხი დალოცა». (62).

ამრიგად, სომხობამ, იოსებ არღუთინსკის მეთაურობით, უფრო ადრე მოახერხა ხალხის დაფიცება. „ეს ზეიმი მართლაც იშვიათ სანახაობას წარმოადგენდა»-ო, ამბობს ისტორიკოსი დუბროვინი. (63).

იოსებ არღუთინსკი თვითონაც აღტაცებით აგვიწერს თავის დამსახურებას: სომეხთა კათალიკოსი 20 თებერვალს 1801 წ. სასწრაფოდ ატყობინებს «ლონიაზე» კავკასიის მთავარმართებელ კნორრინგს თვის პირად დამსახურებას საქართველოს სამეფოს გაუქმებაში.

მოხსენებაში ის გვაუწყებს, რომ შესძლო ბატონიშვილთა და ზოგ ქართველ წარჩინებულთა წინააღმდეგობანი (საქართველოს გაუქმების გამო) მოხერხებულის დაყვავებით და დაპირებებით თავშივე ჩაეკლა და დაეცხრო. აჯანყებისათვის გამზადებული ბატონიშვილთა რაზმები, მისი რჩევით, დაშლილან. ის სწერს: «მანიფესტი შეერთებისა მე გამოვაცხადე დიღის ზეიმით, დავისწარი ყველა წარჩინებული სომეხი და ქართველი, და სამღვდელოება. ამაზე ლაზარევი წერილობით მოგახსენებთ, ხოლო თქვენ კი ეს მოხსენება, სადაც ჯერს არს, იქ გაგზავნეთო. მცხოვრებნი უსაზღვროდ ბედნიერნი არიან ამ დიდის წყალობით, დავა, აღშფოთება, ჯარების შეყრა ბატონიშვილთა მიერ რომ მზადდებოდა, ჩემის რჩევით დაშალე და დავაცხრე... ბევრნი თავადნი ჩემს გამოხმობაზე მოვიდნენ, ზოგნიც მოსვლას აპირებენ. მწამს, რომ ყველა დამშვიდდება და «მფარველობას» შეურიგდება. რამდენიმე ეაჟი გიორგი მეფისა ეპირებიან რუსეთისაკენ ხელმწიფესთან. მირიანი წამოვიდა. იმედი მაქვს, დანარჩენებიც, ერწმუნებიან რა ჩემს რჩევა-დარიგებას, დაემორჩილებიან ნებას და სურვილს იმპერატორისას»-ო.

ეჩმიაძინიდან საგანგებოდ ჩამოსულ კათალიკოსის, იოსებ არღუთინსკის გარდა, ამ «ზეიმის» ნამდვილი მომწყობი, რასაკვირველია, იგივე ლაზარევი იყო, რომელიც ამ ცერემონიის დროს რუსეთის მხედრობას წინ უძღოდა; სწორედ მის პირად განკარგულებას უნდა მიეწეროს ისიც, რომ სომეხთა ამ ზეიმს, საქართველოს ტახტის მოსპობის გამო, თვით სა-

ქართველოს დედოფალნი: დარეჯან და მარიამი, ბატონიშვილები და ანტონ კათალიკოსიც უკლებლივ უნდა დასწრებოდენ, რათა ამით ზეიმის სურათი უფრო სრული და ბრწყინვალე გამხდარიყო*).

აი, ამგვარი დაუმსახურებელი განაჩენი წაქცეულ საქართველოს ჭირისუფალთ უნდა უხმოდ მოესმინათ... ეს იყო ქართვლის ბედის საშინელი დაცინვა.

ღენერალ ლაზარევს ყველაფერი ეს უმაღლეს მოხსენებისათვის სჭიროდა, საქართველოს დამცირებაზე მას თვისი კარიერა უნდა გაეკეთებინა; და გათამამებული ღენერალი ამ ამბებმა დაათრო; უხაროდა, რომ «სიფრთხილე», რასაც რუსეთიდან კვლავ ურჩევდენ, მას არ სჭიროდა.

ამ «ზეიმის» ჩატარების შემდეგ, გამარჯვებული ღენერალი ლაზარევი საქართველოს მთავარმართებელს ქნორრინგს, სხვათა შორის, სწერდა:

«აგერ წელიწად ნახევარია აქ ვცხოვრობ და ჯერ ამ გვარი ნეტარება არ განმიცდია, რაიც ეხლა ხან ვნახე; უმაღლესი მანიფესტის მიღების დღიდან, თითქოს აქ ყველაფერი გამოიცვალა და გამოცოცხლდა. შეიძლება ითქვას, რომ ჯავრობენ კიდეც, თუ მათ ქართველს უწოდებთ და არა რუსს»-ო. (65). მაგრამ რუსეთმა ძალიან მალე ნახა, რომ ის ამბები, რაც იმ დღის შემდეგ საქართველოში დატრიალდა, ყველაფერს ჰგავდა, გარდა «ზეიმისა»...

*

ღენარალი ლაზარევი მხოლოდ გამტარებელი იყო იმ ახალ ბრძანებათა, რაიც ღენერალ ქნორრინგს «კავკასიის ლინიაზე» პეტერბურგიდან საიდ ამლოდ მოდიოდა და რასაც ის «მამაც» ღენერალს აცნობებდა.

---

*) ისტ. დებროვინს მოჰყავს არღუთინსკის სიტყვა, პარაკლისის გარდახდის შემდეგ თქმული, ვანქის ტაძარში: «რა სიხარულია აღბეჭდილი თქვენს სახეზე, კეთილშობილო ხალხო საქრისტიანოისა... ო, დღეო, ჩვენ-ო ხსნისაო, დღეო განცხრომისა; დღეო, რომელსაც მიეყევართ ჩვენ ნამდვილ ნეტარებისა და მშვიდობიანობისაკენ... ჰოი, დღეო განმტკიცებისა ჩვენის კეთილდღეობის ბედისა! დღეო, რომელი ვერ შეეგნოთ წინაპართა ჩვენთა»... (64).

მართალია, გიორგი მეფეს პავლე I-საგან თითქოს «რეალური მფარველობა და წყალობანი» აუღთქვეს, მაგრამ ყოველივე ეს ნამდვილ განწყობილების და გეგმების დასაფარავად სჭირდებოდა რუსეთს.

ის საიდუმლო ინსტრუქციები კი, რაიც ელჩ კოვალენსკის, ღენერალ ლაზარევს კი თვით მთავარმართებელ კნორრინგს მოდიოდათ, მათ მტრობას და საიდუმლო ზვერვას ავალებდა ქართული სამეფო სახლისადმი... ამავე დროს განსაკუთრებულ სიფრთხილეს და მზრუნველობას აკისრებდნენ მათ სომხობისადმი, რომელსაც ქვეყნის შემოერთებაში დიდი სამსახურის გაწევა შეეძლო.

«აქტები»-დან ვტყობილობთ, რომ პეტერბურგი (ჯერ კიდევ 16 აპრილს 1799 წ.), გზავნიდა რა საგანგებო მისიით კოვალენსკის, მას, სხვათა შორის, ავალებდა: განსაკუთრებულ ზვერვაში ჰყოლოდა დედოფალი დარეჯანი და თვით მეფე გიორგიც, «რათა მათ არ ჩაიდინონ ისეთი რამ, რაიც შეიძლება ჩვენს ინტერესებს ეწინააღმდეგებოდეს. ამიტომ ყოველ მათ მოქმედებაზე, ჩვენთან ერთად, «ლინია»-საც მიაწოდეთ ცნობები»-ო.

ამავე ინსტრუქციის მეხუთე მუხლით მინისტრ კოვალენსკის ევალება, რომ თუ მეფეს მოსალაპარაკებლად ეახლენ მეზობელ სახელმწიფოთა ელჩები, ან რწმუნებულები, მეფემ ეს თქვენ არ უნდა დაგიმალოთო; ამასთან გევალებათ — ასეთ მოლაპარაკებებს მუდამ ესწრებოდეთ და შედეგს მყისვე გვაცნობებდეთო.

ამასთან ერთად, ინსტრუქციის მე-10 მუხლით, რუსეთის მინისტრს დაეკისრა განსაკუთრებული მზრუნველობა გამოეჩინა სომხობისადმი, და საქართველოში მათი კოლონიზაციისათვის ყოველგვარად ხელი შეეწყო. «სომხებმა, რომლებიც იმყოფებიან საქართველოში, ან სპარსეთში და რომელთაც ითხოვეს მფარველობა იმპერატორისა, **უკვე მიიღეს უმაღლესი ნებართვა საქართველოში დასასახლებლად**; ამასთან განკარგულებას ვურთავთ, რომ მეფე საქართველოსი აძლევდეს მამულებს მათ (მელიქებს) და მათ ქვეშევრდომთ; აგრეთვე — იმ დანარჩენთაც, რომელნიც სპარსეთიდან გამოველენ. ხელმწიფის სურვილია, რომ მოეწყოს სომეხთა საზოგადოება საქარ-

თეელოში და თქვენ გევალებათ, მოახდინოთ შესაფერი გავლენა, რათა საქართველოს მეფემ **ყველამ საუკეთესო პირობებში გადასცეს სომეხთ მამულები**; ამათ უნდა მიენიჭოსთ განსაკუთრებული პრივილეგიები» («ვითარცა ვასალებს და არა ქვეშევრდომებს»-ო). (66).

ეს იყო სამაგიეროს გარდახდა იმ სამსახურისათვის, რაიც სომხობამ საქართველოს რუსეთთან შეერთების საქმისთვის გასწია; და ეს იმ დროს, როცა ბატონიშვილები და მოწინავე ქართველობა ამ ძალად «შეერთებას» თავგამოდებით ებრძოდენ და რუსეთსა და მის ჯარს მდგომარეობას ურთულებდენ.

იმ დროს არა მარტო წარჩინებულები განუდგენ რუსებს, არამედ გლეხობაც, რომელიც ბატონიშვილებსა და თავად-აზნაურობას გვერდში უდგა. ამ მხრივ მეტად ტენდენციურია რუსული წყაროები, რომლებიც იმ დროის მოძრაობას უკმაყოფილო ბატონიშვილთა «საქმედ» სთვლის, რათა ბრძოლის ეროვნული და ხალხური ხასიათი დაჩრდილოს და ღენერალ ლაზარევის და მის ამყოლთა რეპრესიები გაამართლოს... «ესეი, ესე იგი, რუსეთის მოწინააღმდეგენი, — სწერდა ეს ღენერალი მთავრობას, — ცდილობენ მხოლოდ იმისათვის, რომ თვისი პრივილეგიები შეინარჩუნონ და ხალხი ძველებურად ძარცვონ»-ო. თითქოს საკუთარ, ძველ სახელმწიფოს მოსპობა ქართველ ხალხის დიდ უმრავლესობას (გლეხობას) მტკივნეულად არ მიაჩნდა და რუსული კანონის და წესების შემოღებას ოდნავადაც არ ეწინააღმდეგებოდა. სინამდვილე კი სულ სხვა სურათს გვიშლის და, როგორც დავინახეთ, თავადაზნაურობას და ბატონიშვილებს სწორედ ეს გლეხობა აგულიანებდა და ეროვნულ ბრძოლას ეწირებოდა. მაგრამ რუსულ ოფიციალურ წყაროებს სომხობაც, რასაკვირველია, კერს უკრავდა; საგანგებო «დამსახურებას» ის თითქო ქართველ გლეხობის ინტერესებით სჩადიოდა... ამ მხრივ საყურადღებოა სომეხ მკვლევარის დაგვიანებითი ანალიზი.

ბ. ეზოვი თვის შრომაში (რასაც ჩვენი სიამაყე, ილია, კრიტიკის ქარცეცხლში ატარებდა), ქართველი ხალხის დარაზმვას რამდენიმე უკმაყოფილო თავად-აზნაურთა ოჯახების ავანტურად აცხადებს და სწერს:

«მართალია, ქართველი თავადაზნაურობის მრავალი ოჯა-

ხები და ქართველი ბატონიშვილები, სხვა და სხვა პარტიებად დაყოფილნი, უკმაყოფილონი იყვნენ საქართველოს რუსეთთან შეერთებისა, მაგრამ უბრალო ხალხი და **განსაკუთრებით სომხობა**, (ამ შეერთებას) უსათუოდ დღესასწაულობდენ და პატრიარქი იოსები შეიქმნა მათი ამ გრძნობების ჭეშმარიტი გამომსახველი»-ო. (67).

*

სომეხთა კათალიკოსი იოსებ არღუთინსკი ჯერ კიდევ პეტერბურგში ყოფნისას იქაურ სომხის სავაჭრო და სასულიერო წრეებს საქართველოს საწინააღმდეგოდ იყენებდა. მან იქ მთელი მოძრაობა შეჰქმნა ძველ, დაკარგულ «არმენიის» ნაწილობრივ მაინც საქართველოში გადმოსატანად.

ამას, რა თქმა უნდა, წინ საქართველოს სამეფოს არსებობა ეღობებოდა და სომხების კათალიკოსმაც აქეთკენ მიიტანა იერიში. საფიქრებელია, რომ საქართველოს საოკუპაციოდ გამოგზავნილ რუსულ ჯარის მეთაურად სომეხ ღენერალ ლაზარევის დანიშვნა, სწორედ ამ არღუთინსკის, ან მის გარემოცვის საქმე იყოს. მაგრამ ამას ჩვენ დაბეჯითებით ვერ ვიტყვით, ვიდრე პეტერბურგის სომეხთა მაშინდელი ორგანიზაციის არქივი (და კერძოდ არღუთინსკის მიწერ-მოწერა) სათანადოდ შესწავლილი არ იქნება.

პეტერბურგის სომხებს რომ საქართველოს სამეფოს დაცემასთან უახლოესი კავშირი ჰქონდათ, ამას, სხვათა შორის, ადასტურებს კნორრინგისა, ლაზარევის და თბილისის სომხობის ახლო ურთიერთობა. ეს იყო ჯაჭვი, რომელიც იმართებოდა პეტერბურგიდან მოსკოვამდე, აქედან მოზდოკამდე და შემდეგ თბილისამდე. ერთ წერილში ლაზარევი კნორრინგს მოახსენებს: «აქ, ამ დღეებში მოზდოკიდან ჩამოსულმა სომხებმა ხმები დაჰყარეს, რომ თქვენი აღმატებულობა მალე აქ ჩამობრძანდებით და ბატონიშვილ ვახტანგს წმიდა ანნას ორდენს ჩამოუტანთ. სწორედ საკვირველია, რომ მე აქაურ **სომხებისაგან თითქმის მუდამ რამდენიმე დღით უფრო ადრე ვტყობულობ, თუ რა გვარ** ბრძანებას მივიღებ მე შემდეგ, ანუ რა სახის განკარგულება უნდა მომივიდეს»-ო. (68).

როგორც ვხედავთ, პეტერბურგის და მოსკოვის სომხობას

ფუშუალო ინფორმაცია მოდიოდა საქართველოს შესახებ და ამ ცნობებს ისინი დანიშნულ დროზე უფრო ადრე აწვდიდენ «ლინიაზე» კნორრინგს და თბილისში — ლაზარევს.

ისტორიკოსი ალექსანდრე ორბელიანი თვის «ერეკლე მეფის ცოცოტა ამბებ»-ში სწერს:

«იმათ (ესე იგი საქართველოს წინააღმდეგ შეთქმულ სომხობას) — ორქივატერის კაცები მოსდიოდათ და მისდიოდათ ურთი-ერთმანეთსა საქართველოს დამხობისათვის. სადაც ყოველ ქალაქებში და დიდრონს სოფლებში თავისი აგენტები ჰყვანდათ, ურევდენ წრფელსა ქართულებსა (ე. ი. ქართველთაცა) და რასაც მოიწადინებდენ, უთუოდ შეასრულებდენ კიდეც. ფულიც ბევრი მოსდიოდათ ორქივატერისაგან (რუსეთიდამო) იმ სომხებსა...». (69). იგივე ავტორი ასლან ორბელიანს (დედოფალ მარიამის სიძე) ასე ალაპარაკებს:

«როგორც ბოლო დროს შევიტყვე და წვრილად მიამბეს, რაც საქართველოს მოუვიდა, სულ სომხებისაგან; სხვას ნურავის დავაბრალებთ, ისინი ჩვენის ხელით ნარსა გლეჯდენ, ჩვენ იმათი იარაღი ვიყავით»ო. (იქვე).

აშკარაა, პეტერბურგის და საქართველოს სომეხთა ამ წრემ უფრო ააგულიანა რუსთა ღენერლები და ლაზარევს მ.სი გადაწუვეტილებათა სისრულეში მოყვანა დააჩქარებინა. საქართველოს სამეფოს «სულთათანას» გალობაში სომეხთა კათალიკოსი «მაღალს» ამბობდა, მაგრამ «გალობა» არც მისთვის და, განსაკუთრებით ხომ არც ღენერალ ლაზარევისათვის, ასე მწყობრად არ ჩატარებულა.

სომეხთა კათალიკოსს იოსებ არღუთინ‌ის არ აღირსეს თვისი ზრუნვის ნაყოფი ეხილა... ის ვერ დასტკბა საქართველოში რუსთა გაბატონებით, რისთვისაც ის მრავალ წელთა მანძილზე ასე თავგამოდებით იბრძოდა. მას შემდეგ, რაც დიდი იმედები «დიდი არმენიის შექმნისა» (პეტრე I-ის და ეკატერინე II-ის პროექტები) დაიმარხა, კათალიკოსი გულმხურვალედ ახალ ცდებს და გზებს გაჰყვა. ეს ახალი გზა იყო — საქართველოს სამეფოს გაქრობის და მის ნანგრევებზე რუსული ღუბერნიების აღმოცენების, რის წიაღში სომხობას ახალი შესაძლებლობანი უნდა გახსნოდა; აქ მთავარი იყო, სპარსეთ-ოსმალეთში და ადებეიჯანის სახანოებში გაბნეულ

სომხობას საქართველოში ახალი თავშესაფარი მოეპოვებინა; მაგრამ კათალიკოსს, როგორც ვსთქვით, აღარ დასცალდა ამის ხილვა... სწორედ საქართველოს სამეფოს დაცემისათანავე, «დაეცა» დიდი კათალიკოსიც: ის მიიცვალა თბილისში 9 მარტს 1801 წ. ამ მძიმე დანაკლისის შესახებ კნორრინგი ლაზარევს სწერდა:

«ჩვენი საერთო მეგობარი, პატრიარქი იოსები, თბილისს მიიცვალა. ის ჩემთვის ფრიად საჭირო კაცი იყო, იმიტომ, რომ ჩვენ ერთ-მანეთის ვიცოდით (გვესმოდა) **და ყოველივე იმ გზით წავიდოდა, როგორც საჭიროა.** ის იყო ხელმწიფის უერთგულესი კაცი, ვითარცა შეშმარიტი და პატიოსანი ადამიანი».. (70).

აღსანიშნავია, რომ ასეთივე ბედი ეწვია საქართველოს დანარჩენ მესაფლავეთაც: ლაზარევს, გულიაკოვს, მუსინ-პუშკინს და სხვებს; მათ არ ეღირსათ ბაგრატიონთა ტახტის გაუქმებით ხანგრძლივად დატკბობა...

*

დედოფალი მარიამი კიდევ ცდილობდა როგორმე შეეჩერებინა, ან შეენელებინა მაინც ის გაშმაგებული სისწრაფე, რომლითაც ლაზარევი საქართველოს სამეფოს წესის აგებას ცდილობდა. ეს ღენერალი ყოველ დღე, ყოველ წუთს ახალ-ახალ ფაქტებს ჰქმნიდა: გზავნიდა შიკრიკებს, სწერდა ბრძანებებს, აპატიმრებდა და სჯიდა ურჩთ, რათა ახალი მთავრობა რუსეთისა საჩქაროდ განემტკიცებინა და საქართველოს სახელმწიფოს ყველა ნაშთები წაეშალა და გაექრო.

თბილისის წარჩინებულ სომეხთა ერთი ნაწილი კიდევ უფრო აგულიანებდა ისედაც ჟინით «დამთვრალ» ღენერალ ლაზარევს... უკანასკნელი დაბრკოლება, რაც მათ დღემდე წინ ეღობებოდა, გიორგი მეფე, — მადლობა ღმერთს! — უკვე აღარ იყო; ხოლო სხვა ანგარიშგასაწევი ძალა საქართველოში არ შოიპოვებოდა. მაგრამ ასე არ ფიქრობდა დედოფალი; მას კიდევ არ გაჰქრობოდა იმედი, რომ საქართველოს მწუხრი უხმოდ არ ჩაივლიდა. სჯეროდა, რომ ქართველობა ფეხზე დადგებოდა და ერისა და მეფის ღირსებას დაიცავდა; ამას სჭიროდა დრო, თავზარდაცემულ ქართველთა გონს მოსვლა, გამოფხიზლება... ჯერ ხომ ქართველებს იმ საშინელ სინამდვი-

ლისათვის თვალში კარგად არ ჩაეხედათ, იმ სინამდვილისათვის, ლაზარევმა რომ ალყა შემორტყმულ სიონში 16 თებერვალს მათ გამოუცხადა; ეს იყო ელვა, რომელსაც მეხის გავარდნა უნდა მოჰყოლოდა.

მარიამიც დროის მოგებას ცდილობდა; მისი აზრით, ეხლა ყოველ დღეს შეეძლო საქმისათვის რამე მნიშვნელოვანი ცვლილება მოეტანა. ეხლა დედოფალი მეფის აჩრდილს ამოეფარა, ამას უნდა გაეწია მფარველობა სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილ ქვეყნისათვის.

«დედოფალი მარიამი სთხოვდა ლაზარევს, — გადმოგვცემს დუბროვინი, — არ აჩქარებულიყო მეფის დასაკრძალავად და დაეტოვებინა აგრე მიცვალებული, *ვიდრე ქვეყანა დამშვიდდებოდა!*-ო, მაგრამ ღენერალს კარგად ესმოდა დედოფლის ზრახვანი და იცოდა, რომ მანიფესტის გამოცხადების შემდეგ თბილისში მეფის ცხედრის კვლავ გაჩერება საშიში იყო და ლაზარევმა ოთხი დღის შემდეგ (20-II) მეფის ცხედარი დასაკრძალავად მცხეთაში წაასვენებინა. იწყებოდა ქვეყნის აგონია და ამ მწარე დღეთა უკანასკნელი ამბავი იყო ლაზარევის მიერ შეპყრობა და ციხეში ჩაგდება საქართველოს დიდებულ კანცლერის სოლომონ ლეონიძისა. ერეკლე მეფის მრჩეველი, მისი მარჯვენა ხელი, ხედავდა ბაგრატიონთა სახლის ასე უწყალოდ განადგურებას, საქართველოს აღსასრულს და «ვით დაკოდილი ლომი» ეხეთქებოდა რუსთა წინააღმდეგობის კედლებს.

სოლომონ ლეონიძე ჯერ კიდევ მეფის სიცოცხლის უკანასკნელ დღეებში შეეცადა ბატონიშვილ დავითის და მამის მორიგებას, და ამით სახელმწიფოს გადარჩენას. ის ხედავდა, რომ მეფისა და მემკვიდრეს შორის ამ უკმაყოფილებას ხელოვნურად ასვიადებდა და ზრდიდა თვით ლაზარევი, რომელიც მზაკვრულ განზრახვათა გამო ერთი საათითაც არ სცილდებოდა მომაკვდავ მეფის სარეცელს; და ბრძენი კანცლერი ერთხელ კიდევ შეეცადა მომაკვდავ მეფის რუსთა და ლაზარევის კლანჭებიდან გამოხსნას; ის მეფესთან შევიდა და თან მიიყვანა მემკვიდრე დავითიც; იქნება ამ დროს ერთის წამით გონებას მოსულიყო უკვე უიმედოდ მყოფი მეფე... მას საშინელი საფრთხე

დაენახა და სიკეთილის წინ დავითი ტახტზე აეყვანა. ეს იქმნებოდა იმ სინამდვილის შექმნა, რომელსაც შეეძლო უდიდესი ისტორიული როლის თამაში.

ყველანი გულის ძგერით ელოდნენ კანცლერის ამ ცდას; მისმა მხნეობამ ეხლა ოდნავი იმედი მაინც დაბადა... და აქ, მომაკვდავი მეფის სარეცელთან, სოლომონ ლეონიძემ საბედისწერო საკითხი დაუყენა მეფეს. სწორედ ის კითხვა, რომლითაც მარიამ დედოფალმა ცოტა უფრო გვიან მიმართა მომაკვდავს:

— ხომ არ ინებებთ, თქვენო უმაღლესობავ, უბრძანოთ რამე განკარგულება ტახტისა და სამეფოს შესახებ თქვენს მემკვიდრეს?

ბატონიშვილი დავითი, თავჩაკიდებული იქვე იდგა და საქართველოსათვის საისტორიო განაჩენს უცდიდა... ამასვე უცდიდენ ყველანი. უცდიდა გულის ფანცქალით თვით დედოფალიც... მაგრამ მეფეს სვავივით თავს დასტრიალებდა იგივე ლაზარევი, რომელსაც სძაგდა ერეკლეს კანცლერიც და გიორგის მემკვიდრეც, ორივ ტახტის გადასარჩენად რომ მოსულიყვნენ...

«ლაზარევის სიტყვა ამ დროს სნეულ მეფისათვის უფლის განაჩენი გამხდარიყო, — გვეუბნება ისტორიკოსი დუბროვინი, — მეფე სდუმდა და უცდიდა მასო. კვალად შეეცადა სოლომონ ლეონიძე მის გამოფხიზლებას, მაგრამ ბრძნული სიტყვა კანცლერისა ამ დროს უკვე ვეღარ სჭრიდა, მეფემ საბედისწერო დუმილი არ დაარღვია; ხოლო ლაზარევმა ეს ამბავი და ცდა ს. ლეონიძეს არ დაუვიწყა და იმ ერთად-ერთი იარაღით გაუსწორდა, რომელიც მას ემარჯვებოდა: მხცოვანი კანცლერი, რომელიც მანიფესტის გამოცხადების შემდეგ მაინც ურჩობდა, მან უხეშად დააპატიმრა. ამ ნაბიჯით სამეფოს და ქვრივ დედოფალს ლაზარევმა ერთხელ კიდევ დაანახვა ნამდვილი განზრახვანი. დედოფლის დიდი მოთმინება ლაზარევის ამ მოქმედებით საბედისწერო საზღვარს უახლოვდებოდა.

ღენერალი ლაზარევი რუსეთის იმპერიის სახელით ეხლა საქართველოს სახელმწიფოს ყველა ფუნქციებში იჭრებოდა და სასტიკ განკარგულებებს იძლეოდა და ამას სჩადიოდა მაჩიამ დედოფლის საკუთარ სამეფოში, მის შვილთა და მრჩეველთა დაუკითხავად.

მარიამს, როგორც უკანასკნელ დედოფალს, წმიდა მოვალეობად მიაჩნდა, როგორმე დაეცვა ის შეკვეცილი უფლებანი მაინც, რომელიც გიორგი მეფის «თხოვნითი პუნქტებით» საქართველოს რუსეთისგან აღთქმული ჰქონდა. იმ «შეთანხმებით», რომელსაც ორივე მხარის ხანგრძლივი მიწერ-მოწერა, ელჩთა მოლაპარაკება და დიპლომატიური მუშაობა უძღოდა, ეხლა ქვეყნის პატრონი «ხელმწიფის მოადგილე» უნდა ყოფილიყო, რომელსაც საქართველოში «მეფის» ხარისხი უნდა შერჩენოდა; და ეს პირიც ხომ, აწ განსვენებულ მეფის და დედოფალ მარიამის წარდგენით, რუსეთს უკვე დაემტკიცებინა. ეს იყო ბატონიშვილი დავით!

აქ საკითხი მარტო დავითის გამეფებას კი არ შეეხებოდა, არამედ პრინციპს: სცნობდა, თუ არა რუსეთი გუშინ დადებულ პირობას... ესე იგი, რომ ბაგრატიონთა ოჯახიდან «მეფის ხარისხი» არ აღიკვეთებოდა უკუნითი უკუნისამდე? ასე ფიქრობდა დედოფალი; მაგრამ ღენერალ ლაზარევს კი სრულიად ამის საწინააღმდეგო, პეტერბურგის ბრძანება ედო ჯიბეში და მის შესაფერ ინსტრუქციებს იძლეოდა.

პავლე I-ის მიერ წარმოგზავნილ ამ საიდუმლო ინსტრუქციის ძალით ლაზარევი ბატონიშვილ დავითს სწერდა:

«უსაფუძელო ხმები დადის, თითქოს თქვენ იყოთ მეფედ დამტკიცებული, რის გამო პატივი მაქვს განმეორებით მოგახსენოთ, რომ მისი იმპერატორობის უდიდებულესობის, ჩემის მოწყალის ხელმწიფის, ნება არის: — მინამ, ვიდრე მისი ბრძანება არ მოვიდეს, საქართველოს მეფედ არავინ აღირჩიოს... და მისთვის გთხოვთ თქვენს უგანათლებულესობას მაგისთანა ხმები (ვითომდა თქვენ იყოთ დამტკიცებულიო), დააჩუმოთ»-ო.

მაგრამ ასეთი «შთაგონებანი» დავით ბატონიშვილზე შესაფერ გავლენას ვერ ახდენდნენ. მან კარგად იცოდა, რომ ამხელად ერთ დათმობას მეორე უნდა მოჰყოლოდა და მალე ტახტის ფუნქციები მთლად მოიშლებოდა... მართალია, დავითმა ის ერთად-ერთი ნაბიჯი, რაც მას იხსნიდა და რასაც სოლომონ ლეონიძე ურჩევდა, ვერ გადასდგა და მეფედ ვერ ეკურთხა,

მაგრამ სამეფო ფუნქციები მაინც ხელთ აიღო, ფაქტები შექმნა და ამით პავლე I-ის მანიფესტს საქმაო გამბედაობით გადაეღობა.

•

პავლე I-ს საქართველოს მეფედ თვისი გამოცხადება დიდის ცერემონიებით სურდა ჩაეტარებინა; ამით ის ალბათ ცდილობდა ტახტის ასე უცბად გაუქმების შერბილებას. განზრახული ჰქონდა დიდი «ყეენობა» მოეწყო, რისიც მართლაც სპეციალისტი იყო; როცა საქართველოს ელჩები კვლავ პეტერბურგს დაბრუნდებოდნენ, მათ ხელმწიფე საგანგებო აუდიენციას დაუნიშნავდა; და სურდა საამისოდ ქართველ მეფეთა ტანსაცმელში მორთულიყო; თითქოს ამ «ყეენობით» უნდა გაებედნიერებინა ძალად დაჩოქებული საქართველოს გული. მაგრამ მემკვიდრე დავითმა პეტერბურგს აგრძნობინა, რომ თვის ელჩებს «ყეენობაზე» დასასწრებლად კი არ გზავნიდა, არამედ უფრო დიდ და საჭირო დავალებით. დავითი კნორრინგს სწერდა, რომ გაგზავნა ელჩები, «**მისაღებად ჩემთვის და ჩემი სამეფოსათვის** უმაღლეს კურთხევათა»... ამით ის უკვე მეფედ აცხადებდა თვის თავს; და მამისათვის ჩამოტანილი ღრამოტებიც ხომ მან, ვითარცა მემკვიდრემ, ჩაიბარა.

მოგზაური კლაპროტიც ადასტურებს ამ ცნობებს და გვაუწყებს, რომ «ელჩებმა, ავალიშვილმა და ფალავანდიშვილმა, როცა საქართველოში ჩავიდენ, ბატონიშვილ დავითს, **ვითარცა მემკვიდრეს ტახტისას**, გადასცეს ღრამოტები და რასტოპჩინის მიერ წარმოგზავნილი აქტები, რის ძალითაც დავითი უმაღლეს მბრძანებლად (მთავარსარდლად) ინიშნებოდა», („Befehlshaber von Georgien"), — **ვიდრე მამის «თხოვნითი პუნქტების» სრული დამტკიცება ჩატარდებოდა**. აქედან ირკვევა, რომ მემკვიდრე დავითს უმაღლესი საგანგებო მისია ჰქონდა მინიჭებული, რასაც ასე უხეშად ედავებოდა მას ლაზარევი. ამ დროს დავითის აქტივობა იქედან სჩანს, რომ მან ეს ელჩები თვითონ გააბრუნა პავლე I-თან, დავალებით, რათა ზოგიერთი «პუნქტები» ამ «აქტისა» უფრო მკაფიოდ და გარკვევით ყოფილიყო დადგენილი. ალბათ ეს საქმე **მეფობის ხარისხის შენარჩუნებას** და მის სხვა უფლებებს შეეხებოდა, რაიც

ასე გაურკვეველად ჰქონდა ნახსენები მის მამას თვის ცნობილ «თხოვნითი პუნქტებში». (70).

ბატონიშვილი დავითი რომ მეფური ფუნქციების შესრულებას ლამობდა, ამის საბუთებს ჩვენ ქვევითაც მოვიყვანთ, ხოლო სანიმუშოდ აქ უნდა ერთ სიგელზე შევჩერდეთ, რომელიც დავითს 1801 წ. მაისის 3-ს **გოსტაბაშვილთათვის** უბოძებია: «აქ.: მათის იმპერატორობის დიდებულების სათნო ჩინებით, ჩვენ **სრულიად ქართლისა, კახეთისა მემკვიდრეობით გამგებელმან და მბრძანებელმან**... გიბოძეთ»-ო და სხვა. (72).

მაგრამ რუსეთი თავის ხაზს არ სტოვებდა და გეგმას არაფრით სცვლიდა. და პეტერბურგი მაინც აწყობდა საქართველოს ელჩებისათვის განზრახულ უცნაურ «ყეენობას»: თითქოს ამით უნდოდა მთელს ქვეყანას დაენახა: «დობროვოლნოე პრისოედინენიე გრუზიი კ როსსიი».

მაგრამ ბედის დაცინვამ «ყეენობა» ჩაშალა: 12 მარტს 1801 წ. პავლე I მოაშთვეს და საქართველოს ელჩებმა მას ცოცხალს ვეღარ ჩაუსწრეს. (73).

*

მემკვიდრე დავითის გარდატეხაში და მტკიცე გეზის აღებაში, უეჭველია, დედოფალ მარიამს დიდი წილი მიუძღოდა.

დედოფალმა ადრევე შეამჩნია, თუ რა მიზნით შემოეყვანა რუსეთს ეს დიდი ჯარი საქართველოში; მისთვის მოულოდნელი არ იყო სამეფოს ღუბერნიად გამოცხადება და ბაგრატიონთა მტრების დიდი ზეიმები, ლაზარევს და საერთოდ რუსთა მხედრობას რომ ასე ამხნევებდა.

მთელი ამ ურთიერთობის გამწვავება დედოფალსა და ღენ. ლაზარევს შორის, იყო მხოლოდ პრინციპიალური ხასიათისა და არა რაიმე კერძო უთანხმოებაზე, ან სიძულვილზე აღმოცენებული.

დედოფალი თავიდანვე ხედავდა, რომ ლაზარევი და რუსეთის ყველა დიდი მოხელენი გიორგი მეფის სიკვდილის შემდგომ არა მარტო დინასტიას სთვლიდენ აღსრულებულად, არამედ საქართველოს სახელმწიფოს. და თუ ეს წინად ასე აშკარად არ გამოვლინებულა, ამის მიზეზი იყო მხოლოდ სიფრთხი-

ლე და შიში დიდი იმპერიისა, კავკასელ ხალხთა წინაშე, რის შეთაურად და მცველად საქართველო და მისი ბუნებრივი სიმტკიცე ითვლებოდა.

ეხლა კი, დარიალის გახსნის და რუსულ ჯარების და საჭურველის მომძლავრებით შემოჭრის შემდეგ, მთას მხნეობა და ძალა ჩამოსცილდა... ის ორივე მხრით: ჩრდილოეთით და სამხრეთით რუსულ რკალში მოექცა.

აშკარა იყო — რუსეთს აქედან უკან დახევა არ შეეძლო და არც სწადდა. ამიტომ საქართველოს სამეფოს ყველა ნაშთები უნდა უწყალოდ და უხეშად ამოგდებულიყო.

დედოფალი ხედავდა, რომ ამ ამოცანას ტლანქად და დიდის სისწრაფით ასრულებდა ფეხმომაგრებული მხედრობა და მაღალი ადმინისტრაცია რუსეთისა, და ყველაზე უდიერად მათში, სწორედ ამ მხედრობის მეთაური — ღენ. ლაზარევი — იქცეოდა; მარიამი ყველას აფრთხილებდა და თან ელოდა, რომ მემკვიდრე დავითი, ეს «სჯულიერი» მცველი ტახტისა, მამის რუსეთისადმი გულუბრყვილო მინდობას მცდარად ჩასთვლიდა და ორთავ დედოფლებს გვერდით ამოუდგებოდა..

და თუ «ტახტთან მიახლოების» მანიფესტის ხანაში, მემკვიდრეს კიდევ რაიმე იმედი ჰქონდა და პეტერბურგის «კურთხევას» უცდიდა, ეხლა ხომ ყველაფერი საბოლოოდ გამოეტანა ღენ. ლაზარევს, რომელმაც ღენერალ კნორრინგთან შეთანხმებით, საქართველოს «დროებითი მმართველობა» შექმნა, რის თავჯდომარედ თვისი თავი გამოაცხადა და წევრებად — მემკვიდრისავე თქმით — რამდენიმე «პლუტი, ან დურაჩი» დანიშნა. (იხ. ამაზე ქვევით, წერილი ლაშქარაშვილისადმი).

დედოფალი ამ საფრთხეს, როგორც ვსთქვით, დიდი ხანია ამჩნევდა, და უკვირდა მემკვიდრე დავითის სულგრძელობა.

დედოფალ მარიამის ცდა, გიორგი მეფის დაკრძალვის ვადა როგორმე გაეხანგრძლივებინა, იმ აზრითაც ხდებოდა, რათა მემკვიდრე დავითს ამ დროით ესარგებლა და უფლება და ტახტი როგორმე განემტკიცებინა.

როგორც ვიცით, მეფე გიორგი 28 დეკემბერს 1800 წ. გარდაიცვალა, ხოლო მისი დასაფლავება 20 თებერვალს 1801 წ. მოხდა და ესეც ღენ. ლაზარევის ძალდატანებით და რუსის ჯარების საქმეში ჩარევით. სწორედ ამ პერიოდში შესძლო მემ-

ქვიდრე დავითმა სამეფო უფლებათა და ფუნქციების ხელში აღება. მართალია, ის მეფედ არ ეკურთხა, მაგრამ თავის ხალხს და ქვეყანას 15 იანვარს 1801 წ. საგანგებო მანიფესტით «საქართველოს ტახტთან მიახლოების შესახებ» მაინც მიმართა. (74).

დედოფალი მარიამი არც ამით იყო მთლად კმაყოფილი; მას კარგად ახსოვდა გიორგი მეფის მტკიცე ნაბიჯი ერეკლეს გარდაცვალების შემდეგ, როცა მეფე ტახტზე ავიდა, ეკურთხა და პეტერბურგს მხოლოდ ამის დადასტურება მოსთხოვა. მემკვიდრეს ხომ მდგომარეობა ავალებდა ეხლა უფრო მეტი სიფხიზლე გამოეჩინა და რუსეთის გეგმები სწრაფი მოქმედებით ჩაეშალა.

უნდა ვიფიქროთ, რომ დედოფლის შთაგონებით მიმართეს ამ დროს ბატონიშვილ დავითს ძველმა მხედრებმა და ტახტის ერთგულებმა და ისტორიულ ნაბიჯის გადადგმა ურჩიეს.

ამ წარჩინებულთ საგანგებო სხდომა გაემართათ, მემკვიდრის საბედისწერო უმოქმედობაზე ეთათბირათ და შემდეგ ბატონიშვილ დავითისათვის მიემართათ. ესენი იყვნენ: გ. ბარათაშვილი, ალ. მაყაშვილი, სარდალი ი. ორბელიანი და სხვ.

ძველ ამბავთა სიყვარულით შემკრებს და მწერალს, ზაქარია ჭიჭინაძეს მოჰყავს საამისო ცნობები: —

«ბატონიშვილო, — მოახსენა დავითს გ. ბარათაშვილმა, — მეფობას ნუ ჰკარგავ; დროით გამეფდით. თქვენ რუსებს ნუ უცდით. უბრძანეთ, რომ აქედან რუსის ღენერალი ლაზარევი თავის ჯარით უკან გაბრუნდენ; თუ ამას არ იქმს იგი, მაშინ ჩვენ ვიცით საქმე და ძალით გავაძევებთ... გამეფდით დროით, თორემ დავკარგავთ მეფობას.

«...ამ კრებაზე საუბარმან გაამხნევა იოანე სარდალი, ორბელიანი, მივიდა დავითთან და მოახსენა:

«ბატონიშვილო და ბიძავ, ნუ ჰკარგავთ მეფობასა... მიბრძანდით და გამოუცხადეთ რუსისა აქა ჯარსა — წარვიდეს რუსეთად და თუ არ იქმს რუსის ღენერალი, ადვილია მისი აქედან განდევნა. დავიცვათ მეფობა და განვამტკიცოთ მეფობით სახელი ჩვენი... როგორც გვიმეფნია, ისე ვიმეფოთო».

თითქმის იმავ სიტყვებით მიმართავს მემკვიდრეს თ-დი ალ. მაყაშვილიც, რომელიც საფრთხეს თუმცა კარგად ხედავს, მაგ-

რამ რუსთა ჯართა დათხოვნა» მეტად მარტივად და ადვილად აქვს წარმოდგენილი. მას დავიწუებოდა მინისტრ კოვალენსკის და რუსის ღენერალთა განცხადება, რომ რუსის ჯარი საქართველოში «სამუდამოდ დასარჩენად» შემოსულიყო და რომ ეს ჯარი ეხლა 10.000-ს აჭარბებდა...

ასევე შეწუხებული იყო მეფობის გამოცხადების დაგვიანებით პატრი ნიკოლა, ტახტთან და სამეფო ოჯახთან დაახლოებული. დედოფალთან ერთად ისიც დიდ ვაებას მოეცვა და ხან ერთ რჩევას აძლევდა მოწინავე ქართველობას, ხან მეორეს... საჭირო გამხდარიყო მეფის დაკრძალვამდე რაიმე ნაბიჯის გადადგმა. დრო არ ითმენდა, ყოველი დღე შეიძლებოდა საბედისწერო გამხდარიყო.

ღენ. ლაზარევი ფრიად აჩქარებდა დედოფალს, — უკანასკნელ მეფის აჩრდილის მოშორებას, რათა შემდეგ თვით დედოფალს და ყველა ბაგრატიონებს გასწორებოდა.

და პატრი ნიკოლა, ბატონიშვილთა უმოქმედობით გულმკვდარი, ეხლა თავისუფლების მოყვარულ ქართველ ხალხისაკენ იბრუნებდა პირს და რესპუბლიკის გამოცხადებას ურჩევდა ყველას... რათა საქართველოზე მოსულ მტერთ დაენახათ, რომ მეფობის გაქრობა არ ნიშნავდა ქართულ სახელმწიფოს აღსასრულს; ეს უკანასკნელი ისევ განაგრძობდა თვის არსებობას, ახალ, რესპუბლიკანურ ფორმებში. პატრი იტყოდა: «ბატონებო, რაკი ბატონიშვილები ასე არჩევენ ქვეყნის საქმეს (ესე იგი არ სურთ გამეფდენო), მეტი რა გზა არის; თქვენ ნუღარ აყოვნებთ, ან გაამეფეთ დავითი, ან იულონი, ან არა და **ქმენით რესპუბლიკური მთავრობა** და მოუარეთ ქვეყნის საქმეს და ასე ნუ სტოვებთ, თორემ საქმე უფრო აირევა და ბოლოს ყველაფერი დაიღუპება»-ო. (75).

მარიამისა და დარეჯან დედოფალთა ცდას უნდა მიეწეროს მთელი მაშინდელი ქართველობის მიერ გულის აყრა რუსეთზე და დაუსრულებელი მღელვარება საქართველოს ტახტის დაცალიერების გამო.

ამ ამბებმა რუსეთის მხედრობა და მთავარმართებელი კნორრინგი ერთგვარ უმოქმედებაში ჩააგდო.

მართალია, მათ ბატონიშვილთა ბუდე დაანგრიეს და ლაზარევმა, თანახმად რუსეთის საჩქარო ბრძანებისა, გიორგის

გარდაცვალებისათანავე, მისი შვილები: იოანე, ბაგრატ და მიხეილი 1801 წ. მარტში პეტერბურგისაკენ გაისტუმრა და დანარჩენთა გამგზავრებას მთავრობას საჩქაროდ ჰპირდებოდა, მაგრამ საქართველოს დამშვიდება მაინც ვერ მოხდა... აქ რჩებოდენ ერეკლე-გიორგის ძველი მხედრები და წარჩინებულნი, ეხლა დარეჯანს და მარიამ დედოფალს რომ მისჩერებოდენ და მემკვიდრე დავითს, ან იულონ ბატონიშვილს აგულიანებდნენ...

ამ საერთო ბობოქრობის გამო, ღენ. კნორრინგი დაეჭვიანდა, შიშის გამო პავლე I-ის პირდაპირ ბრძანებას გვერდი აუხვია.

თუმცა ღენ. ლაზარევის დახმარებით მან ტახტზე არავინ არ აუშვა, მაგრამ საქართველოს შეერთების ცნობილი მანიფესტის გამოცხადება მაინც ვერ გაბედა.

ჯერ კიდევ 12 იანვარს 1801 წ. ვიცე-კანცლერი კურაკინი აუწყებდა ღენ. კნორრინგს, რომ ბატონიშვილები: იოანე, ბაგრატ და მიხეილი, რომელთაც ისურვეს დაუყოვნებლივ სამშობლოში დაბრუნება, ძალით გავაჩერეთ პეტერბურგში, თანახმად იმპერატორის საიდუმლო ბრძანებისაო; რადგან სასურველი არაა საქართველოს გაუქმების და რუსეთთან შეერთების მანიფესტის გამოცხადების დროს, ეს ბატონიშვილები მანდ იმყოფებოდენო. მათ შეუძლიათ ხალხში მღელვარება და არეულობა გამოიწვიონო (76).

მაგრამ პეტერბურგს ვერც ეს იმედები გაუმართლა ღენ. კნორრინგმა. ბატონიშვილების დაჟინებითი მოთხოვნით ისინი თბილისს დააბრუნეს ისე, რომ «შეერთების მანიფესტის» გამოცხადება რუსეთის ემისრებმა ვერ შესძლეს. ამის გამო მთავარმართებელი კნორრინგი ბოდიშს იხდის პეტერბურგის წინაშე, რომ ვერ იქმნა, აქამდე ვერ გაბედა პავლე I-ის მანიფესტის გამოქვეყნება. მაგრამ მას იმედი აქვს გაზაფხულზე «ლინიიდან» საკმაო ახალი ჯარი დაუმატოს საქართველოს და თან პროვიანტიც შეიტანოს, რის შემდეგ სამეფოს «შეერთების მანიფესტის» გამოცხადება საშიში აღარ იქმნებაო. (77).

ამ რყევით სამეფო სახლს უნდა ესარგებლა; და დედოფალ მარიამის წაქეზებით, მემკვიდრე დავითი მისთვის არა ჩვეულ აქტივობას იჩენს: ბატონიშვილი თავის ერთგულთ ქართლში

და კახეთში გზავნის და ბრძანებებს აწვდის, რათა ამათ ხალხი მემკვიდრის ერთგულებაზე დააფიცონ.

თვის წარმომადგენლად ქართლში ის გზავნის უმცროს ძმას თეიმურაზს და ამას აუწყებს ერთიანად ქართლის მცხოვრებთა: «ვინც დანიშნულ რწმუნებულს არ დაემორჩილება, დაისჯება»-ო, — აცხადებს მემკვიდრე და თეიმურაზს უბრძანებს:

«შენ დაგნიშნე ქართლის ნაიბად. გევალება — წარმოგზავნო ჩემთან თავად-აზნაურობის რწმუნებულნი უქვეშევრდომილესის გრძნობების გამოსაცხადებლად. მოუარე ციხეს, დაიფიცე ხალხი ჩვენს ერთგულებაზე, გამამაგრე სურამის ციხე; წარმოგზავნე ჩვენთან ეპისკოპოსნი რუისის, ურბნისის და სამთავნისა... გორში ყველა შეკრიბე და ერთგულებაზე დააფიცე; შენ დარჩი ციხეში და დამზადე პური და ტყვია-წამალი... თან გაიგე — რას გვიმზადებენ შენი ბიძები» და სხვ.

ამავე ხასიათის ბრძანებებს აძლევს მემკვიდრე ბატონიშვილ ბაგრატს, რომელსაც თვის რწმუნებულად და მცხოვრებთა დასაფიცებლად კახეთში გზავნის. (78).

ბაგრატ ბატონიშვილის მდგომარეობა, აშკარაა, უფრო ძნელი იქმნებოდა კახეთში, რადგან იმ დროს იქ ძლიერ ოპოზიციას ხელმძღვანელობდენ მხნე და გამჭრიახი ბატონიშვილები ვახტანგ და მირიან... ესენი დარეჯან დედოფლის მფარველობით და რჩევით მოქმედებდენ და დედოფალ მარიამის ფრთას და მემკვიდრე დავითს დიდ წინააღმდეგობას უწევდენ. მაგრამ სჩანს, რომ კახეთის მოწინავეთა უმრავლესობა ჯერ კიდევ დედოფალ მარიამს უდგას გვერდით და იულონ ბატონიშვილის გარიყვით ცდილა ქართულ ტახტის ტრადიციების ხელახლა დამკვიდრებას. ამ მხრივ საინტერესოა კახელების მიმართვა ღენ. ლაზარევისადმი, მთავარმართებელ კნორრინგისათვის გადასაცემად. ეს დადგენილება უნდა პეტერბურგს მიწვდენოდა. ეს დოკუმენტი, რომელიც ქვევით მოგვყავს, დათარიღებულია 23 დეკემბრით 1800 წლ. აქედან ირკვევა, რომ მემკვიდრეს თვისი მდგომარეობის განსამტკიცებლად ჯერ კიდევ გიორგი მეფის გარდაცვალებამდე მიუღია ზომები. ხედავდა რა მამის აღსასრულის მოახლოებას.

ყველაფერი ეს ხდებოდა დედოფალ მარიამის თანხმობით და მისივე რჩევით. მას შემდეგ, რაც მარიამი მომაკვდავ მეფეს

შეეკეთხა, ვინ უნდა დაშთენილიყო ქვეყნის პატრონად, უფროსი ძე და მემკვიდრე დავით, თუ სხვა ვინმე, რაზედაც გიორგი მეფემ უეჭვოდ რუსეთი დაასახელა, მარიამი ბატონ მეფის აცდენილ გზას სტოვებს და დავითს უკან ამოუდგება; ეხლა ამან უნდა შესძლოს ტახტის გადარჩენა და ქართლ-კახეთის დროზე შემომტკიცება. ამ საქმეში მას უნდა დაეხმარონ ძმები: ბაგრატ, მიხეილ, თეიმურაზ და სხვანი.

როგორც ვსთქვით, ბაგრატმა შესძლო კახეთის დაფიცება და ხალხმა ერთიანად დავითი სცნო მემკვიდრედ.

23 დეკემბრის 1600 წ. წერილი კახეთის თავადთა, აზნაურთა, სამღვდელოთა, გლეხთა და სხვათა თელავიდან ღენ. ლაზარევს მთავარმართებელ ღენ. კნორრინგისათვის:

«ჩვენ ერთობით კახთ თავადთა, აზნაურთა და გლეხთა, სამღუდელობა დასთა და ყოველთავე მოხსენება ესე არს: რადგან დიდებულმან ხელმწიფემან სჯულიერისა წესით და უმაღლესის გრამოტის ძალით მეფის გიორგის ძის დავითის მემკვიდრეობა ინება, ჩვენც მაგის მეტი მეფედ არვინ გვენებება, უმეტესად ამის უკვე მიზეზისათვის, რომ სხვათ მეფის ირაკლის შვილებმა საქართველოს ტყეობა და ოხრობა მოინდომეს და საქართველოს ხალხისა ავაზაკისა ბაბა ხანის მფარველობას ქვეშე შევრდომა ინებეს, ომარ ხანს მოუძღვნენ და ჩვენის ცოლისა და შვილის დატყვევებას ეცადენ... ჩვენ ამის მიზეზებისათვის ვითხოვთ თქვენის მაღალ-მსვლელობისაგან, რომ ეს ჩვენი მოხსენება ყოვლად-მოწყალეს ხელმწიფესაც და ღენერალ კნორრინღსაც გამოუცხადოთ, **რომ ჩვენს მეფედ დავადგინეთ დავით, რომელსაც მეფობისათვის ამ ჟამადაც დავიფიცეთ** და გარდა ამისა ვერავის მეფედ მივიღებთ და ვითხოვთ თვით მაღალ — მსვლელობისა თქვენისა ნებაცა ათანხმოდ ნებასა ჩვენსა, რომლისათვისაც ვეგებით ჩვენ უღრმესსა პატივის-ცემასა თქუენსა». (79).

ჩვენ დავინახეთ, რომ დავითის გამოფხიზლებამ რუსობა და მისი ემისრები დიდ საგონებელში ჩააგდო. ეხლა ის დედოფალ მარიამის წაქეზებით და დახმარებით ახალ ფაქტებს ჰქმნის და, როგორც რუსი ისტორიკოსები ამბობენ (პოტო, დუბროვინი და სხვ.), ისე იქცევა, **როგორც ნამდვილი მეფე.** მიუხედავად იმისა, რომ ლაზარევის თავჯდომარეობით, «დროებითი

მმართველობა» დაწესდა, ხალხი მაინც დავითს სცნობს ნამდვილ ხელისუფლად და მისგან იღებს სიგელებს, დანიშვნებს, სამართალს და სხვ.

ჩვენ ვიცით, რომ ამან მეტად გაურთულა საქმე პეტერბურგს და ღენ. კნორრინგის წარმოგზავნა არა ოფიციალურად დავითის მართვა-გამგეობის ფუნქციებიდან გადასაყენებლად მოხდა. საქმე საშური იყო, რადგან საქართველოს სამეფოს გაუქმების მანიფესტი ერთი უკვე გამოეცხადებინა პავლე I-ს და მეორე ფიცხლავ მუშავდებოდა, რათა ხარისხი მეფობისა და თვით სამეფო სამუდამოდ წარეშალა იმპერატორ ალექსანდრე I-ს.

ყველაფრიდან ირკვეოდა, რომ მეკვიდრე დავითი პეტერბურგის განაჩენს არ ურიგდებოდა და რუსეთზე უკვე გულაცრუებული, საკუთარ გზებს ეძიებდა იმის გადასარჩენად, რაც ჯერ კიდევ შეენახა საქართველოს. ეს ხდებოდა გვიან, მაგრამ მაინც ხდებოდა და ამგვარი «განხრები» დავითისა, რუსეთის დიდ მოხელეთ ანგარიშებს უბნევდა, გზას ურთულებდა...

რუსთა ჯარების დახმარებით აჯანყებულ ბიძების დაცხრობის და საკუთარ მდგომარეობის განმტკიცების იმედი მემკვიდრეს მალე გაუცრუვდა. ეხლა მას ერთგულები მხოლოდ ქართულ ძალებში უნდა მოეძია და ნელ ნელა განმდგარ ბიძებს და დარეჯან დედოფალს შეთანხმებოდა. უკვე მარტში 1801 წ. ლაზარევი მთავარმართებელს აუწყებდა, რომ დავითი იმედ გაცრუებულია; რუსეთის მთავრობისა აღარა სჯერა და ცდილობს: მიიმხროს მოწინავე ქართველობა, რათა პეტიციით მიმართონ პირდაპირ ხელმწიფე — იმპერატორს და დაარწმუნონ, რომ საჭიროა საქართველოს ტახტის აღდგენა; რომ ამათ სურთ მეფედ გამოცხადდეს მემკვიდრე დავითი; ხოლო, თუ მან ეს ვერ გაიტანა, მაშინ სურს სამოქმედოდ და ძალთა დასარაზმავად მთაში გაიხიზნოსო; აი, ამის გამო ელოლიავება მემკვიდრე მთის ტომებსო.

ცოტა უფრო გვიან, 6 აგვისტოს 1801 წ. ღენ. ლაზარევი მთავარმართებელ კნორრინგს აუწყებს, რომ ბატონიშვილმა დავითმა უკვე შესძლო ქართველი ხალხის დარაზმვა და თან ხმებს ავრცელებს, რომ პავლე I-ის მანიფესტი უკვე გაუქმებულია და რომ ის, დავითი გამოცხადებულია საქართველოს

ძეფედ... მან შესძლო ქიზიყში აჯანყების მოწყობა და ლეკებიც მისი ბრძანებით შემოგვესიენო. კარგი იქმნებაო, — უპასუხა ლაზარევი, — ამ შემოდგომაზე ჭარ-ბელაქანის დარბევა და აწიოკება, რადგან სწორედ იქ იყრიან თავს საქართველოს სამეფოს ერთგულნიო. და ყველაზე საჭირო და სახარო ზომად ამ ღონისძიების მიაჩნდა ბაგრატიონთა მთელი ოჯახის გადასახლება; მანამდე ტყუილია, — ეს «თავქარიანი» ხალხი არ დამშვიდდებაო. ამ ზომას ღენ. ლაზარევი განმეორებით მოითხოვდა. (80).

სწორედ ამ დროს ღენ. ლაზარევი და მის მიერ შექმნილი «დროებითი მმართველობა საქართველოსი» ყოველ ღონით ცდილან შეზღუდონ და გარიყონ მემკვიდრე და მისი გარემოცვა.

დავითს კარგად ესმის, რომ საკუთარის ძალით ვეღარ შეებრძოლება რუსის დიდ მხედრობას და ერთხელ კიდევ მიმართავს სამეფოს გულშემატკივართ გარსევან ჭავჭავაძეს და სერ. ლაშქარაშვილს; აუწერს მათ რუსთა ძალების თავგასულობას, წინანდელ შეთანხმებათა დარღვევას და სწრაფ დახმარებას სთხოვს. მოგვყავს ერთი წერილი მემკვიდრისა ლაშქარაშვილისადმი, რომელიც უპოვნია ექვთიმე თაყაიშვილს და გამოუქვეყნებია «საქართველოს სიძველენი»-ს მესამე ტომში.

მწუხარებით აღსავსე ბატონიშვილი დავითი სწერს:

«ლაზარევმან ყოველს ჩემს მოქმედებას და მმართველობაზედ ხელი ამაღებინა და ოთხი კაცი გამოირჩია, რომელშიაც თვით მჯდომია. და მმართველობენ. და რაც აქ ამბევები და საქმეები დაიწყო, ყოველივე სანატრელის მამის ჩემის თხოვილისა და ღრაფ როსტოპჩინისაგან მეორედ კითხულისა და გიორგისა და ელეაზარისაგან (დესპანები — ავალიშვილი და ფალავანდიშვილი, ავტ.) მოტანილს აკტებზედ საკუთრად ჩემგანაც რაოდენიმე დამატებულისა პუნქტებისა... ყოველთურთ წინააღმდგომი არის»...

და ბატონიშვილი ამ დიდი მარცხის გამო, სამეფოს რომ სწვევია, ეკითხება პეტერბურგს, რამ გამოიწვია ასე უეცარი ცვლილება? თუ თვით დააშავა რაიმე, პასუხი მოსთხოვონ და ხალხს და მის უფლებებს რად ღუპავენ?

წერილი ეკუთვნის იმ პერიოდს (ივლისი 1801 წ.), როცა



დავით ბატონიშვილი
უკანასკნელი მემკვიდრე ტახტისა
(1767 — 1819)

ალექსანდრე I-ის კურთხევის წინ ზუბოვები საქართველოს მაგრა უტევდენ და «არა ოფიციალურ კომიტეტის» გეგმებს ძიოს უთხრიდენ. მემკვიდრეს ყოველი აქტი მათ გეგმებს, საქართველოს ღუბერნიად ქცევისას, წინ ეღობებოდა. ამის გამო მემკვიდრე ჩქარ მოქმედებას ითხოვს და დასძენს:

«ვსთქვათ, რომ უბედურება სოფლისაგან დიდი ხანია ჩვეულებად შემოსულა, და ვითომც მეც ერთი გავუბედურდი, მაგრამ ამ მრთელმა ქვეყანამ, თვის შორის დამკვიდრებულს ერით, რა დააშავეს და ან რას შესცოდნენ, რომ ამისთანა უკანონოს და უწესოს უბედურებაში მიაწიეს, რომ ოთხთ უწიგნოთა, უწურთნელთა და უისტორიოთა გვამთაგან **ეს მთელი სამეფო იტანჯებოდეს და ასე მოუვლელად და მწუხარედ რჩებოდეს**» — და ბოლოს დასძენს: «გთხოვთ მარჯვედ მიზეზი მაცნობოთ და ...იზრუნოთ **საქმის გადაწყვეტილებამდე**»... ესე იგი, ხელმწიფის კურთხევამდეო. (81).

რუსეთმა და ღენერალმა ლაზარევმა ამჟამად სამეფო სახლს და დედოფალს საერთო პოლიტიკური დევნა-დამცირების გარდა, სხვა მხრივაც მოუარეს. ლაზარევმა, თანახმად სახელმწიფო საბჭოს საიდუმლო ინსტრუქციისა, ბატონიშვილებს, დედოფლებს, და საერთოდ ბაგრატიონებს ადგილ-მამულები ჩამოართვა, ხოლო ყველაზე ადრე და სასტიკად ის მარიამ დედოფლის ქონებას შეეხო: ამით მან მოინდომა ის ზეიმობა და მეფური სიამაყე, რომელიც დედოფალს კიდევ შერჩენოდა, ერთბაშად დაემსხვრია. საქმე იქამდე მივიდა, რომ რუსებმა საქართველოს დედოფალს უკანასკნელი წისქვილიც კი არ დაუტოვეს. მაგრამ ლაზარევმა მას ესეც არ აკმარა და ეხლა დედოფლის შვილსაც დაუწყო დევნა: ის მოურაობიდან და ყოველ თანამდებობიდან გადააყენა. დედოფალი ამ შეტევასაც არ შეუშინდა და სამართალი მოითხოვა. ამის შესახებ საყურადღებოა წერილი-საჩივარი მარიამისა ღენ. კნორრინგისადმი.

22 ოქტომბერს 1801 წ. დედოფალი ამ მმართველს სწერდა:

«თქვენი აქ ყოფნისას გისურვებიათ დაგენიშნათ ჩემ ექვს

შვილისათვის თვიურად თვითეულისათვის ას-ასი მანეთი, თუმცა **ეს ჩვენ არც კი გვითხოვია;** წინააღმდეგ: ჩემი თხოვნა იყო, რომ ჩემს შვილებს **დარჩენოდათ ის სოფლები და მამულები** (ქონება), **რაიც მათ ცხონებულ მამისაგან დატოვებული ჰქონდათ.** მაგრამ ამის მაგიერ, თქვენ მათ ჯამაგირი დაუწესეთ... იმ დღიდან, თუმცა სხვა და სხვა ადგილას ბარათებს იძლევიან, მაგრამ არავითარი ფული ჩვენ არ მიგვიღია.

«წასვლის შემდეგ თქვენ კეთილინებეთ ლაზარევისათვის მოგეწერათ, რათა დაენიშნა ხაზინიდან ჯამაგირი ჩემთვისაც, თვიურად 500 მანეთი, რაიც მე მან აღმითქვა; მაგრამ აქაც ბარათების გარდა, ისე როგორც ჩემთ შვილთ, არავითარი ფული არ მიმიღია, ხოლო ჩვენი საკუთარი შემოსავალი (მამულთა ჩამორთმევის გამო), შეწყვეტილია, რასაც თანდართულ რეესტრით გაცნობებთ და გთხოვთ თქვენო აღმატებულებავ, მისცეთ ამის შესახებ შესაფერი განკარგულება ლაზარევს...

„ამასთანავე გაუწყებთ, რომ ჩემი ვაჟი, მიხეილი, მოსკოვიდან მწერს ხელმწიფის უმაღლეს ნებას, რომ ქონება — ვისაც რა მოეპოებოდა — უნდა უცვლელად დარჩეთო; ამიტომ გთხოვთ — აცნობოთ ღენ. ლაზარევს, რომ ქონება ჩემთა შვილთა უკანვე დაუბრუნოს.

«როცა თქვენს აქ ყოფნისას მე მამულზე გთხოვდით, მაშინ არა მითქვამს რა შილდის მამულზე, რადგან ჩვენ მათ მუდამ უდავოდ ვფლობდით; ეს მამული განწესებულია ჩემ მცირეწლოვანთათვის; მაგრამ როცა ეხლა იქედან მეათედი პურისა ავიღეთ და წისქვილზე დასაფქვავად გავგზავნეთ, პურიცა და წისქვილიც ლაზარევმა ჩამოგვართვა;— უბრძანეთ,— დაგვიბრუნოს ლაზარევმა წისქვილი და ხორბალი.

«ამასთან გაუწყებთ, რომ მამა ჩემიც იმ თანამდებობიდან, რაიც მას ეკავა, როგორცა სჩანს, ლაზარევსავე გადაუყენებია»-ო... (82).

მოვიყვანოთ კიდევ ერთი საყურადღებო წერილი-მოხსენება, რომელშიაც აშკარავდება ამ მოხელის ზრახვანი და მისგან პირადი დევნა დედოფლისა. ამ მოხსენებაში ღენერალი ლაზარევი ჯერ საქართველოს საერთო ვითარებას ეხება და აღნიშნავს იმ საფრთხეს, რომელშიაც ჩავარდნილა რუსთა მხედრობა. ის ამბობს, რომ ჯარს სხვა და სხვა მხრიდან ერტყმიან

და ემუქრებიან ლეკნი, შუშის, შემახის და აყარიის ხანები, ერევნის სახანო და დიდი სპარსეთი, აგრეთვე შერიფ-ფაშა ახალციხისა, რომელთანაც შეთანხმებით მოქმედებენ იულონ და ფარნაოზ ბატონიშვილებიო.

ღენ. ლაზარევი ამ ძალებთან დაკავშირებას აბრალებს დედოფალ მარიამს და მის წინააღმდეგ ვრცელის დაბეზღებით მიმართავს რუსეთს:

«ამ ჩვენს მტრებთან და განმდგარ ბატონიშვილებთან არის დედოფალიც, თუმცა ცდილობს ისე მოგვაჩვენოს, თითქოს ისინი ურთი-ერთით უკმაყოფილონი არიან ...მე კი ზუსტად **შევიტყვე, რომ მათ ურთი-ერთთან საიდუმლო შეთანხმებანი** აქვთ; მაგრამ ვერას გახდებიან და სასტიკადაც დაისჯებიან»-ო. (83).

ამ დაბეზღებაში ღენერლის მრავალი წვრილმანობა მოსჩანს; ამასთანავე უსაზღვრო გაზვიადება თვისი თავის და კერძოდ, რუსთა ღირსებისა; ამავე დროს ის ცდილა ქართველი ხალხის და მისი ტახტის ცინიკურ დამცირებას... ღენერალი ღაზარევი სწერს:

«დედოფალი მარიამ სხვა არა არის რა, თუ არა გაბოროტებული დედაკაცი: ხედავს რა, რომ არ შეუძლია მე რაიმე ზიანი მოშაყენოს, მოგონებს ყოველგვარ სისაძაგლეს, რათა გამსვაროს... ყველა მის «პუნკტებზე» პასუხი გაახელით. მისი ჩასმენა იმდენად მდაბალია, რომ მე, ჩემგან მიღებულ ზრდილობისა გამო, არა თუ ამგვარ რასმესი ჩადენა, არამედ მოფიქრებაც კი არ ძალმიძს.

«მარიამის პრეტენზიები ვერ დაკმაყოფილდება მარტო შილდის მამულით, არამედ მას სურს **მეფობა ძისა მისისა, მიხეილისა** და სწადია დარჩეს იმავ ძალაში, რაიც წინად ჰქონდა; სურს სძარცვოს და არბიოს თვისი ქვეშევრდომნი, ვით წინად ამას სჩადიოდა... მას ჰგონია, ძველებურად შეუძლია «მათის კანონით და წესით» იპარპაშოს, მაგრამ ეხლა სხვა დროა და სამართალი და კანონი რუსეთისა აქაც მოეფინა.

«მე არაფრისა მეშინია, თვინიერ მარიამის ბოროტებისა, რის წინააღმდეგ კანონი და სამართალი რუს ხელმწიფისა და თქვენი წყალობა საფარველი არის; მაშ, რისი ღა უნდა მეშინოდეს?

«როცა მობრძანდებით, თვით ნახავთ, რომ აქ ყველა ბედნიერია, გარდა სამეფო ოჯახისა; აბა ვნახოთ, რა დაკმაყოფილებას მომცემს მაშინ დედოფალი, ჩემზე დასმენის შემომტანი და ჩემი ღირსების დამამცირებელი, — და ეს ხდება ჩემი 25 წლ. უერთგულეს სამსახურის შემდეგ... არ ვიცი, რით შეუძლია მას კიდევ ჩემი დაკმაყოფილება? ან იქნებ ფიქრობს, რომ ჩემი შეურაცყოფა იგივეა, რაიცა არის შეურაცყოფა აქაურ თავადისა, რომელიც ღირსების შეგინებისათვის სასისხლო ჯარიმით კმაყოფილდება... მაგრამ რუსს რომ «მოღალატეს» უწოდებს, ამის გამოსყიდვა მას არავითარი საგანძურით არ ძალუძს.. მირჩევნია, **მე მან «დამკლას»**... (რა წინასწარმეტყველური თქმაა!).

როცა ჩამობრძანდებით, თვით დარწმუნდებით, რომ მისი ზიზღი ვრცელდება არა მარტო ჩემზე, არამედ საერთოდ ყოველ რუსზე.. (იქვე, 75).

აქედან და აგრეთვე დედოფლის წინა მიმართვიდანაც კსორრინგისადმი ირკვევა, რომ დედოფალს ლაზარევის ასალაგმად მოსკოვში მისი ძის, მიხეილის საშუალებით ნაბიჭები გადაუდგამს; ეტყობა, მიხეილმაც საჭირო ზომები მიიღო და დედოფალს დამამშვიდებელი პასუხი თუ მოუვიდა: ასე უბრალოდ მამულებს ვერ ჩამოგართმევსთ ლაზარევიო. მაგრამ ლაზარევს პირდაპირის ხაზით, პეტერბურგიდან, როგორც ვიცით, სულ სხვაგვარი **«ინსტრუქციები მოსდიოდა»**.

*

პავლე პირველის მოშთობის შემდეგ, როგორც აღვნიშნეთ, საქართველოს საკითხი პეტერბურგში ისევ სადავოდ გახდა და დავით ბატონიშვილიც შეეცადა ეს «შესვენება» თავისი უფლებების განსამტკიცებლად კარგად გამოეყენებინა.

ეხლა დავითი პავლე I-ის სიკვდილმა თითქოს ერთბაშად გამოაფხიზლა და ახალ, უფრო მტკიცე გზაზე დააყენა. რუსეთზე ასე ალალად მინდობის შეცდომა მან უფრო ნათლად დაინახა და ახალის ცდებიო ზოგ რამეს გადარჩენას შეეცადა. ამ ნაბიჯს მისი ახლობელნი და ნათესავნი, პეტერბურგში რომ იყვნენ, ამაგრებდენ და მემკვიდრე დავითის ელჩებს ესენი დიდად ეხმარებოდენ.

დედოფალ მარიამსაც გაუცხოველდა იმედი, რომ პეტერბურგში მყოფი ბატონიშვილები საკითხის შებრუნებას შესძლებდენ და ახალ ხელმწიფეს მთავაგონებდენ, თუ რა პირობებში «მეუღლეთა» გიორგი მეფემ საქართველო რუსეთის იმპერიას; რომ მთელი აზრი «თხოვნითი პუნქტებისა», რომლისთვისაც დედოფალი ეხლა სრულს პასუხისმგებლობას თავის თავზე იღებდა, სწორედ **მეფობის შენარჩუნება იყო** და არა მისი მოსპობა. დედოფლისა და მემკვიდრე დავითის ეს აზრი ერთხელ კიდევ წარუდგინეს ახალ იმპერატორს, ალექსანდრე პირველს, საქართველოს ელჩებმა (აპრილში, 1801 წ.).

ეს ნოტა, რომელიც ოცი მუხლისაგან შესდგებოდა, ემყარებოდა განსვენებულ მეფე გიორგის უკანასკნელ ინსტრუქციას, რომელიც მან თვის ელჩებს სახელმძღვანელოდ პეტერბურგს გაუგზავნა.

ამ ვრცელ ნოტიდან ჩვენთვის ის ადგილებია საყურადღებო, რომლებიც კიდევ ატარებენ ქართულ სამეფო ფუნქციების სუსტ ანარეკლს. ამით, როგორც ვხედავთ, უკვე გაუქმებული და პროვინციად გამოცხადებული საქართველო, მიუხედავად შეერთების მანიფესტის გამოქვეყნებისა, კვლავ ცდილობს სამეფოს ზოგ ატრიბუტების და მისი ავტონომიური უფლებების გადარჩენას. უველაზე უწინ ელჩების ნოტა აღნიშნავს, რომ სახელმწიფო აქტი შეერთებისა «ორთავე მხრით დამტკიცებითა» (ესე იგი, თავისუფალი შეთანხმების) აქტიაო და მით უნდა დაცულ იქმნას, ვითარცა **სამეფო, აგრეთვე საზღვარნი მისნი ყოველთა მეზობელთა მათ თავდასხმისაგან»-ო...**

ამის შემდეგ, მეორე მუხლში აღნიშნულია ის, რასაც უველაზე უფრო დიდ მნიშვნელობას აძლევდენ საქართველო და მისი ტახტის მოდარაჯენი: დედოფალი მარიამ და ბატონიშვილი დავითი. «პუნქტსა ამასა შინა, — ვკითხულობთ აქ, — კვლადცა აწ დამტკიცებულ ვყოფთ და ყოველითურთ განვრცელებით მივიღებთ ამას, რომელ რომელიცა კეთილ-ნებულ იქმნას მისის იმპერატორობითის დიდებულებისაგან და დანიშნულ მმართველად საქართველოსა სამეფოსად (ერთად), რომელიმე მეფის ძეთაგანი, იგი იწოდებოდეს იმპერატორის მოადგილედ და **იხსენებოდეს მეფედ საქართველოსად»...**, ხოლო მასთან **მრჩეველად** დაინიშნოს რომელიმე დიდი მოხელე რუ-

სიო; ამნაირად, ყველა უზენაესი «ჰსჯულნი, ბრძანებანი და რიგნი» უნდა მტიცდებოდეს **მეფისაგან...**

რაც შეეხება სასამართლოს, მის სათავეში უნდა მდგარიყო სენატის დეპარტამენტი, რომლის თავჯდომარე არის მეფე **საქართველოსი,** ხოლო მის მოადგილედ უნდა ყოფილიყო მრჩეველი რუსის მოხელე, წევრებად კი თავად-აზნაურთაგან დანიშნული სამი ქართველი.

უმაღლესი ადმინისტრატიული ძალა-უფლება უნდა იწოდებოდეს «სამეფოსა მმართველობად», და იმყოფებოდეს მეფის ხელქვეით. ხოლო სამი პროვინციის მმართველნი იწოდებიან «უეზდნი» სამმართველოდ. თბილისის პოლიციის უფროსს უნდა ეწოდოს ობერპოლიცმეისტერი და უნდა ინიშნებოდეს ქართველ წარჩინებულთაგან და მას თანაშემწედ მიეცეს «ერთი დიდის რუსეთისა ხარისხისა მჭონებელი ვინმე».

სავაჭრო და საბაჟო საქმეებს უნდა განაგებდეს სპეციალური დირექცია, რომლის **პირველი დირექტორი უნად ინიშნებოდეს ქართველთაგან,** ხოლო მისი ორი თანამშრომელი უნდა იყვნენ ერთი ქართველი და ერთი რუსი; საბაჟო უნდა იყოს თბილისში, ხოლო საზღვრებზე ოსმალეთ — სპარსეთისა უნდა დაინიშნონ ქართველი მოხელენი.

საქართველოს ავტოკეფალური ეკლესია, მისი მეთაურნი და კერძოდ, კათალიკოსი რჩებიან უცვლელ უფლებრივ მდგომარეობაში.

მამულები ქართველ სამეფო სახლისა და ბატონიშვილთა რჩებიან მათს ხელუხლებელ საკუთრებად.

მადნების შესახებ რჩება ძალაში გიორგი მეფის მიერ ხელმოწერილი პირობები მუსინ-პუშკინთან, მაგრამ უცხოეთიდან (ესე იგი: რუსეთიდან) მოყვანა და ჩასახლება მუშებისა არ უნდა მოხდეს, რადგან «მუშანი გამოცდილნი იპოვებიან სამეფოსა მას შინა საკმაო რიცხვნი» და სხვა...

და ბოლოს ნოტა ითხოვს, რათა ეხლა მაინც წარმოგზავნილ იქმნას მეფისაგან წინათვე მოთხოვნილი 6.000 ჯარისკაცი, რომელიც «საჭირო არს, ვითარც საზოგადოსა განსვენებისათვის, **აგრეთვე დამყუდროებისათვის აღშფოთებულებათა ჩვენთა მ(ზობელთასა»...** ხოლო შემდგომ, როცა ქვეყნად მშვიდობა

განმტკიცდება, რუსეთს შეუძლია თვისი ჯარი შეამციროს, ხოლო საქართველო შექმნის თვით, «განსწავლულსა მხედრობასა თვისსა»... (84).

ამ მრავალს მხრივ საყურადღებო და, სამწუხაროდ, ჯერ არა საკმაოდ დაფასებულ, დოკუმენტიდან ირკვევა, რომ საქართველოს სამეფო კარს ჯერ კიდევ არ დაეყარა ფარხმალი; იგი ცდილობდა ერის უფლება **ორ სახელმწიფოთა ხელშეკრულების** სახით დაეცვა და გიორგი მეფის და პაულე პირველის ხანგრძლივ მიწერ-მოწერათა საფუძველზე დაემყარებინა. ამ შემთხვევაში ქართველებს სწადდათ იურიდიული სახე მიეცათ ამ «ორთა კერძოთა» ნებაყოფლობითი შეთანხმებისათვის და არ ეცნოთ ცალმხრივი, ძალადობითი გაუქმება ტახტისა.

ამ საქმეში ელჩები დავით ბატონიშვილის ინსტრუქციებს ემორჩილებოდენ, მისი დესპანები იყვნენ და ბრძოლას აგრძელებდენ...

დედოფალი მარიამ ფხიზლად თვალყურს ადევნებდა ამ უსწორო ბრძოლას და დავითს გვერდით უდგა. ამ მხრივ დედოფალი დავით ბატონიშვილში ხედავდა სიმბოლოს და ძალას ქართულ ტახტის და ბაგრატიონთა ხაზის გაგრძელებისას; და ყველა მის გაბედულ ნაბიჯებს იგი აღფრთოვანებით უჭერდა მხარს. ეს იყო განსვენებულ მეფე-ბატონის ანდერძი და ეხლა ამას უნდა ეხსნა ქვეყანა...

დედოფალს განსაკუთრებით ახარებდა ღენ. ლაზარევის თავხედურ იერიშების შეკავება; ამ ვიგინდარას ალაგმვა ხომ მაინც უნდა შესძლებოდა ბატონიშვილს და მომავალ მეფეს; და დავითის მოქმედებას ამ ხანებში მართლაც მეტი სიმტკიცე და ნაკლები «მოთმინებითი ლოდინი» ახასიათებდა. ისტორიკოსი დუბროვინი გვიმოწმებს, რომ დავით ბატონიშვილი ყველაზე უფრო თავგამოდებით აღელვებდა ხალხსო. «ის არწმუნებდა ყველას, — ამბობს დუბროვინი, — რომ მიიღო წერილი ძმებისაგან, პეტერბურგიდან, თითქოს ხელმწიფე ალექსანდრე პირველი სრულიადაც არ ფიქრობდეს გაჰყვეს მისი მამის გზას და სწადია დაამტკიცოს ის (ე. ი. დავითი) მეფედ საქართველოსი; რომ ამის გამო თბილისში პირველი მანიფესტის (პავლესი) გამოცხადება, რაიც კნორრინგმა ჩაიდინა, იყო თვითნებობის აქტი»-ო... ამგვარი მოქმედებანი ხალხში აღრევას იწვევს და ამი-

ტომაც ღენ. ლაზარევი ქვეყნის დასაწყნარებლად ერთად-ერთ სყორ გზად სთვლიდა: ბაგრატიონთა გვარი მთლიანად გადასახლებული ყოფილიყო საქართველოდან»-ო, «ვინაიდან», როგორც სწერდა იგი კნორრინგს, — ვიდრე ისინი აქ იქმნებიან, ანეულობას ბოლო არ მოეღება-ო. (85).

*

როგორც ირკვევა, დედ. დარეჯანს და ბატონ. დავითს პეტერბურგის საელჩოსა და იქ გახიზნულ ბატონიშვილთა შემწეობით (ლაშქარაშვილის*) დახმარებით) ერთგვარი კავშირი ჰქონდათ ალექსანდრე პირველის უახლოეს თანამშრომლებთან («არა ოფიციალური კომიტეტიდან»). საფიქრებელია, რომ ამათი მუშაობის და გავლენის შედეგი იყო, რომ «არა ოფიციალურმა კომიტეტმა» ასე ენერგიულად მოჰკიდა ხელი საქართველოს საკითხს და მის შებრუნებას შეეცადა; და ყველაზე უწინ კი იმ მანიფესტის გაქარწყლებას, რაიც პავლე პირველს გამოექვეყნებინა.

საინტერესოა, რომ საქართველოს სამეფოს გაუქმების მოწინააღმდეგეთა სათავეში იდგნენ: ჩარტორიესკი (პოლონელი) და კოჩუბეი (უკრაინელი), მაგრამ დანარჩენებიც: ვორონცოვი, სტროგანოვი და სხვანი. ასევე თავგამოდებით ებრძოდენ იმპე-

———————

*) საყურადღებოა დუბროვინის წიგნიდან ზოგიერთი ცნობები ლაშქარაშვილის მოღვაწეობის დასახასიათებლად... «თავადებში ხმა დაჰყარეს, თითქოს ხელმწიფე ალექსანდრე საქართველოში გზავნიდა ტაინი სოვეტნიკს ლაშქარაშვილს, გამგეს საქართველოს საქმეებისას, რათა ჰკითხოს თვით ხალხს — სურს თუ არა მას ძველებურად საკუთარი მეფე ჰყავდესო»... იქნებ პირველად მართლაც ფიქრობდენ მის გამოგზავნას საქართველოში, კნორრინგის მაგიერ; რა თქმა უნდა, მისი მოხსენება სულ სხვა სახის იქმნებოდა და ამას კარგად გამოიყენებდენ «არა ოფიციალური კომიტეტი» და გარსევან ჭავჭავაძე, მაგრამ პეტერბურგის ქართველ ბატონიშვილთა ცდა სახელმწიფო საბჭოს რეაქციონურმა და დიდ მოხელეთა იმპერიალისტურმა მოსაზრებებმა დაამარცხა და გაიმარჯვა ღენერალ კნორრინგის კანდიდატურამ.

რატორ პავლეს მიერ საქართველოს მიმართ «ნაჩქარევად და უსაძართლოდ» გადადგმულ ნაბიჯს. ამ ოპოზიციის გაელენით 19 აპრილს 1801 წელს უმაღლესი რესკრიპტით ღენერალი კნორრინგი საქართველოში გაგზავნეს ცნობილ ორ კითხვათა რეფერენდუმისათვის». ამავე დროს მას მემკვიდრე დავითის ფაქტური მძართველობა უხდა გაეუქმებინა.

როცა ღენერალი კნორრინგი ადგილობრივ ვითომ ამ საკითხს «არკვევდა», სახელმწიფო საბჭოს საქართველოდან ორივე ფრთათა წარმომადგენელმა საგანგებო ნოტები გაუგზავნეს, 3 ივნისს დარეჯან დედოფალმა, რომელიც ითხოვდა დაეტოვებინათ ძველი მდგომარეობა, შექმნილი ერეკლეს 1783 წ. ტრაქტატის ძალით. 4 ივნისს კი საბჭომ მიიღო დავითის ნოტა, ოათა ტახტი მასზე გადასულიყო, თანახმად მამის «თხოვ. პუნ.»-სა. (86). ამ ნოტებს და კნორრინგის ამბებს კლავ დავუბრუნდებით.

შეიძლება ამ ორმა დოკუმენტმა რაიმე ეჭვები დაბადოს სხვა ადგილს მოხსენებულ ორ ფრთათა (დარეჯან-იულონის და მარიამ-დავითის) შეთანხმებულ მოქმედებაში; მაგრამ ჩვენ ვფიქრობთ, რომ ორთავე ჯგუფის წინასწარი შეთანხმება ამ ნოტებით არ დარღვეულა: თუ დარეჯანი ერეკლე მეფის ტრაქტატს ემყარებოდა, ხოლო დავითი—გიორგის «თხოვნითი პუნქტებს», ორივენი ხომ გადაჭრით მეფობის და ტახტის ხელშეუხლებლობას მოითხოვდენ. ორივე მხარე უმაღლეს არბიტრობას რუსეთის იმპერატორს აკისრებდა; მას უნდა გადაეწყვიტა, თუ რომელ მათგანს (დავითს, თუ იულონს) სცნობდა უფრო ღირსეულად და კანონიერად. მართლაც, ადვილი წარმოსადგენია, რომ ორივენი იმპერიის ამ არჩევანს შეურიგდებოდენ; მაგრამ რუსეთმა «არჩევანის» გზას შეგნებულად გვერდი აუხვია და მთელი სამეფო ერთბაშად გააუქმა. ამან ორივე მხარე ქართველ პრეტენდენტებისა კიდევ უფრო შეადუღა და რუსეთის წინააღმდეგ დააყენა.

ხელმწიფის დავალებით, ცნობილ ორი საკითხის გამოსარკვევად ღენ. კნორრინგი 22 მაისს თბილისს ჩავიდა. დაახლოებით ერთი თვის შემდეგ (28 ივნისს 1801 წ.) მან სახელმწიფო საბჭოს უკვე წარუდგინა სასწრაფოდ და ტენდენციურად, სამეფოს მოწინააღმდეგეთა წრეში შეკრებილ ცნობებზე დამყა-

რებული, «დასკვნები». მაგრამ ჩვენთვის უფრო საყურადღებოა სხვა სახის მოხსენება, რომელიც ოთხი დღით ადრე (24 ივნისს), შეიტანა საქართველოს შესახებ სახელმწ. საბჭოში ეგრედ წოდებულმა «არა ოფიციალურმა კომიტეტმა», — ეს დოკუმენტი ღირსი იყო საგანგებო შესწავლისა და მკვლევარი ზურაბ ავალიშვილი მასზე საკმაო ვრცლად შეჩერდა.

საგულისხმოა, რომ მოხსენების უახლოესი ავტორნი, ვორონცოვი და გრ. კოჩუბეი — «არა ოფიციალური კომიტეტის» სახელით უარჰყოფდენ საქართველოს შეერთებას და აბათილებდენ სახელმწიფო საბჭოს არგუმენტაციას, ინკორპორაციის სასარგებლოდ რომ მოჰყავდათ ზუბოვს და პოტიომკინს.

«არა ოფიციალური კომიტეტი» აბათილებს ფინანსიურ-ეკონომიურ გეგმებს პავლე პირველისას; უწოდებს მათ სპეკულიატიურს, ჰგმობს მის «სტრატეგიულ» პოლიტიკას და აღნიშნავს, რომ თუ ეს საქართველოს საზღვრების დასაცავად საჭიროდ მიაჩნიათ, შეუძლიათ სათანადო, საკმაო ჯარები დასტოვონ, როგორც ამას მოითხოვდა მეფე ერეკლეს ტრაქტატი 1783 წლისა, და რომელსაც **რუსეთი აქამდე არ ასრულებდა**. ხოლო ამისთვის საქართველოს სახელმწიფოს მოსპობა კი არ არის საჭირო, არამედ სამეფოს დაცვა და მისი დატოვება იმავ მდგომარეობაში, რომელშიაც ის იმყოფებოდა ეკატერინეს დროის ტრაქტატის დადებისას (87).

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ამ საკითხზე გავლენას ახდენდა დარეჯანის ფრთა, რომელიც «არა ოფიციალურ კომიტეტთან» რაღაც კავშირში უნდა ყოფილიყო. აქედან ასახსნელია ის უპირატესობა ერეკლეს ტრაქტატისა, რასაც «არა ოფიციალური კომიტეტი» მას ანიჭებდა. უნდა ვიფიქროთ, რომ დარეჯანის მოხსენება სახელმწიფო საბჭოსადმი «არა ოფიციალური კომიტეტისათვის» უცნობი არ იყო; გარდა ამისა, საინტერესოა, რომ «კომიტეტის» წევრნი საქართველოს საკითხში, საკმაო ცოდნა-დაკვირვებას იჩენდენ. აშკარაა, რომ მათ საჭირო მასალას და ცნობებს პეტერბურგის ქართველი ბატონიშვილები აწვდიდენ. აქედან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სამეფო კარის წევრებს, და კერძოდ, პეტერბურგში გარდახვეწილ ბატონიშვილებს კავშირი ჰქონდათ თვით «არა ოფიციალურ კომიტეტთან», სწორედ. ამით შეგვიძლია აეხსნათ დარეჯან-იულონის ფრთის მოთხოვ-

ნათა იგივეობა იმ პროგრამასთან, რომელიც სახელმწიფო საბჭოში «არა ოფიციალურმა კომიტეტმა» წამოაყენა.

როგორც ვიცით, «არა ოფიციალური კომიტეტი» ითხოვდა: 1783 წლის ტრაქტატის აღდგენას და ბატონიშვილთა რომელიმე წევრის მეფედ კურთხევას; ამასთან ერთად — რუსეთის ელჩის წარგზავნას და ჯარების გაძლიერებას საქართველოს საზღვრების დასაცავად.

«არა ოფიციალური კომიტეტის» ამ პროექტის ბედი სახელმწიფო საბჭოს 8 აგვისტოს 1801 წ. სხდომაზე გადაწყდა; და მასთან ერთად გადაწყდა საქართველოს ბედიც... ხელმწიფემ მოიწონა და მიიღო გეგმა საქართველოს შეერთებისა და «ღუბერნიად» გამოცხადებისა.

ამრიგად ზუბოვებმა გაიმარჯვეს და ხელმწიფე მიიმხრეს; მალე ალექსანდრე პირველის 12 სექტემბრის ცნობილი მანიფესტიც გამოცხადდა, მაგრამ მისი გამოქვეყნება თბილისში მხოლოდ 12 აპრილს 1802 წ. მოხერხდა, რადგან ხალხში მღელვარება არ ცხრებოდა.

მოგზაური კლაპროტი ამ დრამატიულ მომენტს საქართველოს მწუხრიდან ასე აგვიწერს:

«ქნორრინგი მალე უკან დაბრუნდა თბილისში, უკვე როგორც მთავარმართებელი; შეჰკრიბა მცხოვრებნი მთავარ ტაძარში, რომელსაც ირგვლივ რუსის ჯარი შემოარტყა და დამსწრეთ გამოუცხადა ხელმწიფის მანიფესტი, რომლითაც საქართველო რუსეთის ღუბერნიად ხდებოდა... ქართლი და კახეთი იქმნენ ხუთ მაზრად დანაწილებულნი: ლორის, გორის, დუშეთის, თელავის და სიღნაღის... ასე დამთავრდა ეს მწვავე ხანა საქართველოს სამეფოს შენარჩუნებისათვის ბრძოლისა, რომელიც გიორგი მეფემ დაიწყო და მემკვიდრე დავითმა განაგრძო. ვერც ადგილობრივმა მოწინავე ქართველობამ და ვერც პეტერბურგის ემიგრაციამ ბატონიშვილ დავითს ტახტი ვერ გადურჩინეს: ამას თვისი ღრმა მიზეზები ჰქონდა, რაზეც თავის დროზე შევჩერდებით. მაგრამ ჩვენ გვინდა მკითხველს თვითონ ბატონიშვილ დავითის ფიქრები და განზრახვანი გავაცნოთ, მისი გულის ტკივილი გავშალოთ, რაიც მან თვის ისტორიულ «ნარკვევების» სახით დაგვიტოვა». (88).

ამჟამად ჩვენ, სამწუხაროდ, ამ ამბებზე უფრო დაწვრილე-

ბით ვერ შეეჩერდებით. ვიტყვი კი, რომ მკვლევარისათვის ფრიად საინტერესო იქნებოდა შესწავლა პეტერბურგში მყოფ ბატონიშვილთა, საქართველოს მაშინდელ ელჩთა და, განსაკუთრებით, სერგეი ლაშქარაშვილის არქივებისა და იმ პირთა მიწერმოწერას ცნობილ სარდალ პეტრე ბაგრატიონთან, სახელმწიფო საბჭოსთან და «არა ოფიციალურ კომიტეტ»-თან.

•

ღენერალი ლაზარევი (ალბათ მის უკან მდგომ რუს მოხელეთა და სომეხთა ერთი ნაწილის შთაგონებით) უხეშის სისასტიკით ებრძვის ბატონიშვილ დავითის ყოველ ნაბიჯს, რომელსაც ის, ვითარცა მემკვიდრე სამეფოს ტახტისა, გადადგამს. ლაზარევი ცდილა ბატონიშვილის ყველა აქტისა და ნაბიჯის მნიშვნელობა დაამციროს და ქართველი ხალხის თვალში მემკვიდრე გააწბილოს. — «დავითის მომხრეთაგან ჩამორთმეულ მამულებით ლაზარევი ეხლა რუსეთის ერთგულებს ასაჩუქრებს»-ო, — გვეუბნება რუსის ისტორიკოსი დუბროვინი; მემკვიდრე ცდილობს ლაზარევის ასეთი მოქმედების, და კერძოდ მის გატემულ სიგელთა გაუქმების გასაჩივრებას... მაგრამ აქ უმაღლეს მსაჯულად ღენ. კნორრინგი გამოდის, რომელიც ლაზარევს ყველაფერში ამართლებს. «დავითი უჩიოდა ამ თვითნებობათა გამო, ხოლო ლაზარევი კნორრინგის შეკითხვაზე განუმარტავდა, რომ ის კი არ აბათილებდა დავითის «წყალობის ბარათებს», არამედ საქართველოს დროებითი მთავრობა»-ო. (89).

ეს «დროებითი მთავრობა», რომლის უკან იმალებოდა ლაზარევი, იყო მისი ხელქვეითი ორგანო, მის მორჩილებაში მყოფ თავადებისაგან შემდგარი.

დედოფალ მარიამის და მემკვიდრის პროტესტები და მოქმედება, რა თქმა უნდა, მთელ მოწინავე ქართველობაზე გადადიოდა და საქართველოს საკითხი ჯერ კიდევ «დუღილის» პროცესში რჩებოდა; თითქოს პავლე პირველის მიერ გამოცხადებული მანიფესტი საქართველოს შეერთებისა არც კი ყოფილიყოს ძალაში.

«ალექსანდრე პირველის ტახტზე ასვლისას, — სწერს მკვლევარი ზ. ავალიშვილი, — მიუხედავად 18 იანვრის მანიფეს-

ტისა, რომელიც საქართველოს იმპერიის ნაწილად აღიარებდა, ის მაინც ვერ შეიქმნა საბოლოოდ ოკუპირებული, ჯერ კიდევ ვერ ხერხდებოდა მკვიდრი დამტკიცება რუსეთის მართვა-გამკეობისა» და სხვა .((89ა).

ამასვე ადასტურებს ისტორ. ბუტკოვის ცნობაც (90).

ამნაირად, ახალ იმპერატორს, ალექსანდრე პირველს დასჭირდა «ნეტარ-ხსენებულ» მამის მანიფესტის რევიზია: ერთხელ უკვე მემკვიდრედ ნაცნობ დავითის ენერგიულ ხაბიჯთა გამო, სახელმწიფო საბჭოში კვალად დაისვა საქართველოს საკითხი. მაგრამ ძლიერ იმპერიის მიერ შექმნილი ფაქტები, რომელთა უკან დიდი ჯარი იდგა მოდერნულის არტილერიით, უფრო მაგარი გამოდგენ, ვიდრე მემკვიდრის მიერ გაცემული სიგელები და მისი დანიშვნა-გადაყენებანი... ასე რომ ამ ფაქტების სასწორი მალე ჩრდილოეთისაკენ გადაიხარა და ალექსანდრე პირველს ეხლა გადავიწყებოდა ის «შინაგანი ბრძოლა» და ანტიპატია («ოტკრაშჩენიე»), რომელიც მან მამის მიერ გამოცემულ, ცალმხრივ და ძალ-დატანებითი მანიფესტის გამო განაცადა...

იმ ნეტარხსენებულმა იმპერატორმა პავლემ რაღაც ფორმა, აჩრდილი მაინც შეინახა ქართული სამეფოდან, ხოლო ალექსანდრე I-მა, ეს ფორმალობაც ზედმეტად მიიჩნია და საქართველოს სახელმწიფო ერთის მოსმით გააუქმა.

ხელმწიფეს ეხლა მოაგონდა, რომ სახელმწიფო საბჭოში ინახებოდა ფრიად საინტერესო დოკუმენტი ცნობილ მუსინ-პუშკინისა:

«О удобности и выгодах присоединения Грузии к Державе Российской».

მან ის ხელახლად დაკვირვებით შეისწავლა და კარგად გაიგო, რომ მდიდარ მადნეულობათა გარდა, რუსეთი საქართველოს შემოერთებით ხელთ იგდებდა მტკიცე საშუალებას «ველურ მთიელთა» ასალაგმავად, ხსნიდა სავაჭრო გზას მდიდარ ინდოეთისაკენ და ეპატრონებოდა . სტრატეგიულ პუნქტებს ომის შემთხვევისათვის პორტასთან, ან ირანთან. (91). და ამ საბუთების წინ ალექსანდრე I-ის ზნეობრივმა «მერყეობამ» თავი მოიხარა... საქართველო ღუბერნიად უნდა გამხდარიყო. ოღონდ საქართველოს არ სწადდა «რუსეთის ღუბერნიობა» და

კნორრინგ-ლაზარევს პეტერბურგის გამოცანის ჩატარება იაფად არ დაუჯდათ.

•

იმპერიის რწმუნებულებმა: ღენ. ლაზარევმა, მინისტრმა კოვალენსკიმ და თვითონ მთავარმართებელმა ღენერალ კნორრინგმა მძაფრი ტკივილების მიყენებით სულ მოკლე ხანში თვითონვე დარაზმეს ქართველი ერი რუსეთის საწინააღმდეგოდ. მათი ბატონობის ერთი წელიც საკმაო გამხდარიყო იმისათვის, რომ ყველას აშკარად დაენახა იმპერიალისტურ რუსეთის ნამდვილი წადილი. ეხლა ამათი «ერთმორწმუნოების» და «მფარველობის» უკვე აღარავის სჭეროდა. ილიუზიები ჰქრებოდა, სინამდვილე მწარედ მეტყველებდა.

ძველი წესი, კანონები და ადათი და საქმეთა სწრაფი წარმოება სასამართლო დაწესებულებაში ნელ-ნელა იშლებოდა და მაგიერ — ნელი, ზანტი, ბიუროკრატიული და სასტიკი, ხალხისათვის უცხო წესები მყარდებოდა, თვით ენა ქართული იდევნებოდა.

თავად-აზნაურობის და, რასაკვირველია, არც გლეხობის მდგომარეობა არც ეკონომიურად და არც უფლებრივად არ უმჯობესდებოდა.

პირველს, სამეფო სახლისა და მისი აპარატების გაქრობის გამო, სამოქმედო ასპარეზი და ეკონომიური ბაზა ეცლებოდა; ამავე დროს, რუსულ ენის უცოდინარობის გამო ახალ ბატონისათვის შესაფერ მომსახურეობის გაწევა აღარ შეეძლო. ხოლო გლეხების მდგომარეობა, რუსულ წესების ნელ-ნელა ჩამონერგვით, ეხლა აშკარა გაუარესებისაკენ მიექანებოდა. პატრიარქალურ, ხშირად არც თუ ჰუმანიურობას მოკლებულ ურთიერთობის ნაცვლად, მყარდებოდა სასტიკი, ყოველ გვარ ადათთა და წესთა გარეშე, თვითნებობა, აღვირახსნილობა და გლეხთა შემზღუდველი და დამამცირებელი ექსპლოატაცია. (92).

ამ მხრივ საინტერესო განმარტებებს გვაძლევს თვით რუსის ისტორიკოსი დუბროვინი:

«გლეხთა ვალდებულებანი, — სწერს ის, — წინად განისაზღვრებოდა ადათით, რაიც კანონში გადასულიყო; ამის გარეშე,

არა თუ მემამულეს, არამედ თვით მეფესაც არ ჰქონდა უფლება (არ შეეძლო), მოეთხოვა ზედმეტი რამე. მაგალითად, ვინც ღალას იხდიდა ღვინით, ან მამულის ჭირნახულის მეათედით, ამის ზევით ის არაფერს არ იხდიდა, და თუ ეს წესი მემამულის (ბატონის) მიერ დარღვეული იქნებოდა, ყმები მისგან გარბოდენ; და ამგვარად, ხანდისხან მთელი სოფელიც კი აიყრებოდა და ამის გამო აშკარა აჯანყებაც იწყებოდა... ომის დროს გლეხი მოვალე იყო სამშობლოს დასაცავად გამოსულიყო, საკუთარის საშუალებით, ტანსაცმელ-მოკაზმულობით და ცხენით.

«...ხოლო რუსეთის შემოსელამ ეს ძველი და «ნაკურთხი» ურთიერთობა შეარყია და გაამეფა **თვითნებობა, თავგასულობა და სრული დესპოტიზმი»**-ო. (92ა). შერყეულ ფეოდალურ ურთიერთობის ნიადაგზე შემოსული სავაჭრო კაპიტალი ნელ-ნელა იკიდებდა ფეხს და ის არა ქართველს, არამედ უცხო ელემენტს უვარდებოდა ხელში. აქ დიდმა იმპერიამ არ დაუვიწყა სომეხ ვაჭრებს გაწეული სამსახური და ყოველგვარის წყალობით უმაგრებდა მათ ზურგს.

ქართული სავაჭრო კაპიტალი ან სრულიად არ სჩანდა, ან ისე სუსტი და უილაჯო იყო, რომ სომეხ-რუსთა კონკურენციას ვერაფრით უძლებდა...

ყველა ამან ხალხს რუსეთზე მინდობის იმედები გაუცრუა: ეხლა მატერიალურ დევნა-შევიწროებასთან ერთად ქართველთა პოლიტიკური და ეროვნული დევნა საკუთარ ქვეყანაში ყველასათვის აშკარა გამხდარიყო...

იწყებოდა ფულის ბატონობის ხანა, ჰქრებოდა რაინდობის ეპოქა და მასთან გადაბმული ძველი კეთილდღეობა; ქართველობა ამ ახალ სარბიელზე ისე მტკიცედ ვეღარ იდგა... მისი ნიადაგი შიშმა და რყევამ მოიცო. ამრიგად ქართველი ერის ყოველი წოდება ეხლა ნათლად ხედავდა, რომ რუსეთს მისთვის გაღატაკებისა და დამცირება-დევნის გარდა, არაფრის მოცემა არ შეეძლო.

თვით ის «მშვიდობიანობაც» კი, რომელიც გიორგი მეფის აზრით, რუსეთის მფარველობას ქართველთათვის უნდა მიეცა, ყინულზე დაწერილი შეიქმნა. ეხლა რუსეთი თვითონ იყენებდა ქართველთა მეომარ რაზმებს, ხალხის ფიზიკურ და მა-

ტერიალურ მარაგს, იმავ მეზობელ, მაჰმადიან ქვეყნების საწინააღმდეგოდ. განსხვავება მხოლოდ ის იყო, რომ წინად ქართველი საქართველოსათვის იბრძოდა და თავს და კეთილდღეობას მას სწირავდა; ეხლა კი რუსეთის დროშის სადიდებლად და დიდი იმპერიის საზღვრების განსავრცობად იღვრებოდა ქართველთა სისხლი. და ყველა ამას ისიც ერთვოდა, რომ თვით გიორგი მეფის მიერ «განსყიდულ თავისუფლებით» გადარჩენილი სახელი **«მეფისა»** რუსებს **ერთბაშად** განექროთ... დინასტია ბაგრატიონთა, რომელიც ამდენად ძვირფასი და საყვარელი იყო მთელ ქართველობისათვის, დღეს მოტყუილებით შემოსულ ძალის მიერ გასაქელავი და განსადევნი გამხდარიყო...

ვერავის აეხსნა, თუ რა ჩაიდინეს ბაგრატიონებმა ისეთი, რომ აგრე რიგად დაესაჯათ? განა მან ნებით არ შეუერთა რუსეთს სამეფო და სამშობლო? მაშ, რად ერეკებოდენ მას ასე უმოწყალოდ საქართველოდან და ვით ავაზაკთ შორს, ჩრდილოეთში უპირებდენ გადასახლებას?

*

ამ ამბებთან დაკავშირებით გვინდა ერთი საყურადღებო დოკუმენტი მოვიტანოთ:

1802 წელს, ივლის-აგვისტოს აჯანყების მეთაურნი, ჩამოსთვლიდენ რა რუსეთზე დამყარებულ იმედების გაწბილებას, გულის წყრომით ამბობდენ:

«მანიფესტმა რაც მოწყალება გვიბრძანა, არ აღგვისრულდა: **უშიშროება გვიბრძანა, რაში ჩანს?** სოფლებს და ქალაქებს გლეჯენ ლეკნი და არას ნაღელობთ... ეკლესიებისა და ეფისკოპოსთ პატივის მომატება ბრძანა — თქვენ კი ყმა და მამული მთლად ჩამოართვით... ვისაც დიდის ღვაწლით და სისხლ-დათხევით სოფლები სახელოთ გვეჭირა, ის მოგვიშალეთ; გლეხთ **თორმეტ წელიწადს მოწყალება უბრძანა ხარჯის გამოურთმევლობასა,** ჩვენის დაქცეული ქალაქისა გვიბრძანა — რაც შემოსავალი მართებელთ ჯამაგირს გადარჩეს, დაქცეულ ქალაქის აღსაშენებლად დახარჯულიყო, ესეც არ მოხდა» და სხვა.

რაც შეეხება სამეფოს მოსპობას და ბაგრატიონთა განდევნას, — ეს ხომ ძალად მოხვეული და უსამართლო საქმეა, რაც ქართველობას აღშფოთებს... «ჩვენს ბატონთ აბა რა დაუშავე-

ბიათ?» — ამბობენ ისინი პეტიციაში, — რად უნდა ეყოთ უარი? ათას ორასი წელი მეტი არის, რომ ბაგრატოვანნი მეომრებრეობენ და აგრეთვე მრავალი ამათგანი ჩვენი გულისათვის წამებულან, ქრისტესთვის და ჩვენთვის სისხლი დაუნთხევიათ და ჩვენც ამათ წინ ამოვწყვეტილვართ მრავალნი...

«ესლა ჩვენი ვედრება არის, რომ ჩვენზედ მრავალ გვარად გარჯილის და ღვაწლ-დადებულის მეფის ირაკლის ანდერძი დაკვიმტკიცოთ და იმ ანდერძის წესით მეფე დაგვისვათ და ჩვენის **მეფით თქვენს მფარველობის ქვეშ გვამყოფოთ**»... (93).

*

რუსეთის მიერ შემოტანილი მართვაგამგეობა, უკეთ რომ ვსთქვათ, უსამართლობა და ძალმომრეობა, მძიმედ აწვებოდა მთელს ხალხს. ამას ერთვოდა დაუსრულებელი ბოროტმოქმედება, მძარცველობა, ქურდობა და მექრთამეობა ყველა მოხელეებისა. თითქოს საქართველოში არა მფარველი და დამცველი შემოსულიყოს დიდის ჯარით და საჭურველით, არამედ მტერი და ამკლები, რომელიც სპარსულ-ლეკური რაზმებიცით მრისხანე ტალღად კი არ გადმოვლიდა, არამედ აქ იკალათებდა და მუდმივ ბუნაგს იჩენდა...

მთელი წყება საშინელ ბოროტმოქმედებათა, რა თქმა უნდა, გაუხსნელი და გაუმჟღავნებელი რჩებოდა. საამისოდ დოკუმენტები ან განადგურებულია, ან დღემდე უჩინარი. მაგრამ მაინც შეიძლება ზოგიერთების ამოკრეფა იმ სარევიზიო მასალიდან, რაც ზოგიერთ სენატორთ მაშინ აღუნიშნავთ. საამისო მასალები «აქტებში»-ც უხვად არის გაბნეული. ჩვენ გვინდა მხოლოდ სოვეტნიკ სოკოლოვის ზოგი დასკვნები აღვნიშნოთ უმაღლეს მოხელეთა თავგასულობა-ბოროტმოქმედებებზე.

თვითონ მინისტრი კოვალენსკი პირველი ყოფილა ამ მძარცველთა წრეში. მან თვისი უახლოესი გარემოცვით შეჰქმნა თავაშვებული და სრულიად უკონტროლო მმართველობა საქართველოსი.

«ყველა ამ მოხელეებმა ქვეყანა საკუთარ «ვოტჩინად» ჩასთვალეს და ფაქტიურად დაიმკვიდრეს განუსაზღვრელი უფლება ხალხზე და მის ქონებაზე»-ო, — სწერს ისტორიკოსი დუბროვინი. ამათ შეეძლოთ არავისთვის რაიმე ანგარიში არ ჩაი-

ბარებინათ, რასაც შიდა გუბერნიებში სჩადიოდენ, სადაც მათი კონტროლი სენატი და პროკურორი იყვნენ.

სოკოლოვის მოწმობით ელჩმა კოვალენსკიმ აავსო უწყებანი ახლო ნათესავებით და «სახაზინო და სამნეო საქმეთა მმართველად» დანიშნა საკუთარი ძმა...

თვითნებობას მოჰყვა პირველ მოთხოვნილების საგნების და სანოვაგის გაძვირება... ამავე დროს ვერცხლის ფული ფრიად გაძვირდა და ბოლოს მთლად გაჰქრა; ამ საქმეში ამტყუნებდენ ელჩ კოვალენსკის, რომელსაც საიდუმლო შეთანხმება ჰქონდა ყველაზე მდიდარ ვაჭარ ბეგთაბეგოვთან.

დასახელებული რწმუნებული სოკოლოვი პეტერბურგს აუწყებდა, რომ ფულის კურსის დაცემის და ვერცხლის გაქრობის მიზეზი სომხობა იყო «და მათში ყველაზე შეძლებული ივ. ბეგთაბეგოვი, რომელიც საღუბერნიო ხაზინადარის მოვალეობას ასრულებდა (კოვალენსკის დანიშვნით).

«დღესაც მასთან, სახლში ხურდავდება ვერცხლის ფული, რასაც მთავრობა გადასახადების სახით აქ აგროვებს. ჩერვონეცის კურსიც მის მიერ წესდება»-ო. (94).

ამ გზით მდიდრდებოდენ სომეხთა ვაჭრები, მაგრამ მათთან ერთად — რუსის დიდი მოხელენი: მაგალითად, სულ მოკლე ხანში კოვალენსკიმ ისეთი სიმდიდრე დააგროვა, რომ შესძლო მონოპოლურად შეესყიდა მთელი მატყლი საქართველოსი, რასაც აწვდიდა ქარხანას, რომელსაც მაშინ აშენებდენ. ეს ქარხანა, ბრძანების თანახმად, თითქოს ხაზინას უნდა აეშენებინა თვისის ხარჯით, ნამდვილად კი მის ასაგებად განუკითხავად მოიხმარეს საქართველოს სამეფო სახლის (რომელიც აღა მაჰმად ხანს დაენგრია) მთელი მასალა.

ბატონიშვილ დავითს საჩივარი შეუტანია ამ ძვირფას მასალის განადგურების გამო, მაგრამ, რასაკვირველია, უშედეგოდ... კოვალენსკი განაგრძნობდა სასახლის ბჭეების რღვევას ქარხნის ასაგებად. (95).

და ამას სჩადიოდა რუსეთის ელჩი, რომელსაც მეტის პატივისცემისათვის მეფე-დედოფალმა ჩამოსვლისათანავე დაუთმეს დროებითი საკუთარი სასახლე და თვითონ კი კარის ექიმის ყარალაშვილის სახლში გადასახლდენ (95ა).

სახაზინო ექსპედიციის უფროსი, სოეტნიკი ტარასოვი კო-

ეალენსკის წესითვე იქცეოდა და ბატონიშვილთა ჭონებას საკუთარ «ვოტჩინად» სთვლის. იმ მამულ-ბაღებიდან, რაიც მთავრობამ სამეფო ოჯახებს ჩამოართვა და რუსულ ხაზინას მიაკუთვნა, ტარასოვმა ყველაზე ძვირფასი საკუთარ მეუღლეს გადასცა (ვითომ მიჰყიდა), და ამ ბოროტმოქმედების დასაფარავად, ტარასოვმა დაბარჩენი ბაღებიც დაურიგა ეგრედ წოდებულ «საქართველოს მმართველობის» წევრთ, უმთავრესად კი მათ, ვინც მის პირად სამსახურში იმყოფებოდენ. (96).

ასევე ჩამოართვეს დედოფალ მარიამს თვისი სასახლე და სამკურნალო მმართველობას გადასცეს. ხოლო ის სასახლე, სადაც გადასახლების წინ დედოფალი ცხოვრობდა, პლატონ იოსელიანის მოწმობით, სულ განადგურდა. ისტორიკოსი გულის ტკივილით აღნიშნავს, რომ ეს ძველი სასახლე, რაიც კარის ტაძართან ერთად დედოფალს მთელის მამულით ჩამოართვეს, რუსის ხაზინამ კერძო პირს მიჰყიდა. ახალმა მესაკუთრემ სასახლის ნანგრევებზე, იქ, საცა თბილისის პირველ მცხოვრებთა ძვლები განისვენებდენ, ააგო ორსართულიანი შენობა, რამაც სავსებით დაჰფარა ტაძრის დასავლეთი კარები და ეზო. ხოლო 1849 წ. თვით ამ სასახლის ტაძრის ირგვლივაც შენობები ააგეს. ასე იცვალა ფერი უძველესმა ძეგლმა.

რუსეთის მიერ ეს განადგურებული კარის ეკლესია წმ. გიორგისა ჯერ კიდევ 1710 წ. აეგო ბატონიშვილ სვიმონს (ვახტანგ მეექვსის ძმას) იმ ნანგრევებზე, რაიც შემთხვევით დაშთენილაყო 1398 წელს თემურ ლენგის შემოსევის შემდგომ. თბილისის დარბევის შემდეგ (1795 წელში) მეფე გიორგიმ ეს ტაძარი და სასახლე განაახლა. მეფის გარდაცვალების შემდეგ აქ ცხოვრობდა დედოფალი მარიამი თვისის დედით და შვილებით. ამ სასახლეში მოხდა ღენერალ ლაზარევის მკვლელობა. (იქვე, 97).

როგორც ვიცით, მთავრობა სამეფო ოჯახის წევრთ ჩამორთმეულ მამულების შემოსავალის გადახდას აღუთქვამდა რუსეთში, თუ კი ისინი ნებაყოფლობით გადასახლდებოდენ. ამ მიზნით მთავრობის ბრძანებით ხდებოდა დედოფალთა და ბატონიშვილთა წლიური შემოსავლის აღრიცხვა, რაიც პეტერბურგში იგზავნებოდა...

დოკუმენტებიდან სჩანს, თუ რაოდენ ერთგულებას იჩნ-

დენ ღენ. კნორრინგი და ღენ. ლაზარევი რუსეთის ხაზინისადი და რაგვარად აძცირებდენ სამეფო ოჯახის წევრთა ამ შეწოსავალს. მაგალითად, დედოფალ მარიამის წლიურ შემოსავალს მისი პირადი მაძულებიდან მთავარმართებელი კნორრინგი პეტერბურგს მხოლოდ 18.000 მანეთს აჩვენებდა. მაგრამ ციციანოვი არც ამგვარი «აღრიცხვით» შეიქმნა კმაყოფილი; მან ეს შემოსავალი ხელახლა «შეაფასა» და თითქმის გაანახევრა. თვის ახალ მოხსენებაში ხელმწიფისადმი იგი აღსიშნავდა კნორრინგის «ხელგაშლილობას» და სწერდა, რომ დედოფლის წლიური შემოსავალი ნამდვილად 9.241 მანეთს არ აღემატებოდა. ასეთივე ყალბ აღრიცხვით იყო შედგენილი დანარჩენ სამეფო ოჯახის წევრთა წლიური შემოსავალიო. აი, ეს «ცნობები» საფუძვლად უნდა დასდებოდა გადასახლებულ ბაგრატიონთა პენსიებს, რასაც სახელმწიფო საბჭო ადგენდა. (98).

ამ დროს რუსეთის ხაზინა კი მდიდრდებოდა იმ ქონებით, რასაც სასჯელის სახით ართმევდენ არა მარტო ბაგრატიონთ, არამედ თავად-აზნაურობას, როგორც ჯარიმას და სასჯელს მათი სხვა და სხვა შეთქმულება-აჯანყებებში მონაწილეობისათვის.

აქედან გასაგებია ის უმწეო მატერიალური მდგომარეობა, რაშიაც მოექცა მთელი მოწინავე ქართველობა, რომელსაც ბოლოს რუსეთისათვის ულუფა და დახმარება უნდა ეთხოვა.

კერძოდ, სამეფო სახლის დიდ გაჭირვებაში ჩავარდნამ, გვაუწყებს პ. იოსელიანი, ათქმევინა ბატონიშვილ თეკლას ეგნატე იოსელიანთან აღსარებისას ეს მწარე სიტყვები: «ამას კი გაბედვით ვიტყვით, რომ რუსეთსა არა ეკადრებოდა, რომ დასტოვა სამეფოსა სახლისა წევრნი ულუკმოდ... ძნელია მამაშვილობამ ჩვენი მდგომარეობა და რა გაეწყობა? უბედურება იყო მოსული სახლსა ჩვენსა... ვიყავით ღირსნი დასჯისა და დავისაჯენით»-ო (99).

იმ უმაგალითო თავგასულობა-მექრთამეობამ და უკანონო მართვა-გამგეობამ, რაიც მაშინ რუსეთმა ჩვენში მოიტანა, თვით ციციანოვიც კი აღაშფოთა და 9 თებერვალს 1803 წ. ციციანოვი ხელმწიფეს სწერდა:

«სამმართველო დაწესებულებებში ქართველებს არა თუ საჯაროდ აძაგებდენ და ლანძღავდენ, არამედ სცემდენ კიდეც

უბრალო ეჭვის მიტანის გამო სტაცებდენ მათ ხელს, ყელზე საბელს ჩამოჰკიდებდენ და, ვით სისხლის სამართლის დამნაშავეს, მიათრევდენ ფეხით 50 ვერსზე და ხშირად უფრო შორსაცო. მოხელეთ და ოფიცრებს ძალად მიჰყავდათ დედაკაცები და ახალგაზრდა ასულნი სოფლებიდან და მათ აუპატიურებდენო» და სხვა. (100).

უკეთეს მდგომარეობაში არც მართლმსაჯულების წარმოება ყოფილა იმავე ღენერალ ციციანოვის თქმით. «საქმეს განსაკუთრებით ამწვავებს ის, რომ მოსამართლეს და მთხოვნელთ ურთი-ერთის არ ესმით, თარჯიმანები მეტად ცოტაა და ისიც ცუდი»-ო. (101).

ჩვენთვის საყურადღებოა, რომ ამას ამბობს ღენერალი ციციანოვი, რომელიც რუსეთის ჯალათად მოევლინა იმ დროის საქართველოს; ციციანოვი, რომელიც ასე ცდილობდა ქართველთა გარუსებას.

«ღენერალი ციციანოვი, — სწერს მის შესახებ რუსის მწერალი კრასნიცკი, — თუმცა მუდამ ბრძოლებში და ომებში იყო გართული, მაგრამ სამოქალაქო და სამმართველო საქმეთა გასაძღოლად მაინც შოულობდა დროს. ამ მხრივ ის ყველაზე დიდ ყურადღებას განათლების საქმეს აქცევდა საქართველოში; ის თვითონ მართავდა სკოლებს და გიმნაზიებს; იცოდა რა, რომ **საქართველო სამუდამოდ შეუერთდა რუსეთს**, განსაკუთრებულად ცდილობდა, რათა ქართველ ხალხში განათლება **მხოლოდ რუსულად გავრცელებულიყო**; მის დროს **რუსული ენა იყო სავალდებულო ყველა სკოლებში**, ხალხში განსაკუთრებით მხოლოდ რუსული წიგნები ვრცელდებოდა» და სხვა. (102).

ზევით მოყვანილი, სოვეტნიკ სოკოლოვის საიდუმლო მოხსენება რუსეთის ელჩ კოვალენსკის შესახებ შესანიშნავად ახასიათებს მთელს მაშინდელ ადმინისტრაციას, რომლის სათავეში ეს მინისტრი იდგა. სოკოლოვი ამბობს, რომ შეიტყო რა საქართველოს «ვოტჩინის» გამდიდრებულმა პატრონმა კოვალენსკიმ, რომ პეტერბურგი მას უკან იწვევს, ყოველნაირად შეეცადა ეს გადაყენება თავიდან აეცდინა — «კოვალენსკი იქამდე მივიდა, რომ ყოველად უმსგავსო ნაბიჯები გადასდგა: ნაბიჯები, რაიც არც მას და არც რუსეთს სახელს და პატივისცემას არ მოუხვეჭს ამ ქვეყანაში»-ო.

სოკოლოვის ცნობით, მინისტრ კოვალენსკის უთხოვია დედოფალ მარიამისათვის, მისი ადიუტანტის ალ. მაყაშვილისათვის, ელჩ გარსევან ჭავჭავაძის მეუღლე მარიამისათვის და სხვათათვის,—მიეწერათ მათ იმპერატორისათვის, რომ კოვალენსკი დიდად პატიოსანი და ერთგული წარმომადგენელია პეტერბურგისა და მეტად სასურველია, ის ამ თანამდებობაზე დარჩესო; და ამ ელჩის თავგასულობა ბოლოს იქამდე მისულა, რომ მას ქრთამიც კი შეუძლევია ამათვის: დედოფლისათვის — 2.000 მანეთი; მისი ადიუტანტისათვის — 2.000 მანეთი და სხვა... ამგვარმა ქცევამ და მორალურმა «სიმაღლემ» რუსეთის პირველ ელჩისა, საბოლოოდ გადასჭრა მისი ბედიო და ქართველმა წარჩინებულებმა მას ერთბაშად ზურგი უქციესო... (103).

ამ ამბებმა ქართველი ხალხი რუსეთის წინააღმდეგ დარაზმა და თავგასულ «მფარველის» განსადევნად ყველა წოდებამ იარაღს მიმართა.

აქედან იწყება მთელი ჯაჭვი შეთქმულება-აჯანყებათა, რასაც ჩვენ ვიცნობთ. მაგრამ ყველა ამ აჯანყებებისაგან განირჩევა 1802 წლის შეთქმულება, რის სათავეში სამეფო ოჯახი და პეტერბურგის ქართული საელჩო იდგა. ეს უკანასკნელი შეეცადა ამ მოძრაობისათვის თავში მაინც ლეგალური და დიპლომატური ხასიათი მიეცა.

1802 წლის შეთქმულობაში პეტერბურგის ქართველობამ საქართველოს ელჩის გარსევან ჭავჭავაძის მეთაურობით დიდი როლი ითამაშა.

ჩვენ იძულებული ვართ ამ აჯანყებაზე, რომელიც განსაკუთრებულ კვლევა-შესწავლის საგანია, ამხანად მხოლოდ გაკვრით შევჩერდეთ.

*

საქართველოს სამეფოს გაუქმების შემდეგ ქართული საელჩო მაინც ცდილობდა პეტერბურგის კარზე იურიდიული და დიპლომატიური ბრძოლა გაეგრძელებინა საქართველოს და მისი ტახტის უფლებათა დასაცავად. ამავე დროს ის ცდილობდა საქართველოს მოწინავე წრეები დაერაზმა, რათა პეტერბურგი დაერწმუნებინა, რომ რუსულ სამინისტროებში შედ-

გენილი «ლამაზი» მანიფესტები ქართველ ხალხს ვერ მიაძინებდა.

ამ მიზნით ელჩი დესპანებს გზავნიდა საქართველოში და საგანგებო ინსტრუქციებს საიდუმლოდ აწვდიდა შეთქმულების მეთაურთ, რომელთა შორის ორივე დედოფალი და სამეფო ოჯახი ერივნენ.

უნდა ვიფიქროთ, რომ გარ. ჭავჭავაძის, ლაშქარაშვილის და სხვების შთაგონებით დაიწყო ბაგრატიონთა ორივე ფრთის შეთახხმება; საქართველოს ამ დროს მხოლოდ ერთი პრეტენდენტი უნდა წამოეყენებინა და ამით გაებათილებინა «მანიფესტის» დებულება, რომ რუსეთი იძულებულია ქართული ტახტის კითხვა მთლიანად მოხსნას და ქვეყანა შეიერთოს, რაკი ბაგრატიონთა ოჯახში განხეთქილებაა და ტახტის ირგვლივ ატეხილი დავა ორ პრეტენდენტთა შორის დიდად გამწვავდაო.

ქართულ საელჩოს რჩევას მარიამ და დარეჯან დედოფლები გულისხმიერად მოეპყრენ და ბატონიშვილებს, ორთავ მემკვიდრეებს და მოწინავე ქართველობას, როგორც ქვევით დავინახავთ, გაერთიანებისაკენ მოუწოდეს.

ორივე მხარე მიხვდა, რომ შინაური უთანხმოებით უფრო აჩქარებდენ რუსეთის და მისი ემისრების მზაკვრულ განზრახვის აღსრულებას.

საჭირო იყო ერთ რომელიმე პრეტენდენტზე შეჩერება; და ბაგრატიონებმა დარეჯან დედოფლის ირგვლივ ერეკლეს დროშის ქვეშ მოიყარეს თავი. ამით გარსევანისა და პეტერბურგის ქართველობის ამოცანა უფრო მარტივი ხდებოდა: 1783 წლის ერეკლეს ტრაქტატი აკი იურიდიულად და ისტორიულად ძალაში რჩებოდა, რადგან უკანასკნელ მეფის «თხოვნითი პუნქტები» დესპანების აქეთ-იქით გზავნაში ხელ მოუწერელი დარჩა...

საქართველოს ახალ მდგომარეობას და ჭკვიან ელჩის გარსევან ჭავჭავაძის რჩევებს დიდის დარბაისლობით და შეგნებით შეხვდა მაშინდელი მოწინავე ქართველობა და ყველაზე უწინ თვითონ დედოფალი მარიამი.

ეხლა დედოფალმა თვითონ ურჩია დაეით ბატონიშვილს —

ასპარეზი იულონისათვის დაეთმო და ამით ქართულ სამეფო ოჯახის მთლიანობა ყველასათვის აშკარად დაენახვებინა.

ახალი ბრძოლა უნდა დაწყებულიყო, როგორც ამას ელჩი გარსევანი ითხოვდა, უნდა წარეგზავნათ მისთვის გაერთიანებულ ერის პეტიცია, რომ საქართველო უმეფოდ ვერ დარჩება და ტახტის აღდგენას მთელი ხალხი ითხოვს... რომ ხალხი სცნობს ერეკლეს ანდერძს და რომ ამ ანდერძით საქართველოს მეფედ ცხადდება იულონ ბატონიშვილი... გარს. ჭავჭავაძეს კი ამ სახალხო პეტიციებისათვის უნდა გზა გაეხსნა, ის იმპერატორისათვის მიეწვდინა და მომხდარ უსამართლობის გადასინჯვა მოეთხოვა. ეს იყო 1802 წლის შეთქმულების გეგმა, რომლის ირგვლივ ყველანი გაერთიანდენ.

ამ გაერთიანებამ ეხლა არა მარტო ღენერალი ლაზარევი აღაშფოთა, არამედ რუსეთის ელჩი კოვალენსკიც დიდ საგონებელში ჩააგდო. მინისტრი ამაზე სწერდა:

«ყველა ბატონიშვილები უკვე გაერთიანდენ, რათა **საქართველოს მეფის ხარისხი დაიცვან**. მათ დაადგინეს, შეთანხმებულად ყოველის საშუალებით შეეცადონ, რომ მეფობის ხარისხი შეინახონ ბაგრატიონთა ოჯახში, სულ ერთია: ვინც უნდა იყოს მეფედ ამ ოჯახიდან». (104).

*

ასეთი განსაცდელის ჟამს უძველესმა დინასტიამ ერთხელ კიდევ აჩვენა მტერს თვისი ერთობის ძალა და რუსეთს საბუთი გამოაცალა, ეთქვა — რომ ის იძულებულია თვით აიღოს ხელში საქე საქართველოს მართვა-გამგეობისა, რადგან ბატონიშვილთა შორის უთანხმოება არსებობსო (იხილეთ მეორე მანიფესტი ალექსანდრე პირველისა).

კარზე მომდგარ დიდ საფრთხის წინაშე დინასტიის — ლეგიტიმისტურ წესებზე აღმოცენებული დავა, ერთბაშად გაჰქრა. ორ დედოფალთა გზები, რომლებიც გიორგი მეფის დროს ერთმანეთს ასე დაშორდენ, ეხლა ერთად გადაებენ, ერთ მიზნისაკენ მიიწევდენ. ეს მიზანი იყო: რაც არ უნდა დაჯდომოდათ, საქართველოს ტახტი საფრთხისაგან გადაერჩინათ.

თუ აქამდე დარეჯან დედოფალი იულონის გამეფებას მო-

ითხოვდა, ხოლო მარიამი, როგორც ერთგული გიორგი მეფის ანდერძისა, დავითს ემხრობოდა და მეფის «თხოვნითი პუნქტების» ნიადაგზე იდგა, დღეს ყველაფერი შეცვლილიყო: ეხლა ორივე დედოფალი დიდი ერეკლეს სახელს და ავტორიტეტს ამოფარებოდნენ და **რუსეთისაგან 1783 წლის ტრაქტატის განხორციელებას** ერთად მოითხოვდნენ. გაერთიანებული საქართველო ეხლა სულ სხვა — მტკიცე ენით ელაპარაკებოდა იმპერიას და დათმობაზე წასვლას არ ფიქრობდა; ის მზად იყო, უკიდურეს შემთხვევაში, თავხედ მტრისათვის ბრძოლაც კი მიეცა.

1802 წლის ამბებმა ყველას თვალი აუხილა: ბატონიშვილთა ორ ჯგუფს შორის იგივე შეთანხმება მოხდა, რაც დედოფალთა შორის... ეხლა საქართველოს სახელმწიფოს ინტერესი ყველა კერძო პრეტენზიებს ფარავდა; აქ ძველი, ტრადიციული და უფროსი ახალსა და უმცროსს უკან აყენებდა: მარიამ დედოფალმაც თვისი ასპარეზი უხუცეს დედოფალ დარეჯანს დაუთმო, ხოლო ბატონიშვილმა დავითმა უფროს ბიძას, იულონს, მდაბლად თავი დაუკრა და ერთგულება აღუთქვა. ამით ბუნებრივად მეფე ერეკლეს 1783 წ. ტრაქტატს ასპარეზს უცლიდა გიორგი მეფე თვისი «თხოვნითი პუნქტებით»..

მაგრამ მთავარი აქ მაინც ის იყო, რომ რუსეთის წინააღმდეგ მთლიანი მეთაურობა გამოაშკარავდა. უკვე ავტორიტეტულად მეტყველებდა მეფე ერეკლეს ანდერძი და მისი ძლიერი ხმა.

ამ საფრთხის მოახლოვებას, 1802 წლის აჯანყების პირველ ნიშნებს და მისი მეთაურების ვინაობას ასე ატყობინებდა ლაზარევი კნორრინგს:

«ბატონიშვილთ რაღაც საერთო მტრული განზრახვა აქვთ. ვახტანგი ოსებს და თაგაურელებს დაუკავშირდა ჩრდილო კავკასიიდან რუსთათვის გზის მოსაჭრელად. დავითი დედოფალს და იულონს შეურიგდა და ბორჩალოში თათრებთან წავიდა, ვითომდა ჰაერის გამოსაცვლელად, ნამდვილად კი დასახმარებლად იმ «საქმისა», რის მოხდენა ყველა ამათ სურთ; დავითი იქ ჩვენს მომხრე თათრებს აშინებს. დარია (დარეჯანი), როგორც ვიცით, მთავარი ხელმძღვანელია ყველა ამ განზრახვებისა, ცხოვრობს ავლაბარში და აქეზებს თვისს მომხრეთ, ჩვენს ერთ[illegible]-

ლებში შიშს სთესავს და აქვს მიწერ-მოწერა ალექსანდრე ბატონიშვილთან და იმერეთში გახიზნულ იულონ — ფარნაოზთან. ალექსანდრეს კი ფრიად საიდუმლოდ ფულსაც უგზავნის; ფიქრობენ, რომ დარიას მომხრეებმა დასწვეს ავლაბრის ხიდი და სხვა...

«დედოფალი მარიამიც ეხლა შეთანხმებულია მათთან, და თუმცა დიდად არ შეუძლია დაეხმაროს, მაგრამ მაინცა ჰყავს თვისი ერთგული ხალხი, რომელიც მზად არის მას მიემხროს. თავად-აზნაურობიდან, რომელთაც სათითაოდ ერთგული პირები ჰყავთ, რუსთა მომხრე სრულიად უმცირესი ნაწილი-ღა დარჩა. მაგრამ არც თუ ეს მცირედი ნაწილია სანდობი... არც ყაზახ-ბორჩალოელნი არიან ერთგულნი, არც საერთოდ თათრები, არც განჯა და ერევანი...»

«ხალხი შედრკა, დაეჭვიანდა, უკმაყოფილება იზრდება და თბილისშიაც ღელვაა»-ო. (105).

ღენ. კნორრინგის საგანგებო დავალებით ჩამოსელამ მთელ მოწინავე ქართველობას თვალი აუხილა. როგორც ვიცით. ღენ. კნორრინგს ალექსანდრე I-მა და სახელმწიფო საბჭომ განსაკუთრებული ამოცანა მისცა: ადგილობრივ გამოერკვია და შეეტყო: 1) მართლა სურდა თუ არა ქართველ ხალხს რუსეთთან შეერთება და 2) შეეძლო თუ არა პატარა საქართველოს საკუთარის ძალებით თავის **დამოუკიდებელ არსებობის დაცვა?..**

ღენ. კნორრინგი თბილისში რუს მოხელეებში და იმ სომხების წრეში ტრიალებდა, რომელიც საქართველოს სახელმწიფოს მოსპობას შესტრფოდენ და აქედან უკვე შეგვიძლია დავასკვნათ, თუ როგორ პასუხს მიაწოდებდა იგი პეტერბურგს.

ამასთან ერთად ღენ. კნორრინგს დავალებული ჰქონდა: შეესუსტებინა მემკვიდრე დავითის გავლენა, ჩამოერთმია მისთვის მმართველობის ფუნქციები და რუსეთის მოწინააღმდეგე ძალები წელში გაეტეხა.

საამისოდ კნორრინგს უნდა კარგად გამოეყენებინა ბატონიშვილთა შორის ატეხილი უთანხმოება, ქართველ უკმაყოფილო თავადთა და სომეხ ვაჭართა წრე უნდა დაეახლოვებინა, რათა სახელმწიფო საბჭოსა და იმპერატორისათვის სასურველი «დასკვნები» სწორედ ამათის დახმარებით შეედგინა. ამ ამ-

ბებს დავით ბატონიშვილი თავის ნარკვევებ-ში ასე გადმოგვცემს:

«ამან (ე. ი. ბატონიშვილმა დავითმა) იწყო მართვა ქართლისა (გიორგის სიკვდილის შემდეგ), ვინაიდან იყო აღზრდილი მეცნიერებასა შინა, ვითარცა საღმრთოთა და საფილოსოფოსთა, ეგრეთვე სამხედროსა შინაცა, ვინაითგან უწყოდა ვითარცა კანონებისა სამოქალაქო, აგრეთვე ევროპიისაცა»-ო, — «მაგრამ, — განაგრძობს ისტორიკოსი, — ვინაითგან იყო განხეთქილება და იყვნენ ზოგნი კერძო დავითისა და რომელთამე დედოფალის დარეჯანისა და ძეთა მათთა...

«მხილველთა ამისთა რუსთა **იცეს ჟამი მარჯვე, ვინაითგან მსწადდათ დაპყრობა საქართველოისა ადრითვანვე** და მოიბირნეს თავადნი რაოდენიმე და სამღვდელონი და აღუთქვეს ნიჭი დიდი... დაუტოვეს ამათ მხარენი თვისნი და მიერთენენ რუსთა... ხოლო რუსთა ღენერალმან ლაზარევმან მოუღო ყოველივე ნებაი დავითს... შემდგომად ამისა წარემართნენ პეტერბურღისაკენ საქართველოს დეპუტატები, რომელთაც გზაში შეიტყუეს იმპერატორ პავლეს სიკვდილი... იმ ჟამად კიდევ არ იყო გახსნილი ღუბერნიად საქართველო, არამედ კითხვითაეე მეფის ძის დავითისა, მართავდნენ რუსნივე. ამან (დავითმა) გამოსცა მანიფესტი, რათა ყოველნივე საქმენი და განწესებანი ყოვლისა ქვეყნისანი იყოს მდგომარეობასა ზედა განწესებისამებრ **იმპერატრიცა ეკატერინასისა»** (ე. ი. 1783 წლის ერეკლეს ტრაქტატის თანახმადო).

ამნაირად, პეტერბურგიდან მოვლენილს, უცხო მოხელეს (რუსის სამსახურში შეხიზნულ გერმანელს) უნდა ერთის თვალის გადაულებით გარდაეწყვიტა საქართველოს უძველესი სახელმწიფოს და დინასტიის ბედი...

და ის «დასკვნები», რაიც საქმის დაკვირვების და მიუდგომელ შესწავლის შედეგად, იმპერატორის საგანგებო რწმუნებულს საქართველოში უნდა გამოეტანა, მას უკვე პეტერბურგიდან გამგზავრების წინ შემუშავებული თან წარატანეს. მაგრამ მემკვიდრე დავითს და მის მოხელეთ და ტახტის ერთგულთ შეეძლოთ, კნორრინგის წინასწარი გეგმები ჩაეშალათ, მისთვის მდგომარეობა გაერთულებინათ. ამიტომ საჭირო იყო დავითის და მისი გარემოცვის დასუსტება და სამეფო აპარა-

ტების მოშლა; კნორრინგმაც პირველი იერიში აქეთკენ მიიტანა. ვალაპარაკოთ ამის შესახებ თვით დავით ბატონიშვილი.

...«გავიდა კნორრინგი, — სწერს მემკვიდრე, — ქალაქსა შინა, ამას გადააყენა დავით მართებლობიდან სრულიად, და განაწესა რუსითურთ მართველობა საქართველოისა... **რამეთუ ამ ჟამს რუსთა მხედრობანიცა შესრულ იყვნენ ქართლს ათი ათასი»...**

თუ გავიხსენებთ გიორგი მეფის და მისი ელჩების დაჟინებითი თხოვნებს, რათა, თანახმად აღთქმულ მფარველობისა, პეტერბურგს ექვსი, ან თუნდა ოთხი ათასამდე ჯარისკაცი შეეყვანა საქართველოში, თხოვნებს, რაიც მუდამ უშედეგოდ რჩებოდა, ჩვენთვის გასაგები გახდება, თუ რამ შეაცვლევინა რუსეთს ასე ერთბაშად თვისი პოზიცია და სწორედ კნორრინგის ჩასვლის წინ მისი ჯარების რიცხვი ათი ათასამდე ააყვანინა. სწორედ ამ მიზნით შეეკითხა პავლე I კნორრინგს გიორგი მეფის სიკვდილის წინ, თუ რაოდენი რუსის ჯარი იქმნება საჭირო, რომ გიორგი მეფის სიკვდილის შემდეგ «წესიერება» დავამყაროთ და უფლება განვიმტკიცოთო.

თუ რა წესით მოახდინა კნორრინგმა სახელმწიფო საბჭოს და იმპერატორის დავალების შესრულება და განზრახული რეფერენდუმის ჩატარება, ამის შესახებ იგივე ისტორიკოსი, დავითი გვაუწყებს:

ღენ. კნორრინგმა შეჰკრიბა მისთვის სასურველი პირები ამ რიგად: «რაოდენიმე გუამნი თავადნი აწვიეს (აქ ჩამოთვლილია რამდენიმე გვარი რუსთა მომხრე ქართლის თავადებისა) და სხუანი რაოდენნიმე კაცნიცა და მოქალაქე სომეხნიცა კნორინღს, რათა ჰყოს ქართლი ღუბერნიად, რომელმანცა **აღუთქუა აღსრულებაი ამისი** და უკუ იქცა რუსეთადვე კნორინღი. მისრულმა პეტერბურღს, აუწყა ყოველივე საქმე საქართველოისა იმპერატორსა». (106).

აი, ასეთის წესით, ანუ უკეთ რომ ვსთქვათ, უწესოებით მოხდა ჩატარება იმ «დაკითხვათა», რაიც შემდეგ დიდად სახიფათო გახდა საქართველოს სამეფოს ბედისათვის...

აქ სულ უბრალო გაუგებრობას, გაბოროტებას, მიკერძოებას, ან მოსყიდვას შეეძლო საშვილიშვილო საქმე გაეფუჭებინა და ერის უფლებები უფსკრულში გადაეჩეხა. დრო იყო

საშური და ენერგიულად დატრიალდა საქართველოს მტერთა ბანაკი პეტერბურგში და თვით თბილისში.

ამრიგად, საფრთხე ტახტისათვის მართლაც დიდი იყო და ამის ასაცდენად ყველა ძალების და მარაგის ამუშავება სჭიროდა საქართველოს. თითქოს კნორრინგის მისიის სახიფათო შედეგები სამეფო ოჯახისათვის გარკვეული იყო; და ის ერთხელ კიდევ მთლიანის სახით წარსდგა პეტერბურგის წინაშე: ნახევრად წაგებულ საქმის გადასარჩენად სამეფო ოჯახი ორი სხვა და სხვა სახის ნოტით მიმართავს სახელმწ. საბჭოს; ეს იყო საქართველოს ბრძოლის ლეგალური გზა. როგორც უკვე აღვნიშნეთ, 3 ივნისს 1801 წ. დედოფალმა დარეჯანმა, სამეფო კარიდან ამ ყველაზე უფრო ავტორიტეტულმა წარმომადგენელმა, რუსეთს ოფიციალურად მოსთხოვა: უცველად დაეტოვებინა ერეკლეს მიერ რუსეთთან დადებული ხელშეკრულება, ტრაქტატი 1783 წლ., რომელიც ჯერ კიდევ ძალაში რჩებოდა, ვიდრე მას ორივე მხარე არ გააუქმებდა. (107). მაშასადამე, **ჯერ კიდევ არსებულ ტრაქტატის ძალით**, რუსეთი მოვალე იყო შეენახა ქართული სამეფო და მისი მმართველობა.

ზ. ავალიშვილი ვრცელ იურიდიულ ანალიზს იძლევა ამ ხელშეკრულებისას და ამტკიცებს, რომ მარტო ორივე მოპირდაპირეთა, ესე იგი, საქართველოს და რუსეთის **თანხმობით** თუ შეიძლებოდა «ტრაქტატის» გაუქმებაო.

ამავე ხანებში, როგორც ვსთქვით, მოხსენდა სახ. საბჭოს მემკვიდრე დავითის ნოტა, რათა პავლე I-ს აღთქმისამებრ, სამეფო ტახტი მისთვის საბოლოოდ დაემტკიცებინათ. სახელმწიფო საბჭომ ორივე ნოტები გადასდო, ვიდრე ღენ. კნორრინგი საქართველოდან დაბრუნდებოდა და პასუხს ჩამოიტანდა.

ამ ნაბიჯებმა კიდევ უფრო დააჩქარა ღენ. კნორრინგის მიერ ორი კითხვის «გამორკვევის» დასრულება. თუმცა ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ თვით კნორრინგმაც, რომელსაც, როგორც ვიცით, პასუხი ამ კითხვაზე საქართველოს მტერთაგან აღრევე შემუშავებული ჰქონდა, ჰეშმარიტების წინააღმდეგ მოლად ახდილად წასვლა მაინც ვერ გაბედა. მომავალი მთავარმართებელი იძულებული გახდა მოხსენებაში აღენიშნა, რომ საქართველოს წარჩინებულთა დიდი ნაწილი არ იქნება სამეფოს მოსპობის და რუსთა მომხრეო; მაგრამ აქვე, ამ ფაქტის აღიარე-



ღენ. პ. დ. ციციანოვი

ბისათანავე იგი ამბობს, რომ ამგვარ წინააღმდეგობას «რეაქციონურ» მოვლენად ვსთვლიო; ვითომც ამ წარჩინებულთა საკუთარ წოდებრივ პოვილეგიების დაკარგვის ეშინიათ, რაც რუსეთის დაქვეიდრებას უნდა თან მოჰყვესო...

ამნაირად, აშკარავდება, რომ კნორრინგი თავის საქმეს იკვეთებდა, რადგან გაუქმებულ საჭეფოს მმართველის ადგილი პეტერბურგიდანვე მას მტკიცედ ჰქონდა აღთქმული; ასევე უსუსურია ამ ღუნერლის მეორე დასკვნა მთავარ შეკითხვაზე: შეეძლო, თუ არა, ამ ქვეყანას დამოუკიდებელი არსებობა? ეს შეკითხვა ფრიად საგვიანევი იყო, მას შემდეგ, რაც მას მრავალ საუკუნოვან არსებობის სასახელო მატიანე დაეწერა. ღენ. კნორრინგმა ამ უძველეს სამეფოს «შთაგონებათა თანახმად» უცნაური და სწრაფი დასკვნები გამოუტანა, რომ საქართველოს დამოუკიდებელი არსებობა არ შეეძლო: და მას, ასე თუ ისე, ვინმე მაინც დაეპატრონებოდა. ეს დასკვნები პეტერბურგმა სიხარულით მიიღო; ეს «რჩევები» ხომ დაახლოებით იმეორებდენ ბუსენ-პეშკინის ძველ მოსხენებას, რასაც სახელმწიფო საბჭო კარგად იცნობდა. ამ მოხსენებით საქმე სულ ახალ, და სახიფათო მსვლელობას იღებდა. პეტერბურგში მყოფ საქართველოს ელჩს, გარსევან ჭავჭავაძეს და მის მფარველსა და ქომაგს, ცარინი სოფეტნიკ ლაშქარაშვილს ელდა ეცათ... მათ მიერ საქართველოში გაგზავნილ დესპანთა (ავალიშვილისა და ფალავანდიშვილის) დასკვნები და დაკვირვებანი და თვით საქართველოდან მოწვდენილი ცნობები მათ სხვას ეუბნებოდა.

საქართველოში კიდევ სწამდათ, რომ დიდი «გაუგებრობა» მოხდა: რომ ღენ. კნორრინგმა ყალბი და ცალმხრივი ცნობები მიაწოდა იმპერატორს და სახელმწიფო საბჭოს; რომ გადაჭარბებული იყო რუსეთის «შიში»: დარეჯან-დედოფლის და მეორეს მხრივ, მარიამ-დავითის შეუთანხმებლობის და დაპირისპირების გამო.

ქართველი ელჩები და ლაშქარაშვილი საქმის გამოკეთებას შეეცადენ; უნდოდათ რუსეთის კარი დაერწმუნებიათ, რომ გიორგი მეფის მიერ გადადგმულ ნაბიჯს საქართველო არ დასთმობდა; რომ მეფე და ერი მათთვის განუყრელი მცნება იყო და საქართველო ბაგრატიონებს არასოდეს არ გადაუდებოდა. ამ მდგომარეობის გასამაგრებლად, სხეა ქართველებთან ერთად,

გ. ჭავჭავაძე და იოანე ბატონიშვილი რუსეთიდან დესპანებს გსაენიდენ და ქვეყანას მომავალ დიდ საფრთხეს უმხელდენ. იოანე ბატონიშვილმა, მაგალითად, მანიფესტის ასლი ადრევე ჩაიგდო ხელთ და გადაუგზავნა სამეფო კარს თბილისში.

დიპლომატიურ წრეში გაწრთვნილ ლაშქარაშვილს კარგად ესმოდა ფაქტის შექმნის მნიშვნელობა და ამიტომ გარსევან ჭავჭავაძესთან ერთად, ისიც დღე და ღამ იმის ცდაში იყო, რომ კნორრინგის მიერ მოტანილ «დასკვნებს» ფაქტი არ შეექმნათ და მანიფესტის გამოცხადებას სამეფო ნამდვილადაც არ გაეუქმებინა.

ისტორიკოსი დუბროვინიც აღნიშნავს პეტერბურგში მყოფ ბატონიშვილთა ცდას ამ კრიტიკულ მომენტში საქართველოში დასაბრუნებლად, რათა ქართველების მოწინავეთ ამ ბრძოლაში ესენიც მხარში ამოსდგომოდენ. მაგრამ, ეტყობა, მათთვის საქართველოს კარები დახშული შეიქმნა. ამ ისტორიკოსს აქვე მოჰყავს ერთი ანონიმური წერილი პეტერბურგიდან (ორბელიანს?). რომელიც მოსვლია ბატონიშვილთა ერთ-ერთ წარჩინებულ მხლებელისაგან:

...«მანიფესტის გამოცხადებას გაიგებდი (პირველ მანიფესტსაა ლაპარაკი), ბატონიშვილებს ნებას არ აძლევენ უკან დაბრუნდენ. ისიც გავიგე, რომ ვინც მანდ დარჩა, აქეთ მოითხოვენ და როცა მათ ჩამოიყვანენ, საქმე ისეა მოწყობილი, რომ მათი ახლობელნი და ნათესავნიც აქეთ იქნებიან მოყვანილნი; აგრეთვე წარჩინებულნი თავადნი და აზნაურნი და გლეხებიც კი... და სამაგიეროდ, აქაურ ყაზახებს (ათასოთხას კომლს) გადმოასახლებენ საქართველოში»... (108).

ასე თუ ისე, პეტერბურგის ქართველობა ხიფათის ასცდენად ფეხზე დადგა; განზრახული იყო როგორმე თვით ლაშქარაშვილი წასულიყო საქართველოში, ჩარეულიყო საქმეში და კნორრინგის «ცნობები» ხელახლა შეემოწმებინა ადგილობრივ. ამ დროს პეტერბურგის ქართველთა წრის, და კერძოდ გ. ჭავჭავაძის რჩევით, საქართველოში დიდი პოლიტიკური მუშაობა გაჩაღდა; ამ მუშაობას ეხლა დედოფლები — დარეჯანი და მარიამი — როგორც უკვე აღვნიშნეთ, ერთად ეწეოდენ...

დავით ბატონიშვილიც, რომელიც რუსეთის ვერაგობაში საბოლოოდ დარწმუნდა, ამათთან მივიდა; თურმე ის სპარსეთ-

ში გადასვლასაც კი აპირებდა ალექსანდრე ბატონიშვილთან; ეს უკანასკნელი ეხლა ბაგრატიოთა გაერთიანებული ოჯახის არალეგალური დესპანი გახდა სპარსეთის კარზე. (109). რუსთათვის უველაზე მოულოდნელი იყო, რომ ამჟამად მარიამ დედოფალიც დარეჯანისა და იულონის წრეს შეუთანხმდა და 1802 წლის შეთქმულებაში გაერია. (110). დედოფალ მარიამის 1802 წ. აჯანყებაში მონაწილეობაზე გვაუწყებს ლაზარევის არა ერთი და ორი პატაკი, «ლინიაზე» რომ უგზავნიდა ღენ. კნორრინგს.

და ერთხელ კიდევ, 17 ნოემბერს 1802 წ. ლაზარევი მმართველს ატყობინებდა, რომ «სამეფო სახლის წევრები გაერთიანებული არიან და ხალხში უკმაყოფილებას სთესენ; რომ მათ სათავეში დარია სდგას, რომლის ირგვლივ დარაზმულან ბატონიშვილნი: ვახტანგ, ფარნაოზ, იულონ და დავითი, ხოლო საზღვარგარედ: ალექსანდრე ბატონიშვილი; **თვით მარიამ დედოფალიც მათთან არის და რუსეთის ერთგულთ ყოველ გვარად აწუხებსო**»-ო (ავიწროებსო). (111).

მეორე ადგილას ის გერმანულ ენაზე დაწერილ პატაკში მარიამ დედოფლის დაახლოებას ბატონიშვილ დავითთან ასე გადმოგვცემს:

„Die Zariza Maria macht schr oft Visiten dei dem Zarevitsch David, wo sie vor den Zeit niemals den Fuss hingesetzt hat".

ასე სწერს ღენ. ლაზარევი ღენ. კნორრინგს (112), ის ცდილა მას ორმაგად ასიამონოს და დედოფალ მარიამზე საიდუმლო ცნობები ცუდის გერმანულით მიაწვდინოს...

*

დავუბრუნდეთ კვლავ 1802 წლის ამბებს.

მემკვიდრე დავითს, რომელმაც თვისი გამეფების ოცნებები დამარხა, 1802 წლის ამბებმა საქართველოს აღდგომის იმედები ხელახლა გაუცოცხლეს.

რუსეთის მიერ ბოძებული ღენერლობა და ორდენები ამ შემთხვევაში მას ბედის დაცინვად მიაჩნდა.

ისტ. დუბროვინი სწერს:

«დავითმა რუსეთის სამსახურიდან გადადგომა გადასწყვიტა,

მაგრამ ხელმწიფემ მისი გადადგომა არ მიიღო და რაკი მან იმედი დაჰკარგა. ტახტის ძიღებისაო, — დასძენს დუბროვინი, — შეუთანხმდა განმდგარ ბიძას, შეურიგდა მოწინააღმდეგეთ და ერთი ფიცი დასდეს: შეინარჩუნონ სამეფო ტახტი ბაგრატიონთათვის»-ო. და შემდეგ განაგრძობს, რომ ყოფილი მტრები, და ეხლა კი მეგობრები, უკვე ერთად არიან, რათა მეფედ აირჩიონ ის, ვისაც დედოფალი დარეჯან დანიშნავსო. და ყველანი შეთანხმებულად სთხოვდენ მეზობელ სახანოებს, რათა დახმარებოდენ მათ ამ საქმეში.

უცხო ქვეყნებში მყოფ ბატონიშვილებმა იკისრეს მეზობელ ხანების დახმარების მოპოება, ხოლო დავითს შიგნით უნდა მოეწყო და გაეტარებინა ყოველი სამზადისი, რასაც ბატონიშვილები (დარეჯანის ხელშძღვანელობით) დააკისრებდენ. (112ა).

1802 წლის შეთქმულებამ, მისმა უცნაურმა დისციპლინამ და საიდუმლოებამ რუსეთს დაანახვა, რომ ქართველი ხალხის არც ერთ წოდებას ძველი ერთგულება და სიყვარული სამეფო კარისადმი არ დაეტოვებინა. საქართველო, როგორც ერთი კაცი, ეხლა ფეხზე დადგა; თითქოს უკანასკნელ წლების ამბები მას არც კი შეხებოდესო, ის ერთბაშად ერეკლეს დროშას აძოფარა და რუსეთთან დადებულ ხელშეკრულების მთლიანი განხორციელება მოითხოვა. ხალხი საუურველ ქვეშ იდგა, არავითარ არევდარევას ადგილი არ ჰქონდა; ის დინჯად და ყოველ ადგილას ერთის შინაარსის მოთხოვნილებას აყენებდა: — 1783 წლის ტრაქტატის აღდგენას. ჩვენ გვსურს — ამბობდენ ისინი, — რუსეთის ერთგულება და ქვეშევრდომობა შევინახოთ, მაგრამ ჩვენ უნდა გვყავდეს ჩვენი მეფე — ბაგრატიონთა ოჯახიდანო. აშკარა იყო, რომ ამ შეთქმულებას ერთი «შტაბი» უძღოდა, ერთის გეგმით და ნებით; ის ცდილობდა, მოძრაობისათვის ჯერ ლეგალური ხასიათი შეენარჩუნებინა.

ამას მეორე ხანა უნდა მოჰყოლოდა: ლეგალურ ბრძოლიდან აშკარა წინააღმდეგობაზე გარდასვლისა. მაგრამ საქართველო საამისოდ სუსტი იყო, ეხლა მის საზღვრებში ძლიერი რუსის ჯარი იდგა; რუსეთი ეხლა არა თუ ძუნწობდა სამხედრო მასალის მოწოდებაში და ჯარის რაოდენობის გაძლიერებაში,

არამედ ქვეყანას დღითი-დღე ახალ ძალებს აშველებდა იმპერიის უფლებათა განსამტკიცებლად*).

ასეთნაირად მომძლავრებულ მტერს ორი დედოფალი და მათი ერთგულნი ვერ გაუმკლავდებოდნენ. ამიტომ მათ მეზობელ მაჰმადიან ქვეყნების დახმარება უნდა ეძიათ. დედოფლების კავშირი და დესპანი, როგორც აღვნიშნეთ, ალექსანდრე ბატონიშვილი იყო; ამას შესაფერი თხოვნა-მიმართვა გადაუგზავნია სპარსეთის შაჰთან: შეთქმულთა შტაბი ბაბა ხანს რუსთა გასადევნად დახმარებას სთხოვსო. საინტერესოა ისიც, რომ ამ მიმართვას ერთად აწერენ ხელს ორივ ბანაკის წარმომადგენელნი — ბატონიშვილნი: იულონ, ვახტანგ, ალექსანდრე, ფარნაოზ და დავითი. (114).

მაგრამ, მიუხედავად საქართველოს აშკარა წინააღმდეგობისა, დიდი იმპერიისათვის ეხლა უკან დახევა შეუძლებელი გახდა... საქართველოს «შეერთების მანიფესტის» ამბავი უკვე მთელ ქვეყანას მოედო; ევროპა ეხლა უნდა დარწმუნებულიყო, რომ საქართველოს ხალხმა თვითონ აიღო ხელი დამოუკიდებლობაზე და, მაჰმადიან მეზობელთაგან შევიწროებულმა, ერთ-მორწმუნე იმპერიას თვითონ შეაფარა თავი.

მაგრამ ეს ამბავი 1802 წლისა, საქართველოში რომ დაიწყო და მძლავრად განვითარდა, როგორღაც არ ჰგავდა ამ ერის

---

*) ღენერ. კნორრინგმა დაამზადა კავკასიის. «ლინიიდან» საქართველოში შესაყვანად ათი ესკადრონი დრაგუნთა, შვიდი — გრენადერთა როტა; აგრეთვე დაამზადა მოზდოკში სურსათი შვიდი ათასი კაცისათვის... ამასთან გაგზავნა მეორე წყება სამხედრო და საარტილერიო ნაწილთა და თან გააყოლა დონის ყაზახთა რაზმი; ხოლო როცა თვითონ თბილისისაკენ დაიძრა, თან წამოიყვანა დამატებით შვიდასი დონელი ყაზახი. (113).

იგივე ავტორი, ბუტკოვი, მეორე ადგილას, როცა აჯანყების სამზადისზე ლაპარაკობს, გადმოგვცემს, რომ იმ დროს რუსებს საქართველოში ჰყოლიათ ცხრა ბათალიონი მძიმე და სამი ბათალიონი მსუბუქი ფეხოსან ჯარისა, სამი დონის ყაზახთა პოლკი და 21 საარტილერიო ნაწილი. (იქვე).

«მშვიდობიან შეერთებას»... ჰარმონიის და ერთგულების ნაცვლად, აქ განდგომა და აჯანყება მეფობდა.

პეტერბურგს ეს ამბები როგორმე უნდა მიეჩქმალა და მან სასტიკი ბრძანება გასცა, რადაც არ უნდა დაჯდომოდათ, ჩქარა ჩაექროთ ეს აჯანყება. ამ საქმისათვის კი უფრო «მამაცს» და თავბედს აბა ვის იშოვნიდენ, თუ არა იმავე ღენ. ლაზარევს, რომელსაც ასე სძაგდა ამ შეთქმულების ყველა ხელმძღვანელი, სძაგდა ქვეყანა, სამეფო კარი და კერძოდ ორივე დედოფალი და მემკვიდრე დავითი... და თანახმად კნორრინგის განკარგულებათა, ის მთელის სისასტიკით გაუმკლავდა ამ შეთქმულების წევრთ.

ღენ. ლაზარევი 1802 წლ. აღრევის ლეგარულ და მშვიდობიან ფორმებს არ დაერიდა და «თხოვნებზე» დაპატიმრებით და გადასახლებით უპასუხა; მან თვით ბოდბელი მიტროპოლიტიც კი არ დაინდო; და ბოლოს, ჩაჰკლა რა სასტიკის და ვერაგულის გზით ეს საზოგადოებრივი აღშფოთება, მყისვე შეთქმულთა მთელი «შტაბის» განადგურება მოინდომა.

სწორედ ღენ. ლაზარევის დაჟინებით რჩევას და მოთხოვნას უნდა მიეწეროს, რომ რუსეთმა აგრე-რიგად დააჩქარა ვითომდა «საპატიო მიპატიჟება» დედოფალთა და ბატონიშვილთა პეტერბურგისაკენ. საამისო მოწვრილობა მინისტრისაგან «ლინიაზე» კნორრინგს მოდიოდა, ხოლო ის კი ამ ძნელ და საპასუხისმგებლო საქმეს ისევ ღენ. ლაზარევს ანდობდა.

მაგრამ ეს «საქმე» არც ისე ადვილი გამოდგა: ბატონიშვილებმა, და განსაკუთრებით დედოფლებმა, ისეთი სიმტკიცე გამოიჩინეს, ისე მაღლა და ამაყად დაიჭირეს თავი, რომ გენ. კნორრინგი ვერას გახდა და დიდი იმპერატორის ინსტრუქციები შეუსრულებელი დარჩა... ამან ალექსანდრე I-ის მოწყალება მრისხანებად გარდაუქცია საქართველოს პირველ მმართველს.

მართლაც, მძიმე მდგომარეობაში ჩავარდა მთავარმართებელი ღენერალი კნორრინგი: დედოფლები არავითარ შემთხვევაში საქართველოს ნებით არ სტოვებდენ და იმპერატორის «საპატიო მიპატიჟებას» აშკარა უარით უპასუხებდენ. ერთადერთი გზა იყო ძალადობის ხმარება, რასაც გათამამებული ღენ. ლაზარევი თავიდანვე დაჟინებით ურჩევდა მთავარმართებელს.

მაგრამ ეს გზა ხომ ორპირიანი მახვილი იყო: შეიძლებოდა მას მეტად სახიფათო ამბები მოჰყოლოდა.

ქართველი ხალხი დარეჯანსა და მარიამს ჯერ კიდევ დედოფლებად სთვლიდა და მზად იყო მათთვის თავი დაეღო; ასეთ პირობებში კი ამათი უდიერად შეხება და დაპატიჟება-გადასახლება დიდ და სტიქიურ აღშფოთებას გამოიწვევდა, რასაც შეიძლებოდა მთელი საქართველო გამოხმაურებოდა, და რის ვაი-ვაგლახით დამცხრალი აჯანყება 1802 წლისა, ხელახლა აფეთქებულიყო.

ალბათ ასე ფიქრობდა იმ ხანებში პეტერბურგიც, როცა კნორრინგის მოხსნებები ბაგრატიონთა უცნაურ სიმტკიცის შესახებ საგონებელში აგდებდა.

მაგრამ, მეორეს მხრივ, არც დედოფალთა და ბატონიშვილთა დატოვება შეიძლებოდა საქართველოში ამ საერთო აღრევის ხანაში. ამ გარემოებამ ბოლოს კნორრინგიც აიძულა ღენ. ლაზარევის გზას გაჰყოლოდა; მან გადასწყვიტა ძალა ეხმარა, რის დასტურსაც პეტერბურგისაგან ითხოვდა. (115).

მთავარმართებელი კნორრინგი იმპერატორს საგანგებო პაკეტით მიმართავს სათანადო ნებართვისათვის და ამ «აუცილებელ ზომას» შემდეგნაირად ასაბუთებს:

...«დედოფლები არას გზით არ აპირებენ გამომგზავრებას... დარია მოხუცებულობის გამო, ხოლო მარიამი კი მტკიცე (განუყრელ) კავშირის გამო თავის სამშობლო ქვეყანასთან და ახლობლებთან. მათ **ურჩევნიათ სული თვისი გაჭირვებაში საქართველოში დალიონ, ვიდრე უცხო მხარეში სიმდიდრე-ფუფუნებაში იწყოფებოდენ»-ო.** (116).

საქართველოს დედოფლებს თავის ქვეყანაში აბა ასე როგორ უნდა გაჭირვებოდათ? რას გულისხმობდა ამ სიტყვებით მთავარმართებელი? აშკარაა, იმ მატერიალურ შევიწროებას, რაიც რუსეთმა საქართველოს სამეფო კარს მიაყენა.

დედოფლებს და საერთოდ ბაგრატიონებს ჩამოართვეს მამულები (შემოსავალის უკანასკნელი წყარო) და ცარიელზე დასტოვეს იმ საბუთით, რომ სამაგიერო მამული და თანხა რუსეთში მიეცემოდათ. ამნაირად, ეკონომიური საფუძველის გამოცლით გაჯიუტებულ ბაგრატიონთა გადასახლება უნდა დაჩქარებულიყო.

ბაგრატიონთა მატერიალურ დევნა-შევიწროებაზე რუსეთის მხრივ, ჩვენ ერთხელ კიდევ დაწვრილებით შევჩერდებით, მაგრამ, როგორც მთავარმართებელის მოხსენებიდან ვნახეთ, ვერც ამ რეპრესიებით გაუმარჯვნია კნორრინგს, რადგან დედოფლებს მტკიცედ გაუძლიათ საკუთარ ქვეყანაში, თვის ხალხთან «სული თვისი გაჰივრებაში დაელიათ», ვიდრე უცხოეთში «სიმდიდრე-ფუფუნებაში» ეცხოვრათ.

საჭირო იყო ახალ გზების გამოძებნა და რაკი მარიამ დედოფალმა არც მუქარა და არც ვედრება არ შეისმინა, კნორრინგი შეეცადა მისი შვილები მაინც გაეგზავნა პეტერბურგს, ვითომდა სწავლისა და უმაღლეს წყალობათა მისაღებად, რაიც საჭირო იყო მომავალ «დიდი წარჩინებისათვის».

ამნაირად, ხელოვნურად გაჰივრებაში ჩავარდნილ მარიამის მდგომარეობაც ვითომ შემსუბუქდებოდა და შვილების «ბრწყინვალე მომავალიც» უზრუნველ ყოფილი გახდებოდა. მაგრამ დედოფალი, რომელსაც სამშობლო და გვირგვინი წარსტაცეს, რა თქმა უნდა, ნებას ვერ დაჰყვებოდა, რომ მისთვის შვილებიც წაერთმიათ და გაერუსებინათ. ამაზე კნორრინგი იმპერატორს სწერდა: ...«მარიამმა ჩემს წინადადებაზე, რომ თვისი მცირე წლოვანი შვილები რუსეთში წარეგზავნა, რათა ისინი განსწავლულ იქმნან კეთილის აღზრდით, განაცხადა, რომ არავითარ შემთხვევაში მათ არ მოიცილებს... ყველა ეს ამბები, — დასძენს მთავარმართებელი, — იწვევენ ხალხში აღელვებას და მოგმართავთ უქვეშევრდომილესის თხოვნით, დამრთოთ უმაღლესი ნება, რათა ისინი **ფრთხილად დავაპატიმრო**-ო. (117).

ჩვენ არ ვიცით, დროზე მოუვიდა ეს ნებართვა კნორრინგს, თუ არა... ვიცით მხოლოდ, რომ ამ «გადასახლებათა» ამბებს ის თვითონ გადაჰყვა. ალექსანდრე პირველმა გადასწყვიტა — ეს რთული და საპასუხისმგებლო საქმე უფრო გაბედულ ღენერალისათვის მიენდო, რომელიც რუსეთის ერთგული იყო და ამასთან ქართულის მოდგმის და ქართველთა ამბებში უფრო ჩახედული. რუსეთმა ამ მიზნის შესასრულებლად ცნობილი პავლე ციციანოვი აირჩია, რომელსაც მხოლოდ გვარიღა შერჩენოდა ქართული (ისიც გადამახინჯებული), თორემ სული და გული წმიდა რუსული ჰქონდა. ბატონიშვილი დავით გვეუბნება:

«1802 წ. გამოსცვალეს კნორრინგი და ნაცვლად მისსა განაწესეს ღენერალ-ლეიტენანტი ციციშვილი პავლე დიმიტრის ძე, რომლისა მამა მისი, დროსა ვახტანგ მეფისა გარდასულიყო რუსეთათ; კაცი ესე იყო გონება ვნებული და ცნობა მიხდილი, ვინაიდან გუართა მათ შორის არს სენი ესე»-ო. (118).

იმ მძიმე დროში, გარუსებულ ღენერალ ციციანოვის თითქმის განუსაზღვრელ უფლებით საქართველოში განწესება, დიდი მნიშვნელობის ნაბიჯი იყო და ხელმწიფეც მას ენდო და წარმოგზავნა აღელვებული ქვეყნის დასაცხრობად და ქართულ სამეფოს ყველა ნაშთების აღმოსაფხვრელად.

ღენერალ პავლე ციციანოვზე და მის მოქმედებაზე ბევრს საყურადღებო ცნობებს ვხვდებით მაშინდელ წყაროებში, რაიც ამტკიცებს, რომ ალექსანდრე პირველი ამ არჩევანში არ შეცდა; და რაც გარუსებულმა გერმანელმა და სომეხმა ვერ შესძლეს, დიდის სისწრაფით და წარმატებით ჩაატარა მკაცრმა ციციანოვმა. ამ ამბებს ჩვენ გაკვრით ქვევით შევეხებით, ხოლო ეხლა გვინდა რუსის ღენერალ ტუჩკოვის აზრი მოვიტანოთ პავლე ციციანოვზე, რაიც ბ. ეზოვს თვის წიგნში «სნოშენია პეტრა ველიკოგო ს არმიანსკიმ ნაროდომ»-ში მოჰყავს. ღენ. ტუჩკოვის ცნობით, ამბობს ბ. ეზოვი, ციციანოვი იყო აღშფოთებული ბუნების კაცი, თავმოყვარე, ამაყი, ჯიუტი და თავგასულ... ენერგიულს და საქმიან თავად ციციანოვს არ უყვარდა მეტოქენი და საერთოდ ყველა ისინი, რომელთაც მისთვის წინააღმდეგობის გაწევა შეეძლოთ. ამგვარი თვისების კაცს, განსაკუთრებით მაშინდელ პირობებში, არ შეიძლებოდა წარმატებით წაეყვანა საქმეები ამ ახლად დაკავებულ ქვეყანაში, ღენ. ციციანოვმა მიიღო სასტიკი ზომები სამეფო სახლის წევრთა წინააღმდეგ, ის ძალით ასახლებდა დედოფლებს და ბატონიშვილებს. საქართველოს სამეფო ოჯახს ის «ასპიდთა მოდგმას» უწოდებდა... და მხნე ღენ. ლაზარევი დაეცა მკვდარი, გულგანგმირული დედოფლის ხანჯლით, რადგან სწორედ თავად ციციანოვის ბრძანებით, დედოფლის ლოგინიდან ძალით გადმოყვანას ლამობდა მისი გადასახლებისათვის»-ო. (119).

ალექსანდრე პირველმა, რომელიც დიდის იმედებით ისტუმრებდა ციციანოვს საქართველოს საბოლოოდ დასაცხრობად და ბაგრატიონთა რუსეთში გადასასახლებლად, თვის საიდუმ-

ლო ინსტრუქციებში აღიარა, რომ «ქნორრინგმა ვერ გაამართლა იმედები და ვერ შეასრულა დავალება დედოფალთა და ბატონიშვილთა გადმოსახლების შესახებ»-ო.

კასაგებია, რომ ღენერალი ციციანოვი ყველაზე ადრე ამ ბაგრატიონთ ეძგერა და შეეცადა რუს ხელმწიფესათვის მართლაც გაეწაღდებინა მასზე დამყარებული იმედები.

*

დღიდან ღენ. ციციანოვის თბილისში ჩამოსვლისა იწყება მძაფრი და ტლანქი შეტევა ბაგრატიონთა წინააღმდეგ; ის სავსებით უმართლებს ღენ. ლაზარევს თვის მტკიცე და ურყეე შეტევათა გეგმებს ბაგრატიონთა წინააღმდეგ.

ღენ. ლაზარევი ბედნიერია, რომ ახალი მთავარმართებელი მას ისეთ განკარგულებებს აძლევს, რომლებიც საკუთარ გულის ნადებს უპასუხებდენ; ახალი მთავარმართებელი «გაუქმებულ» დედოფალთ და ბატონიშვილთა მიმართ, მადლობა ღმერთს! არავითარ «საპატივო და ფრთხილ» მოპყრობას აღარ ითხოვდა...

პირველი მაგარი იერიში, რასაკვირველია, ეხლა მემკვიდრეზე უნდა მიტანილიყო; გადასახლებას ეკლიან გზაზე სვლა მას უნდა დაეწყო... შემდეგ მას განგვირგვინებული დედოფლები და სხვა ბატონიშვილები უნდა მიჰყოლოდენ...

ღენ. ციციანოვის და ღენ. ლაზარევის შეთანხმება ამ «საქმეში» ფიცხლავ მოხდა: მათ იმდენად სასწრაფოდ და სულმოუთქმელად ჩაატარეს ბატონიშვილ დავითის და ვახტანგის გადასახლება (19 თებერვალს 1803 წ.), რომ ამათ ახლობლებთან გამოთხოვების საშუალებაც კი არ მიეცათ.

არავითარი პროტესტი ბატონიშვილებისა ციციანოვთან არ სჭრიდა... მაგრამ დავითი მაინც შეეცადა ისტორიული საბუთები მოეყვანა ბაგრატიონთა უძველეს დინასტიის უფლებებზე; ციციანოვი და რუსეთი ერთხელ მაინც უნდა ჩაფიქრებულიყვნენ, რომ 12-საუკუნოვან დინასტიის ასე უხეშად გადაჭრა და საქართველოდან მისი აღგვა ადვილი საქმე არ იყო... გადასახლებისას მემკვიდრე ციციანოვსა სწერდა:

«ბატონო ჩემო, აგერ 1233 წელია, რაც ჩვენი წინაპრები მობრძანდენ საქართველოში კეისარ იუსტინიანეს დროსა და

ეხლა ასეთი უსამართლობით ვიდევნებით ჩვენის საკუთარის მამულისაგან»-ო. (120). მაგრამ აქ ისტორიული საბუთები ვეღარ სჭრიდენ. ამჟამად მეტყველებდა ძალა ახალის დიდი იმპერიისა, რომელსაც დასუსტებულმა საქართველომ ასეთივე ძალა ვერ დაუპირდაპირა და ძველი დინასტია ამ დაჯასებას გადაჰყვა.



ღენ. კ. ფ. კნორრინგი

ღენ. ციციანოვმა კარგად იცოდა მემკვიდრე დავითის განდგომა რუსთაგან, იცოდა მისი ახლო მონაწილეობა 1802 წლის აჯანყებაში და კავშირი მარიამ დედოფალთან. ამიტომ ის მემკვიდრესთან არავითარ მოლაპარაკებას სასარგებლოდ არ სცნობდა; მან არც ბატონიშვილის ცნობების შემოწმება ისურვა...

თუმცა მემკვიდრემ მას შესჩივლა, რომ სნეულების გამო, ყოვლად შეუძლებელი იყო ზამთარში მისი რუსეთში გამგზავ-

რება, მაგრამ ღენ. ციციანოვს ამ «სნეულებისა» არა სჯეროდა. აკი დავითმა არა ერთხელ იხმარა ამგვარი «ხრიკი» და ბოლოს ვითომ დასასვენებლად წავიდა ბორჩალოში, სადაც მან ერთგული თათრობა დარაზმა და 1802 წ. აგვისტოს აჯანყება-ში მონაწილეობის მისაღებად მთებიდან დასძრა...

ყოველივე ეს შესაძლო იყო ღენ. კნორრინგის დროს, მაგრამ დღეს აქ ციციანოვი ბატონობდა, რომელსაც ასე ადვილად ველარავინ შეაცდენდა. ამის გამო ის თხოვნა, რაიც მემკვიდრემ მას ხელმწიფისადმი მისართმევად გადასცა, ციციანოვს არ გადაუგზავნია პეტერბურგში.

მამაც და სასტიკ ღენერალს, ციციანოვს ხელმწიფე-იმპერატორის ბრძანება ბაგრატიონთა გადასახლებისათვის ხომ ადრევე მიეღო და აბა, რა საჭირო იყო ხელმწიფის კვლავ შეწუხება? მის გაქვავებულ გულს არაფერს ეუბნებოდა ეს «სენტიმენტალური» და ელეგიური ჰანგები მემკვ. დავითისა, რომელიც პოეზიით იყო გატაცებული და ასე უყვარდა ოცნება სამშობლო მხარეზე, საცა ის ითხოვდა კვლავ დაეტოვებინათ საცხოვრებლად, რათა ესუნთქა ჩვეული ჰავა, «იმ წესით და რიგით, ვითარ ამით სარგებლობენ დანარჩენი კეთილშობილნი ამ ქვეყნისაო... ხოლო სიკვდილის შემდეგ შემძლებოდა ძვალნი ჩემნი დამეფლო იმ ადგილას, საცა განისვენებენ წინაპარნი ჩემნი»-ო.

არა, ციციანოვს ასეთი გრძნობები არც ესმოდა და არც სურდა მათი გაგება...

ბატონიშვილმაც ალბათ ეს იცოდა; ამიტომ იმავ წერილში მან სულ მცირედზე ჩამოიყვანა თვისი თხოვნა:

«რაკი ჩემი წერილის პასუხის დაცდის ნება აღარ მეძლევა, გთხოვთ იმდენი წყალობა მაინც მიყავით, რომ ამ საშინელ ყინვებში ნუ გამამგზავრებთ მძიმე ავადმყოფსო. გზაში ხომ უფრო ავად გავხდები და მოვკვდები კიდეც, და აქედან თქვენ რა ხეირი უნდა ნახოთ? დამეხმარე — მოვაწესრიგო ჩემი საქმენი, შემდეგ შევემზადები და მარტში ავდგები და გავსწევ, რაკი ჩემი გამგზავრება უცილო გამხდარა. მე მჯერა, რომ თქვენი ბრწყინვალება ჩემზე იზრუნვებთ და შეეცდებით იმ პატივით მომეპყრათ, რაიც შეჰფერის სამეფოს მემკვიდრეს და სჯულიერისა ტახტისა მმართველს, ამ ხუთი თვის განმავლობაში. და-

ცემულისადმი ასეთის ნუგეშის ცემით თქვენ ღვთის მოწყალებას დაიმსახურებთ»...

ასეთი ვედრების წერილი ტახტის მემკვიდრისა, წერილი, რომელშიაც ის მხოლოდ ერთი თვის ვადას ითხოვდა, ვიდრე ოდნავ ათბებოდა, ციციანოვმა უპასუხოდ დასტოვა და თვისი სასტიკი ბრძანება განიმეორა.

მცხეთიდან ბატონიშვილი კვლავ სწერდა მთავარმართებელს:

«რაკი თქვენი სურვილი იყო ჩვენი ასეთის სისწრაფით გამგზავრება, ეს ერთი თხოვნა მაინც შემისრულეთ: ჩემი მოძღვარი ნიკიფორე მინდა შიო მღვიმის მონასტრიდან თან წავიყვანო, რადგან ის განათლებული კაცია და კითხვით გზაში გამართობს და მანუგეშებს»-ო.

შემდეგი წერილი, რომელიც 19 თებერვლით დათარიღებულია და ორთავე ბატონიშვილთ ციციანოვისათვის დუშეთიდან მოუწერიათ, კიდევ უფრო გულსაკლავია და ამჟღავნებს იმ გაუგონარ ვერაგობას, რაც ციციანოვს პეტერბურგის იმედების გასამართლებლად ჩაუდენია.

ბატონიშვილნი ვახტანგ და დავით სწერენ:

— რაკი ჩვენი საქმე იმით დამთავრდა, რომ თქვენ ინებეთ ჩვენი ძალით შეპყრობა და გამოგზავნა, გთხოვთ სიკვდილისა და ქრისტეს რჯულისსათვის, შეიბრალეთ თავი ჩვენი და ნება დაგვრთეთ ცოტათი მაინც შევჩერდეთ დუშეთში, რათა დაგვეწიონ აქ ისინი, რომელნიც ჩვენთან ერთად უნდა წამოვიდენ; გვადროვეთ, რათა მოგვიტანონ ჩვენი ნივთები, რის წაღება ასე გვჭირდება და შემდეგ გაგვგზავნეთ. ეხლა ხომ თქვენს ხელში ვართ და აბა, რაღა ეჭვი უნდა გქონდესთ, თქვენ თავად მოგეხსენებათ — როგორ შეიძლება ამ პირობებში გამგზავრება? ეს ზამთრის ჰავა შეიძლება მომაკვდინებელი გახდეს ჩვენთვის. მოგვეცით ნება, ისე გავემგზავროთ, როგორც ეს აუცილებელია, გზაში საშინელ სიკვდილის გამო შეგვიბრალეთ, რადგან ჩვენც ქრისტიანები ვართ»... (121).

ღენ. ციციანოვის და რუსეთის «დიდ ლმობიერების» დასახასიათებლად ვიტყვით მხოლოდ, რომ ამ წერილის მიღების შემდეგ, სულ ორ კვირაში, მთავარმართებელი ციციანოვი მი-

ნისტრ კოჩუბეის საგანგებოდ ატყობინებდა ბატონიშვილთა გადასახლების აძბავს და იქვე დასძენდა.

«Теперь приемлю смелость просить милость Вашего вспоможения о ограничений ненасытных их притязаний». (იქვე, ნომერი 330).

როგორც ვხედავთ, ციციანოვს გული შესტკივა ამ სასტიკ ზამთარში უწყალოდ გაძევებულ ბატონიშვილთ თუნდ ის მცირე ულუფაც მიეცესთ, რაც მათ მთავრობამ უნდა განუკვეთოს გადასახლებაში... და ეს მაშინ, როცა ბატონიშვილთ ამდენი შამული და ქონება ჩამოართვა და რუსეთის ხაზინას მიაკუთვნა...

ღენ. ციციანოვი ამ საშინელ დევნის და სულ-მოუთქმელ გადასახლების ჩატარებას ღენერალ ლაზარევს ავალებდა. უკანასკნელს ისეთის სისწრაფით უნდა მოეხდინა ეს დაპატიმრება-გადასახლება, რომ რუსეთის მოძულეთ და ბატონიშვილთა ერთგულთ ეს ვერც კი გაეგოთ, რათა ხალხში მღელვარება არ გაძლიერებულიყო.

ღენ. ლაზარევმაც ზუსტად და ერთის დაკვრით მოახდინა ბაგრატიონთა პირველი შეპყრობა-გადასახლება ისე, რომ ციციანოვისა და პეტერბურგის დიდი მადლობა და წყალობანი მიიღო. ვერც დამსახურებულთა და წარჩინებულთა თხოვნამ და ვერც მათმა აღშფოთებამ ვერ გადაადებინეს ციციანოვ-ლაზარევს ამგვარი უხეშობა. ორიე დედოფლებიც ცალკე ეედრებოდენ, რამდენიმე კვირით კიდევ დაეცადათ, როცა ოდნავ მაინც ათბებოდა; მაგრამ ამგვარი გამოქომაგება კიდევ უფრო აჩქარებდა ციციანოვს, რომელიც ყველგან და ყველაფერში მხოლოდ შეთქმულებას ხედავდა დედოფლების და საქართველოს უფლების აღსადგენად.

ამ ველურ მოპყრობაზე სამეფო ოჯახისადმი დედოფალი დარეჯანი პროტესტით მიმართავს რუსეთის კარს და იმპერატრიცა მარიამს, ალექსანდრე I-ის მეუღლესა სწერს მთელს ამბავს; სწერს, რომ «18 თებერვალს, ღამით, სრულიად მოულოდნელად თავს დაესხა ციციანოვის მიერ გაგზავნილი ღენ. ლაზარევი ძლიერის რაზმით მემკვიდრე დავითს და ბატონიშვილ ვახტანგს; ორთავენი ლოგინიდან ისე სასწრაფოდ წამოაგდეს, რომ ჩაცმა-დახურვის საშუალებაც არ მიცეს და არ უსმინეს

თხოვნას, რათა დილამდე მაინც დაიცადონ, რომ დედოფალს და დედას გამოვეთხოვოთო; ხოლო ჩემ საკუთარ თხოვნაზე, რათა დრო მიეცათ, — ამ სასტიკ ზამთარში შორეულ გზისათვის ოდნავ მაინც შემზადებულიყვნენ, ყოვლად უზრდელი და მრისხანე პასუხი მივიღე: რომ მალე მეც ასე გადამაგზავნიდნენ». (122).

ამ გაუგონარ სიმკაცრის ამბები ელვის სისწრაფით მოედო მთელ ქართველობას. დედოფლები და ყოფილი სარდლები იდუმალ ბჭობაში იყვნენ. შიშსა და სასოწარკვეთილებას მისცემოდნენ... იცოდნენ რუსეთის ზრახვები და მათ ვერაგულ გამტარებელ ციციანოვ-ლაზარევის ურყევი გადაწყვეტილება დედოფალთა და ბატონიშვილთა აღმოსაფხვრელად. დავითის და ვახტანგის გზას მალე ესენიც უნდა გაჰყოლოდნენ... იწყებოდა მძიმე და ბნელი დრო საქართველოსათვის, დაყოვნება სიკვდილს უდრიდა... და ორთავე დედოფლებმა მემკვიდრე დავითის უმრწმესი ძმა თეიმურაზი აფრინეს ალექსანდრე ბატონიშვილთან სპარსეთში...

სწორედ ერთი კვირის შემდეგ, 26 თებერვალს გაიპარა ბატონიშვილი თეიმურაზი; ციციანოვს და ლაზარევს ამ მარცხმა უფრო დიდი შიში შეუქმნა და გადააწყვეტინა: დაუყოვნებლივ ჩაეტარებინათ განზრახული გადასახლება დედოფალთა და დანარჩენ ბატონიშვილთა.

ფ

გადასახლების ჯერი ეხლა დედოფ. მარიამზე მიდგა. ლაზარევი უკვე ზეიმობდა; მას არა მარტო პეტერბურგის დიდი წყალობა და ახალ მთავარმართებელის მადლობის დამსახურება ამოძრავებდა, არამედ უმთავრესად შურის ძიების ჟინი, რაიც მას ქართულ სამეფო ტახტისადმი და განსაკუთრებით, მარიამ დედოფლისადმი ასე უხვად ჰქონდა დაგუბებული. მადლობა ღმერთსს ღენ. ციციანოვის ჩამოსვლის შემდეგ «თავგასულობას, რასაც ბაგრატიონები დედოფალთა მეთაურობით იჩენდენ, ლაგამი ამოედო»-ვო, — ამბობდა ლაზარევი. ეხლა მისი მოქმედება სიმკაცრის ყოველგვარ ზომას სცილდებოდა. დედოფალს ციციანოვმა ჯერ ზრდილობიანად, მაგრამ უკვე უეჭვო და

შეურყეველის ნებით განუცხადა პეტერბურგში სასწრაფოდ გაძგზავრების განკარგულება.

გარეგნულად ეს უნდა ყოფილიყო «თავაზიანი მიპატიჟება» რუსულ სასახლის მიერ საქართველოს უკანასკნელ დედოფლისა; ნამდვილად კი, ეს იყო ჩვეული გადასახლების ერთი სახე.

დედოფალმა ეს ნამდვილი სახე «უმაღლეს მიპატიჟებისა» კარგად დაინახა და შეეცადა ახალ მთავარმართებელის გული როგორმე მოელბო, დაეცხრო და დრო მაინც მოეგო. ბოლოს და ბოლოს, ეს პეტერბურგის ღენერალი და მთავარმართებელი ხომ ქართველი კაცი იყო, ქართულის სისხლის და ხორცის მატარებელი, საქართველოს სამეფო კარზე მიღებულ ოჯახის შთამომავალი! ყველა ამასთან, ისიც ხომ იმავე გვარის კაცი იყო, ნათესავი და ახლობელი დედოფლის ოჯახისა! და თუ ეს კაცი, აქამდისინ საქართველოს დაშორებული და მხოლოდ უცხოეთიდან თვალყურის მადევნებელი იყო, ეხლა ის უტყუარ სურათებს გაეცნობოდა და დედოფლის თავგადასავალს ყურს ათხოვებდა და, რა თქმა უნდა, ამის შემდეგ მარიამის ხვედრის შემსუბუქებას შეეცდებოდა!

აი, ამ იმედით გაუწოდა ხელი დედოფალმა ციციანოვს და ცრემლით სავსე თხოვნით მიმართა მას. ჩვენ გვმართებს ამ თხოვნის გულდასმით გადაკითხვა...

«მებოძა იმისის დიდებულებისაგან, — სწერდა დედოფალი მარიამი ღენერალ ციციანოვს, — ჩემდამო მოულოდნელი წერილი, რომლისაცა ჰაზრი მიცხადებს ჩემსა შვილებიანათ როსიათ წასვლასა, სხუათა და სხუათა სარწმუნოებიანთა საქართუელოს მეზობელთა შფოთებისთვის.

«ამისათვის ესე არს მოხსენება ჩემი: როდესაც განსვენებულმა მეუღლემან ჩემმან ინება შევდრომა საფარველსა ქუჰშე რუსეთისა, მაშინ იყო ჰაზრი მისი — ჩემთვის და შვილთა ჩემთა ცხოვრებისათვის ამასვე მამულსა და ჰაერსა შინა და თუ სხუასა უცხოსა ქუჰყანასა შინა შესაძლებელ ყოფილიყო ცხოვრება ჩუჰნი, ჰქონდა დრო ყოველთვის და იქნებოდაცა უადრეს გარდაცვალებისა თვისისა.

თუ რომელთაგანი არს მიზეზი აღრეულებისა მიცემული, ჩემდა რა? ვგონებ ყოველი სული იყოს მოწამე ჩემსა ზედა სი-

მართლესა და ერთგულებასა ზედა რუსეთის სამხედროსა და განმგებლობისასა, რომელიცა ასე უცხო ვარ ყოველითურთ წინააღმდგომისა და სეიჭველისა ჰაზრისა. საქართველოსა, სხუათა და სხუათა სარწმუნოებიანთა მეზობელთაგან მტერობისა, აღოხრებისა და დატყვევებისა გამო. იქნა მოწოდება რუსეთის მხედრობისა და შესვლა საფარუჱლსა ქუჰშე იმპერატორისასა და თანა იმპერია ყოფა ქუჱყნისა ამის, რათამცა უძლეელითა მარჯუჰნითა მისითა ესე-ოდენთა მტერთაგან გამოხსნილ ვიყუჱნოთ, და ამისსა მოქმედთაგან ვითარ შეიძლების, რათა რწმუნება იგი ყოვლად მოწყალისა ხელმწიფისა, ჩვენზედა, დადებული, არა რწმუნებად შეიცჱალოს, თუ ითხოვა ვინმემ წასვლა თვისი როსიად, ესე სამართალ და ნება მთხოვნელისა არის, თორემ მე მრავალ-ჯერ მქონდა მიზეზი უბედურებისა, რომელსაცა შინა ჯერ იყო უბედურთა ჰაზრთა ჩემთა განკურნებისათვის თხოვნა წარსვლისა ჩემისა და უღონოებითა ჩემითა და შეუძლებელობითა სნეულებისათა და სიმცირითა შვილთა ჩემთათა ვიმყოფები ვერ მნებებელი წარსვლისა.

....«მიმიღეს პატივი სახლისა ჩემისა, მომტაცეს ნიშანი მეუღლისა ჩემისა, შეურაცხყვეს შვილნი ჩემნი, დამაკლეს საცხოვრებელი ჩემი, დააყენეს მამული შვილთა ჩემთა და სხვანიცა მრავალნი და ამაებისა საკურნებელად არა ვინებე, რათა წარვსდგე წინაშე იმპერატორისა და აწ სიკუდილისათვის ჩემისა და მცირეთა შვილთა ჩემთასა ვითარ შეიძლება წარსჱლა ჩემი, რომელიცა მყისვე აღწყვედა არს წვრილთა შვილთა ჩემთა და თავისა ჩემისა. გარდა რუსეთის მხედრობისა და მპყრობელობისა შეუძლებელ არს ცხოვრება .და სიცოცხლე ჩემი და შვილთა ჩემთა და ესე არს ნუგეში ყოველითურთ მწუხარებისა მდგომარეობისა ჩემისა, რათა საფარუჱლსა ქუჰშე ხელმწიფისასა ამას ქუჱყანასა შინა ვცხოვრებდე და ვიმყოფებოდე, რათა არა სხვამან ჰაერმან და ქუჱყანამან მყის სიკუდილსა მიმცეს მე და აგრეთვე წვრილნი შვილნიცა ჩემნი. ჩემდა სასიხარულოდ და სანუგეშოდ ესე არს ვინაიდან თქვენი ეგე ბრწყინვალება და უწარჩინებულესობა არს ჩემდამი ვითარცა ძმა და ვითარცა ერთს სისხლი ნათესავი, რომელიცა ღმერთმან და ბუნებამ შეკრა თქვენსა და ჩემ შორის განუწყვეტელი მონათესაობა, ამისათვის ვითხოვ, რათა ვითარცა ანუ კაცმან პუ-

ნებით ზიარმან შემიწყალო და წარმოიდგინო სიყრმე შვილთა ჩემთა და სიკუდილად მოწევნული გუამიცა ჩემი, ანუ შემიწყალო ვითარცა ღმერთმან ყოველითურთ უღონო ესე წარსვლისა რომელი ესე ეკკსიად მისვლისა ვერ შემძლებელი და დღესასწაულსა შინა თანამდები ეკლესიად მისვლისა, მყისვე სნეულ ვიქმნები ოთხ, ანუ ხუთ დღემდე; ანუ შემიწყალო ვითარცა ბრძენმან გამგებელმან შეუძლებლობისა ჩემისამან და სიყრმეთა და ძუძუს მწოვარობათა შვილთა ჩემთასა გამჩხრეკელმან, ვითხოვ, რათა სასიკუდილოსა და აღსაწყვედელთა სახლისა ჩემისასა ამათ აზრთაგან გამომიხსნა. **ესე არს დღე პატიოსნმსისა, რათა სახლი დამდაბლებული არა აღისპოს;** ვიცი ბედნიერებაცა მომავალი თავისა ჩემისა და კეთილ დღეობაცა ხელმწიფისგან განსაზღვრილი; მაგრა იყოს ღმერთი ყოველთა მხედველი მოწამედ, რომელ ერთსა ზედა ვერსსა წარსვლითა მყის სულ ბრძოლად და სიკუდილად მივიწევი და სნეულნი და მცირენი შვილნი ჩემნი ერთი-ერთსა სიკუდილსა მოუსწრობენ, და სიმდიდრე და ბედნიერება და კეთილ დღეობა იგი ჩვენთვის განზრახული ვინღა იხმაროს? **მე თუმცა აქა გლახაკი და ცხოვრებისაგან დაკლებული, მაგრა შეჩვეულსა შინა ბაერსა დღითი დღე განვაგრძელებ რა სიცოცხლესა ჩემსა, ესე მეყოფის ნუგეშად სიმდიდრესა და სამადლობელად ყოვლად უმოწყალესისა ხელმწიფისა, რათა მეცა ღირს ვიქმნე საფლავსა თანა მეუღლისა ჩემისასა დაფლვად, რომელიცა მან ადრევე გამიმზადა და აგრეთვე შვილთა ჩემთა.** ესეცა ქვეყანა თანა იმპერია არს რუსეთისა და თანა სახელმწიფო ყოველად მოწყალისა იმპერატორისა, უკეთუ ნებავს, აქაცა შემძლებელ არის, რათა მოწყალებით მომხედოს მეცა და შვილთაცა ჩემთა, და უკეთუ არა ინებებს აქა მოწყალებასა, იყავნ ნება ხელმწიფისა, — ოღონდ ნუ მიმეღების სიცოცხლე ყოველთა მხედველისა ღუთისაგან მოცემული. ვითხოვ, რათა თვით თქვენ მექმნეთ პატრონ, შემწედ და გამომხსნელ შეუძლებელისა ამის საქმისაგან, რათა საუკუნოდ რაოდენ ღმერთსა, ეგოდენ თქვენსა ბრწყინვალებასა ვმადლობდეთ». (123).

ეს დოკუმენტი თვისის ურყეველის სიმტკიცით და თვისის სიდარბაისლით მართლაც დიდ საგონებელში ჩააგდებდა ღენერალ ციციანოვს. ან რა პასუხი უნდა გაეცა დედოფლის მიერ

აშკარად წამოყენებულ ბრალდებებზე ციციანოვს? განა გამგმირავი მახვილი არ იყო რუსეთისათვის დედოფალის სიტყვები? «მიმიღეს პატივი სახლისა ჩემისა, მოშტაცეს ნიშანნი მეუღლისა ჩემისა, შეურაცყვეს შვილნი ჩემნი, დამაკლეს საცხოვრებელი ჩემი» და მრავალი «სასიქადულო» საქმენი, რაიც ჩაიდინა იმ იმპერიამ, რომელიც საქართველოს მეფემ მხსნელად და მფარველად მოიპატიჟა მოზღვაებული მაჰმადიან მტერთაგან დასაცავადო? რა პასუხი უნდა გაეცა მთავარმართებელს, იმპერიის სახელით რომ ელაპარაკებოდა პატარა, მაგრამ ცაზდე ალალ საქართველოსათვის? ეს ქვეყანა, მისი წინაპრების სამშობლო, ხომ უკანასკნელ დედოფლის სახით ამ ვალდებულებას მოაგონებდა და ეტყოდა: «საქართველოსა სხუათა და სხუათა სარწმუნოებიანთა მეზობელთაგან მტერობისა, აღოხრებისა და დატყვებისა გამო იქმნა მოწოდება რუსეთის მხედრობისა და შესვლა საფარველსა ქვეშე»... და აი, მარტივად და ნათლად აღნიშნული ვალდებულებანი რუსეთისა რითი შეუცვალეს ერს და მის დედოფალს? მის საკუთარ სახლიდან, მის მიწა-წყლიდან ძალად ასახლებენ და ახლობელთ და ქვეშევრდომთ სამუდამოდ აშორებენ. და ამის საბუთად ციციანოვმა სხვა ვერა მოუყვანა რა დედოფალს — თუ არა აღთქმა იმ «დიდთა წყალობათა», რაიც იმპერატორს პეტერბურგში უნდა დაეხვედრებინა «მიპატიჟებულ» დედოფლისათვის. მაგრამ ჩვენ ვნახეთ, თუ რა სიმაღლიდან დაჰყურებდა დედოფალი თვის გადაგვარებულ ნათესავს...

«მე თუმცა აქა ეხლა გლახაკი და ცხოვრებისაგან დაკლებული... დღითი დღე განვაგრძელებ და სიცოცხლესა ჩემსა ესე მეყოფის ნუგეშად... რათა მე ჩემს ქვეყანაში მეღირსოს საფლავისა თანა მეუღლისა ჩემისა დამფლონო».

და ამავე დროს ციციანოვის გულის მოსაკლავად ასე მოსწრებულად მოუჭრის დედოფალი: თუ ასეთი მწყალობელია თქვენი ხელმწიფე, რა უშლის ამ შეწევათა გარდმოფრქვევას, განა აქ კი ვერ მოგვიწევს მისი «მადლი»-ო? «უკეთუ ნებავს — აქაცა შეძლებულ არს, რათა მოწყალებით მომხედოს მეცა და

შვილთაცა ჩემდა, და უკეთუ არა ინებებს აქა მოწყალებასა, იყვნენ ნება ხელმწიფისა!!!»

ამ «მწყალობელ» ხელმწიფისაგან, — ეუბნება დედოფალი, — მე არას ვითხოვ, ოღონდ ჩემს ქვეყანას ძალად ნუ მოაშორებსო; დე, დავშთე უსახსროდ და გლახაკად — ოღონდ ჩემს ხალხთან და ჩემს ქვეყანაში დავლიო დღენიო».

მარიამმა ეს თხოვნა ამავე საბუთებით და «ქარაგმულად ჩახლართულ» საყვედურებით თვით ხელმწიფესაც მიართვა, — დაახლოებით ერთი წლის შემდეგ, რა დაინახა, რომ ციციანოვის გული ამ ისტორიულმა უსამართლობამ ვერ შეარყია და გადაწყვეტილება ვერ შეაცვლევინა. 2 თებერვალს 1803 წ, დედოფალი იმპერატორს სწერდა და აგონებდა, რომ დიდ იმპერიის სუვერენს არ შეჰფერის გუშინდელ დაპირებათა და აღთქმათა ასე ერთის ხელის მოსმით წაშლაო. გუშინ ხომ ორღენები მაახლეთ თქვენის ელჩის ხელით, თან დართული ღრამოტებითო... «მე მაქვს, — სწერდა დედოფალი მარიამი ამ თხოვნაში, — «წყალობის ღრამოტა» თქვენს მიერ 1801 წლისა, ბოძებული, მასზე დამყარებული **დამშვიდებით ვიყავი და თქვენ მიერ აღთქმულ მფარველობას ველოდი**... მაგრამ მოულოდნელად ეხლა უსურვებია თქვენს აღმატებულებას მომმართოს წერილითა, რათა მე ჩემის შვილებითურთ თქვენს წინაშე წარმოვსდგე»... — და დედოფალი, რომელსაც საჭიროდაც არ ცნიაჩნია შეჩერდეს დაპირებულ წყალობებზე, რუსეთში რომ მოელის მას და მის შვილებს, ამ დიპლომატიურ ფანდებს გვერდს უვლის და პირდაპირ სწერს: «მე ვიცი, რომ შიში **გაქვთ ჩემი აქ დარჩენისა** და მოხდა დაგარწმუნოთ, რომ არც მე და არც ჩემი შვილები არ ვეძიებთ საქართველოს დაკარგულ ტახტსა. მე მხოლოდ გთხოვთ: ჩემის მეფის და მეუღლის უკანასკნელი სურვილი შესრულებულ იქმნას; სურვილი, რომ მე და შვილთა ჩემთა გვეცხოვრებოდეს ჩვენს ქვეყანაში, რათა გვესუნთქოს ჩვენის ჰავით, გვესვას ჩვენი წყალი და ბოლოს მამა-პაპათა საფლავებ გვერდით დაფლულ ვყოფილიყოთ»-ო.

სხვა წყალობას დედოფალი არც მოელოდა და არც ითხოვდა იმპერატორისაგან. მაგრამ იმპერიის «მაღალი» პოლიტიკა ამ «სანტიმენტალურ» თხოვნის საბუთებით არ გადაისინ-

ჯებოდა; მას თვისი შინაგანი კანონი და გზა ჰქონდა, რის გადახვევა სასურველად მიჩნეული არ იყო.

ბაგრატიონები საქართველოს მზის ჩასვენებასთან ერთად უნდა გამქრალიყვნენ, ხოლო პირველ რიგში კი ეს ქედ-მაღალი და უტეხი დედოფალი... ციციანოვს საამისოდ ზოგადი, მაგრად მტკიცე ინსტრუქციები მოსდიოდა*) და ისიც მარტო აქეთ-ქენ აპყრობდა გულის ყურს და არა დედოფლის დაჟინებით «უფლებებისა და პატივისაკენ», რომლებიც სინამდვილეში მისთვის უკვე აღარ არსებობდენ. ამის საბუთს მას ღენ. ლაზარევი და მისი ამალა ყოველ დღე აწვდიდენ იმ მოურიდებელ გაქელვით და დამცირებით, რასაც ისინი სამეფო ოჯახის წევრთ აყენებდენ...

მაგრამ ღენ. ციციანოვი არა მარტო ტლანქი და ურყევი იყო, არამედ ამავე დროს ჭკვიანი და მზაკვრული: მან იცოდა, რომ ბაგრატიონებთან ეხლა მარტო ძალა არა სჭრიდა; საჭირო იყო მათთვის საარსებო სახსარი წაერთმია, მატერიალური ნიადაგი მოეშალა, რომ ამ გზით უილაჯოდ ქცეულთათვის, უბინაოდ და ულუკმაპუროდ დაშთენილთათვის პეტერბურგში დათქმულ სიმდიდრეს და ფუფუნებას თავისი გაეტანა... ამნაირად, «ჯიუტ» დედოფლის ზვიადობა უნდა გატეხილიყო და გადასახლებას ის ნებით უნდა დაჰყოლოდა. ღენ. ციციანოვმა ეხლა ღენ. ლაზარევთან ერთად სხვებიც მიიხმარა, რომელთაც დედოფლის და მის შვილთა ქონება უკლებლივ აღწერეს და რუსეთის სახელმწიფო საკუთრებად აღიარეს...

მაგრამ არც ამ უსამართლობამ და ახალმა დევნამ შეაცვლევინა დედოფალს თვისი შეხედულება პეტერბურგის «წყალობაზე»; ამ პირობებშიაც ის მაინც თვის ქვეყანაში რჩება და დაკარგულ უფლებათა აღდგენისათვის იბრძვის.

---

*) იმპერატორის ინსტრუქცია გარკვევით ავალებდა მთავარ მართებელს, რომ

«...До половины апреля 1802 года должны быть отправлены неотложено...»

აქვე ჩამოთვლილია სამეფო სახლის მთავარ წევრთა სია და ამ სიის სათავეში მოხსენებულ არიან დარეჯან და მარიამ დედოფლები. (124).

დედოფალი ითხოვს პასუხს — თუ რა უფლებით წაართვეს მას და მის შვილთ მამა-პაპათაგან ნაადერძევი და მეფის მიერ ბოძებული მამულები?! განა ამგვარი რამ იყო ნაგულისხმევი გიორგი მეფის «თხოვნითი პუნქტებში»? განა ეს ჰქონდათ აღთქმული იმპერატორის მანიფესტში და მარიამ დედოფლისადმი კერძოდ ბოძებულ წყალობის სიგელში?

მაგრამ ღენ. ციციანოვს ხელთ სულ სხვა, «საიდუმლო» საბუთები ჰქონდა, რასაც უმაღლესი იმპერიის ინტერესები ერქვა. ამიტომ ის უხეშად უპასუხებდა «განგვირგვინებელ» დედოფალს: რა გაწუხებთ, აკი ბევრად უფრო მეტი და უკეთესი მამულები მოგეცემათ რუსეთში და ამისათვის გირჩევნიათ საჩქაროდ იქეთ წახვიდეთო. 27 თებერვალს 1803 წ. ღენ. ციციანოვი სწერდა დედოფალს:

«მივიღე რა თქვენი პატივცემული წერილი, მოვალედ ვრაცხ ჩემს თავს გაუწყოთ ნება მისი იმპერ. უმაღლესობისა: ყველა ის შემოსავალნი და სარგებლობანი, რასაც აქ იღებდით თქვენი მამულებისაგან, რუსეთშიაც გექნებათ და არა ამ რაოდენობითა, არამედ უფრო მეტიც; და ამის გამო, თქვენ აღმატებულებას არა აქვს არავითარი უფლება მოახდინოს რაიმე განკარგულება... იმ უძრავ ქონების შესახებ, რასაც აქ დღემდე ფლობდითო». (125).

მაგრამ დედოფალი თავის ძველ უფლებებს ასე ადვილად, რა თქმა უნდა, არ დასთმობდა და ვერც ქონების ჩაბარებამ შეაცდენინა ურყევი გადაწყვეტილება, — გადაწყვეტილება, მიმართული დიდ პოლიტიკურ აქტის მოსახდენად.

ე

ღენერალი პაველ ციციანოვი ხედავდა, რომ დედოფალი მარიამ რაღაც იდუმალ სამზადისში იყო: რომ მის კართან ახლო მყოფნი უცნაურ მითქმა-მოთქმაში იყვნენ; ეტყობოდა, დედოფალი ახალ გზას ირჩევდა: დროს მოსაგებად და მოქნეულ ხრმალის ასაცდენად. ჰკვიან და ვერაგ ციციანოვს ეს სამზადისი და ხიფათის მოახლოება არც ერთის წუთით მხედველობიდან არ გამოუშვია (126). ამიტომ მან დედოფლის გამგზავრება მეტად დააჩქარა და მისდამი მოპყრობაში ყოველგვარი ეტიკეტი და კდემამოსილება ერთბაშად უკუ ავდო.

3 მარტს ღვნ. ციციანოვი დედოფალ მარიამს უკვე თავ-შეუკავებელის ნერვიულობით სწერდა:

«აკი მოგახსენეთ, რომ თქვენ რუსეთში მიიღებთ არა მარტო შემოსავალს, რასაც აქ იღებთ, არამედ, თანახმად ხელმწიფე იმპერატორის მწყალობელ მზრუნველობისა, თქვენის კეთილ დღეობისათვის გაჩნებათ ბევრად უკეთესი და უდიდესი შემოსავალი... ამიტომ, — განაგრძნობს მთავარმართებელი ციციანოვი, — ვინაიდან თქვენი აღმატებულების რუსეთში წაბრძანება, თანახმად ხელმწიფე იმპერატორის მიპატიჟებისა, არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება გადადებული იქმნას, უნდა სასწრაფოდ გაემგზავროთ»-ო, ღა სწერა.



ღვნ. ი. ბ. ციციანოვი

დედოფალ მარიამის თბილისში, ან საერთოდ საქართველოში ღვთაებრივ ცხოვრებას სახიფათო ხდებოდა. ქარაგმულების არა მარტო მიმზიდველ ნაწილი, არამედ უბრალო მოქალაქენი და

გლეხებიც ხედავდენ, თუ რა რიგად მოსტყუვდენ სამეფო კარი და ქვეყანა.

და აი, ასეთ მძიმე დროს საქართველოში თუ მეფე აღარაა, დედოფალი ხომ კიდევ თბილისშია და და ბაგრატიონთა ძველ სასახლეში იმყოფება, სადაც გარდასულ მეფეთა სული ბუდობდა და მათი ფიქრები ტრიალებდა...

და ნელ-ნელა იბმებოდა ქსელი ამ სახლისა და საქართველოს სხვა და სხვა კუთხეთა შორის: განსაკუთრებით მთას არ შეუძლია შეურიგდეს ერეკლეს სახლის ასეთ დამდაბლებას... და მთას კვლავ დაეუფლა ამგვარი ფიქრები და იმედი: «დედოფალი უნდა ტყვეობიდან ვიხსნათ, ჩვენთან წავიყვანოთ და იქ ტახტზე დავაბრძანოთ! დარიალი ხელ-ახლა უნდა ჩავკეტოთ, ხოლო შიგ დაშთენილ რუსთ უნდა მამა-პაპურად გავუსწორდეთ»-ო; ასე მარტივად და სადად ჰფიქრობდენ მთა და მისი ძველი გმირები. და ერეკლეს ბრძოლებში ნაკურთხ ხმალს ხელახლა ღებულენ. მაგრამ ჩუმად და მოხერხებით, რათა გამდგარმა ციციანოვმა იქვე არ აიღოს და გეგმები არ ჩაუშალოს!..

დედოფალ მარიამს ხელ-ახლა იმედის ფრთები ესხმება; ის ცდილა მოხერხებით ციციანოვის დაყვავებას და კვლავ დროის მოსაგებად: ხან ავადმყოფობას იგონებს, ხან წვრილ შვილთა შეცოდებით ცდილა მთავარმართებლის გულის მოლბობას და ხან სხვა ხერხსაც მიმართავს; ამავე დროს კი თვისი სიძის, ასლან ორბელიანის მეოხებით კავშირს იჭერს ხევსურეთთან და და საერთოდ თავდადებულ მამულიშვილებთან, რომელნიც ბაგრატიონთა სახელს ჯერ კიდევ ერთგულად ემსახურებოდენ.

როგორც ვნახეთ, დედოფალი დიპლომატიური და მაღალ სტილით დამძიმებულ მოხსენებებით ცდილობდა ციციანოვის «შეჩვევას» და ამავე დროს საიდუმლოდ თვითონვე ხელმძღვანელობდა შეთქმულობას; ამ შემთხვევაში მისთვის ყველაზე ძვირფასი იყო საქმის გახანგრძლივება. მაგრამ «მეთვალე» კალატოზოვის*) მეშვეობით ციციანოვი დედოფლის ყოველგვარ ცდების ნამდვილ მიზეზებს კარგად იცნობდა. დაყოვნება აღარ შეიძლებოდა. მთავარმართებელი ბრაზს ვეღარ იკავებდა და

*) დედოფლის კართან დაახლოებული სომეხი კალატოზოვი, ციციანოვმა აგენტად აიყვანა. (127).

მისი ბრძანებები და ლაზარევის განკარგულებები ესლა აშკარად ყოველგვარ საზღვრებს სცილდებოდნენ; მაგრამ მეფემ უტეხი მთა მაინც ჰფიქრობდა, რომ ციციანოვის რკალის გარღვევა კიდევ შეიძლებოდა.

მაგრამ განგებას ალბათ ასე არ სურდა; თითქო ვიღაცას ხელა დახუთა და ძველი ნაცადი რაინდები სდუმდენ; თითქოს რაღაცას უცდიდენ. ერეკლეს შვილის შვილი, ისტორიკოსი პუპლია, სარდალ ასლანზე ამბობს:

«ამან მოინდომა თავის ცოლის დაი დედოფალი მარიამი — ხევსურეთში, მთაში შეეყვანოს და იქედან საქართველოში არეულობა მოახდინოს», მაგრამ მეთუალე იოსებ კალატოზიშვილმა ეს ამბავი აცნობა კნიაზ ციციანოვს, ასლან დააპერინა და დედოფალი რუსეთში გაისტუმრა... «არ ვიცით, რამ დაგვაბრმავა»-ო, — მეტყოდა ბევრჯერ ასლან, — ისე რად შევიკარით, რომ ვეღარაფრისთანას ვეღარ ვხედავდით»-ო. (128).

მემკვიდრეობით სარდალს და სარდლობის ყველა ტრადიციებს ნაზიარევ, ასლან ორბელიანს, აქაც რომ ჭეშმარიტი სარდლობა გამოეჩინა: — დედოფალი მარიამი ფშავ-ხევსურეთში გადაეყვანა; იქ მისი სახელით აჯანყების დროშა აეფრიალებინა, — მას დაუყოვნებლივ უთუოდ გამოეხმაურებოდენ მოხევეები. არაგველები, ოსები, გუდამაყრელები და მთელი მთაც ყველა ესენი დედოფალს გვერდში ამოუდგებოდენ და ის ამბები, რაც ერთი წლის შემდეგ მოხდა (მთიულეთის ამბოხება!), უფრო ადრე და უფრო მეტის ერთსულოვნებით იფეთქებდა, და გაბრიელ ყაზბეგის ერთგულება რუსებს ვეღარას არგებდა.

არ შეიძლება ითქვას, რომ დედოფლის შეთქმულება ნაჩქარევად მომზადებული და სასოწარკვეთილებით ნაკარნახევი იყო. წინააღმდეგ, ყველაფერი წინასწარ ათასჯერ გაზომილი და თითქოს გამორკვეული იყო; დიდის ხნით სწარმოებდა ფრთხილი მიწერმოწერა და რჩეულების გაგზავნ-გამოგზავნა მთაში. მოურავი ჩოლოყაშვილი დედოფალს და ბატონიშვილ ბაგრატს ყოველ მხრივ აიმედებდა.

ერთგული ხევსურეთი ფიცსა სდებდა, რომ მისს დედას, საქართველოს დედოფალს, ფშავ-ხევსურეთი ურყევ ჯებირად შემოერტყმოდა, ოღონდ სარდალ ასლან ორბელიანს ციციანოვის კლანჭებიდან დედოფალი უვნებლად გამოეტაცნა.

ამრიგად, დედოფლის სასახლე შეთქმულების ცენტრად გადაიქცა და იქ სარდალთან ერთად მრავალნი სდებდენ ფიცს ის საიდუმლოების შენახვისა და მისთვის თავდადებისათვის*); აქ იყვნენ მთავარ დიაკვანი ეგნატე, ქაიხოსრო სავანელი, ზურაბ ევანგულოვი, იოანე ალექსიშვილი, ნიკო ხიმშიაშვილი, ანდუყაფარ მახსუროვი, ქაიხოსრო გამყრელიძე და სხვანი. ამათ გარდა სამზადისს ეწეოდენ გიორგი მეფის შვილები და დედოფალ მარიამის ახლო ნათესავნი; და არა მარტო ეს: დედოფალმა მარიამმა და მისმა მოხუცმა, დარბაისელმა დედამ, ელენემ, (რომელთაც ალბათ ღენერალ ციციანოვის ზვერვა არ გამოპარვიათ) სხვაფრივაც დაიჭირეს თავდარიგი: თუ ვინიცობაა ქალაქის კარებიდან დროზე შეუმჩნეველად გასვლას ვერ მოახერხებენ და ციციანოვი დედოფლის რუსეთისაკენ გამგზავრებას მაინც მოასწრებდა, კავკასიის უღელტეხილზე რუსის ჯარს თაგაურელნი უნდა თავს დასხმოდენ — მისთვის გზა შეეკრათ და დედოფალი ბრძოლით გაეტაცნათ. დედოფალმა და მისმა დედამ ამ საქმისათვის არა დაზოგეს რა და თაგაურელებს უხვი საჩუქრები მისდიოდათ... (129).

თითქოს თავიდანვე ყველაფერი გათვალისწინებული იყო. და ბატონიშვილთა წრეში დავითის და ვახტანგის რუსეთს გადასახლების შემდეგ, მხოლოდ აღფრთოვანებას თუ გამოიწვევდა დედოფლის გაბედული ნაბიჯი, თორემ რაიმე წინააღმდეგობის გაწევაზე ხომ ლაპარაკიც არ შეიძლებოდა. ასევე უნდა ეფიქრა ალბათ დარეჯან დედოფალსაც.

ნელ-ნელა ყველაფერი ეწყობოდა და თუ ამ შეთქმულებას რამე აკლდა, ეს იყო მეტის-მეტი «აუჩქარებლობა», გადაჭარბებული სიფრთხილე. იმდენ ხანს გზავნეს აქეთ-იქეთ შუა კაცნი, ვიდრე ციციანოვის მიერ მოსყიდულთა ყურამდე არ მიაღწიეს ამ ამბებმა და ვიდრე დაწვრილებითი გეგმა გაქცევისა მის ხელთ არ მოხვდა. ციციანოვს ჯერ კიდევ საკმაო ჯარი ჰყავდა, რომ ქალაქის კარები მაგრად გაეკრა, თაგაურელთა სამზადისი ძირშივე უვნებელ ეყო და სასახლისათვის მტკიცე ალყა შემოერტყა.

---

*) «აქტ»-ებმა მხოლოდ ზოგიერთის ვინაობა შემოგვინახეს შეთქმულთა წევრებისა.

ხანგრძლივ მზადებათა შემდეგ, დედოფალი გულის ძგერით ელოდებოდა დანიშნულ დღეს; თუშ-ფშავ-ხევსურეთი ჩუმად ირაზმებოდა და 19 აპრილისათვის 1803 წლ. დედოფალს და მის ახლობელთ, მის ძეს ბაგრატს და ასულს თამარს მთაში ელოდა. იქ თითქოს ხელ-ახლა უნდა კურთხეულიყო დედოფალი მარიამი...

ერთი დღით ადრე ციციანოვი ატყობინებდა საიდუმლოდ ლაზარევს — ყველა ეგ ამბები და მზადება მე უკვე ვიცი და გავალებ: დროზე აღკვეთო ეს მოსალოდნელი ხიფათი და სირცხვილი დიდი იმპერიისათვისო:

«თანახმად ჩემდამი მოწვდენილ ცნობათა, თვით იმ პირთაგან, რომელნიც შეთქმულებაში არიან, დედოფალი მარიამი მთელის მისი ოჯახით, და მასთან ბატონიშვილი ბაგრატ გიორგის ძე ლამობენ თბილისიდან გაპარვას, რისთვისაც საჭირო სამზადისი უკვე მომხდარა და რათა შუაგულ თბილისიდან ასეთი გაქცევა და რუსთა ჯარების შერცხვენა აცდენილ იქმნას, ვანდობთ თქვენს აღმატებულებას: წაასხათ ესენი თქვენის მეთვალყურეობით მოზდოკამდე იმავე წესით, როგორითაც თქვენ სახელოვნად წარგზავნეთ აქედან ბატონიშვილნი ვახტანგ და დავითი» (130). ლაზარევი ჩვეულის სიმამაცით და ერთგულებით შეუდგა ამ ბრძანების ფიცხლავ გატარებას.

«კნორრინგ-კოვალენსკების დრო გათავდა; საქართველოს და მის ბაგრატიონებთ თავს გაუვიდათ და მადლობა ღმერთს, რომ ციციანოვმა პეტერბურგს ამ ხალხის ვერაგობა დაანახვა და მოღალატეთ შესაფერ-ს სასჯელით უხდის»...

ასე ფიქრობდა ღენერალი ლაზარევი, როცა ბრძანების შესასრულებლად, 19 აპრილს 1803 წ., რუს ჯარისკაცთა და ოფიცერთა თანხლებით განთიადისას დედოფლის სასახლეს ალყის შემოსარტყამად მიუახლოვდა; მაგრამ იმაში კი კარგად ვერ ერკვეოდა — ვითომ რა «ღალატი» ჩაედინა ამ დედოფალს, რა იყო ნამდვილად მისი დანაშაული?

ძიებების მანძილზე ფრიად გათამამებულ ლაზარევს ამ საკითხებში «გაღრმავება» არ სჭიროდა და არც ესიამოვნებოდა...

ან რაში ეჭირვებოდა ეს, როცა უბეში დიდებულ ციციანოვის «მონდობილობა» ედო და გვერდით შეიარაღებულ ჯარისკაცების რაზმი მიჰყვებოდა.

მაგრამ წინდახედულმა ღენერალმა ყველაფერი მაინც ვერ გაითვალისწინა და იმპერატორის წყალობის იმედი საფლავში ჩაიტანა. კიდევ ერთი რამ წაიღო თან ლაზარევის განგმირულმა მკერდმა — ეს იყო დედოფალ მარიამისადმი შურისძიების წადილი და ქართველი ქალისადმი დიდი სიძულვილი... ამაყ დედოფალის მკერდს ციციანოვ-ლაზარევმა ფეხი დაადგეს, და თან ისე უხეშად, რომ ამის ჩუმად ატანა საკუთარ ერის თვალში დაამცირებდა სამეფოს დროშის უკანასკნელ რწმუნებულის და მატარებელის, მარიამ დედოფალის, სახელს; და ღრმა მორწმუნე სასოებით და სათნოებით სავსე დედოფალმა თვისი კეთილდღეობა და ოჯახი გასწირა, რათა ღირსება დედოფლისა გადაერჩინა...

და მარიამმა მოჰკლა ღენერალი ლაზარევი.

როგორც სხვა ადგილასაც გვქონდა აღნიშნული, ეს მკვლელობა ფსიქოლოგიურად ზედ მიწევნით შეემზადებინა თვითონ ღენ. ლაზარევს... დედოფალი ამ აუცილებლობის ბრჭყალებში მოექცა სასტიკ დევნათა მანძილზე. ისტორიკოსი დუბროვინი ამ ფსიქოლოგიურ «შემზადებაზე» სწერს:

«დედოფლის ბუნებაში დიდი ხნით დაგროვილმა ბრაზმა თავი ვეღარ შეიკავა და სტიქიურად იფეთქა. სადისტურად და ცინიზმით სავსე დასტრიალებდა თავზე მას ლაზარევი და ყორანივით დასჩხაოდა დედოფალს ეს სამხედრო დიქტატორი საქართველოს სახელმწიფოსი"...

ღენ. ტუჩკოვი თვითონ სწერსო, — გადმოგვცემს დუბროვინი — რომ დედოფალ მარიამს ჰქონდა მიზეზი პირადად აღშფოთებული ყოფილიყო ლაზარევის წინააღმდეგ იმ შეურაცყოფათა გამო, დედოფალს რომ მიაყენა ლაზარევმა ყოველ საქმეში და ყველა შემთხვევაში, რაიც კი მაშინდელ დროში ხდებოდა. დედოფალი ხშირად შესჩივლებდა ხოლმე ლაზარევ-

ზე თვითონ ციციანოვს, მაგრამ მისგან ვერავითარ დაკმაყოფილებას ვერ იღებდაო. (131).

•

ღენერალ ლაზარევის მოკვლის ამბავი მრავალნაირადაა სხვა და სხვა წყაროებში მოთხრობილი, ზოგან ზედმიწევნით, ზოგან — გაკვრით და ზოგან იმ სახითაც, თითქოს დედოფალი აქ არაფერ შუაში ყოფილიყოს.

აქ აღსანიშნავია, რომ მრავალმა, ვისაც საქმის ნამდვილი ვითარება კარგად უნდა სცოდნოდა, დედოფლის ერთგულებისათვის, სიკვდილამდე მტკიცედ შეინახა ეს „საიდუმლოება“ და შეეცადა დედოფლის ამ ისტორიულ აქტისათვის მზრუნველობითი ფარდა ჩამოეფარებინა, რათა საქართველოს უკანასკნელი დედოფალი „მკვლელის“ სახელით არ შესულიყო ჩვენს მატიანეში.

ასეთი მზრუნველობა იმით იყო ნაკარნახევი, რომ დაგვიანებით მაინც რუსეთის კარისაგან პატივება და წყალობა გამოეთხოვათ გადასახლებაში „უმიზეზოდ“ მყოფ მოხუცებულ დედოფლისათვის.

ამ მხრივ საინტერესოა ცნობა ბატონიშვილ დავითისა, რომელიც გვაუწყებს:

„... წელსა 1803, აპრილის 18 ღამესა (ციციანოვმა) შეუსია მხედრობაი ღენ. მაიორის ლაზარევითურთ დედოფალს, ციციშვილის ასულს, მეუღლესა მეფე გიორგისასა, შესმენითა სომეხის ზურაბ აფრიამაშვილისათა, რომელთაცა შესმინეს ციციშვილს, ვითარმედ დედოფალი იპარებისო ფშავშიო, რომელიცა **ყოვლადვე უბრალო იყო დედოფალი მარიამ**, რათა იძულებით წარგზავნოს იგი რუსეთს; იქმნა მუნ შფოთი, სადაცა რუსთა დაჰკოდეს დედოფალი ფრიად მხარსა და ხელსა შინა ხმლითა; და ამ შფოთისა შინა მოჰკლეს ღენ. ლაზარევიც ხანჯლითა, **რომლისა არა სად ცხად იქმნა მომკველი მისი** და დედოფალი, დაკოდილი ბრალეულ ჰყვეს რეცა მან მოჰკლა იგი, და შვილებითურთ თვისით, რომელნიცა იყვნენ მას ქამს ფრიად წვრილმანი ასაკითა, წაიყვანეს როსიად, რომლისა ჰვრეტ» მშვერეტელთათვის იყო საზარო». (132).

როგორც ვხედავთ, ბატონიშვილი დავითი განსაკუთრებულ

სიფრთხილეს და მზრუნველობას იჩენს პატივცემულ დედოფლისადმი და არა თუ მკვლელობის საქმეში გამოჰყავს ის „უბრალოდ“, არამედ თვით დედოფლის განზრახვასაც კი — შვილებით და ერთგულ მხლებლებით ხევსურეთში გახიზვნის შესახებ, — კითხვის ქვეშ აყენებს. ამ გარემოებას უნდა მიეწეროს, რომ დედოფლის ხანგრძლივ გადასახლების მანძილზე ბატონიშვილები და წარჩინებულნი დაახლოებით ამავე ვერსიას იძეორებდენ და მარიამის განთავისუფლებისთვის გულმოდგინედ იღწვოდენ.

ფრანგ მოგზაურის როტიერის ერთის ცნობით თავიდანვე ბევრჯერ სხვებსაც უსარგებლია; განსაკუთრებით, ევროპიელ მწერალთ, რომელთაც, თუმცა ძუნწად, მაგრამ მაინც ჰქონიათ წვდილი საქართველოს ისტორიიდან ესა თუ ის საგმირო და ნახევრად რომანტიული ეპიზოდები მკითხველისათვის მიეწოდებინათ. და თუ ევროპიელ მწერალს მართლაც სურდა ქართველი ქალის ბრწყინვალე და რაინდულ პატრიოტიზმით გაშუქებულ ამბავთა გამოტანა, მისთვის მარიამის მიერ ჩადენილი აქტი ყველაზე უფრო მკვეთრი და მომხიბლავი ეპიზოდი უნდა ყოფილიყო. მოვიტანოთ ეს ცნობა:

«... ამ ტრაღიკულმა ამბავმა, — გვაუწყებს როტიერ, — თავის დროზე ისეთი დიდი აღრევა მოახდინა, ისეთი დიდი ხმაურობა ასტეხა, რომ შეუძლებელია, იგი დავიწყებულ იქმნას და ოდესმე იქნებ ისტორიამ და პოეზიამ შეამკოს იგი მომხიბლავის ფორმებით და ჰარმონიულის ლექსებითა... ხასიათი ამ დედოფლისა, რომელსაც სწადიან უბედურების დროს დაიცვას თვისი ღირსება, სიყვარული სამშობლოსადმი, რაც მას გულში უღვივის, მისი კეთილშობლური სიამაყე და ამასთან სიმტკიცე, რაიც მას ვერაფრით ვერ შეულახა: ვერც სისხლის დანახვამ, მან რომ დაღვარა, ვერც იმ ჭრილობამ, მან რომ მიიღო, ვერც იმ სამხედრო ძალებმა, რომელიც მას გარს შემოერტყა, ის ოდნავ ვერ შეარყია. ყოველივე ეს ისეთის ძლიერის თვისებისაა, რომ საკმარისია თვითეულმა ამათგანმა გამოიწვიოს ჩვენში ღრმა თანაგრძნობა, თავს ზარი დაგვცეს და ფრიად ტრაღიკული სურათი გადაგვიშალოს»... (133).

ძველი თბილისი

საქართველოს უკანასკნელ დედოფლის ამ აქტმა არა მარტო საფრანგეთში მიიქცია თავის დროზე ყურადღება, არამედ გერმანიაშიც, და ჩვენ ზედმეტად არ მიგვაჩნია, შევჩერდეთ ერთ გერმანელ ამგვარ წყაროზე, რაიც როტიერის ცნობას უნდა ემყარებოდეს. მწერალმა იოჰანნეს ვილლემ გამოაქვეყნა შტუტგარტში წერილი სათაურით: «უკანასკნელი დედოფალი საქართველოსი» (ისტორიული სკიცები). მოვიტახოთ ზოგი დამახასიათებელი ადგილები ამ წერილიდან, განსაკუთრებით ისეთი, რომლებიც ლაზარევის მოკვლას შეეხებიან.

ავტორი შესავალშივე მეტად მოკვეთილად და შვენივრად ახასიათებს გიორგი მეფის გარდაცვალების შემდგომ ქვრივად დაშთენილ, ახალგაზრდა დედოფლის ტრაღიკულ ბედს, და აპბობს:

«მწვავე ფიქრები ბაგრატიონთა ოჯახის სავსებით განქრობისა და, ამასთან ერთად, დაკარგვა სამშობლოს დამოუკიდებლობისა, რომელსაც ის ანთებულის თავგანწირვით ზვარაკად ეწირებოდა, მძიმე ლოდად დასწოლოდა დედოფლის გულს... მისი უკანასკნელი წადილი, რის აღსრულება მან რუსეთს სთხოვა და რაზედაც მან ბოლოს თითქოს თანხმობაც მიიღო, იყო თვის სამშობლოში დარჩენის და ბოლოს მის წიაღში სამუდამო განსვენების ნება. მაგრამ რუსეთის მთავრობა მალე მიხვდა, რომ მისთვის სახიფათო უნდა გამხდარიყო დატოვება საქართველოს საზღვრებში, ერთგულ ქვეშევრდომთა შორის, ამ ქვეყნის ყოფილ დედოფლისა»-ო და მწერალი ი. ვილლე აღნიშნავს, რომ რუსებმა მართლაც მალე შეამჩნიეს, რომ მრავალრიცხოვანმა დედოფლის ერთგულთა წრემ, შეთქმულებს საიდუმლო ქსელი გააბა; ამ წრეს გარდაეწყვიტა — რუსეთის მოხელეების თვალყურის დევნება როგორმე აეცდინა, რათა შემდეგ დედოფალი თბილისიდან შეუმჩნეველად გაეყვანა და საქართველოს იმ შორეულ, მიუვალ ნაწილში შეეფარებინა, საცა რუსის ჯარს ჯერ კიდევ ფეხი ვერ მოეკიდებინა... «მაგრამ ღენ. ციციანოვი, რომელიც კარგად იცნობდა დედოფალ მარიამს და ამ უმშვენიერესი ქალის გაუტეხელ ბუნებას»-ო, — განაგრძობს ავტორი, — «ფეხ და ფეხ სდევდა დედოფლის იდუმალ ზრახვებს და განუწყვეტლივ უთვალთვალებდა: ის გრძნობდა, რომ დედოფალს ადვილად შეეძლო თავის ხალხის

გულის ერთბაშად აგზნება და ამ გზით რუსთა წინააღმდეგ საერთო აჯანყების გამოწვევაო... — ამიტომაც გადასწყვიტა მთავარმართებელმა დაჩქარებით განეშორებინა დედოფალი საქართველოს საზღვრებიდანო; ხილო მანამ კი საიდუმლოდ მიუჩენია ერთგული ჯაშუში კალატოზოვი, რომელიც ადრევე იყო დედოფალთან და სასახლესთან დაახლოებული.

შემდეგ ავტორი აგვიწერს დედოფლისა და ფშაველთა შორის საიდუმლო კავშირს... თუ რაგვარის მოუთმენლობით ელოდენ მთაში იმ დღეს, როცა ფშაველები რუსებს კლანჭებიდან გამოგლეჯდნენ საყვარელ დედოფალს და მის შვილებს და მთაში გაიყვანდნენ, რათა კვლავ სახელოვნად განეგრძოთ ძველი ისტორია ამ გმირულ დინასტიის და მისი ტახტისა. მაი დაწვრილებითი გეგმა ჰქონდათ შემუშავებული და მტკიცე ფიცითაც იყვნენ შეკრულნიო.

ამის შემდეგ, ავტორს აღწერილი აქვს ფშაველთა ბიკრაკის, გმირ ჰადილას ვინაობა, ამ უმაგალითო ვაჟკაცს საპატიო მოვალეობა უნდა ეკისრა: დედოფალი მას თბილისიდან უკნებლად უნდა გამოეყვანა... ამ საპატიოთო და საპასუხისმგებლო საქმის ჩატარება გმირ ჰადილას მიანდეს და ისიც ამაზე მზნედ შეუდგა; რამდენიმეჯერ ეახლა ჰადილა დედოფალს თბილისში და მასთან ერთად დაწვრილებითი გეგმა შეიმუშავა მის გამოსახსნელად. უკვე საამისო დღე და საათიც დაენიშნათ. ჰადილას გარდაეწყვიტა გარდაცმული დედოფალი საიდუმლო, ვიწრო გამოსასვლელებით, რომელთაც მარტო -ს იცნობდა. დედოფალი ქალაქიდან გამოეყვანა»...

მაგრამ ღენ. ციციანოვმა ყოველივე ეს დროზე შეიტყო ჯაშუშ კალატოზოვის წყალობით, ჰადილა შეიპყრო და თვითონვე დაჰკითხა...

ამ დაკითხვის დროს ღენ. ციციანოვმა აგენტი კალატოზოვი ფარდის უკან დამალა. ღენერალმა ყოველ საშუალებას მიმართა, მაგრამ, ვერ იქმნა, მთის შვილი ვერ გასტეხა... ჰადილამ შეთქმულების მთელი საიდუმლოება ბოლომდის შეუნახა დედოფალს. ბოლოს ჰადილას ფარდისუკან ამოფარებული კალატოზოვი წაუყენეს... «გამოტყდი ფშავო»,— ეუბნებოდა კალატოზოვი, — ხომ გახსოვს, გუშინ ჩემის დასწრებით დედოფალთან რომ იყავიო»...

ვერც ამ პირში წარდგომამ შეაცეელინა ფშავს ჩვენება და ციციანოვი იძულებული გახდა, თვის ძველ ჩვეულების თანახმად, ნაცად ხერხისათვის მიემართა. მან შეიარაღებულ დარაჯებს მოუწოდა და დიდ წინააღმდეგობა-ბრძოლის შემდეგ, ჰადილა ძლეულ იქმნა და მას ბორკილები დაადეს და სასტიკად სცემეს...

«აი, თქვენი ბედი, რომ ჩემი ხმალი და მარჯვენა თავისუფალი აღარ არის»-ო, — წარმოსთქვა გულის ტკივილით ვაჟკაცმა, — თორემ ხომ იცით, რომ ვერც ერთი თქვენგანი აქედან ცოცხალი ვეღარ გავიდოდა»-ო. (134).

ამის შემდეგ ღენ. ციციანოვმა ღენერალ ლაზარევს განკარგულება მისცა დედოფლის და მისი ოჯახის სასწრაფოდ გადასახლების შესახებ. და რათა დედოფლის მომხრენი საგანგებოდ დაეშინებინა, და თვითონ დედოფალი მის ერთგულ ქვეშევრდომთა თვალში დაემდაბლებინა, ლაზარევს განკარგულება მისცა — რომ მარიამის დაპატიმრება და გადასახლება მას საჯაროდ და საგანგებო ზეიმით ჩაეტარებინა.

დილით, 19 აპრილს ღენ. ლაზარევმა დედოფლის სასახლეს მაგარი ალყა შემოარტყა.

აქ ბ. ვილლეს თითქმის სიტყვა — სიტყვით მოჰყავს როტიერის ცნობიდან შესაფერისი ადგილები — კერძოდ: ლაზარევის მოკლეს, დედოფლის და მისი შვილების დაპატიმრების და გადასახლების შესახებ, და ბოლოს დასძენს, რომ თარჯიმანი საროკინი, რომელმაც დედოფალი ასე ვერაგულად დააჭერინა და რუსთ მისცა, ბედმა ღირსეულად დასჯა... ავტორი გვაუწყებს, რომ ეს თარჯიმანი, სომეხი, რომელსაც საროკინს უწოდებდენ, უეცრად შიშის გრძნობამ შეიპყრო; იცოდა, რომ ქართველები მას დედოფლის ასე ვერაგულად შეპყრობას არასდროს არ აპატიებდენ და ამიტომაც ის ტუჩკოვის რაზმს, დედოფალს რომ ასახლებდა, თან გაჰყვა... ალბათ რუსეთში წყალობათა მისაღებადაცო, — განაგრძობს ავტორი, — მაგრამ გზაში, კავკასიის უღელტეხილთან, საცა მთის ხალხი რუსის რაზმს დედოფლის გამოსახსნელად თავს დაესხა, საროკინი სროლის დროს მძიმედ დაიჭრა და იქვე გაუტევა სული...

ასეთია მოკლე შინაარსი ამ წერილისა, რომელმაც, რო-

გორც ვსთქვით, თავის დროზე პატარა საქართველოსადმი დიდი სიმპატიები გამოიწვია. ეს იყო პატარა, ლამაზი გვირგვინი წამებულ დედოფლის ხსოვნისათვის მიძღვნილი მაშინდელი ევროპის პრესის მიერ.

მაგრამ შესაძლოა, ამ ცნობებში ზოგი დეტალები ლიტერატურულის, ან მეტად მუქის ფერებით იყოს გადმოცემული... ჩვენ კი გვინდა — მკითხველს — მიუდგომელი, ისტორიული ობიექტივობის მშრალი ფარგლები გარდავუშალოთ ისე, როგორც ეს დოკუმენტებს შეუნახავს.

ამიტომაც უმჯობესია მივმართოთ ოფიციალურ «აქტების» მასალებზე დამყარებულ ცნობებს.

«აქტების» ეს მასალა იმდენად საყურადღებოა, რომ ჩვენ არ გვინდა დავტოვოთ არც ერთი ცოტად თუ ბევრად საგულისხმო ცნობა, რაიც დღემდე დაცულია.

დავიწყოთ ჯერ თვითონ ციციანოვის მოხსენებიდან იმპერატორისადმი, რომელიც მან ამ მკვლელობის გამო უკვე 20 აპრილს 1803 წ. გაუგზავნა... მოგვყავს ზოგიერთის შემოკლებით ეს ვრცელი მოხსენება:

«არა ერთხელ მომდიოდა ცნობა, — სწერს ღენ. ციციანოვი იმპერატორს, — რომ დედოფალი მარიამი მთელის თვისის ოჯახით, აგრეთვე ბატონიშვილ ბაგრატ ზოგიერთ შეთქმულებთან ერთად, სცდილობენ ეძიონ თავშესაფარი ხევსურეთში, რომელსაც სამეფო ოჯახისადმი უდიდესი პატივისცემა შეუნახავს. თუმცა მე მთლად არ მჯეროდა იმ ხმების, რომლებიც განუწყვეტლივ ასე აღელვებდენ საქართველოს, მაგრამ მაინც მივიღე ზომები, რათა შორიდან თვალყური ედევნებინათ ყოველივე მათი მოძრაობისათვის.

«გუშინ კი საკომენდანტო პოლიციამ და სხვებმა, რომლებიც სათვალყუროდ დანიშნული მყავდენ, მაცნობეს, რომ ღამით 18-19 ამ თვისთვის დედოფალი მარიამ მთელის თვისის ოჯახით და აგრეთვე ბატონიშვილ ბაგრატ ამირებენ ავლაბრის კარებით თბილისიდან გაქცევასო...

«დაწვრილებითმა გამოკვლევამ დაამტკიცა, რომ ცხენები და ჯორები მართლა შეკაზმული უცდიდენ მათ, მძიმე ნივთები უკვე შეკრული ჰქონდათ და რომ დედოფალმა საღამოთივე ორი უცროსი ვაჟი ავლაბრისაკენ წარგზავნა, მაგრამ ხიდ-

თან და გასავალ კარებთან მდგომმა დარაჯებმა, თანახმად გაფრთხილებისა, ისინი აღარ გაუშვეს... დავრწმუნდი ყველა ამაში და თან გამოვარკვიე, რომ რამდენიმე დღით ადრე დედოფალმა თაგაურელებს 1.000 მანეთი გარდაუგზავნა და სხვა უფრო მეტ საჩუქრებსაც დაჰპირდა, თუ კი ისინი დარიალის კარებს შეუკრავდენ რუსის «კონვოის» იმ შემთვევაში, თუ დედოფალი მართლაც ძალით რუსეთში გაიგზავნებოდა. ამის გამო ღენერალ ლაზარევს ბრძანება მივეცი, რათა იმავ საღამოს 10 საათზე დედოფლის სასახლესთან ყარაულები დაეყენებინა, ხოლო თვითონ ლაზარევი კი რამოდენიმე ოფიცერთა თანხლებით, უნდა დედოფალთან დარბაზში შესულიყო და გამოეცხადებინა **თავაზიანად**, რომ მისი გაქცევის განზრახვა უკვე გამომჟღავნდა და რომ ხვალ დილითვე მან თბილისი უნდა დასტოვოს თვითონ მისი და აგრეთვე მთელი საქართველოს დასამშვიდებლად; ხოლო კავკასიის გრენადერ პოლკის შეფს, ღენ. ტუჩკოვს განკარგულება მივეც დააპატიმროს თვის სახლში ბატონიშვილი ბაგრატი; ყველაფერი ეს ორთავეთ სათანადო დროს და შესაფერის წესით უნდა ჩაეტარებინათ ისე, რომ ამას ხალხში არავითარი მღელვარება არ უნდა გამოეწვია. იმ დილით ჩემი განკარგულება ზუსტად შესრულებულ იქმნა და დედოფალი მარიამ მთელის მისის ოჯახითურთ და ბატონიშვილი ბაგრატი მეუღლითურთ გაგზავნილ იქმნენ თბილისიდან დაპატიმრების წესით»-ო.

აქ ღენ. ციციანოვი ცდილობს ხელმწიფეს წინასწარ მოახსენოს რომ უმაღლესი ინსტრუქცია დედოფლის გადასახლების შესახებ, ყოველ პირობების გარეშე, **უკვე შესრულებულია**... ამ ხერხით უნდა მას შეარბილოს ის დიდი მარცხი, რაიც მოუვიდა, მაგრამ ამ უმწვავეს ტკივილის დაფარვა ხომ აღარ შეეძლო ერთგულ ციციანოვს და ისიც დიდის მობოდიშებით ხელმწიფეს მიუსამძიმრებს:

«ეხლა დამრჩენია გულის ტკივილით უქვეშევრდომილესად ვაუწყო თქვენს იმპერატორობითი უმაღლესობას ის უბედური შემთხვევა, რაიც **ღენერალ მაიორ ლაზარევის მოკვლას შეეხება**; იმ ლაზარევისა, რომელიც ზედმიწევნითის სიზუსტით ასრულებდა რა თქვენს უმაღლეს ნებას, (რაიც ჩემგან ექმნა მას

გამოცხადებული)... ამ დროს ის თვით შეიქმნა მსხვერპლი ამ დედაკაცის მოულოდნელ აღშფოთებისა!»-ო.

და ღენ. ციციანოვი ასე აღწერს ამ მკვლელობას —

«სწორედ იმ დროს, როცა ლაზარევმა ამ დილით დედოფალს ხელმეორედ გამოუცხადა, რომ მის გასამგზავრებლად ყველაფერი მზად იყო, დედოფალმა, დაჰფარა რა მორეული ბრაზი, ნიშანი მისცა მოახლოვებოდა, თითქოს გამოსათხოვარად და სწორედ მაშინ, როცა ლაზარევი მას მიუახლოვდა, დედოფალმა კალთიდან ხანჯალი გამოიძრო და მას ჩასცა ისე ძლიერად, რომ რამოდენიმე წუთში ღენერალმა სული განუტევა... იმავე წამს მისი ასული, ბატონიშვილი თამარ ხანჯლით მივარდა თბილისის პოლიციამაისტერს, მაგრამ ამან აიცდინა ის და მოქნეული ხანჯალი მოხვდა დედოფალ მარიამს, რომელიც ამის გამო მსუბუქად ხელში დაიჭრა. დედოფალის თბილისიდან გაგზავნის შემდგომ მის სასახლეში მრავალი სხვა და სხვა სახის იარაღი და ტყვია-წამალი იპოვეს, საიდანაც ვასკვნი, რომ დედოფალს განზრახვა ჰქონდა რაღაც აღრეულობის მოხდენისა, და შურისძიებისა... ამის გამო ღენერალ ტუჩკოვს ვუბრძანე: — წაასხას დედოფალი მარიამ და ბატონიშვილი ბაგრატი სასტიკის თვალყურის დევნის ქვეშ და ყოველგვარი პატივის გარეშე ვლადიკავკავის ციხემდე, საცა მათ მოზდოკის კომენდანტი, პოლკ. პროტოპოპოვი შეეგებება და მიაცილებს მოზდოკამდე... ხოლო იქედან კი მან უნდა წარგზავნოს დედოფალი თვისის მხლებლებითურთ ვორონეჟისაკენ. ვფიქრობო, — დასძენს ციციანოვი, — რომ თქვენი იმპერატორობითი აღმატებულება არ მოისურვებს მისცეს ნება ამ ბოროტ მკვლელს, ჩამოვიდეს პეტერბურგში, სადაც შეეცდება მიიღოს ნება თქვენი იმპერატორობითი აღმატებულების პირადად ხილვისა და ის დარჩება ვორონეჟის გუბერნატორის, პუშკინის განკარგულებაში»-ო.

იმავე თარიღით, როცა ღენ. ციციანოვმა ეს ამბავი პეტერბურგს აცნობა, მან ვორონეჟის გუბერნატორს, პუშკინს შესაფერის ცნობით მიმართა ლაზარევის მოკვლის და დედოფლის გადასახლების შესახებ. ღენ. ციციანოვი ღუბერნატორ პუშკინს სთხოვს განსაკუთრებულად და მუდამ თვალყური ადევნოს დედოფალს და მის ამალას ვორონეჟში, ვიდრე სხვა გან-

კარგულებას მიიღებდეს ხელმწიფისაგან; ამასთანავე აფრთხილებს, რათა არავის ამალის წევრთაგან არ ექმნას ხელთ რაიმე იარაღი; ხოლო თვით დედოფალს უბრალო დანაც კი არ გააკაროთ ახლოსო, და განაგრძობს, — «რადგან მან მხეცურად დაჰკლა ღენერალი ლაზარევი და მისგან ამგვარი რამ კიდევ მოსალოდნელი არის»-ო... ასევე აფრთხილებდა ციციანოვი კოლეგიის ასესორ ზაასსაც, რომელსაც პატიმრები მოზდოკიდან ვორონეჟამდე უნდა მიეცილებინა: «თვით ჰამის დროსაც არ ანდოთ დედოფალს დანა»-ო, — სწერდა მას საგანგებო ინსტრუქციაში.

ციციანოვის ცნობებს ლაზარევის მოკვლის შესახებ უფრო მეტის სიზუსტით განმარტავს თბილისის კომენდანტი სააკაძე თვის პატაკში, რომელიც მან 22 აპრილს წარუდგინა მთავარმართებელს. სააკაძე თვით დაესწრო ლაზარევის მოკვლას და ამიტომ მისი ჩვენება, რა თქმა უნდა, ყველაზე საყურადღებოდ მიიჩნია მთავარმართებელმა. (135).

«19 ამ თვეს, დილის 6 საათზე, — სწერს სააკაძე, — თანახმად თქვენის განკარგულებისა, მოვიდა ლაზარევი მარიამის სასახლეში და განდევნა **ყველა ქართველი მოხელენი**, რომელნიც დედოფლის ოთახთან იდგნენ, მერმეთ ჩემთან და აგრეთვე მე-17 ეგერის პოლკის ოფიცრებთან: იაკიმოვ, კირაჩევ, ხრუსტალევსკი და აგრეთვე მოხელე სურიკოვ, კრიმოვ და ნაცვალ სურგუნოვთან ერთად, შევიდა დედოფლის საწოლ ოთახში და გამოუცხადა მიზეზი მისი მოსვლისა; მიიღო რა **პასუხი მკვეთრი და გადამწყვეტი**, რომ დედოფალს წასვლა არ სურდა, ლაზარევმა უბრძანა კვარტირმაისტერ სურკოვს (ქართულის მცოდნეს) გადაერწმუნებინა დედოფალი. ხოლო თვითონ ლაზარევი კი, ჩემთან და სხვა ოფიცრებთან ერთად (გამოკლებით სურიკოვისა, ასეულის უფროსის კრიმოვისა და ნაცვალ სურგუნოვისა) გამოვედით შესაფერ განკარგულების მოსახდენად დედოფლის წაყვანისათვის. ამავე დროს ღენერალმა მომანდო მე გამერეკა იქედან ცნობის მოყვარეობით შეპყრობილი ხალხი, რომელიც სასახლესთან შეგროვილიყო. როგორც მე დაწვრილებით გავიგე, სწორედ იმ დროს, როცა

კვარტირმაისტერი სურკოვი დედოფლისაკენ მიიწია*), ბატონიშვილ ჯიბრაილმა და თამარმა კალთისქვეშით დამალული ხანჯლები იშიველეს და დაერივნენ სურიკოვს და სხვებს იქ მყოფთ დარბაზიდან გამოსადევნად. ამ ხმაურობაზე ღენ. ლაზარევი ხელახლა გაექანა ოთახისაკენ; ის შესაფერისის სიფრთხილით მიუახლოვდა საწოლზე მჯდომ დედოფალს, რათა ამას შთაეგონებინა და დაეტუქსა შვილები. აი, სწორედ ამ დროს ღენერალმა მარცხენა მკერდში მიიღო ჭრილობა თვით დედოფლის ხელიდან იმ ხანჯლით, რომელიც დედოფალს საბნის ქვეშ ჰქონდა დამალული; ჭრილობის მიღებისთანავე ლაზარევმა ოთახში ერთი გაირბინა და უსულოდ კარებთან დაეცა; ხოლო დედოფალმა კვალად აღმართა ხანჯალი იმ განზრახვით, რათა რომელიმე იქ მყოფი მოხელეც განეგმირა; მაგრამ ნაცვალმა სურგუნოვმა**) ააცდინა ამათ ახალი უბედურება: მან ხელზე ფაფახი წაიხურა და ფაფახიანი მარჯვენა ხელი შიშველ ხანჯალს წაავლო და გამოსტაცა ის დედოფალს. ამ დროს ბატონიშვილი თამარი, რომელიც სრულიად თავდავიწყებულ მდგომარეობაში იყო, ხანჯლითვე მივარდა მათ, რადგან უნდოდა სურგუნოვისათვის დედის განიარაღება დაეშალა, და შემთხვევით თვით დასჭრა მარიამი მარჯვენა მხარში.

დედოფალმა ამ დროს თვით წაავლო ხელი თამარის ხანჯალს, რათა, როგორც შემდეგ განაცხადა, თავის ხელით მოეკლა ნაცვალი მიკირტუმა სურგუნოვი; მაგრამ დედოფალმა თვით შეაჭრა ხელი ხანჯალს და იქმნა ხელმეორედ განიარაღებული; ამის შემდეგ სურიკოვმა და კრიმოვმა ბატონიშვილი ჯიბრაელიც განაიარაღეს»-ო. (136).

*

ბაგრატიონთა ფიქრს — ტახტის რომელიმე მემკვიდრის სასაწაულით გადარჩენაზე — თვით დედოფალი მარიამიც

---

*) ალბათ შესაპყრობად და ძალად გასაყვანად. ავტ.

**) ეს მიკირტუმა სურგუნოვი იყო სომეხი, ნაცვალი, რომელმაც ამ სამსახურისათვის «სოვეტნიკობა» და ჯილდო მიიღო, შემდეგ იგი 1804 წ. მთიულეთის აჯანყებულებს ებრძოდა, და იყო აგენტი მმართველ ვოლკონსკისა...

ელოლიავებოდა; განსაკუთრებით იმის შემდეგ, რაც მან თავზარდამცემი ცნობა მიიღო, რომ შეთქმულება კალატოზოვმა გასცა; რომ ციციანოვმა უკვე ყველაფერი შეიტყო და გზები შეჰკრაო. ეხლა დედოფალი, და მისი ღირსეული და წარჩინებული დედა ელენე, რომელიც მართლაც სულიერი დედა იყო მთელ ამ შეთქმულებისა, ცდილობენ გიორგი მეფის უკანასკნელი მემკვიდრენი როგორმე ქალაქიდან გაიყვანონ და სადმე საიმედო ადგილს შეხიზნონ.

დედოფალი თითქოს გრძნობდა, რომ საქართველოს აწ ველარ იხილავდა, რომ მას და მის მემკვიდრეთ რუსეთის და ციციანოვების მუდმივი ზვერვა და დევნა აღარ ასცდებოდათ. ვინღა უნდა შერჩეს ქართულ ძველ სამეფო სახლს, ერეკლეს ოჯახს? ვინ უნდა ატაროს მისი დროშა?... აი, ეს აფიქრებდა ამ ორ წარჩინებულ ქალთ და ისინი, მომავალ უბედურებათა მოლოდინში, თვის თავზე აღარ ფიქრობდნენ, არამედ მომავალ საქართველოსათვის მემკვიდრის შენახვაზე. აი, ამისათვის დაეძებენ სასოწარკვეთილი დედოფალი და მისი დედა უკანასკნელ წუთებში მამასახლის «ანანიას». დედოფალი და მისი მოხუცი დედა ელენე თვალებზე ცრემლებით ეეედრებოდენ სომეხ ევანგულოვს და ასლან ორბელიანს — წაეყვანათ და გადაემალათ ბატონიშვილები ილია და ჯიბრაილი, — ვინ იცის, იქნებ მალე შეიცვალოს მდგომარეობა და მაშინ... (137).

დედოფლის და მის უახლოესთა ამგვარ ცდების შესახებ რამდენიმე ცნობებს ვხედებით აქტებში, მაგრამ ყველა ამის გარჩევა შორს წაგვიყვანდა; ჩვენ გვინდა მხოლოდ სომეხ ევანგულოვის ჩვენებაზე შევჩერდეთ, რომელიც მან საქართველოს სისხლის სამართლის ექსპედიციას მისცა. ამ ჩვენებიდან უფრო მეტის სიმარტივით ირკვევა დედოფლისა და საერთოდ სასახლის სამზადისი იმ დიდი აქტისათვის, რომელსაც საქართველოს ტახტი ხელახლა უნდა აღემართა. ამას გარდა, ევანგულოვის ჩვენება სხვებზე უფრო გულწრფელია და დასაჯერებელი: ის უკვე აღარ ცდილობდა დედოფლის ზრახვებისათვის ხელი დაეფარებინა; ეხლა მისთვის თავის გადარჩენის კითხვა უფრო მნიშვნელოვანი გამხდარიყო.

ეს ევანგულოვი, რომელიც დედოფლის გარემოცვის ერთი უახლოესი წევრთაგანია, აჩვენებს, რომ ჯერ კიდევ დიდ მარ-

ხვის შუა რიცხვებში დედოფალი თიანეთში გასვლას აპირებდა, რისთვისაც იქაურ მოურავს — დიმიტრი ჩოლოყაშვილს — საგანგებო წერილით მიმართა, რომელშიაც ავალებდა: რაც შეიძლება მეტი ხალხი დაემზადებინა და დედოფლისათვის გზაში შემოეგებებინა. ამ საქმისათვის დედოფალს იმ ხანად. 1.000 მან. გადაედო და სხვაც ბევრი აღეთქვა მათთვის, რომელნიც დედოფალს შესახვედრად უნდა გამოგებებოდენ. დედოფალმა აგრეთვე აღუთქვა მრავალი შესაწირავი ლაშარისა და გუდანის ჯვრებისათვისო და სხვა... «შემდეგ, — განაგრძობს ევანგულოვი, — კვალად გამატანა დედოფალმა ჩოლოყაშვილთან წერილები, რომლებითაც ითხოვდა: წარმოეგზავნათ მისთვის 10-12 თემთა მამასახლისები, რომლებთანაც დედოფალს საგანგებო თათბირი უნდა მოეწყო, განსაკუთრებით იმაზე, თუ სად აერჩიათ დედოფლისათვის შესაფერისი ადგილი, თუ საერთოდ მთა მსურველი იყო დედოფალი მიეწვია და მისთვის მფარველობა გაეწია»-ო.

ევანგულოვი ამბობს, რომ ამ წერილებს იგი თითქოს დანიშნულებისამებრ არ ჰგზავნიდა, არამედ ანადგურებდა, ხოლო დედოფალს კი არწმუნებდა — გავგზავნეო... ჩვენების ეს ადგილი იმდენად გულუბრყვილოა, რომ მის სიყალბეში ეჭვი არ უნდა შეგვიძლიოდეს.

«16 აპრილს, — განაგრძნობს ევანგულოვი, — დედოფალმა ისევ მიმიხმო და განმიცხადა: ჩემი რუსეთში წასვლა არ იქნებაო, მე უკვე მყავს საიდუმლოდ დამზადებული შვიდი ცხენიო და ასლანმაც*)დამატებით ექვსი ცხენის შოვნა აღმითქვაო... მეცა მთხოვა კიდევ ოთხი ცხენი და ჯორები მეშოვნა მისთვის, რისთვისაც დამავალა ხევსურეთში წასვლა»-ო.

«გუშინ კი, — განაგრძობს ევანგულოვი, — სადილობის ჟამს ასლან ორბელიანმა, ანდუყაფარ მანსუროვმა, ხიმშიაშვილმა, სამბეკიშვილმა და მარტყოფელმა მსახურმა შეჰფიცეს დედოფალს, რომ მას წაიყვანდენ. მეც განმეორებით შევფიცე და დედოფალმა კვლავ წერილები და 600 მან. გადმომცა. აგრეთვე მიბრძანა დედოფალმა: მიმეწერა ჩემი ძმისათვის, რათა სანგურამოში გავლისას ის ხალხით მოგებებოდა დედოფალს. გუ-

*) ასლან ორბელიანი იყო სიძე დედოფლისა, შეთქმულთა წევრი.

შინვე ანდუყაფარმა და მეჯინიბემ განჯის კარებით გამოიყვანეს ჯორნი და ავლაბრისაკენ წაასხეს; მაგრამ ისინი იქეთ აღარ გაუშვეს, რაიც შიკრიკებმა მყისვე აცნობეს დედოფალს; მასვე შეატყობინეს, რომ საქმე გამომჟღავნდა და ამიტომ ყველაფერი შეჩერებულ იქმნა. დედოფალს სწადდა — ყველა შვილები (გარდა ოქროპირისა და პატარა ქალისა) თან წაეყვანა. ბოლოს მოვიდა დედოფალთან ასლანი და სთხოვა: თავი გაენებებინა ამ განზრახვისათვის, რადგან აწი მისი შესრულება აღარ შეიძლებოდა და დასძინა — «ჩვენაც დაგვღუპავ»-ო... ამ ლაპარაკს დაესწრენ: დედა დედოფალისა, ასული თამარ, მთავარ დიაკონი ეგნატე და სიდომონოვი. დედოფალმა აქ მყისვე შეაგროვა თავისი ძვირფასი სამკაულები, აგრეთვე მარგალიტები და სხვა... აი, აქ მე მას გამოვუტყდი, რომ არა გვყავს არც ერთი ცხენი და რომ აქამდე მას ვატყუილებდი... ამ დროს შემოვიდა ასლან, სიძე დედოფლისა, და მიპმართა მას: «რას ეპირებით, რას გვიშვრებით?.. რადა გვღუპავთ?»-ო.

აქ უცებ წამოდგა დედოფალი, გადვიდა მეორე ადგილას, დარბაზის შუაში დადგა და განაცხადა: «აი, ეხლა მოჰკალ შენ ჩემი შვილები... რისთვის გასწირე ისინი და გინდა ხელახლა ტყვეობაში ჩაჰყარო? ამართეთ ბარემ ერთმა ხანჯალი, დაჰკარით მეორემ თოფი და ესროლეთ მათ»-ო... და დედოფალმა განუცხადა ევანგულოვს, რომ მას დაეღუპა ეხლა, მთელი სამზადისი და იმედები... და სასოწარკვეთილმა თხოვა ევანგულოვს: ეხლავ წაიყვანოს მისი ორი შვილი — ჯიბრაილ და ილია, — რათა სადმე გახიზნოს, ან ჯერჯერობით თავის სახლში დამალოს. იქნებ ერთხელ შეიცვალოს ეს მდგომარეობა და შემდეგ იმათი სადმე გადაგზავნა მოეწყოსო. «ამაზე, — ამბობს ევანგულოვი, — მე მას მოვახსენე: განა გსურთ, რომ მთლად დამღუპოთ?»... ევანგულოვი აჩვენებს, რომ მთელს ამ მოლაპარაკებაში დედოფლის მრჩეველი იყო მისი დედა, ელენე ციციშვილისა; ისიც ცალკე მპირდებოდა 2.000 მანეთს საჩუქარს — ოღონდ როგორმე ამ ბატონიშვილების გაპარვა მომეგვარებინაო. ევანგულოვი თან დაურთავს — სარდალი ასლანი მაშინვე რომ არ მოსულიყო, დედოფალი ქალაქიდან გავიდოდაო.

საგამომძიებლო მასალაში მოყვანილია კიდევ ჩვენებანი

დანარჩენ პირთა, რომელთაც ამ შეთქმულებასთან კავშირი ჰქონდათ. აი, ზოგი მათგანი: იოილ ალექსიშვილი, ქაიხოსრო გამყრელიძე, ანდუყაფარ მანსურიშვილი, ნიკოლოზ ხიმშიაშვილი, ქაიხოსრო სავანელი, დიაკონი ეგნატე, თვითონ ასლან ორბელიანი და სხვანი. მათი ჩვენებანი თითქმის ერთსა და იმავეს იმეორებენ, წვრილმანებს აღნიშნავენ და ჩვენთვის ინტერესს მოკლებულნი არიან. აშკარაა, რომ ამ მოწმეთ შესძლეს კომისიისათვის დაემალათ საქმის ნამდვილი ვითარება, რის გამო მთელი ეს გამოძიება ციციანოვისათვის უშედეგოდ ჩატარდა. მაგრამ იმპერიის ამ ერთგულ მოხელეს ეს საგამოძიებლო მასალა არაფერში ეჭირვებოდა. მან კარგად იცოდა, თუ ვინ იყო მთელი ამ შეთქმულების სულის ჩამდგმელი, ვინ იყო მისი მარჯვენა ხელის, ლაზარევის ნამდვილი მკვლელი... ამის გამო მან არა მარტო გაისტუმრა სასწრაფოდ ეკატერინეისაკენ დედოფალი და მთელი მისი ოჯახი, არამედ იმპერატორს საგანგებო თხოვნითაც მიმართა: — არაფრით არ დაეზოგნა ეს დაუცხრომელი და თავხედი ბაგრატიონები და მათი ყოფილი დედოფალი. მაგრამ ამ დროს ღენერალ ციციანოვს მეორე მარცხი უდარაჯებდა. ეს მარცხი ეხლა მთელმა ქართველობამ დაინახა, დაინახა — რა მედგრად იბრძოდა დედოფალი და რა თავგანწირვით იცავდა იგი საქართველოს სამეფოს უკანასკნელ უფლებებს...

ციციანოვს ეშინოდა, რომ ბაგრატიონებზე შეფიცულ მთას, ტყვე დედოფალი კავკასიის მთების ციხეებში არ გაეტაცებინა. ამის ასაცდენად მან სასწრაფო ღონისძიებებს მიმართა.

ღენ. ციციანოვი ღენერალმაიორ ტუჩკოვს განსაკუთრებულ სიფხიზლეს ავალებს, ხოლო დედოფლის მცველთა რაზმებს უფრო და უფრო აძლიერებს. «გზაზე» (ე. ი. ვიდრე პატიმრებს მოზდოკის კომენდანტს, პოლკოვნიკ პროტოპოპოვს ჩააბარებდეთო), — სწერს ციციანოვი ტუჩკოვს — საგანგებო სამხედრო ზომები უნდა მიიღოთ, განსაკუთრებით, როცა კავკასიის უღელტეხილით გასვლა მოგიხდებათ... მუდამ ფხიზლად გეჭიროსთ თვალყური სამეფო სახლის ყველა წევრების მიმართ, რათა რომელიმე მათგანმა რაიმე «საზიანო» არ ჩაიდინოს. ამის გამო უნდა აეკრძალოთ მათ ყოველგვარი იარაღის ტარება»-ო. (138). ამავე სიფრთხილით და შიშით არის გამოწ-

ვეული მეორე, დამატებითი ინსტრუქცია ტუჩკოვისადმი, რომ დაუყონებლივ ჩამოაშოროს ბატონიშვილ ბაგრატის ამალას: ჯავახიშვილნი ზაზა და მანუჩარი და აგრეთვე თათარი ფოლადი, ვითარცა ფრიად საეჭვო პირები. ესენი უნდა განცალკევებულ იქმნან და დაპატიმრებულნი წარიგზავნონ, საგანგებო, გაძლიერებულ თვალ-ყურის დევნების ქვეშ, სრულიად ცალკე, ან სულ წინ, ან სულ უკან დანარჩენ პატიმრებისა... ხოლო დედოფალი მარიამი, მთელი მისის ოჯახით უნდა მიგყავდეთ ისე, **როგორც შეჰფერის ტყვეს და მკვლელს**, გარეშე ყოველგვარ პატივისა... აგრეთვე ბატონიშვილი ბაგრატიც უნდა წაიყვანოთ ყოველგვარ ზედმეტ პატივის გარეშე, ვითარცა ნამდვილი პატიმარი». (139).

ამგვარსავე განსაკუთრებულ სიფრთხილეს და სასტიკ თვალ-ყურის დევნას ურჩევს ღენ. ციციანოვი პოლკოვნიკ პროტოპოპოვს, რომელსაც დედოფალი მარიამი ოჯახის წევრებით და ამალით და აგრეთვე ბატონიშვილი ბაგრატ თვისის მხლებლებით, ვლადიკავკაზში უნდა მიეღო. და ეხლა მას უმეორებს გაფრთხილებას იარაღის შესახებ — გზაში და მოზდოკშიაც მუდამ თვალ-ყური გეჭიროსთ, რათა არავის მათგანს, არ ჰქონდესთ რაიმე იარაღი; ხოლო დედოფალ მარიამს თვით დანაც კი არ ანდოთ ჭამის დროსო, რომ მან კიდევ სხვასაც არ დამართოს ის უბედურება, რაიც განსვენებულ ღენ. ლაზარევს თავს დაატეხაო, ან კიდევ იმის გამო, რომ დედოფალმა თავის მოკვლა ვერ მოახერხოსო... (140).

შიში, რომელიც ასე გაუჯდა ღენ. ციციანოვს: გზაში არ მომტაცონ დედოფალიო, მთლად უსაფუძვლო როდი იყო. იცოდა, რომ დედოფლისა და ჩოლოყაშვილის მიერ მოწყობილი შეთქმა ასე ადვილად არ დასთმობდა ბრძოლას, თუნდაც იგი სრულიად წაგებულადაც მიემჩნიათ. ის გრძნობდა, რომ რაიმე შურისძიებას (დედოფლის ასე უხეშად დაპატიმრება-გადასახლებისათვის) მაინც ექნებოდა ადგილი, და, ვინ იცის, თუ რა ხასიათს მიიღებდა შურისძიებისათვის თავდასხმა? ამიტომ, როგორც ვსთქვით, ციციანოვი რაზმებს უფრო და უფრო აძლიერებდა და ყველას დიდ სიფრთხილეს ავალებდა. ამის შესახებ საყურადღებოა, ისტორიკოს დუბროვინის მიერ მოყვანილი, ღენ. ტუჩკოვის მოხსენება დედოფალის

და მისი მხლებლების წარგზავნის შესახებ; აქედან სჩანს, რომ დარიალთან შეთქმულებმა მართლაც მოახდინეს რუსის რაზმზე თავდასხმა. ეტყობა — აქ ბრძოლა კიდეც გაცხოველდა, მაგრამ მთიელთა მცირე და ცუდად შეიარაღებულ რაზმს უკვე საკმაო და კარგად აღჭურვილი რუსის ჯარი დახვდა, რასაც დამსხმელნი ალბათ არ მოელოდნენ... ცხადია, ამ ბრძოლაში ციციანოვის ძლიერმა რაზმებმა გაიმარჯვეს და დედოფალი «სამშვიდობოში» გაიყვანეს. ვალაპარაკოთ ამაზე თვით ღენ. ტუჩკოვი (141):

«19 აპრილს, — სწერს ღენ. ტუჩკოვი, — დილით ადრე ჩვენ თბილისიდან დავიძერით. 5 ვერსის გავლის შემდეგ შევისვენეთ; ამ დროს ციციანოვის შიკრიკი დამეწია და გადმომცა საჭირო ქაღალდები და ფული. ციციანოვმა მოკლედ მაცნობა ლაზარევის სიკვდილი და მიბრძანა მცხეთაში დამეცადა, ვიდრე თ. ორბელიანი დედოფალ მარიამით და ოჯახითურთ დამეწეოდენ; მიბრძანებდა — მოვპყრობოდი ამათ არა როგორც სამეფო სახლის წევრთ, არამედ ვითარცა ავაზაკთ. აგრეთვე უნდა შემეერთებინა ჩემი ძალები იმ რაზმთან, ორბელიანს რომ ახლდა და როცა კავკასიის მთებით სამეფო ოჯახის წევრთ ვლადიკავკავამდე მივიყვანდი, უნდა ჩამებარებინა ისინი მოზდოკის ციხის კომენდანტ პროტოპოპოვისათვის; ამასთან ნება მეძლეოდა, საჭიროებისამებრ, გზა და გზა, შემომეერთებინა ჯარების სხვა ნაწილები.

«რამდენიმე საათში მცხეთაში მისვლის შემდეგ, ორბელიანი დედოფალთან, მის ოჯახთან და მსახურებთან ერთად მართლაც შემოგვიერთდენ. ღამე ერთად გავათენეთ და ორბელიანმა დაწვრილებით მიამბო ლაზარევის მოკვლის ამბავი... მაცნობა, რომ დედოფალი ვორონეჟში უნდა მიეყვანათ და იქ უნდა დაეცადათ ხელმწიფის ბრძანებისათვის»-ო.

ღამით მცხეთაში ღენ. ტუჩკოვს კიდევ ერთი ბათალიონი მიუმატეს, რადგან იცოდენ, რომ დედოფალ მარიამს ადრევე გაეგზავნა თაგაურელთათვის ფული და შიკრიკები, რათა — თუ დედოფლის გადასახლებას მართლაც მოინდომებდნენ, — იმათ ხეობაში არ გაეშვათ არც დედოფალი და არც მისი მხლებლები და მცველები, განთიადისას ყოველგვარ სიფრთხილის გათვალისწინებით, ტუჩკოვმა გასწია წინ, სრუ-

ლიად მშვიდობიანად გაიარა დუშეთი, ანანურო, კავკასიონის ქედი და ასე მივიდა ყაზბეგამდე; აქ მან დაისვენა და ყაზახთა კიდევ ერთი რაზმი შეიერთა. მეორე დღეს წინ გასწია; დარიალში მას მართლაც დახვდენ და სროლაც აუტეხეს აჯანყებულმა თაგაურელებმა... აქ მან დაანაწილა რაზმი სამ წყებად და ასე შეუტია მთიულებს სხვა და სხვა მხრიდან. მტრები ბოლოს იძლივნენ და უკან დაიხიეს. ტუჩკოვის რაზმი გავიდა ამ ხეობიდან და დედოფალი ვლადიკავკაზში მიიყვანა. «აქედან ის გაგზავნეს ვორონეჟში და შემდეგ **ბელგოროდის** მონასტერში მოათავსეს, საიდანაც ის ხშირად მიმართავდა იმპერატორს თხოვნით, რათა როგორც უდანაშაულო, სასჯელისაგან გაეთავისუფლებინათ, მაგრამ ის თხოვნები უპასუხოდ რჩებოდა»... (142).

ღენ. ტუჩკოვმა ჯერ კიდევ მცხეთიდან დაიწყო თვისი პატაკის წერა, დედოფლისა და მისი ოჯახის წევრთა მოგზაურობაზე; ასე რომ მთავარმართებელს მუდამ ცნობა ჰქონდა, თუ როგორ მიმდინარეობდა ამ «ეტაპის» მგზავრობა და რამდენად სრულდებოდა მისი ინსტრუქცია. შევჩერდეთ ზოგ მათგანზე: თვის პირველ მოხსენებაში ღენ. ტუჩკოვი ღენ. ციციანოვს სწერდა:

«ესეცაა ჩამოვედი და ჩამოვიყვანე ბატონიშვილი ბაგრატ თვისი მეუღლით, ხოლო ორბელიანმა ჩამოიყვანა დედოფალი მარიამ თვისი ოჯახითურთ; ამაღამ აქ გავათევთ, ხოლო ხვალ კი შევეცდები დუშეთს მივაღწიო. გთხოვთ სწრაფლ დამადევნოთ მე 17-ე იეგერის პოლკის ექიმი»-ო და სხვა...

დედოფალს რომ განსაკუთრებული სისასტიკით მოპყრობიან ტუჩკოვ-ორბელიან-პროტოპოპოვები, ეს ყველაფრიდან სჩანს. ალბათ ამ უდიერმა მოპყრობამ და ტლანქმა შეურაცყოფამ დედოფლისადმი, **რომელსაც, ვით ტყვეს და მკვლელს, გასისხლიანებულს მიათრევდენ მისი სასახლიდან,** თვის ერთგულ ქვეშევრდომთა თვალ წინ, ალბათ ყველა ამ საშინელებამ აღმოაკვნესინა ისტორიკოსს ბატონიშვილ დავითს, რომ ყველა ამის «უჯერეტა იყო საზარო მჯერეტელთათვის»-ო; დედოფალს მთელი ქალაქი მისტიროდა, ცრემლით და ვაებით იქმნა მოცული მთელი ერი მეფის სახლის ასეთი დამცირების გამო.

დედოფალს იმის საშუალებაც არ მისცეს, რომ აუცილებე-

ლი საჭირო ნივთები თან წაეღო, გამოთხოვებოდა ახლობელთ, უკანასკნელი «მშვიდობით» ეთქვა თავის ხალხისათვის.

მთელი გზა მარიამს ღირსეულად და ამაყად უჭირავს თავი, ვით შეშვენოდა დედოფალს; და ის გარუსებულს და გვარიდან გამდგარ ციციანოვს გზიდან უკანასკნელის წერილით პირდაპირ აღარ მიმართავს, არამედ სწერს თბილისის კომენდანტს საკაძეს, რათა მან წერილის შინაარსი აცნობოს ციციანოვს... ამ წერილში (22 აპრილის თარიღით) დედოფალი საკაძეს მიმართავდა:

«გთხოვთ მე, დედოფალი მარიამ, გამოუცხადოთ ეს ჩვენი წერილი თავ. ციციანოვს: არც მე და არც ჩემი მსახურნი, არც სხვა დანარჩენნი, რომლებიც ეხლა დაპატიმრებული არიან, არაფრით დამნაშავე არა ვართ...

...ფრიად შეიწროებულს, და დაავადებულს მართლაც მქონდა გარდაწყვეტილი ჩემის შვილებიანად თავი მთაში შემეფარებინა»-ო, და ბოლოს დასძენს:

«გთხოვთ ყველა დაპატიმრებულნი გაანთავისუფლოთ, მოიხმოთ ყველა ისინი და აგრეთვე ყველა ჩემი მსახურნი და გამოუცხადოთ, რომ ამათგანი, ვინაც კი მოისურვებს ამ გარდასახლებაში თან მეახლოს, ან გამოემშვიდობოს, მისცენ ამისი ნება. ამას გარდა, ვითხოვ გამოგზავნონ ჩემთან მოხუცი ლეკი, მოსე... რადგან ჩემს შემდგომ მას არავინ მიმხედი აღარა ჰყავს; ხოლო თუ კი მას ვისიმე რამ ემართოს, გთხოვ ჩემის ანგარიშებიდან გაისტუმრონ მისი მოვალენი». (143).

როგორც ვხედავთ, ამ უკანასკნელ გამოსათხოვარ წერილში დედოფალი იმდენად თავის თავზე და მომავალზე აღარ ზრუნავს, როგორც მის ახლობლებზე, რომლებიც ასე უსამართლოდ ისჯებოდნენ. რა თქმა უნდა, ეს დედოფლური ქცევა და ეს ქრისტიანული ლმობიერება უმწეოდ დაშთენილთადმი, ციციანოვს კიდევ უფრო აბრაზებდა... ის ხედავდა, რომ დედოფლის ზვიადობა და სულის ძალა, ამ საშინელ დამცირებათა შემდეგაც, მის წინ თავს არ იხრიდა. ამ წერილის საპასუხოდ ბრაზმორეული ციციანოვი ღენ. ტუჩკოვს სწერდა:

«მის (ესე იგი დედოფლის) თხოვნათა შესახებ საკაძისადმი, გარდაეცით დედოფალს, რომ მისი სიტყვიერად გარდმოცემულ დავალებათაგან არც ერთი შესრულებული არ იქმნე-

ბა... საჭიროა, რომ ყველა ის ნივთები, რომლებიც მას აუცილებლივ სჭირია, სათითაოდ ჩამოსწეროს; ამას გარდა უთხრათ, რომ კომენდანტ საკაძეს ის შესაფერისის თავაზიანობით უნდა სწერდეს; კარგად უნდა იცოდეს, რომ კომენდანტი მისი მსახური არ გახლავთ; რომ ის, მისდა საბედნიეროდ, ასეთად (ესე იგი, მსახურად დედოფლისაო) არას დროს არც ყოფილა და არც იქმნება»-ო (144).

და ციციანოვმა, რაკი დედოფალს ვეღარ დაწვდა და ვერც მის ქედმაღლობას მიაყენა რაიმე ჩრდილი, ფიცხელი განკარგულებანი მისცა აღმასრულებელ ექსპედიციას, რათა ყოველგვარი ქონება, რაც კი დედოფალს თბილისში დაშთენოდა, მისგან ეხლავ ჩამოერთმიათ და რუსეთის ხაზინისათვის გარდაეცათ. (45). ქართული დინასტიის ამ ქონებრივ განიარაღებას იმდენად დიდი მნიშვნელობა ეძლეოდა, რომ ამის ირგვლივ ბჭობა და თათბირი მინისტრებიდან სახელმწიფო საბჭოში გადადიოდა და იქედან ხელმწიფეს უბრუნდებოდა; მრავალ სახის ინსტრუქციები და სასტიკი ბრძანებანი საგანგებო ემისართა ხელით პეტერბურგიდან თბილისში იგზავნებოდა და ახალის დასკვნებით უკან ბრუნდებოდა... ბოლოს ღენ. ციციანოვის რადიკალური ხაზი პეტერბურგს დიდად დაუჭდა ჭკუაში და სახელმწიფო საბჭომ შესაფერი დადგენილებანი მიაწოდა მთავარმართებელს შესასრულებლად. შინაგან საქმეთა მინისტრი კოჩუბეი შემდეგს აცნობებს ციციანოვს (8—10—1804 წ.):

«თანახმად თქვენის ცნობებისა, სამეფო სახლის წევრთა მამულებისა, გაუწყებთ, რომ ხელმწიფე-იმპერატორმა აუცილებლად სცნო დაასახლოს ყველა ესენი რუსეთში და მისცეს მათ საშუალება დაიმკვიდრონ აქ საშვილიშვილოდ ოჯახი თვისი... ხელმწიფემ უმაღლესად ინება ამ პენსიების და «უდელების» ნაცვლად განუკვეთოს მათ რუსეთში მამულების შესაძენად ერთდროული თანხები, ამასთანავე ბაგრატიონებს ცალკე ცირკულიარს ვსწერ და ვატყობინებ... რომ **ამ დასაჩუქრების შემდეგ მათ სამუდამოდ ესპობათ ყოველგვარი საშუალება და იმედი, რომ როდისმე დაბრუნდებიან საქართველოში.**

«შედეგი ამ ზომისა ისაა, რომ მთელი ქონება ბაგრატიონ-

თა ამიერიდან სამუდამოდ სახელმწიფო მამულების ფონდში გადაირიცხება»-ო... და მინისტრი ცნობად აქვე აწვდის სახელმწიფო საბჭოს სპეციალურ დადგენილებას ამ საგანზე 22 აგვისტოდან 1804 წლისა.

ამნაირად, მთელი ეს მამულები და ქონების მთავარი წყაროები რუსეთის ხაზინას მიეკუთვნა, ხოლო ბატონიშვილები და მათი ოჯახის წევრები დიდს გაჭირვებაში ჩაცვივდენ. და აი, ასეთ მატერიალურ გაჭირვების მარწუხებში მომწყვდეულთ ციციანოვი გულზედ მუხლს აჭერს და მათ «სიღატაკეს» და «მათხოვრობას» ცინიკურად დასცინის. საკმარისია სანიმუშოდ მოვიყვანოთ ერთი მიწერ-მოწერა ბატონიშვილ თამარისა და ციციანოვის შორის. ბატონიშვილი თამარ ციციანოვს სწერდა (იანვარში 1805 წ.):

«აგერ წელიწად ნახევარია ჩვენს სახლში აღარ ბრძანებულხართ და არ ვიცით, თუ რა მიზეზით აგრე დაგვივიწყეთ. უმორჩილესად გთხოვთ, ნება მომცეთ გავხდე ღირსი თქვენის ნახვისა და იმედია, ამისათვის არ გაგვირისხდებით»...

ამ დარბაისლურ ბარათს, რომელიც ღირსეულ ბატონიშვილისგან და მერმედ წარჩინებულ მანდილოსანისაგან მიეღო ციციანოვს, მან გაუგონარის შეურაცყოფით «უპასუხა» (თუ ამას საერთოდ პასუხი ეთქმის).

ციციანოვმა ბატონიშვილის წერილზედვე წააწერა თვისი «პასუხი» და ამით ხაზი გაუსვა თვის მოპყრობას, — აღნიშნა, რომ ღირსად არა სთვლიდა ქაღალდის ფარატინა გაეწირა ამ პასუხისათვის. ბატონიშვილის წერილის მეორე გვერდზე ის უპასუხებდა:

«მრავალი საქმეთა გამო ვერ შევსძელ მოსვლა. ორ წელზე მეტია გამუდმებით ლაშქრობაში ვარ და აქ სულ ცოტა ხნით ვიმყოფები... ამავე დროს გაუმაძღრობა თქვენი ფულითა და ამასთან ამ ფულის მოხმარების არ ცოდნა, გაიძულებთ თქვენ, შემაწუხოთ ვით მათხოვრებმა და მთხოვოთ ფული მაშინ, როცა თქვენი ქმარი ორი ათას მანეთს ჯამაგირს იღებს... და ყველა ამას თან დავურთავ, რომ თქვენ **თქვენს ირგვლივ იკრებთ ახლობელთ, რომელნიც დამნაშავედ იქმნენ ცნობილნი ღალატისათვის».** (146.)

აშკარაა, სწორედ ეს უნდა ყოფილიყო მიზეზი ციციანო-

ვის გააფთრებისა; ციციანოვი აქ 1804 წ. მთიულეთის აჯანყების მონაწილეთა შესახებ ლაპარაკობს, რომლებიც ბატონიშვილ თამართანაც ახლო კავშირში იყვნენ და რომელნიც ჯერ კიდევ მთლიანად ვერ აღეგვა ციციანოვს.

ასე ვერაგულად დასცინოდა რუსეთი უფლება აყრილ სამეფო გვარს სწორედ მის შემდეგ, რაც მთელი ქონება ჩამოართვა და ხაზინას მიაკუთვნა...

ბატონიშვილთა ქონებრივი განიარაღება პირველად თვით ციციანოვმა დაიწყო და შესაფერის წინადადებით მიმართა პეტერბურგს; მაგრამ ამ წინადადებითა პასუხისათვის მას არც კი დაუცდია, რომ განაცხადა: ბაგრატიონებს **ამიერიდან უფლება ერთმევათ თვის უძრავ ქონებას რაიმე სახით შეეხონო;** ეს ქონება, რა ჯურისაც და სადაც არ უნდა იყოს, რუსეთის ხაზინის საკუთრებად ცხადდებაო.

«თვითეულ ბაგრატიონს მე განვუცხადე, — სწერს ღენ. ციციანოვი იმპერატორს, — რომ რუსეთში მიიღებენ შესაფერ სასყიდელს იქ გადასახლების შემდგომ»-ო. (146ა). ამის შემდეგ ღენ. ციციანოვი განაგრძობს: «ვიცი რა, რომ ეს ბატონიშვილები თქვენს იმპერატორობით უმაღლესობას მანდაც თხოვნებით თავს მოაბეზრებენ, კადნიერ ვხდები უქვეშევრდომილესად გამოვითხოვო თქვენი ყურადღება, რათა აღილაგმოს მათი პატივმოყვარეობა, სიხარბე და გაუმაძღრობა, უწყალობოდ მათ ერთდროული დახმარება, მათი ყოფილ მამულთა შემოსავლის მიხედვით»-ო.

ბოლოს, თავის გეგმის უკანასკნელ ეტაპს ასე აცნობს ის იმპერატორს:

«რათა სამუდამოდ აღიკვეთოს ბაგრატიონთა ყოველგვარი პრეტენზიები საქართველოს ტახტზე, მსურს მათი სასახლეები გადავაქციო სავაჭრო (სახელმწიფო) დაწესებულებებად და საცხოვრებლად ღენერალიტეტისა, რომელიც მოკლებულია აქ შესაფერ ბინებს»-ო. (იქვე).

ეს წინადადებაც იმპერატორისაგან დაუყოვნებლივ მოწონებულ იქმნა და შესაფერისის ბრძანებით გარდაეცა შინაგან საქმეთა სამინისტროს: «საბოლოოდ მოსაგვარებლად ბატონიშვილთა ბედისა და მათი მტკიცედ დასასახლებლად რუსეთში»...

. 8 ოქტომბერს ეგზავნება ღენერალ ციციანოვს ზემო აღნიშნული ბრძანება ხელმწიფისა, შინაგან საქმეთა მინისტრ კოჩუბეის მიერ; ამას თან ახლავს სახელმწიფო საბჭოს სპეციალური დადგენილების ოქმის ამონაწერი... მაგრამ, როგორც აღვნიშნეთ, ამ კანონებსა და ინსტრუქციებს უფრო დადასტურების მნიშვნელობა ჰქონდათ, ნამდვილად კი ისინი ადრევე შეემუშავებინა ღენ. ციციანოვს და სიზუსტით და სისასტიკით უკვე ატარებდა მათ.

•

დაეუბრუნდეთ დედოფლის გადასახლების ამბებს. ჩვენს ხელთ არის მოკლე ცნობა კაპიტან ზასსისა ციციანოვისადმი 15 აგვისტოსი 1803 წლისა.

ეს ის ზასსია, რომელსაც პოლკოვნიკმა პროტოპოპოვმა, ელადიკავკაზიდან ჩამოყვანილი დედოფალი მხლებლებით მოზდოკში ჩააბარა. კაპიტან ზასს კი ყველა ესენი ვორონეჟამდე უნდა მიეცილებინა.

ზასსის ამ მიმართვიდან ჩვენ ვტყობილობთ, რომ დედოფლის «მოგზაურობა» ვორონეჟამდე გაგრძელებულა 19 აპრილიდან 12 ივნისამდე და სწორედ ამ დღეს ჩაუყვანია ზასს დედოფალი შვილებითა და მხლებლებით; მასვე მიუყვანია ბატონიშვილი ბაგრატიც ვორონეჟში და გადაუცია ღუბერნატორ პუშკინისათვის.

აი, აქ დახვედრია დედოფალს რუსეთის იმპერატორისაგან ის «მაღალი წყალობანი», რომელნიც ღენ. ციციანოვმა ჯერ კიდევ 20 აპრილს გამოითხოვა დედოფლისათვის, მის საგანგებო დასასჯელად.

«აქტ»-ებიდან ვტყობილობთ, რომ ხელმწიფეს აღარ დაუყოვნებია და ღენ. ციციანოვის წინადადებაზე სასწრაფოდ მისი დამამშვიდებელი განკარგულებანი გაუცია.

ღენერალ ციციანოვს იმპერატორი საპასუხოდ სწერდა: «დედოფალი მარიამი, რომელმაც მხეცურად მოჰკლა ღენ. ლაზარევი, ასული მისი, ბატონიშვილი თამარ, რომელიც თბილისის პოლიცმეისტერს მოკვლას უპირებდა, უნდა გაიგზავნონ ვორონეჟიდან სამხრეთის ღუბერნიის ერთ-ერთ მონასტერში, სადაც ისინი, მიიღებენ რა საცხოვრებელ ულუფას, საეკლე-

სიო მონანიებითა და სინიდისის ქენჯნით, იქმნებიან მათი დანაშაულისათვის შესაფერისად დასჯილნი»... (147).

დედოფალს ვორონეჟში გამოუცხადეს, რომ ის ვერც პეტერბურგში და ვერც მოსკოვში, სადაც გადასახლებულნი, მისი ძენი და ნათესავ-ახლობელნი იმყოფებიან, ბინას ვერ დაიდებდა, და ვერც ვორონეჟში დარჩებოდა; არამედ თვისი მძიმე ცოდვათა მოსანანიებლად და ღვთის წყალობათა მოსაბრუნებლად, უნდა ბელგოროდის მონასტერში დამკვიდრებულიყო.

რაც შეეხება დედოფლის მხლებელთ, მათ უფლება ეძლეოდათ — ჩამოსცილებოდენ დედოფალს და გაჰყოლოდენ ბატონიშვილ ბაგრატს, რომელიც იმავ ზასსის ცნობით, უნდა მოსკოვს წასულიყო, იქაურ ღუბერნატორის, სალტიკოვის განკარგულებაში.

საყურადღებოა, რომ დედოფლის მხლებელთაგან არავინ, გარდა ერთისა, არ ისურვა მოშორებოდა დედოფალს ამ მძიმე დროში და ყველანი, თავის ნებით გაჰყვნენ მას ბელგოროდის მონასტერში.

დედოფალი და მისი მხლებელნი ღუბერნატორმა, პუშკინმა ვორონეჟში დიდის ხნით აღარ გააჩერა და სასწრაფოდ ბელგოროდისაკენ გაისტუმრა.

სასოწარკვეთილმა დედოფალმა აქ უკანაკნელი ძალა მოიკრიბა და ვრცელის მოხსენებით რუსეთის იმპერატორს მიმართა, მოხსენებით, რომელიც ზედ-მიწევნითის დაწვრილებით აგვიწერს იმ ტრაღიკულ ამბებს, 19 აპრილს თბილისში დედოფლის სასახლეში რომ დატრიალდა... ამ მოხსენებიდან ოდნავ მიუდგომელ მოსამართლესაც კი უნდა დაენახა, რომ დედოფალი ბევრში მაინც უდანაშაულო იყო; რომ ის ამ ყოფაში ჩააყენა ტლანქმა და უმაგალითო ვერაგობამ და იმ გაუგონარმა შეურაცხყოფამ, რის მსგავსი ჯერ ბაგრატიონთა სასახლეში არვის ენახა. და ეს მარტო იმისათვის, რომ დედოფალმა თვისი საყვარელი ქვეყნის დატოვება და რუსეთში გადასახლება არ მოისურვა...

ამ მოხსენებაში ისეთი ამაღელვებელი დეტალებია იმ სავედისწერო საათებისა, რომელიც დედოფალმა ლაზარევთან და მის მხლებლებთან ბრძოლაში გაატარა, რასაც ჩვენ ვერც ერთ

ოფიციალურ ცნობებში და ვერც კერძო ჩვენებაში ვერ ვხვდებით... ან ვის შეეძლო თუ არა დედოფალს, ასე ზუსტად, ზედმიწევნით გადმოეცა ყველა ეს მომენტები, რომლებმაც მას დიდი მორალური და ბოლოს ფიზიკური ჭრილობები მიაყენეს... ერთი კია, რომ დედოფალი აქ პირდაპირ არ ამბობს, რომ მან თვისის ხელით მოჰკლა ღენ. ლაზარევი... მიზეზი თავისთავად გასაგებია...

ამ «დოკუმენტის» უყურადღებოდ დატოვება იქნებოდა დიდად შეუფერებელი იმ «აღსარებისათვის», რაიც მარტვილმა დედოფალმა თვის მწარე წუთებში, ვორონეჟში, ქაღალდზე გადაიღო; ვაკმაროთ ისიც, რომ არც რუსეთის კარმა და არც უმაღლესმა სასულიერო უწყებამ ეს აღსარება მას არ მოუსმინეს...

გავეცნოთ დედოფლის ამ თხოვნას ხელმწიფე ალექსანდრე პირველისადმი (სწორედ ასეთივე თხოვნით მიუმართავს ვორონეჟიდანვე დედოფალს პეტერბურგში ქვრივ იმპერატრიცა მარიამ თევდორეს ასულისათვის — იმპერატორ პავლე I-ის მეუღლისათვის — და აგრეთვე პეტერბურგის მიტროპოლიტისათვის). (148).

დედოფალი ამ აღსარებაში სწერდა:

«მე უწყალო ქვრივი, დედოფალი მარიამ, მეუღლე მეფე გიორგისა, ვითხოვთ გადმომხედოთ უმაღლესად ღმობიერებით და ისმინოთ ვედრება ჩემი, — თუ რაოდენი სხვა და სხვა გვარი უბედურებანი მხვდა წილად მე საცოდავსა»...

«18 აპრილს, როცა შუა-ღამეს, ასე საათნახევარი გადასცილდა, მოვიდა ჩემთან ღენ. ლაზარევი ერთი როტა ჯარით; შემოვიდა ჩემს ოთახში ოთხი ოფიცერით, რომელ დროსაც ჩემთან იმყოფებოდენ: დედა ჩემი, ჩემი სიძე ასლან ორბელიანი, ფრეილინები და მსახურნი; აქ მან ყველა მყოფთ უბრძანა — გარედ გასვლა და დაუმატა, რომ ციციანოვისაგან დავალება აქვს საიდუმლოდ მე რამე განმიცხადოსო. აქ მე მას ვსთხოვე, რათა დაეტოვებინა ჩემთან მხოლოდ ასლანი, რაზედაც ის დამეთანხმა. აქ მან, ციციანოვის დავალებით, განმიცხადა, თითქოს მე ჩემი ორი შვილი ჩუმად გამეპარებინოს, რის გამო მას უბრძანეს, ჩემთვის ყარაულები დაეყენებინა. ამაზე ასლანმა მეორე ოთახის კარები გააღო და დაანახვა მას ორი-

ვე ჩემი ვაჟები და დაარწმუნა, რომ ისინი არავის არსად არ გაუპარებია...

«შემდეგ მე ყველა ჩემს შვილთ დავუძახე, შევყარე ისინი ერთად და ვსთხოვე ლაზარეს, ეამბნა ციციანოვისათვის სიმართლე და ეთქვა, რომ ყოველივე ეს ტყუილია და მას უბრალოდ აწუხებენ; ხოლო თუ მაინც არა სჯერათ, მაშინ ყარაულები დამიყენონ; ამაზე ლაზარეემა მომიგო, რომ საჭიროა ასლანი თან გავაყოლო მას ციციანოვთან ყველა ამის მოსახსენებლად და იმის გასაგებად თუ რას ეტყოდა პასუხად. (149).

«ლაზარეემა ასლანი თან წაიყვანა და გავიდა სახლიდან, მაგრამ მალე ისევ შემოვიდა, შემოიყვანა ჯარი და მცველებად დააყენა ყველა კარებთან და ჩემი ოთახის ფანჯრებთან; სასახლის წინ და უკან მოედანზე ასევე დააყენა მცველები; გაავსო ჯარით ყველა შესასვლელები ზევითა და ქვევითა სართულში და არც შინ და არც გარედ არავის უშვებდა.

«ამან თავიდანვე იმდენად არ შემაშფოთა, რადგანაც: პირველი, წინადაც ხომ დაუყენებია ჩემთვის ასეთი ყარაული კნორრინგს საღამოობით; და მეორე დღით, ან შუა ღამისას ისევ მოეხსნა და, მეორეც კიდევ იმიტომ, რომ ასლანი გაგზავნილი იყო ჩემგან ციციანოვთან და მე მის პასუხს ველოდი; მაგრამ, როცა მას მეტად დააგვიანდა, მე განგებ ვახშამი მოვითხოვე; არც ამისთვის გაუშვეს ვინმე გარედ. რამდენიმე ხნის შემდეგ მოიხმეს ვინმე ყმაწვილი მოსე და ვახშამის მოსატანად გაგზავნეს. როცა ის უკან დაბრუნდა, უთხრეს, რომ მინამ არ შემოუშვებდნენ სახლში, ვიდრე ის თვით არ გასინჯავდა ყველა საჭმელებს, რათა მე ბავშებითურთ თავი არ მომეწამლა. შემდეგ შემოიტანეს ვახშამი.

«ამ ამბის გაგონებამ ჩვენ შიშის ზარი დაგვცა; თან და თან ავირიეთ, გულმა წუხილი დაგვიწყო და სასოწარკვეთილებაში ჩავარდით... ვფიქრობდით: რა უნდა დაეტეხათ ჩვენთვის ისეთი, რის შიშით ჩვენ თავი უნდა მოგვეწამლა და ჩვენი სიცოცხლე თვითონ მოგვესპო? აქ თავი ვეღარ შევიკავეთ და საშინელი ქვითინი და ტირილი წაგვსკდა. ვითხოვეთ გაეგზავნათ ვინმე ძმარისათვის გულის მოსაბრუნებლად; დიდის ვაი-ვაგლახით დავიყოლიეთ ამაზე დარაჯები... როცა ფიალით ძმარი მოიტანეს, მომტანი კარებში გააჩერეს და ძმარი მოასმე-

ვინეს, რომ ვითომ საწამლავი არ ყოფილიყო; ასეთმა ამბებმა კიდევ უფრო გაზარდა ჩვენი შიში და მწუხარება. ძმარის მომტანმა მოახლეებს იქვე საიდუმლოდ გადმოსცა, რომ ასლანი, როგორც კი ღენ. ლაზარევმა ჩვენგან გაიყვანა, არ წაუყვანიათ (შეთანხმების თანახმად) ციციანოვთან, არამედ დაუპატიმრებიათ და ციხეში ჩაუსვამთო.*).

ამ ამბავმა კიდევ უფრო გაზარდა ჩვენი მწუხარება და დაგვარწმუნა, რომ ეხლა ჩვენ რაღაც დიდი უბედურება მოგველოდა....

ბავშვები, რომლებიც ჩვენს ასეთ საშინელ ყოფას და თან ყველა კარების წინ დაყენებულ დარაჯებს ხედავდენ, შიშისა და ძრწოლისაგან ვერცა სჭამდენ, ვერც სვამდენ და გათენებამდის არ უძინიათ, მთელი ღამე ქვითინში გაატარეს... პაწია ირაკლი კი, შიშისაგან შეპყრობილი და მთლად აკანკალებული, არავისთან დასაძინებლად აღარ მიდიოდა და მე ის ჩემთან დავაწვინე, რათა ბალღი ოდნავ დაწუნარებულიყო. განთიადზე, როცა სასახლის ეკლესიაში დილის ცისკარსა ჩამოჰკრეს, მოვიდა ისევ ღენერალი ლაზარევი ოთხი ოფიცრებით და ყაზახებით; შემოვიდა ჩემთან და ყველა მოახლენი გარედ გაჰყარა. ამავე დროს მითხრა: თითქოს ის გამოეგზავნოს ციციანოვს იმის გაშოსაცხადებლად, რათა ავდგე და ჩემის ბავშვებით გავიდე და რომ ჩვენდა გასამგზავრებლად მან საგანგებო ეკიპაჟი მოიყვანა. ამაზე მე შევეკითხე, თუ რატომ წინ ღამით არ გამომიცხადა ეს, რომ წასასვლელად ოდნავ მაინც შევმზადებულიყავი. მან მიპასუხა, რომ არა ჰქონდა უფლება წინა ღამითვე გავეფრთხილებინე და რომ მე ეხლავე უნდა წავიდე.

«იმ დროს მე 3-4 თვის ნაავადმყოფარი ვიყავ, ხოლო ჩემი მცირეწლოვანი ვაჟი, ოქროპირი კიდევ ავად მყავდა და მას პატრი ფილიპე ექიმობდა; ამის გამო ვსთხოვე ლაზარევს — შეეხვეწოს ციციანოვს, რათა ნება მომცეს ჩემი ავადმყოფი ვაჟი მაინც დავსტოვო, ვიდრე მოიკეთებდეს და მერმედ ისიც

*) ღენ. ლაზარევმა, იცოდა რა ასლან ორბელიანის გაელენა და მხნეობა, პირველ ყოვლისა ის იგდო ხელთ; მარტო გამოიყვანა სასახლიდან, ვითომ დედოფლის დესპანად ციციანოვთან წასაყვანად, და აქ მოტყუებით შეიპყრო.

წარმოგზავნონ. ლაზარევმა მიპასუხა, რომ მას არა აქვს ნაბრძანევი ასეთის პასუხით ციციანოვთან მისვლისა და არც იმისი უფლება აქვს, რომ მე კიდევ მეტი მოცდის ნება მომცეს. ამგვარი პასუხის შემდეგ მე უფრო დაბეჯითებით დავუწყე თხოვნა — მომცენ დრო, თუნდაც მხოლოდ ერთი საათი, ვიდრე გაიღვიძებდენ დამფრთხალნი ჩემი მცირეწლოვანი ბავშვები, რათა სახლიდან ერთად გავსულიყავით; მაგრამ მან არავითარი მუდარა მხედველობაში არ მიიღო. მან კვლავად მომიჭრა, თითქოს მე წასვლა არ მსურდეს და სხვა და სხვა მიზეზებით ვცდილობდე ავიცდინო გამგზავრება; ამიტომ ის მალე მიჩვენებს, თუ როგორ გამიყვანენ აქედან ძალით... ეს მითხრა და გავიდა; მალე ისევ შემობრუნდა და შემოიყვანა 13-14-მდე ოფიცრები და ყაზახები; ის ჩემთან ახლოს მოვიდა, სადაც მე პაწია ბავშით, ირაკლით ვიწექი, თითით ჩემზე აჩვენა და უბრძანა: უმალვე წავეყვანეთ მე და ჩემი ასული თამარიცა. თვითონ ისევ უკან გაბრუნდა... მაშინვე მოცვივდენ ჩემთან რვამდე ოფიცერი და ყაზახები და ხელი წამავლეს, ხოლო ხუთმა მათგანმა ჩემი ქალი თამარი შეიპყრეს. ერთმა მარჯვენა ხელი დამიჭირა; დაინახა რა ყველა ეს ჩემმა შვილმა ჯიბრაილმა, იშიშვლა თვისი ხანჯალი და დაუყვირა რუსთ, რომ ვიდრე ის ცოცხალია, არავის არ მისცემს ნებას ათრიონ მათი დედა; უბრძანა — გასულიყვენ ისინი ეხლავ და რომ მათ ჩვენის ნებით გამოვყვებითო. ასე უბრალოდ რად გვათრევენო? ამავე დროს თამარმა, რომელსაც ხუთი კაცი შემორტყმოდა, დაინახა რა იქვე მეორე ხანჯალი, მას ხელი დაავლო...

«ამის მნახველნი, ჩვენი შემპყრობნი, დაშინდენ, ერთბაშად მიგვატოვეს და გარეთ გაცვივდნენ... შემდეგ უცებ შემოვარდა ჩვენთან ღენ. ლაზარევი ამოღებულის ხმლითა, მასთანვე შემოცვივდნენ ხმალ ამოღებულნი ოფიცრები და ყაზახები; უეცრად მე მჯდომარემ, დავინახე ჩემს წინ მდებარე ხანჯალი და მას ხელი წავავლე; დაინახა რა შემოცვენილები გაშიშვლებულის ხმლებითა, დედა ჩემი მათ წინ მიეგება და მუხლებში ჩაუვარდა. ის მათ ფეხებს უკოცნიდა და ყველას ევედრებოდა — თავი დაენებებინათ ამ ჩხუბისათვის; იმათ ყურიც არ ათხოვეს დედას; წაჰკრეს რა სათითაოდ ფეხი დაჩოქებულ

მოხუცს, მასზე გადაიარეს და გადათელეს ის. ამ დროს ლაზარევმა უკანიდან ხმალი მოიქნია; მე უცებ თავი გადავწიე, რის გამო ხმალი მხარში მომხვდა და დავიჭერი.

მან ხორცი გამიჩეხა ძვლამდე, ხელის გულის ოდენაზე; ამის მოწმენი არიან დამსწრენი: 1) სომეხი, მკურნალი თათუ-ლა, რომელმაც პირველმა შემიხვია ჭრილობა, 2) ღენ. ტუჩკო-ვის პოლკის ექიმი, პეტრე ჭარაევი (ჭარაშვილი), რომელიც დღემდე მაქმობს; როცა ძალით მიმათრევდნენ, იმ დროს მე-ორედ დამარტყა ხრმალი «კაჭკაჭევმა»*), მაგრამ, საბედნიეროდ, მხოლოდ კაბა გამიჭრა და ხორცამდე ვეღარ დავიდა იმიტომ, რომ ქათიბის სახელო გახსნილი მქონდა და მოქნეული ხრმალი განზე გააცურა; მესამედ კი თვალი ვეღარ მოვკარი, თუ ვინ დამარტყა ხრმალი, — თვითონ ლაზარევმა, თუ ვინმე სხვამ; მას მე მარცხენა ხელი მივაგებე და ხრმალმა ნეკი ხელის გუ-ლამდე ჩამიჭრა; ამ დროს შემოეხვივნენ ჩემს შვილთ თამარს და ჯიბრაელს, რომელთაც თბილისის ნაცვალი ხანჯლის დანე-ბებას სთხოვდა. ვიღაცა ყაზახმა, თუ ოფიცერმა ხმალი მოუქ-ნია თამარს, რომელსაც იქ მყოფმა ძიძამ ხელი აჰკრა და მას ხელი წააგდებინეს; ის ქალი ამ ჟამად ავლაბარშია. ჩემის სისხ-ლით შეღებილი იყო მცირეწლოვანი ჩემი შვილი ირაკლი, რო-მელმაც უცებ გულსაკლავი ღრიალი მორთო; ამ დროს მას და ჩემს სხვა ბავშვებსაც სათითაოდ ხელი წაავლეს, ავად თუ კარ-გად მყოფნი, განუკითხავად მოედანზე გაიყვანეს, სადაც სამ-ხედრო კომანდა იდგა და მათთან დასტოვეს. ჩემი პაწაწკინა ანა, რომელიც გამზრდელის ძუძუს მოსწყვიტეს, აგრეთვე გა-ყვანილ იქმნა, მიუხედავად საშინელ ყვირილისა, ხოლო მისი ძიძა კი თავის ადგილს დასტოვეს.

«ამ საშინელების დროს საცოდავი დედა ჩემი ჩემთან მო-ვარდა; მნახა რა სისხლში ამოსვრილი, გულ წასული და უწყა-ლოდ დაკოდილი, მწარედ დამტიროდა და ჩემს მოახლესთან ერთად ცდილობდა გონებას მოვეყვანე; მაგრამ მასთან ყაზა-

*) ეს კაჭკაჭოვი სომეხი ყოფილა; პ. ოსელიანი მასზე სწერს: «თვით დედოფალი დასჭრა მკლავში სომეხმა კაჭკაჭაშვილმა, პოლიციის კვარტალ-მან»-ო. (150).

ხები მივარდენ, დასცხეს თოფის კონდახები და ესენიც უმსგავსოდ გარედ გაჰყარეს»...

«ამ დროს მე ნახევრად ვიყავ ტახტზე მიწვენილი, ნახევრად კი იატაკზე ვეგდე»...

«ეს ჩემი უბედურება მოხდა განთიადისას; ჯერ კიდევ ბნელოდა და ჩემს ოთახში სანთელი ენთო; უცებ სალდათები შემოიყვანეს და ჩემს ტახტს გარს შემოარტყეს; კარგა ხნის შემდეგ, მზის ამოსვლისას, ჩემთან, უგრძნობლად გდებულთან, შემოვიდა თბილისის ნაცვალი ერთის ყაზახითა; ამათ მოიტანეს წყალი და დამიწყეს: ყაზახმა პირიდან, ხოლო ნაცვალმა ხელის გულით შხურება და ნელ-ნელა გრძნობაზე მომიყვანეს. შემდეგ თ-დი დიმ. ორბელიანი მოვიდა და უბრძანა: ავეყვანეთ ტახტიდან და საბანზე დავეწვინეთ; ამწიეს და ჩამსვეს ტახტრევანში, რომელიც ლაზარევის დროშკაზე იდგა. შემდეგ ნაცვალი გავიდა, გამოიტანა გასისხლიანებული ბალიში და თავ ქვეშ ამომიდო; ამის მნახველნი ჩემი ქალები, რიფსიმე და გაიანე ჩამოცვივდენ ზედა სართულიდან; მათთან ერთად ჩემი ფრეილინებიც და უზომოდ მტირალნი თმებს იგლეჯდენ ამ ჩემს უბედურებაზე; მაგრამ უცებ ჯარისკაცნი კონდახებით მათაც დაერივნენ და სახლში შეჰყარეს. შემდეგ ჩასვეს ჩემი შვილები დროშკაში და წაიყვანეს; და რა ნახეს ჩემი შვილი ირაკლი ასე საშინლად მოტირალი, ჩამისვეს ისევ და ჩემთან დააჯინეს»...

«ამ დროს მოიყვანეს 40 თუ 60 კაცი მუშა, რომელთაც ამწიეს და წამიღეს; ჩემი ჭრილობებიდან, რომელიც ჯერ კიდევ შეხვეული არ მქონდა, მათ სისხლი ენთხეოდა».

«ამ დროს ფრიად ბევრმა ხალხმა მოიყარა თავი: ყველგან ქუჩებში და ბანებზე; აქ იყვნენ, როგორც უცხოელნი, ისე თბილისის მცხოვრებნი და რუსნი, რომლებიც უცქეროდენ უწყალოდ სისხლის ნთხევას ჩემის ჭრილობებიდან.

«ესენი მწარე ხმით სტიროდენ, იგლეჯდენ თმებსა და იხოკავდენ მკერდსა, გვხედავდენ რა მე და შვილთა ჩემთა ასეთს საშინელს ყოფაში; ჯარისკაცნი თუმცა ერეკებოდენ ხალხს, მაგრამ ის მაინც არ გვეშვებოდა და გუნდ-გუნდად თან მოგვდევდა; მათთან ერთად მთელს ვერსზე სამღვდელოება მოგვდევდა; ბოლოს ჯარის კაცთაგან უკუ ქცეულ იქმნენ. როცა ვერა-

ზე მიმიყვანეს, მაშინ ზემოდასახელებული მკურნალი, თათულა, ციციანოვისაგან ნაცვალთან ერთად გამოგზავნილი, მოვიდა ჭრილობათა შესახვევად და რაკი მათ სხვა ვერა იშოვეს რა შესახვევად, გამოართვეს ერთს ყაზახს, თუ ჯარისკაცს, ტილოს სქელი ნაჭერი და იმით შემიხვიეს ჭრილობა... ამ დროს ექიმმა თათულამ პირველად გამიცხადა: «ლაზარევი მოკლულიაო-ო... ვფიცავ, მანამდე მე ამისი არა ვიცოდი რა და მე ეს ამბავი პირველად ვერაზე შევიტყვე*).

«ასე უბედურებას და სავალალო ამბებს მე არასდროს არ მოველოდი, რადგან მჭონდა ღრამოტა ხელმწიფე იმპერატორ პავლე პირველისა, რომელიც მშვიდობიან ცხოვრებისათვის მაიმედებდა ჩემთვის და ჩემი წვრილი შვილებისათვის... მით უმეტეს, როცა განსვენებულმა მეუღლემ ჩემმა დაგითმოთ თქვენს იმპერატორობით უმაღლესობას ორი სამეფო და თვისის უკანასკნელის წერილით ძლიერს თქვენს მფარველობას ცოლი და შვილნი მისნი მიანდო, და იმის მოლოდინში, რომ ციციანოვის მიერ მოყენებულ ამდენ ტანჯვა-წამებას შემდეგ თქვენის იმპერატორობის უმაღლესობისაგან მრავალ წყალობასა და ნუგეშს მივიღებდი, ვორონეჟში ჩასვლისას ღუბერნატორმა 13 ივნისს საშინელი ბრძანება გაგვიცხადა, რაც მე და ჩემთ შვილთ შთანთქმას და დაღუპვას გვიქადის...

ვიწყეველი ჩემს ბედს; ჩემი ნაგვემი სხეული დაკოდილია მრავალთაგან უწყალოდ, და ნათრევია უღმრთო ხალხისაგან; და მე მოკლებული მამულთა ჩემთა, რომელიც თუმცა არც ისე დიდია, მაგრამ ნაცვლად ამისა, შემკობილია მშვენიერის წყლებითა, უსუფთაესი ჰავითა და უხვი ნაყოფიერებითა... მოკლებული ვარ აგრეთვე საერთო საფლავს ჩემს საყვარელ ქმრის გვერდითა, მოშორებული ვარ სვეტიცხოველსა და ჭრისტეს ძალსა მცხეთის საკრებულო ტაძრისას... ამასთანავე — ჩემს მოხუცებულ, მოხრილ მშობელთა, ჩემთა ძმათა და დათა...

«ჰოი, უბედურებავ! როცა ცილის წამებით იძიება სისხლი

---

*) შესაძლებელია, გონება არეულ დედოფალს მართლაც არ სცოდნოდა, თუ მისმა ხანჯალმა ლაზარევს სასიკვდილო ჭრილობა მიაყენა.

ერთის ათასეულის უფროსისა, ხოლო ჩვენ არც კი ღა ვიხსენიებით»...

«ჩვენ, ქვრივი საქართველოს მეფისა, დაჭრილი, დასახიჩრებული, ექვსი ბატონიშვილებითურთ, ღირსება აყრილი აქ მოუყვანივართ, რათა ახალს განსაცდელს მივეცეთ»...

ასე შესჩიოდა დედოფალი რუსეთის ხელმწიფეს, რომელსაც მეფე-ბატონმა ორი სამეფო და ოჯახი თვისი, **ვით მფარველს ჩააბარა**... ეკითხებოდა ზეცას, თუ სადაა სამართალი იქ, საცა «ცილის წამებით **იძიება სისხლი ერთი ათასეულის უფროსისა** (ლაზარევისა), **ხოლო ჩვენ ყველანი არც კი ღა ვიხსენიებითო**»-ო.

და ყველა ამ უბედურებათა შემდეგ დედოფალს ფიცხელი განკარგულება დახვდა ბელგოროდის მონასტერში გადასახლების შესახებ.

არც იმპერატორმა, არც ქვრივმა დედოფალმა (ხელმწიფის დედამ) და არც პეტერბურგის მიტროპოლიტმა ამ ცრემლებიო, და ვაებით სავსე მიმართვას ყურადღება არ აღირსეს და დედოფალი ძალად ბელგოროდის მონასტერში პატიმრად მიავლინეს. (151).

21 ივნისს 1803 წ. (151ა) დედოფალს უკვე ბელგოროდში ვხედავთ; აქედან ის თვის სიძეს, სარდალ ასლან ორბელიანს გულსაკლავ წერილს სწერდა, რომელსაც ჩვენ ქვეყით მოვიტანთ.

*

ამ ამბებზე დავით ბატონიშვილი სწერს:

...«და დააპატიმრეს დედოფალი მარიამ ძეებითურთ თვისით მონასტერსა შინა ბელღოროდისა, რომელიცა არის კურსკის ღუბერნიასა, ვინაიდან განუნახველობითა თვისითა ციციშვილმან შეამთხვა ესე, ვითარცა ძვირი სახლსა სამეფოსასა და დასდვა სირცხვილიცა დიდი რუსეთსა»... (152).

ასე უწყალოდ დაატოვებინეს დედოფალს მისი ოჯახითურთ საყვარელი სამშობლო; მაგრამ მისი გული, მისი ოცნება და სიყვარული არასდროს მოშორებია თბილისს, მის სასახლეს და სიონს. გარდა ერთის ცნობისა (153), რომელიც ჩვენ დაწვრილებით სხვა ადგილას მოგვყავს, რაიმე სხვა მასალას ჩვენ

ვერ შევხვდით დედოფლის ცხოვრების შესახებ ბელგოროდის მონასტერში.

როგორც ირკვევა, დედოფალს ბელგოროდში თან გაჰყვნენ შვილები: ჯიბრაელ, ილია, ოქროპირ, ირაკლი, თამარ და ანა; მისი ამალა კი შესდგებოდა თავად ზაქარია გურამიშვილისაგან, ნიკოლოზ ბარათაშვილისაგან და თავად ალექსანდრე რუსიშვილისაგან; ამათ გარდა დედოფალს ეახლენ აზნაურნი: გივი საგინაშვილი, იოსებ მელვინეთ-უხუცესი, ზაქარია ალექსიშვილი, ნიკოლოზ მელვინეთ-უხუცესი, სოლომონ ტანიაშვილი, იოსებ ჭარაშვილი, დავით სვანიძე და იოსებ მანსუროვი. მსახურთაგან დედოფალს თან ხლებიან: ივანე ფინდურაშვილი, ივანე ნალეკარაშვილი, ბეჟან ოქროაშვილი და ავეტიქ სიმონოვი, ხოლო ქალებიდან: ანა, თამარ, მარინა და თინათინ.

აქვე გვინდა მოვიყვანოთ სია იმ პირთა, რომლებიც ეახლენ ბატონიშვილ ბაგრატს და მის მეუღლეს ეკატერინე დურმიშხან ჩოლოყაშვილის ასულს; ესენი არიან: სოფიო ჩოლოყაშვილისა და დავით ჯავახიშვილი; აზნაურები: ზაქარია წინამძღვრიშვილი, დავით ბექთაბეგიშვილი, მართა (გვარი არაა მოხსენებული) და დიაკვანი დავითი; ხოლო მოსამსახურეთაგან: ივანე, იაგარი, ნინია და ფარეში ანა. (154).

სამწუხაროდ, არც ერთის ამათის ბედი წყაროებიდან არა სჩანს. და რამდენი იყვნენ მათ შორის, სამეფო სახლის წევრებზე რომ არაფერი ვსთქვათ, განათლებულნი, აღუურვილნი საერო, თუ სასულიერო ცოდნითა; ალბათ არა ერთს მათგანს ჩაუწერია დედოფლის და ბატონიშვილთა გარდასახლების ხანიდან მრავალი რამ საყურადღებო და დამახასიათებელი — მათ ფიქრებზე, ოცნებაზე, დაკარგულ იმედებზე და ქართლის მწარე ბედზე; მაგრამ დღეს მათი საფლავები სდუმან, და აქაიქ დაშთენილი და შემთხვევით შენახული ნაშთები, თავის მომჩიბლავ ვარაყს მონასტრის ნესტისგან და მტვერის ქვეშ თან და თან ჰკარგავენ.

ბელგოროდის ტყვეობის ხანიდან ჩვენამდე მხოლოდ ორიოდე წერილს მოუხწევია. მათში პირველია, ბელგოროდიდან მიწერილი სიძე ასლან ორბელიანისადმი, რომელიც მრავალ

ზრივაა საინტერესო და ამიტომ გვინდა უკლებლივ აქ მოვიყვანოთ*).

«დედოფალი მარიამი მოკრძალებით მოგესალმებათ. თქვენი წერილი 22-დან ბელგოროდში მომივიდა და აქედან შევიტყვე ყოველივე, რაზედაც მწერდით. რად ჰქენით ეს, რომ არ გამომიგზავნეთ პირი ჩვენის წერილისა, ხელმწიფის წერილისა და ჩემის წერილისა ციციანოვისადმი და თუ რა პასუხი გაგეცა მან ჩემს წერილებზე. რად არ გამომიგზავნეთ იმ წერილების ასლები? აგრეთვე ასლები იმ წერილთა, სადაც ის გვწერდა, თითქოს მას ჰქონდეს ნაბრძანები — ჩამომართვას მე მამული, და თუ რა პასუხი გავეცი მაშინ ამაზე. აგრეთვე — რასაც მე მწერდა ცინცკარაშვილიანთ (?)- მამულზე, რათა ეს მამული დროებით თ-დ დიმიტრისათვის გადამეცა და რაიც მე ვუპასუხე ამაზე: რომ მამულები უკვე ჩამომართვით და აწი კიდევ რაღას მეკითხებით-თქო. და აგრეთვე ის, რომ პირადად ჩემთან დააბარა, თითქოს ბრძანება აქვს ძალად «წამათრიოს» რუსეთს და რაც მე ამაზე ვუპასუხე: რომ ხელმწიფისაგან არ არის ნაბრძანები, რომ ჩვენ მოგვკლან და ისე წარგვგზავნონ; ყველა ეს წერილები და პირები ამ წერილთა და აგრეთვე იმ წერილთა, რაიც მას გავუგზავნეთ და რომელთა შესახებ კარგად უწყის ირეთეოზი. როგორც კი მოახერხოთ ყველაფერი მომაშველეთ; ისინი ჩვენ გვჭირია, გადმოუგზავნეთ მოზდოკში მღვდელ-მთავარ იოანეს... ანუ გამოაყოლეთ თქვენს წერილს სტეფანე აუშტროვისადმი. სადაც არ უნდა ვიყო, ისინი იქ მომაწვდიან. გთხოვთ აგრეთვე საერთოდ ყველა წერილების ასლი, რაც მოიპოებოდეს და კერძოდ, ყველა მისგან (ციციანოვისაგან) მოწერილის ასლები მომაწოდოთ და ამასთან თქვენი ჯანმრთელობის ამბებიც გვაუწყოთ.

«ჩვენ ამჟამად აქ, ბელგოროდში ვიმყოფებით და **იმედი მაქვს მოკლე ხანში გავემგზავრებით პეტერბურგში»...**

---

*) წერილის ორიგინალი, სამწუხაროდ, დაკარგულია; ჩვენ ამას იმ უხეირო რუსულ თარგმანიდან, რაიც «აქტ»-ებშია მოყვანილი, კვლავ ქართულად ვთარგმნით ისე, როგორც ზევით მოყვანილ ვრცელ წერილს დედოფლისას იმპერატორისადმი.

როგორც ვხედავთ, დედოფალი მხნედ იცავს თავს, ჯერ კიდევ არ დაკარგვია იმედი, რომ საქართველოზე და მის სამეფო ოჯახზე მომხდარი უსამართლობა ბოლომდე დაუსჯელი არ დარჩება, რომ პეტერბურგში და მოსკოვში მყოფი ბატონიშვილები და გულშემატკივარნი: პეტრე ბაგრატიონი, სერ. ლაშქარაშვილი და თუნდ რუსეთის დედოფალი და მინისტრები, დედოფალ მარიამს ერთგულების და სიყვარულის წერილებს რომ სწერდენ, ყველა ესენი, რუსის იმპერატორს თვალებს აუხელენ, ციციანოვის ვერაგობას დაანახვებენ და იმის ნებას მაინც მისცემენ ყოფილ დედოფალს, რომ პეტერბურგში შვილებთან და ახლობლებთან გაატაროს გარდასახლების მწარე წლები...

ამიტომ ითხოვს დედოფალი, რომ სარდალმა და სიძემ ასლანმა მას ციციანოვთან მთელი მიწერ-მოწერის პირები მიაწოდოს; მას სჯეროდა, თუ ხელმწიფე ამ მიწერ მოწერას გაეცნობოდა, ციციანოვს სათანადო პასუხს მოსთხოვდა. შემდეგ დედოფალი ასლან ორბელიანს აუწყებს, რომ «მე და ჩემი შვილები და ყველა ჩვენი მხლებლები მშვიდობით ვიმყოფებით და გთხოვთ მოახსენოთ ჩვენს დედას, გადასდოს საჭირო თანხა, რათა ჩვენთვის ილოცონ და გადაიხადონ წირვა: 40 წირვისათვის მისცეს ანჩისხატის წინამძღვარს, 40 წირვისათვის ჩვენი სასახლის ეკლესიისათვის უბოძოს ონისიმეს, გიორგის და იოსებ მოძღვართ, ამასთან გადაუგზავნოს წირვისათვის მეტეხს და მარტყოფს, საცა ხელთუქმნელი ხატი ასვენია. ამ ტაძართა მოძღვრებს გაუგზავნოს 40 წირვისათვის. აგრეთვე ვთხოვ გადაიხადონ 40 პარაკლისი ღვთისმშობლის წინაშე და სანთელ-საკმეველი შესწირონ. ვთხოვთ ყველა ეს გაიღოს საყვარელმა დედამ და მხურვალე გულით შეავედროს უფალს თავი ჩვენი. ვთხოვ ამასთან წმიდა გიორგის ტაძარს თელავში წარუგზავნოს ათი წირვისათვის, ალავერდს — 40 წირვისა და სთხოვოს გოგის ოჯახსა, რათა ისინი ხშირად წავიდენ და გადაიხადონ იქ პარაკლისი. ამას გარდა გაუწყებთ, რომ არ მოგვეპოება ქართული წიგნები. აქ ისინი მეტად გვეჭირება და გთხოვთ მოგვაწოდოთ სხვა და სხვა წიგნები, მხედრული და ხუცური და აგრეთვე წიგნი იოანე დამასკელისა, ყველა ეს წიგნები, როგორც კი მოახერხოთ, სასწრაფოდ გა-

მოგზავნეთ; ზემო აღნიშნული შესაწირები უეჭველად უნდა უბოძოს დედამ. სახარება და სხვა აღნიშნული წიგნები წაუღეთ კომენდანტსა; გადაუხადეთ საფასური და სთხოვეთ გადმოგზავნოს ფოსტით. ხოლო ჩემი აღნიშნული წერილები და ასლები **საიდუმლოდ** და ბეჭდით უნდა მომაწოდოთ. ზედ რუსულად უნდა დააწეროთ და გადაუგზავნოთ მოზდოკში იმ პირთ, რომელთა ვინაობას ზევითა გწერდით.

ჩემი ერთად-ერთი ნუგეში ისაა, რომ მივიღო თქვენი და ჩემი მშობლების ამბები; ეცადეთ ხშირად გვწეროთ; წერილი გადაეცით ივ. კოვალენსკის, ის დასწერს ზედ (რუსულად) და გადმოგზავნის.

მკერავ სვიმონთან ინახება მოსასხამი გამდელისა, — გთხოვთ გამოართვათ და დედა ჩემს გადასცეთ. ფული, ჯერ თუ არ ჩამოურთმევიათ, გამოართვით და ისიც დედა ჩემს გადაეცით, — ის შეუნახავს გამდელსა»... (155).

ასეთია ეს გულსაკლავი წერილი დედოფლისა, საცა ის ცდილა მასზე დატრიალებული რისხვა ზეცისა მოალბოს და არა მარტო თვითონ ეეედროს ამაზე უფალს, არამედ საქართველოს უძველეს ტაძრებში უნდა გაისმოდეს ეს ვედრება.

ჩვენ არ ვიცით, მიიღო დედოფალმა ეს წერილები და საბუთები და გამოადგენ ისინი რამეში, თუ არა? გვგონია, რომ არა, რადგან არც დედოფლის, არც მისი შვილების და არც დანარჩენ მხლებლების ბედი მრავალ წელთა შემდეგაც არ შეცვლილა; და ბელგოროდში უფერულად და ზანტად მიდიოდენ დღეები, თვეები და წლები; ამ დროს დედოფლს და მისი ამალის ერთად-ერთი ნუგეში ალბათ ის ქართული წიგნები იყო, რომელსაც ასე გულმხურვალედ ეეედრებოდა დედოფალი თვის სიძეს, ასლანს.

ბელგოროდის ტყვეობაში მყოფი დედოფალი მწუხარებით დაავადებულ გულს ძველ წიგნების კითხვის გარდა იმათაც იოხებდა, რომ მისებრ გადმოხვეწილ და დევნილ სამეფო კარის წევრთ წერილებს სწერდა და მათ ვინაობას ტყობილობდა, მაგრამ, როგორც ზევით აღვნიშნეთ, სასტიკ თვალყურის დევნების ქვეშ მყოფი დედოფალი, გულის ნამდვილ ნადებს და იდუმალ ზრახვებს მხოლოდ მასთან საგანგებოდ წარმოგზავნილ პირთ თუ გაანდობდა. იმ წერილებიდან, რომელთა

სულ მცირედი ნაწილია დღეს გადარჩენილი, ჩვენ მოვიყვანთ მხოლოდ ორს, რაიც პროფ. ალ. ცაგარელს გამოუქვეყნებია თვის «სვედენიაი»-ში... ეს წერილები მიმართულია ფარნაოზ ბატონიშვილის მეუღლის, ანა ერისთავის ასულისადმი (156).

ეს ღირსეული ქალი, წარჩინებულ ჭსნის ერისთავის, გრიგოლის ასული, იყო მეუღლე ფარნაოზ ბატონიშვილისა და რძალი დიდი ერეკლესი. მისი ბედი ისევე მწარე და გულსაკლავი გამხდარიყო დედოფალ მარიამისათვის, როგორც საკუთარი.

ფარნაოზის მეუღლეც ოთხი წვრილი შვილებით რუსეთმა ვორონეჟში გადაასახლა 1804 წლის აჯანყების ჩაქრობის შემდეგ. გავიხსენოთ ორის სიტყვით საქართველოს ამბოხების ეს ამბები, რაიც დედოფალ მარიამს გადასახლების დროს შიკრიკების მეშვეობით მიდიოდა და რაც მის განაწამებ გულს, მონასტრის ზღუდეებში პყრობილს, ასე აღელვებდენ...

1804 წლის აჯანყებას, როგორც ვიცით, ხელმძღვანელობდენ იულონ და ფარნაოზ ბატონიშვილნი, რომლებიც ადრე იმერეთში გახიზნულიყვნენ და სოლომონ მეფის დახმარებით იღვწოდენ საქართველოს სამეფოს და ტახტის გადარჩენისათვის. მალე ისინი რაზმებით ქართლში შეიჭრენ და ხალხი აამხედრეს. ამ დიდმა ამბოხებამ, რაიც ჩვენს მატიანეში «მთიულეთის ამბოხების» სახელწოდებით შევიდა, (იხილეთ ამაზე სპეციალური შრომა ა. ფრონელისა: «მთიულეთი») დიდად გაურთულა საქმე რუსეთს.

ბატონიშვილ ფარნაოზის ძლიერი რაზმები ღრმად შეიჭრენ საქართველოში, აიღეს დუშეთი, ანანური, ფასანაური და სხვა ციხეები. რუსის ჯარს მალე დარიალის გზა მოჭრილი შეექმნა და მთავარმართებელს მოადგილე ბ. ვოლკონსკი იმპერატორს აუწყებდა რუსის ჯარის უმწეო მდგომარეობის შესახებ.

ღენ. ციციანოვს ამ დროს კავკასიის მთავარი ძალები ერევანთან დაეგროვებინა და ციხის დაცემას ელოდა; ამ მდგომარეობით ისარგებლეს ბატონიშვილებმა და ქართველობას რუსების განსადევნად დიდ აჯანყებისაკენ მოუწოდეს. ღენ. ციციანოვმა ერევნის ძიებაში, კინაღამ მთელი საქართველო არ დაჰკარგა... მან ხელმწიფის «რჩევით» სწრაფად მოხსნა ერე-

ვანს ალყა და მთელი ჯარები მთიულეთს მიაყარა. მდგომარეობა იმდენად კრიტიკული იყო, რომ თბილისსაც დიდი საფრთხე ელოდა. ფარნაოზ ბატონიშვილმა თვისი რაზმებით ათ ვერსზე ჩაუარა თბილისს. «ქალაქი, რომლის კედლები ზარბაზნებით იყო მოფენილი, ყოველ ღამე ელოდა საშინელ თავდასხმას»-ო, — სწერდა 30 სექტემბერს 1804 წ. ხელმწიფეს ღენ. ციციანოვი.

და აი, ამ დროს რუსის აუარებელ ჯარების შეტევას, გააფთრებულ ციციანოვის მეთაურობით, «მთიულეთმა» ვეღარ გაუძლო და აჯანყებაც ნელა დასცხრა...

თუმცა მთას 1805 წლ. გაზაფხულზეც არ დაეყარა მთლად იარაღი და ციციანოვი, ანთებული ბრაზით და შურისძიებით გუდამაყრელებს სწერდა: «დამნებდით, დააჩუმეთ იარაღი, თორემ, იცოდეთ, მალე მანდ ქვას ქვაზე აღარ დავტოვებ»-ო... (157).

ღენ. ციციანოვმა ორთავე ბატონიშვილები თუმცა ადრევე ჩაიგდო ხელში (იულონი 24 ივნისს 1804 წ., ხოლო ფარნაოზი — ოქტომბერში 1804 წ.), მაგრამ მან მაინც ვერ გაბედა მაშინვე მათი გადასახლება... საამისო მზადებამ 1805 წლის აპრილამდე გასტანა.

მთიულეთის სხვა და სხვა ადგილებში ცალკეული რაზმები ჯერ კიდევ თავდადებით იბრძოდენ ბატონიშვილთა დასახმარებლად და ამ დროს დარიალზე ტყვე ბატონიშვილთა გადაყვანა მეტად სახიფათო გამხდარიყო.

მთიულეთის აჯანყების მეთაური, მართალია ღენ. ციციანოვმა ღალატით ხელთ იგდო, მაგრამ მის დიდ თავგანწირვას საქართველოს დროშაზე შეფიცულნი არ ივიწყებდენ.

რუსეთის და ციციანოვის ერთგულნი ეხლა ამ დაუცხრომელ მთას დამშვიდებას «ურჩევდენ», ყველაფრის დავიწყებაპატიებას ჰპირდებოდენ და მეთაურებს დიდ წყალობებს აღუთქვამდენ; ოღონდ ამ აქა-იქ დაშთენილ რაზმების შემოტევები დაეცხროთ და რუსის ჯარის უშიშროება უზრუნველეყოთ.

ღენ. ციციანოვის ერთგული მირშანოზ ერისთავი საგანგებო შიკრიკებს უგზავნიდა მთის ხალხს და «ძმურად» ურჩევდა: დაჰყარონ იარაღი და აღთქმული წყალობანი მიიღონ. მთიულეთი უკვე გასტეხა ციციანოვმა, დიდ რუსეთს, აბა, თქვენ

ვით გაუმკლავდებითო. ამ თქვენმა ბრძოლამ ყოველი აზრი დაჰკარგა მას შემდეგ, რაც თქვენი ბელადი, **ფარნაოზი ციცია-ნოვს ტყვედ ჰყავს თბილისშიო.**

რუსების ერთგულ, განმდგარ მირმანოზ ერისთავისათვის მიწერილი პასუხი მებრძოლთა მეთაურების მართლაც სანიმუშოა; ის არა მარტო რაინდობას და მამულისათვის თავდადებას ამეღავნებს გაუტეხელ მთიულეთისას, არამედ მარად უცვლელ ერთგულებას დიდი ერეკლეს ძის — ფარნაოზისადმი... ჩვენ გვინდა ეს სანიმუშო წერილი უცვლელად მოვიტანოთ.

საქართველოსთვის გაფიცულთა მეთაურნი, ფარნაოზ ბატონიშვილის დიად საქმეთა გამგრძელებელნი, ბარამი და გედევან თ-დ მირმანოზს 1804 წლის დეკემბერში მის «მამაშვილურ რჩევათა» საპასუხოდ სწერდნენ:

«მებოძა თქვენ-მიერი წერილი, რომელმაც რომ გული და გონება ჩვენი განგმირა და იფიქრე ჩემის ხელმწიფის მეფის-ძის ფარნავაზის დაჭერის ხმა, რაგვარი საბაითოს ხმის მოწევნადი არის და ვაი სასმენელთა ჩვენთა! და **მწყალობლობა** მეგობრობითი **გებრძანათ;** შენ ნუ მომიკვდები, თუ ფარნავაზ ბატონისშვილი არა მყავს, ჩალად მჩანს ყოველი ქვეყანა, მისთვის-ვე შემიწონია. თუ ქრისტიანი ვართ, ვერც ხმალი, ვერც ცეცხლი, ვერც წყალი და ვერც სხვა რამ განმაშორებს და განმდრეკს მის სიყვარულზედ და თუ იმისის გულისათვინ კიდენ ერთს წელიწადს ხმალს არ ვიქნევთ, რა სიყვარული არის? და თუ იმის ერთგულებაზედ დაგვხოცს ვინმე, ასე მგონია ღვთის მოწყალებით სასუფეველი მზა არს ჩვენთვის.

«გებრძანათ: ამის უარესად თქვენს თავს ნუ გააუბედურებთო; **და ფუ, ჩვენს კაცობასა, რომ თუ ფარნაოზ მეფის-ძე გაუბედურდება, ჩვენთვის სიკვდილი სანატრელი არ იყოს.** ასე მოხსენდეს თქვენს მაღალ-ბრწყინვალებას, — ჩვენც ამ ხეობაში ერთი ამათთანა მოძმე გახლავართ და გაფიცულნი გახლავართ: თუ გარიგება იქნება, ჩვენ და ეს ხეობაც ერთათ გავრიგდებით.

ვიცი მწყალობ, მაგრამ თუ მესვრიან, მეც ვესვრი, — ასე არის ჩვენი საქმე. როკამდის, კუდარომდის, ქურთაულამდის და ჩერქეზამდის გზა გვაქვს სავალი, არ გვეშინიან ჯარის მოსვლისა: აქ რომ მოვა ზეით წავალთ.

«მარამ თქვენ რომ ჩვენთვის აგრე «მწყალობელი» ბძანდებით, ვიცი ადრითი საქმე მოგგონებია, ვითა მას ერთსა ხელმწიფესა ჯამი იგავად, — მარამ **ვაი თუ არც ამ ისტორიისა მოგხსენდებოდეს.**

«რა ვქნა, ჩემო ხელმწიფევ, **თუ ფარნაოზ დაიჭირეს, — ალექსანდრე, თეიმურაზ და ლევან ხომ ისევ არიან** და თუ ფარნაოზ ამ განსაცდელს შემთხვევია, ჩვენთვის სიკვდილი სანატრელია. ჩვენ მოგახსენებთ პირ აქეთ გარდმოიხედოთ, **სულ აგრე არ იქნება,** შენ ნუ მომიკვდები. ვითხოვთ არ უგულებელს გვყოთ და თუ მართალია, ბატონი-შვილის ნაწერი ბარათი გვებოძოს თავისის პატარა ბეჭდით დაბეჭდილი: «წამოდითო, ქალაქს ვიმყოფებიო», და ჩვენც ყელზედ ხმალს დავიკიდებთ და ისე შენ გიახლებით, თუნდა შენ დაგვხოცე და თუნდა ციციანოვმა, — ნება თქვენი აღსრულდეს და ამ ხეობასაც შემოგირიგებთ, როგორც თქვენი ნება არის. **საცა ათასი სული კაცი კაცთან მოკვდება, იქ რომ კაცი განდრკეს, წაწყნდება.** ჩვენი მოხსენება ეს არის და სხვას ჩვენს სიტყვას ეს უფროს-უფროსი კაცნი მოგახსენებენ».

როგორც ვხედავთ, ღენ. ციციანოვმა და მისმა ერთგულმა მირზ. ერისთავმა აჯანყების სული ვერ გასტეხეს... ბრძოლა მაინც გაგრძელდა...

სამწუხაროდ, ამ ამბებზე ეხლა მეტს ვერ შევჩერდებით და გადავალთ ბატონიშვილ ფარნაოზის და მისი ოჯახის დამოკიდებულებაზე დედოფალ მარიამთან 1804 წლის შემდეგ.

ბატონიშვილის დამარცხების და მისი ვორონეჟში გადასახლების ამბავი დედოფალს ბელგოროდში შეუტყვია. უნდა ვიფიქროთ, რომ ამ დროს სამღვდელო პირებს და ზოგ შიკრიკებს მიუტანიათ დედოფლისათვის დაწვრილებითი ამბები მთიულეთის აჯანყების დამარცხებისა და ფარნაოზ ბატონიშვილის შეპყრობისა, რაიც 1804 წ. ოქტომბრის დამლევს მომხდარა.

როგორც ვიცით, ბატონიშვილი ფარნაოზ მცირე რაზმით (31 კაცით), რომელთა შორის იყვნენ ალექსანდრე ჭავჭავაძე (გარსევანის ვაჟი, მგოსანი), არქიმანდრიტი იოსტოს ანდრონიკაშვილი, ნინია თარხნიშვილი, ნ. ანანიაშვილი, დ. ვახვახიშვილი, გ. ნათალიშვილი, ნ. დუჩაძე, ზაალ კობიაშვილი და სხვა-

ნი, გაცემულ იქნენ დემურჩალელ თათრის მიერ, და ღამით შეპყრობილნი. ღენ. ციციანოვმა იულონი ოჯახითურთ ტულაში გადაასახლებინა, ხოლო ფარნაოზი ცოლშვილით და მსლებლებით — ვორონეჟში. მან ეს უკანასკნელი მეტად მძიმე პირობებში წარგზავნა, რადგან ფარნაოზმა თვისი სიამაყე არ დააგდო და ყოველგვარ «დახმარებაზე»: თბილი ტანთსაცმელით და ფულით სასტიკი უარით უპასუხა ციციანოვს...

დედოფალი მარიამ ამ საყვარელ ოჯახის ბედით დიდად დაინტერესებული იყო და, რამდენადაც ახერხებდა, მათთან ურთიერთობა არ გაუწყვეტია და ნუგეშს აწვდიდა ბატონიშვილს და მის ოჯახს გადასახლების წლებში. ამავე დროს დარეჯან დედოფალსაც ახლო მონაწილეობა მიუღია საყვარელ შვილის უმწეო მდგომარეობაში და რამდენჯერმე ფულიც მიუწოდებია მისთვის ვორონეჟში. (158).

დედოფალ მარიამს საპასუხო წერილში, რომელიც მას 30 ოქტომბერს 1805 წ. საყვარელ რძალ ანასათვის მიუწერია, დიდი სასოება და ერთგულება გამოსჭვივის მისდამი და საერთოდ ბატონიშვილ ფარნაოზის დევნილ ოჯახისადმი.

დედოფალი მარიამი სწერდა:

„უგანათლებულესო მეფის სძალო ანნა, წარსულთა თვეთა წერილი თქვენი მივიღე, რომლითაცა ვსცან საამო — სიმრთელით დაცვა თქვენი. გარნა მსოფლიო კვეთებითთა განსაცდელ **შემთხვევათა აღრევანი და უნებლიათი ცვალება** და უგანათლებულესობისა თქვენისა საჩვეულებო შვების მოკლება, და უშესაბამო დგომასა მყოფობა თქვენი — **დიდ სიმძიმეღ და ჭმუნვად აღმიჩნდა... მწუხარება მეუფლა და ცრემლსა ცრემლვა დამერთო**“.

დედოფალ მარიამს ეს ახალი „მწუხარება და ცრემლვა“, რაიც ძველს „თან დაერთო“, გამოუწვევია არა მარტო ფარნაოზ ბატონიშვილის ოჯახის ბედს, არამედ უმთავრესად იმას, რომ ამ ერთი წლის მანძილზე საქართველოს განთავისუფლებისათვის მომხდარი მეორე შეთქმულება და აჯანყება ისევ დამარცხდა და ტახტის აღდგენის იმედები დაიმარხა. იგივ მთიულეთი, ერთგული ბაგრატიონთა, გუშინ უკანასკნელ დედოფალს რომ მისტიროდა, დღეს საყვარელ ერეკლეს შვილს, ამაყსა და უტეხ ბატონიშვილს ფარნაოზს გულის ტკივილით

იგონებდა და მის ეკლიან გზას თვალს არ აშორებდა... მოღალატე ციციანოვის შურის ძიება მთას ახალ ბრძოლებისათვის უხმობდა, მაგრამ ვაი, რომ ის ძველი და სახელოვანი ხრმალი მას ღალატით გადაუმტვრიეს...



ანა ერისთავის ასული,
მეუღლე ფარნაოზ ბატონიშვილისა

დამარცხებულ სამშობლოს ახალი გოდება ბელგოროდის მონასტერსაც აღწევდა და დედოფალი ტყვედ ქმნილ რძალს და მისი სახით მთიულეთის სახელოვან რაინდს, ფარნაოზს სწერდა, რომ ამ თავზარდამცემმა ამბებმა და ზედ დაყოლილმა დარდებმა დედოფალი მძიმე ავად გახადეს, ისე «რომელ სიკვდილად განწირული შევიქენ და შემდეგ ღვთის სიბრალულით მოხდა ჩემი მობრუნება»-ო...

ამ წერილებიდან ირკვევა, რომ დედოფალს კავშირი არ შეუწყვეტია არა მარტო პეტერბურგში და სხვაგან მყოფ ახლობლებთან, არამედ საქართველოსთანაც. მეორე წერილიდან, რომელსაც ქვევით მოვიყვანთ, ვტყობილობთ, რომ ფარნაოზის მეუღლის მიერ წარმოგზავნილ მღვდელს, რომელსაც ეროსნეჟში მყოფთა ამბები მოეტანა, იქვე განუცხადებია დედოფლისათვის, რომ ის **საქართველოში მიემგზავრებოდა.** დავუბრუნდეთ დედოფლის პირველ წერილს.

30 ოქტომბერს 1805 წლისა ბატონიშვილ ფარნაოზის მეუღლეს დედოფალი სწერდა.

.... «აწიდგან განძლიერდა ვნებითი მტკივნეულობა ჩემი, ვინაიდან ვხედავ განგებასა გაელმებულსა და სვისა უკუნქცევასა, და, საუბედუროდ, კვლა აღდგომილსა ვნებასა ჩემზედა, რომელ ყოვლით კერძო საიმედო შვებისაგან დამაკლო: ამიერიდგან სევდისა მრეწელი — ვინაჲთ ველოდე ღხენასა, კაცობრიეის შემწის უპოვარი, თვინიერ მღვრთისა?

«სხვას მწუხარების გარდა, შვილების ხედვასაც მოვაკლდი, და არა ვუწყი, თუ რომელითა ვითარებითა იყოფიან.

„ჩემი ვითარება რაღა მოგახსენო, **თვითცა სცნობთ**... ამ ჟამად დიდად ავად გავხდი, აჲე რომ **სიკვდილად განწირულა ვიქმენ** და აღარც სიცოცხლეს ვგონებდი». (159).

მეორე წერილით (26 მაისისა 1806 წ.) დედოფალი მარიამი იმავ ფარნაოზის მეუღლეს, ანას მიმართავს და წერილისათვის მადლობას უძღვნის:

«რომლითაც სევდით შეკრულს გულსა ჩემსა ესიამოვნა... ჯერ ბებურიანთ მღვდელი და მერე არონ მღვდელი იყო აქა და თქვენი ამბები გადმომცა ღა ყმაწვილების შეუძლოდ ყოფა... მაგრამ თქვენი უგანათლესობა შვებად ჩვეული და მჭიდრო ცხოვრების გამოუცდელი, წარმოვიდგინე და მწუხარება

ჩემი დამავიწყდა»-ო... ხელს აწერს ასე: — «მრავალ მწუხარებითა მიერ შეიწროებული დედოფალი მარიამ». (160).

დედოფალი, როგორც ჰგავს, დაღალა უშედეგო თხოვნებმა პეტერბურგის დახშულ კარისადმი; მაგრამ მისი შვილები იარაღს მაინც არ ჰყრიდენ, არ სცხრებოდენ...

ბატონიშვილები, ძენი დედოფალ მარიამისა: მიხეილ, ჯიბრაილ, ილია და ოქროპირ ცალცალკე და ხან კიდევ ერთად, უგზავნიდნენ თხოვნებს ხელმწიფეს და მისი გულის მოლბობას ლამობდენ; სთხოვდენ — საბრალო დედოფლისათვის ნება მიეცათ დაბრუნებულიყო ბელგოროდის ტყვეობიდან, თუ საქართველოში არა, მოსკოვში მაინც, — თვის შვილებთან საცხოვრებლად. ბატონიშვილებს, მოსკოვში და პეტერბურგში რომ იყვნენ ძალად დამკვიდრებულნი, სულიერი მოსვენება აღარ უნახავთ იმ დღიდან, რაც მათი დედა და დედოფალი ბელგოროდის მონასტერში პატიმარ ჰყვეს. ისინი ყოველის საშუალებით ცდილობდენ გამოეყენებინათ ნაცნობ-მეგობართა და გავლენიან პირთა დახმარება ხელმწიფის წინაშე, რათა უბედურ დედოფლის მდგომარეობა რითიმე შეემსუბუქებინათ. ალბათ არქივებში მრავალი საამისო თხოვნებია შენახული, რომელსაც ალექსანდრე I-ი, ან მისი მინისტრი მოკლედ აწერდენ — «უარ ეყოსო»-ო.

ეხლა ჩვენ გვინდა გავეცნოთ დედოფლის ცხოვრებას ბელგოროდში ყოფნისას იმ ერთად-ერთ წყაროს საშუალებით, რაიც ერთ რუსულ ჟურნალში მოვიპოვეთ.

•

მარიამ დედოფლის ბელგოროდში ყოფნის შესახებ, როგორც აღვნიშნეთ, მეტად მცირე ცნობებია შემონახული; არც მის შვილებზე და ახლობლებზე ვიცით ბევრი რამ.

არც თუ იმდენად შორეულ ამ ამბების გაგება შეიძლებოდა ბელგოროდის, კურსკის და ვორონეჟის არქივებიდან, განსაკუთრებით კი პეტერბურგის შინაგან საქმეთა მინისტრის მიწერ-მოწერიდან ადგილობრივ ადმინისტრაციასთან და სასუ-

ლიერო მმართველობასთან, რომელსაც ბელგოროდის დედათა მონასტერი ექვემდებარებოდა.

ჯერჯერობით ჩვენთვის ხელმისაწვდომია იმ ორიოდე წერილის გარდა, რაიც პროფესორ ცაგარელს გამოუქვეყნებია, მოკლე ცნობები ისტორიკოს ბუტკოვისა, ბროსესი და ბ. ტანკოვისა რუსულ ჟურნალში — «ისტორიჩესკი ვესტნიკ». ჩვენც ამ უკანასკნელზე შევჩერდებით. ის აგვიწერს ზოგიერთ საინტერესო ცნობებს და გაკვრით მაინც ახასიათებს ბელგოროდში გადასახლებულ დედოფლის და მისი ამალის ამბებს, ცხოვრების პირობებს და გაჭირვებას, მაგრამ ამავე დროს აღნიშნავს მათ განსაკუთრებულ სიმტკიცეს და სიამაყეს. ამ წერილიდან ჩვენ ზოგ დამახასიათებელ დეტალების მოყვანაც დაგვჭირდება. უნდა აღვნიშნოთ, რომ ავტორს უდავოდ მიაჩნია, რომ ხსენებული მკვლელობა თვით დედოფალმა ჩაიდინა; იგი ამბობს, რომ «1803 წ. ყოფილმა დედოფალმა საქართველოსამ ჩაიდინა უსაშინელესი დანაშაული: მოჰკლა ღენერალ-მაიორი ლაზარევი, ხოლო მისმა ქალმა თამარმა, მიუხედავად მისი ყრმული ასაკისა, სცადა საკუთარის ხელით მოეკლა თბილისის პოლიცმეისტერი; უკანასკნელი მართლაც ბეწვზე გადარჩა სიკვდილს... ამის გამო ალექსანდრე I-მა ბრძანა — ორივე დამნაშავე გადაესახლებინათ კურსკის ღუბერნიის სამაზრო ქალაქ — ბელგოროდში, საცა მათ საცხოვრებლად ქალთა ადგილობრივი მონასტერი მიუჩინა.

თანახმად ღენ. ციციანოვის საგანგებო პატაკისა, იმპერატორმა ალექსანდრე I-მა მარიამ დედოფალს და ბატონიშვილ თამარს, თვის ახლობლებთან, იმ ბატონიშვილებთან, რომლებიც პეტერბურგსა და მოსკოვში ადრევე გადაესახლებინათ, გამგზავრების ნება არ მისცა. ამის ნაცვლად ალექსანდრე I-მა მათ განუწესა ბელგოროდის მონასტერში პატიმრად ყოფნა.

ამის შესახებ კურსკის ღუბერნატორს იმპერატორი შემდეგსა სწერდა:

«საქართველოს დედოფალ მარიამს, რომელმაც საქართველოდან გამომგზავრებისას შურის ძიების და მზაკვრული მიზნით ღენერალ-მაიორი ლაზარევი მოჰკლა, და მასთან ერთად მის ასულს, ბატონიშვილ თამარს, რომელიც ცდილობდა მსგავს

დანაშაულის ჩადენას, მათი ოჯახის წევრებითურთ, საცხოვრებლად დაეუნიშნე ბელგოროდის დედათა მონასტერი». (161).

ამის შესახებ მინისტრს შესაფერი მიწერილობანი წარუგზავნია კურსკის და ბელგოროდის არქიერთათვის. ამავე საგანზე უნდა შეთანხმებულიყვნენ ვორონეჟისა და კურსკის ღუბერნატორები, რადგან დედოფალი ვორონეჟიდან ბელგოროდში იგზავნებოდა: ხელმწიფე ღუბერნატორის საშუალებით ბელგოროდის გოროდნიჩს უბრძანებდა: „რათა მას არც დედოფლისათვის და არც ბატონიშვილთათვის (განსაკუთრებულ შემთხვევათა გარეშე), ქალაქიდან გასვლის ნება არ მიეცა, «რისთვისაც უნდა დაუნიშნოთ ზუსტი ზვერვა»-ო. ამავე დროს დედოფლის ყოფაქცევის და საერთოდ მისი ცხოვრების შესახებ ხელმწიფე ხშირ მოხსენებებს მოითხოვდა...

იმპერატორ ალექსანდრე I-ის ბრიანება მოსვლია აგრეთვე კურსკის არქიეპისკოპოზს თეოფილაქტეს (ბელგოროდში მყოფს), რათა ღუბერნატორთან შეთანხმებით გამოერკვია, თუ რაოდენი თანხა დასჭირდებოდა დედოფალს ბელგოროდის მონასტერში საცხოვრებლად. მასვე ევალებოდა დედოფლის ცხოვრების წესისათვის მონასტერში თვალ-ყური ედევნებინა და რჩევა-დარიგებანი მიეცა მისთვის. (162).

შესაფერისი ბრძანებანი მყისვე მისვლიათ ბელგოროდის «გოროდნიჩის» და «ზემსკი ისპრავნიკებს». პირველს, რათა «აღნიშნულ დედოფალს დახვედროდა და მიეცილებინა არქიეპისკოპოსის მიერ მისთვის მიჩნეულ ბინაზე დედათა მონასტერში»; თუ ის მუშებს მოითხოვდა (ალბათ შენობის შესაკეთებლად), დაუყონებლივ მიეცათ ხოლო მაზრის ყველა «ზემსკი ისპრავნიკთ», რომელთა საზღვრებზე დედოფალი და მხლებლები გაივლიდენ, ებრძანათ თავდარიგის დაჭერა, რათა ყველა საფოსტო სადგურზე საკმაო ცხენები მზად ჰყოლოდათ (50 ცხენი თითოულ სადგურზე).

ამავე დროს ბელგოროდის განსაკუთრებული დაცვისათვის გამოწვეული იყო ეგრედ წოდებული «საშტატო კომანდები». ასეთი სიფრთხილე გასაგებია, თუ მხედველობაში მივიღებთ იმ ცნობებს, რასაც ღენ. ციციანოვი პეტერბურგს აწვდიდა დედოფალ მარიამის «ვერაგობისა და დაუნდობლობის» შესახებ...

დედოფლის და მისი მხლებლების საცხოვრებელ თანხის

რაოდენობის გამოსარკვევად საჭირო იყო არქიეპისკოპოს თეოფილაქტეს და კურსკის ღუბერნატორის შეთანხმება; მაგრამ არქიეპისკოპოსი ბელგოროდს ვეღარ შორდებოდა იმის შიშით, რომ შესაძლო იყო დედოფალი თავის მხლებლებით დღე-დღეზე ჩამოსულიყვნენ და ამ დროს, აბა, მონასტრის მოტოვება როგორ შეიძლებოდა?

დედოფლისათვის გამზადებული ჰქონდათ დედათა მონასტრის საუკეთესო ნაწილი; ეს იყო სენაკები, რომელშიაც სცხოვრობდა მონასტრის წინამძღვარი და დანარჩენი სენაკები, რომლებშიაც მონაზვნები იმყოფებოდნენ. ამ სენაკთა გადაკეთებას და წესრიგში მოყვანას სასწრაფოდ შეუდგნენ. ამ ამბების გამო კურსკის ღუბერნატორი საგანგებოდ ჩავიდა ბელგოროდში და თან ჩაიტანა ცნობები დედოფლის ვორონეჟში მიბრძანების შესახებ.

ამ ცნობებიდან ვტყობილობთ, რომ დედოფლისათვის ვორონეჟიდან თან გამოუყოლებიათ საგანგებო მოხელენი. თვით დედოფალს თან ხლებიან: ჯიბრაილ, ილია, ოქროპირ, ირაკლი, თამარ და ანა. ამათ გარდა, რამდენიმე ქართველი თავადი და აზნაური, ქალნი და კაცნი, მოძღვარნი, დიაკონნი და მსახურნი.

ბოლოს ღუბერნატორმა თეოფილაქტესთან ერთად შეადგინა ხარჯთა სია, რომლის ძალით გათვალისწინებული იყო: დედოფლისათვის — 1.460 მან. წლიურად, ხოლო ბატონიშვილ ვაჟთა და ქალთათვის — თვითეულს 730 მან., თავადთ — 365 მან., აზნაურთ — 182 მან. და 50 კოპეიკი, ექიმს — 300 მან., მოძღვართ — 120 მან. ამას გარდა გადადებული იყო თანხები გათბობა-განათებისათვის და სხვა ხარჯი, — მთლად — 11.053 მან. და 50 კოპეიკი.

«დედოფალი, — გვეუბნება ბ-ნი ტანკოვი, — თავისი ამალით ჩამობრძანდა ბელგოროდს 21 ივნისს 1803 წლ., დღის სამ საათზე. როცა ქალაქის საზღვარს მოუახლოვდენ, მათ მიეგებენ გოროდნიჩი და პოლიციის მოხელენი. ჩამოსულთ წინ მოუძღოდა „კარეტა რესორებით». მას მოსდევდა «კალიასკა», შემდეგ ხუთი დიდი ეტლი («კიბიტკა»), ხოლო მათ უკან «ფურგუნ»-ები, დატვირთული ნივთებითა. გოროდნიჩიმ ისინი დედათა მონასტერში მიაცილა. კარეტა შეგრიალდა მონასტ-

რის ეზოში და სახლის შესავალთან დადგა. დედოფალს ეკიპაჟიდან გადმოსაბრძანებლად კარები გაუღეს; მის წინ საზეიმოდ მორთული გოროდნიჩი დადგა; ამ დროს ყველანი გააოცა იმან, რომ დედოფალმა ეკიპაჟიდან გადმოსვლა არ ინება... მაშინვე მას შემოეხვივნენ თავადნი და აზნაურნი (მხლებლები); ესენი სთხოვდენ და არწმუნებდენ მას, რათა ჩამობრძანებულიყო; მაგრამ ამ თხოვნამ ვერ გასჭრა; მაშინ მასთან მივიდა დეკანოზი იოსები, დედოფლის მოძღვარი და მისმა ვედრებამ და ლოცვამ, როგორც იყო, დედოფალი მოალბო.

ჩასვლისთანავე დედოფალი მისთვის საგანგებოდ გამზადებულ სადგომისაკენ გაემართა; მას გაჰყვნენ თავადნი და აზნაურნი. აქ ერთ განაპირა ოთახში დედოფალი ტახტზე დაეშვა და მძიმე ფიქრებს მიეცა»-ო, — ამთავრებს ამ ამბებს ავტორი.

რას ფიქრობდა და რას დასტიროდა ამ დროს საქართველოს დედოფალი, — ამის წარმოდგენა განა ძნელია? მისი მწუხარე ფიქრები დასტრიალებდენ მიტოვებულ სამშობლოს, მშობლებს, ძველ ოჯახს ბაგრატიონთა და იმ საშინელ ბედს, რომელიც მას ამ კედლებში ელოდა...

ამ დროს გოროდნიჩი კარებში იდგა და დედოფალთან აუდიენციას და მის განკარგულებას უცდიდა; ბოლოს, როცა ყველანი დალაგდენ, გოროდნიჩიმ თარჯიმანს, კაპიტან ჭილაშვილს სთხოვა შუამდგომლობა დედოფლისაგან სადარბაზოდ მიღებისათვის; კაპ. ჭილაშვილი ცოტა ხნის შემდგომ ისევ გამობრუნდა და გოროდნიჩს მოახსენა: მათი აღმატება გზაზე შესწუხდენ, რის გამო თქვენი მიღება და ნახვა არ შეუძლიათო.

თვის პატაკში ყველა ამას გოროდნიჩი საკუთარ დაკვირვებასაც დასძენდა: — დედოფალი შესახედავად კარგადაა შენახული; ის 34 წლის იქნება, ხოლო ბატონიშვილები უნდა იყვნენ: ჯიბრაილი 18 წლისა, ილია — 14 წ., ოქროპირი — 10 წლისა, ირაკლი — 6 წ., თამარ — 17 წლ. და ანა — 3 წლისაო და ბოლოს დასძენს: «ყველა ესენი მოთავსდენ სხვა და სხვა სენაკებ»-შიო.

დედოფლის, მისი ოჯახის და ამალის მოთავსება მონასტერში ადგილობრივ ადმინისტრაციისათვის და განსაკუთრებით სასულიერო მმართველობისათვის დიდ უხერხულობას ქმნიდა.

მონასტრის ცხოვრებაში, მის მმართველთა უნებურად, რე-

ვოლუცია მოხდა. ტანკოვი მოგვითხრობს, რომ «დედოფალთან ერთად ჩამოსული თავადები და აზნაურები თავისუფლად მოკალათდენ ქალთა მონასტრის სენაკებში; ღუბერნატორის ბრძანებით კი (დედათა მონასტრის წესდების თანახმად), მამაკაც მხლებელთათვის გამზადებული უნდა ყოფილიყო ბინები მონასტრის კედლების გარეთ, მის ახლო-მახლო მდებარე კერძო სახლებში. გოროდნიჩიმ ამ ბრძანების აღსრულება მოინდომა და თარჯიმან ჭილაშვილს შემდეგის თხოვნით მიმართა: — თავად-აზნაურთათვის და მათი მსახურთათვის მიჩენილი გვაქვს ბინები მონასტრის გვერდითვე, კერძო სახლებში; სთხოვეთ მათ წამობრძანდენ; მე მიგაცილებთ იქითკენო. — „უკაცრავად, — მიუგო ამაზე დედოფლის თარჯიმანმა ჭილაშვილმა, — ამის შესახებ მე ჯერ დედოფალს უნდა მოვახსენო»-ვო.

გოროდნიჩისათვის ასეთი მოქცევა პატიმარისაგან, ცოტა არ იყოს, შეუფერებელი იყო. მარიამი მონასტერში დასასვენებლად კი არ იყო მოვლინებული, არამედ დასასჯელად. მაგრამ ამაზე უფრო უჩვეულო იყო ის პასუხი, რომელიც გოროდნიჩიმ მიიღო; მას პირადი აუდიენციაც არ აღირსეს და თვისი «განკარგულებან»-ი დერეფანში წარმოათქმევინეს... ცოტა ხნის შემდეგ ჭილაშვილმა დედოფლისაგან ასეთი პასუხი მოახსენა გოროდნიჩის: — «მისმა უმაღლესობამ ინება გამოგიცხადოსთ, რომ მათ არ შეუძლიათ თავადნი და აზნაურნი მოიშოროს, იმიტომ, რომ ესენი ვალდებული არიან მუდმივად იმყოფებოდენ დედოფალთან; ამასთანავე ისინი შესაფერ თვალ-ყურს ადევნებენ მცირეწლოვან ბატონიშვილთ»-ო.

გოროდნიჩისაგან «პატიმარის» ეს მეფური განცხადება დიპლომატიურ და კარგად აწონილ-დაწონილ პასუხს ითხოვდა; ეს კი მის ძალას აღემატებოდა; ამ ხიფათს შეიძლებოდა უარესიც მოჰყოლოდა და მან არჩია ჩუმად თავი დაეკრა და მონასტრიდან გასულიყო; აქ რაღაც უცნაური ამბები ხდებოდა... «პატიმარს» ეს მივიწყებული მონასტერი ეხლა მართლაც სასახლედ ეჩქია.

დედოფალის ჩამობრძანებისთანავე არქიეპისკოპოსი თეოფილაქტე კურსკის ღუბერნატორს ატყობინებდა — «დედოფალი დამწუხრებული ბრძანდება, რომ არც სამზარეულო და არც სადარბაზო ოთახი ჯერ კიდევ მზად არააო; ყველა ეს სა-

ჭიროა ჩქარა აშენდეს და რომ იგი საამისო თანხებს მოითხოვს»-ო. ამაზე ღუბერნატორს უპასუხია, რომ საჭიროდ რაცხს ყველა ეს სურვილები ეხლავე შეუსრულონ დედოფალს და რომ ფულს ის თვითონ გადიხდის, ვიდრე ამის შესახებ უმაღლესი განკარგულება მოუვიდოდესო.

არქიეპისკოპოსი თეოფილაქტე მეორე დღესვე ხლებია დედოფალს სადარბაზოდ, შესაფერი ნუგეში მიუცია მისთვის და მისი ბედის შემსუბუქების იმედი გამოუთქვამს, რითაც დედოფალი კმაყოფილი დარჩენილა; ხოლო დედოფალს დარბაზის მიშენებაზე უარი განუცხადებია — «შეაჩერეთ ეს მუშაობა, რათა მშენებლობის დროს ხმაურობა არ მაწუხებდეს ამ ჟამად, როცა ასე სუსტად ვგრძნობ თავს»-ო.

ეს დარბაზობა წირვის შემდეგ მომხდარა, საღამოთი კი დედოფალს თვითონ დაუბარებია არქიეპისკოპოსი და სხვა და სხვა ნაკლოვანებათა გამო შეუჩივლია. თეოფილაქტეს დაუყოვნებლივ გამოუთხოვია ღუბერნატორისაგან ორი ათასი მანეთი ამ საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად. მაგრამ ადმინისტრაციისათვის თავსატეხად ისევ ის გარემოება დარჩა, რომ დედოფლის ამალა: თავად-აზნაურობა მას არ შორდებოდა და მკვიდრად მოთავსებულიყო დედათა მონასტერში. ღუბერნატორი ამაზე თეოფილაქტეს სწერდა:

«მე ეხლა ის მაწუხებს, რომ დედოფლის მთელი ამალა ქალთა მონასტერში სცხოვრობს, რაიც წინააღმდეგია ეკლესიის წესდებისა და აგრეთვე უმაღლესი ბრძანებისაც, რის ძალით მონასტერში მარტო დედოფალი და ბატონიშვილი თამარ უნდა მოეთავსებინათ; არ ვიცი, თუ როგორ შეხვდება ამ ამბავს უმაღლესი მთავრობა»-ო...

ღუბერნატორი ხელ-ახლა შეეცადა შთაეგონებინათ დედოფლისათვის, რათა მას ებრძანებინა სრულწლოვან ბატონიშვილთა, თავადთა, აზნაურთა და სხვათათვის — გამოსულიყვნენ მონასტრიდან და მოთავსებულიყვნენ გარეთ, მათთვის საგანგებოდ დაქირავებულ ბინებში...

მაგრამ ეს არც ისე ადვილი საქმე უნდა ყოფილიყო და მოსალოდნელ აყალმაყალის შიშით თეოფილაქტე უკვე დათმობაზე წავიდა და ღუბერნატორს შექმნილი ვითარების დასტუ-

რი სთხოვა; მით უმეტეს, რომ ქართველებს თავი სამაგალითოდ ეჭირათ და მონასტრის ცხოვრების შინაური წესი არაფრით შეურყევიათ. «ყველა ამის გამო, — დასძენს ის, — აღარ ღირს ამ ამბის მოგონებით დედოფალი ისევ შევაწუხოთ; ღმერთმა ქმნას, აწიც ასეთი წესიერება და მშვიდობა იქმნას დაცული ჩვენს მონასტერში»-ო. (იქვე, გვ. 1041).

მაგრამ პეტერბურგის სანქცია მაინც უცილო იყო და აი, ამ გზით, შეკითხვის სახით საქმემ ბოლოს ციციანოვამდე მიაღწია; ამან კი მისთვის ჩვეულებრივი, შურისძიებით აღსავსე და ბაგრატიონთა დამამცირებელი «რჩევა» მისცა რუსეთის ხელმწიფეს. ამ გზით, რუსეთის მაღალ ადმინისტრაციის დედოფლისადმი მორიდება და თავ დაჭერა სრულიად მოხსნა პეტერბურგის ერთგულმა ემისარმა. ღენ. ციციანოვის განმეორებითი შთაგონებით წაქეზებულმა იმპერატორმა ალექსანდრე I-მა სასტიკი «განმარტება» გაუგზავნა კურსკის ღუბერნატორს და აუხსნა, რომ არავითარი საჭიროება არ მოითხოვდა ასეთის ბოდიშებით, მოწიწებით და საგანგებო პატივისცემით მოპყრობოდენ საქართველოს ყოფილ დედოფალს; მის თავგასულ ნებიერებას უნდა ნაკლები ყურადღება მიაქციოთ მომავალშიო. ამასთან ხელმწიფე განმარტავდა, რომ ყოფილ დედოფალს შეეძლო მონასტერში ეცხოვრა მისის შვილებით და აუცილებლივ საჭირო მსახურ ქალებით; ხოლო მასთან მყოფი მამაკაცთა ამალა საკუთარ ხარჯზე და მონასტრის გარე შე უნდა ცხოვრობდესო...

ღუბერნატორმა, რა თქმა უნდა, მყისვე ზომები მიიღო. ორიოდე დღის შემდეგ გოროდნიჩი მას პატაკით ატყობინებდა, რომ, ბრძანების თანახმად, «ვამოიყვანა მონასტრიდან ყველა კაცები, გარდა დედოფლის მოძღვარისა, მკურნალისა და მსახურისა, რომელიც ბატონიშვილ ჯიბრაელის ავადმყოფობის გამო დედოფალთან დავტოვე!-ო. ასე იმოქმედა ღენ. ციციანოვის ჩვეულმა «რჩევებმა».

თუმცა საქართველოს დედოფალი იმპერატორ ალექსანდრე I-ს საიმედო ადგილას ჰყავდა გამომწყვდეული მონასტრის სენაკში და დედოფლის ერთგული ამალის დიდი ნაწილი მალე ჩამოაშორა, (რადგან უსახსროდ დარჩენილი მხლებლები დე-

დოფლისა, მეტ-წილად უკან, საქართველოში უნდა დაბრუნებულიყვნენ), მაგრამ, როგორც სჩანს, მას ერთგვარი შიში მაინც ჰქონდა მისი. ალბათ აძით უნდა ავხსნათ, რომ თვით ხელმწიფის ბრძანებით, შინაგან საქმეთა მინისტრი დედოფლის მიწერ-მოწერას საიდუმლო ზვერვის ქვეშ აყენებს; პოსტმეისტერს უნდა მუდამ მოხსენებები ეგზავნა იმის შესახებ, თუ ვის სწერდა დედოფალი და რის შესახებ. მაგრამ ამ მიწერ-მოწერიდან მთავრობამ ვერაფერი საეჭვო ვერ დაინახა...

აშკარაა, დედოფალმა იცოდა ამ ზვერვის ამბები და საიდუმლოებს მის მნახველთ სიტყვიერად აბარებდა ბატონიშვილებთან მოსკოვში და პეტერბურგში, ან კიდევ მშობლებთან და ერთგულებთან საქართველოში.

პროფ. ალ. ცაგარელის მიერ გამოქვეყნებულ წერილებიდან (იხილეთ ქვემოდ) ვტყობილობთ, რომ ბელგოროდში დედოფალთან სანახავად მოდიოდნენ მოძღვარნი და სხვა სასულიერო პირნი და მათ ალბათ განსაკუთრებული დავალებანიც მოჰქონდათ. დედოფალს მიწერ-მოწერა ჰქონდა ბატონიშვილებთან პეტერბურგში და მოსკოვში, ფარნაოზ ბატონიშვილის მეუღლესთან ვორონეჟში, საკუთარ დედასთან თბილისში, მოზდოკელ არქიმანდრიტთან და სხვებთან. ამავე დროს ადმინისტრაციის შიშს იწვევდნენ ხმები, თითქოს დედოფლის მხლებელ თავადებს საქართველოდან საგანგებოდ ხრმლები ჩამოეტანათო; თუმცა მხლებლები პატიმრები არ ყოფილან და წესით მათ ხრმლის ტარების უფლება უნდა ჰქონოდათ. ღუბერნატორმა ამაზე სასტიკი გამოძიება დანიშნა, რის შედეგად ბელგოროდის გოროდნიჩი საგანგებოდ ატყობინებდა მთავრობას, რომ დედოფლის მხლებელ თავადთ ხრმლები ღენერალმა ტუჩკოვმა უკვე გამომგზავრების წინ ჩამოართვა; რომ ეს ხრმლები ეხლა მას ჩაბარდა და ისიც მათ ფრთხილად ინახავს. ხოლო დედოფალთან და მის ახლო მყოფ დანარჩენ პირებთან მან ვერავითარი იარაღი ვერ აღმოაჩინა; საერთოდო, დასძენდა გოროდნიჩი, — ქართველები ეწევიან წყნარ და მშვიდ ცხოვრებას და ყველაფერში დიდ წესს იცავენო. (იქვე, გვ. 1043).

ბ-ნი ტანკოვი გადმოგვცემს, რომ მის ბაბუას, რომელსაც დედოფლის ტყვეობის დროს ბელგოროდში უცხოვრია, მის-

თვის უამბნია, თუ როგორის დიდის ინტერესით ეპყრობოდენ დედოფალს ადგილობრივი მცხოვრებნი.

საქართველოს დედოფალს, როგორც სჩანს, ამ მძიმე მდგომარეობაშიც ისე ამაყად და მაღლა ეჭირა თავი, როგორც ჭეშმარიტ დედოფალს შეშვენოდა; ის იდგა სრულიად განზე და ადგილობრივ წარჩინებულთან ყოველ გვარ ურთიერთობა-ნაცნობობას გაურბოდა. ეტყობა, დედოფალს მარტო თავის მხლებლებთან, მოძღვართან და შვილებთან უნდოდა გაეტარებინა ეს მძიმე ხანა და სწადდა, ის წრე და სულიერი განწყობილება, რომელიც მას სამშობლოში ერტყა, ამ ტყეებაში ოდნავ მაინც შეენახა.

როგორც ვსთქვით, დედოფალი სრულიად განცალკევებულ, მწირ ცხოვრებას ეწეოდა და თუმცა, როგორც ბ-ნი ტანკოვი აღნიშნავს, დედოფლით და მისი ამალით იმდენი იყვნენ დაინტერესებული, რომ მას ადვილად შეეძლო ბელგოროდის უმაღლეს წრეებში ნაცნობობა და კავშირი გაება, მაგრამ ის არავის იკარებდა და მისი ნახვაც მეტად გაძნელებული ყოფილა.

რაკი დედოფალს ქუჩაში ვერავინ ნახულობდა, ამიტომ ყველანი ცდილობდენ ეკლესიაში, წირვის დროს მაინც მოეკრათ მისთვის თვალი. «დედოფლის ნახვის მსურველნი, — სწერს ტანკოვი, — სხვა და სხვა ადგილებიდან განსაკუთრებით ჩამოსულნი, მოდიოდენ დედათა მონასტერში კვირა-უქმე-დღეები, ვითომდა წირვის მოსასმენად»-ო. მაგრამ დედოფალი ამ წირვებს ყოველთვის არ ესწრებოდა.

ჩვენ ვიცნობთ დედოფლის დიდ ღვთისმოყვარეობას და მღვიძე მრწამსს, მაგრამ ალბათ ეს მოუპატიჟებელი მნახველნი აღშფოთებდენ განგვირგვინებულ მარიამს და ისიც ხშირად არჩევდა სალოცავად სენაკში დარჩენას. მხოლოდ ხანდისხან თუ დაესწრებოდა ამ წირვებსო; მაშინ დედოფალი მისთვის საგანგებოდ გაშენებულ ადგილას აბრძანდებოდა, თვისი ოჯახის წევრებითურთ, ხოლო მის მხლებელ თავად და აზნაურთ ცალკე ჰქონდათ მიჩენილი საგანგებო ადგილები.

«დედოფალი, — განაგრძობს ტანკოვი, — ლოცულობდა გულ მხურვალედ და ხშირად იყრიდა მუხლებს. ის ძლიერ შთაბეჭდილებას ახდენდა ყველაზე თავის გარეგნობით: იყო მაღალი, შვენიერი ტანადი, სახის მტკიცე გამომეტყველის ხა-

ზებით და ოდნავ მოხრილის ცხვირით. მისი ასული, თამარ არც თუ ძალიან ჰგავდა თავის დედას; მას ჰქონდა ტიპი აღმოსავლეთის მზეთუნახავისა... ამ ქალიშვილს ამაყად და მიუწვდომელად ეჭირა თავი, თუმცა მას ბევრი იდუმალი თაყვანისმცემელნი ჰყოლია.

დედა და შვილი ირთვოდენ ქართულს, ნაციონალურ ტანთსაცმელში»-ო. აქ ავტორი აგვიწერს ამ ტანთსაცმელებს ზოგიერთის დეტალებით; ეს მოკაზმულობა დღეს ხომ გამქრალია და ამიტომ ზედმეტი არ იქნება, მოკლედ მოვიყვანოთ ავტორის აღწერა.

«დედა-შვილს თავი მორთული ჰქონიათ გრძელის ლეჩაქებით (დედას თეთრის და ასულს ოქროსფერისა); კაბაზე, რაიც გაწყობილი იყო კვერნის ძვირფასი ბეწვით, მოსხმული ჰქონდათ ხან მუქი წითელი, ხან მწვანე ფერის ქათიბი, ოქროს ბუზმენტებით და ოქროს ყაითანით გარშემოვლებული. ამას გარედან ლურჯი, ან ვარდის ფერი აბრეშუმის სარტყელი ერტყმოდა. კაბის კალთები გაწყობილი იყო თეთრის ატლასით, ხოლო გულის პირები სულ ოქრომკედით ჰქონდათ ამოქარგული. ფეხებზე მათ ლურჯი ხავერდის ფეხსაცმელები ეცვათ; როცა გარეთ გამოდიოდენ, ორივენი დიდი ბაღდადებით იმკობდენ თავსო»... შემდეგ აღწერილია ბატონიშვილთა, თავად-აზნაურთა და მხლებელთა ჩაცმულობა, რომელიც ასევე წმიდა ნაციონალური ხასიათის ყოფილა. უფრო ქვევით კი აღწერილია დედოფლის მოძღვრის და დიაკვნის ჩაცმულობა და აგრეთვე მათი მღვდელმსახურების შესამოსელი. ამას გარდა აღწერილია მორთულობა და მოკაზმულობა დედოფლის და ბატონიშვილების საწოლისა და ქვეშსაგებისა, რაიც მნახველთ თვისის მდიდრულის და ძვირფას ოქრომკედით ნაქარგ ფარჩეულობით თურმე დიდად აოცებდა. სამწუხაროდ, ამ დეტალებს ამ ჟამად აქ ვეღარ მოვიყვანთ.

ერთ ადგილას ავტორი გვეუბნება, რომ დედოფალი არ იშორებდა შვენიერ ყუთს ბურნუთითო, რომელსაც ხშირად ყნოსავდაო.

დედოფლის და მისი ამალის ერთად-ერთ გართობას თურმე ამ ღარიბ ქალაქის ვიწრო და უსწორმასწორო ქუჩებში სე-

ირნობა წარმოადგენდა; თუმცა მათ ნება არა ჰქონდათ ქალაქის გალავანს გასცილებოდენ.

ყოველი მოძრაობა დედოფლისა ხდებოდა მხოლოდ საგანგებო ნებართვით; ისე კი წლების განმავლობაში დედოფალი მონასტრის კედლებს ვერ გასცილებოდა. მან რამოდენჯერმე ითხოვა ნებართვა, ავადმყოფობის გამო, მიეცათ საშუალება ქალაქ გარეთ ეკიპაჟით, ან ცხენით გასეირნებისა, რასაც მას ექიმები ურჩევდენ. წინასწარ დაშინებული და გაფრთხილებული ადმინისტრაცია ამ უბრალო თხოვნასაც იმპერატორს მოახსენებდა.

დაჟინებით მოთხოვნის შემდეგ, მხოლოდ 1809 წ. იმპერატორმა ალექსანდრე I-მა შესაფერისი ნებართვის მიწერილობა წარუგზავნა ღუბერნატორს, საცა სწერდა, რომ ყოველი ამგვარი «გასეირნება» უნდა ხდებოდეს ადმინისტრაციის სასტიკ თვალყურის დევნებითო.

რამდენადაც ირკვევა, დედოფლის სიმტკიცე-სიამაყის გამო, ადგილობრივი ადმინისტრაცია მისდამი ერთგვარ მოკრძალებას მაინც ინახავდა და ცდილობდა, რაც შეიძლება ნაკლებ შეეწუხებინა ის და მხოლოდ ფორმალურად ჩაეტარებინა ზედმეტი და უხეში შეზღუდვა დედოფლისა. ამ შემთხვევაშიაც ასე მოხდა: დედოფალი გოროდნიჩის აუწყებდა — ამ და ამ დროს ვაპირებ ქალაქ გარედ ამ მიმართულებით სეირნობასო.

გოროდნიჩიც, ალბათ, ღუბერნატორის შესაფერი რჩევით სარგებლობდა და მცველებს დედოფალს და მასთან მოსეირნეთ კი არ აახლებდა, არამედ აქა-იქ გზაზე დაუყენებდა. დედოფალი და მისი ახლობელ-მხლებელნი თავისუფლად დასეირნობდენ და თვისი შვენიერი სანახაობით ხალხში დიდ ცნობის მოყვარეობას იწვევდენ.

ერთხელ უახლოეს ქალაქ ხარკოვში წასვლა უთხოვიათ ექიმ ჭარაშვილს და ერთ აზნაურს დედოფლის ამალიდან, რათა დედოფლისათვის წამლები და ზოგი აუცილებელი ნივთები შეეძინათ; მაგრამ ამაზე ღუბერნატორიდან უარი მოსვლიათ... ცოტა ხნის შემდეგ ეს თხოვნა თურმე უფრო დაჟინებით განმეორდა; ამიტომ დედოფლის ამალის წევრთ მინისტრიდან საგანგებო ნება მიეცათ — აუცილებელ შემთხვევაში — სასყიდლისათვის ხარკოვში ჩასულიყვნენ.

დიდი ხნის ვაი-ვაგლახის და შუამდგომლობების შემდეგ, რაიც არა ერთხელ აღუძრავთ მონასტრის მმართველ არქიეპისკოპოსს და თვით ღუბერნატორს პეტერბურგის წინაშე, ხაზინამ შესაძლოდ დაინახა დედოფლის, მისი მრავალ-რიცხოვანი ოჯახის წევრთა და აგრეთვე მხლებელთა შესანახად წლიურად 11.000 მანეთი გადადებულიყო. ეს თანხა, რა თქმა უნდა, ძალიან მცირე იყო და დედოფალს არა ერთხელ მოუხდა დამატებით თანხების გამოთხოვა რუსეთის უმაღლეს მთავრობისაგან.

უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ თხოვნათა დროსაც დედოფალი თავის სიამაყეს და ზვიადობას არ ჰკარგავდა და არაფრით ამცირებდა მტრისგან ისედაც შელახულ თავმოყვარეობას. უკეთ რომ ვსთქვათ, ის რუსეთის მთავრობას მოთხოვნილებას უყენებდა, როგორც ამას ჯერ სამშობლოში სჩადიოდა ციციანოვის და კნორრინგის წინაშე.

დედოფალი მთავრობას საკმაოდ ახდილად სწერდა, რომ მას წინად არავინ შეუწუხებია და არც თუ სჭიროდა ვისიმე შეწუხება, ვინაიდან იყო «დედოფალი ქართლ-კახეთისა, ჰქონდა პატივი, დიდება, სასახლე, მამული და ულევი სიხარული... დღეს მას ყველა ეს ძალად მიუღეს», პატიმარ ჰყვეს, ძალად წამოიყვანეს ჩრდილოეთში, და თან ასე უეცრად და საშინელ პირობებში; რაკი ყველა თვისი მამულები და ქონება ჩამოართვეს, საკმაო საცხოვრებელი ულუფა მაინც უნდა მიუჩინონ იმ შემოსავლიდან, რაიც ეხლა რუსეთმა მიისაკუთრაო. ერთს თავის წერილში (6—8—1803 წ.) დედოფალი ღუბერნატორს ამრიგად შესჩივლებს: «...ვიმყოფები აქ ღატაკსა და სავალალო მდგომარეობაში; წამოსვლისას მე საშუალება არა მქონდა რაიმე ქონება თან წამომეღო; ამიტომ გადავსწყვიტე: გავგზავნო საქართველოში ჩემი მსახური ბეჟანი, რათა ჩამომიტანოს ზოგი რამ, ჩემ მიერ იქ დატოვებულ ნივთებიდან და თანხებიდან; ყველაზე უფრო კი ჩემი სასულიერო წიგნებიდან, რადგან საშუალება არა გვაქვს ქართული წირვა-ლოცვის შესრულებისა. ჩემი მშობლებიც მოსურნენი არიან ქონება და ყოველივე, რაიც კი ჩემთვის აქ საჭიროა, მომაწოდონ. გთხოვთ ყველა ამისთვის გაგზავნოთ მსახური ჩემი და მისცეთ საგზაო თანხა თბილისამდე, ან მოზდოკამდე მაინც... თუ თქვენ თვითონ ამას

ვერ გადასწყვეტთ და კვლავ მინისტრს მიმართავთ, მაშინ გთხოვთ სახაზინო თანხიდან ეხლავ გადმომიგზავნოთ 2.000 მან., რათა ჩავაცვა და შევმოსო ჩემი მცირე წლოვანი შვილები»-ო.

მაგრამ რუსეთი არც ეხლა ჩქარობდა... დედოფლის უცნაური სიამაყის გასატეხად საჭირო იყო საქმის გადადება და ლოდინი.

ცოტა უფრო გვიან, ფრიად შევიწროებული დედოფალი, რომელიც შვილთა კეთილდღეობაზე და მათთვის ასატან ცხოვრების პირობების შექმნაზე ზრუნავდა, ახალის თხოვნით მიმართავდა ჯერ ღუბერნატორს, და შემდეგ, ხელმწიფეს. სხვათა შორის, ღუბერნატორს დედოფალი სწერდა:

«ყველა ჩვენ, ამ ჟამად 30 სული, ვიმყოფებით აქ; ამასთან სამზარეულოშიც კიდევ დამატებით ვინმე გვეჭირვება; ჩვენთვის დღიურად 15 მანეთი გვეხარჯება, — ამალისთვის — 14 მანეთი და 60 კაპ., ხოლო მე კი, დღიურად სულ 15 მანეთს ვიღებ. ტანსაცმლისათვის, რაიც აქ მეტად ძვირია, დღემდე ჩვენ საკუთარ ფულს ვხარჯავთ. საქართველოდან სასწრაფოდ წამოსვლისას 300 მანეთი მომაწვდინა გოგი საგინაშვილმა, შემდეგ დეკანოზმა გადმომცა 1.000 მან. ჰოლანდიური ჩერვონცებით. აგრეთვე გამომგზავრებისას მოზდოკში კიდევ უნდა მესესხნა 600 მანეთი, რაიც აქამდე გადაუხდელია; ამას გარდა, პეტერბურგიდან ჩემმა ვაჟმა, მიხეილმა 1.000 მან. გადმომიგზავნა... აღნიშნულ თანხებით, როგორც იყო, თავი დღემდე გავიტანეთ»-ო... და დედოფალი ითხოვდა შვილთათვის ისეთსავე პენსიას, როგორც დანარჩენ ბატონიშვილთ ეძლეოდათ... ეს თხოვნა პეტერბურგის კარს სამართლიანად უჭირდა მიეჩნია... მით უმეტეს, რომ დედოფალი თავისთვის არაფერთარ პენსიას არ მოითხოვდა.

მაგრამ რუსეთის მთავრობა ამ საკითხს სხვაგვარად უცქეროდა და შვილების პენსიაზე დედოფალს ბოლოს უარი მოუვიღა: ხოლო მისი წლიური თანხა ძლივს-ძლიობით 2.000 მანეთამდე გაუდიდეს. დედოფლის უმწეო მდგომარეობას, რა თქმა უნდა, ეს არას შეელოდა; ჩვენ ვნახეთ, რომ მის დიდრაცხოვან მხლებლებს მარტო საზრდო-სანოვაგისათვის წლიურად 5.600 მან. აკლდებოდა; ამას უნდა დართვოდა მრავალი

სხვა საოჯახო-სამეურნეო ხარჯებიც, და, რაც მთავარია, ტანსაცმლისათვის საჭირო თანხები. რუსეთს აქაც თვისი ფარული ზრახვები ჰქონდა: გაჭირვებაში და უმწეო ყოფაში ჩავარდნილ დედოფალს და ერთგულ დედას დრო უშოვეს და «რჩევა» მისცეს. ვერაგულის მოხერხებით დედოფალს ყველა გზები წინასწარ მოუჭრეს და მას მხოლოდ ერთი გზა დარჩენოდა, რაიც საგანგებოდ მოგზავნილ ღუბერნატორს უნდა «ერჩია» დედოფლისათვის. მანაც მყისვე შეასრულა მთავრობის დავალება, რომ დედოფალს თვისი შვილები აღსაზრდელად პეტერბურგში გაეგზავნა. წარმოსადგენია, რა მძიმე უნდა ყოფილიყო პატიმრობაში მყოფ დედოფლისთვის საყვარელ შვილთა გულიდან მოგლეჯა და ასე შორს გაგზავნა..., მაგრამ ღუბერნატორმა ბოლოს თავისი გაიტანა და დედოფალთან დარბაზობის შემდეგ ის რუსეთის მთავრობას სწერდა, რომ დაარწმუნა დედოფალი იმპერატორის შეურყეველ «წყალობებში» და იმაში, რომ ბატონიშვილები მომავალში მათთვის შესაფერ მაღალ წყალობებს მიიღებდენ; და მრავალ რჩევა-დარიგებათა შემდეგო, დასძენს ღუბერნატორი, რათა შვილთა აღზრდა მთავრობის მზრუნველობას დაუთმოს, — დედოფალი ნებას დაჰყვა და გადასწყვიტა: გაისტუმროს პეტერბურგს ბატონიშვილნი ილია და ოქროპირი; ამავე დროს, დედოფალი ითხოვს, რომ ამ შვილთა წასაყვანად ჩამოვიდეს მისი უფროსი ვაჟი მიხეილიო.

ფრიად შეიწროებულმა დედამ და დედოფალმა ბოლოს დასთმო თვისი ორი ვაჟი, იმ პირობით კი, რომ მასთან დაშთენილ ორ ვაჟთ: ავადმყოფ ჯიბრაილს და მცირეწლოვან ირაკლის საკმაო თანხას დაუნიშნავდენ, როგორც ამას დანარჩენი ბატონიშვილები იღებდენ.

მაგრამ დედოფალს მალე ახალი მსხვერპლიც გააღებინეს და მას, თანახმად რუსეთის კარის მტკიცე სურვილისა, ბატონიშვილი ჯიბრაილიც უნდა დაეთმო, და თვითონ მხოლოდ ყველაზე უმცროსი ვაჟი, ირაკლი დაეტოვებინა.

ამ დროს მის დიდ ლოიალობას იქნებ როგორმე მოელბო სელმწიფის გულიო და დედოფალმა ითხოვა — მიეცათ ნება, თვით გაჰყოლოდა შვილებს და მიეცილებინა პეტერბურგამდე; და მან სთხოვა ხელმწიფეს: მოიღეთ მოწყალება, რათა მომე-

ცეს ნება: ჩემის შვილებით წარვსდგე პეტერბურგს, რათა დაგიმტკიცოთ ჩემი უდანაშაულობა და ამასთან ჩემი გასაჭირიც გაგაცნოთ. მაგრამ იმპერატორ ალექსანდრე I-ის კარები ეხლაც ისე დახშული გამოდგა დედოფლისათვის, როგორც წინად. ამ კარების გასაღები ხელმწიფემ თავიდანვე ციციანოვს მიანდო და ეს ხომ ბელგოროდის ცივ სენაკს დედოფალს არას დროს არ დაატოვებინებდა...

ჩვენთვის საინტერესოა ხელმწიფის კარის პასუხი დედოფლის აღნიშნულ თხოვნაზე.

«ხელმწიფე იმპერატორმა, — სწერდენ ღუბერნატორს, — აღნიშნული დანაშაულობისა გამო, შესაფერისად ვერ სცნო მიეცეს დედოფალს უფლება აქ (პეტერბურგში) ჩამოსვლისა, მაგრამ, ხელმწიფეს აზრადაც არ მოსდის, რომ დედოფლის შვილნი, რომლებიც არაფრით არ ურევიან დედის დანაშაულში, რითიმე დაისაჯონ, რის გამო ბრძანებს: მიექცეს სათანადო ყურადღება მის შვილებს და შესაფერ აღზრდისათვის ისინი უნდა მოთავსდენ კადეტთა რომელიმე კორპუსში»-ო...

და ამ ცნობას სამინისტრო თავის თავად განმარტებას აძლევს:

«გაცნობებთ რა ამას, — სწერს მინისტრი, — არ შემიძლია არ დავუმატო, რომ ამ შემთხვევაში დედოფლის ვაჟები, რომელთაც შემთხვევა ექმნებათ აღიზარდონ, ვით ამხანაგნი რუსეთის კეთილშობილ ახალგაზრდობის წრეში, მიიღებდენ საჭირო ცოდნას და ნელ-ნელა დაივიწყებდენ ჩვეულებას თავის ქვეყნისას: გაეცნობიან რა ჩვენს ზნე-ჩვეულებებს და გარდაიქმნებიან რა ქართველისაგან რუსად, გახდებიან შემდეგში უფრო სასარგებლო წევრებად, ვიდრე სხვა ქართველი ბატონიშვილები და თავადები არიან»-ო. (იქვე, გვერდი 1049).

13 ივნისს 1804 წ. ბატონიშვილნი ილია და ოქროპირი, აზნაურ ხუციშვილის თანხლებით, გამოეთხოვენ საყვარელ დედას და დასტოვეს ბელგოროდი, რათა «რუსულ კორპუსებში ქართველობა დაეკარგათ» და მხოლოდ შემდეგ გამხდარიყვნენ პენსიათა ღირსნი.

მაგრამ განვლეს რაღაც სამმა ათეულმა წლებმა და რუსეთმა ნახა, რომ «პენსიებმა» საქმეს ვერ უშველეს და ნაწყალო-

ბევ ჩინ-ორდენთა ქვეშ ქართული გული მაინც ძველებურად სცემდა...

ალექსანდრე I ვეღარ მოესწრო ამ ამბებს, მაგრამ ჭაღარა დედოფალი ერთხელ კიდევ გაახარა ვაჟების დიდმა სიტყვამ და საქმემ 1832 წელს*). (161).

ქართველ ქალთა იმ წრის დასახასიათებლად, დედოფალს ტყვეობაში თან რომ გაჰყვნენ, საყურადღებოა ბედი ბატონიშვილთა გამდელის ანასი. ბ. ტანკოვი გადმოგვცემს, რომ ილია და ოქროპირ ბატონიშვილების პეტერბურგში გამგზავრებამ მეტად იმოქმედა მათ გამდელზე, რომელიც დიდ მწუხარებაში ჩავარდაო. ეს დარდი ბატონიშვილთა გამდელის ანასი უფრო მეტად გაძლიერდა, როცა ილია და ოქროპირის გამგზავრებას თან ბატონიშვილ ჯიბრაილის გაგზავნაც მოჰყვა იმავე 1804 წლის სექტემბერში. აქ კი გამდელმა ქალმა ვეღარ აიტანა სამთავე გაზრდილთა მოშორება და უმაღლესი თხოვნით მიმართა ხელმწიფეს: მიეცათ მისთვის ნება ხლებოდა თვის გაზრდილ ბატონიშვილთ პეტერბურგში, რათა, თუ ხშირად არა, ხან და ხან მაინც ენახა საყვარელი აღზრდილები.

ცოტა ხნის შემდეგ გამზრდელს მართლაც მოუვიდა ნებართვა და დედოფალმა თვისი საყვარელი და ერთგული ანაც შორს გაისტუმრა, რათა, კადეტთა კორპუსში გამომწყვდეულ მის შვილთ, დედის სიყვარულისა და ალერსის ნაცვლად, გამდელის სიტყვა და ნუგეში მაინც არ მოჰკლებოდათ.

თვითონ დედოფალმა კი უმცროსი ვაჟი, ირაკლი დაიტოვა... და რუსეთის დედათა მონასტერში, ბნელსა და ცივ ღამეებში დედოფალი დიდი ირაკლის საგმირო ამბებს ზღაპრად გადასცემდა ხუთი წლის ვაჟს, ვისაც უკანასკნელმა მეფემ დიდებულ მამის პატივსაცემად მისი სახელი უწოდა; მარიამ დედოფალი ეხლა ამ ყრმას უნერგავდა დიდ ამბავთა და საქმეთა სიყვარულს დიდის პაპისას... ეხლა დედოფალმა ბრძოლა იმ მცირედის ასპარეზით შემოზღუდა, რომელიც მისთვის დაეტოვებინათ; სხვა არე მისთვის ხომ აღარ იყო. მაგრამ ის დედოფ-

*) როგორც 1832 წლის შეთქმულების ახლად გამოქვეყნებულ საბუთებიდან ირკვევა, ამ დიდ შეთქმულების პირველ შტაბის მომწყობი ბატონიშვილი ოქროპირი იყო. (162).

ლური სიამაყე, მონასტრის ვიწრო კალაპოტში რომ იშლებოდა, იმდენ «უხერხულობას» ჰქმნიდა, რომ ადმინისტრაციას ხშირად უნდა დავიწყებოდა, რომ მას საქმე პატიმართან ჰქონდა.

დედოფალი იმდენ ძალას იჩენდა და ისეთის შინაგანის სიმტკიცით მოითხოვდა, რაც მას სამართლიანად მიაჩნდა, რომ ადმინისტრაციაც თითქმის ყველაფერს ქედმოხრით ასრულებდა. ხშირად თვის უფლებებსაც აჭარბებდა ადგილობრივი ადმინისტრაცია და ამისათვის უმაღლეს წყრომასაც იმსახურებდა.

ამ მხრივ გასაოცარია დედოფლის მიერ სუვერენული სურვილის გამოთქმა, რომელსაც ეროვნულ პროტესტის პოლიტიკური ხასიათი ჰქონდა.

პატიმარმა დედოფალმა რუსის არქიეპისკოპოსს გაუგონარი და უცნაური რამ მოსთხოვა; დედოფალმა მოისურვა, რომ სწორედ მაშინ, როცა რუსთა ხელმწიფე იმპერატორის ტახტზე აბრძანების დღესასწაული მონასტერში, ისე როგორც მთელს რუსეთში, დიდი ზეიმით უნდა გადაეხადათ, სწორედ იმავე დღეს უნდა გადახდილიყო პანაშვიდი საქართველოს უკანასკნელი მეფის სულის მოსახსენებლად. ამით დედოფალს უნდოდა რუსეთის ხელმწიფის პარაკლისი — ქართველთათვის პანაშვიდად გადაექცია. შეშინებული არქიეპისკოპოსი და მთელი ადმინისტრაცია დედოფალს შემოეხვივნენ და როგორმე მის გადარწმუნებას შეეცადენ... უნდოდათ მისთვის განემარტათ, რომ ამ ზეიმის დღეს პანაშვიდი შეუძლებელია, — შეუფერებელი და, შეიძლება, ყველასათვის სახიფათო და დამღუპველიც; აბა, რით შეიძლება იმის გამართლება, რომ რუსეთის იმპერატორისა და ხალხისათვის ამ დიდ და სადღესასწაულო დღეს პანაშვიდი უნდა გადახდილიყო.

მაგრამ დედოფალი არავითარ დათმობაზე არ მიდიოდა, საკითხს უფლებრივად აყენებდა და, როგორც მორწმუნე ქრისტიანი, მოითხოვდა მთავარეპისკოპოსიდან: განსვენებული საქართველოს მეფისა და მეუღლის მოსახსენებლად პანაშვიდი გადაეხადათ... საეკლესიო კანონის ძალით სასულიერო მთავრობას უარის თქმის უფლება არ უნდა ჰქონოდა... აშკარა იყო, რომ დედოფალი ფორმალურად და იურიდიულად საეკლესიო

სტატუტს ემყარებოდა, მაგრამ არსებითად ფრიად მოხერხებულ ეროვნულ-პოლიტიკურ დივერსიას ახდენდა.., პატიმრობაში მყოფთ დედოფალსა და ქართველ წარჩინებულთ რუსულ მონასტერში, რუს სამღვდელოებისაგან პანაშვიდი უნდა მოესმინათ რუსთა ხელმწიფის, ალექსანდრე პირველის ტახტზე აბრძანების დღესასწაულის დროს. მაგრამ სამღვდელოებამ საეკლესიო სტატუტის შესრულება მაინც სახიფათოდ დაინახა და მისი თავიდან ასაცდენად სათანადო შეკითხვით მინისტრს მიმართა. მინისტრმა კი ეს საქმე პირადად იმპერატორს მოახსენა და შესაფერი პასუხის შემდეგ, მან მთავარეპისკოპოსს განუმარტა, რომ მოპყრობა ყოფილ დედოფლისადმი უნდა სავსებით შეეფერებოდეს **მის აწინდელ მდგომარეობას, ვითარცა დამნაშავისა და პატიმარის,** და რომ ამ მდგომარეობაში მყოფს შეშვენის წყნარი და მშვიდი ცხოვრება, ლოცვა და მუდმივი მონანიება საშინელ დანაშაულისა... საეკლესიო წესების საწინააღმდეგოდ კი, რასაკვირველია, არავითარი დათმობა არ უნდა მოხდესო. (იქვე, გვ. 1045).

დედოფალ მარიამის უცნაური მოთხოვნა, ეტყობა, იმპერატორს კარგად გაეგო. მართალია, ძლევა-მოსილმა ალექსანდრემ პარაკლისი პანაშვიდად არ გადააქცევინა დედოფალს, მაგრამ მისთვის აშკარა გახდა, რომ დედოფლის აჯანყებული და რუსთა მოძულე ბუნება ვერც ბელგოროდის მონასტერმა დააცხრო. ამიტომ მან გულში გადაწყვიტა ამ ტყვეობაში უტეხი დედოფლის ხანგრძლივად დატოვება. და ბატონიშვილთა დაჟინებით თხოვნებს — საბრალო დედის შეწყალებაზე —, ხელმწიფე ძველებურად აწერდა: «უარი ეთქვას»-ო.

*

შვილების ერთ ცდას დედის სახსნელად მიმართულს, წარმოადგენს «აქტ»-ებში დაცული ცნობა, საიდანაც სჩანს, რომ ბატონიშვილთ: ჯიბრაელს, ილიას და ოქროპირს იმპერატორისათვის 16 ნოემბერს 1806 წლ. უმაღლესი თხოვნით მიუმართავთ.., ისინი ხელმწიფეს სწერდენ: «დედის მდგომარეობამ ისეთ უბედურებაში ჩაგვაგდო, რომ ამის ატანა ჩვენს ძალას აღემატება; ამიტომ გევედრებით, მისცეთ მას მოსკოვში ჩვენთან ცხოვრების ნება»-ო. მაგრამ ვერც ამ ახალმა მიმართვამ მოალბო ხელმწიფის გული და მან დედოფლის მდგომარეობა

კვლავ უცვლელი დასტოვა; «აქტ»-ებიდან მხოლოდ ის სჩანს, რომ შინაგან საქმეთა მინისტრს კოჩუბეის საქართველოს ახალ მთავარმართებელ გუდოვიჩისათვის მიუმართავს: გამომირკვიეთ, შეიძლება ბატონიშვილთა თხოვნა უხიფათოდ დაკმაყოფილებულ იქმნას, თუ არაო. (163). ეს შეკითხვა ნამდვილად ასე უნდა გავიგოთ: გამოარკვიეთ: — კვლავ ახსოვს და უყვარს ქართველ ხალხს მისი უკანასკნელი დედოფალი? თუ შეიძლება, რომ მონასტრის ზღუდეები გაირღვეს და ის შვილებს დაუბრუნდეს მოსკოვში? ხომ არ გამოიწვევდა ეს გაცოცხლებას მიძინებულ ოცნებისას დაკარგულ სამეფოზე და ხომ არ მოახდენდა რაიმე «მღელვარებას» ქართველთ შორის? მხოლოდ ამის შესატყობად თუ დასჭირდებოდა პეტერბურგს მთავარმართებელ გუდოვიჩის მოხსენება, თორემ ისე მას საქართველოს შესახებ აქტები უკვე დალუქული ჰქონდა...

«შესაფერმა» პასუხმაც, რა თქმა უნდა, არ დააყოვნა... ირკვევა, რომ გუდოვიჩმა მინისტრს ბელგოროდის მონასტრიდან დედოფლის განთავისუფლება არ ურჩია. ამის ცდას კიდევ ხუთი წელი დასჭირდა და ამ ხანებში თვისი დაჟინებითი თხოვნები არ შეუნელებია პეტერბურგის და მოსკოვის წარჩინებულ ქართველობას...

და ბოლოს, 1811 წელს, ივლისში პეტერბურგმა მოიღო «მოწყალება» წამებულ მარიამზე...

ისტორიკოსი დუბროვინი ამ ამბებს შემდეგნაირად აგვიწერს: რვა წლის შემდეგ ამ ტყვეობისა დედოფალი მარიამ განთავისუფლებულ იქმნა, როგორც ეს სჩანს შინაგან საქმეთა მინისტრის მიმართვიდან გრაფ რუმიანცევისადმი 1811 წ. 25 იანვრისა. ხელმწიფე იმპერატორმა, მიიღო რა მხედველობაში ბატონიშვილ მიხეილის განსაკუთრებული თავდადება და სამაგალითო სიყვარული დედისადმი და რომ ბატონიშვილი მიხეილი იმპერატორს გამუდმებით და დაჟინებით სთხოვდა შეწყალებას მშობელ დედისას, და ამასთან, მიიღო რა ხელმწიფემ მხედველობაში, რომ შვიდი წლის განმავლობაში, ბელგოროდის დედათა მონასტერში დედოფლის ყოფნა საკმაო იყო ჩადენილ ცოდვათა მოსანანიებლად, მიანიჭა მას უმაღლესად თავისუფლება. ამავე დროს მონარქმა შეიწყნარა ბატონიშვილ მიხეილის თხოვნა, რათა დედოფალ მარიამს, მის შვილთ

და მასთან გადასახლებაში მყოფთ, მოსკოვში მიხეილთან ცხოვრების ნება დართოდათ. (164).

1811 წ. ივნისში მხოლოდ 8 წლის შესრულების შემდეგ ამ ტყვეობისა, დედოფალს ნება მისცეს ჩასულიყო მოსკოვში, თავის შვილებთან; ეს მოხდა ალბათ იმ იმედით, რომ ამ ხანებში «კორპუსმა» თავისი საქმე — ყრმათა გულიდან ქართველობის აღმოფხვრისა — საკმაოდ შეასრულა; ეხლა დედის გავლენა და ცდა მათ გარუსებულ ბუნებას თითქოს ვეღარ შესცვლიდა; ამას კიდევ ის მდგომარეობაც ემატებოდა, რომ საქართველოში რუსეთის მმართველობა შედარებით განმტკიცებული იყო; ყოფილ დედოფლის მოსკოვში, ასე მოშორებით და თან განუწყვეტლივი ზვერვის ქვეშ ყოფნა საშიში აღარ უნდა გამხდარიყო.

ისტორიკოსი ბუტკოვი გადმოგვცემს, რომ 20 ივნისს 1811 წ. დედოფალ მარიამს მოსკოვში ცხოვრების ნება დართესო, (165), ხოლო ისტორიკოსი მარი ბროსე ამის შესახებ სწერს:

«იმავე წელს, ესე იგი, 1811 წ., ხელმწიფე ალექსანდრე I-მა თავისუფლება მიანიჭა დედოფალ მარიამს, (მეუღლეს მეფე გიორგისა), რომელიც აქამდე ბელგოროდის მონასტერში, ტყვეობაში იყო; დედოფალი მოსკოვში მოიყვანეს»-ო. (166).

*

მოსკოვში იწყება ახალი ხანა განგვირგვინებულ დედოფლის ცხოვრებისა; ხანა, რომელიც ბევრით ჰგავს მაშინდელ ბატონიშვილთა და წარჩინებულთა ყოფას, მოსკოვსა და პეტერბურგში, «საპატიო» ტყვეობაში რომ იმყოფებოდენ.

ამნაირად, 1811 წლის შემდეგ დედოფალს და მის ოჯახს ჩვენ მოსკოვში ვხვდებით.

სამწუხაროდ, ამის შესახებ ძალიან ცოტა რამ შეუნახავს ჩვენთვის იქაურ წყაროებს; უკეთ რომ ვსთქვათ, იქაური საზოგადო და საპირადო არქივები ჯერ ისევ დახშულია და მხოლოდ შემთხვევით სტრიქონებს თუ შევხვდებით სადმე, რასაც არ შეუძლია საქმაო მოცულობით გადმოგვცეს მისი მდგომარეობა.

ერთი კი აშკარაა — იმ დიდმა ტალღამ, რომელიც ნაპო-

ლეონის მოწოლას მოჰყვა და რომელმაც რუსეთის იმპერია და ტახტი საფუძვლიანად შეარყია, — დედოფალი და მთელი მისი გარემოცვა ისევ გამოაცოცხლა და ბედის შებრუნების იმედი აღუძრა.

ძალიან საინტერესო იქნებოდა არა მარტო მარიამ დედოფლის, არამედ მთელი მაშინდელი ქართველი ემიგრაციის ბედი შეგვესწავლა და გამოგვერკვია, თუ როგორ შეხვდენ ისინი მაშინდელ დიდ ამბებს, იმ რევოლუციების ხანას, ნაპოლეონმა რომ ქარიშხლად მოავლინა მთელს ევროპას და რუსეთის მონარქიასაც მკვეთრად დაეჯახა... უნდა ვიფიქროთ, რომ ამ დიდმა იმედებმა გული აუძგერეს არა მარტო ახალთაობას, — ბატონიშვილებს და მათ მახლობელ წრეებს, არამედ თვით დედოფალსაც: ქართლ-კახეთისას და იმერეთისას, ერთგვარად წამებაში და გადასახლებაში მყოფი ორთავ მარიამთ.

როცა მოსკოვს ნაპოლეონის ჯარი მოადგა; როცა, რუსეთისადმი ერთგულებით და რაინდობით გატაცებული პეტრე ბაგრატიონი ბოროდინოსთან განგმირული სიკვდილს ებრძოდა, საინტერესოა, თუ რას ფიქრობდენ ამ დროს ახლად გადმოსახლებული ქართველები?

ძალად განგვირგვინებულ ბაგრატიონებს დიდი ხანია არაფერი შერჩენოდათ ვახტანგ მეფის დროის ილუზიებიდან და მისი ემიგრაციის ტრადიციებიდან; იმ ილუზიებიდან, რის გამო ეხლაც დიდი მხედარი, პეტრე ბაგრატიონი ასე უანგაროდ ეწირებოდა ერთხელ დადებულ პატიოსან, ქართულ სიტყვას...

1801 წლიდან გადმოხვეწილნი სულ სხვა გზით უვლიდენ მტერს და მის დაცემას ელოდნენ საბოლოო ანგარიშის გასასწორებლად; იმ ანგარიშის, რომელიც საქართველოს ტახტმა ბაგრატიონებს და კერძოდ დედოფალ მარიამს უანდერძა.

სამწუხაროდ, ჯერ ვერსად შევხვდით მასალას, რომელიც იმ დროინდელ გარდახვეწილ ქართველობის პოლიტიკურ და დიპლომატიურ მუშაობას საკმაოდ გამოაჩენდა. ამ მუშაობას კი უსათუოდ მაშინაც უნდა ჰქონოდა ადგილი... აკი ის ადრიდანვე მოდიოდა და მისი საფუძველი ჯერ კიდევ თბილისში ჩაეყარათ. მოვიგონოთ თუნდა ბატონიშვილ დავითის და კერძოდ თეიმურაზის მაშინდელი გატაცება ნაპოლეონით და საერთოდ ფრანგულ ახალ იდეებით; მათი დიდი წვდილი საქართ-

ველოს უფლებისათვის საბრძოლველად საფრანგეთში გადასვლისა; გავიხსენოთ ნაპოლეონის ზოგ ემისრების (მაშინ სპარსეთში რომ იმყოფებოდენ) ქართველ წარჩინებულებთან კავშირის გაბმა, რასაც «აქტ»-ები გაკვრით აღნიშნავენ.

მაშინდელი ცდების დასახასიათებლად ყველაზე საყურადღებოა ცნობა «ტაინი სოვეტნიკის», კოზოდავლევისა კავკასიის მთავარმართებელ რტიშჩევისადმი, რომელსაც ჩვენ «აქტ»-ების მეხუთე ტომში წავაწყდით (29—10—1812 წლის თარიღით).

აღნიშნულ დოკუმენტიდან სჩანს, რომ პეტერბურგის უმაღლესი სანოვნიკი კოზოდავლევი დიდ შიშს აუტანია იმის გამო, რომ დედოფალი მარიამი, ბატონიშვილნი იულონი და ბაგრატი, რომელნიც მოსკოვში იყვნენ დამკვიდრებულნი, უცებ იქედან გამქრალან; მომხსენებლის ცნობით, ისინი უკვე ნიჟნი-ნოვგოროდში გადასულან; ზოგნი — რიაზანში; ზოგნი კიდევ — ტამბოვში და სხვა ქალაქებში.

მაგრამ ამ ცნობაში სამინისტროსათვის ყველაზე უფრო საინტერესოდ ისაა მიჩნეული, რომ **დედოფალი და მასთან მყოფი ბატონიშვილები ნიჟნი-ნოვგოროდიდან ასტრახანისაკენ აპირებენ გამგზავრებას, რომ იქედან კავკასიისაკენ გადავიდენო.** ბ. კოზოდავლევს ამას გარდა ცნობა ჰქონია: ზოგი ბატონიშვილთაგანი საზღვარგარეთ აპირებდენ გასვლასო; ამის გამო ის კავკასიის მთავარ მართებელს, რტიშჩევს სთხოვს — ეხლავ შესაფერი ზომები მიიღოს და თუ რომელიმე ამათთაგანმა «კავკასიის ლინიაზე» მართლაც მიაღწია, როგორმე იქ შეაჩერონ და არავითარ შემთხვევაში ნება არ მისცენ იქეთ (ესე იგი საქართველოსაკენ) გადავიდენო .«ლინიაზე» რტიშჩევმა მათ უნდა გამოუცხადოს, რომ რუსეთს ამ ხანად სასურველად მიაჩნია მათ საცხოვრებლად პენზა, ტამბოვი, ან ვორონეჟი მიუჩინოს და რომ საამისოდ შესაფერისი მიწერილობანი უკვე გაეგზავნათ ამ ქალაქების მმართველთა»-ო. (167).

მაგრამ არა მარტო ბონაპარტის მიერ აგორებულმა ტალღებმა მიაღწიეს დედოფლის სამყოფელს მოსკოვში, არამედ სხვა უფრო ახლობელმა და ნათესაურმა ღელვამ გამოიწვია მისი და მისი გარემოცვის გულის ძლიერი ძგერა...

არაა ეხლა აქ, შორეულ მოსკოვში, გაჩერება აღარ შეიძლე-

ბოდა; მშობლიურ საქართველოდან უკვე მოისმოდა ზარის ხმა, თუმცა ჯერ ყრუ, მაგრამ მაინც იმედის აღმძვრელი. საყვარელ ერეკლეს ანდერძზე შეფიცული კახეთი ირაზმებოდა და იქ ალექსანდრე ბატონიშვილი ბაგრატიონთა ძველ დროშას აფრიალებდა...

კვლავ დაიწყო ალექსანდრე ბატონიშვილის და, მასთან გახიზნულ, ქართველთათვის დროებით შეწყვეტილი ბრძოლა; და თუ აქამდე ეს ბრძოლა საიდუმლო, და ფარულ ჩარჩოებში მიმდინარეობდა, ეხლა ის გათამამდა, გაძალოვანდა, ძველმა ლომმა ფაფარი აიყარა.

განსაკუთრებულის სისწრაფით განვითარებულიყო ქართლ-კახეთში აჯანყება, რასაც რუსეთმა შემდეგ «კახეთის ამბოხება» უწოდა...

ამ ამბებს დიდის სიმძაფრით განიცდიდა რუსეთის მუხრუჭებში მოქცეული თეიმურაზ ბატონიშვილი, რომელმაც რამოდენიმე წლის წინ ალექსანდრე ბატონიშვილი სპარსეთში მარტო დასტოვა და რუსეთს დანებდა; ეხლა ის პეტერბურგში ცრემლებად იღვრებოდა და საყვარელ ბიძას პატიებას სთხოვდა... «არ უნდა გადავდგომოდი მას, უნდა ბოლომდე დავმორჩილებოდი მის აჯანყებულ ბუნებას... მაშ, ასე ხომ არ უნდა შერჩეს რუსეთს საქართველოს წინაშე ამდენი ღალატი და უწყალოდ დევნა?» — ასე ფიქრობდა ბატონიშვილი თეიმურაზი და ინანიებდა, რომ ბიძას უდროოდ გადუდგა და მისგან სულგრძელობა, მოთმინება და უკეთეს დროთა დაცდა ვერ ისწავლა... და აი, ეს «უკეთესი დროც» ერთბაშად მოაწვა საქართველოს კარებს... ნაპოლეონმა რუსეთს ცეცხლი გაუჩინა: მოსკოვი — ეს მისი გული — შეუნგრია და ალექსანდრე I-ის ტახტმა რყევა დაიწყო. მარტო თეიმურაზი კი არ ფიქრობდა ასე, არამედ მთელი მოწინავე წრე ქართველთა, გადმოხვეწილობაში რომ იმყოფებოდა პეტერბურგში და მოსკოვში, ნიჟნი-ნოვგოროდში და რუსეთის სხვა ადგილებში... ხოლო მათში ყველაზე მეტად ალბათ დედოფალი მარიამი იტანჯებოდა: ის გატაცებით ადევნებდა თვალყურს ალექსანდრე ბატონიშვილის გმირულ ბრძოლებს და მისი დროშის და ხრმალის გამარჯვებისათვის ლოცვაში ათენებდა.

ალექსანდრე ბატონიშვილს არ შეიძლება ვისიმე საშუალე-

ბით ხმა არ მოეწვდინა: დედოფლისათვის, ძმებისა, ძმისშვილებისა და დანარჩენ ახლობელთათვის, რუსეთში გარდახვეწილობაში რომ იმყოფებოდენ...

ყველა ამათ ეხლა საქართველოს აღდგომის იმედები კვლავ აღეძრათ. დიდი რუსეთი შედრკა: კავკასიის მთავარმართებელ რტიშჩევის თავზარდამცემი მოხსენებები ზედი-ზედ მოსდიოდა პეტერბურგს და კახეთის ამბოხების გაძლიერების ამბები მოჰქონდა: ყველა ეს იქაურ ქართველობას, რა თქმა უნდა, არ გამოეპარებოდა. აშკარაა, ალექსანდრე ბატონიშვილის ცეცხლმომდები მოწოდებები, რომლითაც ის აჯანყებულ კახეთის ხალხს მიმართავდა, რუსეთში მყოფ ქართველობამდისაც მიაღწევდა...

«დღეს იდიდნენ საქართველოსა შინა მცხოვრებელნი, — აუწყებდა მათ ეს აღგზნებული პროკლამაციები ალექსანდრე ბატონიშვილისა, — და დღეს დაგვირგვინდა დიდებისა დაგვირგვინებითა: რა ქება მოგიძღვნათ, ანუ რა წყალობა აღგითქვათ? რომელნიც უმაღლეს ღირსეულობისა და პატივისა ღირსნი ხართ; **ესრეთ დაცემულის, სამეფო სახლის აღმმართველნი,** მეფის ირაკლის შვილების მომძიებელნი, იმის თქვენზედ მამულიშვილურის პატივისცემისა არა უგულვებელს მყოფელნი. ამფერუმ თქვენს კეთილის გამორჩევას და შაბაშ თქვენსა ეგრეთსა სიმხნესა და მამაცობას! (168).

ამ აღმაფრენით დღეს არამარტო კახეთის ხალხს იწვევდა ეს გმირი ბრძოლაში, არამედ მთელ ქართველობას. იმედით აღსავსე ერთი ასად ქცეულიყო დღეს მისი ძლევამოსილება... ეხლა მას არც სპარსეთის და არც ოსმალეთის იმედი არ ჰქონდა, არამედ უმთავრესად იმ უდიდეს მოკავშირის, რომელმაც მთელი დედამიწა შესძრა და რუსეთს გულში მახვილი გაუტარა. ეს მოკავშირე დიდი ნაპოლეონ ბონაპარტე იყო.

ამ რუსეთს ეხლა აღარ შეეძლო დიდ-ძალი ჯარები გადაეგზავნა კავკასიისაკენ, საქართველოს დასამორჩილებლად... რაღა ამისი ციებცხელება ჰქონდა, როცა ძლიერი მტერი საკუთარ ქვეყანას უნიავებდა.

ამბოხებულ საქართველოსთვის საჭირო იყო დარიალის კარების ჩაკეტვა, გზების შეკვრა და იმ ძალების დაშლა, რაიც რუსეთს საქართველოში დაშთენოდა. და ეხლა ეს ეკისრა

ალექსანდრე ბატონიშვილს; ჭეშმარიტად, კარგად შეურჩია მან მტერს დრო... და ჩვეულის, ცეცხლოვანის მოწოდებით არაგველთ და მთიულეთს მიმართა, რომ ამათ რუსთ გზა შეუკრან, რათა იქედან ახალი ძალები აღარ შემოეშვათ საქართველოს საბოლოოდ დასამონებლად.

«ეხლა არის, — მოუწოდებდა ბატონიშვილი ალექსანდრე მთის ხალხს, — შემწეობის დრო. ეხლა არის სამსახურის ჟამი და წყალობის მიღებისა; თქვენ ეს ვალი დაგვდევით... ხევს უნდა ჯარით გარდახვიდეთ; გუდამაყრელთ და ხევსურთათვისაც მოგვიწერია; ეგრეთვე მოხევეთათვის, რომ ჩვენის ოჯახის მტრისა და თქვენის მტრის, რუსთ მოსავლელი გზა წაახდინოთ, რომ ჯარმა ველარ გამოიაროს; და საქართველოში მყოფის რუსისა, ღვთის შემწეობით, ჩვენ ვიცით... და კვლავ, როგორც ლომურად ყოფილხართ, ისე ლომურად გაისარჯვინით, ბაგრატოვანთა და ლაშარის ჯვრისა და გუდანის ჯვრისა მოძმის სამეფოს ოჯახის მტრისა და საძირკვლით ამომღების მტერის სისხლი, თქვენც უხვად ღვარად და ღვარად ადინეთ»...

«თქვენი, — მიმართავდა ბატონიშვილი ალექსანდრე ტახტის ერთგულ მთიულეთს, — ჩვენს ოჯახზედ მრავალ რიგად სახელოვნად გარჯილი ძველი ხმალი მოიგონეთ და რჯულისა და თქვენის საყვარელის მეფის ირაკლის შვილებისათვის თქვენს ნამუსიანს სახელსა და თავს ნუ დაზოგავთ, საუკუნოდ თქვენი გულოვნობაც ასახელეთ და მეფის ირაკლის ოჯახი და სახელიც ადიდეთ... ეს არის სიმხნისა და გამოჩინების ჟამი და ჩვენის სამსახურისა და ახლა თქვენ იცით და თქვენმან მრავალ რიგად სახელიანმან ხმალმან... ღვთით მაგათში შეძლება აღარა არის რა... და ღვთის შემწეობით ჩვენი საქმე რიგიანად წარემართება»... (169).

ჩვენ ვიცით, რომ დედოფალ მარიამს ჯერ კიდევ ბელგოროდის ტყვეობაში ყოფნისას საქართველოსთან ურთიერთობა არ გაუწყვეტია, რომ უსასტიკეს ცენზურის პირობებშიაც მასთან სამღვდელო პირები წერილებით მიდიოდნენ და პასუხიც მიჰქონდათ. ეხლა კი, როცა დედოფალი ბატონიშვილებთან და წარჩინებულ ქართველებთან მოსკოვში იმყოფებოდა, მას მეტი თავისუფლება და საშუალება ჰქონდა საყვარელ სამშობლოს

მაჯის ცემისადმი უფრო გულისხმიერ ყოფილიყო და ალექსანდრე ბატონიშვილის ნაბიჯი და მოწოდება არ გამოპარვოდა.

დედოფლის სიმშვიდეს და მოსვენებას არღვევდენ გმირ ბატონიშვილის დაპირებანი და იმედიანი გადაძახება იმ დროს, როცა ნაპოლეონი საქართველოს ვერაგ მტრის «სისხლს ღვარად და ღვარად ადენდა». დედოფალ მარიამის გულს გმირავდა ბატონიშვილის სიტყვები, ამ დროს ქართველთადმი მიმართული:

«ჩუნ მამა-პაპათაც მრავალ-ჯერ დაუქცევია თქუნთვის სისხლი და ჩუნც თავი შემოწირული გუაქუს, — ღუთით და ჩუნი მანდ წამოუსვლელობა არ იქნება. ამაზე სარწმუნო მექმენით, რომ ერთს კვირას თქუნთან სიცოცხლე ათასს წელიწადს სხუაგან ცხოვრებას მირჩევნია... ესეც კარგად იცით, რომ რადგანაც სისხლში გაერიენით და მაგდენი რუსი გასწუვიტეთ, ღმერთმან ნუ ქმნას, რომ მაგათ ძალი მოიცენ, არას დროს არ შეგარჩენენ და მაგათი ფიციც დასარწმუნებელი არ არის; თუ ლბილს სიტყუას გეუბნებიან, მაინც უკანასკნელი რუსებისა არის სიცრუე, ორპირობა და გაუტანლობა, ბუნებით მუხთალნი არიან... ჩუნენ რომ არა დაგვიშავებია-რა და შემწეობის მაგიერ, ასე დაგვამხეს... არც ჭეშმარიტება მაგათში მკვიდრობს და თუ მოტყუებით, ანუ ნივთის მოყუარებით გაცთუნებენ, მაინც უკანასკნელი საფრთხე არის, რომ მაგათგან უკანასკნელ ერთგულთა და ორგულთ მისაგებელი ერთი მიეგება ყოველთათვის — ციბირი». (170).

ამ ეროვნულ მზადების და კახეთის და მთის ამბოხების ამბებმა აშკარა, დროზე მიაღწიეს დედოფალ მარიამამდის. რა თქმა უნდა, ამ დროს მისი გული რუსეთში ვეღარ დადგებოდა და ალბათ მრავალ უძილო ღამეებს გაატარებდა დედოფალი შვილებთან საიდუმლო ბჭობაში იმაზე, თუ როგორ დაეხწიათ კიდევ ერთხელ თავი რუსეთის ბრჭყალებიდან და იქ, მთიულეთში მიეშურებინათ, სადაც იმ ცხრა წლის წინ სწორედ ამ თუშ-ფშავხევსურებმა მისი გატაცება და ხელ-ახლა ტახტზე აბრძანება მოიწადინეს. ეხლა იქ, ერეკლეზე შეფიცულნი, ალექსანდრე ბატონიშვილის მეთაურობით, დააქროლებდენ თვის რაშს; და უკანასკნელ დედოფლისაგან ხმის მიწოდება, მისი ამ

დროს იქ გაჩენა საქართველოსათვის ბრძოლის ნახევრად მოგებას უდრიდა...

და დედოფალმა მართლაც, მოხერხებულად და შედარებით ადვილად ტყვეობას თავი დააბწია და საყვარელის შვილებით საქართველოსკენ გაეშურა... ეხლა მას ციციანოვის რკალი არ ერტყა და აღარც რუსეთი იყო ის, ძველი და ძლიერი, ურყევი; მას ეხლა შინ და გარედ ცეცხლი მოსდებოდა...

მაგრამ ამ საბედისწერო ჟამს რუსეთს კვლავ გამოუჩნდა მოულოდნელი მხსნელი: ეს იყო ზამთარი, ნაპოლეონს მოსკოვში რომ მოუსწრო და დიდ გამარჯვებათა შემდეგ მამაც სარდალს და უძლეველ კორსიკელს უეცრად დავთარი აურია. მან ზამთარის დიდ ყინვებს უკვე დამწვარსა და დაფერფლილ რუსეთში აღარ დაუცადა და ის, საკმაოდ შეთხელებული გვარდიით, საყვარელ სამშობლოსაკენ გაეშურა.

დაჭანდა ბონაპარტის მზე და — მასთან ერთად დაეშვენ ის პატარა მნათობებიც, სრბოლის გზას მისგან ანატყორცნის სხივებით რომ აშუქებდენ.

დაბნელდა ამნაირად საქართველოს ახალი გმირის, ალექსანდრე ბატონიშვილის პატარა მნათობიც... მას სახელოვან მამის ხმალი ქარქაშში ჩააგებინეს. მართალია, რტიშჩევის ჯარებმა ის ხელთ ვეღარ ჩაიგდეს და მან თვისის ერთგულებით შატილში გამაგრება მოახერხა, მაგრამ იმ დიდ «დივერსიაზე», რასაც საქართველო რუსეთისაგან უნდა გამოეხსნა, ეხლა ფიქრიც აღარ შეიძლებოდა. ბატონიშვილმა დროშა ხელ-ახლა დაკეცა და ბრძოლა მომავალ დროისათვის გადასდო.

მთავარმართებელმა, ღენერალმა რტიშჩევმა აუარებელი ჯარი გაგზავნა ალექსანდრე ბატონიშვილის წინააღმდეგ; მან რენეგატ დიმიტრი ორბელიანს, ღენერალ სიმონოვიჩს და სხვა თანაშემწეთ სასტიკი გახკარგულება მისცა: არას გზით რკალიდან არ გაეშვათ ალექსანდრე ბატონიშვილი და ალყა უფრო და უფრო გაეძლიერებინათ...

ხოლო ბატონიშვილს პირადად ზაქარია ჯორაშვილის და სხვათა შიკრიკთა ხელით საგანგებო წერილებს უგზავნიდა და სთხოვდა (ეს უკვე მერამოდენჯერ!), რომ განდგომის გზა დაეგდო და ხელმწიფეს შერიგებოდა. მოხუცი მთავარმართებელი მას კვლავ დიდ წყალობებს ჰპირდებოდა...

ამასთან მთავარმართებელი ბატონიშვილ ალექსანდრეს ყველაფრის დავიწყებას და ფუფუნებით სავსე ცხოვრებას აღუთქვამდა იქ, სადაც კი თვითონ მოისურვებდა ალექსანდრე ბატონიშვილი. მოღალატე დიმიტრი ორბელიანი ხომ კერძოდ ურჩევდა შატილში გამაგრებულ ბატონიშვილს — ყური ეთხოვნა ღენ. რტიშჩევისათვის და არ აჰყოლოდა გამოუცდელ «ბიჭების და მჩატე ახალგაზრდების რჩევას».

ამაზე ალექსანდრე ბატონიშვილმა დიმიტრი ორბელიანს სარკაზმით სავსე და მტკიცე პასუხი გასცა:

«მე ყველგანა მყვანან აგენტები, — სწერდა ბატონიშვილი, — და თუ თქვენ იმოქმედებთ, ჩვენც ხომ თქვენგან ვისწავლით — თუ როგორ უნდა მოვიქცეთ; თქვენ მაყუვედრით — «ბიჭებისა და გოგოების რჩევას აჰყოლიხაროო». რა ვქნა, რომ სწორედ ესენი არიან ჩემიანები და ეროგულნიცა. მაშ, ბონაპარტეს მე ვინ მომცემს მრჩეველად?». (171).

ღენერალ დიმიტრი ორბელიანმა იმდენად დაჰკარგა მოთმინება, რომ რაკი ბატონიშვილის ხელთ ჩაგდება ვერ მოახერხა, მისი ერთგული სოფლები: შილდა, ველის-ციხე და საბუე სავსებით გაანადგურა, აიწიოკა და შემდეგ ცეცხლს მისცა.

«ეს იმიტომ, — სწერდა იგი რტიშჩევს, — რომ ამათ რამოდენჯერმე მიიღეს და უერთგულეს მთავარმართებელ ალექსანდრეს და მის არამზადებს»-ო. რუსეთის ხელისუფლება ეჭვიანობით ამკობდა ის ალექსანდრე ბატონიშვილის ერთგულ მამულიშვილთა რაზმს, შილდასთან ახლოს ჩასაფრებულს, რომელსაც მღვდელი მეთაურობდა. დიმიტრი ორბელიანი რტიშჩევს სწერდა — «ჩასაფრებული რაზმელები ხიჯეტებით დავიჭვლეტინე და მათთან ერთად მღვდელიც, რომელსაც მოჰყავდა ეს არამზადები («სვოლოჩ») ბრძოლაში და გზაში მათ ლოცავდა»-ო. (172).

კახეთის აჯანყების დაცხრომის შემდეგაც, 1813 წლის გაზაფხულზე, მოხუცი მთავარ სარდალი რტიშჩევი კვლავ სთხოვდა შერიგებას შატილში გამაგრებულ ბატონიშვილ ალექსახრეს, ეფიცებოდა სინიდისს, ჭაღარას და ქრისტიანობას... მაგრამ ბატონიშვილის ამხედრებული ბუნება არაფერში აღარ ეხდობოდა რუსებს და ნაპოლეონის დამარცხების შემდეგაც ურყევად იდგა ბაგრატიონთა სადარაჯოზე.

«თქვენ მწერთ, — უპასუხებდა მთავარმართებელს ბატონი-

შვილი, — თითქოს მე ამდენ დევნათა შემდეგ შიშის ძრწოლამ მომიცვა და დღეს საკუთარის აჩრდილისაც მეშინიან... წინააღმდეგ, ჩემმა ღწვამ სამშობლოსათვის ჩემი გული გააკაჟა და სალ კლდედ მაქცია.

«მე მაშინებს მხოლოდ დღევანდელი ყოფა ჩემის ძმებისა და ქალებისა — დედოფლების, ქრისტეს მოყვარე გამრჯელ ქალთა. აგრეთვე ჯარისკაცთა გამოსიანება და მოტაცება სამეფო ოჯახის ბავშვთა... თუმც ესენი (სპარსელნი) მუდმივი მტრები იყვნენ, მაგრამ მათ არას დროს არ მიუტაცებიათ ჩვენგან სამეფო გვირგვინი»... (173).

ჩვენთვის აშკარაა, რომ აქ ალექსანდრე ბატონიშვილი, უმთავრესად დედოფალ მარიამზე მიუთითებს რუსეთის რწმუნებულს. მხოლოდ მისი ბედი აშინებს ალექსანდრე ბატონიშვილს, ამ მორწმუნე ქრისტიანი ქალის ბედი, რომელსაც გვირგვინთან ერთად შვილებიც მოსტაცეს და კორპუსში გამოუმწყვდიეს.

გვეყოფა, რაც რუსების «ქრისტიანობას» და «პატიოსან სიტყვას» ვენდეთო — კარგა ხანია ჩვენ შორის მოციქული მხოლოდ ხრმალიაო.

ბოლოს რტიშჩევსა და ორბელიანს ცდებმა მაინც ტყუილად ჩაუარა. ალექსანდრე ბატონიშვილმა მოხერხებით რკალი მაინც გაარღვია შატილთან და ანწუხში გადვიდა, ხოლო იქედან სამშვიდობოში (სპარსეთში) მიაშურა აბას-მირზას, რათა სპარსეთის კარი ახალ ბრძოლებისათვის აეგულიანებინა.

კახეთის აჯანყების საქმე კი ამჟამად მაინც წაგებული იყო და მასთან დაკავშირებული იმედებიც ჩაიძირენ.

ამ გულშემზარავმა ცნობამ ბატონიშვილებს და კერძოდ დედოფალ მარიამს ალბათ სადმე გზაში მოუსწრო ასტრახანთან, როცა ესენი კავკასიის ხაზთან მიახლოებას აპირებდენ საქართველოში გადასასვლელად.

სამწუხაროდ, ჩვენ იმის ცნობები არ მოგვეპოვება, თუ საიდან და როდის მოუხდათ დაბრუნება დედოფალს და მის ვაჟებს, როგორის ხერხით დაახწიეს მათ თავი ახალ რეპრესიებს და როგორ გადურჩა დედოფალი ხელმწიფე-იმპერატორის ახალ განრისხებას? ალბათ სუსხიან ზამთრის წყალობით ასე დაუმსახურებლად მოპოებულმა გამარჯვებამ ნაპოლეონზე,

ხლექსანდრე პირველს იმდენად თავბრუ დაასხა, რომ მან აღარ ინება ამ «წვრილმანების» გამოკიდება და დედოფალს ეს ახალი «გატაცება» დაუვიწყა...

ამ მწარე გამოცდილების შემდეგ ჩვენ დედოფლის სახელს არც ერთ შეთქმულების ან ჯანყების საქმეში არ ვხვდებით... აშკარაა, რუსეთმა ის საკმაო გარკვევით «გააფრთხილა». ეხლა დედოფალი სამშობლოსადმი თვის დიდ სიყვარულს გულში იხვევს და საქართველოს ერთგულებს ჩუმ და დედობრივ დარიგება-დახმარებას უჩენს.

მაგრამ იმ დიდ სამზადისს და საერთო აბობოქრებას, რომელსაც «ქართლის ბედის შებრუნება» ერთხელ კიდევ უნდა ეცადა, ამ 1832 წლის დიდ ეროვნულ შეთქმულებას, რომელსაც დედოფლის საყვარელი ვაჟი, ოქროპირი მეთაურობდა და აწყობდა, მარიამი გულგრილად ვერ შეხვდებოდა. მაგრამ ეხლა ის ალბათ მეტად ფრთხილად და წინდახედულად მოქმედებდა...

1832 წლის შეთქმულების წევრებიც, ალბათ, როცა იასე ფალავანდიშვილის გაცემის შემდეგ, მათ დაჰკითხეს, იმდენ მოწიწებას და ერთგულებას იჩენდენ წამებულ დედოფლისადმი, რომ მას «ჩრდილი» არაფრით მიაყენეს და მის მოხსენიებას ყოველნაირად ხელი დაუფარეს.

ამგვარად, ეს იმედებიც დაემსხვრა ბაგრატიონებს და დედოფალ მარიამს... ამ დღიდან, ვიდრე მის აღსასრულამდე, 1850 წლამდე, საქართველოს უკანასკნელ დედოფალს არც ერთი ილუზიისათვის თავი არ მიუცია და საქართველოს ახლო აღდგომის იმედით გული არ გაუხსნია...

როგორც აღვნიშნეთ, დედოფლის მთელი ყურადღება ეხლა მეცენატობას და ქართული კულტურის სამსახურს მიეყრდნო. და საქართველოს დედოფალი ეხლა ამ პატარა, მაგრამ სახელოვანი კერის — უკანასკნელ მეფის ოჯახის დედოფლად იქცა და ეს ოჯახი მან გახადა საყრდენად ქართველ მოღვაწეთა და მწერალთათვის.

ყველა, ვინც კი წარჩინებულთაგანი იმდროს მოსკოვში ან პეტერბურგში ჩავიდოდა, თვის უპირველეს მოვალეობად სთვლიდა, ენახა დედოფალი, წარსულ დიდებათა შესახებ მასთან ხანგრძლივად და ტკბილად ესაუბრა, შესაფერი რჩევა-და-

რიგება მისგან გამოეთხოვა და ლოცვა-კურთხევა მიეღო. ეს იყო საქართველოს წარსულთან საიდუმლო და წმიდა ზიარება... მაშინდელ მოღვაწეთა დღიურებში და მემუარებში ბლომად იქნება ამისი მასალა გაფანტული, მაგრამ ჩვენ დასახასიათებლად ზოგიერთს მოვიყვანთ.

ჩვენი ძველი მკვლევარი და ისტორიკოსი სულხან გერმანოზის ძე ბარათაშვილი, რომელმაც ვახუშტის და თეიმურაზის შემდგომ საქართველოს ისტორია პირველმა სისტემაში მოიყვანა და დაამუშავა, როცა ეს ისტორიკოსი 1841 წელს პეტერბურგიდან სამეცნიერო მუშაობის მიზნით საქართველოში მიემგზავრებოდა, მან დედოფალი მარიამი ინახულა. ეს წინადადება სულხანს მარი ბროსემ მისცა, რომელიც ხშირად ყოფილა თურმე დედოფალთან. ამასთან ბროსემ ურჩია, რომ სულხანს დედოფლისათვის შესაფერისი სარეკომენდაციო წერილები ეთხოვა, რომელთა საშუალებით ჩვენს მკვლევარს შეეძლო საქართველოში ისტორიული ნაშთები, საეკლესიო და ყოფილ სამეფო ოჯახის სიგელ-გუჯრები, წიგნთსაცავები და არქივი დაეთვალიერებინა და აღეწერა; დედოფლის წერილებს საამისო ნებართვების მიღება უნდა გაეადვილებინა.

დედოფალმა ახალგაზრდა ისტორიკოსი განსაკუთრებით თბილად მიიღო, თურმე დიდხანს ესაუბრა და როცა შეიტყო, რომ სულხანი მისგან მოწმობებს ითხოვდა, შენიშნა: «სამწუხაროდ, მაგ საქმეში ჩემი გარევა არ იქმნებაო»-ო.

ალბათ დედოფალს აფიქრებდა, რომ ეს საბუთები რუსის მოხელეს ჩაუვარდებოდა და ამას საქართველოს პოლიტიკურ საქმეებში ჩარევად ჩაუთვლიდენ დასჯილ დედოფალს... მაგრამ მას სწადდა არა პირდაპირის გზით მარი ბროსეს თხოვნა მაინც შეესრულებინა და ახალგაზრდა მკვლევარს რითიმე დახმარებოდა. ამიტომ უბრძანა თვის მოძღვარს პარმენს, წასულიყო ანდრეევის მონასტერში ბერმონაზონ ვიქტორთან, რათა მას თაგის ძმასთან, მთავარეპისკოპოს ევგენისთან — საქართველოს ეკზარხოსთან — საგანგებოდ მიეწერა: — სულხანს საქართველოში ყოველგვარად დაეხმარეთო. (174).

ამასთან ერთად კიდევ ერთი პატარა ამონაკვნესი წამებულ დედოფლისა: როცა გამოთხოვებისას სულხან დედოფალთან მიდიდა და ხელს ემთხვია, დედოფალმა მას ხელში ფული ჩაუ-

დო, პირჯვარი გადასწერა, გზა დაულოცა და გულის ტკივილით უთხრა:

«თუ ცოცხალი ვერა, მკვდარი მაინც ვეღირსო ნეტა საქართველოს ნახვას»-ო.

თედო სახოკია, ავტორი ამ წერილისა სულხან ბარათაშვილზე, დასძენს, რომ დედოფალს ეს უკანასკნელი ნატვრა მაინც აუსრულა განგებამო: მისი ცხედარი გადმოასვენეს და სვეტიცხოველის ტაძარში დიდის პატივით დაკრძალესო (იქვე).

ჩვენი სახელოვანი მკვლევარი და ისტორიკოსი პლატონ იოსელიანიც ხშირად ეახლებოდა ხოლმე დედოფალს და მასთან მსჯელობაში მრავალ საათებს ატარებდა. დავით რექტორის მოწაფე, პ. იოსელიანი სემინარიის დასრულების შემდეგ სასულიერო აკადემიაში სწავლის გასაგრძელებლად პეტერბურგს გაემგზავრა. აქ ის ახლო გაეცნო საქართველოდან გადასახლებულ ბატონიშვილებს, მარიამ დედოფალს და მათთან ახლო ურთიერთობაში იყო. (175).

პლატონ იოსელიანის დაახლოება და კულტურული დანათესავება დედოფალ მარიამთან, სხვათა შორის, იქედანაც სჩანს, რომ მან თვისი, ყველაზე უფრო შესანიშნავი და ადრინდელი შრომა, გამოკვლევა ქართულ ეკლესიის შესახებ, პეტერბურგში ყოფნისას, დედოფალს მიუძღვნა. ამ მოწიწებით მიძღვნაში პლ. იოსელიანი სწერს:

«Ея Высочеству царице Карталин кой и Кахетинской Марии Георгиевне, супруге покойного царя Грузинского, Георгия XII, усерднейше посвящает кандидат Платон Иоселиани». Мая 10-го дня 1843 г. С. Петербург. (175а)

როგორც ამ ამბებიდან სჩანს, მარიამ დედოფალი ახლო ურთიერთობაში იყო პეტერბურგის ქართველების მოწინავე წრესთან. ამ წრეში მაშინ იმყოფებოდნენ ქართველი წარჩინებულნი და ბატონიშვილნი, რომელნიც კულტურულ მუშაობას ეწეოდენ დავით ბატონიშვილის, თეიმურაზ ბატონიშვილის, ფარნაოზ ბატონიშვილის და სხვათა მეთაურობით. ამ წრესთან იყო დაახლოებული დ. ჩუბინაშვილი, რომელიც ირიცხებოდა თარჯიმნად ქართულ სამეფო სახლთან (176). ამრიგად, თვითონ დედოფალ მარიამთან დაახლოებული პირი იყო. როგორც ვიცით, იქ იმყოფებოდა იმ დროს ჩვენი წარსულის დიდი და

უანგარო მკვლევარი და ისტორიკოსი მარი ბროსე და სხვა მრავალნი მწიგნობარნი, რომელთაც სახელოვანი კვალი დასტოვეს ჩვენს კულტურულ წარსულში.

დიდი მწერალი და დედოფალ მარიამის კარის მოძღვარი იონა ხელაშვილი ხომ იოანე ბატონიშვილთან კი არ იყო მარტო დაახლოებული, არამედ მთელ სამეფო სახლთან და კერძოდ, დედოფალთან*.

თვითონ დედოფალიც არ ყოფილა მოკლებული იმ დიდ სიყვარულს მწერლობისადმი, რომელიც ქართულ სამეფო სახლს მუდამ ახასიათებდა; დედოფალს თავიდანვე იტაცებდა ძველი ქართული სასულიერო და საერო მწერლობა და თვითონაც სწერდა თურმე ლექსებს, რომელშიაც თვის ღრმა სულის კვეთებას და მწარე თავგადასავალს ასახავდა. პოეტ იოსებ გრიშაშვილს თავის შვენიერ გამოკვლევაში — «ძველი ტფილისის ლიტერატურული ბოჰემა» — ნათქვამი აქვს, რომ «წერაკითხვის საზოგადოების ხელთნაწერებში დაცულია მარიამ დედოფლის მრავალი სასიმღერო ლექსიო. ერთ ლექსს ასეთი მინაწერი ჰქონია:

«როცა გარუსებულმა პავლე ციციანოვმა მარიამ დედოფლის სახლს, გარს რუსის სალდათები დაუყენა ყარაულად და მერე თვითონაც დაპატიმრებულ იქმნა, მწუხარებით მარიამ დედოფალმა, ეს გაფი მაშინ სთქვა»-ო. (178).

ი. გრიშაშვილი გვიმოწმებს, რომ ეს მასალები მისთვის განსვენებულ დავით კარიჭაშვილს უჩვენებია; ეს ხელნაწერი ჯერ ჩაწერილიც არ იყო კატალოგშიო.

პროფესორ ა. ხახანაშვილსაც აქვს თავის «ქართულ სიტყ-

---

*) ამასთან დაკავშირებით გვინდა აღვნიშნოთ, რომ 1832 წელს მარიამ დედოფლის მეთაურობით, მოსკოვში მყოფ სამეფო ოჯახის წევრთ საყვარელ მოძღვრისათვის, იონა ხელაშვილისათვის, მისი ხანგრძლივი მწერლობის და ერთგული სამსახურის აღსანიშნავად და პატივსაცემად საგანგებო სიგელი უბოძებიათ, რომელსაც მარიამ დედოფალთან ერთად ხელს აწერდნენ 1832 წლის შეთქმულების მეთაური ბატონიშვილი ოქროპირ; შემდეგ თეიმურაზ, ბაგრატ, ილია და ირაკლი ბატონიშვილები. (177).

ვიერების ისტორია»-ში მოხსენებული, რომ... დედოფალმა მარიამ, მეუღლემ გიორგი მეცამეტისა, დაგვიტოვა ელეგიური ნაწარმოები, რომელიც გამოხატავდა მის სავალალო ბედსო. (179).

ზედმეტი არ იქნებოდა აქვე მოვიყვანოთ პროფესორ ა. ცაგარელის სიტყვები დედოფალთა საერთო განსწავლაზე და მათ მაღალ, შვენიერ სტილზე, რომელიც პროფესორის აზრით, განსაკუთრებით ქართულ შვენიერ სქესში აგრე რიგად იყო განვითარებული ძველ საქართველოში და რომლის ტრადიციები მტკიცედ შეენახათ უკანასკნელ დედოფლებსაც.

«აქედან ერთხელ კიდევ მოსჩანს, — დასძენს მკვლევარი, — ტრადიციული სამსახური (თანაგრძნობა) საქართველოს სამეფო სახლის წევრთა ქართულ მწერლობისა და ლიტერატურისადმი, რომელსაც ისინი ხშირად თვითონ ემსახურებოდენ ღირსშესანიშნავის ნიჭიერებით»-ო. (180).

დედოფალის მოსკოვში ცხოვრების შესახებ და, საერთოდ, მის უკანასკნელ წლებზე ჩვენ, სამწუხაროდ, სხვა რამ ცნობები არ მოგვეპოვება.

«აქტ»-ებმა შეგვინახეს რამოდენიმე ოფიციალური წერილი რუსეთის კარისა დედოფლის სასახლის შესახებ თბილისში; ესენი დათარიღებულია 1809 წლით. მაგრამ იმ ხანად სამეფო სახლის მთელი ქონება უკვე ჩამორთმეული იყო და რუსეთის ხაზინის საკუთრებას შეადგენდა. ასე რომ, ეს მიწერ-მოწერა დედოფალს პირდაპირ აღარ შეეხებოდა, არამედ მის ყოფილს სასახლეს. აქ მთავარმართებელი ტორმასოვი ხელმწიფისაგან ნებას ითხოვს თვით გადავიდეს ამ შენობაში, რომელშიაც ციციანოვის დროს «საექიმო და სააფთიაქო მმართველობა» უნდა მოთავსებულიყოო.

მთავარმართებელი ამ დროს მარიამ დედოფლის სასახლეში ცხოვრობდა... 30 აგვისტოს 1809 წ. მას უმაღლესი განკარგულება მიეღო, რათა თვით გადასულიყო საცხოვრებლად საექიმო-სააფთიაქო სამმართველოსათვის აგებულ შენობაში, ხოლო იქ მოთავსებული სააფთიაქო სამმართველო მარიამ დედოფლის სასახლეში გადაეტანა. ამ «სამმართველოს» განკარგულებაშივე გადადიოდა ყველა ის შენობები, რაც დედოფლის ბაღში იყო მოთავსებული. (181).

ნ. ბადრიაშვილი, თავის წიგნში — «ტფილისი» (გამოცემა 1934 წ.) ამბობს: «ჩვენამდე მოაღწია ამირების ბაღმა, რომელიც შემდეგში გარდაიქცა დედოფალ მარიამის ბაღად; ეს ბაღი მდიდარი იყო დეკორატიული მცენარეებით სოლოლაკის სამხრეთში ფერდობებზე და ეს გახლავთ დღევანდელი ბოტანიკური ბაღი. (182).

*

დავუბრუნდეთ დედოფლის ცხოვრების უკანასკნელ ხანის ამბებს, რაც შემთხვევით დღემდე შემონახულა.

დედოფალს, თითქოს უგრძვნია, რომ მისი დღეები იწურებოდენ, ტანჯვათა ყავლი გადიოდა და მალე უნდა დიდი ერეკლეს და საყვარელ გიორგი მეფეს წინაშე წამდგარიყო; მათთვის ეთქვა საქართველოს უკანასკნელი ამბები.

დედოფალ მარიამს მართლაც ჰქონდა თავის გასამართლებლად სათქმელი. აბა როგორ გაწვდენოდა ამ საშინელ ღელვათა ჟამს ეს სუსტი ქალი, უჯაროდ და უსარდლოდ დიდი იმპერიის იერიშებს? რით და როგორ შეენახა ის, რაც მეფემ უანდერძა? ეხლა ბევრი სინანული იყო მის გულში, ბევრი მოთმინება ისწავლა ცივ მონასტრის კედლებში და შემდეგ ხანგრძლივ ლტოლვილობაში; ეხლა ის წინანდებურად გულფიცხი აღარ იყო; იცოდა, რომ დღეს სულ სხვა რამ იყო საჭირო; ახალი გზები და ახალ სათავეების ძებნა, მაგრამ მისი ღონე მას აღარ შესწევდა? და მისი საყვარელის ძის, ბატონიშვილ ოქროპირის ოცნება და ცდა ამ ახალი გზის საძიებლად (1832 წლის შეთქმულება) ხომ საშინელის მარცხით დამთავრდა... რაღა დარჩენოდა? მარტო ერთი სანუკვარი ოცნება — ერთხელ კიდევ ენახა თვისი საყვარელი სამშობლო, თვისი აკვანი — ქართლი, მისულიყო საყვარელ მეფის საფლავზე მცხეთაში და იქ დიდი სევდა ამოეტირებინა, — ეთქვა თვისი უკანასკნელი აღსარება და ყველაფრისათვის პატიება ეთხოვა...

და დედოფალმა ერთხელ კიდევ, და ამჟამად უკანასკნელად, მიმართა თხოვნით რუსთა ხელმწიფეს: რათა გაეშვათ ის, ღრმა მოხუცებული, სამშობლოში — მშობლიურ კუთხის გამოსათხოვარად და საუკუნო მოსასვენებლად საყვარელ ქმრის გვერდით. ეს ის თხოვნა იყო, რომლითაც მან თითქმის მთელი ნახე-

ვარი საუკუნის წინ ციციანოვს და თვით იმპერატორსაც მიმართა და რაზეც ცივი უარი მიიღო; მაშინ მისი იქ ყოფნა საშიშად მიიჩნიეს; მაგრამ ეხლა... ეხლა მოხუცი და უძლური ვიღას და რას დაუშავებდა?...

და დედოფალმა, რომლის ნაცრემლი თვალები ამ ნახევარ საუკუნის ლოდინმა ამოაშრო, ბოლოს მართლაც მიიღო ასეთი «წყალობა», და ეს იმის შემდეგ, რაც მისმა თხოვნამ ერთხელ კიდევ მრავალი უწყებები შემოიარა, და შემდეგ ის დასკვნისათვის «ნამესტნიკ» ვორონცოვს გარდაუგზავნეს საქართველოში. და აი, 1849 წელს, აგვისტოში, სამინისტროს თბილისიდან დადებითი დასკვნა დაუბრუნდა.

მაგრამ ეხლა ეს უკვე გვიან, მეტად გვიან იყო. ისედაც მისუსტებული გული დედოფლისა, აშკარაა, ამდენ ლოდინს ვეღარ გაუძლებდა და ნელ-ნელა ილეოდა; ეხლა მას ასეთი შორი და მძიმე მგზავრობის ძალაც აღარ ჰქონდა და, ლოგინად ჩავარდნილი დედოფალი, ალბათ ნაღელიანად გადახედავდა ამ შემოდგომაზე მიღებულ ნებართვას და იტყოდა: «ჩემი უკანასკნელი შემოდგომაც დაიწყო; ვეღირსები კი კიდევ გაზაფხულს და ჩემი ქვეყნის ამწვანებით გახარებასო? რა ცუდ დროს მიღალატა ჩემმა გულმა, სად დადგა ჩემი მუხლი?...».

მთავარმართებელ ვორონცოვის დასკვნა და პეტერბურგის «წყალობა» დაგვიანებული შეიქმნა... დღეს ის მომაკვდავ დედოფალს ვეღარ ჰკურნავდა.

სინამდვილესთან უთუოდ ახლოს ვიქმნებით, თუ ვიფიქრებთ, რომ მოწინავე ქართველობამ, რომელიც დაახლოებული იყო მთავარმართებელ ვორონცოვის კართან თბილისში, თვით აიღო ხელთ შესაფერი თაოსნობა, რათა წამებულ დედოფლის ბედი ეხლა მაინც შეემსუბუქებინა დიდ იმპერიას. და ქართველობამ «ბრწყინვალე გრაფს», მრავალჯერ წარმოთქმულ «წყალობათა» გასანაღდებლად, უკანასკნელ დედოფლის უკანასკნელი წადილის აღსრულება მოსთხოვა. ვორონცოვი შორსმჭვრეტი და მოქნილი პოლიტიკოსი იყო და მას დაუცხრომელ შამილთან ბრძოლაში ქართველების დაყვავება და მათზე დაყრდნობა სჭიროდა.

დაუსრულებელ აჯანყებათა შემდეგ იწყებოდა ხანა «შერი-

ეების» და ქართველობის შემომტკიცებისა... გააფთრებულ და დაუღალავ მებრძოლებს საქართველოს და ბაგრატიონთა უფლებების აღსადგენად: ორბელიანებს, ერისთავებს, ჭავჭავაძეებს და სხვებს მთავარმართებლის სასახლის კარები ეხლა ფართოდ გაუღეს და იქ მათ ფუფუნება, ბრწყინვალე ეტიკეტები, სიმდიდრე და ლმობიერი მოპყრობა აჩვენეს.

.ვორონცოვმა შეგნებულად ქართველთა აქტიობა ეხლა სხვა კალაპოტში გადაუშვა, — და ამასთან მათ ყოველ გვარ სამსახურის, წარმატების გზა გაუხსნა და თან ეროვნულ კულტურის აყვავების სახსარიც გაუჩინა... მთავარმართებელმა ამ ხერხით ძველი რაინდები «შეასამუსა»...

ამ მძიმე დროში დიდად საჭირო გახდა ომებში ნაცადი ქართული მკლავი და ხმალი. მარტო მათის დახმარებით თუ შესძლებდა მთავარმართებელი ურჩი მთის მოტეხას და ამით კავკასიის სამუდამო შემომტკიცებას. და ქართველობას დაპირებანი და ტკბილი ალერსი არ დაჰკლებია.

ამ ახალმა სიომ ბევრის გული შესცვალა და მრავალი წევრი ყოფილ შეთქმულობისა (1832 წ.) მართლაც «შეაბრუნა». ამით ეხლა იმედი აღეძრათ რუსეთის და ვორონცოვის ახალ პოლიტიკის «წყალობით» და მფარველობით საქართველოს კულტურის რენესანსისა.

და არა მარტო ეროვნულ კერის და კულტურის გამოცოცხლების წადილი ამოძრავებდა ამ «შერიგებულთ»; ამათ თავისებური პოლიტიკური პროგრამაც მოეპოებოდათ, ამ ახალ პირობათა გამოყენებისათვის. თუმცა დღეს სუვერენი ერი და მისი სამეფო აღარ იყო, მაგრამ დიდი ერეკლეს ანდერძი მაინც აშუქებდა: — ძლევა მოსილ რუსეთის საჭურველით, მისი ჯარების დახმარებით გამაჰმადიანებულ და ნახევრად დაკარგულ ძველ საქართველოს დაპყრობა და მის აწინდელ საქართველოსთან გაერთიანება, ოსმალეთის ზღუდეთა დარღვევა და მის მიერ დიდის ხნით შემოჩენილ მთის ხალხთა გატეხა; იმ ურჩ და ფანატიკურ კავკასიის ხალხთა, რომელნიც წინად უწყალოდ არბევდენ და აწიოკებდენ საქართველოს და მის სამეფოს მოსვენებას ახ ძლევდენ. ამ დაუსრულებელმა მოხტომა-ძარცვამ, საქართველო რომ დაუძლურა, მართლაც შურის ძიების გრძნობით აღავსო იმედ გაცრუებული ბრწყინვალე წოდება და

ორბელიანებს ლეკთა სისხლით დათრობა მოასურვა. (იხილეთ გრიგოლ ორბელიანის კერძო წერილები).

ამ «შებრუნებას» დიდის მოხერხებით იყენებდა ჭკვიანი დიპლომატი ვორონცოვი და ქართველობის რაინდობას უფრო მეტად ახალისებდა...

ისტორიკოსი ალექსანდრე ორბელიანი, ვაჟი თეკლა ბატონიშვილისა, გულის ტკივილით აღნიშნავს, რომ ვორონცოვის ამ გაიძვერულმა პოლიტიკამ მართლაც მიაძინა და მოადუნა ქართველობის აჯანყებული და შეურიგებელი ბუნება, დღეს მას მტერი მოყვრისაგან ვეღარ გაერჩია. ოდესღაც რუსეთის ტყვეობისაგან დასახსნელად დარაზმულნი, 1832 წლის შეთქმულების სახელოვანი წევრნი, დღეს რუსთა ერთგულ მოხელეებად გარდაქმნილიყვნენ. ვორონცოვი იმპერიის განსამტკიცებლად ქართულ ძალებს იყენებდა, თვითონ მხოლოდ ცარიელ დაპირებებს აძლევდა ქართველთა მოწინავეთ.

მაგრამ ჭკვიანმა და მოქნილმა პოლიტიკოსმა ისიც კარგად იცოდა, რომ ამ დაპირებებსაც თვისი საზღვარი ჰქონდა და ცარიელ სიტყვებით არ შეიძლებოდა დიდის ხნით ქართველთა შერიგება. საჭირო იყო მცირედ «დათმობებზე» წასვლა და ზოგიერთ მერყევთა შემომტკიცება. აი, ამ «დათმობათა» პოლიტიკამ მისცა საქართველოს ეროვნული თეატრი და გაზეთი და იმ ბნელ და სუსხიან დღეების შემდეგ ესეც ხომ ნაბიჯი იყო.

ალბათ ამ «დათმობათა და წყალობათა» პოლიტიკას მიეწერება, რომ წამებულ დედოფალ მარიამის უკანასკნელი სურვილი საქართველოში დაბრუნებისა, ბოლოს შეწყნარებულ იქმნა. იქვი არაა, საქართველოს წარჩინებულნი დაპირებულ ლოიალობის გამოსაჩენად ყველაზე ადრე, მოხუც დედოფლის ტყვეობიდან დახსნას მოსთხოვდენ. ვორონცოვმა აქაც ჩვეული წინდახედულობა გამოიჩინა და უმაღლეს კარს ამ მცირედ დათმობაზე წასვლა ურჩია, მით უფრო, რომ ასეთი დათმობა ეხლა არაეითარ ხიფათს არ უმზადებდა იმპერიას.

ვორონცოვმა დამამშვიდებელის არგუმენტაციით მიმართა იმპერატორს და დაარწმუნა, რომ შამილთან გამწვავებულ ბრძოლის დროს, ქართველთა ნდობის მოპოება და მათი ერთგულება დიდად საჭირო იყო; და ამ დროს მოხუც დედოფლის უმაღლესად შეწყალება ქართველების გულს მოიგებდა. ამხე-

ლად ღრმად მოხუცებულ და სნეულ დედოფლის საქართველოში დაბრუნება სახიფათო არ უნდა ყოფილიყო; მისი დღეები, ექიმების დასკვნით, ხომ დათვლილი იყო; ეხლა «დაბრუნების» ნებართვა, ნამდვილად უკანასკნელ მეფის, გიორგის გვერდით სამუდამო განსვენების ნებართვა იქმნებოდა...

აქ უბრალო ანგარიში იყო და ის სასწორს «წყალობისაკენ» სწონიდა. ხელმწიფემ ვორონცოვის ეს «ანგარიში» სასარგებლოდ დაინახა და მთავარმართებლის მიმართვა შეიწყნარა.

დედოფალმა, ამდენი ლოდინის შემდეგ, სანატრელი ნებართვა სამშობლოში დაბრუნებისა მართლაც მიიღო.

11 აგვისტოს 1849 წ. გრაფი ვორონცოვი შინაგან საქმეთა მინისტრს პეროვსკის ატყობინებდა, რომ ხელმწიფემ მთავარმართებლის თხოვნა, რათა დედოფალს ნება მისცემოდა საქართველოში დაბრუნებისა, რომ იქ თვისი უკანასკნელი წლები გაატაროს და ბოლოს თვისის მეუღლის, უკანასკნელის მეფის — გიორგის საფლავის გვერდით დასაფლავებულ იქმნას,— ეს თხოვნა ხელმწიფე იმპერატორმა კეთილ ინება და შეიწყნარაო. (183).

ვორონცოვის ანგარიში ნამდვილად არ გამტყუნებულა: მართალია, ქართველობას მან «მოწყალებრივი» ხელი გაუწოდა, მაგრამ ისეთის მზაკვრულის დაგვიანებით, რომ დედოფალმა ამ «წყალობით» ვეღარ ისარგებლა. თუმცა მარიამის გულის ცემამ გაზაფხულამდე კიდევ მიაღწია, მაგრამ ლოგინად ჩავარდნილი დედოფალი კარგად ამჩნევდა, რომ მისი დღეები უკვე დათვლილი იყო და რომ საყვარელ სამშობლოს ის ვეღარ იხილავდა... და მომაკვდავმა დედოფალმა 28 მარტს 1850 წ. თვისი უკანასკნელი სურვილი ქაღალდზე გადაიტანა.

ამ ანდერძში დედოფალი ითხოვდა, აგვისტოში ბოძებულ, ფრიად დაგვიანებულ «წყალობის», სიკვდილის შემდეგ მაინც განაღდებას. ამის შესახებ ოთხ აპრილს 1850 წ. დედოფლის გარდაცვალების შემდეგ იგივე მინისტრი პეროვსკი ვორონცოვს სწერდა:

«მოსკოვის სამხედრო გუბერნატორი მატყობინებს რა საქართველოს უკანასკნელ დედოფლის, მარიამ გიორგის ასულის, მოსკოვში გარდაცვალებას, თან მიგზავნის დედოფლის ანდერძს, რაიც მას თვისი აღსრულების ორის დღით ადრე დაუ-

წერია და რომელშიაც ის სურვილს გამოსთქვამს — იქმნას დასაფლავებული საქართველოში, მისი მეუღლის გვერდით.

«ამის გამო მე მივმართე შესაფერის უქვეშევრდომილესს თხოვნით ხელმწიფე იმპერატორს, რომელმაც კეთილ ინება უმაღლესი თანხმობა განეცხადებინა, რათა დედოფლის ცხედარი წასვენებულ იქმნას საქართველოში. ამასთან ერთად იმპერატორისაგან ნაბრძანებია:

«1. მიეწეროს მოსკოვის ღენ.-ღუბერნატორს დედოფლის დაკრძალვის ცერემონიის ჩასატარებლად შეადგინოს საგანგებო კომისია ორი ან სამი პირისაგან, რომელთაც უნდა დაეცალოს: ყოველგვარ ანგარიშთა წარმოდგენა და ცერემონიალის ჩატარება დედოფლის ცხედარის გამოსვენების შესახებ მოსკოვში და მისი წასვენებისა და დაკრძალვის შესახებ საქართველოში.

«2. ცხედარის მოსკოვში გამოსვენების და მისი დაკრძალვის წესის შესამუშავებლად უნდა გადაეგზავნოს ღენ.-ადიუტანტ გრ. ზაკრევსკის პირი იმ ცერემონიალისა, რომელიც 1841 წ. დაამტკიცა იმპერატორმა, პეტერბურგში იმ ხანად გარდაცვლილ იმერეთის დედოფლის, მარიამ კაციას დადიანის ასულის, ცხედარის დაკრძალვის შესახებ. ამავე დროს ევალება თვით ზაკრევსკის — დარჩეს რა ამ დამტკიცებულ ცერემონიალის ფარგლებში — ხელახლა შეადგინოს ქართლ-კახეთის დედოფლის, მარიამის დაკრძალვის ცერემონიალი, რაიც უნდა ჩატარდეს უფრო მეტის ზეიმით, ვიდრე ეს იყო პირველ შემთხვევაში, რადგან ამიერ-კავკასიის მფლობელთა იერარქიაში ქართლის მეფეთა გვარი მუდამ უფრო მაღლა იდგა, ვიდრე იმერეთისა. ამასთან ერთად იმპერატორის ეს განკარგულება მის აღმსრულებელთ განსაკუთრებულ სიფრთხილეს ავალებს, რათა გარდა მოსკოვისა და თვით დასაფლავების ადგილისა მცხეთაში, **არავითარ შემთხვევაში გზა და გზა რაიმე ცერემონიებს ადგილი არ იქმნეს»-ო.** (184).

დედოფლის მცხეთაში დასაფლავების ეს ცერემონიალი ყოველის დეტალებით გამომუშავებული ყოფილა თვით პეტერბურგის მიერ... სამწუხაროდ, საშუალება არა გვაქვს დავსწვდეთ საქართველოში არსებულ არქივს, ან მაშინდელ პრესას, სადაც — უეჭველია — დაცული იქმნება დედოფალ მარი-

ამის თბილისში მისვენების, იქედან მცხეთაში გადატანის და იქ დაკრძალვის ამბები. იძულებული ვართ ზოგ რუს ისტორიკოსის ცნობას და ოფიციალურ წყაროებს დავემყაროთ.

■

დედოფალი მარიამი მიიცვალა ქალაქ მოსკოვში, როგორც დოკუმენტებიდან სჩანს, 30 მარტს 1850 წ. დილის 10 საათზე.

«აქტ»-ებში დაცულია ცერემონიალი დედოფლის ცხედრის გამოსვენების, საქართველოში მისი წასვენება-დაკრძალვის ჩატარებისა. რადგან ჩვენთვის სხვა წყაროები, როგორც ვსთქვით, მიუწვდომელია, საჭიროდ მივიჩნიეთ ეს ოფიციალური ცნობები ცერემონიალის შესახებ თითქმის უკლებლივ მოვიტანოთ აქ:

«თანახმად დამტკიცებულ წესისა, — გვაუწყებს ეს ოფიციალური ცნობა, — დედოფლის ცხედარი, თანხლებით ბატონიშვილთა, ახლო ნათესავთა და სხვა წარჩინებულთა, შესაფერის სამგლოვიარო ზეიმით გამოსვენებულ უნდა იქნას დედოფლის საცხოვრებელ სახლიდან მოსკოვში და სამეფო სახლის ეკლესიაში საგანგებოდ განმზადებულ კუბოში ჩასვენებული; კუბო გადაფარებულ იქმნება საგანგებო ფარჩით («გლაზეტოვიმ პოკრივალომ»), ამვონის ორთავე მხარეს, განსაკუთრებულ სავარძლებზე, რომლებიც მოფარდაგებულ იქმნებიან შეინდის ფერ ხავერდით, ბალიშებზე დაასვენებენ: მარჯვნით — სადედოფლო მანტიას ვარაყით მოოქროებულს («ოქროს გლაზეტით»), რაიც შემოვლებულია ყარყუმის ბეწვით, ხოლო მარცხნივ — დიდი ლესტი ეკატერინეს ვარსკვლავის ორდენითა.

«ამვონი, რომელზედაც კუბო ასვენია, იქმნება სამ საფეხურზე ამართული, შავად შამოზღუდული, ხოლო მის ზევით ამაღლებული იქმნება ბალდახინი ოქროს ვარაყებით («გლაზეტებით»), შემოვლებული ოქროსავე «ბუზმენტებით», ოქროს გრეხილებით და ფოჩებით; მის კუთხეებში დაიდგმება «კანდელიაბრები» დიდის სანთლებისათვის, რომელთა შუაში კედელზე მოთავსდება მიცვალებულ დედოფლის ღერბი.

«13 აპრილს, ღამის 12 საათზე მიცვალებულის ცხედართან დააყენებენ საგანგებო გუშაგებს: ამვონთან ექვს უნტერ-ოფიცერს, ხოლო კარებთან საზეიმო ფორმაში მორთულ ჯარის-

კაცთ, ოგრეთვე ორ-ორი გუშაგნი იქმნებიან დაყენებულნი წინა ოთახთან და შესავალ კარებთან. სამორიგოდ დაინიშნებიან: ექვსი მოხელე საგარეო სამინისტროდან, ორი კამერ-იუნკერი ხელმწიფის სასახლიდან და ოთხი პაჟი.

«დილის 7 საათზე გადახდილ იქმნება უმაღლესი სამღვდელოების მიერ საგანგებო პანაშვიდი, რომელსაც სხვათა შორის დაესწრებიან მოსკოვის სამხედრო ღუბერნატორი, მოსკოვის საბჭოს თავმჯდომარე — გალიცინი, კორპუსის კომანდირი ღენ. ჩაადაევი, უმაღლესი კომისიის წევრნი, ყველა წარჩინებული მოხელენი და ნათესავ-ახლობელნი მიცვალებულ დედოფლისა.

«მეორე დღეს, 14 აპრილს, დილის 8 საათზე, ეკლესიაში შესავალთან და ქუჩის გასწვრივ დაყენებულ იქმნებიან დროშით საპატიო დარაჯები ფეხოსანთა ჯარიდან. აქ 9 საათზე მოგროვდებიან: უმაღლესი სამღვდელოება, წარჩინებულები, საგანგებოდ დანიშნული პირები და ნათესავები და ახლობლები დედოფლისა. ამასთან ერთად, ჯარის წყებები გაიმართებიან მთელის გზის გასწვრივ მიცვალებულ დედოფლის სახლიდან, ვიდრე ჩუდოვის მონასტრამდე. წირვა დაიწყება სრულ 10 საათზე. მწირველი იქნება მიტროპოლიტი მოსკოვისა — ფილარეტი. წირვის შემდგომ პროცესია დაიძვრება შემდეგის წესით:

1) ცერემონმეისტერი ხელმწიფე იმპერატორისა,
2) სასახლის ორი კამერ-იუნკერი,
3) რვა მოხელე საგარეო საქმეთა სამინისტროსი,
4) ოთხი პაჟი და ორი კამერ-პაჟი,
5) მაიორი და ორი ობერ-ოფიცერი მიასვენებენ ბალიშს ორდენებით,
6) მაიორს და ობეროფიცერთ მიაქვთ დედოფლის მანტია,
7) უმაღლესი სამღვდელოება დედოფალ მარიამის ხატითა,
8) კუბოს ფარჩა მიაქვთ ოთხ ობერ-ოფიცერს,
9) კუბოს სწევენ ექვსი უმაღლესი მოხელენი საგარეო საქმეთა სამინისტროსი,
10) კუბოს აცილებენ, მიცვალებულ დედოფლის პატივსაცემად საგანგებოდ ჩამოსულნი, გარდაცვალებულის ნათესავები.

«კუბო დაიდგმება ხალდახინის ქვეშ საგანგებო ეტლზე,

რომელშიაც შებმული არიან შავის მოსასხამებით და დედოფლის ღერბებით მორთული ექვსი ცხენი; ამათ უძღვის ექვსი კაცი შავს მოსასხამებში მორთული და ჩირაღდნებით ხელში; წინ მიუძღვიან 30 კაცი ასევე შავად მოსილნი და ჩირაღდნებით ხელში. ეტლის კიბეებზე სდგანან ექვსი უნტერ-ოფიცერი და უპყრიათ კუბო. ბალდახინს აქეთ-იქით მიჰყვებიან ექვსი მოხელე საგარეო საქმეთა სამინისტროსი, რომელთაც ბალდახინის კუთხეების ზონარები უპყრიათ, ხოლო ფარჩის კუთხეები უჭირავთ ოთხ ობერ-ოფიცერთ.

მიცვალებულის კუბოს უკან მიჰყვება სამგლოვიარო პროცესია შემდეგის წესით:

1) კავალერიის გუნდი,

2) ორი კამერ-იუნკერი,

3) რვა მოხელე საგარეო საქმეთა სამინისტროსი,

4) ოთხი პაჟი და ორი კამერ-პაჟი,

5) ბალიში ორდენებით მიაქვთ მაიორს და ორ ობერ-ოფიცერს,

6) დედოფლის მანტია მიაქვსთ მაიორს და ორ ობერ-ოფიცერთ,

7) სამღვდელოება: წყვებაში ორ-ორი,

8) სამგლოვიარო ეტლი,

9) ნათესავნი და ახლობელნი დედოფლისა, დასაფლავებაზე საგანგებოდ ჩამოსულნი,

10) ქვეითი ჯარი,

11) საველე არტილერია 12 ქვემეხით; ეს ჯარი სდგას წყვებაში, ხოლო შემდეგ აცილებს ცხედარს ჩუდოვის მონასტრიდან, ვიდრე «ამაღლების მონასტრამდე»,

12) სასახლის ხუთი ეკიპაჟი დარაჯებით,

13) ჟანდარმერიის რაზმი.

აგრეთვე გარდახდილ იქმნება პანაშვიდი ჩუდოვის მონასტერში შესაფერისის ცერემონიალით.

ცხედარი შემდეგ გარდასვენებულ იქმნება «ამაღლების მონასტერში» და აქ მოხელენი საგარეო სამინისტროსი დაასვენებენ კუბოს წინასწარ გამზადებულ ამვონზე.

«აქ შესრულდება სალიტი ქვემეხების და თოფების სამ-სამჯერ დაცლით». (184).

მაგრამ, როგორც აღვნიშნეთ, ჩვენთვის ბევრად უფრო საინტერესო იქმნებოდა გავცნობოდით იმ ცერემონიალს, რომელსაც ადგილი ჰქონდა თვით საქართველოში და რის საერთო წესიც რუსეთის მთავრობის მიერ იქმნა წინასწარ დადგენილი.

დედოფლის ხსოვნის პატივისცემისათვის გვინდა ეს ცერემონიალიც მთლიანად ისე მოვიტანოთ აქ, როგორც ის წყაროებს შემოუნახავთ:

«ვიდრე მცხეთის საკრებულო ტაძარს მიუახლოვდებოდეს, სამგლოვიარო პროცესია შეჩერდება და ეტლს გადაახურავენ შვინდის ფერ ხავერდს და ბალდახინით გადაბურულს შეუბმენ ექვს ცხენს, მორთულთ თალხებით და დედოფლის ღერბებით. ეს ცხენები მიჰყავთ ექვს კაცს, მორთულთ შავის მოსასხამებით და ჩირაღდნებით ხელში, რომელთაც წყებებად წინ მიუძღვიან ასევე შავად მოსილნი 34 კაცი ჩირაღდნებით. ამ დროს ექვსი წევრნი ქართველ თავად-აზნაურთა შესდგებიან სამგლოვიარო ეტლის საფეხურზე და კუბოს და ბალდახინს ხელთ იპყრენ, ხოლო კუბოს ფარჩის კუთხეებს იპყრენ ოთხი ობერ-ოფიცერი.

«ამათ უკან მიჰყვება სამგლოვიარო პროცესია შემდეგის რიგით:

1) ქართველ თავად-აზნაურობის ცხენოსანი რაზმი, უმაღლესად ბოძებულ დროშით. ამათ წინ უძღვის ქანდარმების წყება.

2) ორ-ორად დაწყობილნი საღუბერნიო და სამაზრო მარშალნი, თავადნი და აზნაურნი.

3) შტაბ-ოფიცერს და ორ ობერ-ოფიცერს მიაქვთ ბალიშებზე დასვენებული სამეფო ღერბი საქართველოსი.

4) შტაბ-ოფიცერს და ორ ობერ-ოფიცერს ამავე წესით მიაქვთ წმიდა ეკატერინეს ორდენი.

5) შტაბ-ოფიცერს და ორ ობერ-ოფიცერს მიაქვთ ბალიშზე დასვენებული მანტია დედოფლისა.

6) ამავე წესით შტაბ-ოფიცერს და ორ ობერ-ოფიცერს მიაქვსთ საქართველოს დედოფლის გვირგვინი, ბალიშზე დასვენებული.

7) ამათ მიჰყვება ვიკარული ეპისკოპოსი და პირადი მოძღვარი დედოფლისა თვისის ხატით, სამღვდელოების თანხლებით.

8) სამგლოვიარო ეტლი.

9) ნათესავ-მახლობელნი მიცვალებულ დედოფლისა და მის დაკრძალვაზე საგანგებოდ ჩამოსულნი წარმომადგენელნი, საერო და სამხედრო პირნი.

10) ქვეითი ჯარი.

11) არტილერია ექვსი ქვემეხით.

12) სამგლოვიარო პროცესიას ბოლოში მიჰყვება ჟანდარმთა რაზმი.

«ჯარის ნაწილნი სამხედრო სალამით ხვდებიან პროცესიას და უკრავს სამგლოვიარო მუსიკა. მცხეთის საკრებულოს წინ ცხედარს შეეგებება საქართველოს ეკზარხოსი მთელის სამღვდელოებით. ქართველი თავად-აზნაურნი გადმოასვენებენ დედოფალს, შეასვენებენ ტაძარში და კუბოს დასდგამენ ბალდახინის ქვეშ, საგანგებოდ აღმართულ ამვონზე. აქვე დაასვენებენ სადედოფლო რეგალიებს, რის შემდეგ დაიწყება პანაშვიდი.

«იმ ღამით დედოფლის ცხედარი რჩება ტაძარში და პატივსაცემად მას მიუყენებენ გუშაგებად: ამვონთან ექვს უნტეროფიცერს და კარებთან ორ ჯარისკაცს. ხოლო საპატიო დარაჯებად კუბოსთან ორივ მხრივ დაეწყობა ექვს-ექვსი წარმომადგენელი საქართველოს თავადაზნაურთა. სია საპატიო მოდარაჯეებისა და შედგენა ქართულ ცხენოსან რაზმისა ხდება საგუბერნიო მარშლის განკარგულებით.

«მეორე დღეს მთელი ჯარი და არტილერია და აგრეთვე ქართულ თავად-აზნაურთა ცხენოსანი რაზმი გამოეწყობა ტაძრის წინ. ნათესავთა და პროცესიაში მონაწილეთა გამოცხადების შემდეგ დაიწყება ლიტურგია და პანაშვიდი, რომელთ შემდეგ კუბოს ქართველი თავადნი და აზნაურნი მიასვენებენ სასაფლაოსთან, რომელი გათხრილია მეფე გიორგის საფლავის გვერდით. კუბოს ჩაშვების დროს სამხედრო არტილერია გაისვრის 36-ჯერ, ხოლო ქვეითი ჯარი სამჯერ დაცლის თოფს». (185).

დედოფალ მარიამის საქართველოში ჩამოსვენების ამბავს ჩვენ პოტოს ნაწერებშიაც ვხვდებით; დანარჩენ მასალის უქონლობის გამო, ჩვენ გვინდა რუს მწერლის ცნობებიც საკუთით მოვიტანოთ. ისტორიკოსი სწერს:

«...დედოფალი მარიამი 1850 წელს მიიცვალა ქალაქ მოსკოვში, როცა მას 80 წელი შეუსრულდა.

...ყველაფერი დავიწყებული და პატიებული იქმნა და ცხედარი საქართველოს უკანასკნელ დედოფლისა ზეიმითა და სამხედრო ბატიოსცემით თავისივე სამშობლო ქვეყანას დაუბრუნდა.

«17 იგლისს 1850 წ. ყველა, მცხეთისაკენ მიმავალი გზები, სავსე იყო უთვალავი ხალხით, რომელიც ცდილობდა შესვედროდა დუშეთიდან ნელად მომავალ საგანგებო სამგლოვიარო პროცესიას; მოასვენებდენ დედოფალ მარიამს.

«ამ პროცესიას ყველაზე წინ მიუძღოდა საქართველოს თავად-აზნაურთა ცხენოსანი საგანგებო რაზმი დროშით, რომელსაც ჰფარავდა სამგლოვიარო თალხი; ამათ მიჰყვებოდენ სამეფო სახლის და სხვა და სხვა წოდებათა წარმომადგენელნი და მრავალრიცხოვანი სამღვდელოება. შემდეგ: შტაბის ოფიცრობა, რომელთაც მოჰქონდათ ბალიშებზე დასვენებული ღერბი საქართველოსი, დედოფლის ორდენი წმიდა ეკატერინესი, სამეფო გვირგვინი და მანტია დედოფლისა. სამგლოვიარო ეტლს, რომელიც დაფარული იყო ბალდახინით, ზევიდან სამეფო გვირგვინი ედგა; ეტლში შებმული იყო ექვსი ცხენი შავის მოსასხამებით, რომლებიც შემკობილი იყვნენ დედოფლის ღერბით. «შტანგებთან» იდგნენ წარჩინებული თავადები, მასიურ ვერცხლის ფოჩები ფარჩისა ეპყრათ დიპლომატიურ კორპუსის მოხელეთ, ხოლო ბოლო პორფირისა, კუბოზე გადაფარებულის, მიჰქონდა ოთხ ოფიცერთ. შემდეგ ცხედარს აცილებდენ უმაღლესი წარმომადგენელნი მთავრობისა, ნათესავნი და ახლობელნი დედოფლისა და უამრავი ხალხი.

«პროცესიის ბოლოში მიდიოდა ქვეითი პოლკი ზარბაზნებით და მცველთა ცხენოსანი გუნდი. გაისმოდა ზარების გულსაკლავი ხმა, სამგლოვიარო მარშის მტირალი ჰანგები, ამას ზედ ერთოდა დამსწრეთა შავი სამოსელი და ჩირაღდნები ახლად გათხრილ საფლავის ირგვლივ, საფლავი უკანასკნელ მეფის გვერდით გაეთხარათ, რომელსაც თვის წიაღში უნდა მიეღო კიდევ ერთი წევრი სამეფო სახლისა საუკუნო განსასვენებლად... ყოველივე ეს ღრმა შთაბეჭდილებას სტოვებდა ხალხზე, რომელსაც კარგად ახსოვდა ძველი დიდებაც და მძიმე განსაც-

დელის წლებიც, რაიც მათ ენახათ ბაგრატიონთა მეფობის ჟამს...

«მცხეთის ტაძრის გალავანთან, რომლის ბჭეთა შინა იმყოფება ქართველ მეფეთა უძველესი საფლავები, დედოფლის ცხედარს მიეგება საქართველოს ეკზარხოსი, რომელმაც კუბო ტაძარში მიაცილა; მთელი ღამე მიცვალებულს აჭ საპატიო გუშაგები დარაჯობდენ.

«განუწყვეტლივ იხდიდენ პანაშვიდს და ხალხი ცრემლით ეთხოვებოდა უკანასკნელ დედოფალს.

«ცხედარის დასაფლავება მოხდა მეორე დღეს. მწირველი იყო თვით ეკზარხოსი, შემდეგ ზარბაზანთა და შაშხანათა ხმების ქვეშ, კუბო დედოფლისა ნელა ჩაუშვეს საფლავში.

«...და ეს იყო უკანასკნელი პატივისცემა იმისდამი, რომელიც ამას მოკლებული იყო თვისის ხანგრძლივის სიცოცხლის გზაზე». (186).

ასეთის დიდის ცერემონიებით უნდოდა ალბათ რუსეთის მთავრობას ის მწვავე ტკივილები და მძიმე შეურაცყოფა, მთელ სამეფო ოჯახს და კერძოდ მის უკანასკნელ წარმომადგენელს, დედოფალ მარიამს რომ მიაყენა, ოდნავ მაინც შეენიღბა და დაეფარა.

დედოფლის ვედრება სამშობლოში დაბრუნებაზე, რაიც ნახევარ საუკუნის მანძილზე გმინვად გაისმოდა, ყრუდ იქმნა დატოვებული; ეხლა კი მისი დადუმებული ცხედარი ასეთის დიდის ცერემონიით წამოასვენეს და მცხეთას მიაბარეს*).

---

*) ქართველი ხალხი კი მთლიანად დიდის მწუხარებით იგლოვდა საყვარელ დედოფალს. ბევრს ის ახსოვდა და უყვარდა, როგორც სიმხნეთ დაკარგულ თავისუფლებისა. საქართველოს ძველ მცხოვრებთა შორის, განურჩევლად ეროვნებისა, ეხლა უკვე აღარავინ იყო განმცდელი და რუსთა ბატონობის მომხრე. ამ ნახევარმა საუკუნემ მათ აგრძნობინა ახალ სიოს სუსხი და ბაგრატიონთა საქართველოს თავისუფლების ხანა ბევრჯერ მოანატრა.

თბილისის მოქალაქენი ხომ შურის ძიების გრძნობას ვეღარ ფარავდენ და ხალხურ სიმღერებში და ლექსებში იკლავდენ მორეულ ჟინს.

უდრეკი და მტკიცე მარიამ დედოფალი ეხლა აღარავისათვის იყო საშიში; პაჟები, ობერ-ოფიცრები, საგარეო საქმეთა სამინისტროს მოხელეები გადამეტებულის ზვიადობით და ფარისევლურის მწუხარებით მიაცილებდენ დედოფალს მის ნამდვილ ჭირისუფლებთან და ახლობლებთან ერთად.

გაუგონარ ფარისევლობის ნიმუში აჩვენა იმპერიამ პატარა სამეფოს და მის ერთგულ ხალხს. ვორონცოვიც დიდად კმაყოფილი დარჩა ამ სანახაობით.

ჩვენ იმედი გვქონდა დედოფალ მარიამის საფლავის აღწერას შევხვდებოდით ისეთ საგანგებო შრომაში, როგორიცაა ბ. ნატროშვილის წიგნი: «მცხეთა და მისი საკრებულო — სვეტიცხოველი», რომელშიაც გადმოცემულია თითქმის ყველა აქ დასაფლავებულთა ვინაობა და მოყვანილია ეპიტაფიები. სამწუხაროდ, ეს ჩვენი იმედი არ გაგვიმართლდა. აქ მხოლოდ ორ

ერთი ასეთი ხალხურ მწუხარების გამომხატველი, პრიმიტივი და სადა, მაგრამ უშუალო განცდის ამსახველი ლექსი გავრცელებულა იმხახად თბილისში. ზ. ჭიჭინაძეს ეს ლექსი ამრიგად გამოუცია დედოფალ მარიამის სურათის თანდართვით:

«ვერ აიტანე ძალმომრეობა,
ვერ შეგისყიდა შენ მტერმა ფულით,
სამშობლო შენი მას არ დაუთმე,
მძაფრად მახვილი ჩაჰკარი გულში.
მტერი დაგეცა სასახლეშიე
ინდომა ძალად შეპყრობა შენი,
მაგრამ მოსტყუვდა დიდად ბილწია,
შენს წინ დაეცა შერცხვენილია.
და მტრისგან ბოლოს ძალმომრეობით
იქმენ ცოვ მხარეს გამგზავრებული,
იქ სავანეში იქმენ პყრობილი,
შენს ერსა მტრულად მოშორებული.
ბოლოს ამ ერმა სახელოვანად
შენ მიგაცილა მცხეთის ტაძრამდე,
იქ, მეფეთ გვერდით შენ დაგასვენა,
არ დაგივიწყებს უკუნისამდე...»

სიტყვას ვხვდებით საქართველოს უკანასკნელ დედოფალზე...»

«აქვე ასაფლავია დედოფალი მარიამი, მეუღლე საქართველოს უკანასკნელ მეფის, გიორგი XIII-სა». (187).

არც დანარჩენი ჩვენი მკვლევარნი გვაწვდიან დედოფალ მარიამის აღსრულებისა და დაკრძალვის შესახებ რაიმე საგულისხმო ცნობას. მ. ჯანაშვილიც მოკლედ გვაუწყებს, რომ დედოფალი რუსეთში აღესრულა და მისი გვამი საქართველოში მოასვენეს და დიდის დიდებით დაასაფლავეს მცხეთის ტაძარში. (188).

ბ. ესაძემ გამოსცა სამ ტომად შვენივრად დასურათებული კრებული «ლეტოპის გრუზიი», რომელშიაც, სხვათა შორის, მოსკოვის და პეტერბურგის ტაძრებში დასაფლავებულ ქართველ დედოფალთა, ბატონიშვილთა, მათ მხლებელთა და ზოგიერთ წარჩინებულთა მცირე ვინაობა, ანუ აღრიცხვაა მოთავსებული. მოსკოვის «ნეკროპოლ»-ში აღნიშნული არიან საფლავები ზოგიერთ პირთა, რომლებიც დედოფალ მარიამს ჯერ ბელგოროდში და შემდგომ მოსკოვში ხლებიან. ამათში აღნიშნული არიან: დეკანოზ პარმენ დომენტის ძე წინამძღვრიშვილი, რომელიც იყო პირადი მოძღვარი მარიამ დედოფლისა და გარდაცვლილა მოსკოვში 14 სექტემბერს 1846 წ. თინათინ ნიკოლოზის ასული ოქრომჭედლიშვილისა, რომელიც ყოფილა გამზრდელი და ძიძა დედოფალ მარიამის უმრწმესი ვაჟისა, ირაკლისა ჯერ ბელგოროდში და შემდეგ მოსკოვში; მასთან მეუღლე ამისი, იოსებ დავითის ძე ოქრომჭედლიშვილი. თინათინი მიცვალებულა მოსკოვში 11 დეკემბერს 1847 წ., ხოლო მის გვერდით დასაფლავებულ მეუღლის, იოსების აღსრულების წელი მოხსენებული არ ყოფილა.

აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ მხატვარ აკადემიკოს ანდრია ივანეს ძე ფედოტოვს, რომელსაც ცოლად ჰყოლია რომელიღაც ოქრომჭედლიშვილის ასული (უნდა ვიფიქროთ — იოსების და თინათინის შთამომავალი), შეუსრულებია საგანგებო სურათი: «საიდუმლო ზიარება დედოფალ მარიამისა მოსკოვში, ქართულ სამეფო ოჯახის საგვარეულო საყდარში, პატარა თეატრის გვერდით».

ბორ. ესაძეს აქვე აღნიშნული აქვს მის მიერ ხილული საფ-

ლავები დედოფალ მარიამის შემდეგ ძეთა: ბატონიშვილი ილია, +18—7—1854 წ., ოქროპირი, + 1857 წ., ირაკლი, + 10—10—1859 წ., მიხეილი, + პეტერბურგში, 21—11—1862 წ. და სხვათა. ყველა ესენი დაკრძალული არიან მოსკოვის «პოკროვის მონასტრის» იონას სახელობის საყდარში.

ამავე კრებულში ბორ. ესაძე გვაუწყებს, რომ დედოფალ მარიამს გადასახლებისას თან წაუღია წმიდა ნაშთი წამებულ ქეთევან დედოფლისა, რომელიც მას უჩვენებია ცნობილ მოგზაურ და მწერალ მურავიოვისთვის. (189). ცნობა ბორ. ესაძეს მოჰყავს მოსკოვის მიტროპოლიტ ფილარეტის მიერ შედგენილ სარჩევიდან. ეს მიტროპოლიტი იყო მწირველი დედოფალ მარიამის გამოსვენებისას მოსკოვში. (190).

•

ჩვენ გავათევთ. კარგად ვიცით, რომ გამოკვლევა საქართველოს უკანასკნელ დედოფალზე და საერთოდ სამეფოის მწუხრზე ამით ჯერ ამოიწურება; ამას კიდევ დიდ მასალათა დაგროვება და დამუშავება-გაშუქება სჭირია, მაგრამ ჩვენი უკანასკნელი დედოფლის მიცვალებიდან ერთი საუკუნის შემდეგ მაინც გვინდოდა მისი მოწამებრივი სახის აღდგენა, მისი გრძელი მარტიროლოგიის აღწერა და მის წმიდა საფლავზე პატარა გვირგვინის მიტანა.

ბევრი ყვავილები აკლია ამ გვირგვინს, მაგრამ რა ვქნათ?... ჩვენს «სუსხიან» ყოფაში ყვავილები დიდი ხანია დამზრალან... და ჩვენი თავი მხოლოდ იმ ფიქრით უნდა ვინუგეშოთ, რომ უფრო ღირსეული და საპატიო გვირგვინი ჩვენს უკანასკნელ დედოფალს ალბათ საქართველოში მიეძღვნება. ვერ დავმალავთ, — ჩვენს გულში ჩუმი იმედი სადგურობდა, რომ იქნებ ერთხელ ვინმე ჩვენთაგანი, ან რომელიმე გულშემატკივარი ქართველი სწვეოდა იმ ადგილებს: იმ ვორონეჟს, იმ ბელგოროდს, საცა დედოფალი და მისი მხლებელნი ტყვეობის წლებს ატარებდენ; იქნებ კიდევ შესაძლებელი იყო მიკვლევა და მოძიება ზოგ რამესი; იმ ნაშთისა, რაიც ერთი საუკუნის მანძილზე შემთხვევას გადაერჩინა...

ეხლა ეს იმედიც მოკვდა: საშინელმა ომმა ყველაფერი ეს გაანადგურა, — რა ხშირად გვესმოდა ომის წლებში, დღიურ

«სამხედრო ცნობებში» ამბები დაწვისა, განადგურებისა და სრული აღმოფხვრისა სწორედ ამ ბელგოროდ-ვორონეჟისა. ამ ქარიშხალს აღარაფერი გადარჩენია; ბელგოროდის მონასტერი და მისი არქივიც ალბათ სამუდამოდ შთაინთქა. არც იმ სურათის რეპროდუქცია გვაქვს ხელთ, რომელიც ერთ-ერთ მხატვარს დაუხატავს და დედოფლის უკანასკნელ ტრაღიკულ წუთებს გადმოგვცემს: საყვარელ დედოფალს სიკვდილის წინ შემოხვევია გუნდი შვილთა, შვილისშვილთა, ბატონიშვილთა და ერთგულ მხლებელთა. ყველა ესენი გულსაკლავად მოსთქმიან; მათ საუკუნოდ ეთხოვება მათი დედა და დედოფალი... ბრძოლის და წამების წლებით დაღლილი დედოფალი მიდის დასასვენებლად ბაგრატიონთა ძველ ოჯახში და დამტირებელთ ანდერძს უტოვებს: არ დაჰკარგონ საყვარელი სამშობლო, იყვნენ მასთან, და იღწოდენ მისთვის; ხოლო ის კი დიდი მცხეთის ფრთათა ქვეშე მოასვენონ თვის საყვარელ მეფესთან და ბატონთან...

და დედოფალს ეს ანდერძი არ გაუმტყუნებს. ეს ერთი მაინც...

გოლოსიტყვა

საქართველოს უკანასკნელი დედოფლის, მარიამის ამბები მეტად მჭიდროდაა დაკავშირებული საქართველოს სახელმწიფოს, მისი სამეფოს და ბაგრატიონთა დინასტიის მწუხრთან. ამიტომ ამ შრომაში მარიამ დედოფლის შესახებ ჩვენ მოგვიხდა შეჩერება მაშინდელ საქართველოს მწვავე ბრძოლებზე და ხანდისხან აშკარა ამბოხებებზე, რასაც ათეულ წელთა მანძილზე ეწეოდა ჩვენი ერის მოწინავე ნაწილი.

ჩვენი საზოგადოებრივი მოძრაობის მაშინდელი ამბები, სამწუხაროდ, მეტად მკრთალადაა ასახული ქართულს წყაროებში და ნარკვევებში; მიზეზი თავისთავად გასაგებია: ჩვენს მკვლევართ ზღუდავდა რუსეთის თვითმპყრობელობის ცენზურა და აიძულებდა, ან დუმილი და მრავალწერტილი აერჩია, ან რუსული იმპერიალისტური პოლიტიკის ყოველი ნაბიჯი გაეზართლებინა და საქართველოს სისხლიანი დაპყრობა და ვერაგული მოტყუილება ერთმორწმუნე დიდ რუსეთთან «მშვიდობიან შეერთებად» გამოეცხადებინა. ქართველ მწერლებში ასეთები იშვიათად თუ მოიძებნებოდენ...

დარჩა რუსული წყაროები და მათი ისტორიკოსების «კვლევანი», რომელნიც ყველა საყურადღებო ფაქტებს ტენდენციურად აშუქებდენ და რომლის «მეცნიერულ ანალიზს» იქეთკენ მივყევართ, რათა ალექსანდრე პირველის და მისი დიდ რეზიდენტების, კნორრინგ, ციციანოვის «დასკვნები» გავამართლოთ.

რაც შეეხება მეტად მცირე უცხო წყაროებს (რის მთავარი მასაზრდოებელი იგივე ოფიციალური პეტერბურგი იყო), ზშირად მათ ავტორებსაც სჯეროდათ, რომ რუსეთი შევიწროებულ საქართველოს, მართლაც ჭეშმარიტ მფარველად მოევ-

ლინა. საუბედუროდ, უკეთესი მდგომარეობა არც დღესა გვაქვს...

ასეთი დამახინჯება, უკეთ რომ ვსთქვათ, დასახიჩრება ჩვენი ახლო წარსულისა, რასაკვირველია, უნდა გამოსწორდეს და ჩვენი ვინაობა ისე გაიშალოს, როგორც მას შეშვენის და როგორც ის სინამდვილეში ყოფილა. ეს კი ბევრად მეტ მასალებს და დიდ შესწავლა-დამუშავებას მოითხოვს. ეს ამოცანა, რა თქმა უნდა, რთულია და ჩვენს ძალებს აღემატება... მიუხედავად ამისა, ჩვენ მაინც ვკადნიერდებით და იმ მცირე წყაროთა გამოყენებით, რაც დღემდე ცნობილია, გვინდა ეს შრომა ქართველ მკითხველს მივაწოდოთ.

ამასთან გვინდა პატივცემულ საზოგადოებას ამ წიგნის მოკლე თავგადასავალიც გავაცნოთ. სამწუხაროდ, არც მას ჰქონია დიდი ბედი, ისე როგორც იმ დედოფალს, რომელსაც ეს უმთავრესად ეხება.

ჩვენ თითქმის 25 წლის მანძილზე ვაგროვებდით საჭირო მასალას საქართველოს უკანასკნელ დედოფლის ცხოვრებისა და ქართულ სამეფო მწუხრის შესასწავლად. ჩვენის ძალების მიხედვით ამ წელთა მანძილზე ვმუშაობდით, ვსწერდით და ვურთავდით ახლად მოძიებულ ცნობებს იმ იმედით, რომ მისი გამოცემა ჩვენს მძიმე პირობებშიაც ერთხელ შესაძლებელი გახდებოდა.

ომის წლებმა და მისგან გამოწვეულმა დაუსრულებელმა ხეტიალმა ხან ერთსა და ხან მეორე ადგილას, ჩვენი ბიბლიოთეკის ერთი ნაწილი შეიწირა და მასთან ერთად, სხვა ხელნაწერებთან, ამ შრომის თითქმის ნახევარი რვეულები დაგვიკარგა. გადაგვრჩა ზოგიერთი რვეულების შავი და ამონაწერები.

ამის გამო იმ მოცულობით და ხასიათით, როგორც თავიდანვე გვქონდა განზრახული, ეს ჩვენი შრომა, სამწუხაროდ, ვერ დავასრულეთ. მაგრამ ხელახლა მისი გადადება იმ იმედით, რომ მეტ მასალას დავაგროვებდით და ამ შრომას შემდეგში უფრო დამუშავებულ და დასრულებულ ხასიათს მივსცემდით, არც სხვებმა გვირჩიეს და, უნდა გამოვტყდეთ, ვერც ჩვენ დავინახეთ მიზანშეწონილად ჩვენს პირობებში და ხნოვანებაში.

ამიტომ გადავსწყვიტეთ წიგნის ასე გამოცემა, იმ რწმენით, რომ ჩვენის წარსულის მომავალ მუშაკებს ეს შრომა მასალად მაინც გამოადგება და კვლევას გაუადვილებს.

გვინდა ამ ადგილას პატივისცემით მოვიგონოთ ჩვენი პრეზიდენტი ნოე ჟორდანია.

1949 წ., როცა ჩვენ ევროპიდან სამხრეთ ამერიკისკენ მოვემგზავრებოდით, გზად პარიზის ახლოს, შატო ლევილში შევიარეთ, საცა ჩვენს მოხუცთ და მათში ყველაზე უწინ ბატონ ნოეს უნდა გამოვმშვიდობებოდით.

ნოე ჟორდანია, რომელსაც ამ ჩვენი შრომის შესავალი წაეკითხა ჟურნალ «ბედი ქართლისა»-ში, საცა ის იმ ხანებში იბეჭდებოდა, ამ მუშაობით მეტად დაინტერესებულიყო და მან მისი წიგნაკად გამოცემა გვთხოვა, რაიც ჩვენ ადრევე გვქონდა განზრახული.

შემდეგ თვეებში მისმა მეუღლემ, ქ-ნმა ინნამ, წერილობითი თხოვნით მოგვმართა — მიგვეწვდინა მისთვის შემოკლებით ამ წიგნის შინაარსი, რაიც საგანგებოდ გამართულ კრებაზე მოხსენებად უნდა წაეკითხათ პარიზში.

ერთ-ერთმა ჩვენთაგანმა შეადგინა «ჩონჩხი» ამ წიგნისა და მიაწოდა ქ-ნ ჟორდანიას.

მარიამ დედოფლის გარდაცვალებიდან ასი წლის შესრულების აღსანიშნავად საგანგებოდ გამართულ საღამოზე, ეს მოხსენება წაკითხულ იქმნა 2 აპრილს 1950 წ.

ამ მოხსენებას ვრცელი შესავალი წარუმძღვარა ნოე ჟორდანიამ; ამ სიტყვაში მან აღნიშნა ქართველი ქალის განსაკუთრებული თვისებები, რომელიც მას შემოუნახავს ანტიურ კულტურის ქალთა მაღალ თვისებიდან. ერთ-ერთი გამოვლინება ამ ძველ ღირსებათა არის მეცხრამეტე საუკუნის ქართველ ქალთა აქტიური ბრძოლა ერის ღირსების დასაცავად, და მათში უველაზე უწინ მარიამ დედოფლისა. (დაწვრილ, ნაგარიში მაშინდელ ქართ. პრესაში).

დასასრულს გვინდა ჩვენი გულითადი მადლობა მივუძღვნათ უველას, ვინც ჩვენს მუშაობაში და ამ წიგნის გამოცემაში რაიმე სახით დახმარება გაგვიწია, ხოლო უველაზე უწინ ეს ჩვენი წრფელი მადლობა ეკუთვნის ჩვენს ძველ და უცვლელ

მეგობარს, ვიკტორ ნოზაძეს, რომელმაც ამ წიგნის გამოცემაში უახლოესი და მღვივე მონაწილეობა მიიღო.

ამ მადლობებთან ერთად გვინდა მკითხველს თხოვნითაც მივმართოთ: მიიღოს მხედველობაში ჩვენი ყოფის განსაკუთრებული პირობები და ლმობიერებით მოეპყრას ზოგიერთ უნებლიე ცოდვებს, და კერძოდ ტეხნიკურ და კორექტურულ ნაკლს ამ წიგნისას.

თამარ და აკაკი პაპავა

ბუენოს აირეს, 1956 წ.

მასალათა მითითებელი

1) ალ. ორბელიანი: ცო-ცოტა ანბები (საისტორიო მასალები. რედ. ს. კაკაბაძისა).
2) პლატონ იოსელიანი: ცხოვრება გიორგი მეცამეტისა. აკაკი გაწერელიას რედაქცია, წინასიტყვაობით და კომენტარიებით. თბილისი, ფედერაცია, 1936. გვ. 12.
3) «ცხოვრება».. გვ. 79—80.
4) იქვე, გვ. 80.
5) იქვე, გვ. 74—75.
6) П. Г. Бутков: Материалы для новой истории Кавказа, с 1722 по 1803 год. Хронол. и алфавит. указатели — Броссе. Петерб. 1869. т. II.
Акты, собранные Кавказской Археографической Комиссиею. Т. II. Тифлис.
А. Цагарели: Сведения о памятниках грузинской письменности. С. Петербург, 1886. II.
7) Бутков... С. II стр. 177, 178.
დ. ჯანაშვილი: ისტორიული სურათები. გვ. 279.
7ბ) М. Хелтуплишвили: Вступление Грузии в состав Российской империи.
8) Проф. А. Цагарели: Грамоты и другие исторические документы XVIII столетия, относящиеся к Грузии. С. Петербург, 1891. Т. II. стр. 119.
9) ბუტკოვი: მასალები, ტ. II და III.
Н. Дубровин: Закавказье от 1803—1806 года. С. Петербург, 1866.
З. Авалов: Присоединение Грузии к России. С. Петербург, 1906.
10) პროფ. ა. ცაგარელი: «ღრამოტები», ტ. II.
М. Хелтуплишвили: Вступление Грузии в состав Российской империи. 1901. стр. 28-29.
11) «საქართველოს სიძველენი», რედაქცია ექვთ. თაყაიშვილისა. ტ. III. გვ. 73.

12) აქტები... ტ. I. გვ. 297.

13) «საქართველოს სიძველენი», ტ. III. გვ. 310.

14) პლ. იოსელიანი: ცხოვრება... გვ. 50.

15) Н. Дубровин: Георгий XII, последний царь Грузии и присоединение ея к Россіи. С. Петербург, 1897. стр. 57

16) პლ. იოსელიანი: ცხოვრება... გვ. 38.

17) პროფ. ა. ცაგარელი: ღრამოტები... 154, ნომ. 141.

18) იქვე, 144-5.

19) იქვე, გვ. 205-6.

20) იქვე, გვ. 206.

Берже: Присоединение Грузии... «Русская Старина», 1880 г. Ном. 5, 6 и 7.

21) დავით ბატონიშვილი: მასალები, — მისივე: Краткая исторія Грузіи, 1893. стр. 60.

22) პოტტო: საქართველოს წარსული დრო. ჟურნალი. «ეჯამბე». 1894 წ. ნომ. 6.

პლ. იოსელიანი: ცხოვრება... გვ. 115—116.

23) აქტები... I. ნომ. 6. გვ. 98.

23ა) იქვე, I. გვ. 99—103.

24) პროფ. ა. ცაგარელი: ღრამოტები, II., 186—187.

25) იქვე, ნაწ. II. გვ. 153. ხაზები ჩვენია.

26) იქვე, II. გვ. 187.

მკვლევარი მ. ხელთუფლიშვილი აღნიშნავს, რომ როცა მეფე გიორგი თვის ახლობელთ არ ენდობოდა და თვის განზრახვებს უმალავდა, მაშინ მის მესაიდუმლედ გამხდარიყო მარტო ღენ. ლაზარევი; მეფე მის გარდა არავის უმხელდა, თუ ნამდვილდ რას ავალებდა თვის ელჩებს, როცა მათ რუსეთში გზავნიდაო. («ვსტუპლენიე», გვერდი 32).

27) აქტები, I.

27ა) ბუტკოვი: მასალები... II. 463, 464 და III, 239.

27ბ) Чтенія в Императ. общ. Исторіи и Древностей... книга II.

27გ) მ. ხელთუფლიშვილი: «ვსტუპლენიე»... გვ. 32-3.

27დ) Записки тайнаго совѣтника Вейдемейера.

(შეადარეთ ბუტკოვის შენიშვნები საბელმწიფო საბჭოს სხდომებზე, 17 დეკ. 1800 წ. III. 330).

28) ბუტკოვი: მასალები... II. იქვე.
29) პლ. იოსელიანი: ცხოვრება... გვ. 182.
30) პროფ. ა. ცაგარელი: ღრამოტები, II. ნომ. 143.
31) მოხსენება ღენ. კნორრინგისა პავლე I-სადმი, 11—10 — 1798 წ. არქივი საგარეო საქმეთა სამინისტროსი; მიმართვა ბატონიშვილ მირიანისა 10—3 — 1798 წ.
32) პლ. იოსელიანი: ცხოვრება... გვ. 205.
33) Н. Дубровин: Георгий XII... стр. 143, 144.
34) ს. კაკაბაძე: საქართველოს ისტორია (ახალი ხანა), გვ. 249.
35) ნ. დუბროვინი: მეფე გიორგი XII... გვ. 72-73. და ა. ცაგარელი: ღრამოტები... II.
36) პლატონ იოსელიანი: ცხოვრება... გვ. 189, 190.
37) ს. კაკაბაძე: საქ. ისტ. მე-18 ს. გვ. 248.
38) პლ. იოსელიანი: ცხოვრება... გვ. 191-2.
39) Julius v. Klaproth: Reise in den Kaukasus und nach Georgien. 1814. Halle, II. 257.
40) А. Грибоедов: Сочинения, редак. Орлова. 444.
M. Brosset: Histoire de la Géorgie. II. p. 2L. p. 269. 270-1.
Царевич Давид: Краткая история о Грузии. С. Петербург, 1805. стр. 143.
41) პლ. იოსელიანი: ცხოვრება... გვ. 192.
42) იქვე, კომენტარიები, გვ. 286—287.
43) პლ. იოსელიანი: ცხოვრება... და ს. კაკაბაძის «საისტორიო მასალები», საცა მოყვანილია ცნობები გიორგი მეფის დიდ სიფაქიზეზე.
44) აქტები... II. საიდუმლო მოხსენება რეზიდ. სოკოლოვისა მინისტრ ვორონცოვს. 1802 წ.
44ა) პროფ. ცაგარელი: ღრამოტები... II. გვ. 155-7.
45) იქვე, გვ. 189.
46) პლ. იოსელიანი: ცხოვრება... გვ. 201.
47) პროფ. ცაგარელი: ღრამოტები... II. გვ. 209.
48) პლ. იოსელიანი: ცხოვრება... გვ. 247.
49) იქვე, გვ. 154.
50) Ib. p. 147. Brosset; Histoire de la Géorgie. II. 2. 274. აგრეთვე ნოტა ელჩ გარსევან ჭავჭავაძისა 16—12 —

1798 და 3—2 — 1799 წ. არქ. საგ. საქმ. სამინისტროს მოსკოვის განყოფილებისა.

51) Col. Rottier' Journal Asiatique. Juin, 1827.

52) В. Романовский: Очерки по истории Грузии. 232.

52b Gamba: Voyage dans la Russie méridionale, et particuliérment dans les provinces situées au-dela du Caucase. Palis, 1826. p. 142, 143.

52c) Потто: «Утверждение русского владычества на Кавказе. Тифлис, 1901 Т. I. стр. 59.

ეს უკანასკნელი ამტკიცებს, რომ ლაზარევი ეროვნებით რუსი იყოო.

53) დუბროვინი: მეფე გიორგი XII. გვ. 94.

54) აქტები... I. იხ. წერილი კოვალენსკისა კნორრინგს, დოკ. ნომ. 13, საცა აუწყებს, რომ რადგან ლაზარევმა არა ერთხელ მიაყენა შეურაცხყოფა მეფე გიორგის, ამას არ სურს რაიმე ურთიერთობა იქონიოს ღენ. ლაზარევთანო. (გვ. 103, 104).

54ა) პლ. იოსელიანი: ცხოვრება...

55) ბუტკოვი, ტ. I. გვ. 345.

56) ბუტკოვი, ტ. II. გვ. 504.

57) პლ. იოსელიანი: ცხოვრება... გვ. 214-5 და 218,

58) პროფ. ცაგარელი: ღრამოტები... II. გვ. 217, აქტ. I.

59) ბუტკოვი, I. გვ. 343.

60) დუბროვინი: მეფე გიორგი XIII... გვ. 198.

61) პლ. იოსელიანი: ცხოვრება... გვ. 198.

62) პოტტო: საქართველოს უკანასკნელი დრო. ჟურნალი «ჭვრამბე», 1894 წ. ნომ. 6.

63) დუბროვინი: მეფე გიორგი XIII... გვ. 199, 200.
აქტები, II. ნომ. 530.

64) დუბროვინი: მეფე გიორვი XIII... გვ 200.

65) იქვე, ცნობა კავკასიის ნამესტნიკის არქივისა.

66) ბუტკოვი, ტ. III. აქტები, I. გვ. 94.

67) Езов: Сношения Петра Великого с армянским народом. CXII.

68) აქტები, I.

69) ალ. ორბელიანი: მეფე ერეკლეს... რედ. ს. კაკაბაძე, გვ. 52.

70) წერილი ღენ. კნორრინგისა ღენ. ლაზარევისადმი 19—3 —

1801 წ. არქივი საგ. საქმ. სამინისტ. (დუბრ.). პოტტო, ტ. I. გვ. 54, 55.

71) მოგზაური კლაპროტის: რაიზე... ტ. I.

72) ეკვთ. თაყაიშვილი: არქეოლოგიური მოგზაურობანი და შენიშვნები. «მოამბე», X. 1895 წ.

73) ზ. ავალიშვილი: პრისოედინენიე... გვ. 206, 207.

74) აქტები, I. გვ. 297. წომ. 358.

ეკვთ. თაყაიშვილი: „საქართველოს სიძველენი".

მემკვიდრე დავითს ამ აქტიურ ნაბიჯებისათვის სოლომონ ლეონიძე აგულიანებდა, რომელიც თავიდანვე მოითხოვდა რუსთა დაუკითხავად დავითის ტახტზე ასვლას. «აქტებში» ვკითხულობთ, რომ როცა ღენ. ლაზარევმა პეტერბურგის ინსტრუქციით ქართ. სამეფო ოჯახს და წარჩინებულთ გამოუცხადა, რომ პავლე პირველის ბრძანებით სამეფო ტახტზე არავინ არ უნდა ავიდესო, კანცლერმა სოლომონ ლეონიძემ თავის თავზე აიღო თარჯიმნობა, წინ წამოდგა და დამსწრეთ «გადაუთარგმნა»: ლაზარევი რუსის ხელმწიფის ბრძანებით ესალმება მემკვიდრეს და ულოცავს მას საქართველოს ტახტზე აბრძანებასო... (იხილეთ ღენ. ლაზარევის მოხსენება კნორრინგს, 20—1—1801 წ. აქტები, I. გვ. 316.).

75) ზ. ჭიჭინაძე: ქართველი რესპუბლიკანელები.

76) აქტები, ტ. I. ნომ. 385.

77) იქვე, ნომ. 146.

78) ივანე ჯავახიშვილი: ქართველ ბატონიშვილთა წერილები. ჟურნალი «მოამბე», IV. 1900 წ.

79) აქტები, I.

80) იქვე, გვ. 341.

81) «საქართველოს სიძველენი», რედ. ივ. ეკვთიმე თაყაიშვილისა, ტ. III. გვ. 344, 345.

82) აქტები, I. გვ. 217.

83) წერილი ღენ. ლაზარევისა ღენ. კნორრინგისადმი 11—I. 1802 წ.

84) პროფ. ა. ცაგარელი: ღრამოტები, II. გვ. 195—209.

მ. ხელთუფლიშვილი იძლევა იურიდიულ ანალიზს არა მარტო 1783 წლის ტრაქტატსა და გიორგი მეფის «თხოვნითი პუნქტებისას» (რომელსაც ის პირველის დამატებად და გან-

მარტებად სთვლის), არამედ იმერეთის მეფის, სოლომონ II «თხოვნითი პუნქტებისასაც» და შემდეგ ასეთივე მიმართვებს რუსეთისადმი სამეგრელოს, გურიის და აფხაზეთის მთავართაგან. მიუხედავად ამ «თხოვნითი პუნქტების» ფორმალურ დეფექტებისა, ყველა ესენი მაინც ჩაითვლებიან ორ სუვერენულ მოპირდაპირეთა ხელშეკრულებად, რომლებიც საერთაშორისო უფლების მიხედვით ძალაში რჩებიან. მკვლევარი აქ, სხვათა შორის ემყარება პროფეს. მარტენსის შრომას: „საერთაშორისო უფლება», ტ. I. გვ. 383—396, 399.

«Просительные пункты», как международн. договор, удовлетворяют всем основным условиям юридической силы трактатов». («Вступление».. стр. 74-97).

85) Н. Дубровин: Закавказье от 1803—1806 г. стр. 38.

86) З. Авалов: Присоединение... стр. 222. М. Хелтуплишвили: Вступление.. стр. 84.

87) Архив Государственного Совета. III. ч. 2. стр. 1197.

სახელმწიფო საბჭოში «არაოფიციალურ კომიტეტის» წევრები უსაყვედურებდენ იმპერიას — პროტექტორს და სხვათა შორის ამბობდენ:

«Протекция, какую в 1783 г. давала Россия Грузии, вовлекла сию несчастную землю в бездну зол, которыми она приведена в современное изнеможение».. (Авалов, стр. 148). «Покровительство, оказанное Грузии и защита ея территории... к чему обязалась Россия по трактату 1783 года, были настолько недействительны, что... население Грузии в период от 1783 г. до 1801 г. уменьшилась чуть не на половину. Грузия к 1801 г. представляла картину полного разорения»... (Авалов, стр. 192).

88) J. v. Klaproth: Reise in den... I. S. 394.

უკუღმართ ბედზე მემკვიდრე დავითისა, რომელმაც მხოლოდ რამდენიმე თვით იგემა სამეფო ძალა-უფლება, რაიც მთელის მოცულობით მრავალი წლების მანძილზე ხელთ ეპყრა მის წინაპართ, მწუხარებით სჩივის ისტორიკოსი მარი ბროსე, იხილეთ —

M. Brosset: Memoires inedits relatifs à l'histoire. IIde partie. par. 198.

ზ. ავალიშვილი: «პრისოედინენიე»... გვ. 205.

89) Н. Дубровин: Закавказье, стр. 38.

89а) З. Авалов: Присоединение... стр. 208.

90) Бутков: Материалы... II. стр 261.

ბუტკოვი ამასთან გვაუწყებს, რომ კნორრინგმა «საქართველოს უმაღლეს მმართველობის», გახსნასთან, მყისვე მიჰყო ხელი ამ ყოფილ სამეფოს საგარეო საქმეებს და მიმართა იმერეთის მეფეს, სოლომონ მეორეს, ფაშებს: ახალციხის, ყარსის, განჯის, ხოის, შუშის, მექის, შემახის და ამასთან ლეკების თემებსაც და აცნობა რა საქართველოს შეერთება რუსეთთან, აუწყა: «ნაბრძანები მაქვს რუსთა იმპერატორისაგან — ვიქონიო თქვენთან კეთილმეზობლური განწყობილება და მოგცეთ სამართლიანი დაკმაყოფილება ყველა იმ საკითხებში, რომლებიც შეეხებიან თქვენს ურთიერთობას საქართველოსთან.

ამ ამბებმა დიდი სულიერი ღელვა შექმნა ქართველ წარჩინებულებში და ბუტკოვის თქმით, ისინი შეეცადენ «ამ დიდ გაუგებრობის გასაფანტავად» პეტერბურგში დელეგაციის გაგზავნას, ვითომ ხელმწიფისათვის უქვეშევრდომილეს გრძნობათა გამოსახატავად, ნამდვილად კი იმის გამოსარკვევად, რომ საქართველო მეფობის შენახვას ითხოვდა და არა ღუბერნიად გახდომასო.

ეს განზრახვა კნორრინგს იმპერატორისათვის უცნობებია და იქედან 25—7 — 1802 წ. პასუხი მოსვლია: რათა «შთააგონოს მათ (თავადაზნაურობას), რომ ხელმწიფეს უამისოდ სჯერა ქართველთა ერთგულება და ამაში იჭვი აროდეს ჰქონია. ამიტომ ზედმეტია მათი ასე შორს გამგზავრება და სჯობს ამ დიდ ხარჯებს ნუ გასწევენ»-ო. (იხილეთ: ბუტკოვი, II. გვ. 510—515).

«ვერხოვნოე გრუზინსკოე პრავიტელსტვო»-ს დაარსებისთანავე კნორრინგმა პირველი იერიში დედოფალ მარიამზე მიიტანა; მან ღენ. ტუჩკოვი გაგზავნა და მოსთხოვა დედოფალს ჩაებარებინა მისთვის სამეფო რეგალიები, რაკი საქართველოს სამეფო აღარ არსებობსო. დედოფალმა ეს დიდად იუკადრისა, მთავარმართებელს ცივი უარი შეუთვალა და თან აცნობა: რუსეთი ჩვენი სამეფოს დაცვას აღგვითქვამდა და ეხლა სამეფო ნიშნებსაც გვართმევთო! გაბრაზებული ღენ. კნორრინგი «ლინიაზე» გაბრუნდა და საქ. სამხედრო საქმეები ღენერალ ლაზარევს გადასცა. (იხილეთ, ალ. ფრონელი: მთიულეთი, «მოამბე», ნომ. III, 1895 წ.).

91) ბუტკოვი: «მასალები»... II. გვ. 211.

92) ივანე ჯავახიშვილი: საქართველო მეცხრამეტე საუკუნის მიჯნაზე.
92ა) Дубровин: Закавказье... стр. 35.
93) Акты.. Т. I. стр. 388.
94) სოკოლოვის საიდუმლო მოხსენება, «აქტი», II. 14. «მთიულეთი», ალ. ფრონელისა.
95) დუბროვინი: «ზაკავკაზიე». გვ. 52.
95ა) გ. ბადრიაშვილი: თბილისი. გვ. 107.
96) აქტები, II. გვ. 57.
ბერჟე: «პრისოედინენიე»... «რუს. სტარინა», 1880.
97) Пл. Иосселиани: Описание древностей Тифлиса, 1866. стр. 74.
98) აქტები, XII. გვ. 94.
99) პლ. იოსელიანი: ცხოვრება... გვ. 203.
100) მოხსენება ციციანოვისა მინისტრ კოჩუბეის 10—2 — 1803 წ. «ზაკავკაზიე». გვ. 53.
101) აქტები, II. გვ. 46.
102) Краснитский: Покорение Кавказа. Изд. Каспарь, 267
103) აქტები, II. მოხსენება რეზიდენტ სოკოლოვისა, ნ. 3.

ამ დიდმა მოხელეებმა და მათში, კოვალენსკიმ, უამრავი ნაძარცვი ქონება გაზიდეს საქართველოდან. მწერალი ალექსანდრე ფრონელი გვაუწყებს: კოვალენსკის მემკვიდრეებს, პოლტავის ღუბერნიაში, თავიანთი სახლი სავსე ჰქონიათ საქართველოდან გაზიდულ ძვირფასის თვალმარგალიტებით და ოქრო-ვერცხლის ნივთებითო. (იხილეთ: «მოამბე», III. 1895 წ. გვ. 17. შენიშვნა).

«ამ საარაკო ძარცვა-ბოროტმოქმედებამ კნორრინგ-კოვალენსკის დროს, აიძულა მთავრობა გადაეყენებინა ისინი და ნაცვლად ციციანოვი დაენიშნა»-ო. («არქივი სახელმწიფო საბჭოსი». ტ. III, ნაწ. 2.) (იხ. ავალიშვილი: «პრისოედინენიე», გვ. 274).
104) აქტები, I. მოხსენება კოვალენსკისა, გვ. 381.
105) აქტები, I. ნომ. 359.
106) დავით ბატონიშვილი: ნარკვევი, გვ. 60, 62.
106ა) С. Эсадзе: Историческая записка об управлении Кавказом. Т. I. стр. 27, 28.
107) Аваловь Присоединение... М. Хелтуплишвили Вступление... стр. 74-90.

108) ანონიმ. წერილი 3—1 — 1802 წ. მთავარმართებ. კანცელარიის არქივი («ზაკავკაზიე», გვ. 39).
109) აქტები, I. მოხსენება ლაზარევისა კნორრინგს, 29—7 — 1802 წ.
110) დუბროვინი: «ზაკავკაზიე»... გვ. 40, 41.
111) აქტები, I. გვ. 356.
112) იქვე, მოხსენება ლაზარევისა კნორრინგს.
დავით ბატონიშვილი: ნარკვევი, გვ. 64.
112ა) დუბროვინი: «ზაკავკაზიე»...
113) ბუტკოვი: მასალები, II. გვ. 540.
114) დუბროვინი: «ზაკავკაზიე»... გვ. 48.
ამ გაერთიანებას ადასტურებს ბატონიშვილ იულონის მიმართვა ციციანოვისადმი, 16—2 — 1803 წ., საცა, სხვათა შორის, ამბობს: «მაქვს წერილი დავითისაგან... და ყოველთა ძმათაგან, ყოელისა საქართველოსა და კახეთისაგან და ერთბაშად ყოველთა... გვაქვს მსხვერპლად სისხლი ჩვენი შეუძვრელობისათვის სამეფოსა სახლისა»... და სხვა. აქტები, II. გვ. 124-5.
115) ბუტკოვი, ტ. II. გვ. 540.
116) აქტები, I. გვ. 691.
117) იქვე.
118) დავ. ბატონიშვილი: ნარკვევი... გვ. 63.
119) ეზოვი: «სნოშენია»... СХУ III.
120) აქტები, II. გვ. 173.
121) იქვე, გვ. 263.
122) Дубровин: История войны и владычества русских на Кавказе. Т. IV. стр. 60.
123) წერილი დედოფალ მარიამისა ციციანოვისადმი. 2—2 — 1802 წ. აქტები, II.
124) აქტები, II. გვ. 77.
125) აქტები, I. ნომ. 184.
126) აქტები, II. ციციანოვის მოხსენება ხელმწიფისადმი: 20 —4 — 1803 წ.
127) იქვე.
128) ალექს. ორბელიანი: საისტორიო მასალები, რედ. ს. კაკაბაძე.

129) აქტები, II.

130) აქტები, I. ნომ. 187.

131) დუბროვინი: «ზაკავკაზიე»... გვ. 86, 87.

კოლ სოვეტნიკი ლოფიცკი ხელმწიფისადმი მოხსენებაში აშკარად ამბობს, რომ დედოფალმა თვით ჩასცა ღენ. ლაზარევს სასიკვდილოდ გულში ხანჯალიო. პოტტო, I. გვ. 59.

ფრანგი მკვლევარის შოპინის ცნობითაც ღენ. ლაზარევი თავის ხელით განუგმირავს საქართველოს უკანასკნელ დედოფალ მარიამს: —

M. Chopin: Histoire et description.. Russie Caucasienne. p. 30.

132) ბატონიშვილი დავითი: მასალები, გვ. 65.

დავით ბატონიშვილის მიერ გამოთქმული «იჭვები» დე«დოფლის მკვლელობაზე» უფრო გარკვევით აქვს გადმოცემული პლ. იოსელიანს, რომელიც ამბობს:

«ღენერალი ლაზარევი მოჰკლა ნიკოლოზ ხიმშიაშვილმან, რომელიცა იყო ყულუხჩი მარიამ დედოფლისა. ის გადავიდა ახალციხეს და იქ მოკვდა». («ცხოვრება», გვ. 254).

მეორე ადგილას ის გვაუწყებს:

«ეს ლაზარევი მოიკლა არა დედოფლისაგან, რომელსაცა მიაწერეს ესე და არც ჯიბრაილისაგან... როცა დილით ლაზარევმან დედოფლის გამოყვანა ინდომა, დედოფალმან მოსთხოვა დრო და მოთმინება: «შვილებსა წვრილებსა სძინავთო», — ლაზარევმა ესე თხოვნა არ მიიღო, გაბედა და სტაცა ხელსა და მრისხანედ უთხრა: «ეხლავ გამოდითო»... მაშინ მუნ მყოფმან თავადმან ნიკ. ხიმშიაშვილმან სწრაფლ ამოიღო ხანჯალი, და სცა ლაზარევს მუცელში. ლაზარევი წაიქცა და თვით ხიმშიაშვილი მეორეს ბალკონით გავიდა ქალაქიდან და გაიქცა ახალციხეს და მუნ მოკვდა 1807 წ.» (იქვე, გვ. 119).

დაახლოებით ამავე ვერსიას იმეორებს თვის «მემუარებში» დიმ. ყიფიანი:

«როცა ლაზარევი მისწვდა დედოფალს, რათა სტაცოს ხელი და საწოლიდან ჩამოაგდოს, ამ წუთს ჩასცეს მას გულში ხანჯალი». ვინ და როგორ მოახდინა ეს ამბავი — საიდუმლოებით დარჩა მოცულიო და სხვ. (იხ. აღნიშნ. «მემუარები»-ს თავი 7, გვ. 121).

სხვა ცნობებიდანაც ირკვევა, რომ დედოფლის ერთგულმა ხიმშიაშვილმა ლაზარევის მოკვლა თავის თავს იდვა და ბოლომდე ცდილობდა დედოფლის ხსნას. ხიმშიაშვილმა ოსმალეთში სიკვდილის წინ აღსარებაში განაცხადა, — ლაზარევი მე მოვკალ და დედოფალი უბრალოდ იტანჯება პყრობილებაშიო. (იხ. «აქტები»), მაგრამ ეს ცნობები სინამდვილეს არ შეეფერებიან, — აქ მხოლოდ თავდადება და კეთილშობილება მოსჩანს სამეფოს ოჯახის და დედოფლის ღირსების გადასარჩენად და მარიამის ტყეეობიდან გამოსახსნელად.

პლ. იოსელიანის ცნობა სწორი არაა, რადგან ხიმშიაშვილი ლაზარევის მკვლელობის შემდეგ «მეორე ბალკონით» არ გაქცეულა და ოსმალეთში მყისვე არ გასულა. ხიმშიაშვილი სადამომძიებლო საექსპედიციო კომისიამ სხვებთან ერთად დააპატიმრა და დაჰკითხა, რადგან მას შეთქმულების წევრად სთვლიდენ დედოფლის ხევსურეთში გასატაცებლად. ციციანოვმა ეს მას ვერაფრით დაუმტკიცა და გაანთავისუფლა. ხიმშიაშვილი მხოლოდ ამის შემდეგ გადვიდა ახალციხეს და 1807 წ. აღესრულა.

ყველა დანარჩენი წყაროები, როგორც ვნახეთ, ოფიციალურ გამოძიების დასკვნას იმეორებენ და ლაზარევის მკვლელობას მარიამ დედოფალს მიაწერენ. ამ მხრივ ფრიად საყურადღებოა თვითონ საექსპედიციო კომისიის წევრის ლოფიცკის პირადი მოხსენება ხელმწიფისადმი (ამ მკვლელობაზე, სხვათა შორის, იხ. შაბანოვის «ისტორია ერევანსკოგო პოლკა», გვ. 58-59. ეს ცნობები მოყვანილი აქვს ბ. მ. ტყემალაძეს თვის ნარკვევში: «სიონსკი კაფედრალნი სობორ», თბილისი, 1904 წ.).

133) როტიერი, ჟურნალი «მოამბე», VII, 1894 წ.

134) Johannes Wille: Sammlung d. Bibliotrek d. Unterhaltung u. des Wissens. I. 1888. Stuttgart.

135) აქტები, II. ნომ. 196.

136) იქვე.

137) აქტები, II. გვ. 117.

138) ბრძანება ციციანოვისა ღენ. ტუჩკოვს, აქტები, II. ნომ. 747.

139) იქვე, ნომ. 188.

140) იქვე, წერ. ციციანოვისა პოლკოვ. პროტოპოპოვს, 19—4 — 1803 წ. ნომ. 749.

141) დუბროვინი: «ზაკავკაზიე». მოხსენება ტუჩკოვისა.
142) იქვე.
143) აქტები, II. ნომ. 199.
144) იქვე, ნომ. 197.
145) აქტები, II. ნომ. 802.
146) იქვე, გვ. 1058; წერილი ციციანოვისა ბატონიშვილ თამარს, 21—1 — 1805 წ.
146ა) იქვე, მოხს. ციციანოვისა იმპერატორისადმი, 3—3 — 1803 წ.
147) იქვე, ხელმწიფე ალექსანდრე I-ის წერილი ციციანოვისადმი, 15—5 — 1803 წ.
148) წერილი დედოფალ მარიამისა ხელმწიფისადმი. ამოღებულია საგარეო საქმეთა სამინისტროს არქივიდან, 1—7— 1803 წ. ნომ. 6 (იხ. «ზაკავკაზიე»).
149) აქტები, I. ჩვენება სარდალ ასლან ორბელიანისა.
150) პლ. იოსელიანი: ცხოვრება... გვ. 119.
151) Танков: Грузинская царица в Белгороде. «Исторический Вестник». Т. 83. 1911 г.
152) დავით ბატონიშვილი: ნარკვევი, გვ. 166.
153) ტანკოვი... საისტორიო უწყება.
154) აქტები, II. გვ. 77-78.
155) იქვე, ნომ. 203.
156) პროფ. ცაგარელი: «სვედენია», II. გვ. 283.
157) აქტები, II. გვ. 676.
158) თამარ პაპავასი: დიდი სახეები პატარა ჩარჩოებში, წიგნი II: რვეული I: დარეჯან დედოფალი.
159) პროფ. ცაგარელი: «სვედენია», გვ. 283-287.
160) იქვე, და ტანკოვის დასახელებული წერილი.
161) იქვე.
162) ტანკოვი: დედოფ. მარიამ ბელგოროდში, გვ. 1036.

დოც. გ. გოზალიშვილი: 1832 წლის შეთქმულება, თბილისი, 1935 წ. ტ. I. სახელმწიფო უნივ. გამოცემა.

აქტები. VIII.

კახაბერი: მასალები 1832 წლის შეთქმულების შესასწავლად. კრებული «კავკასიონი», ნომ. 8, პარიზი.


163) აქტები, III. იხილეთ მინისტრის შეკითხვა გუდოვიჩს, 10—12 — 1806 წ. ნომ. 30. გვ. 71.
164) არქივი საგარეო საქმ. სამინ. საქმე 6, 7. («ზაკავკაზიე», გვ. 90).
165) ბუტკოვი, II. გვ. 396.
166) M. Brosset: Histoire de la Géorgie, II. 299.
167) აქტები, V. ნომ. 417.
168) იქვე, ნომ. 241, გვ. 353.
169) იქვე, ნომ. 423.
170) იქვე, ნომ. 426.
171) იქვე, ნომ. 448.
172) აქტები, V. ნომ. 437.
173) იქვე, ნომ. 447.
174) თედო სახოკია: სულხან ბარათაშვილი. ჟურნალი «მოამბე», ნომ. 7, 1896 წ. გვ. 29.
175) აკაკი გაწერელია: გიორგი მეცამეტე, ბიოგრ. პლ. იოსელიანისა, XIV.
175a) Краткая история грузинской церкви. С. Петербург, 1841.
176) პროფ. ცაგარელი: «სვედენია». ტ. 1. 3. გვ. LXX.
177) პროფ. კ. კეკელიძე: ძველი ქართული ლიტერატურა, I. გვ. 437.
178) იოსებ გრიშაშვილი: ძველი ტფილისის ლიტერატურული ბოჰემა. ტფილისი, გვ. 178.
179) Проф. А. Хаханов: Очерки по истории грузинской словесности. стр. 341.
180) პროფ. ცაგარელი: «სვედენია», I. განყ. 3. XXXV.
181) აქტები, II. ნომ. 130.
182) გ. ბადრიაშვილი: ტფილისი, 1934 წ. გვ. 116.
183) აქტები, X. გვ. 112.
მიწერილობა მინისტრ პეროვსკისა მიხ. ვორონცოვისადმი, 8—4 —1850 წ. აქტები, X. ნომ. 87.
184) იქვე, დოკუმენ. 86. გვ. 112.
185) იქვე, გვ. 114.
186) პოტტო, ტ. V.
187) Натроев: Мцхет и его собор Светицховели, стр. 323.

188) მოსე ჯანაშვილი, საქართველოს ისტორია, გვ. 490.
189) Муравьев: Письма.. стр. 266-268.

ქეთევან დედოფლის ეს წმიდა ნაწილები აღა მაჰმად ხანის თბილისში შემოჭრისა და აოხრებისას 1795 წ. ერეკლეს სასახლიდან ენისის მოურავის შვილს — თამაზს გამოუტაცნია და ერეკლესათვის მიურთმევია, რისთვისაც გიორგი მეფე და დედოფალი მარიამ თამაზს, მის ძმებს და შვილთ სოფ. შაქრიანს უბოძებენ და წყალობის სიგელს აძლევენ. ამ სიგელში მეფე-დედოფალი, სხვათა შორის სწერენ: «როცა მამა ჩვენი ავლაბრის კარებისაკენ გაბრძანებულიყო, შენ, თამაზ სიმხნით და ლომურად გარჯით წასულიყავ და კურთხეულის მეფის, ბატონის მამი ჩვენის სასახლეში შესულიყავ და ჩვენი სასოება წმ. სახარება მოჭედილი და **წმიდა მოწამის დედოფლის ქეთევანის ნაწილი** და სხვა წმიდათა ნაწილები გამოგეტანა და აგრეთვე სხვა თვლები და ჯავაირი და ოქრო»... და სხვ. (იხ. მეფე-დედოფლის სიგელი, 22—12 — 1799 წ. აი ეს ნაწილები დედოფალ მარიამს გარდასახლებაში თან წაუღია და სიკვდილამდე სასოებით შემოუნახავს.
190) Б. Эсадзе: Летопись Грузии. Вып. I. стр. 125.

რედაქტორი ე. ტრიპოლსკი
მხატვარი თ. შარიფაშვილი
მხატვრული რედაქტორი ა. თევზაძე
ტექნიკური რედაქტორი ზ. გვიმრაძე
კორექტორები: ჭ. ქავთარაძე, ლ. არჩუაძე
გამომშვები მ. წივწივაძე

გადაეცა წარმოებას 03.10.89; ხელმოწერილია დასაბეჭდად 20.10.89. საბეჭდი ქაღალდი № 1. 84×108 1/32. გარნიტური ვენა, ბეჭდვა მაღალი, პირობითი ნაბეჭდი თაბახი 17,64, პირ. სალ. გატ. 17,64 საღრ.-საგამომც. თაბახი 12,59. ტირაჟი 30 000 შეკვეთა № 1967.



საქართველოს სსრ გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნით ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის თბილისის ი. ჭავჭავაძის სახ. წიგნის ფაბრიკა, მეგობრობის გამზირი № 7.

Тбилисская книжная фабрика им. И. Чавчавадзе Государственного Комитета Грузинской ССР по делам издательств, полиграфии и книжной торговли, пр. Дружбы № 7.

ТАМАРА И АКАКИЙ ПАПАВА

Последняя Царица Грузии Мариам

(На грузинском языке)

Издательство «Сабчота Сакартвело»
Тбилиси, Марджанишвили, 5
1989

გამოიცა კომპრომეტირებული „მერანი“—89%-ის შეკვეთით. იძებნება
დაცილებული 1956 წლის გამოცემის მიხედვით.